

ღვთისმსახურების, ზნეობისა და მორალის

# საუკეთესო მაგალითი

## სანიმუშო აღამიანი 1

-საღლაღლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ-





بِسْمِ اللَّهِ الرَّحْمَنِ الرَّحِيمِ

ბათუმი - 2023

თარგმნა  
ბეჟან შავაძემ

სარედაქციო კოლეგია:  
ზურაბ მიქელაძე  
დანიელ ბოლქვაძე  
მიხეილ გელაძე  
თემურ გორგაძე

კორექტორი:  
ნანა ტარიელაძე  
უშანგი ბოლქვაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:ა  
როინ კოჩალიძე  
უშანგი ბოლქვაძე

თარგმნილია:  
**ÜSVE-İ HASENE - 1**  
*Kullukta, Ahlakta, Adabda En Güzel İnsan*

Doç. Dr. Ömer Çelik - Dr. Mustafa Öztürk - Dr. Murat Kaya

ISBN 978-9941-0-2600-3 (ორივე წიგნის)  
ISBN 978-9941-0-2601-0 (პირველი წიგნის)

წიგნი გამოცემულია საქართველოს ახალგაზრდებზე დახმარების ასო-  
ციაციის მიერ, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს რე-  
კომენდაციით.

გამომცემლობა ერქამი: 2023 - წელი

II - გამოცემა

ღვთისმსახურების, ზნეობისა და მორალის  
**საუკეთესო მაგალითი**

**სანიშნურო აღაშენიანი**  
- საღვთისმსახურებრივი აქტიური ვესაღვთა -

დოცენტი დოქტორი ომერ ჩელიქი  
დოქტორი მუსტაფა ოზთურქი  
მურათ ყაია



ბათუმი - 2023





## შესავალი

„საუკეთესო მაგალითი“ — ამ ორი სიტყვის დამახსოვრება, პატივისცემა და ცხოვრებაში გატარება ჩვენი ადამიანური მოვალეობაა, რადგან ისინი ყველაზე კარგად გამოხატავს მუჰამმედ შუამავლის თვისებებს, რომელსაც ღმერთის წიგნში, „ყურანში“ გამორჩეული ადგილი უჭირავს.

„საუკეთესო მაგალითი“ — უზენაესი ალლაჰის ეს სიტყვები, მუჰამმედ შუამავლის ყველა საუკეთესო თვისების შემცველია. უზენაესი ალლაჰი ურჩევს და წარმოუდგენს სამყაროს ისეთ ნიმუშს, რომელიც აუცილებელია თავიდან შეიცნო, შეისწავლო და შემდეგ მიაღწიო მასთან სულიერ გაიგივებას.

უზენაესი ერთ-ერთ აიათში ბრძანებს:

لَقَدْ كَانَ لَكُمْ فِي رَسُولِ اللَّهِ أُسْوَةٌ  
حَسَنَةٌ لِّمَن كَانَ يَرْجُو اللَّهَ وَالْيَوْمَ الْآخِرَ وَذَكَرَ اللَّهَ كَثِيرًا

„...და აღავლინეთ ლოცვა და გაეცით სავალდებულო მოწყალება და ჰმორჩილებდეთ ალლაჰსა და მის შუამავალს.“

„ალლაჰის შუამავალში საუკეთესო მაგალითია თქვენთვის, მათთვის, ვისაც ალლაჰისა და განკითხვის დღის იმედი აქვს და მოწინებთ ახსენებს ალლაჰს.“<sup>1</sup>

ალლაჰის წინაშე წარდსგომას გულში ჩანთებული ცეცხლის მსგავსად ყოველ წამს ვგრძნობთ. რწმენის ძირითადი პრინციპებიდან თუ გვეჯერა განკითხვის დღის, თუ გაგვაჩნია ისლამის რწმენა, მაშინ ალლაჰის შუამავალს უნდა დავუჯეროთ, მის გზას გავყვეთ, მეგზურად ავირჩიოთ და მასთან ერთად ვიაროთ.

ჟურნალმა „ალთინოლუქმა“ დღემდე წარმოგვიდგინა მრავალი ნაშრომი ალლაჰის შუამავლისა და მისი თანამიმდევრების საქმიანობის შესახებ და მათ შორის წინამდებარე ნაშრომი საჩუქრად გადას-

1. სურა ალ-აჰზაბ, აიათი 33.



ცა ჟურნალის მკითხველს. იმედია, ეს საქმე გაგრძელდება მომავალშიც და არასდროს დასრულდება.

თუ კი ალლაჰი „საუკეთესო მაგალითის“ სახით რჩევას გვაძლევს, ის უნდა გავიაზროთ და მის გასაგებად ვიმუშაოთ. ჩვენს ცხოვრებას აზრი ამით უნდა მივცეთ. ალლაჰის ნაბრძანები ყოველი სიტყვა ჩვენს გულსა და აზროვნებაში ჩავიბეჭდოთ და რაც შეიძლება ღრმად ჩავწვდეთ.

ჩვენ სახეზე გვაქვს ორი ახალგაზრდა დოქტორის — მუსტაფა ოზთურქის, მურად ყაიასა და თეოლოგიური ფაკულტეტის თეფსირის ლექტორის, დოცენტ — ომარ ჩელიქის ძვირფასი ნამუშევარი.

ისინი ალლაჰს შეევედრნენ და შეეცადნენ საუკეთესო დონეზე წარმოედგინათ და დანვრილებით განეხილათ ყოველი სიტყვის თითოეული მარცვალი. მათ ყველაფერი „საუკეთესო მაგალითის“ შესახებ ანბანის მიხედვით მოძებნეს ჰადისებსა და ისლამის ისტორიაში. ახალგაზრდა მეცნიერებმა უდიდესი სიხარულით წარუდგინეს მკითხველს პლანეტის ყველაზე საუკეთესო თვისებებით დაჯილდოებული და სრულყოფილი ადამიანი. მათ შეკონეს უზარმაზარი თაიგული მისი ცხოვრების ყოველი მხრიდან და მისი მოღვაწეობის დიდებული პანორამა წარმოგვიდგინეს.

ამ სამმა ძვირფასმა ადამიანმა, „ალთინოლუქის“ დახმარებით, ათიათასობით მკითხველს, ალლაჰის შუამავლის შესახებ საუკეთესო მონაცემები შესთავაზა. ეჭვგარეშეა, რომ ალლაჰის შუამავლის (ს.ა.ვ.) ცხოვრება წარმოადგენს გამოუკვლევ სამყაროს. ავტორებმა კარგად იცინან, რომ ძალიან ბევრი ინფორმაცია, რაც ამ წიგნში არ მოთავსდა და საჭიროებს შემდგომ კვლევას, მათ დიდი შრომა მართებთ მომავალშიც, რათა ასეთი კარგი წიგნები კვლავ და კვლავ შემოგვთავაზონ.

ამ წიგნში შეგროვებულია მუჰამედ შუამავლის (სალალლაჰუ ალეიჰი ვე სელლეჰ) სულიერი სამყაროს, ნათესავეებისა და ახლობლების მონაცემები. შუამავლის (სალალლაჰუ ალეიჰი ვე სელლეჰ) პიროვნება საჭიროებს ყოველმხრივ და უფრო დახვეწილ შესწავლას. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ახალგაზრდა მეცნიერები გააგრძელებენ თავიანთ მუშაობას ალლაჰის შუამავლის ცხოვრებისა და სხვა თვისებების წარმოსაჩენადაც. ახლა კი, მკითხველს ამ ძვირფას წიგნთან მარტო დავტოვებთ, რისი საშუალებითაც მას განკითხვის დღეს შუამავლის მეზობლად ყოფნას ვუსურვებთ!





## კაცობრიობის არსი

**„და თქვენს განკარგულებაში მოგცათ ყველაფერი, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. უეჭველად, ამაში სასწაულებია გულისხმიერ ხალხთათვის.“<sup>1</sup>**

ალლაჰმა ადამიანებს კანონები დაუწესა, რითაც მათ ცხოვრებას აზრი მიეცა. თავისივე დახმარებით ადამიანს მუდმივი ცხოვრების იმედი ჩაუსახა. ძლევამოსილი ალლაჰი ყურანში გადმოდევცემს:

**„და ზეცაც, რომელიც აღმართა. და განათავსა სასწორი, რომ არ გადახდეთ წონაში. გამართეთ სასწორი სამართლიანად და არ დააკლოთ წონაში!“<sup>2</sup>**

ამ აიათით ალლაჰი აფრთხილებს ადამიანებს დაიცვან დედამინაზე მისი კანონი. რაც შეეხება ამქვეყნიური სიამოვნებით გატაცებულებს, ვერ გარკვეულან წუთისოფლად თავიანთი მოსვლის არსში. ისინი საკუთარი ქცევითა და ცხოვრების სახით, ადამიანის სხეულის მახინჯ გამონაზარდს წარმოადგენენ და სრულებით არ შეესაბამებიან სამყაროს ჰარმონიას. რაოდენ სამწუხაროა, რომ ასეთი ადამიანები მთელ თავიანთ ცხოვრებას უდარდებლობაში ატარებენ თავიანთი კეთილშობილური მისიის შეუცნობლად.

სამყაროს სიბრძნე დაფარულია ადამიანის არსში. თუკი ყურადღებით დავუკვირდებით მას, გარკვევით გამოჩნდება, რომ ის შემკულია ურთიერთსაპირისპირო – კეთილი და ბოროტი თვისებებით, რაც არის ალლაჰის ნების შედეგი, რადგანაც ადამიანი ამქვეყნად მოვლენილია გამოსაცდელად. ცნობილი აქსიომაა, რომ ნებისმიერ გამოცდას თან ახლავს მართალი და მცდარი, სწორი და არასწორი სვლები და პასუხები. მაგრამ არც ერთ მომაკვდავს არ შეუძლია თქვას, რომ მისთვის საკმარისია გონება, აზროვნება და ლოგიკა იმისათვის, რათა ყველა დადებითი თვისება ჭარბობდეს მის პირად მონაცემებში. ყოველივე ეს რომ საკმარისი ყოფილიყო, ყოვლის შემძლე ალლაჰი კაცობრიობის მოდგმის პირველ ადამიანს-ადამ შუამავალს, შუამავლობის ნიჭით არ დააჯილდოებდა, არ უბრძანებდა

1. სურა ჯასიე, აიათი, 13.  
2. სურა რაჰმანი, აიათები 7-8-9.



მას ქვეყნისთვის ქადაგებას, ესწავლებინა ხალხისთვის ქცევის ნორმები, რაც დაეხმარებოდა მათ მუდმივი ბედნიერების მოპოვებაში. დადასტურებით შეიძლება ვთქვათ, რომ ადამიანს გონებისა და გულის საშუალებით ყველაფრის გაკეთება შეუძლია. გონება ორპირი დანის მსგავსია, მას შეუძლია ადამიანს ბოროტებაც გააკეთებინოს და სიკეთეც. ადამიანმა თავისი შესაძლებლობის მაქსიმალურ ზღვარს მხოლოდ ჭკუის საშუალებით შეიძლება მიაღწიოს. მაგრამ, ამასთან ერთად, ხშირ შემთხვევაში ადამიანი ჭკუამ შეიძლება ცხოველზე დაბალ დონემდეც კი დაიყვანოს. ამიტომ მას ჭკუის გამოყენების დისციპლინა უნდა გააჩნდეს. ეს დისციპლინა ადამიანს ალლაჰის ნაბრძანები აიათებისა და შუამავლის მოქმედებების მიხედვით უნდა ჩამოუყალიბდეს. თუ ადამიანის ცხოვრების პრინციპი სწორედ ალლაჰისა და მისი შუამავლის კანონების შესაბამისად ჩამოყალიბდა, მაშინ ეს მეთოდი მას აუცილებლად გადაარჩენს. ხოლო თუ კი ადამიანი თავის ცხოვრებას, ზემოთ აღნიშნული კანონების საპირისპირო პრინციპებით წარმართავს, მაშინ ის აუცილებლად დაიღუპება. ამ კანონებზე დაყრდნობით შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ადამიანი ვალდებულია, ჭკუა სწორი პრინციპით მართოს. კაცობრიობის ისტორიაში ცნობილია მრავალი ფაქტი, როცა დახვეწილი გონების მმართველები თავიანთ ჭკუას კაცობრიობის საზიანოდ იყენებდნენ, რითაც მთელ ხალხებს ტკივილსა და ტანჯვას აყენებდნენ. ამასთანავე, ისინი როდი განიცდიდნენ სინდისის ქენჯნას, ვინაიდან თავიანთ დანაშაულს გამართლებულად და აუცილებელ შესასრულებლად თვლიდნენ. ჰულაგუმ ბაღდადის აღების შემდეგ მშვიდად უბრძანა 400 ათასი უდანაშაულო ადამიანი მდინარე ტიგროსში დაეხრჩოთ, რის შემდეგაც წარბიც კი არ შეუხრია და არც სინანულის გრძნობა გასჩენია. ჯაჰილიის (უცოდინრობის) პერიოდში არაბები გულგრილად, თავიანთ ცოლებს მკერდიდან აგლეჯდნენ ახალშობილ ქალიშვილებს და მინაში ცოცხლად მარხავდნენ. ირგვლივ ისმოდა უბედურ დედათა მოთქმა და გოდება, მაგრამ არავის უჩნდებოდა სინანულის გრძნობა. შეშის დახერხვა და ადამიანის სიკვდილი ამ „ცხოველთა“ თვალებში ერთნაირი იყო. ყოველივე ეს, ამ ადამიანებს ნორმალურ და აუცილებელ მოვლენად მიაჩნდათ. სწორედ ჭკუის ამგვარი გამოყენებით ადამიანი ცხოველზე დაბლა ეშვებოდა.

ამ ადამიანებს, რა თქმა უნდა, ჭკუა ჰქონდათ, მაგრამ მას არასწორად იყენებდნენ. ადამიანის დანიშნულება კი ისაა, რომ მან,





თავისი შესაძლებლობები და უფლებები სწორად გამოიყენოს, შეცდომები არ დაუშვას. მაგრამ, თუ კი ადამიანი ალლაჰისა და შუამავლის კანონებს ამცდარია, მას ადამიანობაც დაკარგული აქვს და მრავალი დანაშაულსაც სჩადის. აქედან გამომდინარე, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ადამიანს ყველაზე მეტად სწორი მაგალითის ჩვენება ესაჭიროება. სწორედ ამიტომ ალლაჰმა ადამიანს შუამავალი გამოუგზავნა, რათა მისი საშუალებით ეჩვენებინა ჭეშმარიტი გზა. ახალშობილი ქალიშვილების ცოცხლად მინაში დამმარხავი ადამიანები გონს, სწორედ შუამავლის საშუალებით, ისლამში გაერთიანების შემდეგ მოეგნენ. მათ გაუჩნდათ თავიანთი ჩადენილი საქციელის მიმართ სინანულის გრძობა და თვალეში სინანულის ცრემლი ჩაუდგათ.

ადამიანი, თავისი გრძობებითა და თვისებებით ალლაჰმა საკუთარ თავთან მარტო დატოვა. ის ვალდებულია, აკონტროლოს თავისი სურვილი, მისწრაფება, საკუთარ თავს ბრძოლა გამოუცხადოს და ჭეშმარიტი გზით იაროს. ყოველივე ეს ალლაჰის წინაშე მისი გამოცდაა, რადგან ის, კარგი და ცუდი საქმეების კეთებით, შეიძლება ანგელოზებზე მაღლა ავიდეს ან ცხოველებზე დაბლაც კი დაეშვას. ადამიანის ეს მდგომარეობები მისი საქციელის მიხედვით განისაზღვრება. ამიტომ მას ყველაზე მეტად ჭეშმარიტება და სიკეთე ესაჭიროება. მათ გარეშე ის ცხოველზე უარესი გახდება. ამის შესახებ ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

**„ჩვენ უამრავი ადამიანი და ჯინი ჯოჯოხეთისთვის გავაჩინეთ. მათ გულები აქვთ, რითაც ვერაფერს გრძობენ, თვალეში აქვთ, რითაც ვერაფერს ხედავენ და ყურები აქვთ, რითაც არ ესმით. ისინი ცხოველების მსგავსი არიან, მაგრამ უფრო მეტად გზააბნეული. სწორედ, ისინი არიან უდარდელი უმეცრები.“<sup>3</sup>**

ადამიანმა თავისი მოვალეობებისგან უკან არ უნდა დაიხიოს. მან საკუთარი ვალდებულებები პირნათლად უნდა შეასრულოს, თავისი საქციელით ცხოველებს არ უნდა დაემსგავსოს. ადამიანში, რომელსაც არ გაუვლია სააღმზრდელო პროცესი, რითაც მიაღწევდა სულიერ სიმშვიდეს, დამალულია ხასიათის ზოგიერთი ნიშანი: ზოგი მელიასავით ძუნწია, ზოგი — ვეფხვივით მტაცებელი, ზოგი — გველივით შხამიანი, ზოგი — სხვებისთვის ხაფანგის დამგები, ზოგი კი — სისხლისმწოველი. თითოეული ეს მაგალითი ცხოველური საქციე-

3. სურა ალ-არაფ, აიათი 179.





ლია იმ ადამიანებისა, ვინც ჭეშმარიტ გზას აცდენილი არიან. ასეთი ჩვევები ზოგიერთ ადამიანში — თითო, ხოლო ზოგიერთში უფრო მეტადაა თავმოყრილი. მსგავსი ადამიანების ამოცნობა ძნელი ნამდვილად არ არის.

ეს ქვეყანა ყველა ადამიანისთვის საერთო საცხოვრებელია. ბოროტი და კეთილი ადამიანები ერთმანეთის გვერდი-გვერდ ცხოვრობენ. ისინი თავიანთ საქმეს აკეთებენ. ბოროტი ადამიანი მშიშარაა და სიკეთისგან შორს დგას, ხოლო კეთილი გამბედავი, ხელგაშლილი და თავაზიანია. ბოროტი და ურწმუნო ადამიანი თავისი საქმის გაკეთებას ყოველთვის ძალის საშუალებით შეეცდება, სხვას დაჩაგრავს და იძულებულს გახდის, დაიმორჩილოს, აგრძნობინებს მას, რომ იგი თითქოს მას ეკუთვნის, რადგან ასეთი ადამიანების ცხოვრების ინტერესი მხოლოდ საქმელი, სქესობრივი ლტოლვა, თანამდებობა და მსგავსი სხვა გასართობი საშუალებებია.

განსხვავებული საქციელისა და თავისებურებების მქონე ადამიანებთან ერთად ცხოვრება გარკვეულად ძნელი გამოცდაა ყოველი მათგანისათვის. მაგრამ ის ვალდებულია, ეს გამოცდა წარმატებით ჩააბაროს. ამისათვის საჭიროა, მან ადამიანურად იცხოვროს, ალლაჰის კანონებს პატივი სცეს და დაემორჩილოს.

ნებისმიერი ადამიანის სხეული საბოლოოდ მიწას შეუერთდება, რადგან ყოველი მათგანი მოკვდავია. ამიტომ ადამიანი ვალდებულია თავისი სულიერი გრძნობები გააკონტროლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სატანისა და თავისი ვნების მორჩილი გახდება. ამ დროს კი მას სულიერი სიძლიერე დაეკარგება. ყურანში ალლაჰი ბრძანებს:

إِرمَ ذَاتِ الْعِمَادِ الَّتِي لَمْ يُخْلَقْ مِثْلُهَا فِي الْبِلَادِ وَثُمُودَ الَّذِينَ جَابُوا الصَّخْرَ

بِالْوَادِ وَفِرْعَوْنَ ذِي الْأَوْتَادِ

„სულსა და ჩამომყალიბებელსა მისას! და მისთვის (სულისთვის) უკეთურობისა და მორჩილების შთამგონებელსა! უეჭველად, ნეტარ იქმნა (სული), ვინც განწმინდა იგი! უეჭველად, წარწყმედილ იქმნა (სული), ვინც შეეცადა მისი (ნაკლოვანებების) დაფარვას!“<sup>4</sup>

ამ აითის შესახებ ბრძენი მევლანა ჯალალედინ რუმი ასე ამბობს:

4. სურა აშ-შამს, აიათები 7-10.



„ადამიანო, სიმართლის გაგება თუ გინდა, მუსა და ფარაონი არ მომკვდარან, ისინი დღესაც ჩვენში ცოცხლობენ, ჩვენში არიან დაფარული და ბრძოლას ჩვენში აგრძელებენ. ამიტომ ადამიანებმა მტერი ჯერ საკუთარი თავში უნდა ვეძებოთ!“

მევლანა აგრძელებს:

„შენი სხეულის გაზრდასა და განვითარებაზე ნუ იზრუნებ, იმიტომ, რომ ბოლოს ის მიწად იქცევა. ყურადღება შენს სულს მიაქციე, რადგან ალლაჰის წინაშე პასუხის გასაცემად, მხოლოდ ის არის მთავარი.“

„შენს სხეულს დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევ, ნუ ამყოფებ მას ყოველთვის ნეტარებაში, რადგანაც სიცოცხლის დასრულების შემდეგ განწირულია მიწაში დასამარხად!“ „შენ გაუფრთხილდი ყველაზე მთავარს — სულს! გაიძლიერე ის, რადგან ძლიერი წავიდეს იქ, სადაც მისი ადგილია!“

გაუნვრთნელი და გზააღმართი ადამიანის გული ფესვგამხმარ ხეს ჰგავს, რომლის ფოთოლიც და ნაყოფიც დაავადებულია. ადამიანის გულშიც თუ რაიმე დაავადებაა, იგი მის სხეულს გარეგნულადაც აუცილებლად შეემჩნევა. ადამიანის გულის გასაკურნად კი საჭიროა სიძულვილის, სიამაყისა და შურის გრძნობებისგან გათავისუფლება, რომლის გაკეთებაც, მხოლოდ ალლაჰის ქეშმარიტ გზაზე დგომითაა შესაძლებელი.

ამიტომ, ადამიანისთვის აუცილებელია წინ ჰყავდეს სამაგალითო პიროვნებები, ვისგანაც შეიძლება სწორი მაგალითის აღება, რადგან მისი კარგი აღზრდისთვის საჭიროა წესიერი მაგალითის ჩვენება.

### **იდელისადმი მისწრაფება და მისაბაძისადმი მიდრეკილება**

ადამიანი, გაჩენის ნუთიდან ყველაფერში მაგალითს საჭიროებს, რადგან ენა, სარწმუნოება, ქცევა და ცხოვრების ყველა საკითხი, გამონაკლისის გარდა, სხვაზე დაკვირვებით უნდა შეისწავლოს. მაგალითად, მშობლები რომელ ენაზეც საუბრობენ, ბავშვიც იმ ენას სწავლობს. შემდეგ კი, სხვებზე მიბაძვითა და მათი დახმარებით მეორე, მესამე და მეოთხე ენების შესწავლას იწყებს. ერთი სიტყვით, ადამიანის აღზრდა, მისი განათლება სხვებზე მიბაძვით ხდება. ადამიანი





აუცილებლად თავის გამზრდელ დედ-მამას, თავის ოჯახს მიბაძავს, მათგან უამრავი მაგალითს თავის ცხოვრებაში გადმოიღებს და მათ ბევრ რამეში დაემსგავსება.

ადამიანისთვის მხოლოდ ენა და სხვა ცხოვრებისეული საკითხები როდია მთავარი. ცხოვრებაში ადამიანი, სარწმუნოების მხრივ, შეიძლება მრავალ სირთულეს შეხვდეს პირისპირ. ალლაჰმა ის ამქვეყნად გამოცდისთვის გააჩინა, მაგრამ, ამასთან ერთად, მას სულიერი სურვილი და სატანაც მიუჩინა, მათგან თავი უნდა დაიცვას და ალლაჰის კანონები შეასრულოს.

მეორე მხრივ, ადამიანები, რომლებიც სარწმუნოებაში ისეთ ადამიანებს არ დააფასებენ, როგორც არიან შუამავლები დაისჯებიან. ასეთ შემთხვევაში, წარმატების მისაღწევად საჭიროა გვექონდეს სუფთა გული. დღეს, სამწუხაროდ, ბევრი ადამიანის ცხოვრებას ისეთი მიმართულება აქვს, რომ იგი ადამიანის მომავალს საფრთხეს უქმნის, რადგან მათ გულში, ალლაჰისა და შუამავლის ნაცვლად, სხვას უჭირავს ადგილი. ასეთი ადამიანები, მხოლოდ თავისთავს აყენებენ ზიანს.

### უკვდავ შუამავალთა სახეები

უდავოა, რომ ადამიანი ყოველთვის ცდილობს მიბაძოს იმ ადამიანებს, ვინც თავიანთი ქცევითა და ცხოვრების წესით იწვევენ მის მოხიბვლას, სიმპათიებს უჩენენ და სიყვარულის გრძნობას უნერგავენ. ამ თვალსაზრისით ცხადი ხდება ადამიანისთვის იმის აუცილებლობა, რისთვისაც ის ცეცხლში უნდა შევარდეს ან წყალში გადაეშვას. სწორედ ამიტომ, ადამიანისთვის მთავარი — კარგი ადამიანებისგან მაგალითის აღებაა. ამისათვის ალლაჰმა, ადამიანებს არა მარტო წიგნები გამოუგზავნა, არამედ ადამიანებიც კი მოუვლინა შუამავლებად, რადგან მათში მოცემული ბრძანებები მათგან ცოცხლად მოესმინათ, მათი საქციელისა და მოქმედებებისთვის ყურადღება მიექციათ და თავიანთ ცხოვრებაში სწორი მაგალითი გადმოეღოთ. შუამავლები სწორედ ის ადამიანები არიან, ვისგანაც შეიძლება მხოლოდ საუკეთესო მაგალითის აღება, ვინც სრულყოფილია, როგორც შინაგანად, ასევე გარეგნულად. ალლაჰის გამოგზავნილ თითოეულ შუამავალს განსაკუთრებული თვისებები გააჩნია და საუკეთესო ნიმუშის მიმცემია ყოველი ადამიანისთვის.





მაგალითად, შუამავლებს შორის ნუჰის ცხოვრებას რომ გავეცნოთ, პირველ რიგში დავინახავთ რწმენაზე დაპატიჟებას, მოთმინებას, თავშეკავებასა და ბოროტებისადმი სასტიკ წინააღმდეგობას. იბრაჰიმ შუამავლის ცხოვრებას თუ გადავხედავთ, ალლაჰის მტრების მიმართ მის თავდაუზოგავ შრომას დავინახავთ. მან თავისი ცხოვრება კერპთაყვანისმცემლობის გაუქმებას დაუთმო, აგრეთვე ნემრუდის ცეცხლი გრილ ბაღჩად გადაქცევა ერთ-ერთი სასწაულეზრივი მაგალითი იყო. მუსა შუამავლის ცხოვრება დაუნდობელი ფარაონის მიმართ ბრძოლაში ჩაიარა და მან ხალხს თავისი სიმართლით თვალეტი აუხილა. მუსა შუამავლის განსხვავებული ქცევა და თვისებები ხალხში დიდ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ადამიანებს დიდად ანცვიფრებდა მისი სხვების მიმართ პატიების გრძნობა. სულეიმან შუამავლის ცხოვრება დიდი სიმდიდრითა და განათლებით განისაზღვრება, მაგრამ იგი ყოველთვის ალლაჰს მადლობას უხდოდა და არასდროს გასჩენია სიამაყის გრძნობა, მიუხედავად თავისი ცხოვრებისა და შესაძლებლობებისა. ეს ნამდვილად განსაცვიფრებელი მდგომარეობაა! ეიუბ შუამავალი მთლიანად მწუხარების, საოცარი მოთმინებისა და სიხარულის გამო ალლაჰზე მადლობის გადახდით ხასიათდება. იუნუს შუამავლის ცხოვრება კი ალლაჰზე თავისი ნაკლოვანებების გამო პატიების თხოვნის მაგალითია. იუსუფ შუამავალს ყოველი გასაჭირის დროს ალლაჰის იმედი ჰქონდა და დარწმუნებული იყო, რომ ის დაეხმარებოდა. იგი ალლაჰის დახმარების მოლოდინით აღსავსე ადამიანი და საუკეთესო მაგალითის მაჩვენებელი იყო. დაუდ შუამავლის ცხოვრება მრავალი სასწაულით იყო აღსავსე. ერთ-ერთი მათგანი ალლაჰისადმი ცრემლად დაღვრილი პატიების თხოვნაა. მოთმინების ნიმუშად ადამიანებს, ვისაც ერგოთ ნილად მრავალი უბედურება, ვის თვალეტიც დაკარგა სამყარომ ფერი და მიმზიდველობა, მოევიწყა შუამავალი იაყუბი. მან დაკარგა საყვარელი შვილი. განუწყვეტელი მწუხარებისგან ის დაბრმავდა, მაგრამ მოთმინებით იტანდა ყოველივეს, ალლაჰის იმედი ჰქონდა, მუდამდღე ევედრებოდა მის გადარჩენას. ადამ შუამავალმა (ა.დ.დ.მ.) და ევამ (ა.დ.დ.მ.) ალლაჰის ნებით პირველად ჩვენს პლანეტაზე შექმნეს 13 ოჯახი, რომლის საფუძველიც სიყვარულისა და თანხმობის რელიგიურ არსში იყო ჩაქსოვილი. თავიანთი რელიგიური ვალის ჰარმონიულად და გულდასმით შესასრულებლად მექაში პირველი მეჩეთი-ქააბა ააშენეს. ადამისა და ევას ურიცხვი შვილი სხვადასხვა ეკონომიკური და სოციალური მიზეზების გამო, პლანეტის სხვა-





დასხვა მიმართულებით გაიფანტნენ. მათ დაარსეს უამრავი ქვეყანა და დაყვეს ხალხებად. მაგრამ ყოველისშემძლე ალლაჰი არაერთგზის აგზავნიდა შუამავლებს და განამტკიცებდა მათ თავისი ღვთაებრივი შთაგონებით, ხელმეორედ აცოცხლებდა და ავრცელებდა ჭეშმარიტი რწმენის შუქს. უზენაესი ალლაჰის წყალობით კაცობრიობა გადაურჩა სულიერ დაცემას, ხალხი ყოველთვის პოულობდა ხსნას და იფარავდა თავისიანებს უმეცრებისა და სიბნელისგან. ბოლოს და ბოლოს დადგა ბედნიერების საუკუნე, რომელიც შეიძლება შევადართოთ ცისკრის მოსვლას. დადგა ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში — მუჰამედ შუამავლის მოღვაწეობის დრო. ამ დროს ცის კაბადონზე გამოჩნდა ისეთი სულიერი სრულყოფილების ახალი ვარსკვლავი, რომელთან მიღწევაც კი შეუძლებელია უბრალო მოკვდავისთვის. ასე დასრულდა შუამავლების მოვლენა, რომელთა მისიაც მდგომარეობდა რწმენის გაცოცხლებაში, ვინაიდან სწორედ მაშინ იქნა სრულყოფილი რელიგია - ისლამი. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანებს თავიანთი ბუნებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად რაიმესკენ სწრაფვასა თუ ვინმეზე მისაბაძად მუჰამედ შუამავლის სახით სრულყოფილი ადამიანის საუკეთესო ნიმუში წარმოუდგათ. ის იყო ყოველმხრივი სრულყოფილების ნიმუში.

### შუამავალი მუჰამედი

მუჰამედ შუამავალი ალლაჰმა ბოლო შუამავლად მოავლინა დედამიწაზე და მისი სახელი კაცობრიობას არასდროს დაავიწყდება. იგი ერთ-ერთ ჰადისში ბრძანებს: „*მე გამოგ ზავნილი ვარ იმისათვის, რათა გავგიუმჯობესოთ ზნეობა.*“<sup>5</sup>

### საუკეთესო მაგალითი / სანიმუშო ადამიანი

მუჰამედ შუამავლის დაბადებით ეს სამყარო ალლაჰმა თავისი წყალობით შეამკო. დილის ცისკარმა და ოქროსფერმა დაისმა ფერები შეიცვალა, ადამიანები ჩაიძირნენ სულიერების ჩაუნვდომელ სამყაროში, სიტყვები და საუბრები განსაკუთრებული სიტკბოთი აივსო, სამყაროში ყველაფერმა თავისებური აზრი და სიფაქიზე ჰპოვა. კერპები შეირყა და კვარცხლბეკებიდან ძირს გადმოცვივდა, სადაც ისინი უმეცრებამ შედგა. მადაინში ირანელი მმართველების ციტადელები, სვეტები და ციხესიმაგრეები წაიქცა და დაიშალა.

5. მუვათთა, ჰუსნულ ჰულუყ. 8.





ბოროტებითა და ცოდვით სავსე სავას ტბა დაშრა, ეს იყო ალლაჰის ძლევამოსილების შედეგი, მისი ღვთაებრივი წყალობის გამოვლენა, რომელმაც მოიცვა მთელი სამყარო.

კაცობრიობის ისტორიაში მუჰამმედ შუამავალი ერთადერთი ადამიანია, ვისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა დეტალიც დაწვრილებით იქნა შესწავლილი და გადაეცა მომავალ თაობებს. მისი ყოველი ქცევა, ყოველი ნაბიჯი, ყოველი სიტყვა და მოქმედება, შინაგანი სამყარო, სულიერი გრძნობები და ხასიათის ცვლაც კი, მისი ერთგული თანამოაზრეების მეხსიერებაში ჩაიბეჭდა. საყვარელი შუამავლის სახე, ყოველი მისი მოძრაობა და მოქმედება მისი მიმდევრების ყოველდღიურ ცხოვრებაზე უზარმაზარ ზეგავლენას ახდენდა.

ალლაჰმა ადამიანებს ნიმუშის ასაღებად, მუჰამმედ შუამავლის სახით, საუკეთესო თვისებების მატარებელი ადამიანი გამოუგზავნა, რომლისგანაც შეიძლება ავიღოთ ისეთი მაგალითები, როგორიცაა: ალლაჰის მიმართ მაღლიერებისა და კმაყოფილების გრძნობა, მოთმენა, ხელგაშლილობა, სიკეთე, წონასწორობის შენარჩუნება, პატივისცემა, დაფასება და სხვა.

უზენაესი ალლაჰის მიერ გამოგზავნილი მუჰამმედ შუამავლის ცხოვრება, ჩვენი პლანეტის ყველა ხალხისათვის უმნიშვნელო ნიმუშს წარმოადგენს, ვინაიდან სამყაროს შემქმნელი ყურანში ბრძანებს:

لَقَدْ كَانَ لَكُمْ فِي رَسُولِ اللَّهِ أُسْوَةٌ  
حَسَنَةٌ لِّمَن كَانَ يَرْجُوا اللَّهَ وَالْيَوْمَ الْآخِرَ وَذَكَرَ اللَّهَ كَثِيرًا

„ფვიცავ, ალლაჰის შუამავალი კარგი მაგალითი იყო თქვენთვის, ვინც ისწრაფვოდა ალლაჰისკენ და უკანასკნელი დღისკენ და ხშირად ახსენებდა ალლაჰს!“<sup>6</sup>

მუჰამმედ შუამავალმა ცხოვრების ყველა საკითხში ისეთი სა-ნიმუშო მაგალითი გვიჩვენა, რომლის მიღწევაც მხოლოდ ადამიანს შეუძლია. მის ყოველ მოქმედებაში ყველაზე საუკეთესო სილამაზე იგრძნობა. ამიტომ ყოველ ადამიანს შეუძლია მუჰამმედ შუამავლის სუნთქვიდან მისთვის საუკეთესო მაგალითი გადმოიღოს. მუჰამმედ

6. სურა ალ-აჰზაბი, აიათი 21.



შუამავლის ქცევები, ვარდების ისეთი ლამაზი თაიგულია, საიდანაც ყოველ ადამიანს მისთვის სასურველი ყვავილის ამორჩევა შეუძლია.

როგორც უკვე ვთქვით, მუჰამედ შუამავალი ამქვეყნად მოვლენილ ადამიანთა შორის ყველაზე სანიმუშოა. მაგალითად, დამნაშავე — მოსამართლისთვის ან მოსამართლე — დამნაშავეისთვის მაგალითი ვერასდროს გახდება. აგრეთვე, მთელი ცხოვრების სიღარიბეში გამტარებელი ადამიანიც მდიდრისთვის მაგალითი ვერ იქნება. ხოლო მუჰამედ შუამავლის ცხოვრება ყველა ადამიანისთვის სამაგალითოა, ყოველგვარი ცხოვრების გამოცდილება მისცა და საბოლოოდ ადამიანისთვის შესაძლებელ მაქსიმალურ ზღვრამდე მიიყვანა. ის, ჯერ ალლაჰის შუამავალი გახდა, შემდეგ კი — სახელმწიფოს მეთაური. ამიტომ მას, მრავალი საბედისწერო ნაბიჯის გადადგმა და ურთულესი საქმის გაკეთება მოუხდა. უზენაესმა ალლაჰმა ყურანში შუამავალი მუჰამედი წარმოადგინა როგორც „უსვეი ჰასენე“, რაც „საუკეთესო ნიმუშს“ ნიშნავს.



ალლაჰის შუამავლებისა და მათ ნაკვალევს მიმდევართა გარდა, ადამიანებზე გადარჩენის გზის მაჩვენებელი, სხვა მკვლევარები და თავიანთი მოსაზრების მქონე ფილოსოფოსები, ამ საკითხთან დაკავშირებით, ყოველთვის არასრულფასოვანი მოსაზრებებით გამოირჩეოდნენ. შუამავლები, ალლაჰის ბრძანებების წყალობით, სამაგალითოდ ჩამოყალიბდნენ. მაგრამ ისინი, ვინც ალლაჰის კანონებს არ ემორჩილებოდნენ და თავიანთი მოსაზრებების მეშვეობით ცდილობდნენ სწორი გზის პოვნას ან სხვაზე მაგალითის მიცემას, ვერც საკუთარი თავს და ვერც სხვას ვერაფრით დაეხმარნენ.

მაგალითად, არისტოტელეს მიერ ჩამოყალიბებული ეთიკური ფილოსოფიის საშუალებით, რომელიც ალლაჰის კანონებს არ იზიარებდა, ვერც ერთ ისეთ ადამიანს ვერ ვნახავთ, რომელმაც წარმატება მოიპოვა. ფილოსოფოსთა ისეთი ტაქტიკა, რომელიც ალლაჰის კანონებს არ მოიცავს, წარმატებას ვერ მიაღწევს.

ადამიანისთვის ყველაზე ძვირფასი ხელჩასაჭიდი ალლაჰის მიერ გამოგზავნილი ყურანია, რომლის მიმდევარი დაცულია ყოველი შეცდომისგან. ყურანი ყველაზე ძლიერ სწორედ მუჰამედ შუამავალს ესმოდა და ის ყოველთვის მის მიხედვით დგამდა ნაბიჯს. ამიტომ





ადამიანისთვის ყველაზე ძვირფასი, მხოლოდ ყურანი და შუამავლის სუნნეთია.

მეორე მხრივ, ჩვენთვის ცნობილია, რომ მუჰამმედი შუამავლობის მინიჭებამდეც სანიმუშო, ყველასთვის სანდო და საყვარელი ადამიანი იყო. მას ყველა „ემინ“ - საიმედოს და „სადიყს“ - ერთგული ეძახდა. მუჰამმედ შუამავლის ყველა ენდობოდა და მის გადანყვეტილებებს პატივს სცემდა, რადგან იცოდნენ, რომ ის სამართლიანი იყო და უსამართლოდ არასდროს მოიქცეოდა. სწორედ, მისი გადანყვეტილებით მოხდა ქააბას კედელში ე. ნ. „ჰაჯერულ ასვადის“ (სამოთხის ქვის) განთავსება.

მუჰამმედ შუამავალს არაბები ისე დიდ პატივს სცემდნენ, რომ თვით მისმა უბოროტესმა მტერმა აბუ სუფიანმაც კი ვერ შეძლო სიმართლის დაფარვა, როცა რომის იმპერატორი ჰერაკლე მას შეეკითხა: „ — ყოფილა შემთხვევა, რომ მუჰამმედს არ შეესრულებინათ თავისი პირობა?

— არა! ის ყოველთვის თავის სიტყვას ასრულებდა!“ უპასუხა აბუ სუფიანმა.

ალლაჰის შუამავლის ცად ამალლების შემდეგ, როდესაც აბუ ბაქრს ჰკითხეს, სჯეროდა თუ არა ამ სასწაულის, მან უპასუხა:

„თუკი მუჰამმედმა თქვა, მაშინ მართალია!“ უპასუხა აბუ სუფიანმა.

მუჰამმედ შუამავლის სამართლიანობის შესახებ უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება:

ჰაიბერის ბრძოლის წინა დღეებში, ერთ-ერთი ებრაელი მწყემსი, რომელსაც იესარი ერქვა, ალლაჰის შუამავალთან მივიდა. ცოტაოდენი საუბრის შემდეგ, მან ისლამი მიიღო და მუსლიმთა რიგებში გაერთიანება მოისურვა. მაგრამ მუჰამმედ შუამავალმა, მას ჯერ ცხვრების თავიანთ პატრონებზე ჩაბარება და მათ რიგებში მხოლოდ მის შემდეგ გაერთიანება ურჩია. ეს სწორედ ის მაგალითია, როცა ყველაზე მწვავე მომენტშიც კი ალლაჰის შუამავალი მკვეთრად გამოხატავს სხვის ანაბარზე გაფრთხილების აუცილებლობას. ალლაჰის შუამავლის (ალლალლაჰჰუ ალეიჰი ვესელემ) ამგვარი მაგალითების წყალობით სხვა სარწმუნოების უამრავი მიმდევარი





იძულებული გახდა ისლამი მიეღო, რადგან ისინი მასში ცუდს ვერაფერს ხედავდნენ. ისტორიაში უამრავი ასეთი მაგალითია.

789 წელს ფრანგმა ფილოსოფოსმა ლაფაიეტმა ადამიანის უფლებების შესახებ წიგნი გამოსცა, სადაც ისლამის კანონების შესახებ ხმამაღლა განაცხადა:

„ო, მუჰამმედ! ამ დრომდე ვერავინ მიაღწია სამართლიანობის იმ დონეს, რომელიც შენ პრაქტიკულად განახორციელებ ხალხის ცხოვრებაში!“

გასული საუკუნის შუა წლებში ჰოლანდიის ქალაქ ლაჰეიში შეიკრიბა სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ მეცნიერთა საბჭო, რომელსაც უნდა დაესახელებინა მსოფლიოს „ასი გამოჩენილი ადამიანი.“ მიუხედავად იმისა, რომ დამსწრეთაგან ყველა ქრისტიანი იყო, თითოეული მათგანის არჩევანი მუჰამმედ შუამავალზე შეჩერდა და ის ნომერ პირველ ადამიანად დაასახელეს.

მუჰამმედ შუამავლის სამართლიანობასა და კარგ ადამიანობას, როგორც ვხედავთ, არამუსლიმებიც აშკარად აღიარებენ.

### **სამაგალითო ადამიანი და მაღალი ზნეობა**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მუჰამმედ შუამავლის მსგავსი თვისებების მქონე, სამართლიანი და მაღალი ზნეობის ადამიანის ნახვა შეუძლებელია. მისი სამაგალითო ადამიანობის მთლიანად აღწერა რომ დავინწყოთ, ამისათვის მრავალტომიანი წიგნის დაწერა მოგვიწევს.

ისლამის წყაროებში, ყურანსა და სუნნეთში, სადაც ნათლად ვხედავთ ყველაფერს, არსებობს მრავალი საკითხი, რომლებიც ადამიანებისთვის მიუწვდომელი რჩება, მაგრამ ისინი მუჰამმედ შუამავლისთვის ცნობილი იყო. სწორედ ამიტომ, ალლაჰის შუამავლის მოქმედების ყოველი მხარე, სხვადასხვა მხრივ არის დახასიათებული.

თუკი ყურადღებით გავეცნობით ისლამის მეცნიერულ სამყაროში 1400 წლის განმავლობაში გამოცემულ ყველა ნაწარმოებს, ერთი რამ ცხადი გახდება: ყოველი მათგანი დაწერილია ერთი მიზნით — აეხსნათ ხალხისთვის მუჰამმედ შუამავლის მორალურ-რელიგიური თვისებები.



ახლა კი, ალლაჰის შუამავლის სანიმუშო ადამიანად გაცნობის მიზნით, რამდენიმე მაგალითი კიდევ განვიხილოთ:

„ალლაჰის შუამავალი სახით ძალიან ლამაზი და მიმზიდველი იყო. ერთ-ერთ ებრაელს — აბდულლაჰ იბნ სელამს, შუამავლის მიერ ჰიჯრის გაკეთების დროს მისი დანახვის ინტერესი გაუჩნდა და იკითხა, რომელი იყო იგი. შუამავლის დანახვაზე „ამ სახის პატრონი ტყუილს არასდროს იტყვისო“ — თქვა და გამუსლიმანდა. ალლაჰის შუამავალი ისეთი სილამაზით იყო შემკული, ისეთი სხივნათელი და შთამბეჭდავი, რომ დამატებითი ახსნა-განმარტება და მტკიცება მის მისიას არ ესაჭიროებოდა.

ალლაჰის შუამავალს, როცა რაიმე არ მოენონებოდა, მაშინვე სახეზე შეემჩნეოდა, ხოლო თუკი მოენონებოდა, სახით კმაყოფილებას აუცილებლად გამოხატავდა.

მუჰამმედ შუამავალი, ძალიან მორიდებული და თავაზიანი იყო. ის სახეზე დიდი ყურადღებით არავის შეხედავდა. ხშირად დაბლა უფრო მეტს იყურებოდა, ვიდრე მაღლა. საყვედურს ადამიანს პირში არასდროს მიახლიდა. თუკი ვინმეს საქციელი არ მოენონებოდა, მის სახელს სხვების თანდასწრებით არასდროს ახსენებდა. ის მათ მიერ ჩადენილ შეცდომაზე ზოგადად ისაუბრებდა და ამგვარად აგრძობინებდა დამნაშავეს თავის შეცდომას.

ცუდ სიტყვას არასდროს იტყოდა, მისი საუბარი ყოველთვის სხვებისთვის საუკეთესო მაგალითი იყო. მის ლექსიკონში ჭორისა და ზიზლის გამომხატველი სიტყვები არ არსებობდა. ყველას თავისი განათლებისა და დონის მიხედვით ესაუბრებოდა.

ალლაჰის შუამავალი ძალიან თავაზიანი და კეთილი, იყო. იგი სიცილის დროს არასდროს გადაიხარხარებდა, მხოლოდ გაიღიმებდა. მის მნახველ ადამიანს, ალლაჰის შიში უჩნდებოდა, ხოლო ვინც მასთან საუბარს გამართავდა, მის მიმართ ყველა სიყვარულით განიმსჭვალებოდა.

მას, ნათესავების დაფასება და პატივისცემა ძალიან უყვარდა. როგორც თავის მეგობრებს, სხვა ადამიანებსაც ყოველთვის თბილად ექცეოდა.

ალლაჰის შუამავალი, მოსამსახურეებს განსაკუთრებით აფასებდა და მათ არასდროს ჩაგრავდა. რასაც თვითონ იცვამდა და





ჭამდა, მათაც იგივეს აცმევდა და აჭმევდა. იგი ნამდვილი ვაჟკაცი, გამბედავი, გულადი და მამაცი იყო, ხოლო საჭიროების დროს — უწყინარი და ლმობიერი.

ამასთან, შუამავალი უალრესად ხელგაშლილი ადამიანი იყო. ისეთი, რომლის წარმოდგენაც კი შეუძლებელია დღეს. იგი ღარიბი იყო, მაგრამ სიღარიბის არასდროს ეშინოდა.

ჯაბრის გადმოცემით: „ალლაჰის შუამავალს როცა რაიმეს მოთხოვდი, პასუხად უარს არასდროს მიიღებდი.<sup>7</sup>“

შუამავალი ყველაზე ხშირად ნათესავებს მოინახულებდა ხოლმე. აგრეთვე, ადამიანების მიმართ დიდი პატივისცემის გამოხატველი, ცუდი საქციელისგან ყოველთვის დაცული და კარგი საქციელით, ყველასგან გამორჩეული ადამიანი იყო.

იგი ტყუილად არასდროს ლაპარაკობდა. მისი დუმილი დიდხანს გრძელდებოდა. ლაპარაკს არასდროს შეწყვეტდა და ბოლომდე მიყვანდა. ის, მრავალ მნიშვნელობას რამდენიმე სიტყვაში მოაქცევდა და ისე წარმოთქვამდა. მისი საუბარი ყოველთვის დალაგებული და ყველასთვის ადვილად გასაგები იყო. მის საუბარში რაიმე ნაკლს ან ზედმეტს ვერასდროს აღმოაჩენდი.

სხვისი ქონების მითვისებასა და ადამიანის უფლებების დარღვევის გარდა, ალლაჰის შუამავალი არაფერზე ბრაზდებოდა. ასეთ დროს მისი გაბრაზება სამართლის პოვნამდე გრძელდებოდა და სიმშვიდე, მხოლოდ მისი დამტკიცების შემდეგ ეუფლებოდა. თავისთავზე არასდროს ბრაზდებოდა და არც არასდროს მართავდა სხვებთან კამათს.

ალლაჰის შუამავალი უნებართვოდ სხვის სახლში არასდროს შევიდოდა. საკუთარ სახლში ყოფნისას ის, დროს ყოველთვის სამ ნაწილად ყოფდა: ერთ ნაწილს ღვთისმსახურებას უთმობდა, მეორეს — ოჯახს, ხოლო მესამეს — თავისთავს. თავისთვის დათმობილ დროში სტუმრებსაც ღებულობდა და მათგან უკმაყოფილოს არავის ტოვებდა. ყველა ადამიანის გულს ადვილად იპყრობდა.

მეჩეთში მისული, ერთსა და იმავე ადგილას არასდროს ჯდებოდა. იგი ყოველთვის სხვადასხვა ადგილას მოიკალათებდა, რადგან არ უნდოდა რომელიმე ადგილი, მისი დაჯდომის გამო, სხვა ადგილე-

7. მუსლიმი, ფეზაილი, 56.





ბისგან გამორჩეული ყოფილიყო. ყოველივეს, რასაც თვითონ აკეთებდა, სხვებსაც მოუწოდებდა.

თუკი ვინმე, ალლაჰის შუამავლისგან დახმარებას მოითხოვდა, როგორი მნიშვნელოვანი ან თუნდაც უმნიშვნელო არ უნდა ყოფილიყო, მის საბოლოო მოგვარებამდე ვერ მოისვენებდა. ადამიანების მიმართ ტკბილ სიტყვებს არასდროს დაინანებდა, იგი ყველას დარდის გამზიარებელი იყო. ვინ რა თანამდებობის, როგორი მდიდარი ან ღარიბი იყო, მნიშვნელობას არასდროს ანიჭებდა. მისთვის მთავარი — მათი ადამიანობა იყო.

შუამავალი სირცხვილისა და შეცდომის გამო, არავის გააკიცხავდა. იგი სხვის სირცხვილს სააშკარაოზე არასდროს გამოიტანდა. ადამიანს თავის დანაშაულს წყენის გარეშე მიახვედრებდა და მისი გამოსწორებისკენ მოუწოდებდა.

ალლაჰის შუამავალი ყოველთვის მადლის მოგების მაგალითებით საუბრობდა. მისი ქადაგება ძირითადად მეჩეთში მიმდინარეობდა. საუბარს როცა დაიწყებდა, მას ყველა გულმოდგინედ უსმენდა და თხრობას არასდროს აწყვეტინებდა. ამის შესახებ ომარი გადმოგვცემს: „მათ თავზე ჩიტი რომ დამჯდარიყო, შეიძლება საათობით არ აფრენილიყო, რადგან ადამიანები საათობით ერთ ადგილას გაუნძვრევლად ისხდნენ და ისე უსმენდნენ შუამავალს. ხშირ შემთხვევაში ადამიანებს შუამავალზე შეკითხვის დასმაც კი ერიდებოდათ, რათა მას თხრობა არ შეეწყვიტა.“

ალლაჰის შუამავალ მუჰამმედზე დიდი და ძვირფასი ადამიანი არ მოიძებნებოდა. მას ცხოვრების შიში არასდროს ჰქონია, ყოველთვის ძლიერი ნებისყოფა ჰქონდა.

ალლაჰის შუამავალმა მოსაკლავად ჩასაფრებულებს, სურა „იასინის“ ორი აიათის კითხვით ისე მშვიდად ჩაუარა, რომ არანაირი შიში არ უგრძენია.

إِنَّا جَعَلْنَا فِيْ أَعْنَاقِهِمْ أَغْلَالًا فَهِيَ إِلَى الْأَذْقَانِ فَهُمْ مُّقْمَحُونَ

وَجَعَلْنَا مِنْ بَيْنِ أَيْدِيهِمْ سَدًّا وَمِنْ خَلْفِهِمْ سَدًّا فَأَغْشَيْنَاهُمْ فَهُمْ لَا يُبْصِرُونَ

„უეჭველად, ჩვენ დავადეთ მათ კისრებზე ბორკილები ნიკაპამდე, ამიტომაც თავები აღმა აქვთ აწეულნი! დავადგინეთ ზღუდე



მათ წინ და ზღუდე მათ უკან, ამგვარად შევფუთეთ, უკვე ვერღა დაინახავენ.“<sup>8</sup>

ალი ბრძანებს:

„ბედირის მძვინვარე ომში ჩვენ ხანდახან ალლაჰის შუამავალს ვაფარებდით თავს. ჩვენში ყველაზე ძლიერი ის იყო და ყოველთვის მტერთან ახლოს იმყოფებოდა.“<sup>9</sup>

ის ალლაჰის ბრძანებების დასაცავად ყოველთვის ყველაზე წინა ხაზზე იბრძოდა.

ერთ ჰადისში ალლაჰის შუამავალი ასე ბრძანებს:

„ვფიცავ ალლაჰის სახელს, რომ მის გზაზე შეჰიდობა და შემდეგ გაცოცხლება, შემდეგ კვლავ შეჰიდობა და კვლავ გაცოცხლება, კიდევ ერთხელ შეჰიდობა და ისევ გაცოცხლება— ნამდვილად კარგი იქნებოდა!“<sup>10</sup>

ალლაჰის შუამავლის თვისებების შესახებ აიშე გადმოგვცემს:

„იგი არავის შეარცხვენდა, ცუდი საქმის სამაგიეროს არავის უხდიდა, ყოველთვის მპატიებელი და შემწყნარებელი იყო, ცუდს არასდროს გააკეთებდა. საკუთარი თავის გამო ვინმეზე შურისძიება არასდროს უფიქრია. არც ერთი მონისა და მოსამსახურის, ან რომელიმე ცხოველის მიმართ სისასტიკე არასდროს გამოუჩენია.“<sup>11</sup>

ალლაჰი თავის შუამავალს ამ საკითხთან დაკავშირებით ასე მიმართავს:

فِيمَا رَحْمَةٍ مِنَ اللَّهِ لَنْتَ لَهُمْ وَلَوْ كُنْتَ فَظًّا غَلِيظَ الْقَلْبِ لَانْفَضُّوا مِنْ حَوْلِكَ...

„ალლაჰისგან ბოძებულმა მოწყალებამ ღმობიერი გაგხადა მათ მიმართ. არადა უხეში და უღმობელი გული რომ გქონოდა, შემოგეცლებოდნენ. აპატიე მათ, ითხოვე მათთვის მიტევება და დაეკითხე მათ საქმეების თაობაზე. და როცა რამე საქმეს გადაწყვეტ, ალლაჰს მიენდე, უეჭველად, ალლაჰს უყვარს მინდობილები!“<sup>12</sup>

8. სურა იასინი, აიათი 8-9.

9. აჰმედ იბნ ჰანბელი, 1-86.

10. მუსლიმი, იმარე, 103.

11. მუსლიმი, ფეზაილი, 79.

12. სურა ალ-იმრანი, აიათი 159.





ნამდვილად შეიძლება ვთქვათ, რომ იმდროინდელმა უვიცმა ადამიანებმა, ალლაჰის შუამავლის თბილი ხასიათის, ლამაზი ქცევისა და ადამიანობის წინაშე ქედი მოიხარეს; იმიტომ, რომ ალლაჰის შუამავალი, მხოლოდ მათ გადარჩენას ითხოვდა და ცდილობდა ტანჯვისგან მათ დახსნას. ის, ისეთ საქმეს არავის უბრძანებდა, რასაც თვითონ არ აკეთებდა. მისი წინამძღოლი მხოლოდ ყურანი იყო.

დანვრილებით ცნობილია, რომ მუჰამედ შუამავლის გულთბილობასა და გულკეთილობას, ყოვლისმპატიებელს და დიდსულოვან თვისებებს არაბეთის უდაბნოს ნახევრადველური შვილები ისე ემალებოდნენ და უფრთხოდნენ, როგორც სანთელი ცეცხლს. ბოლოს, მხოლოდ მუჰამედ შუამავალი დაეხმარა მათ ტომობრივი გადმონაშთებისა და წარმართული ცნებისგან განთავისუფლებაში, ვინაიდან ის იყო მოსული ახალი საზოგადოების მოსაწყობად და არა დასანგრევად. ის იყო არა ბოროტებისა და ომის, არამედ მშვიდობისა და მოწყალეების წარმომადგენელი. ის იყო ადამიანობისა და გულწრფელობის სიმბოლო, არასდროს უბრძანებდა ვინმეს იმის გაკეთებას, რაც მას სულითა და გულით არ მოეწონებოდა, თავისი ქცევითა და ხასიათით, ის იყო „ცოცხალი ყურანი“. ერთი სიტყვით, შუამავალი მუჰამედი სანიმუშო პიროვნება იყო, რაც გამომჟღავნდა მის ყოველ მოქმედებაში. მთელი მისი თავდაუზოგავი ცხოვრება ალლაჰის მსახურებასა და რწმენის გავრცელებაში გაილია. ის ნათესავებსა და ახლობლებთან ურთიერთობაში იდეალი იყო. მისი გულმონყალება დაუძინებელ მტრებსაც კი იპყრობდა. მუჰამედ შუამავალმა თავისი ცხოვრებითა და ქცევით კაცობრიობას წარმოუდგინა ზნეობის ისეთი მაღალი ნიმუში, რომლის პრინციპებიც თავის აქტუალურობას დღესაც არ კარგავს. ის იყო „მარადიული ბედნიერების“ მეგზური და ხალხის წინაშე ღრმა პასუხისმგებლობა დაამტკიცა.

ნამაზის ლოცვასთან დაკავშირებით ალლაჰის შუამავლის დამოკიდებულება ძალიან მტკიცე იყო. ის ღამით დროის ძალიან ცოტა ნაწილს უთმობდა ძილს. ხშირ შემთხვევაში, მთელი ღამის განმავლობაში მისი სხეული საწოლს საერთოდ არ ეხებოდა. როცა უამრავი ადამიანი ღამის ღრმა ძილს იყო მიცემული, ის ლოცულობდა, და თვალცრემლიანი ევედრებოდა ალლაჰს. მუჰამედ შუამავალი ზეცათის გადახდის შესახებ მტკიცედ მოუწოდებდა, რადგან ეს ერთ-ერთი ძვირფასი და მნიშვნელოვანი საქმე იყო, რაც მათ უნდა გაე-





კეთებინათ. ამის მაგალითს თავდაპირველად თვითონვე უჩვენებდა. ალლაჰი ბრძანებს:

الَّذِينَ يُؤْمِنُونَ بِالْغَيْبِ وَيُقِيمُونَ الصَّلَاةَ وَمِمَّا رَزَقْنَاهُمْ يُنْفِقُونَ

„რომელთაც სწამთ უხილავის, ლოცვას ადავლენენ ჭეშმარიტად და, რაც ვუნყალობეთ, გაიღებენ იქიდან (ღვთის გზაზე).“<sup>13</sup>

ასეთი ადამიანები ყოველთვის გამარჯვებული იქნებიან და ამით ისინი არასდროს დაზარალდებიან.

ალლაჰის შუამავალი ამქვეყნიურ ქონებას ან ფულს არასდროს შეინახავდა, ის მათ ალლაჰის გზაზე ხარჯავდა. მისი თანამიმდევრებიდან აბუ ზერრი გადმოგვცემს:

ალლაჰის შუამავლთან ერთად მედინას გარეუბანში მივდიოდით, მალე ჩვენ წინ უჭედის მთა გამოჩნდა. შუამავალმა მითხრა:

„აბუ ზერრ! უჭედის მთისოდენა ოქრო რომ მქონდეს, მე არ გამახარებს. იმ ოქროთი მხოლოდ ვალს გადავიხდი, ხოლო დანარჩენს სამ დღეზე მეტს არ გავაჩერებ, სულ დავარიგებ.“<sup>14</sup>

მარხვა, რამაზნის თვის გარდა, სხვა დროს აუცილებელი არ არის, მაგრამ ამის მიუხედავად, ალლაჰის შუამავლის მიერ მარხვის გარეშე გატარებულ თვეს ან კვირას ვერ ვხედავთ.

აიშე გადმოგვცემს:

„ალლაჰის შუამავალი ხანდახან განუწყვეტლივ მარხულობდა. ეს ზოგჯერ იმდენ ხანს გრძელდებოდა, ვფიქრობდით, ალბათ დარჩენილ ცხოვრებას სულ მარხვაში გაატარებდა.“<sup>15</sup>

შუამავალი ყოველი თვის 13, 14 და 15 რიცხვებში, შევევალის მთვარის 6 და მუჰარრემის მთვარეში - აშურა დღეს ყოველთვის მარხული იყო. ამას შეიძლება დავუმატოთ ისიც, რომ ყოველ ორშაბათსა და ხუთშაბათსაც მარხვაში ატარებდა.

ხშირად, ალლაჰის შუამავალი სამ დღეს უჭმელ-უსმელი მარხვაში ატარებდა. როდესაც თანამიმდევართაგან ამის გაკეთებას ვინმე

13. სურა ბაყარა, აიათი 3.

14. მუსლიმი, ზექათი, 32. ბუჰარი, ისთიქრაზი, 3.

15. ბუჰარი, საემი, 53.





ისურვებდა, „თქვენ ამას ვერ შეძლებთ“ — ეტყოდა მათ და მის გაკეთების ნებას არ მისცემდა.<sup>16</sup>

აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ალლაჰის შუამავალი, ჩვენთვის სანიმუშო მაგალითია, მას უნდა მივბაძოთ და განვსაზღვროთ მის მიერ შესრულებული საქმეებიდან, რომელია ჩვენთვის მაგალითის ასაღებად, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

არსებობს ალლაჰის შუამავლის მიერ გაკეთებული ზოგიერთი საქმე, რომლებსაც ჩვენ ვერ შევძლებთ, რადგან ეს მხოლოდ მისი შესასრულებელი იყო. მაგრამ, მეორე მხრივ, მისი ქცევის, ბრძანების, მოქმედების შესრულება შეგვიძლია და უნდა გავაკეთოთ.

### მუჰამედის კვალდაკვალ მიყოლის სულიერი მდგომარეობა

იმისათვის, რათა მუჰამედ შუამავლის ცხოვრებიდან მივიღოთ საკმარისი სარგებელი და შევიგრძნოთ რწმენის სიტკბო, აუცილებელია ჯერ გული მოვამზადოთ იმ დონემდე, რომ შევძლოთ უმაღლესი ჭეშმარიტების აღქმა.

لَقَدْ كَانَ لَكُمْ فِي رَسُولِ اللَّهِ أُسْوَةٌ

حَسَنَةٌ لِّمَن كَانَ يَرْجُوا اللَّهَ وَالْيَوْمَ الْآخِرَ وَذَكَرَ اللَّهَ كَثِيرًا

„ალლაჰის შუამავალი საუკეთესო მაგალითია თქვენთვის, მათთვის, ვისაც ალლაჰისა და განკითხვის დღის იმედი აქვს და მონივნებით ახსენებს ალლაჰს.“<sup>17</sup>

ამ აიათის კითხვისას აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ ისეთ მომენტებზე, როგორცაა ალლაჰის შუამავლის პრინციპების მიყოლა: „ალლაჰისა და განკითხვის დღის იმედი“ და „ალლაჰის ხშირი ხსენება.“

ყველასათვის ცნობილია, რომ ყოველდღიური ლოცვა სრულდება მკაცრად დანესებულ დროს, მაგრამ რწმენის შენახვა და განმტკიცება არის მუდმივი აუცილებლობა.

16. ბუჰარი, სავმი, 48.

17. სურა ალ-აჰზაბ, აიათი 21





უზენაესი ალლაჰი მოგვინოდებს:

يَا أَيُّهَا الَّذِينَ آمَنُوا اذْكُرُوا اللَّهَ ذِكْرًا كَثِيرًا

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გაიხსენეთ ალლაჰი მრავალგზის!“<sup>18</sup>

როგორც ვხედავთ, ამ აიათში ალლაჰის ხსენების რაოდენობა დასახელებული არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ღვთისმსახურება ჩვენივე შესაძლებლობების მაქსიმალური ძალებით არის განსაზღვრული. ჩვენ რამდენსაც შევძლებთ, იმდენი უნდა გავაკეთოთ.

ალლაჰი შემდეგ აიათში ბრძანებს:

أَلَا بِذِكْرِ اللَّهِ تَطْمَئِنُّ الْقُلُوبُ

„...დაახ, მხოლოდ ალლაჰის ხსენებით ჰპოვებს გულნი სიმშვიდეს!“<sup>19</sup>

ალლაჰის ხსენებაში, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება მხოლოდ მისი სახელის წარმოთქმა. მთავარია მის სახელს გულში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭიროს. ალლაჰის გულით გახსენება ადამიანში არსებულ სიბინძურეს განმენდს და გაანათებს. თუკი ადამიანს გული სუფთა ექნება, მაშინ მის სურვილსა და საქმეს ალლაჰის წინაშე უფრო დიდი ფასი დაედება.

შუამავალი ბრძანებს:

„ალლაჰის სიყვარულის ნიშანი მისი ხშირი ხსენებით გამოიხატება.“<sup>20</sup>

იმისათვის, რათა სრულფასოვნად მივსდით მუჰამედ შუამავლის მაგალითს, მივიღოთ მისგან უფრო მეტი სარგებელი და ავივსოთ გული ღვთაებრივი სიყვარულით, აუცილებელია ჯერ გავისუფთაოთ ის წუთისოფლის ფასეულობების სიყვარულისგან და განვიმსჭვალოთ „მუდმივი ბედნიერების“ და სამოთხის ულვევი სიკეთეებისკენ სწრაფვის სურვილით. მაგრამ ამისათვის, პირველ რიგში საჭიროა მივალწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც მთელი

18. სურა ალ-აჰზაბი, აიათი 41.  
19. სურა რადღი, აიათები 27-28.  
20. სუიუთი, ელ ჯამუს-სალირი, 11, 52.



სული ალლაჰის სიყვარულით ზეიმობს და გულის ფანცქალით ტოკავს.

იმისათვის, რათა ყველაფერით მივბაძოთ ალლაჰის შუამავალს და მისი სულიერი სილამაზით შევიმოსოთ, საჭიროა განვამტკიცოთ მასთან სულიერი კავშირი და სალავათის წარმოთქმა მუდმივ ჩვევად გვექცეს.

### სალავათი

ალლაჰმა ყურანში შუამავლის ცხოვრებაზე დაიფიცა. მისი სახელი თავისი სახელის გვერდით დაწერა და ალლაჰის რწმენასთან ერთად მუჰამედ შუამავლის რწმუნებაც აუცილებელი გახადა. ასევე განასხვავა ჩვეულებრივი სახელებისგან მუჰამედის სახელი და მისი ხსენების დროს ადამიანებს მრავალი სალავათის წაკითხვა დაავალა.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

إِنَّ اللَّهَ وَمَلَائِكَتَهُ يُصَلُّونَ عَلَى النَّبِيِّ يَا أَيُّهَا الَّذِينَ  
آمَنُوا صَلُّوا عَلَيْهِ وَسَلِّمُوا تَسْلِيمًا

„უეჭველად, ალლაჰი და მისი ანგელოზები ლოცავენ შუამავალს. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ილოცეთ მასზე და მიესალმეთ მხურვალედ.“<sup>21</sup>

ამგვარად, ამ აიათის მიხედვით შეიძლება ვთქვათ, რომ შუამავლისთვის სალავათის კითხვა ალლაჰის პირდაპირი ბრძანებაა.

შუამავლის სიყვარულს ადამიანები სალათით გამოხატავენ. სალავათი ადამიანსა და შუამავალს შორის კავშირია. ამის გამკეთებელი ადამიანი, თუ შუამავლის სანიმუშო მაგალითებსაც ცხოვრებაში გადმოიღებს, მაშინ იგი მოწოდების ღირსი ნამდვილად გახდება.

მეორე მხრივ, ისლამის მიხედვით, ალლაჰის მიმართ მადლობისა და შუამავლისთვის სალავათის კითხვა, ადამიანის მიერ მიღწეული წარმატებაა. როდესაც ალლაჰს ვედრებას ვუკეთებთ, დასაწყისსა და ბოლოში თუ შუამავლისთვის სალავათს ვიკითხავთ, ასევე, მათ შორის ჩვენთვის სასურველ ვედრებას თუ გავუკეთებთ ალლაჰს, მა-

21. სურა აჰზაბი, აიათი 56.



შინ უფრო მეტი შანსი არსებობს, რომ სალავათებთან ერთად გაკეთებული სხვა ვედრებაც ალლაჰის მიერ მიღებული იქნას.

„როდესაც ადამიანი ვედრებას აკეთებს, მან ჯერ ალლაჰს მადლობა უნდა გადაუხადოს, შემდეგ შუამავალს სალავათი მიუძღვნას და ბოლოს, რაც სურს, ალლაჰს ის უნდა შეევედროს.“<sup>22</sup>



იბნ აბბასი ალლაჰის შუამავლის ერთ-ერთ ჰადისს ასე გადმოგვცემს:

ჰაიბერის რაიონის ებრაელ ტომებსა და არაბ გატაფანელ ტომებს შორის ხანგრძლივი მტრობა იყო. ებრაელები, გატაფანელებთან ბრძოლაში ყოველთვის დამარცხებული რჩებოდნენ. ბოლოს კი ებრაელები ალლაჰს ასე შეევედრნენ:

„დიდო ღმერთო, შენ მიერ ჯერ კიდევ გამოსაგზავნი ბოლო და ყველაზე ძვირფასი შუამავლის სახელის წყალობით, გამარჯვებას მიგვალწევინი!“ ალლაჰს და გამარჯვებასაც მიაღწიეს. მათ მუჰამედის სახელით მოიპოვეს გამარჯვება. მაგრამ როცა მუჰამედ შუამავალი და ყურანი მოეწვინა დედამიწას, მათ არც ერთი ინამეს და არც მეორე. ალლაჰი მათ შესახებ ყურანში ასე ბრძანებს:

لَمَّا مَعَهُمْ وَكَانُوا ۖ وَلَمَّا جَاءَهُمْ كِتَابٌ مِّنْ عِنْدِ اللَّهِ مُصَدِّقٌ  
 مِّنْ قَبْلُ ۖ يَسْتَفْتِحُونَ عَلَى الَّذِينَ كَفَرُوا ۖ فَلَمَّا جَاءَهُمْ  
 مَا عَرَفُوا كَفَرُوا بِهِ ۖ فَلَعْنَةُ اللَّهِ عَلَى الْكَافِرِينَ

„და როცა მიიღეს წიგნი (ყურანი) ალლაჰისგან, დასტურად იმისა, რაც მათთან იყო (თორაში), ხოლო ადრე ძლევას ითხოვდნენ მათზე, რომელთაც უარყვეს. და როცა მოუვიდათ მათ, რაც იცოდნენ, უარყვეს იგი. დაე, ალლაჰის წყევლა ექმნეთ ურწმუნოთ!“<sup>23</sup>

უზენაესი ალლაჰი ყურანში მუჰამედ შუამავალს მიმართავს:

وَمَا كَانَ اللَّهُ لِيُعَذِّبَهُمْ وَأَنْتَ فِيهِمْ

22. თირმიზი, დეავათი, 64.

23. სურა ბაყარა, აიათი 89.





„და არ იქნება, ალლაჰმა დასაჯოს ეგენი, როცა მათთან ხარ შენი; და სანამ შენდობას ითხოვენ, არ იქნება ალლაჰმა დასაჯოს ეგენი“<sup>24</sup>

მუსლიმებს არა მარტო სჯერათ მუჰამმედ შუამავლის მისიის არამედ, ისინი მისდამი ძლიერი სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით არიან განმსჭვალული.

### ალლაჰის შუამავლის სიყვარულის ჰანგები

მუჰამმედ შუამავალი ალლაჰის გაჩენილთაგან ერთადერთი გამორჩეული ადამიანი იყო. შუამავლის დაფასება ალლაჰის დაფასებაცაა, ხოლო შუამავალზე ბოროტების გაკეთება ალლაჰზე ბოროტების გაკეთებას ნიშნავს.

უზენაესი ალლაჰი, ამასთან დაკავშირებით ასე ბრძანებს:

قُلْ إِنْ كُنْتُمْ تُحِبُّونَ اللَّهَ فَاتَّبِعُونِي يُحْبِبْكُمُ اللَّهُ  
وَيَغْفِرْ لَكُمْ ذُنُوبَكُمْ وَاللَّهُ غَفُورٌ رَحِيمٌ

„უთხარი შენ (მუჰამმედ): თუ გიყვართ ალლაჰი, გამომყევით მე, რომ ალლაჰმა შეგიყვაროთ თქვენ და შეგინდოთ ცოდვები თქვენი, რადგან ალლაჰი შემწყნარებელი და მწყალობელია!“<sup>25</sup>

„თევზიდის“ სიტყვებს **لَا إِلَهَ إِلَّا اللَّهُ** „ლაა ილააჰე ილლელლაჰ“ მუჰამმედურ რასულულაჰს მოსდევს. ეს სიტყვები ერთდმერთიანობის მოწმობა და უზენაესი ალლაჰის სიყვარულის დასტურია. ყოველი მორწმუნის გამარჯვება, მხოლოდ მისი სიყვარულის ნყალობით მიიღწევა.

ასევე შუამავალზე მიბაძვა, მის კმაყოფილებას ამტკიცებს. ანუ ადამიანი, რომელიც თავისი საქციელით ალლაჰის შუამავალს არ მიბაძავს, იგი ნამდვილი მორწმუნე ვერასოდეს გახდება, რადგან ჭეშმარიტი მორწმუნე მხოლოდ მუჰამმედ შუამავლის მიმდევარია. მუჰამმედ შუამავალი კი ჭეშმარიტი რწმენის სანიმუშო მაგალითია.

24. სურა ენფალი, აიათი 33.

25. სურა ალი იმრანი, აიათი 31.

მაშინ, რაში მდგომარეობს თაყვანისცემის არსი, რომლის შესრულებაც უზენაესმა ალლაჰმა მისი სიყვარულისა და წყალობის აუცილებელ პირობად აქცია?

უეჭველია, რომ ამის მიზეზი მუჰამმედ შუამავალია. ადამიანი-სათვის მთავარია შუამავლის სიყვარული გულში ჰქონდეს, რადგან ალლაჰი ყურანით მოგვინოდეზს სანიმუშო სილამაზისა და მაგალითის მქონე მუჰამმედ შუამავლის სიყვარულს და მასზე მიბაძვას.

وَمَا آتَاكُمُ الرَّسُولُ فَخُذُوهُ وَمَا

نَهَاكُمْ عَنْهُ فَانْتَهُوا وَاتَّقُوا اللَّهَ إِنَّ اللَّهَ شَدِيدُ الْعِقَابِ

„რა ალაფიც ალლაჰმა მიჰმადლა თავის შუამავალს სოფელთა მკვიდრთაგან, ალლაჰს ეკუთვნის, ასევე შუამავალს, ნათესავეებს, ობლებს, უპოვრებს და მოგზაურებს. რომ არ ერგუნოს იგი ქონება მდიდარს თქვენ შორის. და რაც მოგცათ თქვენ შუამავალმა, აიღეთ იგი; ხოლო რაც ავიკრძალათ, თავი შეიკავეთ მისგან. გემინოდეთ ალლაჰის. უეჭველად, ალლაჰი მკაცრსაზღაურებია!“<sup>26</sup>

يَا أَيُّهَا الَّذِينَ آمَنُوا أَطِيعُوا اللَّهَ وَأَطِيعُوا الرَّسُولَ وَلَا تُبْطِلُوا أَعْمَالَكُمْ

„ჰოი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! დაემორჩილეთ ალლაჰს და დაემორჩილეთ შუამავალს და არ ჰქმნათ ამაოდ საქმენი თქვენი.“<sup>27</sup>

وَمَنْ يُطِعِ اللَّهَ وَالرَّسُولَ فَأُولَئِكَ مَعَ الَّذِينَ أَنْعَمَ اللَّهُ

عَلَيْهِمْ مِنَ النَّبِيِّينَ وَالصِّدِّيقِينَ وَالشُّهَدَاءِ وَالصَّالِحِينَ وَحَسُنَ

أُولَئِكَ رَفِيقًا

„და ვინც ჰმორჩილებს ალლაჰსა და მის შუამავალს, მაშინ ისინი იმათთან ერთად იქნებიან, რომელთაც სიკეთე უბოძა ალლაჰმა: შუა-

26. სურა ჰაშრი, აიათი 7.

27. სურა მუჰამმედი, აიათი 33.





**მავალთა, მართალთა, შეჰიდებთა და ღვთისმოსავთა გვერდით. და რა მშვენიერი მოყვასნი არიან ეგენი!**<sup>28</sup>



უზენაესი ალლაჰი ყურანში ნათლად აღნიშნავს მუჰამედის შუამავლობის დიდ მნიშვნელობას. ის დიდებული ადამიანი იყო. თუკი ჩვენც ალლაჰის შუამავლის თანამიმდევრების მსგავსად, მასთან ერთად ყოფნა გვინდა, ამისათვის მისი სულიერი სიყვარული, მისი ბრძანებების შესრულება და მისი სიტყვის დაჯერება დაგვჭირდება. ალლაჰის შუამავლის თანამოაზრეები ხომ თავგანწირული სიყვარულით წარმოთქვამდნენ:

„დედაც, მამაც და ჩემი თავიც შენ გენაცვალოს, შუამავალო!“ მისდამი სიყვარულის დამტკიცება ამ ნათქვამის გულით შესრულებაა.

ალლაჰის შუამავალი დედამინაზე გაჩენილთაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შუამავალია, იგი განსაკუთრებული პიროვნებაა, ვისზეც უზენაესმა ალლაჰმა თქვა:

„მუჰამედი — საუკეტესო მაგალითია!

მუჰამედ შუამავალი, მისმა თანამიმდევრებმაც ძალიან შეიყვარეს, მას მხარში ამოუდგნენ, მის ერთად გაიზიარეს ყოველგვარი ჭირი და ლხინი. შემდეგ ყოველი მათგანი მისი ცალკეული ვარსკვლავი გახდა. ისინი შუამავლის ყოველ ნაბიჯს კარგად აკვირდებოდნენ და როგორც ის აკეთებდა, თვითონაც ისე იქცეოდნენ. როცა თანამიმდევართა შორის ერთი რომელიმე იტყოდა, რომ შუამავალმა ასე გააკეთა, მაშინვე ყველა ისე გააკეთებდა.

ენეს ბინ მალიქი გადმოგვცემს:

ალლაჰის შუამავალთან ერთი კაცი მივიდა და უთხრა:

— „შუამავალო, როდის იქნება ყიამეთი (სამყაროს დასასრული)?“

ალლაჰის შუამავალმა უპასუხა:

— „რა გაამზადე?“

— „ალლაჰისა და შუამავლის სიყვარული,“ — უპასუხა მან.

28. სურა ნისა, აიათი 69.



—„მაშინ შენ შენს რჩეულთან ერთად იქნები“ — უპასუხა შუამავალმა.

ენეს იბნ მალიქი აგრძელებს ჰადისს და ამბობს:

„ისლამის მიღების შემდეგ, ჩვენ, შუამავლის ნათქვამის მსგავსად: „შენ შენს რჩეულთან ერთად იქნები“ — არაფერს გავუხარებთ ვართ. მეც ალლაჰი, მისი შუამავალი, , აბუ ბაქრი და ომარი მიყვარს. მათ მიერ გაკეთებული საქმეები თუგინდ ვერ შევასრულო, მაინც მინდა, მათთან ერთად ვიყო.“<sup>29</sup>

ალლაჰის შუამავლის ერთად ყოფნისათვის მისი სიყვარულია საჭირო.

იგი ბრძანებს:

*„ჩემ შემდეგ ისეთი ადამიანები მოვლენ, რომ ჩემს ერთხელ დასანახად თავიანთ ცხოვრებას, ქონებას და თავსაც კი განირავენ.“<sup>30</sup>*

როდესაც ალლაჰის შუამავალი გარდაიცვალა, მისი თანამიმდევრები ჩამომდნარ სანთელს დაემსგავსნენ. ყველანი ძალიან დამწუხრებული იყვნენ. ომარი ერთი პერიოდი ჭკუიდან გადავიდა. ის ადამიანები, ვინც ფიქრობდნენ, რომ შუამავლის უნახავად ერთ დღეს ვერ გაძლებდნენ, მიხვდნენ, რომ ამის შემდეგ მას ველარასოდეს დაინახავდნენ.

ალლაჰის შუამავლის გარდაცვალების შემდეგ, აბუ ბაქრი ყოველთვის ტიროდა და მისი ჰადისების გადმოცემა უჭირდა.

აბუ ჰურეირა მის მდგომარეობას ასე ხსნის:

„აბუ ბაქრი მეჩეთში მინბერზე ავიდა და ბრძანა: იცით, რომ ალლაჰის შუამავალი გასულ წელს ისე იდგა ამ ადგილას, როგორც ახლა მე.“ ამის თქმის შემდეგ მან ტირილი დაიწყო. შემდეგ ეს სიტყვები კიდევ ერთხელ გაიმეორა და კიდევ ერთხელ იტირა. ცოტა ხანში მესამედ გაიმეორა და მესამედ იტირა.“<sup>31</sup>

აბუ ბაქრი, ალლაჰის შუამავლის სიცოცხლეში ყოველთვის იმის ნატვრაში იყო, არ განშორებოდა მას.

29. მუსლიმი, ბირრი, 163.

30. ჰაქიმი, მუსთედრეჟი, 4-95.

31 თირმიზი, დეავათი, 105.



მისი სიკვდილის შემდეგ, უამრავი ადამიანი მძიმე ავადმყოფებს ალლაჰის შუამავალთან სალამს აბარებდა. მაგალითად, მუჰამმედ იბნ მუნქედირმა, მოინახულა შუამავალზე შეყვარებული ჯაბირი, რომელიც ძალიან მძიმედ იყო ავად. როცა მიხვდა, რომ სიკვდილი მასთან ძალიან ახლოს იყო, უთხრა:

„ალლაჰის შუამავალს ჩვენგან სალამი გადაეცი!“<sup>32</sup>

მუჰამმედ შუამავლის შეყვარებული თანამიმდევრები, მისი მოგონებებითაც სიამოვნებას ღებულობდნენ.

ბარა გადმოგვცემს, თუ როგორ ცდილობდა მამამისი ალლაჰის შუამავლის შესახებ მოგონებების მოსმენას:

„ერთხელ აბუ ბაქრმა მამაჩემისგან ცამეტ დირჰემად ერთი კეხი იყიდა. შემდეგ კი მამას უთხრა:

— ბარას უთხარი, ეს უნაგირი ჩემს სახლში მიიტანოს.

მამამ უპასუხა:

— არა, და კიდევ ერთხელ არა! სანამ ალლაჰის შუამავლის მექადან მედინაში ჰიჯრის შესახებ არ მიაბზობ, ვერაფერს გავაკეთებთ.

ამის შემდეგ აბუ ბაქრმა ჰიჯრის შესახებ ძალიან ვრცლად მოგვითხრო.“<sup>33</sup>

თანამიმდევართა მეუღლეები და დედები თავიანთ შვილებს ხშირად უბრაზდებოდნენ, თუკი ისინი დიდი ხნის განმავლობაში ალლაჰის შუამავალს არ ნახავდნენ.

ჰუზეიფეს ალლაჰის შუამავალი რამდენიმე დღის განმავლობაში არ ენახა და ამის გამო დედა მას ძალიან გაუბრაზდა. ამ შემთხვევას თვით ჰუზეიფე გვიყვება:

„დედამ მკითხა:

— ალლაჰის შუამავალი ბოლოს როდის ნახე?

— რამდენიმე დღეა მას არ შევხვედრივარ, — ვუპასუხე მე.

ამის გამო დედა ძალიან გამიბრაზდა და მისაყვედურა. მე ვუთხარი:

32. იბნ მაჯჷ, ჯენაიზი, 4.

33. ბუჰარი, ასჰაბუნ ნები, 2, აჰმედ იბნ ჰანბელი, 1, 2.





—გთხოვ, ნუ მიბრაზდები! ახლავე შუამავალთან ნავალ, სალამოს ლოცვას მასთან ერთად შევასრულებ და შემდეგ პატიებას ვთხოვ.“<sup>34</sup>

ალლაჰის შუამავლის მუეზინის — ბილალის მდგომარეობა კი სულ სხვანაირი იყო. როცა ალლაჰის შუამავალი გარდაიცვალა, ბილალმა თითქოს ენა ჩაყლაპაო, ხმას აღარ იღებდა. ის ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ დანა პირს არ უხსნიდა.

ხალიფა აბუ ბაქრი ალლაჰის შუამავლის დროინდელი ეზნის კითხვის განმეორებისთვის ბილალს ბევრს ეხვეწა. ბილალი კი მას პასუხობდა:

„აბუ ბაქრ, შუამავლის შემდეგ ეზნის კითხვის ძალა აღარ შემრჩა. ნუ დამაძალებ. რა იქნება, ჩემთვის დამტოვო და მაპატიო?!“

ხალიფა აბუ ბაქრი კი მას ეზნის კითხვას მაინც გამუდმებით სთხოვდა:

„ალლაჰის შუამავლის თანამიმდევრები ჯერ შუამავლის, ხოლო შემდეგ მისი მუეზინის გარეშე უნდა დარჩნენ?“

ველარ გაუძლო ამდენ ხვეწნას და ერთ დილას ბილალი ეზნის საკითხავად მინარეთზე ავიდა. ირგვლივ ყველაფერი წარსულის იმ დღეებს ახსენებდა, როცა ჰაერი ავსილი იყო სიყვარულითა და ბედნიერებით. მას ეზნის ბგერითი ჰანგების ნაცვლად სლუკუნი აღმოხდა. ბილალი დაბლა დაეშვა, აბუ ბაქრს ეზნის კითხვა მისთვის აღარ უთხოვია.

ალლაჰის შუამავლის სიყვარული და ცხოვრება მისი თანამიმდევრების შემდეგაც ჩვეულებრივ გრძელდებოდა. უდიდესი ბრძენ აჰმად იასავით მხურვალედ უყვარდა ადამიანთაგან საუკეთესო-შუამავალი მუჰამედი მიაღწია რა 63 წლის ასაკს შუამავლის სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად ჩავიდა მინაში ამოთხრილ საფლავისმაგვარ ორმოში და დადო სიტყვა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ გამოსულიყო მზის სინათლეზე. იქედან აგრძელებდა ის ხალხის დარიგებას ჭეშმარიტ გზაზე დასაყენებლად, კვლავინდებურად უნერგავად მათ გულში რწმენასა და სიყვარულს. იქ, მინისქვეშ დანერა აჰმად იასავიმ წიგნი „დივანი ჰიქმათ“ („სიბრძნის კრებული“)

34. თირმიზი, მენაქიბი, 378, აჰმედ იბნ ჰანბელი, 5, 391-2.





დიდი ჰადისების მცოდნე იმამ ნავავის მთელი სიცოცხლის მანძილზე, ყოველთვის ცდილობდა სწორედ ისეთი ცხოვრებით ეცხოვრა, როგორც შუამავალი ცხოვრობდა.

ალლაჰის შუამავალი ისეთი პიროვნება იყო, რომ ვინც მას მეგზურად აირჩევს და მიბაძავს, ისეთივე გამორჩეული გახდება, როგორც ცის კაბადონზე გზის მანათობელი ვარსკვლავი.

ნეტავ, აბდულლაჰ იბნ ზეიდის, ბილალი ჰაბეშის, იმამ ნავავის, სეიდ აჰმედი იასავის გრძნობების, მსგავსი განცდები დღეს ჩვენ გავაჩნია? ამიტომ ვალდებული ვართ განვსაზღვროთ ალლაჰის შუამავლის მიმართ ჩვენი სიყვარულის დონე და შევაფასოთ საკუთარი თავი, ვართ თუ არა ღირსი მისი თანამიმდევრობისა.

ჩვენ უნდა შევეცადოთ განვაახლოთ და გავაცოცხლოთ ჩვენში რწმენა, რომელმაც უმეცრებისა და ნუთისოფლის სიმშვენიერისკენ მისწრაფებით უწინდელი სისუფთავე და სახე დაკარგა. ჩვენ ვალდებული ვართ გავაცოცხლოთ ჩვენი გულები და სულები, რათა უფრო წინ წავიმძღვაროთ ისლამის ჩირაღდან. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სიყვარული — ესაა სულიერი კავშირი, რომელიც წარმოიქმნება ორ ადამიანს შორის. იმისათვის, რათა ვიქცეთ კარგ მართლმორწმუნედ, აუცილებელია მოვამზადოთ და გამოვწვინოთ გული. სასოება და ნუხილი, რომელიც მეფობს ჩვენი თანამედროვეების ჭკუაში, აიხსნება ზუსტად ზნეობრივი ორიენტირებისა და ფასეულობების დაკარგვით. დღეს ამ სიყვარულის დაკარგვის დიდი საშიშროება ჩანს, რის გამოც უამრავი მნიშვნელოვანი რამ განადგურდება. იმქვეყნიური სიყვარული ამქვეყნიურით შეიცვლება. სინამდვილეში კი ეს სიყვარული დღეს ძალიან საჭიროა. დღეს მომხდარი მრავალი დანაშაული, მკვლელობა თუ სხვა მძიმე ფაქტები, სწორედ ამ სიყვარულის დაკარგვის გამო ხდება.

ნამდვილი სიყვარულის ძალა, მის გამო განეული რისკით განისაზღვრება. ძალიან დიდი სიყვარულის გამო, ადამიანმა შეიძლება სხვისთვის სიცოცხლეც კი გასწიროს და ის თავის მოვალეობად ჩათვალოს. ჭეშმარიტი სიყვარულის გამოუცდელი ადამიანები მისი ძალის აღქმას ნამდვილად ვერ შეძლებენ.

ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

فَإِذَا سَوَّيْتُهُ وَنَفَخْتُ فِيهِ مِنْ رُوحِي



„... და შთავბერავ მას ჩემი სულიდან...“<sup>35</sup>

ამ აიათით ალლაჰი ადამიანს თავის ძალას ახსენებს, რომ ის ყოვლისშემძლეა და არავისზე არ არის დამოკიდებული. ამის გამო, მორწმუნე ადამიანის გული ალლაჰის სიყვარულით უნდა იყოს სავსე.

როდესაც ადამიანის გული ალლაჰის სიყვარულს იგრძნობს, მაშინ ის საგრძნობლად შეიცვლება, რასაც „სიკვდილამდე სიკვდილი“ ჰქვია. ამ შემთხვევაში, ამქვეყნის სიყვარული, ყველანაირი მოჩვენებითი სილამაზე ადამიანის თვალებს მოსცილდება და გულიდან ამოუვარდება.

ჭეშმარიტი სიყვარულის გამოუცდელი ადამიანები კი ცხოველებთან ახლოს არიან. სიყვარულის უცოდინარი გული მიწის მსგავსია. სიყვარული აუცილებელია, რადგან სულიერის საზრდოების მიზეზი სწორედ ისაა.

ამ გრძნობის გადარჩენის და შენარჩუნების ერთადერთი სანიმუშო მაგალითი ალლაჰის შუამავალია. ნამდვილი, ჭეშმარიტი გზა და წრფელი სიყვარული მისგან შეიძლება ისწავლოს კაცმა, ხოლო სარგებლის მისაღებად მის ნაკვალევში უნდა იაროს.

შუამავალი მუჰამმედი, ალლაჰის მიერ გაჩენილი ადამიანი, ის ჩვენთვის ყველაზე საუკეთესო და საყვარელი მაგალითია.

სწორედ, იუნუსის და მევლანას - „იუნუსად“ და „მევლანად“ ჩამოყალიბების მიზეზიც ეს სიყვარულია. ცნობილია, რომ მევლანამ ამ სიყვარულით გაატარა მთელი ცხოვრება. თუ საიდან და როგორ დაიწყო ეს სიყვარული, ამის მცოდნე ძალიან ცოტა ადამიანია. მევლანა ბრძანებს:

„სანამ სული მიდგას პირში, ყურანის მონა ვარ. მე მუჰამმედის ფეხისქვეშა მინა ვარ. თუკი ვინმე ამ ჩემს ნათქვამს ერთ სიტყვასაც დაუმატებს და ისე გადასცემს სხვას, მე ძალიან მენწყინება!“

### სიყვარულით მუჰამმედის კვალდაკვალ

ალლაჰის შუამავლის ნამდვილი სიყვარული, მისი დაჯერება, მთელი გულითა და სულით მასზე მინდობა და მისი მსახურებაა. ის

35. სურა ალ-ჰიჯრი, აიათი 29.





თავისი ყველა თვისებით სათნოების სიმბოლოა. მისი გული იმდენად სათნო და თბილია, რომ უზენაესმა ალლაჰმა ამის გამო შემდეგი აიათი გარდმოავლინა:

لَقَدْ جَاءَكُمْ رَسُولٌ مِنْ أَنْفُسِكُمْ عَزِيزٌ  
عَلَيْهِ مَا عَنِتُّمْ حَرِيصٌ عَلَيْكُمْ بِالْمُؤْمِنِينَ  
رَؤُوفٌ رَحِيمٌ

„გვიცავ, თქვენთან მოვიდა შუამავალი თქვენივე წიალიდან. მძიმეა მისთვის, რომ თქვენ განსაცდელში ხართ. გული შესტკივა თქვენზე. მიმტყვებელი და მწყალობელია მორწმუნეებისადმი!“<sup>36</sup>

ამ საკითხთან დაკავშირებით ალლაჰის შუამავალი ძალიან კეთილი და შემწყნარებელი იყო. მას ყველა ძალიან ეცოდებოდა და ამიტომ იმ ადამიანების ტანჯვას, ვინც ჭეშმარიტ გზას აცდენილები იყვნენ, ძალიან განიცდიდა. ამის გამო, ისე ნუხდა, რომ ალლაჰი მას ასე მიმართავს:

مَا أَنْزَلْنَا عَلَيْكَ الْقُرْآنَ لِتَشْقَى

„არ გარდმოგვივლენია შენზე ყურანი იმისთვის, რომ სირთულეში ჩავარდე, არამედ მხოლოდ შეგონებად მათთვის, ვისაც ეშინია.“<sup>37</sup>

ალლაჰის შუამავლის მიერ ჩვენდამი გამოჩენილი ასეთი შემწყნარებლობის, სიყვარულისა და განცდის სანაცვლოდ ჩვენ რას ვაკეთებთ, არ უნდა დაფიქრდეთ?

ექვეგარეშეა, ალლაჰის შუამავლის სიყვარული, მისი და ყურანის მეგზურობა გამოაჩენს ჩვენს დამოკიდებულებას ისლამისადმი. რას გრძნობდნენ და განიცდიდნენ მუჰამმედის თანამოაზრეები, რომლებიც მზად იყვნენ გაეღოთ მისთვის ყველაზე ძვირფასი? როგორ შეძლეს მათ განმსჭვალულიყვნენ მისი თვისებებითა და ყოფაცევით? აუცილებელია გაფუნით საკუთარ თავს ანგარიში, თუ როგორ დამოკიდებულებაში ვართ ჩვენ დღეს ალლაჰის შუამავლისადმი, გვაქვს თუ არა მასთან სრული გაიგივების სურვილი?

36. სურა თეგზე, აიათი 128.

37. სურა ტაჰა, აიათი 2.-3





ჩვენ ვალდებული ვართ გავიმსჭვალთ მისი იდეებით მშვიდობისა და ბედნიერების გასავრცელებლად, შევიძინოთ მისი ხასიათისმაგვარი თვისებები, უნდა გავინმინდოთ ცოდვებისა და ნაკლოვანებებისგან. ჩვენ ვალდებული ვართ მისი ცხოვრების არსითა და სიბრძნით გავაცოცხლოთ გულები. ვიცით, რომ სიყვარული და სიძულვილი ერთსა და იმავე გულში ერთდროულად არ შეიძლება მოთავსდეს. გული ცარიელი არასდროს რჩება. ამიტომ, როცა არ არსებობს ერთი, 5

მაშინ აუცილებლად მეორე არსებობს და ამ შემთხვევაში პირველი მეორის არსებობის მიზეზი ხდება. ამ ორ გრძნობას შორის განსხვავება კი უზარმაზარია.

შუამავალმა თავისი მოღვაწეობითა და სიყვარულით ყველაზე მაღალ მწვერვალს მიაღწია. ამავე დროს, ის ამ ცხოვრების გამგრძელებელთათვის საუკეთესო მაგალითად იქცა. ასეთი სანიმუშო ადამიანის მოსვლამდე ვიცით, რომ უვიცობის ხანა იყო. მაგრამ რაც შეეხება ჩადენილი საქციელის გამო პასუხისმგებლობას, ახლა უფრო მაღალია, ვიდრე მაშინ. ამიტომ ალლაჰის შუამავლის გაკვალული გზა ახლა უფრო საჭიროა ჩვენთვის, ვიდრე არასდროს. ჩვენთვის ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი მისი გაკეთებული საქმეები და ბრძანებებია, რადგან ჩვენ კარგად ვიცით, რომ მისი მსგავსი სანიმუშო ადამიანები ძალიან ცოტა არიან მოსული ამქვეყნად.

ალლაჰის შუამავლისა და მისი თანამიმდევრების დროს არსებულ რწმენის დონეს, რომ კიდევ ერთხელ მიგუხლოვდეთ, საჭიროა მათ მივბაძოთ, მოვუსმინოთ, გავიაზროთ და ყველაფერი გულით შევიგრძნოთ.



დოცენტისა და დოქტორ ომერ ჩელიქის, მურათ ყაიას, დოქტორ მუსტაფა ოზთურქისა და აკადემიის სხვა დამხმარე წევრების მიერ წარმოდგენილი ნამუშევრის „უსვე-ი ჰასენეს“ („სრულყოფილი“) საშუალებით უნდა დავფიქრდეთ, თუ როგორ წარვმართოთ ჩვენი ცხოვრება. იმისათვის, რათა ვიგრძნოთ ალლაჰის შუამავალ მუჰამედის ქომავობა და დახმარება, საჭიროა უსიტყვოდ შევასრულოთ ისლამის ყველა მოთხოვნა. ჩვენ წინაშე მდგარი უდიდესი ამოცანა ჩვენი საქციელითა და ცხოვრებით ამოვხსნათ, გულწრფელად გვიყვარდეს შუამავალი და მივსდით ისლამის გზას. მხოლოდ ამ გზით





შეიძლება ვიქცეთ მისაბაძი მაგალითად, როგორც საზოგადოების, ასევე ახლობლებისა და ნათესავებისათვის. როგორი მოსავლიანიც არ უნდა იყოს ყანა, თუ წვიმა და მზე არ დახედავს, მოსავალს არ მოგცემს. ადამიანის სულიც რომ ნაყოფიერი მიწის მსგავსი გახდეს, უნდა მიაღწიოს რწმენის ისეთ მაღალ დონეს, რომ ის ყველაზე მაღალ საფეხურზე დააყენოს.

ალლაჰის შუამავალი მასზე ადრე და მის შემდეგ მოსულ ყველა ადამიანზე ძვირფასია. იგი ყველას და ყველაფრის გაჩენის მიზეზია. ყურანიც სწორედ მის გამოა ჩამოსული.

დარწმუნებული ვართ თითოეულ ადამიანს მუჰამმედ შუამავლის (ს.ა.ს.) სულიერ სამყაროში მეგზურობას ეს წიგნი გაუწევს. დაე, უზენაესი ალლაჰი დაგვეხმაროს მუჰამმედ შუამავლის (ს.ა.ს.) სულიერი სიბრძნით გავიმსჭვალეთ და „ჭეშმარიტი ბედნიერების“ სამყაროში აღმოჩნდეთ. ალლაჰის წყალობა რგებოდეთ წილად ჩვენს სულიერ ძმებს, რომლებიც მუჰამმედ შუამავლის სუნნეთს მისდევენ, ვინც ცდილობენ თავიანთი სანიმუშო ცხოვრებით, ცოდნითა და პრაქტიკული მაგალითებით კაცობრიობას მუჰამმედ შუამავლის (ს.ა.ს.) სახე აჩვენონ. ვინაიდან იმას, რასაც ადამიანისთვის სიკეთე და სარგებელი მოაქვს, სიკვდილის შემდეგაც მოუტანს, რადგან ქმედებათა წიგნი გადაშლილი რჩება.







ღვთისმსახურების, ზნეობისა და მორალის

## საუკეთესო მაგალითი

ულამაზესი ადამიანი

-საღლაღლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ-





## წინასიტყვაობა

ქება-დიდება უთვალავ არსებათა შორის ჩვენი ადამიანად გამჩენის, მუჰამმედ შუამავლის წინამძღოლად გამომგზავნის, ჩვენზე მუჰამმედ შუამავლის მიმდევრის წყალობის მომნიჭებლისა და მისგან სანიმუშო მაგალითების აღების შესაძლებლობების მომცემ უდიდეს ალლაჰს!

ქება-დიდება ალლაჰს, რომელმაც მუსლიმანთა გულის ბაღჩე-ბი სასწაული ვარდებით გაახარა, სხვადასხვა ლამაზი ყვავილებით მორთო და მოწყურებული სულები ყურანის მადლით აგვივსო.

დიდო ღმერთო, ჩვენთვის რომ მუდმივი ცხოვრება მოგეცა, ჩვენც რომ შეუსვენებლივ შენს ლოცვა-დიდებაში გავგეტარებინა დრო, შენთვის ღირსეული მაინც ვერ ვიქნებოდით. შენი მოცემული ყოველი სარჩოს სანაცვლოდ დიდი მადლიერება გვმართებს. შენ ისეთი ხარ, როგორც დაგვიხასიათე შენი არსება. ჩვენ ვართ უძლური ამდენი წყალობისათვის სულ მცირე რამით გადაგვიხადოთ. ჩვენ გადიდებთ შენ, ძლევაგამოსილო ალლაჰო, ვინაიდან შენ არ გაგაჩნია არავითარი ნაკლი!

ალლაჰის რჩეულს, ისლამის რწმენის საუკეთესო დონეზე ხალხზე გადამცემს, საუკეთესო მაგალითების მიმცემს, სამოთხისკენ მიმავალი გზის მეგზურს და უსაყვარლეს ადამიანს — მუჰამმედ შუამავალს ალლაჰის სალათი და სალამი. სალამი ადამიანს, ვინც მთელი თავისი სიცოცხლე მიუძღვნა კაცობრიობის ხსნას, საერთო ბედნიერებას და გაუძღვა ხალხს სამოთხის ბაღებისაკენ, სადაც ისინი დატკბებიან ალლაჰის ცქერით. შუამავალი მუჰამმედი — ჩვენი თვალისჩინი, სულის მკურნალი და გულის მალამოა. სალათი და სალამი მუჰამმედ შუამავალს, ვინც უქომაგებს კაცობრიობას განკითხვის დღეს!

— სალამი შენ, შუამავალო მუჰამმედ, ვინაიდან სამყაროს ჩაუქრობელი ლამპარი, გულმონყალე და გულუხვი ხარ!

— სალამი შენ, შუამავალო მუჰამმედ, ვინაიდან შენი მოსვლით გააბედნიერე ჩვენი სამყარო, დედამინა მართლაც ამაყოფს შენით!

— სალამი შენ, შუამავალო, შენი იმედით ვარსებობთ, იმქვეყნად შენთან შეხვედრის იმედი რომ არ გვექონდეს, მაშინ არც ამქვეყნად და არც იმქვეყნად ცხოვრებას ინტერესი არ ექნებოდა.

— სალამი შენ, შუამავალო მუჰამმედ .

ჩვენს სულში, შენ გარდა, სხვა სიმდიდრე არ არსებობს. შენ გარეშე არც ამქვეყნად სიცოცხლე და არც იმქვეყნად სამოთხის სიყვარული არ არსებობს!

— ჩვენგან ასი ათასობით სალათი შენ, საყვარელო შუამავალო

აღლაჰის შუამავლის სანიმუშო მაგალითების უშეცდომოდ ჩვენზე გადმომცემ ძვირფას თანამიმდევრებს, მისი ნაკვალების მიმდევართ, ჭეშმარიტ გზაზე დამდგარ ყველა ძვირფას ადამიანს სალამს ვუძღვნით და ვუსურვებთ ყოველივე საუკეთესოს!

თითოეულ ადამიანს წარმატების მისაღწევად ჭეშმარიტი გზით სიარული, კეთილი სურვილები, ცოდვებისა და ეჭვებისგან გულების გასუფთავება და აღლაჰის შუამავლის ცხოვრებიდან მაგალითების აღება ესაჭიროება.

როგორც ვიცით, ყოველი ადამიანისთვის აუცილებელია სხვებისგან მაგალითის აღება, მაგრამ თუ არ მოხდა ნიმუშის სწორად აღება, ის ეჩვევა არასწორ ქმედებებს და იმახინჯებს ცხოვრებას, რადგან მისი გული ცარიელი არ დარჩება. ეს სამყაროს კანონია. ასეთ შემთხვევებს, ადამიანის ცხოვრებაში ახალგაზრდობის პერიოდში უფრო აქვს ადგილი, რადგან ის განუწყვეტილად ეძებს მისაბაძ მაგალითებს და ხანდახან ცუდსაც კი კარგად აღიქვამს. შემდეგ კი, ყოველივე ეს მიზეზი ხდება იმისა, რომ ადამიანი სწორი გზიდან გადავიდეს. სინამდვილეში, ადამიანი თავდაპირველად ყოველთვის სწორ გზას ეძებს, მაგრამ როცა ვერ პოულობს, მაშინ ებნევა ის და აღარ იცის საითკენ წავიდეს. მართლაც, დღეს არსებულ და აღლაჰის მიერ ნაბრძანებ ცხოვრებას შორის დიდი უფსკრული არსებობს. სამწუხაროა, რომ ადამიანები დღეს მაგალითებს აღლაჰის შუამავლისგან კი არ ღებულობენ, სხვა ადამიანებს ბაძავენ. ამიტომ ამ საკითხის გამოსასწორებლად დიდი შრომა გვეჭირდება, რადგან აღლაჰი ყურადღებას ასე ბრძანებს:

يَوْمَ نَدْعُو كُلَّ أُنَاسٍ بِإِمَامِهِمْ





„იმ დღეს ჩვენ მოვუხმობთ ყველა ადამიანს თავიანთი წინამძღოლებით...“<sup>1</sup>

მუჰამმედ შუამავალს, მასზე ადრე მოსული ყველა შუამავლის საუკეთესო თვისებები ახასიათებს, ის თითოეული მათგანის მახარობელი, ადამიანების გადამრჩენი და უძვირფასესი შუამავალია. ალლაჰი ყურანში შუამავლებს მუჰამმედ შუამავლის მოსვლას ატყობინებს, მათგან მის დაჯერებასა და მასზე დახმარებას მოითხოვს.

وَإِذْ أَخَذَ اللَّهُ مِيثَاقَ النَّبِيِّينَ لَمَا آتَيْتُكُمْ مِنْ كِتَابٍ وَحِكْمَةٍ ثُمَّ جَاءَكُمْ رَسُولٌ مُصَدِّقٌ لِمَا مَعَكُمْ لَتُؤْمِنُنَّ بِهِ وَلَتَنْصُرُنَّهُ قَالَ أَأَقْرَضْتُمْ وَأَخَذْتُمْ عَلَىٰ ذَٰلِكُمْ أَصْرِي قَالُوا أَقْرَضْنَا قَالَ فَاشْهَدُوا وَأَنَا مَعَكُمْ مِنَ الشَّاهِدِينَ

„აი, ალლაჰმა აიღო შუამავლების აღთქმა: „მე დაგასაჩუქრე თქვენ ღვთაებრივი წერილებითა და სიბრძნით. თუკი ამის შემდეგ თქვენთან მოვა შუამავალი, რომელიც დაამტკიცებს იმის, ჭეშმარიტებას, რაც გადმოგეცათ, თქვენ დაუყოვნებლივ ირწმუნებთ და დაეხმარებით მას.“ მათ უპასუხეს: „თანახმა ვართ.“ მან თქვა: „მაშ, იყავით მოწმეები და მეც დაგემოწმეები თქვენ.“<sup>2</sup>

შუამავლებმა ალლაჰს სიტყვა მისცეს და შეასრულეს კიდევ. მუჰამმედ შუამავალი იწამეს და თავიანთ მიმდევრებს მისი მოსვლის შესახებ ცნობები მიაწოდეს. ამქვეყნად არსებული ყველა სიკეთე, სამართალი, შემწყნარებლობა, ყოფაქცევა, უეჭველად, მათგან მოდის. ისინი ადამიანებისთვის ჭეშმარიტი გზის საჩვენებლად არიან გამოგზავნილი. ისინი რომ არ მოსულიყვნენ, დედამიწაზე ცხოვრების კანონი მოიშლებოდა, არსებობა შეუძლებელი გახდებოდა, ანარქია გაიმარჯვებდა და ადამიანები განადგურდებოდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანთა გაჩენას აზრი სრულებით დაეკარგებოდა.

მუჰამმედი ბოლო შუამავალია და მასში ყველა შუამავლის საუკეთესო თვისებებია თავმოყრილი. იგი ერთადერთია, ვისი მსგავსიც სხვა ვინმე არ არსებობს. ალლაჰმა ადამიანები მისი მიზეზით გააჩინა და რა თქმა უნდა, მათგან ყველაზე ძვირფასად აღიარა. დღეს რასაც ვჭამთ, ვსვამთ, რითაც ვერთობით, რაც მოგვწონს თუ

1. სურა ისრა, აიათი 71.

2. სურა ალი იმრანი, აიათი 81.





არ მოგვწონს — ყველაფერი მუჰამმედ შუამავლის წყალობით გვაქვს.

მისი ცხოვრება ობლობით დაიწყო: გაჭირვებასა და სიღარიბეში გაიზარდა. ჯერ საქონელს მწყემსავდა, შემდეგ ვაჭრობდა და ბოლოს, ასეთი დუხჭირი ცხოვრების შემდეგ, ის ქვეყნის ხელმძღვანელი გახდა. აქედან გამომდინარეობს ის, რომ მან ბოლოდან დაიწყო და ყველაზე მაღალ საფეხურს მიაღწია. ამასთან ერთად, იგი ალლაჰის რჩეული და ყველაზე ძვირფასი შუამავალი იყო. ზოგიერთი ადამიანი ფიქრობდა, რომ ის მხოლოდ სულიერ ცხოვრებაში იყო შუამავალი, ხოლო საერო ცხოვრებაში — ჩვეულებრივი ადამიანი. სინამდვილეში, მუჰამმედ შუამავალი, ღმერთის მიერ გამოგზავნილი ბოლო შუამავალი და ადამიანებისთვის, როგორც სულიერი, ასევე საერო ცხოვრების საუკეთესო მაგალითი იყო.

ასეთი შუამავლის არა ანგელოზებიდან, არამედ ადამიანებისგან შერჩევა და გამოგზავნა არანაირ სასწაულს არ შეიცავს. ეს რომ ასე არ მომხდარიყო, მაშინ ადამიანები იტყოდნენ: „ჩვენც ანგელოზები ხომ არ ვართ, რომ მის მსგავსად გავაკეთოთ.“ ასეთ პროტესტს აუცილებლად მოვისმენდით. ამ ყველაფრის მიუხედავად, მუჰამმედ შუამავალი ჩვეულებრივი ადამიანი იყო, რომელმაც საუკეთესო დონეზე შეასრულა ალლაჰის ყველა დავალება. ის როგორც სულიერი, ასევე საერო ცხოვრების საუკეთესო და სანიმუშო მაგალითია თითოეული ადამიანისთვის.

ის იყო შუამავალი, მახარობელი, ქვეყნის ხელმძღვანელი, ლიდერი, მთავარსარდალი, მოსამართლე, ვაჭარი და ოჯახის უფროსი. აგრეთვე, საუკეთესო ამხანაგი და ცხოვრებაში ადამიანებისთვის ყოველმხრივ დადებითი მაგალითების მაჩვენებელი. ალლაჰის შუამავლის ნათქვამი ყოველი სიტყვა თუ გაკეთებული საქმე შევეცადეთ მკითხველისთვის მაქსიმალური შესაძლებლობის მიხედვითა და გამოჩენილი ყურადღების წყალობით წარმოგვედგინა.

ახლა, ჩვენი ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა, მუსლიმანების წინაშე, ალლაჰის შუამავლის საუკეთესო დონეზე წარმოჩენაა. ამისათვის, რა თქმა უნდა, შუამავალზე დანერგილი ძალიან ბევრი ნაშრომის მოპოვება გახდა საჭირო. მიუხედავად ამისა, ამ თემასთან დაკავშირებით, რამდენიც არ უნდა ვიმუშაოთ, ან მის შესახებ ცნობები ვაგროვოთ და მივანოდოთ ხალხს, მაინც ცოტა იქნება.





ჩვენ შეიძლება ალლაჰის შუამავლის ლამაზი და ძვირფასი ცხოვრებიდან მაგალითების ამოღებისა და თქვენზე მოწოდების ღირსი არ ვართ, მაგრამ ეს საქმე ვიკისრეთ და ვეცდებით პირნათლად შევასრულოთ.

ყოველ ადამიანს გულში შუამავლის სიყვარულის ჩასახვას, ამ წიგნით გადმოცემული ყოველი ადამიანის ნამუშევრის მიმართ ალლაჰის კმაყოფილებას, თითოეული ჩვენგანს ალლაჰის შუამავლის დახმარებით ღირსეულ ადამიანად ჩამოყალიბებასა და სამოთხეში მის მეზობლად ყოფნას ვუსურვებთ!

დოცენტი დოქტორი ომარ ჩელიქი  
დოქტორი მუსტაფა ოზთურქი  
მურად ყაია







## პირველი ნაწილი

„საუკეთესო მაგალითი“ ალლაჰის მსახურებაში

- I. შუამავლის მიერ ალლაჰის დიდება, სიყვარული და მასზე მინდობა;
- II. შუამავლის მიერ ალლაჰის კანონების პატივისცემა;
- III. შუამავლის რელიგიური ცხოვრება;
- IV. შუამავლის ცხოვრება.





„ტაქ’ვანი ეტსი სჰენს გჰმერტს, ვიდრე არ აგჰესრულეზი!“  
(სურა ჰიჯრი, 15/99)



## აღლაჰზე მსახურების სანიმუშო მაგალითი

*ე, რომ განუწყვეტლივ მუჰამმედ შუა-  
მავლის ქმედებები და თვისებები ვნე-  
რო, ათასობით წარღვნა გაივლის, მა-  
გრამ ის მაინც აღუწერელი დამრჩება.“*

*ჯალალედინ რუმი*

სამყაროს გამჩენზე მსახურება მისი ნების მორჩილების უმაღ-  
ლესი გამოხატულებაა, რომლის მიხედვითაც აუცილებელია მის  
ბრძანებებსა და აკრძალვებზე უსიტყვო მიყოლა. ღვთისმსახურება  
(ლოცვა) ადამიანის გაჩენის ძირითადი მიზეზია. რა თქმა უნდა, მსახ-  
ურება სრულდება მხოლოდ და მხოლოდ უდიდესი ალლაჰის წინაშე,  
რომელიც მთელი სამყაროს მბრძანებელია. სწორედ უზენაესმა  
მისცა ადამიანს საშუალება ამქვეყნად მისი უთვალავი წყალობით  
ესარგებლა. მეორე მხრივ, თავის ქმნილებებში ალლაჰი ადამიანს  
ვალდებულებების გამო განსაკუთრებულ ადგილს მიუჩენს. ამიტომ  
ალლაჰისთვის ლოცვა, მისი თაყვანისცემა, ადამიანის დამონება ან  
ღირსების დადაბლება კი არ არის, არამედ ის პატივისცემის კვარცხ-  
ლბეკზე აჰყავს და ნამდვილი ადამიანის იერსახეს აძლევს, რამეთუ  
ადამიანი არის გონიერი ქმნილება და დაჯილდოებულია უდიდესი  
სულიერი და ფიზიკური შესაძლებლობებით.

ალლაჰის მსახურება ორი სახისაა: პირველი — ყურადღებით ნა-  
ლოცი ნამაზი, ჭორაობის გარეშე გატარებული მარხვა, დაუმაღლე-  
ბლად გაცემული დახმარება, არა სხვის დასანახავად გაკეთებული  
ჰაჯობა, სახალხოდ გამოუცხადებელი ჯიჰადი; მეორე — შუღლის  
არქონა, დაუჩივლებელი მოთმინება, სამართლიანი მონმეობა, უკან  
დასაბრუნებელი გზის არმქონი მგზავრობა.

ალლაჰი აიათში ბრძანებს:

وَمَا خَلَقْتُ الْجِنَّ وَالْإِنْسَ إِلَّا لِيَعْبُدُونِ





**„და მე არ გამიჩენია ჯინები და ადამიანები, თუ არა ჩემდამი თაყვანისცემისთვის.“<sup>1</sup>**

ამ აიათით ალლაჰმა ადამიანს არა მარტო თავისი გაჩენის არსი გააგებინა, არამედ ამქვეყნიური მოვალეობაც შეახსენა. ადამიანს ალლაჰის კმაყოფილების მოპოვება, მხოლოდ ამ გზით შეუძლია. სწორედ ამ გზითაა შესაძლებელი ადამიანი თავადაც გადარჩეს და ალლაჰის დანახვის სურვილიც აისრულოს.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ყველაზე კარგი მაგალითი შუამავლები არიან. ალლაჰი მათ ყურანში ასე მოიხსენიებს: **عبدوا ربكم** „**რაოდენ მშვენიერი მსახურია!**“<sup>2</sup> — მათ სათავეში კი კაცობრიობის მეგობური ვარსკვლავი მუჰამედ შუამავალი დგას. ის, ისე ჩაულრმავდა ღვთისმოსაობასა და ღვთისმოშიშობას, რომ ამქვეყნიურ უამრავ სიმდიდრეზე უარი თქვა, რისი წყალობითაც დიდი ღვთაებრივი აღიარება მოიპოვა. ამის დასტურია ალლაჰის ფიციც: „შენ სიცოცხლეს ვფიცავ, (ო, შუამავლო მუჰამედ)!“<sup>3</sup>

„ქელიმეი შეჰადეთში“ ალლაჰი ჯერ მუჰამედ შუამავლის მსახურებასა და შემდეგ კი შუამავლობას აღნიშნავს. ეს კი იმის მანიშნებელია თუ რა დიდი პატივია ალლაჰის მონა-მსახურება. ამ მიზეზის გამო, ფათიჰ სულთან მეჰმედი ალლაჰს ყოველთვის ევედრებოდა:

„შენს სიცოცხლეს ვფიცავ, უეჭველად, ისინი სიმთვრალეში დაძრწოდნენ!“

მუჰამედ შუამავალი, ყველაფერით ალლაჰის ძლევა მოსილების აღიარებით, მისი სიყვარულით, ლოცვით, მარხვით, ჰაჯობის შესრულებით, ყურანის კითხვით, ზიქრითა და ალლაჰზე ვედრებით ერთადერთი სანიმუშო მაგალითია, ვისგანაც ჩვენც ღვთისმსახურება უნდა ვისწავლოთ.

ვინაიდან თაყვანისცემის საფუძველს სიყვარული და ღვთისმსახურება წარმოადგენს, ჩვენ გადავწყვიტეთ მკითხველის ყურადღება მუჰამედ შუამავლის იმ თვისებებზე გაგვემახვილებინა, რომლებიც თვალნათლივ მის ღრმა და განუმეორებელ ღვთისმოსაობას გვიჩვენებს.

1. სურა ზარიათი, აიათი 56.
2. სურა სადი, აიათი 30.
3. სურა ალო-ჰიჯრი, აიათი 72.



# I. შუამავლის მიერ ალლაჰის მოწინებით განდიდება, პატივისცემა, სიყვარული და მორჩილება.

ყველა ჯილდო ალლაჰის განდიდება-ითაა მოპოვებული. ყოველი მარცხი სიამაყის ბრალია.

## 1. განდიდება და მოწინება

განდიდება - ერთი რომელიმე არსების ამალღება და მისი ყველა კანონის მიღებაა. ალლაჰის განდიდება კი, ყველასგან განსხვავებული და ძლიერი გრძნობით უნდა გამოხატოს. ისლამის კანონის მიხედვით, დიდება შეიძლება იყოს:

ალლაჰისა და მისი ყველა კანონის დაჯერება, მის წინაშე ქედის მოხრა და ალლაჰის მიერ გაჩენილების მიმართ თანაგრძნობა და ღმობიერება.

შუამავლის მხრიდან ალლაჰის განდიდება ისეთ დონეზე იყო, რომ მის კმაყოფილებას ყველაფერზე წინ აყენებდა. მას ყველაზე უფრო ალლაჰის მიერ მოვლენილი ტანჯვის ეშინოდა. ამის მაგალითი თაიფის მოგზაურობის დროს, ხელფეხდასისხლიანებულ მდგომარეობაში გაკეთებული ვედრებაა:

*„ღმერთო, თუ ჩემზე განრისხებული არ ხარ, მაშინ ჩემს განუღებელ ტანჯვას სულ არ ვდარდობ. მაგრამ შენი სიკეთე და მფარველობა უფრო გამიძლიერე. ღმერთო, შენი ტანჯვისა და უკმაყოფილებისგან შენი შუქის ქვეშ შენვე შეგეფარები! ღმერთო, მანამ ვთხოვ პატივს, სანამ შენს კმაყოფილებას ვერ მოვიპოვებ. ყოველგვარი ძალაუფლების პატრონი მხოლოდ შენ ხარ!“*

ამ საკითხთან დაკავშირებით მევლანა ბრძანებს:

4. იბნ ჰიშამი 11, 30.

„როგორ შეიძლება ალლაჰის განდიდება და ამაღლება? ეს შესაძლებელია მხოლოდ თავისთვის დამდაბლებისა და სისუსტის შეგრძნებით, საკუთარი თავის გამვლელთა ფეხქვეშ ნეშთად წარმოდგენით, მოკრძალებითა და თავაზიანობით. რას ნიშნავს თევხიდი? ეს ნიშნავს ალლაჰის წინაშე თავისთავის ფერფლამდე დანვას. თუკი შენ გსურს მზის სხივივით იბრწყინო, განერიდე საკუთარ თავს, სიბნელეს, რომელიც ღამის წყვედიადის მსგავსია!“<sup>5</sup>

ამ ყველაფერთან დაკავშირებით ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

وَالَّذِينَ إِذَا ذُكِّرُوا بِآيَاتِ رَبِّهِمْ  
لَمْ يَخْرُوا عَلَيْهَا ضُمًّا وَعُتْمِيًّا

„ხოლო როცა მათ შეაგონებენ მათი უფლის აიათებით, არ რჩებიან ყრუნი და ბრმანი!“<sup>6</sup>

إِذَا يُتْلَىٰ عَلَيْهِمْ يَخِرُّونَ لِلْأَذْقَانِ سُجَّدًا

... ხოლო როცა მათ შეაგონებენ მათი უფლის აიათებით, არ რჩებიან ყრუნი და ბრმანი! ...<sup>7</sup>

კიდევ ერთ მაგალითს გადმოგვცემს ჰაბბაბა:

„აქრა იბნ ჰაბისი და უიანა იბნ ჰისნი ალლაჰის შუამავალთან მივიდნენ, რომელიც ძალიან ღარიბ და უპატრონო ხალხთან ერთად იჯდა. მას გარშემო ღარიბები ეხვია: ისლამის ისტორიაში ცნობილი ბილალი, სუჰეიბი, ამმარი და ჰაბბაბი. მოსულებმა ქედმაღლურად გადმოხედეს ალლაჰის შუამავლის გარშემო მსხდომთ და დაცინვით უთხრეს:

„ჩვენ შენთან სხვა ადგილას და სხვა ხალხით გვინდა შეხვედრა, იმიტომ, რომ კეთილშობილი წარმომავლობა გვაქვს და ამ გზით ვუჩვენებთ არაბებს ჩვენს უპირატესობას, ამ უთვისტომო ღარიბებთან შედარებით. შენ იცი, რომ ჩვენთან სულ სხვადასხვა ტომებიდან ჩამოდიან და გვრცხვენია ყოფილ მონებთან ჯდომა. ამიტომ, ყოველ ჩვენს მოსვლაზე, მოიცილე ისინი თავიდან. როცა ჩვენ საქმეს მოვრ-

5. მესნევი, ბეითი, 3008 – 3010.

6. სურა „ალ-ფურყანი“, აიათი 73.

7. სურა ისრა, აიათი 107.





ჩებით და წავალთ, შეგიძლია ისევ მოინვიო და განაგრძოთ საუბარი.“ ალლაჰის შუამავალი მათ მიერ წამოყენებულ წინადადებას დაეთანხმა, მაგრამ მათ უთხრეს:

„თანხმობა საკმარისი არ არის. ჩვენ ეს წერილობით უნდა დავგიმტკიცო.“ — მაშინ ალლაჰის შუამავალმა ალის დაუძახა და დასანერად ქალაქის მოტანა სთხოვა. ჩვენ ერთ კუთხეში ვიჯექით. ამ დროს ანგელოზი ფეხბრაილი ჩამოვიდა და შუამავალს ალლაჰის ნაბრძანები აიათები გადასცა:

وَلَا تَطْرُدِ الَّذِينَ يَدْعُونَ رَبَّهُمْ بِالْغَدَاةِ وَالْعَشِيِّ يُرِيدُونَ  
وَجْهَهُ مَا عَلَيْكَ مِنْ حِسَابِهِمْ مِنْ شَيْءٍ وَمَا مِنْ حِسَابِكَ  
عَلَيْهِمْ مِنْ شَيْءٍ فَتَطْرُدَهُمْ فَتَكُونَ مِنَ الظَّالِمِينَ  
وَكَذَلِكَ فَتَنَّا بَعْضَهُم بِبَعْضٍ لِيَقُولُوا أَهَؤُلَاءِ مَنَّ اللَّهُ  
عَلَيْهِمْ مِنْ بَيْنِنَا أَلَيْسَ اللَّهُ بِأَعْلَمَ بِالشَّاكِرِينَ وَإِذَا  
جَاءَكَ الَّذِينَ يُؤْمِنُونَ بِآيَاتِنَا فَقُلْ سَلَامٌ عَلَيْكُمْ كَتَبَ  
رَبُّكُمْ عَلَيَّ نَفْسِهِ الرَّحْمَةَ أَنَّهُ مَنْ عَمِلَ مِنْكُمْ سُوءًا  
بِجَهَالَةٍ ثُمَّ تَابَ مِنْ بَعْدِهِ وَأَصْلَحَ فَأَنَّهُ غَفُورٌ رَحِيمٌ

„და არ გააძევეო! რომელნიც მისი წყალობის სურვილით ევედრებიან თავიანთ ღმერთს დილითა და საღამოთი. შენ არ მოგეკითხება მათ გამო და არც მათ მოეკითხებათ შენ გამო. თუ გააძევებ მათ, მაშინ იქნები უსამართლოთაგან. ასე გამოვცადეთ ისინი ერთიმეორით, რომ ეთქვათ: „ნუთუ ეგენი არიან, ვისზეც ჩვენს შორის მოილო წყალობა ალლაჰმა?!“ განა ალლაჰი უკეთ არ უწყის, ვინ არიან მადლიერნი? და როცა მოვლენ შენთან, რომელთაც სწამთ ჩვენი აიათები, უთხარი: „მშვიდობა თქვენდა!“ ღმერთმა თქვენმა თავს დაუწერა მწყალობლობა. უეჭველად, რომელი თქვენგანიც უმეცრებით



ჩაიდენს სიავეს, მერე მოინანიებს ამის შემდგომ და გამოასწორებს, უეჭველად, იგი შემნდობია, მწყალობელია!.”<sup>8</sup>

აღლაჰის შუამავალმა ხელშეკრულების დასაწერად აღებული ქალაქი სასწრაფოდ გვერდზე გადადო და ჩვენ თავისთან გვიხმო. მივუახლოვდით რა, გვითხრა: „მშვიდობა თქვენ! აღლაჰს წყალობა და მიტევება თავის უფლებად აქვს დანესებული.“ ამის შემდეგ მას უფრო მივუახლოვდით, ისე ახლოს, რომ ჩვენი მუხლები მისას შეეხო. ამ აიათის ჩამოსვლის შემდეგ, აღლაჰის შუამავლის გვერდით ყოფნას უფრო მოვუხშირეთ, მაგრამ როცა ის წასვლას მოისურვებდა, ადგებოდა და წავიდოდა. ამ მიზეზით კიდევ ერთი აიათი ჩამოვიდა:

وَاصْبِرْ نَفْسَكَ مَعَ الَّذِينَ يَدْعُونَ رَبَّهُمْ بِالْغَدَاةِ وَالْعَشِيِّ

يُرِيدُونَ وَجْهَهُ وَ لَا تَعْدُ عَيْنَاكَ عَنْهُمْ تُرِيدُ زِينَةَ الْحَيَاةِ الدُّنْيَا

„დაიმორჩილე სული შენი მათთან ერთად, რომელნიც ევედრებიან თავიანთ ღმერთს დილიდან საღამომდე და ილტვიან მისი წყალობისაკენ. და არ აარიდო თვალი მათ ამქვეყნიური ცხოვრების სიკვებების სურვილით და არ მოუხარო ქედი მათ, ვისი გულიც უგულისხმო ვაქციეთ ჩვენი ხსოვნისადმი; და ვინც საკუთარ სურვილებსაა აყოლილი, ისედაც ის თავის საქმეში ზღვარს გადასულა!“<sup>9</sup> ამის შემდეგ ასე აღარ აკეთებდა, მაგრამ ჩვენ, როდესაც მასთან ერთად ცოტა დროს გავატარებდით, თვითონ წავიდოდით და მას დაგვტოვებდით. ამით მას ყოველნაირ უხერხულობას თავიდან ვაცილებდით.<sup>10</sup>

ვაჰიდის გადმოცემის მიხედვით, ამ აიათის ჩამოსვლის შემდეგ, აღლაჰის შუამავალი სასწრაფოდ ადგა და ღარიბი თანამიმდევრების ძებნა დაიწყო. ისინი ბოლოს, მეჩეთის უკანა მხარეს, აღლაჰისთვის ნამაზის ლოცვის დროს ნახა. შემდეგ თქვა: „დიდება აღლაჰს, ვინც მიბრძანა მე მოთმინებით ამეტანა ამ ხალხთან ერთად ყოფნა! ამის შემდგომი სიცოცხლე და სიკვდილიც თქვენთან მიწერია.“<sup>11</sup>

8. სურა ალ-ანამ, აიათები 52-54.

9. სურა ქაჰფი, აიათი 28.

10. იბნ მაჯე, ზუჰდი, 7. თაბერი, თეფსირი, 7 – 262-263.

11. ასბაბუნ ნუზული, 304.





თანამიმდევრების მიერ ალლაჰისა და მისი შუამავლის მიმართ გამოჩენილი პატივისცემისა და აბუ ბაქრის მიერ გაჭირვებულებზე დახმარების შესახებ, აიშე ერთ-ერთ ჰადისში ასე გადმოგვცემს:

„როგორც კი გარდმოვლენილ იქნა ღვთაებრივი ზემთაგონება ჩემს უდანაშაულობაზე, მამაჩემმა — აბუ ბაქრმა დაიფიცა, რომ ის ამიერიდან მისტაჰ ბინ უსტაჰს აღარასდროს გაუწევდა დახმარებას, ვისაც აქამდე მუდმივად უწევდა მატერიალურ დახმარებას: „ვფიცავ ალლაჰის სახელს, რომ ჩემს ქალიშვილ აიშაზე ცილისნამებისათვის ამიერიდან არავითარ დახმარებას აღარ გაუწევე მისტაჰ ბინ უს-დასს.“ ამ ფიცის შემდეგ ალლაჰისგან შემდეგი აიათი ჩამოვიდა:

وَلَا يَأْتِلِ أَوْلُوا الْفَضْلِ مِنْكُمْ

وَالسَّعَةِ أَنْ يُؤْتُوا أَوْلِي الْقُرْبَىٰ وَالْمَسَاكِينَ وَالْمُهَاجِرِينَ فِي

سَبِيلِ اللَّهِ وَلْيَعْفُوا وَلْيَصْفَحُوا أَلَا

تُحِبُّونَ أَنْ يَغْفِرَ اللَّهُ لَكُمْ وَاللَّهُ غَفُورٌ رَحِيمٌ

„დაე, მდიდარნი და შეძლებულნი თქვენგან ნუ დაიფიცებენ, რომ არ დაეხმარებიან ნათესავეებს, ღატაკებს და ალლაჰის გზაზე გადასახლებულებს. დაე, აპატიონ და იყვნენ ლმობიერნი. განა არ გინდათ, რომ ალლაჰმა მოგიტევოთ? ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია!“<sup>12</sup>

ამ აიათის ჩამოსვლის შემდეგ აბუ ბაქრმა სასწრაფოდ ილოცა ალლაჰისთვის და პატიება სთხოვა: „ო, ღმერთო ჩემო, გთხოვ მაპატიო!

მან ისევ დაიწყო მისტაჰზე დახმარების მიცემა და განაცხადა:

„ვფიცავ ალლაჰს, ამის შემდეგ მას დახმარების მიცემას არასდროს შევუწყვეტ!“<sup>13</sup>

ასეთი სუფთა გრძნობები შუამავლის ყველა თანამიმდევარს გააჩნდა. ამის მაგალითი იმ აიათის ჩამოსვლის შემდეგ ნათლად ჩანს, როცა ალკოჰოლური სასმელი ჰარამი გახდა. სურა „მაიდეს“ 90-ე და

12. სურა „ან-ნური“, აიათები 22.  
13. ბუჰარი, მეგაზი, 34. მუსლიმი, თევბე, 56.

91-ე აიათების ჩამოსვლის შემდეგ, როდესაც შუამავალმა ისინი თანამიმდევრებს წაუკითხა, სადაც ალლაჰი ბრძანებს: „**ნუთუ თქვენ თავს არ შეიკავებთ?**“ გაგონებისთანავე ომარმა წამოძახა:

„მასზე უკვე უარი ვთქვით, დიდო ალლაჰო!“ ეს მარტო ომარს არ გაუკეთებია. იქ მყოფმა ყველა თანამიმდევრმა ერთხმად შესძახა: „**ალკოჰოლურ დასალევს და აზარტულ თამაშებს უკვე თავი დავანებეთ, დიდო ღმერთო!**“ ამის შემდეგ მედინას ქუჩებში ნიაღვარივით დაიწყო დინება ჭურჭლებიდან დაქცეულმა ალკოჰოლურმა სასმელმა.<sup>14</sup>



შუამავალი ალლაჰის ერთობასა და მის დიდებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

„ალლაჰის დიდებულების აღქმამ უბიძგა მუჰამედს შუამავალს ყოველდღიურ ცხოვრებაში უფრო მეტი სიფაქიზე და ღვთისმოსაობა გამოეჩინა, ვინაიდან სამყაროს გამჩენმა ბრძანა:

إِنَّ اللَّهَ لَا يَغْفِرُ أَنْ يُشْرَكَ بِهِ وَيَغْفِرُ مَا دُونَ ذَلِكَ لِمَنْ يَشَاءُ وَمَنْ يُشْرِكْ بِاللَّهِ

فَقَدْ افْتَرَىٰ إِثْمًا عَظِيمًا

„**უეჭველად, ალლაჰი არ მიუტევებს, რომ თანაზიარნი გაუჩინონ მას, და მიუტევებს ამის გარდა ყველაფერს, ინებებს ვისაც. და ვინც ალლაჰს თანაზიარს გაუჩენს, მაშინ უდიდეს ცოდვას სჩადის!**“<sup>15</sup>

وَلَقَدْ أُوحِيَ إِلَيْكَ وَإِلَى الَّذِينَ مِنْ قَبْلِكَ لَئِنْ

أَشْرَكَتَ لَيَحْبَطَنَّ عَمَلُكَ وَلَتَكُونَنَّ مِنَ الْخَاسِرِينَ بَلِ اللَّهُ

فَاعْبُدْهُ وَكُنْ مِنَ الشَّاكِرِينَ

14. იბნ ჰანბელი, 1-53, 2-351, ნესაი, ეშრიბე, 1-2, ჰაქიმი 2-305.

15. სურა ნისა, აიათი 48.





**„და ვფიცავ, ზემთაგეგონა შენ და იმათ, რომელნიც იყვნენ შენს უწინ: „თუკი დაუდგენ (ალლაჰს) თანაზიარს, უთუოდ, ამოა გახდება შენი საქმენი და უსათუოდ, აღმოჩნდები წაგებულთა შორის“.<sup>16</sup>**

ამგვარი აიათების მითითებით ერთადერთი ალლაჰის მიმართ მსახურება გრძელდებოდა. ამ საკითხს მუჰამმედ შუამავალი უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და მასთან დაკავშირებულ ყველა წვრილმანს ყურადღებით აკვირდებოდა.

ზეიდ იბნ ჰალიდ ელ ჯუჰანის გადმოცემის მიხედვით, ალლაჰის შუამავალი როცა ჰუდაიბიაში იყო, მთელ ღამეს იწვიმა. დილას ნამაზი თვითონ ალოცა ხალხს, ლოცვის შემდეგ კი უთხრა:

— „იცით, რა ბრძანა ალლაჰმა?“

— „თქვენ ჩვენზე უკეთ იცით, შუამავალო“, — უპასუხა ხალხმა.

შემდეგ მათ აუწყა:

— „ალლაჰმა ბრძანა: ჩემს მსახურთაგან ზოგიერთმა გუშინ — მორწმუნედ, ზოგიერთმა კი ურწმუნოდ გაიღვიძა. „გუშინ ალლაჰის წყალობით განვიმდა“ — ვინც იტყვის, ის ჩემი მორწმუნე და ვარსკვლავის უარმყოფელი იქნება. ხოლო ვინც იტყვის: „ამა თუ იმ ვარსკვლავის წყალობით განვიმდა“ — ის კი ვარსკვლავების მორწმუნე და ჩემი უარმყოფელი იქნება.“<sup>17</sup>

ამ საკითხთან დაკავშირებით, კიდევ ერთი ასეთი ჰადისია:

ალლაჰის შუამავლის შვილის — იბრაჰიმის, გარდაცვალების დღეს მზე დაბნელდა, ადამიანებმა მზის დაბნელების მიზეზად იბრაჰიმის გარდაცვალება დაასახელეს. ალლაჰის შუამავალმა მათ აუხსნა: „მთვარე და მზე ალლაჰის სასწაულებია. ისინი ვინმეს დაბადების ან გარდაცვალების გამო არ დაბნელდება. როცა მათ დაბნელებულს დაინახავთ, ალლაჰს შეევედრეთ და ნამაზი ილოცეთ, ვიდრე არ განათდება!“<sup>18</sup>

ამ ორი ჰადისიდან პირველში — შუამავალი ალლაჰზე თავის გატოლების, ე.ი. მოზიარის მიჩენის უდიდეს ცოდვაზე საუბრობს. ეს არა მარტო ცოდვას, არამედ ალლაჰის უარყოფასაც ნიშნავს. მეორეში კი — ალლაჰის წინაშე შუამავლის შვილიც რომ იყოს, ისიც მისი

16. სურა ზუმარი, აიათი 65.

17. ბუჰარი, ეზანი, 156.

18. ბუჰარი, ქუსუფი, 15.





ჩვეულებრივი მსახურია და სხვა არაფერი. ამიტომ ნამდვილი დაფასება და პატივისცემა მხოლოდ ალლაჰის მიმართაა საჭირო.

შუამავალი ყურადღებით აკვირდებოდა თანამიმდევრებს, რომლებიც ცდილობდნენ უმეცრებისთვის დაეღწიათ თავი. ის ცდილობდა ისინი ჭეშმარიტებას არ ასცდენოდნენ და სხვა გზით არ წასულიყვნენ. ამასთან დაკავშირებით, შემდეგი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ:

როგორც აბუ ვაჟიდ ლაისი გადმოგვცემს, ჰუნანის ლაშქრობისას მუსლიმანებმა გაუარეს ხეს, რომელზეც ურწმუნოები თავიანთ იარაღს ჰკიდებდნენ (და „ზათუ ანვათს“ ეძახდნენ). თანამოაზრეებმა მუჰამმედ შუამავალს მიმართეს:

— *ო, ალლაჰის შუამავალო! ჩვენც ვერ მიგვითითებდით რომელიმე ხეზე, რომ ჩვენც ჩვენი აღჭურვილობა დაგვეკიდა? ასეთი უაზრო თხოვნის გამო შუამავალ მუჰამმედს ხასიათი მოეშალა და გულისტკივილით უპასუხა:*

— *სუბჰანელლაჰ! თქვენი თხოვნა მუსას (ალეიხისსელამის) თანატომელების თხოვნას ჰგავს:*

„ო, მუსა, გაგვიკეთე ჩვენც მათი მსგავსი ღმერთები.“ ვფიცავ ალლაჰს, ვისაც აბარია ჩემი სული, თქვენ მიყვებით უწინდელი ხალხს, რომელიც აცდენილი იყო ჭეშმარიტებას. ამ საკითხთან დაკავშირებით კიდევ ერთი მაგალითი შეიძლება მოვიტანოთ, სადაც ყოველ წვრილმანს შუამავალი ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს. იბნ აბასის გადმოცემის მიხედვით, ერთი ადამიანი ალლაჰის შუამავალთან მივიდა და უთხრა:

„*შუამავალო! ალლაჰისა და თქვენი სურვილის....“ როცა თავისი სახელი ალლაჰის სახელთან ერთად გაიგონა, შუამავალმა საუბარი შეანყვეტინა და უთხრა:*

„*შენ მე ალლაჰს გამატოლე, შენ მხოლოდ ალლაჰის სურვილის მიხედვით უნდა გეთქვა!*“<sup>19</sup>

კიდევ ერთი მაგალითი: ადი იბნ ჰათიმის გადმოცემის მიხედვით, ერთმა ადამიანმა ალლაჰის შუამავლის თანდასწრებით ქადაგება წარმოთქვა:

19. იბნ ჰანბელი, 1 – 283.



„ვინც ალლაჰსა და შუამავალს დააფასებს, ის უეჭველად სწორ გზაზე დგას. ვინც ამ ორივეზე ცუდს იტყვის, ის სწორ გზას აცდენილია.“ ალლაჰის შუამავალი ამის გამო უკმაყოფილო დარჩა და უთხრა: „როგორი ადამიანი ხარ შენ! სიტყვა „ორივეს“ ნაცვლად რომ გეთქვა- „ალლაჰსა და შუამავალს“- უფრო კარგი იქნებოდა.“<sup>20</sup>

რადგანაც მუჰამმედ შუამავალი ალლაჰის გაჩენილი და მისი ჩვეულებრივი მსახური იყო, ისეთი სიტყვის ხმარება, როგორც „ორივეა“ მიზანშეწონილი არ არის. ამიტომ აუცილებელია, მათი სახელები ცალ-ცალკე დაინეროს.

ალლაჰის შუამავალმა, ალლაჰის დიდების გამო, კერპებისა და კერპთაყვანისმცემლების წინააღმდეგ დიდი ბრძოლა გასწია. ის შუამავლობის მინიჭებამდეც მათ წინააღმდეგ გამოდიოდა, მათ მიმართ ყოველთვის დიდ სიძულვილს განიცდიდა.

ალლაჰის შუამავლის ერთ-ერთი უახლოესი თანამოაზრე ჯაბირი გადმოგვცემს, რომ მექას ალების წინ შუამავალმა მუჰამმედმა უარი თქვა ქააბაში შესვლაზე, ვიდრე შენობები კერპებისგან არ გათავისუფლდებოდა.

შუამავალი , ალლაჰის სადიდებლად, დილა-სალამოს შეუსვენებლივ ლოცულობდა. ალლაჰი მას ასე მიმართავს:

وَأَذْكُرُ رَبِّكَ فِي نَفْسِكَ تَضَرُّعًا وَخِيفَةً وَدُونَ الْجَهْرِ مِنَ الْقَوْلِ بِالْغُدُوِّ وَالْآصَالِ

وَلَا تَكُنْ مِنَ الْغَافِلِينَ

„და გულში ახსენე ღმერთი შენი მონინებით და შიშით, და არა ხმამაღალი სიტყვებით, დილით და საღამოს. და ნუ იქნები უგუნურთავანი!“<sup>21</sup>



allahis erTobis damamtkicebeli niSnebiT gamoCenili pativiscemac allahis didebas niSnavs. allahi ყურანში brZanebs:

20. მუსლიმი, ჯუმა, 48.

21. სურა ელრაფი, აიათი 205.

لَكُمْ فِيهَا مَنَافِعٌ إِلَىٰ أَجَلٍ مُّسَمًّى ثُمَّ مَحْلَاهَا إِلَىٰ الْبَيْتِ الْعَتِيقِ

„აი ასე! და ვინც განადიდებს ალლაჰის რიტუალურ სიმბოლოებს, ეს ხომ გულითადი ღვთისმოშიშობაა.“<sup>22</sup>

ისლამი, ალლაჰის სიმბოლოების პატივისცემისა და მათი საშუალებით, ადამიანის ღმერთთან დაახლოების საფუძველზეა შექმნილი. ყურანი, ეზანი, ნამაზი, ყურბანი, საფასა და მერვას მსგავსი რამეების დანახვის დროს წარმოქმნილი გრძნობები, ალლაჰთან დაახლოებისთვის არის საჭირო. ამიტომ ასეთი რამეები სწორედ ისლამის სიმბოლოებია. ასეთი გრძნობები მხოლოდ ალლაჰის მიმართ შეიძლება გაგრძელდეს. ამიტომ მათ მიმართ გამოჩენილი პატივისცემა, ალლაჰის მიმართ გამოჩენილ პატივისცემას ნიშნავს, ხოლო მათ წინაშე გამოჩენილი უპატივცემულობა ალლაჰის წინაშე გამოჩენილ უპატივცემულობას ნიშნავს.

ყურანი, ალლაჰის მიერ საყვარელი შუამავლისთვის გამოგზავნილი წესები და კანონებია. ამიტომ მის მიმართ გამოჩენილი პატივისცემა ალლაჰის პატივისცემას ნიშნავს. ალლაჰის შუამავლის კვალს მიყოლა, მხოლოდ ყურანის სისტემატური კითხვითა და პატივისცემით არის შესაძლებელი.

როდესაც შუამავალს ალლაჰის მიერ ყურანის აიათი გარდმოველინებოდა, მაშინვე ყველას გადასცემდა. ის ჩამოსულ აიათებს იმეორებდა, რათა არ დავიწყებოდა. ამის გამო მას ხშირად ენა ებმებოდა. ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, ალლაჰმა მას შემდეგი აიათი გამოუგზავნა.

لَا تَحْرِكْ بِهِ لِسَانَكَ لِتَعْجَلَ بِهِ إِنَّ عَلَيْنَا جَمْعَهُ وَقُرْآنَهُ

فَإِذَا قَرَأْنَاهُ فَاتَّبِعْ قُرْآنَهُ

„არ დაძრა მისით ენა შენი, რათა დააჩქარო იგი! უეჭველად, ჩვენზეა მისი შეკრება და წაკითხვა. მაშ, როცა ვკითხულობთ მას, მაშინ აჰყევი მის კითხვას.“<sup>23</sup>

22. სურა ჰაჯჯი, აიათი 32.

23. სურა ყიამე, აიათები 16-18.





შუამავლს ძალიან უყვარდა ყურანის კითხვა. ამ დროს მას ლოცვებზე ცხელი ცრემლები ჩამოსდიოდა, რაც თავისთავად პატივისცემის ძალასა და სიღრმეს მოწმობდა. შეყვარებული, გაიგონებს რა საყვარელი ობიექტის ხმას, სმენად და ცქერად გადაიქცევა. მისთვის ამქვეყნად არ არის არაფერი ისეთი ტკბილი და გულში ჩამწვდომი, როგორც ეს ბგერებია.

ერთხელ, იბნ მასუდი მუჰამმედ შუამავლის თხოვნით ყურანს კითხულობდა და როცა იმ ადგილას მიაღწია, სადაც ნათქვამი იყო: „როგორ იქნება მათი საქმე, როცა მათ მიუფვლენთ მონმეებს შენი ჩათვლით?“<sup>24</sup> — შუამავალმა შეანწყვეტინა კითხვა და ალლაჰის ძღვევამოსილების წინაშე ღვთისმოშიშობით მონოლილი ტირილი აღმოხდა.

შუამავლის მიერ ყურანის კითხვისა თუ მოსმენის დროს, ალლაჰის დიდებისა და დაფასების გრძნობით გამოწვეული ტირილის შემთხვევა ძალიან ხშირია. ალლაჰის შუამავლის თანამიმდევრები ყურანს დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ. ომარმა და ოსმანმა ყოველ დილით, ადგომისას, მასზე კოცნა ჩვეულებრივ წესად შემოიღეს. იბნ ომარი გადმოგვცემს, რომ ის ყოველ დილას ყურანს აიღებდა, აკოცებდა და იტყოდა: „ალლაჰის კანონი, ალლაჰის ბრძანებულება!“<sup>25</sup> იქრიმეც ყურანს აიღებდა, მას ხელს გადაუსვამდა და ტირილით იტყოდა: „ალლაჰის სიტყვები! ალლაჰის წიგნი!“ — და ამგვარად გამოხატავდა ალლაჰის დიდებასა და მისდამი სიყვარულს.<sup>26</sup>

ყურანის ჩამოსვლამდე მუალაყათი სებას სახელით შვიდი საუკეთესო ლექსი იყო შერჩეული და ქააბას კედელზე გაკრული. მათ დროდადრო კითხულობდნენ და ამ ლექსებიდან დაწერის მაღალ დონეზე საუბრობდნენ. მათ შორის ერთი ლეზიდ იბნ რეზიას ეკუთვნოდა. ლეზიდის ლექსი წლების განმავლობაში ქააბაზე იყო გაკრული. ეს სახელოვანი პოეტი ბოლოს გამუსლიმანდა. ყურანზე პატივისცემის გამო მას ლექსები აღარ დაუწერია. მისი ერთადერთი სიმღერა, რომელიც გამუსლიმანების შემდეგ დაიწერა, ორი სტრიქონისგან შესდგება:

„ალლაჰს დიდ მადლობას ვუხდი, რომ სიკვდილის

24. ბუჰარი, ფადაილულ ყურანი, მუსლიმი, მუსაფირინი, 247.

25. ქეთანი, 2, 196-7.

26. ჰაქიმი, 3 – 272.





მოსვლამდე ისლამის სხივმოსილი ტანისამოსი ჩავიცვი!“<sup>27</sup>

აღლაჰის კანონებიდან ერთ-ერთი — ქაბაში წასვლა, მისდამი პატივისცემის გამობატვა და იქ აღლაჰის დიდებაა. ქაბა აღლაჰის მიერ ამორჩეული ერთ-ერთი სამლოცველოა, რომლის მიმართულებითაც მუსლიმანები აღლაჰის წინაშე ნამაზს ლოცულობენ. აგრეთვე აღლაჰთან დასაახლოებლად ხდება ქაბას ირგვლივ შემოვლა. აღლაჰმა ადამიანები ამ ძვირფასი სამლოცველოს მოსანახულებლად და ადგილებზე პატივისცემის მისაგებად დაპატიჟა. მის გარშემო სიარულის დროს აუცილებელია, ადამიანი რიტუალურად განზანილი (აბდესიანი) იყოს. თუ განზანვის მოშლის აუცილებლობა გახდა საჭირო, ე.ი. ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისას ყურადღება უნდა მივაქციოთ, ამ დროს ისე არ ვიდგეთ, რომ ქაბა ჩვენ წინ ან უკანა მხარეს აღმოჩნდეს. ისლამის ამ კანონის მიხედვით, დღეს სახლებში საპირფარეშოებს ისე აწყობენ, რომ იგი ქაბასკენ მიმართული არ იყოს.

აღლაჰის შუამავალი ასეთ საკითხებს ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდა. აბუ ჰურაირეს გადმოცემის მიხედვით, აღლაჰის შუამავალმა ერთ-ერთი მეჩეთის ყიბლის<sup>28</sup> მხარეს ადამიანის გადაფურთხებული დაინახა. ის ხალხს მიუბრუნდა და უთხრა: „*თქვენგან ერთ-ერთს რა ემართება, რომ აღლაჰისკენ ბრუნდება და ნერწყვს ისე იცილებს. ვინმემ თქვენ წინ ნერწყვი რომ მოიცილოს, გესიამოვნებათ?*“<sup>29</sup>

ჯუნაიდ ბალდადი ერთ-ერთი კარგად ცნობილი მორწმუნის სანახავად წავიდა. მასთან მიახლოებისას დაინახა, რომ ამ კაცმა ყიბლის მხარეს ნერწყვი მოიცილა. ჯუნაიდმა თქვა: „ეს კაცი სუნნეთს არ ასრულებს!“ ამიტომ მისი ნახვა გადაიფიქრა და უკან გაბრუნდა.

აქედან ისე არ უნდა გავიგოთ თითქოს ყიბლის გარდა, სხვა მხარეს გადანერწყება კარგი ქცევაა.

შუამავალი ღვთისმსახურებებს შორის ნამაზის ლოცვას ყველაზე მეტ ყურადღებას უთმობდა. ის ბრძანებს: „*როდესაც ნამაზის სალოცავად დადგებით, ეჭვი ნუ შეგეპარებათ, რომ აღლაჰი თქვენ წინ დგას.*“<sup>30</sup>

27. იბნ აბდილბერი, ელ ისტიაბი, 3 – 1335.

28. ყიბლე — ქაბას მიმართულება.

29. მუსლიმი, მესაჯიდი, 53.

30. ბუჰარი, ედები, 75.





ყოველდღიურად მინარეთიდან ეზნის კითხვა „რწმენის საძირკველია“. იგი, სიტყვების სიმცირის მიუხედავად, ისლამის რწმენის ძირითად მნიშვნელობას შეიცავს. ალლაჰის შუამავალი ყოველი ნამაზის ლოცვის წინ აუცილებლად ეზანს აკითხებდა, მას დიდი ყურადღებით მოისმენდა, ყველა სიტყვას მკითხველთან ერთად თვითონაც იმეორებდა და ბოლოს, ალლაჰს ევედრებოდა. თანამიმდევრებსაც იგივეს გაკეთებას ურჩევდა.<sup>31</sup>

**„ასე დაგიმორჩილათ მან ისინი თქვენ, რათა ადიდოთ ალლაჰი იმისთვის, რომ დაგაყენათ სწორ გზაზე. ...“<sup>32</sup>**

ამ აიათის მიხედვით, ყურბანიც ალლაჰის კანონებიდან ერთ-ერთია. აქედან გამომდინარე, ყურბნის შეწირვის და წესების დაცვა საყურბნე ცხოველებზე ალლაჰის გამო, განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა აუცილებელია. ისლამის სხვა საკითხების შესრულების მსგავსად, ყურბნის დაკვლაც ღვთისნიერი გრძობების მიხედვით უნდა შესრულდეს. ალლაჰი ბრძანებს:

لَنْ يَنَالَ اللَّهَ لُحُومُهَا وَلَا دِمَاؤُهَا وَلَكِنْ يَنَالُهُ التَّقْوَىٰ مِنْكُمْ

**„უსათუოდ ვერ მიაღწევს ალლაჰთან ხორციანი შესანიღბი და ვერც სისხლნი მისი. მაგრამ მიუვა მას მხოლოდ თქვენი ღვთისმოშიშობა.“<sup>33</sup>**

შუამავლის მიერ ყურბნის საშუალებით ალლაჰის დიდების ნიშნად სწორედ ეს მაგალითი შეიძლება იყოს:

ჭუდაბიეში საყურბნე ცხოველებს შორის, ბედირის ბრძოლიდან დარჩენილი, აბუ ჯაჰილის კუთვნილი, ცხვირში ვერცხლისრგოლგაყრილი კარგი ჯიშის ერთი აქლემი იყო. ეს აქლემი ყურბანთა სიაში უკვ ეწერა, როცა გაიქცა და მექაში აბუ ჯაჰილთან მივიდა. ამრ იბნ ანემემი აქლემს უკან გაჰყვა. ზოგიერთი ადამიანი ამ აქლემის ამრზე დაბრუნების წინააღმდეგ გამოვიდა. შემდეგ კი მასში ასი აქლემი შესთავაზეს. როცა ალლაჰის შუამავალმა ეს ამბავი შეიტყო, მათ ასე უპასუხა:

31. მუსლიმი, სალათი, 12. აბუ დავუდი, სალათი, 36.

32. სურა ჰაჯჯი, აიათი 37.

33. სურა ჰაჯჯი, აიათი 37.





*„ჩვენ რომ ის საყურბნედ არ აგვერჩია, მაშინ თქვენს სურვილს შევასრულებდით!“<sup>34</sup>*

როგორც ვხედავთ, შუამავალმა ალლაჰისთვის ყურბნად დასაკლავი აქლემი ერთი ასშიც არ გაცვალა.

ამგვარად, ალლაჰის შუამავალი ყოველთვის ცდილობდა ალლაჰის სიდიადე ყველაფერზე მაღლა დაეყენებინა. ამ საკითხთან დაკავშირებით, გვინდა რამდენიმე მაგალითი შემოგთავაზოთ. ენესის გადმოცემის მიხედვით, ალლაჰის შუამავალი საპირფარეშოში შესვლის დროს ხელიდან ბეჭედს იხსნიდა, რომელზეც „ლაა ილააჰე ილლალლაჰ მუჰამმედურ რასულულლაჰ“ ეწერა.<sup>35</sup>

ერთხელ ბეიზ იბნ ჰაქიმმა სასირცხო ადგილების დაფარვის შესახებ ალლაჰის შუამავალს შეეკითხა. ალლაჰის შუამავალმა უპასუხა:

*„სასირცხო ადგილები, მეუღლის გარდა, ყველასგან დაიფარე!“*

აბდულლაჰ იბნ ომარმა ნამაზის მლოცველი ყველა მონის განთავისუფლება დაიწყო. ერთ-ერთმა ამხანაგმა იბნ ომარს უთხრა: შენ მიერ განთავისუფლებულმა მონათა უმრავლესობამ ნამაზი, მხოლოდ თავისუფლების გამო ილოცა, შენ კი ამას ვერ ამჩნევ. იბნ ომარმა თავის ამხანაგს მიუგო:

*„მე მზად ვარ დავრჩე მოტყუებული იმ ადამიანებისგან, რომლებიც ალლაჰის სახელს ამოფარებული იტყუებიან.“*

ჰუმანიზმითა და კაცთმოყვარებით აღსავსე აბდულლაჰ იბნ ომარმა სხვადასხვა მიზეზის გამო დასჯილი დაახლოებით ათასზე მეტი მონა გაანთავისუფლა.<sup>36</sup>

ერთი წმინდანი ბაშირი ჰაფი ახალგაზრდობაში ძალიან ცოდვიანი იყო. ერთმა შემთხვევამ კი შეცვალა მისი ცხოვრება. ერთხელ გზაზე ერთი ფურცელი ნახა, რომელზეც ალლაჰის სახელი ეწერა. მას აკოცა და თავზე დაიდო, შემდეგ მას კარგი სუნამო აჰკურა და შეინახა. იმ ღამეს სიზმარში მას ასეთი ხმა შემოესმა:

34. ვაქიდი, 2 – 614.

35. აბუ დავუდი, თაჰარეთი, 1.

36. იბნ ესირი, უსუდულ გაბე, 3 – 343.



*„ჩემს სახელს შენ კარგი სუნამო აპკურე, გაახვიე, დააფასე და ადიდე. ვფიცავ ჩემს ძღვევამოსილებას, ამისთვის მე შენ ორივე ქვეყნად დაფასებული მეყოლები.“*

გაიგონა რა ეს სიტყვები, ბაშრი წამოდგა ლოგინიდან, ალლაჰის წინაშე მოინანია და სულიერებით მისკენ შებრუნდა.<sup>37</sup>

## 2. შუამავალ მუჰამედის სიყვარული

შუამავალ მუჰამედს ისე ძლიერ უყვარდა ალლაჰი, რომ მისი სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია. ამასთანავე, არც ერთ მომაკვდავს არ ძალუძს ამ გრძნობის წვრილმან დეტალებში გარკვევა.

სიყვარული არის ცხოვრებაზე აზრის მიმცემი და ღვთაებრივი ელექსირი. ეს, ისეთი ამალღებული გრძნობაა, რომ ადამიანი მზად არის საკუთარი თავი მსხვერპლად გაილოს.

საყვარელ ადამიანთან შეხვედრის მოლოდინში გული ფეთქვას იწყებს. იუსუფ ჰამადანი გამოყოფს სიყვარულის ორ სახეს — ამაღლებულსა და ფიზიოლოგიურს. „პირველი — გაჩენილთა სიყვარულია, რომელიც ადამიანში ჭკუასუსტობასა და სიგიჟეს იწვევს, მეორე კი — გამჩენის მიმართ სიყვარულის გრძნობაა, რომელიც ადამიანის გულში სიმშვიდესა და სიამოვნებას წარმოშობს. ამიტომ ალლაჰის სიყვარულის გარდა, სხვა სიყვარული შესაფერისი არ არის.

ადამიანის სიყვარულის ცენტრი - გულია. ალლაჰმა ადამიანში ორი კი არა, ერთი გული გააჩინა<sup>38</sup> და ისიც მისი სიყვარულისთვის. ადამიანის გულში სიყვარულის ნამდვილი გრძნობა მხოლოდ ალლაჰის მიმართ შეიძლება არსებობდეს.

**„და არ დაუდგენია ალლაჰს კაცისთვის ორი გული ერთ სხეულში.“**

მაგრამ ადამიანის გულს ერთი განსაკუთრებული თვისება გააჩნია: ერთ წამში მას არ შეუძლია სულიერების უმაღლეს მწვერვალს მიაღწიოს. ამისათვის აუცილებელია თანდათანობით ამაღლება. ამიტომ ადამიანების ერთმანეთისადმი ჩვეულებრივი ლტოლვა და სიყვარული თამაშობს საფეხურების როლს თანდათანობით ალლაჰის სიყვარულისკენ სწრაფვის გზაზე. აუცილებელია აღინიშნოს არა უმ-

37. ათთარი, გვ. 128.

38. სურა აჰზაბი, აიათი 4.





ნიშვნელო დეტალი, არამედ საჭიროა განუწყვეტლივ ვუმადლოდეთ ალლაჰს ამაღლებული და ჭეშმარიტი სიყვარულის მონიჭებისათვის. ჩვენი საყვარელი მუჰამმედ შუამავალი, ამ საკითხთან დაკავშირებით, ალლაჰს შემდეგნაირად ევედრებოდა:

*„ჩემო ალლაჰო! გთხოვ შემიყვარო ისე, რომ ვუყვარდე შენ მონა-მსახურებს. გთხოვ ისეთი საქმე დამაკისრო, რომელიც მიმიყვანს შენს სიყვარულამდე! ღმერთო, უფრო გამიძლიერე შენდამი სიყვარული, ვიდრე ეს გრძნობა შეილების, ქონებისა და ცივი წყაროსადმი მაქვს!“<sup>39</sup>*

ნამდვილ მუსლიმანს, უეჭველია, უნდა უყვარდეს ალლაჰი, მარადიული და ჭეშმარიტი უდიდებულესობა.

*„დროებითი სიყვარულით გაბრწყინებული მზე მალე დაბნელდება, ალლაჰის სიყვარული კი მუდმივია და არასდროს ჩაქრება.“*

*„ამქვეყნიური ქმნილებების სილამაზე წარსულს ჩაბარდება, როგორც მზის ჩასვენება. მე კი მიყვარს ალლაჰი, ვინც მარადიულია. მე არ შემიძლია იმის სიყვარული, რასაც დავინწყება უნერია.“*

وَالَّذِينَ ءَامَنُوا أَشَدُّ حُبًّا لِلَّهِ

**„... მათ უყვართ ისინი, როგორც უნდა უყვარდეთ ალლაჰი...“<sup>40</sup>**

ეს მოთხოვნები წაყენებულია ჩვეულებრივი მორწმუნეებისათვის, მაგრამ არ შეიძლება იმ სიყვარულის ყოველმხრივ გაგება, როგორსაც განიცდიდა შუამავალი მუჰამმედი ალლაჰისადმი, ვინაიდან ის არის ღვთაებრივი სიყვარულის შუაგული.

ალლაჰის შუამავლის თვალებმა დაიპყრო არაერთი გული, ვინაიდან ამ თვალებზე მინიშნება გადმოცემულია ყურანის აიათში:

**„არ შემკრთალა მზერა და არ გათავხედებულა.“<sup>41</sup>**

მუჰამმედ შუამავალი ყველაფერს დიდ ყურადღებას აქცევდა, რაც ალლაჰის ხსენების მიზეზი ხდებოდა. ალლაჰთან დაახლოება მისი ყველაზე დიდი სურვილი იყო. როდესაც მას რომელიმე არსების

39. თირმიზი, დეავათი, 72.

40. სურა ბაყარა, აიათი 165.

41. სურა ნეჯმი, აიათი 17.





მიმართ სიყვარულის გრძნობა გაუძლიერდებოდა, ის ამ გრძნობის საზღვარს აკონტროლებდა. ამასთან დაკავშირებით, ენეს იბნ მალიქი გადმოგვცემს:

„ერთხელ, როცა ჩვენ ალლაჰის შუამავალთან ერთად ვისხედით, ციდან წვიმა წამოვიდა. წვიმის წვეთებს რომ დაესველებინა, მან საკინდი შეიხსნა და სხეული წვიმას შეუშვირა.

— *შუამავალო, ასე რატომ გააკეთე?— შევეკითხე მე.*

— *ეს წვეთები ალლაჰის წყალობათაგან ყველაზე ახალია და იმიტომ — მიპასუხა მან.<sup>42</sup>*

— მაშასადამე, სიყვარულის საზღვრები, და შესაძლებლობანი შეიძლება უსასრულოდ გავაფართოვოთ, დაწყებული სიყვარულის ობიექტით და ყველა ქმნილებით დამთავრებული. ზუსტად ასეთი სიყვარულის მწველ ალს გულისხმობდა იუნუს ემრე, რომელიც წერდა:

„გიყვარდეს გაჩენილი - გამჩენის ხათრისთვის.“ სიყვარულის ეს სახე არის აბსოლუტური და კიაფობს მწვერვალზე, რომელსაც მხოლოდ მუჰამმედ შუამავალმა მიაღწია, ვინაიდან მხოლოდ ის განასახიერებს იდუმალი ჭეშმარიტების უმაღლეს ცოდნას.

შუამავლისა და მისი თანამიმდევრების ალლაჰის მიმართ სიყვარულის გრძნობის გაძლიერების მიზეზი მის მიერ გამოგზავნილი აიათები იყო.

ნელ-ნელა ჩამომავალი ყურანის აიათები, ყოველ ჩამოსვლაზე ალლაჰის შუამავალსა და მის თანამიმდევრებს ნუგეშს აძლევდა, გაჭირვებას უმსუბუქებდა და ალლაჰის მიმართ სიყვარულის გრძნობას უძლიერებდა. ამ საკითხთან დაკავშირებით, შეიძლება ასეთი მაგალითი მოვიყვანოთ:

ალლაჰის შუამავლის გარდაცვალების შემდეგ, აბუ ბაქრმა ომარს მიმართა:

— ადექი, ალლაჰის შუამავლის ახლობელ უმმუ ეიმენესთან წავიდეთ, მის მსგავსად, ჩვენც მოვინახულოთ იგი.

სტუმრების დანახვაზე უმმუ ეიმენემ ტირილი დაიწყო. მათ ჰკითხეს:

42. მუსლიმი, ისტიკა, 13.



— რატომ ტირი? შუამავლისთვის ალლაჰთან არსებული წყალობა რომ უფრო ძვირფასია, არ იცი? უმმუ ეიმენმა უპასუხა:

— მე მაგის გამო არ ვტირი. ალლაჰთან არსებული წყალობა რომ შუამავლისთვის უფრო ძვირფასია, ეგ ვიცი. მე ალლაჰისგან ვაჰის<sup>43</sup> შეწყვეტის გამო ვტირი. მისმა წრფელმა სიტყვებმა აბუ ბაქრი და ომარიც დააფიქრა. შემდეგ, უმმუ ეიმენტან ერთად აბუ ბაქრი და ომარიც ატირდნენ.<sup>44</sup>

ისინი, ერთი მხრივ, ალლაჰის ბრძანებების შეწყვეტის გამო ტიროდნენ, რომლებიც მხოლოდ მუჰამედ შუამავალს გარდმოეცინებოდა და მეორე მხრივ, ალლაჰის მიერ საყვარელ შუამავალზე იმქვეყნად ნაბოძები წყალობის გახსენებით ნუგეშს პოულობდნენ. შუამავალი მთელი ცხოვრების განმავლობაში ალლაჰის განუზომელ სიყვარულს ატარებდა გულში და სიკვდილის შემდეგ მას უფრო დაუახლოვდა.

ერთ-ერთი თანამიმდევრის ალლაჰის მიმართ სიყვარულის გრძნობის გაძლიერების მაგალითი ასეთი იყო:

ალლაჰის შუამავალმა ერთხელ ის რაზმის ხელმძღვანელად დანიშნა, რომელსაც სამხედრო ინფორმაცია უნდა მოეპოვებინა. როგორც მეთაური, იგი თავის ამხანაგებს ნამაზს ალოცვებდა, მაგრამ ყოველი ლოცვის დროს ყურანის კითხვას სურა „ილასით“ ამთავრებდა. უკან დაბრუნებულმა ხალხმა, თავიანთი ხელმძღვანელის შესახებ, ალლაჰის შუამავალს უამბო.

ალლაჰის შუამავალმა მათ უთხრა: ნადით და თვითონ მას ჰკითხეთ, ასე რატომ აკეთებდა. თანამიმდევრები ასეც მოიქცნენ. პასუხი ასეთი იყო:

„ამ სურაში ალლაჰის თვისებებია მოცემული. ამიტომ მისი კითხვა ძალიან მიყვარს.“

როდესაც მისი პასუხი ალლაჰის შუამავალს გადასცეს, მან უთხრა: „გადაეცით მას, რომ ალლაჰსაც ის ძალიან უყვარს“.<sup>45</sup>

პატივცემულო მკითხველო, დაფიქრდი ამაზე! ალლაჰის შუამავალი ამბობს:

43. ვაჰი — ზეშთაგონება.

44. მუსლიმი, ფედაილუს საჰაბე, 103.

45. ბუჰარი, თევჰიდი, 1.



*„მე არ ვიყურებოდი აქეთ-იქით, მე არ ვუყურებდი ამქვეყნიურ ფასეულობებს“ ჩვენ ვიყავით მთვრალი არა ბალებითა და ნათესებით, არამედ ალლაჰის სიყვარულით, ვინც მორთო ეს ქვეყანა სხვადასხვა ფერებით.“<sup>46</sup>*

მუჰამმედ შუამავლის ალლაჰის მიმართ სიყვარული, მის შიშზე იყო დაფუძნებული, შიშზე, რომელიც ისევ მის სიყვარულს ეფუძნებოდა. ამის გამო, ის ალლაჰს ყოველთვის ასე ევედრებოდა:

*„ო, ღმერთო, ჩვენ გულებს და გრძნობებს შენ განაგებ! ჩვენი გულები შენს მორჩილად გვიქცეი და შენი სიყვარულით აგვივსე.“<sup>47</sup>*

ალლაჰის შუამავალს მთელი ცხოვრების განმავლობაში, ალლაჰის მიმართ ყველაზე ღრმა სიყვარული ჰქონდა და მასთან შეხვედრის სურვილი კლავდა. როდესაც მისი სიკვდილის დრო მოახლოვდა, ის ამ გრძნობით, სულიერების უმაღლეს მწვერვალზე იმყოფებოდა. მან თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულა, აიშე შემდეგნაირად გადმოგვცემს:

*„ალლაჰის შუამავალს სიცოცხლის ბოლო წუთებში თავი ჩემს კალთაში ედო. მე ალლაჰს ვევედრებოდი:*

*„ღმერთო დიდებულო! ავადმყოფობისგან განკურნე! ნამდვილი ექიმი, ნამდვილი გადამრჩენი, მხოლოდ შენ ხარ!“ შუამავალი კი ღმერთს შეევედრა:*

*„არა! სამოთხეში წამიყვანე. ღმერთო! ყველაფრისგან განმნმინდე! ღმერთო, გამასუფთავე და სამოთხეში წამიყვანე!“ ამგვარად განაგრძობდა ის ალლაჰის წინაშე ვედრებას.<sup>48</sup> სხვა თქმულების მიხედვით ჰადისში ნაბრძანებია:*

*„ალლაჰის შუამავალი, როცა ჯანმრთელი იყო, ხშირად ამბობდა:*

*„არც ერთი შუამავლის სული ცად არ ამალღდება ისე, ვიდრე სამოთხეში თავის ადგილს არ დაინახავს, მხოლოდ მას შემდეგ მიეცემა მას არჩევანის უფლება, ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ ცხოვრებას შორის.“*

46. მესნევი, ბეით: 3950-3954.

47. მუსლიმი, ქადერი, 17.

48. იბნ ჰანბელი, 108 – 231.





უკანასკნელი წუთების დადგომისას, თითქოს გული წაუვიდა, თვალები სახლის ჭერს მიაშტერა და თქვა:

*„ო, ჩემო ალლაჰო, სამოთხე!“*

ამ დროს მე გამახსენდა, რომ ალლაჰის შუამავალი არჩევანს იმქვეყნიურ ცხოვრებაზე აკეთებდა. მე მივხვდი, რომ შუამავლების შესახებ ნაამბობს ეხლა თვითონ განიცდიდა.<sup>49</sup>

### 3. მორჩილება

შუამავალი, ალლაჰის თაყვანისცემასა და სიყვარულთან ერთად, მის მიმართ სრულ მორჩილებასაც გრძნობდა. მორჩილება ალლაჰის მიერ ნაბრძანები ყოველი სიტყვის სრული რწმენაა ყოველგვარი მცირე ეჭვის გარეშე. ის ალლაჰის კანონების სანინააღმდეგოვნების სურვილების მიმართ თავშეკავებას ნიშნავს.

მორჩილება მხოლოდ უსაზღვრო ნდობის შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს. ამგვარი ნდობისთვის არსებას, რომელსაც უნდა ენდოს ადამიანი, სანდობისთვის საჭირო მახასიათებელი უნდა ახასიათებდეს. აქედან გამომდინარეობს, რომ მორჩილება, მხოლოდ ალლაჰის მიმართ არის შესაძლებელი. ამისათვის უპირველესად საჭიროა რწმენა იმისა, რომ მთელი ძალაუფლება მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის, მისი ნებართვის გარეშე არც ერთ სულიერს ძალა არ შესწევს რაიმეს გასაკეთებლად, ყველაფერი ალლაჰზეა დამოკიდებული, ხოლო ის არავისზეა დამოკიდებული და რომ არ არსებობს მისი მსგავსი ვინმე. ამის გამო, მსახურის ალლაჰისადმი მორჩილება, ალლაჰის შესახებ ცოდნა და მისი რწმენა, აუცილებელია. მორჩილება არის მსახურის გულით ალლაჰისკენ შემობრუნება. ეს მოქმედება რწმენით იწყება და მის გაძლიერებასთან ერთად უფრო ძლიერდება.

შუამავლის მორჩილება ალლაჰისადმი ყოველთვის მაღალ დონეზე იყო. მის ცხოვრებაში ამის უამრავი მაგალითია.

შუამავლის ჰიჯრის (გადასვლის) დროს, როგორც სევრის გამოქვაბულში, ასევე სურაყა იბნ ნეფველთან შეხვედრის დროს, ალლაჰის მიმართ გამოჩენილი ნდობა და მორჩილება განუმეორებელია. მექადან მედინაში ჰიჯრის პერიოდში, ურწმუნობმა ალლაჰის შუამავალსა და მის ამხანაგ აბუ ბაქრს დიდი ძალებით უკან დაედევ-

49. ბუჰარი, მეღაზი, 84. იბნ ჰანბელი, 6 – 89.





ვნენ. შუამავალი და აბუ ბაქრი სევრის გამოქვაბულში დაიმაღნენ. მდევრები გამოქვაბულის ირგვლივ მარჯვნივ თუ მარცხნივ დარბოდნენ, მათ ეძებდნენ და ყვიროდნენ:

— „ისინი გამოქვაბულში რომ შესულიყვნენ, ობობას ქსელი დაიშლებოდა და მტრედების დადებული კვერცხები დაიმტრევოდა.“ ამ მდგომარეობით აღელვებულმა აბუ ბაქრმა ალლაჰის შუამავალს უთხრა:

— მე რომ მოვკვდე, ამით არაფერი დაშავდება, ერთი ჩვეულებრივი კაცი ვარ და მეტი არაფერი, მაგრამ, შენ რომ რაიმე მოგივიდე, შენი თანამიმდევრები განადგურდებიან.“ ალლაჰის შუამავალი ნამაზს ლოცულობდა, აბუ ბაქრი კი მას იცავდა. აბუ ბაქრმა შუამავალს უთხრა:

— „ეს ხალხი შენ გეძებს. ვფიცავ ალლაჰს, რომ მე ჩემ გამო არ მეშინია. მე მხოლოდ შენზე ვფიქრობ.“ შუამავალმა უპასუხა:

*„აბუ ბაქრ, ნუ გეშინია! უეჭველია, რომ ალლაჰი ჩვენთან არის!“<sup>50</sup>*

გამოქვაბულის წინ მისულმა ურნმუნოებმა, ობობას ქსელის გარდა, ვერაფერი დაინახეს. პოეტი არიფ ნიჰათ ასიას ნათქვამის მიხედვით:

*„ის არ იყო არც წყალსა და არც ჰაერში,  
ის მათ ედგათ თვალებში,  
ვინც ვერ ხედავდა ჭეშმარიტებას!“*

გადასახლებულების მორალური მდგომარეობის შესახებ, ვის გარშემოც ტრიალებდა მტერი, უზენაესი ალლაჰი გვატყობინებს:

لَا تَحْزَنْ إِنَّ اللَّهَ مَعَنَا

**„ნუ სწუხხარ! უეჭველად, ალლაჰი ჩვენთანაა.“<sup>51</sup>**

ამ აიათით გამოხატულია ალლაჰთან ერთად ყოფნის საიდუმლო, ე.ი. მუდმივი ღვთაებრივი თანდასწრება.

50. ბუჰარი, ფედაილულ ასჰაბი, 2. მუსლიმი, ფედაილუს საჰაბე, 1.

51. სურა თეგბე, აიათი 40.





გამოქვაბულიდან წასულებს, უკან სურაყა იბნ ნეფველი გამოუდგა, რათა ასი აქლემის საფასურად, ისინი ურნმუნობისთვის გადაეცა. აბუ ბაქრი ამ ამბავს ასე გადმოგვცემს:

„ჩვენ მინდორში მივუყვებოდით გზას, ამ დროს სურაყა იბნ ნეფველი დავინახე, ჩვენკენ სწრაფად მოდიოდა. შუამავალს ვუთხარი, რომ ის გვიახლოვდებოდა. „ნუ გეშინია! ალლაჰი ჩვენთან არის!“ — მითხრა მან და სურაყას გამო ალლაჰს შეევედრა. სურაყას ცხენს წინა ფეხი მინაში ჩაერჭო და მხედარი ძირს გადმოაგდო. სურაყამ ალლაჰის შუამავალს მიმართა: ვიცი, რომ დამწყველეთ და ასე ამიტომ დამემართა. ახლა გთხოვ ჩემ გამო ალლაჰს შეევედრო და შენს ყველა მდევარს უკან გავაბრუნებ. შუამავალი ალლაჰს შეევედრა. სურაყამაც თავისი სიტყვა შეასრულა და ყველა მდევარი უკან გააბრუნა. მათ უთხრა, რომ მან იქაური ტერიტორიები დაათვალიერა, და საექვო ვერაფერი აღმოაჩინა.<sup>52</sup>

მუჰამმედ შუამავლის უზენაესი ალლაჰისადმი განსაკუთრებული მორჩილება, ამ მრავალტანჯულ მინაზე საკუთარი თავის მსხვერპლად გაღების მზადყოფნაზე იყო დაფუძნებული.

ალლაჰის ნებაზე მორჩილებამ მუჰამმედ შუამავალში მიაღწია იმ დონეს, რომ ის არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა ამ გზაზე შემხვედრ უამრავ ტანჯვას და წვალებას. ასეთი ნებისყოფა შუამალ მუჰამმედის ცხოვრების ყოველ წამს ახასიათებდა, ვინაიდან მას ალლაჰის ძლევამოსილება არასდროს ავიწყდებოდა.

ერთხელ მას ხელში ქვის კენჭი შეესო და სისხლი წამოუვიდა. ამაზე მის ბაგეებს შემდეგი სიტყვები აღმოხდა:

*„შენ მხოლოდ ერთი სისხლიანი თითი არა ხარ? (ეს შემთხვევით არ მომხდარა), შენ ალლაჰის გზაზე იმყოფები.“<sup>53</sup>*

ნდობისა და მორჩილების საკითხში ალლაჰის შუამავალმა და მისმა თანამიმდევრებმა საკმაოდ საოცარი მაგალითები აჩვენეს. გადმოცემის მიხედვით, ზოგიერთი ურნმუნო ბედირის ბრძოლისთვის შეკრებილ ისლამის ჯარისკაცებს, ურნმუნობის მიერ ძალიან მრავალრიცხოვანი ჯარის შეგროვების შესახებ ესაუბრებოდა და მათ გულში შიშის გრძნობის დათესვას ცდილობდა. მაგრამ, რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, მუსლიმებს სჯეროდათ ალლაჰის

52. ბუჰარი, მენაქიბ, 45. მუსლიმ, ზუჰდ, 75.

53. ბუჰარი, ედებ, 90. მუსლიმ, ჯიჰად, 112.





და თავიანთი გამარჯვებისა. მათ ურწმუნოების ჯარის მრავალრიცხოვნების გამო არავითარი შიში არ ჰქონიათ. ისინი ყოველთვის ამბობდნენ: „ალლაჰი ჩვენთვის საკმარისია, ის ყველაზე კარგი პატრონია!“ ასეთი ქცევის გამო ალლაჰმა ისინი ყურანში შეაქო:

الَّذِينَ قَالَ لَهُمُ النَّاسُ إِنَّ النَّاسَ قَدْ جَمَعُوا لَكُمْ  
 فَاخْشَوْهُمْ فَزَادَهُمْ إِيمَانًا وَقَالُوا حَسْبُنَا اللَّهُ وَنِعْمَ الْوَكِيلُ  
 فَانْقَلَبُوا بِنِعْمَةٍ مِنَ اللَّهِ وَفَضْلٍ لَمْ يَمَسُّهُمْ  
 سُوءٌ وَاتَّبَعُوا رِضْوَانَ اللَّهِ وَاللَّهُ ذُو فَضْلٍ عَظِيمٍ

„რომელთაც აუწყეს მორწმუნეებს: „უეჭველად, შეიკრიბა თქვენ წინააღმდეგ ხალხი, გეშინოდეთ მათი“. მაგრამ მათ რწმენა ემატებოდათ და ამბობდნენ: „ალლაჰი კმარა ჩვენთვის, და რა დიდებული მფარველია იგი“; და დაბრუნდნენ ალლაჰის ნყალობითა და მადლით, არ გაჰკარებიათ მათ სიამე, რადგან მიჰყვენენ ალლაჰის კმაყოფილებას. და ალლაჰი უსაზღვრო სიუხვის მფლობელია!“<sup>54</sup>

მუსლიმების ნათქვამი — „ალლაჰი ჩვენი პატრონია, მტრის რაოდენობა ვერაფერს დაგვაკლებს!“ — ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო იმისა, რომ მათ ყოველგვარი გასაჭირის გარეშე შეძლეს გამარჯვების მოპოვება. დიდი ღმერთი მასზე მინდობილ ადამიანებს იმედს არასდროს გაუცრუებს. ამიტომ მუსლიმანებისთვის მთავარი პირობა — რწმენის სიმტკიცე, ალლაჰის მიმართ სრული ნდობა და მორჩილებაა. ეს პრიორიტეტებია ყველაზე დიდი ძალა და გამარჯვების მიზეზი.

აბდულლაჰ იბნ აბბასის გადმოცემის მიხედვით, — „ალლაჰი ჩვენთვის საკმარისია, ის ყველაზე კარგი პატრონია“, — იბრაჰიმ შუამავალმა ცეცხლში ჩავარდნის დროს წარმოთქვა.

إِذْ قَالَ لَهُ رَبُّهُ أَسْلِمَ قَالَ أَسْلَمْتُ لِرَبِّ الْعَالَمِينَ

54. სურა „ალი-იმრანი“, 3/173-174, ვაჰიდი, გვ. 135.



„როცა უთხრა მას (იბრაჰიმს) ღმერთმა მისმა: იქმენ მუსლიმი (მორჩილი)! მიუგო მან: ვიქმენ მუსლიმი (მორჩილი) სამყაროთა ღმერთისა!“<sup>55</sup>

ალლაჰის შუამავალმაც ეს სიტყვები მაშინ წარმოთქვა, როდესაც ურნმუნობმა უთხრეს: „მტერი თქვენ წინააღმდეგ შეიკრიბა, სასწრაფოდ თავს უშველეთ!“ ამან მუსლიმების რწმენა უფრო გააძლიერა, მათ ერთხმად შესძახეს: „ალლაჰი ჩვენთვის საკმარისია და ჩვენი ყველაზე კარგი პატრონია.“ ამით მათ ალლაჰისადმი უსაზღვრო ნდობისა და მორჩილების მაგალითი აჩვენეს.

ალლაჰის შუამავლის ძალზე დუხჭირი ცხოვრების პერიოდი, ალლაჰის მიმართ ნდობის საოცარი მაგალითებითაა აღსავსე. ამ მაგალითების დანახვა ყველაზე პატარა დეტალებშიცაა შესაძლებელი. აბუ საიდ ელ ჰუდრის გადმოცემის მიხედვით, ერთი კაცი ალლაჰის შუამავალთან მივიდა და უთხრა:

„ჩემს ძმას მუცელი სტკივა, როგორ მოვიქცე?“ შუამავალმა უპასუხა:

„მას თაფლიანი წყალი დააღვინე!“ იმ ადამიანმა შუამავლის ნათქვამი შეასრულა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაბრუნდა და უთხრა:

„თაფლიანი წყალი დავაღვინე, მაგრამ მან ტკივილები მოუმატა. ის ადამიანი ჩივილით სამჯერ მოვიდა და წავიდა. ბოლოს ალლაჰის შუამავალმა მას უთხრა:

„უეჭველია, ალლაჰი მხოლოდ სიმართლეს ამბობს, შენი ძმა კი ტყუის!“ შემდეგ იმ ადამიანმა კიდევ ერთხელ დააღვინა თავის ძმას თაფლის წყალი და მას ტკივილებმა გაუარა.“<sup>56</sup>

ყურანში ნაბრძანებია:

يُخْرِجُ مِنْ بُطُونِهَا شَرَابًا مُخْتَلِفًا أَلْوَانُهُ فِيهِ شِفَاءٌ لِلنَّاسِ

„შემდეგ მიირთვი ნაყოფნი ყოველგვარი და ასეთნაირად შენი ღმერთის გზებს დაადექი, რომელიც ხსნილია შენთვის.“ მისი მუცლი-

55. სურა ბაყარა აიათი 131.

56. ბუჰარი, ტიბ. 4. მუსლიმი, 91.



**დან გამოდის სხვადასხვა ფერის სასმელი , რომელშიც ხალხთათვის განკურნებაა. უეჭველად, ამაშია სასწაული გონიერ ხალხთათვის!** <sup>57</sup>

შუამავლის ცხოვრებაში, ალლაჰის მიმართ მისი ნდობისა და მორჩილების მსგავსი მაგალითები, სხვა შუამავლებსა და ღრმად-მორწმუნე ადამიანებშიც ჩანს. ასეთი ერთ-ერთი მაგალითი ჰაჯერია. შუამავალი მისი ნდობისა და მორჩილების შესახებ გადმოგვცემს:

„იბრაჰიმ შუამავალმა ჰაჯერი და ჯერ კიდევ ჩვილი ისმაილი მექაში ჩაიყვანა. მან ცოლსა და შვილს ცოტაოდენი ხურმა და წყალი მიუტანა. შემდეგ ისინი იქ დატოვა და თვითონ წავიდა. როდესაც ეს ჰაჯერმა შენიშნა, მას დაუძახა და ჰკითხა: „ამ უდაბნოში მარტოდ-მარტო, საჭმელ-სასმელის გარეშე უპატრონოდ გვტოვებ და შენ სად მიდიხარ?“ ეს შეკითხვა რამდენჯერმე გაუმეორა ჰაჯერმა იბრაჰიმ შუამავალს, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. ბოლოს შეკითხვა სხვაგვარად დაუსვა:

„ამის გაკეთება შენ ალლაჰმა გიბრძანა?“ ამ შეკითხვაზე იბრაჰიმ შუამავალმა უპასუხა:

„დიახ, ალლაჰმა მიბრძანა.“ მოესმა რა ეს სიტყვები, ჰაჯერი დანყნარდა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

„თუ ასეა, მაშინ ჩვენ ალლაჰი დაგვიცავს!“

ამის შემდეგ ის დარჩა, იბრაჰიმ შუამავალი კი წავიდა. როდესაც ისეთ ადგილას გავიდა, სადაც ვერავინ ხედავდა, სახით ქააბას მიმართულებით შებრუნდა, ხელები მაღლა ალაპყრო და ალლაჰს შემდეგნაირად შეევედრა:

**„ღმერთო ჩვენო! უეჭველად, მე დავასახლე ნაწილი ჩემი შთამომავლებისა უნაყოფო ხეობაში , შენი წმინდა სახლის მახლობლად, რათა ლოცვა აღავლინონ. ზოგი ადამიანის გულში გააღვივე მათდამი კეთილგანწყობა, და ნაყოფთაგან უწყალობე სარჩო, ეგების შეიქმნან მადლიერნი!** <sup>58</sup>

ჰაჯერისა და იბრაჰიმის მიერ, ალლაჰის ბრძანების მიხედვით, მის მიმართ ნდობისა და მორჩილების გამომხატველი ნაბიჯების გადადგმის მაგალითები ჩვენთვის ძალიან ბევრისმთქმელია. ამ მორჩილების წყალობით, ალლაჰმა ის მიდამო შესანიშნავ ადგილად

57. სურა „ან-ნაჰლი“ 16/69.

58. იბრაჰიმი, 14-37; ბუჰარი, ენბია 9.



აქცია. იქ დღესაც სრულდება ჰაჯობის დიდი დღესასწაული და ეს ტრადიცია ქვეყნიერების აღსასრულამდე გაგრძელდება. ასეთი ძლიერი მოთმინებისა და მორჩილების გამო ამ წმინდანების სახელები ისლამის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა.





## II. მუჰამმედ შუამავლის მიერ ალლაჰის კანონების პატივისცემა

ვფიცავ ალლაჰს, რომ მე თქვენზე უფრო ღვთისმოშიში და თაყვანისმცემელი ვარ!”

ბუჰარი, ნიქაჰი, 1.

ალლაჰის კანონები მისი საყვარელი შუამავლისთვის შთაგონების სახით გამოგზავნილი ვალდებულებებია. მუჰამმედის შუამავლად გამოგზავნის მიზეზი, ალლაჰის ბრძანებებისა და აკრძალულების შესაბამისი სანიმუშო ცხოვრების ჩვენება, და მათი პრაქტიკული განხორციელებაა.

შუამავალმა მთელი თავისი ცხოვრება ალლაჰის მეთვალყურეობითა და ყველაზე ძვირფასი ადამიანის სახელით გაატარა. მისი განსხვავებული თვისებები, როგორც საკუთარი თავის, ისე სხვა ადამიანებთან მიმართებაში, აშკარად ჩანდა. შუამავლის წარმატება, ალლაჰის სიყვარულის, მისდამი მორჩილებისა და ღრმა რწმენის საფუძველზე განხორციელდა. ადამიანებს შორის ალლაჰის ყველაზე კარგი მცოდნე, მისი ყველაზე მოშიში და ბრძანებებისა და აკრძალულების სამაგალითო შემსრულებელი მუჰამმედია (ს.ა.ვ.).

### 1. შუამავალ მუჰამმედის სიფაქიზე

უდიდესი ალლაჰის კანონები განსხვავებული და მნიშვნელოვანია. შუამავალს თავისი ცხოვრების განმავლობაში ალლაჰის ყველა კანონზე განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული. მრავალგვარი გაჭირვების მიუხედავად, მას ყველა კანონი შესრულებული აქვს.

შუამავალს ალლაჰის კანონებთან დაკავშირებით გამოჩენილ დიდ ყურადღებასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული ალლაჰის მსახურების მიმართ. ალლაჰი ბრძანებს:



„...მეძავი ქალი და მეძავი კაცი - თითოეული გაროზგეთ ასჯერ, არ შეიბრალოთ ისინი ალლაჰის რჯულისათვის, თუ გნამთ ალლაჰი.“<sup>59</sup>

ალლაჰის ასეთ ბრძანებასთან დაკავშირებით შუამავალმა ბრძანა:

*„თქვენ, ალლაჰის მიერ ადამიანის დასჯა, თქვენი ახლობელი იქნება თუ არა, კარგად შეაჯერეთ! ალლაჰის მიერ გატარებულმა კანონებმა ან რომელიმე მათგანის გაკიცხვამ არ შეგაყოვნოთ!*

*ალლაჰის ბრძანების შესრულება, რომელიც დამნაშავეების დასჯას ეხება, უკეთესია, ვიდრე ორმოცი დღის შემდეგ მისივე წყალობით მოსული წვიმა.“<sup>60</sup>*

შუამავლის მხრიდან, ალლაჰის რომელიმე ბრძანების შესრულებისას ნელა მოქმედება ან გულგრილობა გამორიცხული იყო. ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება ერთი მაგალითი მოვიყვანოთ:

ერთხელ, ყურაიშები, შენი მაჰზუმის ტომში ბინადარი ერთი დედაკაცის ქურდობის გამო ძალიან დაღონდნენ. ერთმანეთში მოითათბირეს, და გადანყვიტეს ამ სამარცხვინო ამბის შესახებ ალლაჰის შუამავალზე მისთვის ძალიან საყვარელ უსამე იბნ ზეიდს მოეთხრო. უსამე იბნ ზეიდა ალლაჰის შუამავალს ყველაფერი დაწვრილებით უამბო. შუამავალმა კი მას ასე უთხრა:

*„ალლაჰის მიერ დაწესებული კანონის დარღვევის გამო, ჩემთან მოლაპარაკებას ანარმოებ?“ შემდეგ ფეხზე ადგა და ხალხს მიმართა:*

*„თქვენზე ადრე მოსული ხალხი ასეთი რამეების გამო განადგურდნენ. მათ შორის რომელიმე კარგი გვარის, გავლენიანი ადამიანი რომ ქურდობას ჩაიდენდა, ის არ უნდა დასჯილიყო, და თუ რომელიმე გაჭირვებული ან უპატრონო მას ჩაიდენდა, ის, რა თქმა უნდა, დაისჯებოდა. ვფიცავ ალლაჰს, რომ ჩემს შვილს-ფატიმას რომ ქურდობა ჩაედინა, მას მე თვითონ დავსჯიდი.“<sup>61</sup>*

ყურანში ნაბრძანებია:

**„ამისთვის დავუნერეთ ისრაილის შვილთ, რომ ვინც მოჰკლას ადამიანი არა ადამიანის წილ და არა ქვეყანაზე უკეთურობის გასან-**

59. სურა ნური, აიათი 2.

60. იბნ მაჯე, ჰუდუდი 3.

61. ბუჰარი, ენბია, მუსლიმი, ჰუდუდი, 8, 9.





მენდად, თითქოსდა მთელი ხალხი ამოენყვიტოს. და ვინც ადამიანს სიცოცხლეს შეუნარჩუნებს, თითქოსდა მთელი ხალხისთვის შეენარჩუნებინოს სიცოცხლე. ფვიცავ! ჩვენი შუამავალნი უკვე იყვნენ მათთან მისულნი ცხადი მტკიცებებით, მაგრამ ამის შემდგომაც, უეჭველად, ბევრი იმათგანი მაინც განაგრძობდა დედამინაზე ზღვარგადასულობას“.<sup>62</sup>

ამ საკითხთან დაკავშირებით, ალლაჰის შუამავალი ძალიან დიდ ყურადღებას იჩენს, რომლის მაგალითსაც მიყდად ბინ ესვედი მოგვითხრობს:

„ალლაჰის შუამავალს ვუთხარი:

— ერთ ურნმუნო ადამიანს რომ შევხვდე და მასთან ბრძოლა მომიხდეს, შემდეგ მან ბრძოლაში ხანჯლით ერთი მკლავი მომკვეთოს, შემდეგ კი ჩემგან თავის გადასარჩენად ხეს ამოეფაროს და მითხრას: „მე ალლაჰის ხათრისთვის გაგმუსლიმანდიო“ — ამის შემდეგ მისი მოკვლის უფლება მაქვს თუ არა?

შუამავალმა დაუფიქრებლად მიპასუხა:

— არავითარ შემთხვევაში არ მოკლა იგი!

— შუამავალო, იმ ადამიანმა ხომ მკლავი მომაჭრა, შემდეგ კი ჩემი შიშის გამო მითხრა ასეთი სიტყვა. შუამავალმა გაიმეორა:

— არ მოკლა! თუ მას მოკლავ, თქვენი მდგომარეობები გაიცვლება და შენც ისეთივე გახდები, როგორც ის იყო გამუსლიმანებამდე!“<sup>63</sup>

უსამე იბნ ზეიდის მიერ გადმოცემული კიდევ ერთი მსგავსი ჰადისის ასეთია:

„ალლაჰის შუამავალმა ჩვენ ჯუჰეინეს ტომისგან განაყოფი პურაყას გვარის წინააღმდეგ საომრად გაგვაგზავნა. დილას მათ თავს დავესხით. მე და ანსარის გვარის ერთი ადამიანი ერთ-ერთ მათგანს დავენიეთ. როცა ის გადავთელეთ, მან „ლაა ილაჰე ილლელაჰ“ — თქვა. ამის შემდეგ, ჩემმა ამხანაგმა მას თავი დაანება, მე კი მოვკალი. როდესაც მედინაში ჩამოვედით, ეს ამბავი ალლაჰის შუამავალამდე მივიდა. მან დამიძახა და მითხრა:

62. სურა მაიდე, აიათი 32.

63. ბუჰარი, მელაზი, 12. მუსლიმი, იმანი, 155.



— უსამე! „ლაა ილააჰჰე ილლელლაჰის“ თქმის შემდეგ ადამიანი როგორ მოკალი?

მე ვუპასუხე:

— შუამავალო, მან ეს სიტყვები მხოლოდ შიშის გამო თქვა. მან კიდევ ერთხელ მკითხა:

— „ლაა ილააჰჰე ილლელლაჰის“ თქმის შემდეგ შენ ადამიანი მოკალი, მისი გული შუაზე გაჭერი, ჩაიხედე და მიხვდი, რისთვის თქვა მან ეს სიტყვები?“

— ეს სიტყვები იმდენჯერ გამიმეორა, რომ მე ვთქვი — „ნეტავ, ადრე კი არა, ახლა გავმხდარიყავ მუსლიმანი-მეთქი“.<sup>64</sup>

აღლაჰი ყურანში ბრძანებს:

يَا أَيُّهَا الَّذِينَ آمَنُوا إِذَا ضَرَبْتُمْ فِي سَبِيلِ اللَّهِ فَتَبَيَّنُوا وَلَا

تَقُولُوا لِمَنْ أَلْفَىٰ إِلَيْكُمْ السَّلَامَ لَسْتَ مُؤْمِنًا تَبْتَغُونَ

عَرَضَ الْحَيَاةِ الدُّنْيَا فَعِنْدَ اللَّهِ مَغَانِمٌ كَثِيرَةٌ

كَذَلِكَ كُنْتُمْ مِنْ قَبْلُ فَمَنْ اللَّهُ عَلَيْكُمْ

فَتَبَيَّنُوا إِنَّ اللَّهَ كَانَ بِمَا تَعْمَلُونَ خَبِيرًا

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! როცა გაეშურებით (საბრძოლველად) აღლაჰის გზაზე, განასხვავეთ (მორწმუნე ურწმუნოსაგან) და ამქვეყნიური სიუხვის მოხვეჭის სურვილით არ უთხრათ იმას, ვინც მშვიდობას შემოგთავაზებთ: შენ არა ხარ მორწმუნე! მაშინ, როცა აღლაჰთანაა ურიცხვი ალაფი. ასეთი იყავით უნინ, მაგრამ აღლაჰმა წყალობა მოიღო თქვენზე. ამიტომ გაიაზრეთ, უეჭველად, აღლაჰი უწყის რასაც სჩადიხართ!“<sup>65</sup>

64. ბუჰარი, დიათი, 2. მუსლიმი, იმანი, 158-159.

65. სურა ნისა, აიათი 94.





როგორც ისტორიკოსები გვანცნობენ, ეს აიათები ზემოთ მოტანილი ეპიზოდების გამო იქნა გარდმოვლენილი.<sup>66</sup>

ალლაჰის შუამავალმა ამ მაგალითების საშუალებით გვიჩვენა, რომ ალლაჰის ბრძანების შესასრულებლად მას არავითარი დაფიქრება არ დასჭირვებია და თითოეულ მათგანს დიდი გულმოდგინებით ასრულებდა.

## 2. სიფრთხილე ისლამის მიხედვით

ჰარამთან და ჰალალთან დამოკიდებულებაში

*„ასეთია საზღვრები (კანონები) ალლაჰისა მათ არ მიუახლოვდეთ!“*

*სურა ბაყარა, აიათი 187.*

ალლაჰის შუამავალი, ჰარამსა და ჰალალთან მიმართებაში უაღრესად მორჩილი იყო. აიშე შუამავლის ამ თვისებას ასე იგონებს:

„ალლაჰის შუამავალს, როცა ორი რამისგან ერთ-ერთის გაკეთების არჩევანის საშუალება მიეცემოდა, თუ ცოდვა არ იყო, ის ყოველთვის უფრო იოლს აირჩევდა და გააკეთებდა. თუ ის საქმე ცოდვა იყო, მაშინ მისგან ყველაზე შორს თვითონ დადგებოდა.“<sup>67</sup> ჰარამის მოგებისგან შორს დადგომა ალლაჰის შუამავლის ერთ-ერთი რჩევა და თხოვნაა მუსლიმანების მიმართ. იგი ჰადისში ასე ბრძანებს:

*„სამოთხის ხალხი სამი სახისაა: სამართლიანი, და წარმატებული ქვეყნის მეთაური; ნათესავებისა და მუსლიმანების მიმართ შემწყნარებელი; კეთილი და მრავალრიცხოვანი ოჯახის მქონე, ჰარამისგან შორს მდგომი, სხვისგან არაფრის მომთხოვნი და ოჯახის ამ გზით მარჩენალი ადამიანი.“<sup>68</sup>*

ჰადისში ნახსენები სამოთხის მესამე სახის ადამიანების ორი პრინციპის შესახებ ითქვა, რომ ერთი — ვინმესგან არაფრის მო-

66. ვაჰიდი, გვ. 175-177.

67. ბუჰარი, მენაყიბი, 23.

68. მუსლიმი, ჯენნეთი, 63.





თხოვნაა, მეორე — ჰარამისგან შორს ყოფნა. ადამიანს მუდმივი ცხოვრების დამსახურებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მას ევალება არასდროს არ უნდა დაავიწყდეს. ამისათვის საჭიროა საკუთარი შვილები ჰალალ ლუკმით გაზარდოს, ჰარამისგან ოჯახი დაიცვას და ალლაჰის მსახურის სახელი არ შეარცხვინოს. ასეთ ადამიანს ალლაჰი მუდმივ ცხოვრებაში მისცემს ყოველივე კარგს და უღლე ქონებას. ალლაჰის შუამავალმა, ამით თავის თანამიმდევრებს მოუწოდა ისეთივე ცხოვრებისაკენ, როგორც მას ჰქონდა ამქვეყნად დიდი ქონების ინტერესი მას არასდროს ჰქონია, რადგან იცოდა, ის არავითარ შედეგს არ მიუტანდა.

*ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „ისეთი დრო უნდა მოვიდეს, რომ ადამიანი მოგებულის შესახებ, ჰალალია თუ ჰარამი, საერთოდ არ დაფიქრდება.“<sup>69</sup>*

ჰარამისა და ჰალალის შესაბამისი აღზრდისათვის შუამავალს პატარა ასაკის მუსლიმანი ბავშვებისთვის დიდი მნიშვნელობა მიუცემია და ცუდი საქციელის ჩადენისგან ისინი დაუცავს. ერთ ჰადისში შუამავალი ასე ბრძანებს:

*„ბავშვებს ფულის მოგება არ დაავალეთ, რადგან ამას თუ მათგან აუცილებლად მოითხოვთ, შეიძლება მოიპარონ. თუ მათ ხელობა არა აქვთ, ნუ დაავალებთ რაიმეს, რადგან ისინი მერე ნამუსით ფულის მოგებას დაინწყებენ. მათ მოგებულ ფულს მნიშვნელოვნად ნუ ჩათვლით, რათა ბოლოს მათზე დამოკიდებული არ დარჩეთ. თქვენ მხოლოდ სუფთა და ჰალალი მოგიხდებათ.“<sup>70</sup>*

ჰარამი, როგორც ადამიანებთან შეგარცხვენს, ალლაჰის წინაშეც დაგიკარგავს ფასს. ალლაჰი ასეთი ადამიანის ვედრებასაც არ მიიღებს. ალლაჰის შუამავალი ბრძანებს, რომ ადამიანის გაკეთებული ვედრება, რომ ალლაჰმა შეისმინოს, მან ჰალალსა და ჰარამს დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს. ეს შუამავალმა მრავალჯერ აღნიშნა. მისი ერთ-ერთი მაგალითი ასეთია:

*„ალლაჰი სუფთაა, ამიტომ ის მხოლოდ სუფთას მიიღებს. მანც რაც შუამავლებს უბრძანა, ის სხვა ადამიანებისთვისაც ბრძანა. ალლაჰი შუამავლებს მიმართავს:*

69. ბუჰარი, ბუიუ 7, 23.

70. მუვათთა ისტიზანი, 42.





## يَا أَيُّهَا الرُّسُلُ كُلُّوا مِنَ الطَّيِّبَاتِ

„ჰეი, შუამავალნო! იგემეთ სუფთანი და აკეთეთ სიკეთე. უეჭველად, მე ვუნცი იმას, რასაც აკეთებთ“<sup>71</sup>

## يَا أَيُّهَا الَّذِينَ ءَامَنُوا كُلُّوا مِنْ طَيِّبَاتِ مَا رَزَقْنَاكُمْ وَاشْكُرُوا لِلَّهِ

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ჭამეთ, რაც რამ კარგი საზრდო მოგმადლეთ და მადლობა შესწირეთ ალლაჰს, თუკი თქვენ მხოლოდ მას სცემთ თაყვანს!“<sup>72</sup>

ადამიანი, რომელიც ალლაჰის გზაზე იბრძვის, დიდი დროის განმავლობაში შორს არის წასული, ბრძოლის გამო თავი მოუნეროვებული, ხოლო ტანსაცმელი დამტვერილი აქვს, მაგრამ ის ჰარამს არ ერიდება, ალლაჰის წინაშე ხელებს ალაჰყრობს და შეევედრება, მის ვდრებას ალლაჰი როგორ შეისმენს?! როცა მისი ნაჭამ-ნასვამი ჰარამია“.<sup>73</sup>

მუჰამედ შუამავლის კრიტიკიუმები აკრძალულთან დაკავშირებით მკაფიოდაა განსაზღვრული. ზემოთ მოტანილი ჰადისის მიხედვით, ადამიანმა რამდენი სიკეთეც არ უნდა აკეთო, ალლაჰის გზაზე თავი გასწირო, შენი სახლიდან ძალიან შორს წახვიდე, თუ ჰარამს არ ერიდები, ყოველ შენს საქმეს ალლაჰის წინაშე ფასი ეკარგება და ამიტომაც შენს ვედრებას ის არ შეისმენს. მუსლიმანი ადამიანისთვის ამქვეყნად ყველაზე მთავარი მოვალეობაა სისუფთავე, რწმენასთან ერთად საჭირო ბრძანებების შესრულება და სუფთა, ჰალალი ლუკმით საზრდოობა, რაც მის როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ განმწმენდას ნიშნავს.

შუამავლის მიერ ჰალალისა და ჰარამის შესახებ დიდი ყურადღების გამოჩენა შემდეგ ჰადისშიც ნათლად ჩანს. აბუ რუჰმ ელლიფარი გადმოგვცემს:

„ჰაიბერში იმ დროს, ჩავედით როცა ხურმა ჯერ კიდევ მკვახე იყო. ჰაიბერი ძალიან ცხელი და საშიში ადგილი იყო. ყველას ძალიან მოგვვივდა. ციხე თითქმის ალყაში იყო მოქცეული, როცა იქიდან

71. სურა მუმინუნი, აიათი 51.

72. სურა ბაყარა აიათი 172.

73. მუსლიმი, ზეჟათი, 65.





ოცი ან ოცდაათი ვირი გარეთ გამოვიდა. ებრაელებმა ისინი შიგნით ვერ შეიყვანეს. მუსლიმანებმა დაიჭირეს და დაკლეს, შემდეგ ცეცხლი დაანთეს და ხორცის შენვა დაიწყეს. შუამავალმა ჰკითხა:

— რას ნიშნავს ეს ცეცხლი, რატომ დაანთეთ?

— ხორცის შესანვავად! — უპასუხეს მათ.

— რომელი ხორცის? — ჰკითხა შუამავალმა.

— ვირის ხორცის შესანვავად!

ამის გაგონებაზე შუამავალმა მათ უბრძანა:

— სასწრაფოდ დააქციეთ კერძი და ჭურჭელიც დაამტვრიეთ!

თანამიმდევართაგან ერთ-ერთმა შუამავალს ჰკითხა:

— შუამავალო, ხორცი რომ დავაქციოთ და ჭურჭელი გავრეცხოთ არ შეიძლება?

— კარგი, ასე მოიქეცით! — უპასუხა ალლაჰის შუამავალმა.<sup>74</sup>

აქ ყურადღების მისაქცევი და მთავარი ის არის, რომ მოქმედება ხდება ომის დროს. შიმშილით ძლიერ შეწუხებული არიან ადამიანები. ამის მიუხედავად, ალლაჰის შუამავალმა ჰარამის ქამის ნება მათ არ მისცა. თანამიმდევრებმაც შუამავლის ბრძანება დაუყონებლივ შეასრულეს.

ჰარამის ქამასთან დაკავშირებით ალლაჰის შუამავალმა, მთელი თავისი სიცოცხლე დიდი სიფრთხილით გაატარა. გზად მიმავალი ყოველთვის დაბლა იხედებოდა, რადგან მხოლოდ ჰარამის კი არა, საეჭვო რამის დანახვასაც თავს არიდებდა. თავის თანამიმდევრებსაც იგივე რჩევებს აძლევდა. თანამიმდევართაგან ჯერრიმ ალლაჰის შუამავალს ჰარამის წამიერად დანახვის შესახებ ჰკითხა. შუამავალმა უპასუხა:

„თვალი სასწრაფოდ სხვა მხარეს შეაბრუნე!“<sup>75</sup>

უმმუ სელემეს მიერ გადმოცემული ეს ჰადისიც არანაკლებ საინტერესოა:

74. ბუჰარი, მეღაზი. მუსლიმი, ჯიჰადი, 123.

75. მუსლიმი, ადაბი, 45.



„ალლაჰის შუამავლის გვერდით ვიყავი. მეიმუნეც იქ იყო. ამ დროს იბნ უმმუ მექეთუმი შემოვიდა. ეს ამბავი ქალების თავის დახურვის ბრძანების შემდეგ მოხდა. შუამავალმა ჩვენ გვითხრა:

— ფარდის უკან დაიმაღეთ!

— ის ხომ ბრმაა, შუამავალო, ჩვენ მაინც ვერ დაგვინახავს?!

შუამავალმა გვიპასუხა:

— თქვენც ბრმა ხართ, მას ვერ დაინახავთ?“<sup>76</sup>

ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითებში ალლაჰის შუამავლის მხრიდან ჰარამთან დაკავშირებით გამოჩენილი დიდი სიფრთხილე ჩანს, რის გაკეთებასაც თავის მიმდევრებისგანაც მოითხოვს.

ალლაჰის შუამავალმა თანამიმდევრები ჰალალის ჰარამად და ჰარამის ჰალალად ჩათვლის მსგავსი საკითხების შესახებაც გააფრთხილა. იბნ აბბასი ამ საკითხთან დაკავშირებით გადმოგვცემს:

„ერთი კაცი ალლაჰის შუამავალთან მივიდა და უთხრა:

— ხორცის ჭამის შემდეგ ქალების მიმართ სქესობრივი ლტოლვა მიძლიერდება, ამიტომ საკუთარ თავს მისი ჭამა ჰარამად გამოვუცხადე.

ამის გამო ალლაჰისგან აიათი ჩამოვიდა:

يَا أَيُّهَا الَّذِينَ ءَامَنُوا لَا تَحْرِمُوا طَيِّبَاتِ مَا أَحَلَّ اللَّهُ لَكُمْ وَلَا تَعْتَدُوا إِنَّ اللَّهَ

لَا يُحِبُّ الْمُعْتَدِينَ

وَكُلُوا مِمَّا رَزَقَكُمُ اللَّهُ حَلَالًا طَيِّبًا وَاتَّقُوا اللَّهَ الَّذِي أَنْتُمْ بِهِ مُؤْمِنُونَ

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ აიკრძალოთ სიამენი, რომელზეც ალლაჰმა ნება მოგცათ თქვენ, მაგრამ არ გადახვიდეთ ზღვარს. უეჭველად, ალლაჰს არ უყვარს ზღვარგადასულნი. და ჭამეთ რაც რამ გიბოძათ ალლაჰმა ნებადართული და საამო. გეშინოდეთ ალლაჰისა, რომლისაცა მოწამენი ხართ თქვენ!“<sup>77</sup>

76. აბუ დაფუდი, ლიბასი, 34.

77. სურა მაიდე, აიათები 87-88; თირმიზი, თეფსირი, 5-14.



ზემოთ მოტანილი აიათით აშკარად ნათელია, რომ ალლაჰის მიერ ნაბოძები ჰალალი სარჩოს თვითნებურად ჰარამად გამოცხადების უფლება ადამიანს არ გააჩნია.

ფაჰრეთინ რაზი ამ აიათს შემდეგნაირ განმარტებას აძლევს:

1. ალლაჰის მიერ თქვენთვის მოცემული ჰალალი ჰარამად არ აქციოთ!

2. ალლაჰის მიერ მოცემული ჰალალის შესახებ ჰარამი სიტყვა არც წამოგცდეთ!

3. ალლაჰის მიერ ნაბოძებ ჰალალს, ჰარამის მსგავსად, თავი არ აარიდოთ!

4. პასუხის გაცემის დროს, ჰალალი სხვისთვის ჰარამად არ აქციოთ!

5. ნუ შეურევთ ერთმანეთში საკუთარ შრომით მოპოვებულ და მოტაცებულ ქონებას,

6. მიტაცებული ქონება, საკუთარი ქონებისგან, შეძლებისდაგვარად შორს დაიჭირეთ, რადგანაც ასეთმა ქმედებამ შეიძლება ჰალალი ჰარამად აქციოს!

აიათში ნახსენები „გადაჭარბების“ მნიშვნელობა ჰალალის ჰარამად გამოცხადებას ნიშნავს. ე.ი. „რადგან თქვენ ყველაფერი სუფთა ალლაჰმა ჰალალი გაგიხადათ, ეს იკმარეთ და ჰარამს არ გაეკაროთ!“

სურა „თაჰრიმში“ ალლაჰი ბრძანებს:

يَا أَيُّهَا النَّبِيُّ لِمَ تُحَرِّمُ مَا أَحَلَّ اللَّهُ لَكَ تَبْتَغِي مَرْضَاةَ أَزْوَاجِكَ

„ჰეი, შუამავალო! რატომ იკრძალავ ცოლების კმაყოფილების მოპოვების სურვილით იმას, რაც ნება დართულ ჰყო ალლაჰმა შენთვის? უეჭველად, ალლაჰი მიმტყეებელია, მწყალობელია!“

ალლაჰის შუამავლის გარდაცვალების შემდეგ, მისმა მიმდევარმა წმინდანებმა ჰარამისგან უალრესად შორს დაიჭირეს თავი. თავგადასავალი ამ თემასთან დაკავშირებით, ძალზე საინტერესოა იბრაჰიმ ეთემის მაგალითი:





აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ადამიანის ცხოვრებაში ჰალალი და ჰარამი ძალიან მნიშვნელოვანი რამ არის. ადამიანმა ამ საკითხს აუცილებლად დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს.

### 3. ადამიანის უფლებების დაცვა

*„როცა გაისმის გამაყრუებელი ხმა, იმ (განკითხვის) დღეს ადამიანი გაექცევა თავის ძმას, თავის დედას და მამას, თავის ცოლსა და შვილებს.“*

სურა აბესე, აიათი 36.

ალლაჰის კანონების დარღვევით ადამიანის უფლებების შელახვა, ერთ-ერთი ყველაზე დიდი ცოდვაა. სხვა ადამიანის წინაშე ჩადენილი დანაშაულის პატიება, ალლაჰმა თვით ადამიანს მიანდო, ამიტომ ალლაჰის შუამავალი ამ საკითხსაც ისეთი სიფრთხილით განიხილავდა, როგორც სხვა დანარჩენებს და ამ მხრივაც უამრავი მშვენიერი მაგალითი გვიჩვენა. ამათგან ერთ-ერთია აბუ ზერრას მიერ გადმოცემული ამბავი:

„ერთხელ, ტაიფის ლაშქრობიდან დაბრუნებულმა მუჰამმედ შუამავალმა მოითხოვა მისთვის გაემზადებინათ აქლემი, რომელსაც „ქუსვა“ ეძახდნენ. ქუსვა მოვამზადე. აქლემს ავმა ხელით დავუჭირე. როდესაც ალლაჰის შუამავალი აქლემზე შეჯდა, ხელში მათრახი მივეცი და მეც უკან შემოვუჯექი. ალლაჰის შუამავალი აქლემს მათრახს ურტყამდა, რომელიც ყოველი მოქნევისას მეც მწვდებოდა. ბოლოს მომიბრუნდა და მკითხა:

- მათრახი შენამდე ხომ არ აღწევს?
- დიახ, საყვარელო შუამავალო, — ვუპასუხე მე.

ტირანიეში ჩასულებს წვრილფეხა საქონელი დახვდა. შუამავალმა ქონების მეთვალყურეს რალაც ჰკითხა და მისგანაც პასუხი მიიღო. შემდეგ დაიძახა:

- სად არის აბუ ზერრა?
- აქ ვარ, — მივუგე მე.





— ეს ნვრილფეხა საქონელი წაიყვანე, გუშინ საღამოს შენზე დარტყმული მათრახის სანაცვლოდ, — მითხრა მან. როდესაც დავითვალე, ისინი ას ოცამდე იყო. ჩემი სიცოცხლის მანძილზე, ჩემს მიერ მოპოვებული ქონებიდან ეს ჩემთვის ყველაზე ბევრი იყო.<sup>78</sup>

ამ მაგალითით ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ადამიანის წინაშე მოვალეობის მოხდა. ასეთი შემთხვევის დროს, რა თქმა უნდა, ვალდებული ხარ იმ ადამიანის გული დააკმაყოფილო, რომ შენი მოვალეობა შესრულებულად ჩაითვალოს.

ჰარბ ბინ სურეიჯიმ, რომელმაც სახელი არ დაასახელა, ერთ-ერთ ადამიანთან ურთიერთობისა და უფლებების იმქვეყნად გასწორების შესახებ გადმოგვცა:

მედინაში ჩავედი და ერთ-ერთ დაბლობ ადგილას დავბინავდი. ორი პიროვნება ერთმანეთში თხის ყიდვა-გაყიდვის შესახებ საუბრობდნენ. მყიდველმა გამყიდველს უთხრა: მოწყალება გააკეთე.

ამ დროს ჩემკენ მომავალი ერთი კაცი დავინახე: ბრტყელი შუბლი, ვიწრო ცხვირი, ფართო წარბები და ორი ნაჭრისგან შეკერილი ძველი ტანსაცმელი ეცვა, სიმპათიურად გამოიყურებოდა. ჩვენ მოგვიახლოვდა და მოგვესალმა. ჩვენც მივესალმეთ. ცოტა დრო რომ გავიდა, მყიდველმა მას დაუძახა:

— შუამავალო, მას უთხარი და ცოტა მოწყალება გამიკეთოს!

აღლაჰის შუამავალმა ხელი გაიშვირა და თქვა:

— ქონების პატრონი თქვენ ხართ. მე მინდა, რომ განკითხვის დღეს, აღლაჰთან შეხვედრისას არც ერთმა თქვენგანმა ქონების, სულისა და ნამუსის წართმევის გამო პრეტენზიით ჩემ წინაშე არ წარსდგეთ. აღლაჰის, წყალობა ელის მას, ვინც გაყიდვის, ყიდვის, დაპატიმრების, ადამიანებს პასუხის გაცემისა და განაჩენის გამოტანისას შეძლებისდაგვარად საქმის გაიოლებში დაეხმარება.

მუჰამმედ შუამავლის სიტყვებმა ისე ძლიერ იმოქმედა მოსაუბრეზე, რომ ის უკან აედევნა და ისლამის შესახებ რამდენიმე შეკითხვა დაუსვა.

78. ვაქიდი, 3 – 939.





— აქამდე ჩემთვის დედამინაზე მასზე უფრო საძულველი ადამიანი არავინ იყო. ახლა კი ის ჩემთვის შვილზე, დედ-მამასა და ყველა ადამიანზე უფრო საყვარელია.<sup>79</sup>

ადამიანების უფლება-მოვალეობების უადგილო ადგილას შელახვა არ შეიძლება. დაჩაგრულ ადამიანსა და ალლაჰს შორის არანაირი ფარდა არ არსებობს.

ადამიანის უფლებამოსილების შესახებ დიდი ყურადღების გამომჩენი ალლაჰის შუამავალი ბრძანებს, რომ ნებისმიერი ადამიანი ვალდებულია, სანამ სიკვდილი მიაკითხავდეს, მოძმეთა წინაშე თავისი ვალი გადაიხადოს:

„ვისაც სხვა ადამიანის ნამუსის ან ქონების ვალი აქვს, განკითხვის დღის დადგომამდე ანგარიში გაასწოროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავისი ვალის სანაცვლოდ რაღაც კარგი საქმე თუ აქვს გაკეთებული ის ჩამოერთმევა და თავის მევალეს გადაეცემა, თუ მადლი არ აქვს მოგებული, მაშინ მევალის ჩადენილი ცოდვები მასთან გადავა.“ (ბუჰარი, მეზალიმი, 10).

ვისაც ადამიანის რაიმე სახის – მორალური ან მატერიალური ვალი მართებს, აუცილებელია, განკითხვის დღის მოსვლამდე მასთან ანგარიში გაასწოროს და პატიება სთხოვოს, შემდეგ კი ალლაჰის წინაშე მოინანიოს. განკითხვის დღეს ოქროსა და ვერცხლს არანაირი ფასი აღარ ექნება, იქ ისინი არავის გამოადგება. ალლაჰი გვიბრძანებს როგორც ნამაზის ლოცვას, მარხვას, ზექათის გადახდას, ასევე ჰარამზე მორიდებასაც ჰადისში ვკითხულობთ:

„ნამდვილი მართლმორწმუნე ის ადამიანია, ვინც არც სიტყვით და არც ქმედებით სხვას ზიანს არ მიაყენებს.“<sup>80</sup> აგრეთვე, ალლაჰის შუამავალი გვამცნობს, რომ ნებისმიერი ფორმით სხვისი საკუთრების მიმთვისებელ ადამიანს ალლაჰი სასტიკად დასჯის. ერთხელ ალლაჰის შუამავალმა ბრძანა:

„ვინც სხვის (მუმინის) ქონებაზე დაიფიცებს ჩემია და ამ გზით მიისაკუთრებს, ალლაჰი მას სამოთხის კარებს დაუკეტავს და ჯოჯოხეთი დასჯის.“ იქ მყოფთაგან ერთ-ერთმა ალლაჰის შუამავალს შეეკითხა:

79. ჰეისემი, 9 – 18.

80. ბუჰარი, იმანი 4 – 5.





„შუამავალო, თუ ის ძალიან პატარა და უმნიშვნელო რამ არის, მაშინაც ასე იქნება?

ალლაჰის შუამავალმა უპასუხა:

„დიახ, თუგინდ ხურმის პატარა კუნწი იყოს!“<sup>81</sup>



სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების მისაკუთრება ან არამიზნობრივი ხარჯვა ადამიანის უფლებების დარღვევის კიდევ ერთი სახეა. ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია მმართველობით ორგანოებსა და სოციალურ სფეროებში მომუშავე ადამიანების საქმიანობა. მათი ძალიან დიდი ყურადღებით ყოფნა მართებთ. ალლაჰის შუამავალი ამ საკითხთან დაკავშირებით თავის თანამიმდევრებს სერიოზულად აფრთხილებს.

„შუამავალმა ეზდის ტომიდან იბნ ლუტბიე ზეჯათის შესაგროვებლად დანიშნა. როდესაც ამ ადამიანმა თავისი მოვალეობა შეასრულა, შუამავლის წინაშე წარსდგა და ანგარიში ჩააბარა:

— ეს ქონება თქვენია, ესენი კი მე მაჩუქეს. — თქვა მან

ამის შემდეგ ალლაჰის შუამავალმა ხმამაღლა, ყველას საყურადღებოდ განაცხადა:

„მე ერთ-ერთ თქვენგანს ალლაჰის მიერ ჩემზე დავალებული სამუშაოს შესრულება მივანდე, შემდეგ კი ის მოდის და მეუბნება: „ესენი შენ გეკუთვნის, ესენი კი მე მაჩუქესო.“ თუკი ეს ადამიანი სიმართლეს ამბობს, მას მამამისის ან დედამისის სახლში დამჯდარს, ვინ მოუტანდა ამ საჩუქრებს?! ვფიცავ ალლაჰს, რომელიმე თქვენგანმა, რომ აიღოს ის, რაც მას არ ეკუთვნის, მაშინ განკითხვის დღეს, ალლაჰის წინაშე ამ ქონებით ზურგზე აკიდებული წარსდგება. ეს შეიძლება აქლემი, ძროხა ან ცხვარიც იყოს.“

ამის შემდეგ ალლაჰის შუამავალმა ხელები მაღლა ადაპყრო და თქვა:

„ღმერთო, ხომ გადავეცი ქვეშარიტება?“<sup>82</sup>

81. მუსლიმი, იმანი, 218.

82. მუსლიმი, იმარე, 26. ბუჰარი, ზეჯათი, 3.





ამ ჰადისში შუამავალმა ნათლად აღნიშნა, რომ საერთო ქონებისა და საკუთარის გარჩევა სამართლიანად უნდა მოხდეს. ამასთან ერთად, აღნიშნა, რომ სახელმწიფო სამსახურში აღებული საჩუქარი პირადი საკუთრება არ არის. ამიტომ ასეთი სამუშაოს შესასრულებლად დიდი ყურადღებაა საჭირო. როცა საქმე საერთო ქონებას ეხება, ყველაზე პატარა დანაშაულიც კი დიდ ცოდვად ითვლება.

ისტორიის ფურცლებზე შემორჩენილი უამრავი მაგალითი ბევრი ადამიანისთვის ძალიან გასაკვირია. სულთან ვაჰიდედდინმა სტამბოლიდან წასვლამდე სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად აღწერა და სხვას გადააბარა. მან სახელმწიფო საკუთრებაში შეიტანა, დაახლოებით ორი მილიონის საფასურის ნაჩუქარი საკუთარი ბიბლიოთეკა. ახლობლებმა მას უთხრეს:

ხელმწიფევ, ეს ქონება ხომ ნაჩუქარია და სახელმწიფო მასთან არაფერ შუაშია?! ის ხომ შენი საკუთარი ქონებაა?! ამ ბიბლიოთეკის მყიდველი მზად არის სამი მილიონი გადაგიხადოთ. ამასთან დაკავშირებით, მან თავის ახლობლებს შუამავლის ზემოთ მოყვანილ ჰადისის გათვალისწინებით შემდეგი პასუხი გასცა:

„თქვენ მართალი ხართ! ბიბლიოთეკა, რომელზეც ლაჰარაკია, საკუთარია და არავის აქვს უფლება მოითხოვოს ჩემი პირადი ქონების ანგარიში. ამასთანავე, მინდა გითხრათ: ჩემი წინაპრებს რომ არ დაეკავათ ეს ტახტი, ან არ ყოფილიყვნენ ჩვენი ქვეყნის მმართველები, ვინ გადასცემდა მათ ასეთ ძვირფას საჩუქრებს? აი, ამიტომ ეს ძვირფასეულობა და საგანძური მეკუთვნის არა მარტო მე, არამედ ჩემს ხალხს. მე არ შემიძლია შევბღალლო ჩემი ხალხის უფლებები.“

ეს ეპიზოდი ერთ-ერთი სანიმუშო მაგალითია ალლაჰის შუამავლის მიმდევარი ადამიანის ცხოვრებიდან.

ომარ იბნ ჰატტაბი ასე გადმოგვცემს:

ჰაიბერში ომი იყო გაჩაღებული. ალლაჰის შუამავლის ერთ-ერთი რაზმი მოვიდა და თანამებრძოლების შესახებ მოუთხრობდნენ თუ როგორ გახდა თითოეული მათგანი შეჰიდი.

უცებ, ერთ-ერთის სახელის გაგონებაზე, ალლაჰის შუამავალმა ბრძანა:





*„არა, სრულებითაც არა, რადგანაც მე ის ჯოჯოხეთში იმ ხალიჩით დავინახე, რომელიც მან დაუკითხავად სამხედრო ნადავლიდან აიღო.“<sup>83</sup>*

როგორც ვხედავთ, შეჰიდობა ადამიანს უამრავი ცოდვისგან ასუფთავებს მაგრამ სხვისი ქონების მითვისებას ვერაფერი შველის. როგორც ალლაჰის შუამავალმა აღნიშნა, მან სხვისი ქონების მითვისებისთვის შეჰიდად დაცემული ადამიანი ჯოჯოხეთში დაინახა. ამით თანამიმდევრებს ასეთი ცოდვის ალლაჰის მხრიდან უპატიებლობის შესახებ შეატყობინა.

ალლაჰის შუამავალთან მოსამსახურედ ერთი შავკანიანი მუშაობდა. იგი რიფაა იბნ ელ ჯუზამიმ შუამავალს საჩუქრად გადასცა. შუამავლის ტვირთის აქლემიდან ჩამოღების დროს, ის ვილაჯის მიერ ნასროლი ისრით იქნა განგრიმული. მუსლიმანებმა თქვეს:

— მუდამ, სამოთხეში წასვლას გილოცავთ!

ალლაჰის შუამავალმა კი ბრძანა:

*— არა, ასე არ არის! ვფიცავ ალლაჰის სახელს, მე გარკვევით ვხედავ როგორ იწვის მიდამის სხეულზე ხალიჩა, რომელიც მან ხაიბერის ბრძოლის დღეს ნადავლის მეომრებს შორის განაწილებამდე აიღო.*

ამის გაგონებაზე მუსლიმანები ძალიან შეშინდნენ. ერთმა კი ალლაჰის შუამავალს ფეხსაცმლის შესაკრავები მოუტანა და უთხრა:

*„შუამავალო, მეც ქონების გარიგებამდე ფეხსაცმლის ეს შესაკრავები ავიღე.“ შუამავალმა უპასუხა:*

*„შენც აუცილებლად დაისჯები მაგის გამო.“<sup>84</sup>*

ე.ი. ასეთ ადამიანს, ვინც არ უნდა იყოს იგი, თუგინდ ალლაჰის შუამავალთან მომუშავე, ჯოჯოხეთისგან ვერაფერი დაიფარავს, რადგან სხვისი საკუთრების მითვისება ძალიან დიდი ცოდვაა. ამგვარი საქმეების შესახებ ალლაჰის შუამავალი აფრთხილებს ყველას და მოუწოდებს პატიოსნებისაკენ:

83. მუსლიმი, იმანი, 182.

84. ბუჰარი, იმანი, 33. მუსლიმი, იმანი, 183.



„ზოგიერთები ალლაჰის საკუთრებიდან უკანონოდ ქონების მითვისებაში ერთმანეთს შეეჯიბრებიან. სინამდვილეში, განკითხვის დღეს ის ქონება მათი ცეცხლია და სხვა არაფერი.“<sup>85</sup>



სხვისი საკუთრების მითვისების ერთ-ერთი საფრთხე ადამიანთა შორის შეუთანხმებლობაა. მათ შორის არსებული უთანხმოების გამო, შესაძლებელია საქმე აღიძრას. ამ საქმეში მართალიცა და მტყუანიც თავისთავს დაიცავს. ბოლოს, ერთ-ერთი მათგანი გაიმარჯვებს, ხოლო მეორე დამარცხდება. მაგრამ ეს კითხვა ყოველთვის უპასუხოდ დარჩება: ნეტავ, ნამდვილად მართალმა გაიმარჯვა თუ არა? ალლაჰის შუამავალი, ამ საკითხთან დაკავშირებით, კატეგორიულად აფრთხილებს მუსლიმანებს:

„მე მხოლოდ ერთი ადამიანი ვარ. თქვენ ჩემთან სხვაზე რაიმეს დასაბრალებლად მოდიხართ, შეიძლება ზოგს სხვაზე უფრო მეტად შეეძლოს თავისი სათქმელის გადმოცემა, ზოგი კი ამას ვერ ახერხებდეს. მე კი თქვენი ნაამბობის მოსმენის შემდეგ, გადანყვეტილება უნდა მივიღო. თუ არასწორ გადანყვეტილებას მივიღებ და ამით სხვის საკუთრებას ზარალს მივაცენებ, მაშინ მისთვის გამოყოფილი ჯოჯოხეთის ერთი ნაწილის მფლობელი გავხდები.“<sup>86</sup>

შემდეგ ჰადისში ალლაჰის შუამავალი ამბობს:

„ჩვენ გარეფაქტებზე დაყრდნობით ვღებულობთ გადანყვეტილებებს, სიმართლე კი მხოლოდ ალლაჰმა იცის!“

პიროვნული საკითხები საქმიდან გამომდინარე შეიძლება შეფასდეს. ალლაჰმა თუ ადამიანს საქმის არსი არ შეატყობინა, მაშინ ის სიმართლეს ვერ გაიგებს. ალლაჰის შუამავლის მხრიდანაც ხდება საქმის გარეგანი შეხედულების შესაბამისად განსჯა. ისიც სხვადასხვა მოწმისა და ფიცის საშუალებით წყვეტს საკითხს. მისი ასეთი დამოკიდებულება თანამიმდევრებისადმი სამაგალითოც რომ არ იყოს, მას სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობა მაინც არ გააჩნია. მონმეებისა და ადამიანთა ფიცის მიუხედავად, ის შეძლებისდაგვარად სწორ გადანყვეტილებას მიიღებს, მაგრამ შეიძლება სწორი არ დარჩეს. ამის გამო, ალლაჰის შუამავალი ჰადისი იგი სხვისი საკუთრების

85. ბუჰარი, ჰუმუსი, 7.

86. ბუჰარი, შეჰადეთი, 27. მუსლიმი, აქდიე, 4.





მიმთვისებელ ადამიანებს ჯოჯოხეთის ცეცხლით ემუქრება. ამიტომ, ამ ყველაფრის შემდეგ, სასამართლო გარჩევის დროს როგორც ერთი, ისე მეორე მხარე, ძალიან დიდი ყურადღებით უნდა იყოს.

ისლამის მსოფლმხედველობა, თითოეული ადამიანისადმი თანასწორ ყურადღებას მოითხოვს. ადამიანის უფლება მისი ეროვნებით, რელიგიური მრწამსით ან პოლიტიკური შეხედულებებით არ უნდა განისაზღვრებოდეს. ამას მოწმობს შემდეგი ისტორია:

„საფარის ტომელმა თუმე იბნ უბეირიქმა თავის მეზობელ ქათადე იბნ ნუმანის სახლიდან სამხედრო აბჯარი მოიპარა. აბჯრის შიგნით ფქვილიანი ტომარაც იყო. ამასთან, ფქვილის ტომარა გახეული იყო და სახლამდე ფქვილმა კვალი დატოვა. ქურდმა მოპარული აბჯარი ერთ-ერთ ებრაელ ზეიდ იბნ სემინთან შეინახა. მოპარული აბჯარი თუმე იბნ უბეირიქთან მოძებნეს და ვერ ნახეს, მაშინ უბეირიქმა თქვა:

— ვფიცავ ალლაჰს, რომ მე არ ამიღია და არც არაფერი ვიცი მის შესახებ“. აბჯარის მეპატრონე კი ამბობდა:

— არა, ვფიცავ ალლაჰს, აბჯარი მან მოიპარა, შევამჩნიეთ ღამის სიბნელეში, ჩუმად ის ჩვენთან მოვიდა, აბჯარი აიღო და საკუთარი სახლისკენ გაემართა. ჩვენ მას სახლამდე მისვლა ვაცალეთ, რადგან ფქვილი კვალს მაინც ტოვებდა.

მონმეები შუამავლის წინაშე ამტკიცებდნენ, რომ თუმემ მოიპარა, მაგრამ ქურდობაში ეჭვმიტანილმა ყველას წინაშე დაიფიცა, რომ ის ქურდი არ იყო. ამის გამო აბჯრის მეპატრონეები იძულებული გახდნენ, თუმე გაეთავისუფლებინათ. ბოლოს ისინი ფქვილის კვალს მიჰყვნენ ბოლომდე და ებრაელის სახლამდე მიაღწიეს. ებრაელი ზეიდ იბნ სემინი შეიპყრეს და ალლაჰის შუამავალთან მიიყვანეს.“ ზეიდმა უთხრა:

— ჩემთან აბჯარი თუმე ბინ უბეირიქმა მოიტანა.

მის ნათქვამს ბევრი ებრაელიც დაეთანხმა. თუმეს გვარმა, ანუ ზაფარის ტომმა კი განაცხადა:

ალლაჰის შუამავალთან წასულიყვნენ. ისინიც დათანხმდნენ და წავიდნენ. ალლაჰის შუამავალს ვითარება აუხსნეს. ისინი ფიქრობდნენ, რომ მათ ამხანაგს ეს ქურდობა განგებ დააბრალებს, ამიტომ მათ ასეთი მოთხოვნა წაუყენეს:



„ალლაჰის შუამავალო, თუ ებრაელის მიერ ჩადენილ ქურდობას აშკარად არ გამოაცხადებ და ამის გამო არ დასჯი, მაშინ ჩვენი ამხანაგი შეურაცხყოფილი დარჩება, ხოლო ებრაელი უდანაშაულო გამოვა.“ მაშინ შუამავალს გარდმოეწვინა აიათი!

وَلَا تُجَادِلْ عَنِ الَّذِينَ يَخْتَانُونَ أَنفُسَهُمْ إِنَّ اللَّهَ لَا يُحِبُّ مَن كَانَ  
خَوَّانًا أَثِيمًا

„და არ გამოექომაგო იმათ, ვინც საკუთარ თავს დალატობს. უეჭველად, ალლაჰს არ უყვარს მოლალატეები, ცოდვილები!“<sup>87</sup>

ამ აიათით ალლაჰმა შუამავალს გააგებინა ნამდვილი სიმართლის არსი. შუამავალმაც სიმართლეს ფარდა ახადა. თუმცა ამას ვერ გაუძლო და მექაში გაიქცა, რის შემდეგაც სარწმუნოებაზე უარი თქვა.<sup>88</sup>

ასეთი შემთხვევების გამო ალლაჰის შუამავალი ამბობდა:

„თუგინდ ამქვეყნიური საქმეები იყოს, თუგინდ სარწმუნოების შესახებ, ჩემს თანამიმდევრებზე შეურაცხყოფის მიმყენებლები ალლაჰმა დასწყევლოს!“<sup>89</sup>

ქონებრივ დავებში სარწმუნოების მიხედვით ადამიანების განსჯა არ შეიძლება. ადამიანი, რომელი სარწმუნოების მიმდევარიც არ უნდა იყოს, პირადი საკუთრების გადაცემა მასზე აუცილებელია.

შუამავალმა მუჰამედმა, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში დელიკატური და სამართლიანი იყო, სიკვდილის წინ თავის თანამიმდევრებს ასეთი რჩევა მისცა:

„ბოლოს და ბოლოს მეც ადამიანი ვარ! ზოგიერთი თქვენგანის წინაშე შეიძლება ვალში ვიყო. თუკი ვინმეს ქონებიდან რაიმე მაქვს აღებული, მოვიდეს და წაილოს! იცოდეთ, რომ ჩემთვის ყველაზე საყვარელი ადამიანი, ჩემგან მისი საკუთრების მომთხოვნი ან ჩემზე ჰალალის გამკეთებელია. ალლაჰის წინაშე მხოლოდ ვალის გარეშე შემიძლია წარვსდგე! არავინ თქვას, „შუამავლის სიძულვილისა და მტრობის მეშინიაო!“ კარგად დაიმახსოვრეთ, სიძულვილი და მტრო-

87. სურა ნისა, აიათი 107.

88. თაბერი, თეფსირი, 4, 364-365. ვაჰიდი გვ. 183.

89. მუსლიმი, იმანი, 164.





ბა ჩემი საქმე არ არის. მე თქვენთან ჩემი სიტყვების გამეორებას საჭიროდ არ ვთვლი!“ ამის შემდეგ ერთი ადამიანი ფეხზე წამოდგა და თქვა:

— ვილაცას შენი დახმარება უნდოდა, მე კი მასზე სამი დირჰემის მიცემა მთხოვე, მეც მივეცი. შუამავალმა უპასუხა:

— მართალს ამბობ. ფადლ იბნ აბბას, აილე, შენ სამი დირჰემი! შემდეგ კი განაგრძო:

— ღმერთო, მე მხოლოდ ერთი ადამიანი ვარ! რომელიმე მუსლიმანზე თუ ცუდი სიტყვა მითქვამს ან მათრახი დამირტყამს, დამემარე, ღმერთო, მათგან ჩემი ცოდვის გამოსყიდვაში!<sup>90</sup>

— ღმერთო, თუკი რომელიმე მუსლიმანზე თუ ცუდი სიტყვა მაქვს ნათქვამი, განკითხვის დღეს მას ეს სიტყვები შენთან დაახლოების საშუალებად მიეცი!<sup>91</sup> აი, ასე შეევედრა შუამავალი ალლაჰს. შემდეგ კი თქვა:

„ადამიანებო! ვინმეს წინაშე თუ რაიმე გასასწორები გაქვთ, ახლავე გაასწორეთ, არავინ იფიქროს, ეს თავის დამცირებაა! კარგად დაიმახსოვრეთ, რომ ამქვეყნად თავის დამცირება, იმქვეყანასთან შედარებით, ძალიან მსუბუქია!“<sup>92</sup>

უძვირფასესი შუამავლის დამფასებელი და მისი მორწმუნე ყოველი მუსლიმანი, სხვის უფლებასა და საკუთრებასთან დაკავშირებით, ძალიან ყურადღებით უნდა იყოს, რადგან განკითხვის დღეს შუამავალს სიტყვები არ უთხრან: „მათ შენს მერე როგორი ცოდვები ჩაიდინეს!“ და მისგან შორის დაგეტოვონ. ამიტომ აუცილებელია, ადამიანმა ხელთარსებული ყველა საშუალება მაქსიმალურად გამოიყენოს, რათა იმქვეყნად ადგილი ალლაჰის შუამავლის გვერდით დაიმკვიდროს.

90. იბნ ჰანბელი, 3 – 400.

91. ბუჰარი, დეავათი, 34.

92. იბნ სადი, 2 - 255. ტაბერი, თარიჰი, 3 – 191.



#### 4. საეჭვო საქმეებისგან თავის შეკავება

*„რაც ეჭვს გაგიჩენს, მას თავი დაანებე,  
რაც საეჭვო არ არის, იმას მიხედე.“*

თირმიზი, ყიამეთი, 60

იმისათვის, რათა შორს მდგარიყო აკრძალული საქმეებისგან ალლაჰის შუამავალი ყოველთვის დიდ სიფრთხილეს იჩენდა და თანამიმდევრებსაც მოუწოდებდა მათგან თავის შორს დაჭერა.

ერთხელ მან თავის თანამოაზრეებს უთხრა:

*„ჩვენთვის ცნობილია როგორც აკრძალული, ასევე ნებადართული საქმეები. ადამიანთა უმრავლესობა უამრავ საკითხში ეჭვქვეშ არის, რომ ესა თუ ის ჰალალია თუ ჰარამი. ასეთი საქმეებიდან თავის შორის დამჭერი ადამიანები, როგორც რწმენის, ისე ნამუსის დამცველი არიან. ხოლო, ვინც საეჭვოს არ მოერიდება, ის დროთა განმავლობაში ჰარამში გადაიზრდება.“ მოცემული სიტუაცია შეიძლება შევადაროთ მწყემსს, რომელიც ჯოგს სხვისი ტერიტორიის საზღვართან აბალახებს. ასეთ შემთხვევაში ყოველ ნამს უზარმაზარი ალბათობა იმის, რომ საქონელი შეიძლება გადავიდეს სხვის ტერიტორიაზე. ყურადღებით იყავით! ყოველ ხელმწიფეს სხვებისთვის აკრძალული ტერიტორია გააჩნია. ალლაჰის მიერ აკრძალული ტერიტორია კი ჰარამი საქმეებია.“<sup>93</sup>*

ღია მითითების არქონის შემთხვევაში, ზოგიერთი საკითხი, თუ რა არის ჰალალი ან ჰარამი, ერთი შეხედვით გაურკვეველი რჩება. ალლაჰის შუამავალმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი საკითხი ყველასთვის გასაგები არ იქნებოდა. ამიტომ საჭიროა, საეჭვო რამეებისგან თავის შორს დაჭერა რადგან, თუ ის საქმე ჰარამია, მაშინ ადამიანი დიდ ცოდვას თავს აარიდებს, ხოლო თუ ჰალალია არაფერი დაშავდება.

ყოველი საეჭვო საქმე მეცნიერების სხვადასხვა მტკიცებულებებით ან დასკვნით გამოაშკარავდება. ისლამის სამართალში მათ „მექრუჰს“ ან „მუბაჰს“ უწოდებენ. „მექრუჰი“ ადამიანსა და ჰარამს

93. ბუჰარი, იმანი, 39. მუსლიმი, მუსაყათი, 107.





შორის არსებული კარია. ცხოვრებაში მექრუჰის ხშირად გამკეთებელი ადამიანი ჰარამის გაკეთებასთან ახლოს დგას. „მუბაჰი“ კი ადამიანსა და „მექრუჰს“ შორის არსებული კარია და მისი ხშირად გამკეთებელი ადამიანი მექრუჰის გაკეთებასთან ახლოს მდგომია. აქედან გამომდინარეობს, რომ ჰალალიც რომ იყოს, მექრუჰისა და ჰარამი საქმეებისგან თავის შორს დაჭერა აუცილებელია. მექრუჰის გაკეთებას შეჩვეული ადამიანი ჰარამს და საეჭვო საქმესაც არ მოერიდება. მექრუჰის მუდმივად კეთებამ ადამიანი შეიძლება მიიყვანოს გულქვაობამდე და აკრძალული საქმეების ადვილად კეთებამდე.

*„ვინც მოერიდება საეჭვო საქმეებს, ის უფრო ადვილად აიცილებს ჰარამს, ხოლო, ვინც გაბედულად სჩადის საეჭვო საქმეს, ადვილად შეუძლია ჩაიდინოს ჰარამი საქმეც.“<sup>94</sup>*

თუ როგორი სახიფათოა, საეჭვო საქმეებთან ახლოს ყოფნა. კარგად არის ნაჩვენები ალლაჰის შუამავლის მაგალითში მწყემსისა და აკრძალული ზონის შესახებ. საეჭვო საქმეებისგან მუჰამმედ შუამავლის (სალლალლააჰუ ალეიჰი ვესელემ) თავი შორს დაჭერს უამრავი კარგი მაგალითი არსებობს. ერთხელ მან გზაში ერთი ხურმა ნახა და თქვა:

*„ეს ხურმა მოწყალებისთვის არის თუ არა, ეჭვი რომ არ მექონდეს, მაშინ შევჭამდი.“<sup>95</sup>*

ალლაჰის შუამავლის ერთი სასტიკი გადანყვევტილება იყო ის, რომ მოწყალებასა და ზექათს არასდროს იღებდა, რადგან ისინი შუამავლისა და მისი ოჯახისთვის ალლაჰმა ჰარამი გახადა.

ალლაჰის შუამავალმა, გზაში ნახული ხურმა სწორედ ამის გამო არ შეჭამა. მას შიში ჰქონდა, რომ ის სამონყალოდ გაღებულ არ ყოფილიყო. ამით ის აჩვენებს, რომ თვითონ ყოველი კანონის მიმართ სრული მხარდაჭერი და საეჭვო საქმეებზე თავის არიდების ერთ-ერთი სანიმუშო მაგალითია. აქ კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი დეტალია გასათვალისწინებელი. ალლაჰის შუამავალმა, ერთი მხრივ, იფიქრა, ეს ხურმა მოწყალებისთვის გაღებულ არ ყოფილიყო და არ შეჭამა, მაგრამ მეორე მხრივ, ის ფიქრობდა, რომ შესაძლებელია, ის ხურმა გაფუჭებულიყო.

94. ბუჰარი, ბუიუ, 2.

95. ბუჰარი, ბუიუ, 4. მუსლიმი, ზექათი, 164.





ალლაჰის მიერ ჩვენთვის ჰალალი სარჩო უსაზღვრო რაოდენობით არის გაჩენილი. ამიტომ, როცა ამდენი საშუალების შემდეგ ის არ გყოფნის და საექვოსკენ გაგირბის ხელი თუ თვალი ეს, რა თქმა უნდა, დასაწუნნი საქციელია.

მეორე მხრივ, საექვო საქმეებისგან თავის შორს დაჭერა, იმ შემთხვევაში, თუ ის ჰალალია, საჭირო არ არის. მერყეობას და ზედმეტ სიფრთხილეს ზოგჯერ კონფლიქტური სიტუაციები მოსდევს, რის შედეგადაც მორწმუნეთა ნორმალური ცხოვრება ირღვევა.

სუფთა სინდისის მქონე მუსლიმანს, აქვს შესაძლებლობა ადვილად განასხვავოს ცუდი - კარგისგან და კარგი - ცუდისაგან, ასევე ჰალალი - ჰარამის და ჰარამი - ჰალალისგან. მართლმორწმუნე უნდა უსმენდეს „გულის ხმას“, რისი საზრდოც ღვთაებრივი შთაგონებაა. ამ საკითხთან დაკავშირებით ძალიან მნიშვნელოვანია ალლაჰის შუამავლის შემდეგი ჰადისი:

ვაბისა იბნ მალბედი მოგვითხრობს:

*„ერთ დღეს ალლაჰის შუამავალთან მივედი.*

*მან მკითხა:*

*— მოხვედი, რათა მკითხო, რა არის კარგი და რა ცუდი?*

*— დიახ, — მიუფე მე.*

*მან კი ასე ამიხსნა:*

*— გულს შეუთანხმდი. სიკეთე — გულით საჭიროდ მიჩნეული და გაკეთებული რამ არის, ცოდვა კი — სხვის მიერ დაძალებული, რომელიც ყოველთვის დიდ ეჭვსა და შიშს იწვევს.“<sup>96</sup>*

გასაკეთებელი საქმე, როცა გულში უკმაყოფილებას იწვევს და სურვილი არ გაქვს, სხვებმა გაიგონ, აუცილებლად საექვოა, და ის არ უნდა გააკეთოთ. ადამიანის ბუნება ხომ ისეთია, რომ მისი კარგი საქმეები ყველამ შეიტყოს, ყველამ მიბაძოს ან მოიწონოს. ეს უკვე ჩვეულებრივ მოვლენად არის ქცეული თანამედროვე ცხოვრებაში. მაგრამ ამ დიდი ჩვევისა და სურვილის მიუხედავად, ისეთი საქმე, რომელიც ეჭვით არის მოცული, ადამიანმა უნდა დაივიწყოს და თავისი საქციელი ხალხში არ გაამჟღავნოს. ამიტომ, თუკი რომელიმე

96. იბნ ჰანბელი, 4 – 227-228. დარიმი, ბუიუ, 2.



საქმე გულში წინასწარ რაიმე ეჭვსა და შიშს ინვევს, აუცილებელია, ადამიანმა მისი გაკეთებისგან ხელი აილოს.

ალლაჰის შუამავალმა, თავის თანამიმდევარს ასწავლა, თუ რა იყო სიკეთე ან როგორ შეეძლო გულს ცუდისა და კარგის ერთმანეთისგან განსხვავება. ალლაჰის მიერ გარდმოვლენილ ყურანშიეს კარგად არის დამტკიცებული.

**„ვისი გულიც განავრცო ალლაჰმა ისლამისთვის, უკვე იგი ადგას ნათელსა ზედა თავისი ღმერთისგან. ვაი მათ, ვისი გულიც გაქვავებულია ალლაჰის ხსენებისგან. სწორედ ისინი არიან, ცხად გზააბნევაში“.**<sup>97</sup>

ალლაჰის შუამავალმა თავისი ძვირფასი თითები ვიბასას მიადო და უთხრა: „შენს გულს შეეკითხე!“ ეს იმას ნიშნავდა, რომ ყველამ თავისი სისუსტე უკეთ იცის და ამიტომ, როცა ეჭვი გაუჩნდება, იმ საქმის ჩამოშორება მისთვის აუცილებელია.

ერთ-ერთი თანამიმდევრის უქბე იბნ ჰარისის თავგადასავალი იმის მაგალითია, რომ საეჭვო საქმეებისგან შორს დოგმა ალლაჰის შუამავლის უმთავრესი ამოცანა იყო:

უქბე იბნ ჰარისი აბუ იჰაბ იბნ აზიზის ქალიშვილზე დაქორწინდა. ამ ამბის შემდეგ, ერთი ქალი მასთან მივიდა და უთხრა:

„მე უქბესა და იმ ქალზე, ვისზეც დაქორწინდა — ორივეზე ძუძუ მაქვს ნანოვები. ამ ქალბატონს უქბემ მიმართა:

— მე არ ვიცოდი, თუ შენ ძუძუს მანოვებდი, თუ ეს ასე იყო, ადრე არასოდეს გითქვამს.

ამ სიტყვების შემდეგ უქბე მოახატა ცხენს და მედინაში ალლაჰის შუამავალთან წავიდა. ჩავიდა თუ არა უქბე მოუყვა ალლაჰის შუამავლის წარმოქმნილ პრობლემაზე. ალლაჰის შუამავალმა დაუფიქრებლად უპასუხა:

— *თუკი ასეთი სიტუაციაა, როგორ განავრცობთ თქვენ მეუღლეობას? უქბე დაბრუნდა და გაშორდა თავის მეუღლეს. ქალი კი სხვა მამაკაცზე გათხოვდა. (ბუჰარი, ილიმი, 26).*

ისლამის სარწმუნოებაში ძუძუმტეების ერთმანეთზე დაქორწინება ისეთივე ჰარამია, როგორც ერთი სისხლის მქონე ადამიანებისა.

97. სურა ზუმერის, 22-ე აიათში.





ამიტომ, დაქორწინებამდე ყოველნაირი ეჭვი უნდა გაიფანტოს და ეს საქმე ალლაჰის ნაბრძანები კანონების ფარგლებში გაკეთდეს. ზემოთ მოყვანილი მაგალითი კი იმას ნიშნავდა, რომ მთელი ცხოვრება ეჭვის ქვეშ ყოფნას, გაცილება და ცხოვრების თავიდან დაწყება სჯობდა. სწორედ ამიტომ, საეჭვო საქმეებისგან — როგორც ჰარამისგან, თავი უნდა შევიკავოთ.

*„საეჭვო საქმეებს თავი დაანებე, ეცადე აკეთო ისეთი საქმეები, რაც არ გეეჭვება.“<sup>98</sup>*

საეჭვო საქმეებიდან თავის დასაცავად შემდეგი ჰადისიც ძალიან მნიშვნელოვანია:

*„ვიდრე მონა-მსახური ცოდვის ჩადენის შიშით საეჭვო ქმედებებს არ მოერიდება, იგი ვერასდროს გახდება ნამდვილი ღვთისმოსიანი.“<sup>99</sup>*

ყოველი მუსლიმანის მიზანი ალლაჰის სიყვარულისა და კმაყოფილების მოპოვებაა. ამის მისაღწევად საჭიროა შეგნებულად თუ შეუგნებლად ჩადენილი ცოდვების ალლაჰის წინაშე მონანიება და ყურადღებით ყოფნა. როგორც ალლაჰის შუამავალი (საღვთისმშობელი ალექსანდრე ვესელემ) ბრძანებს; უნდა ვერიდოთ ყოველივე საეჭვოს, რათა არ ჩავიდინოთ ცოდვა. ამ საკითხში ერთ-ერთი ყველაზე ფრთხილი აბუ ბაქრი იყო. აიშე მის შესახებ ასე ბრძანებს:

*„აბუ ბაქრ სიდედის ერთი მოსამსახურე ჰყავდა. ეს მოსამსახურე თავისი მონაგების გარკვეულ ნაწილს აბუ ბაქრს აძლევდა. აბუ ბაქრიც მისგან აღებულს ჭამდა. ერთ დღეს, როცა ამ მონამ მოგებულ სახლში მოიტანა, ჩვეულებისამებრ, კვლავ აბუ ბაქრს უნილადა. აბუ ბაქრმაც ჭამა დაინყო. ამ დროს მონამ აბუ ბაქრს უთხრა:*

— იცი, შენ ახლა რა შეჭამე?

— აბა, მითხარი, რა არის? — ჰკითხა აბუ ბაქრმა და მონისგან პასუხი მოითხოვა. მონამ შემდეგი ისტორია მოუთხრო:

— მკითხაობისა არასდროს გამეგებოდა, მაგრამ უვიცობის ხანაში როდესაც ცცხოვრობდი, ერთი ადამიანი მოვატყუე და გუშეკითხავე. დღეს იმ ადამიანს შევხვდი. იმ კაცმა იმ დღეს ჩემი გაკეთებული საქმის საფასურად სწორედ ეს საჭმელი მომიცა.

98. თირმიზი, ყიამეთი, 60.

99. თირმიზი, ყიამეთი, 19.





*ამის გაგონებაზე აბუ ბაქრი წამოხტა, ორი თითი პირში ჩაიყო და გული აირია, საჭმელი ამოაღებინა და კუჭი გაისუფთავა.<sup>100</sup>*

მუსლიმანი ადამიანი ჰარამისგან ყოველთვის შორს იჭერს თავს, იმის ღრმა რწმენა აქვს გულში, რომ არც საკუთარ თავს და არც ოჯახს ჰარამს არ აჭმევს, ვინაიდან ეს დიდ ცოდვად ითვლება. აგრეთვე, აბუ ბაქრის მსგავსად, ყოველ საეჭვოს მოერიდება, რადგან მან იცის, რომ ჰარამის ჭამის შემდეგ, ადამიანის ვედრებას არც ფასი ექნება და არც ალლაჰი მიიღებს.

ამ საკითხთან დაკავშირებული ომარის მაგალითიც ძალიან საინტერესოა; (ის სამართლიანად შედის ოთხი ხალიფის რიცხვში) ომარმა თავისი სამართლიანობითა და თანაგრძნობით გაითქვა სახელი. მან პირველი ჰიჯრის გამკეთებელ თანამიმდევრებს წელიწადში 4000, ხოლო, საკუთარ შვილს — აბდულლაჰს კი-3500 დირჰემი ხელფასი დაუნიშნა. როცა მას ჰკითხეს:

— შენი შვილიც იმ ადამიანთაგან არ არის, ვინც პირველად ჰიჯრა გააკეთა? მას რატომ არ მიეცი იმდენი ხელფასი, რამდენიც სხვას? — ომარმა ასე უპასუხა:

— ჩემმა შვილმა მამამისთან ერთად გააკეთა ჰიჯრა. ამიტომ მას არ შეიძლება ჰქონდეს ის უფლებები, რაც ჰიჯრის მარტოდ გამკეთებელს ექნება.<sup>101</sup>

ამ მაგალითით ნათლად ჩანს, თუ როგორი სამართლიანი გათვლებით ანაწილებს სახელმწიფო ქონებას ხალიფა ომარი. მიუხედავად, იმისა, რომ მისმა შვილმა თერთმეტი წლის ასაკში მშობლებთან ერთად გააკეთა ჰიჯრა და ის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, მას ხუთასი დირჰემით ნაკლები ხელფასი მისცა, მაშინ, როცა მის შვილსაც სხვების ტოლთანაბარი ხელფასი ეკუთვნოდა. მათ შორის იყვნენ კიდევ სხვები, ვისაც ჰიჯრის გაკეთების დროს მშობლები ახლდნენ. მან ასე არ გააკეთა. საეჭვო საქმის გამო, ზოგი ჰალალი საქმისგანაც თავი შორს დაიჭირა და თავის შვილს ცოტა ხელფასი მისცა.

რაც შეეხება საეჭვო საქმეებისგან თავის შორს დაჭერას, მრავალი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ, უამრავი სანიმუშო ადამიანის ცხოვრებიდან. ერთ-ერთი ასეთი მაგალითი შეიძლება იმამი აზამ აბუ ჰანიფეს ცხოვრებიდან ავიღოთ:

100. ბუჰარი, მენაქიბულ ანსარი, 26.

101. ბუჰარი, მენაქიბულ ანსარი, 45.





აბუ ჰანიფე ვაჭრობით ცხოვრობდა. ის მდიდარი კაცი იყო. მაგრამ, რადგანაც განათლებას დაუთმო თავისი ცხოვრება, და ფაქტობრივად ვაჭრობისთვის დრო აღარ რჩებოდა, ვაჭრობა სხვას მიანდო. თვითონ კი კონტროლს უკეთებდა, თუ რამდენად ჰალალი შემოსავალი შემოჰქონდა მის საქმიანობას. ის ამ საქმეს დიდი ყურადღებით აკეთებდა. ერთხელ ჰავს იბნ აბდურრაჰმანი ნაჭრის გასაყიდად გაგზავნა და დააბარა, მყიდველისთვის ეთქვა მის საქონელს რა ნაკლიც გააჩნდა და ფასიც დაეკლო.

ჰავსმა საქონელი წაიღო და იმ ფასად გაყიდა, როგორც იმამი აზამმა დააბარა. მას საქონელში არსებული პრობლემის თქმა მუშტარზე დაავინყდა. როდესაც ეს იმამი აზამმა გაიგო, ჰავს იბნ აბდურრაჰმანს ჰკითხა:

— იმ მუშტარს იცნობ, ვინც შენგან საქონელი იყიდა? როცა გაიგო, ჰავსი მას ვერ იცნობდა, იმის შიშით, რომ თავისი ჰალალი ქონება არ შეელახა, გადანყვიტა, ამ საქონლიდან აღებული მთლიანი თანხა მონყალეზად გაეღო. ასეც მოიქცა, რითაც მის ქონებას სიუხვე უფრო მოემატა.

იმისთვის, რათა შეისწავლო ადამიანი, რომ გაიგო რამდენად სუფთა სულისაა, რამდენად გულწრფელია, პირველ რიგში ყურადღება უნდა მიაქციო არა მისი ლოცვის რაოდენობას, არამედ მის დამოკიდებულებას ჰარამისა და ჰალალისადმი, მის სიფაქიზეს საეჭვო საქმეებსა და სურსათთან დამოკიდებულებაში.





### III. მუჰამმედ შუამავლის ღვთისმსახურებითი ცხოვრება

უთხარი: „უეჭველად, ჩემი ლოცვა და ჩემი ყურბანი ჩემი სიცოცხლე და ჩემი სიკვდილი-სამყაროთა ღმერთის — ალლაჰისთვისაა.“

(სურა ან ამი, აიათი 162)

ალლაჰის დაჯერებისა და რწმენის შემდეგ, მეორე ადგილს ღვთისმსახურება იჭირავს. ღვთისმსახურება ადამიანის გაჩენის მთავარი მიზეზია.

ღვთისმსახურება, ალლაჰზე მორჩილებას, პატივისცემას, მის წინაშე ქედის მოხრას, — ზოგადად, ადამიანის ალლაჰის სურვილისა-მებრ ცხოვრებას ნიშნავს. ადამიანის მიერ ასეთი მოქმედება მადლის მოგების იმედსა და ალლაჰთან დაახლოებას ნიშნავს. ღვთისმსახურება — ალლაჰის მიერ ადამიანზე ნაბოძები სიკეთისა და სარჩოს სანაცვლოდ მადლობის გადახდას ნიშნავს. ღვთისმსახურება და მორჩილება ალლაჰის დაფასებისა და სიყვარულის გამოსახატავად შესასრულებელი საქმეებია. ეს საქმიანობა ალლაჰისადმი ადამიანის მიერ გამოხატულ სიყვარულს, დაფასებასა და პატივისცემას შეიცავს, აგრეთვე ადამიანის გადარჩენის იმედს, რომელიც მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.

ღვთისმსახურების ყველაზე მაღალ საფეხურს ადამიანმა, რაღაც პირადი ინტერესი კი არა, მხოლოდ ალლაჰის სიყვარულის მოსაპოვებლად შესაძლოებელია მიაღწიოს. ამისთვის კი საჭიროა, მას გულში ალლაჰის არსებობისა და მისი სრული რწმენა ჰქონდეს. ხოლო ის ადამიანები, ვისაც შიში და ეჭვი აქვთ, სამწუხაროდ, ამას ვერასდროს მიაღწევენ. თუ ალლაჰის შუამავლის დარიგების შესაბამისად მოვიქცევით, ეს რწმენის გაძლიერებასა და დაცვაში დიდად დაგვეხმარება.





ალლაჰის შუამავლის ღვთისმსახურებითი ცხოვრება ფიქრით (თეფექქურით) დაინყო, აგრეთვე მონატრებით, მორჩილებით, სიყვარულითა და დიდი მისწრაფებით. ის იყო ალლაჰის დიდი ჯილდო მისთვის. შუამავალმა ჰირას გამოქვაბულიდან დანყებული, ალლაჰის მიერ დაკისრებული მოვალეობები სიკვდილამდე პირნათლად შეასრულა.

## 1. მუჰამედ შუამავლის (ნამაზი) ლოცვა

*„ჭეშმარიტად, ნამაზი უკეთურებისა ლოცვა და ბოროტებისგან განგარიდებს“*

სურა ანქებუთი, აიათი 45

### ა. აბდესი (გასუფთავება)

ალლაჰის შუამავალმა ღვთისმსახურებითი ცხოვრება სისუფთავეზე ააგო. ადამიანის სულიერ განწმენდასთან ერთად ფიზიკურ გასუფთავებასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ამასთან დაკავშირებით ალლაჰი ბრძანებს:

إِنَّ اللَّهَ يُحِبُّ التَّوَّابِينَ وَيُحِبُّ الْمُتَطَهِّرِينَ

„...უეჭველად, ალლაჰს უყვარს მომნანიებელნი და უყვარს განწმენდილები!“<sup>102</sup>

ალლაჰის შუამავლის ჰადისიც ზემოთ გადმოცემულის მტკიცებულებაა:

*„სისუფთავე რწმენის ნახევარია!“ (მუსლიმი, თაჰარეთი, 1).*

ყოვლისშემძლე ალლაჰს სურს მორწმუნე ადამიანებმა აბდესის აღებით შინაგანი და გარეგნული სიბინძურებიდან გასუფთავდნენ. ამიტომ ნამაზის ლოცვამდე აბდესის აღება ადამიანებისთვის ღმერთმა

102. სურა ბაყარა, აიათი 222.



აუცილებელი გახადა. აბდესის მნიშვნელობის შესახებ უკბე იბნ ამრი გადმოგვცემს:

„აქლემებს რიგრიგობით ვწყემსავდით. ერთ დღეს ჩემი მორიგეობა იყო. დღის ბოლოს აქლემები მინდორში გავიყვანე. უკან დაბრუნებისას ალლაჰის შუამავალთან შევიარე. ის ფეხზე მდგომი ხალხს მიმართავდა. მისი ნათქვამიდან მე მხოლოდ ამ სიტყვებს მივუსწარი:

„ვინც გულდასმით აბდესს აიღებს, შემდეგ ორ მუხლ ნამაზს ილოცავს და ყოველივე ეს მთელი გულით იქნება შესრულებული, მისთვის სამოთხე ვაჯიბი<sup>103</sup> გახდება!“

როდესაც ეს სიტყვები გავიგონე, მაშინვე ვთქვი, რომ „ეს რა კარგი რამ თქვა!“ ჩემ წინ მდგომი ადამიანი შემეხმიანა და მითხრა: „ცოტა ადრე ნათქვამი უფრო კარგი იყო!“ ეს კაცი მე ვიცანი, ის ომარ იბნ ჰათთაბი იყო. მან საუბარი განაგრძო: „შენ გვიან მოხვედი, ცოტა უფრო ადრე ალლაჰის შუამავალმა მოგვითხრო:

„ვინც თქვენგან გულდასმით აბდესს აიღებს და შემდეგ იტყვის: „*ეშჰედუ ელ ლაა ილააჰე ილლაჰლააჰ ვე ეშჰედუ ენნე მუხამმედენ ლებდუჰუ ვე რესუულუჰუ*“, მისთვის ალლაჰის მიერ გაჩენილი სამოთხის რვავე კარი გაიხსნება და რომელი კარიდანაც მისი სურვილი იქნება, იმ კარიდან შევა.“<sup>104</sup>

აბდესის მნიშვნელობის შესახებ კიდევ ერთ მაგალითს აბუ ჰურაირე გადმოგვცემს: „ერთ დღეს ალლაჰის შუამავალი სასაფლაოზე მივიდა და ბრძანა:

— „*მორნმუნეებო, ალლაჰის სალაში თქვენ! ის დღეც დადგება, რომ ჩვენც თქვენთან მოვალთ. ჩვენი ძმების დანახვა ძალიან მსურს, ისინი ძალიან მომენატრნენ!*“ თანამიმდევრებმა ჰკითხეს:

— შუამავალო, ჩვენ შენი ძმები არ ვართ?

შუამავალმა უპასუხა:

— თქვენ ჩემი თანამიმდევრები ხართ. ჩემი ძმები კი ჯერ კიდევ ამქვეყანაზე მოსასვლელეები არიან.

103. ვაჯიბი – აუცილებელი შესასრულები, მაგრამ არა ისეთი, როგორც ფარძი.  
104. მუსლიმი, თაჰარეთი, 17.



თანამიმდევრებმა გაიკვირვეს და წარმოთქვეს: „რადიელლაჰუ ანჰუმ ეჯმინ“: შენი თანამიმდევრებიდან ჯერ კიდევ ამქვეყანაზე მოსასვლელ ადამიანებს როგორ იცნობთ, შუამავალო?

— წარმოიდგინეთ, რომ ერთ ადამიანს ჰყავს ცხენი, რომელსაც თავი და ფეხები თეთრი აქვს. ის ადამიანი თავის ცხენს შავი ცხენების ჯოგში ვერ იცნობს?

— დიახ, იცნობს შუამავალო!

— სწორედ, ისინი აბდესაღებული და გაბრწყინებული სახით უნდა მოვიდნენ. მე კი წინასწარ უნდა წავიდე და მათ ქვესერის აუზთან დაველოდო.<sup>105</sup>

მუსლიმანის განსხვავებული თვისება სისუფთავეა. განკითხვის დღეს მუსლიმი ადამიანები განზანილები და გაბრწყინებული სახით იქნებიან წარდგენილი, რითაც ცნობილი იქნება, რომ ისინი ალლაჰის მუჰამედ შუამავლის მიმდევრები არიან. ამის მცოდნე მუსლიმები აბდესის გულდასმით აღებასა და წყლით რაც შეიძლება მეტი ადგილის დაბანას ცდილობდნენ. აბუ ჰანიმმა აბუ ჰურაირე აბდესის აღებისას დაინახა, მკლავებს ილლიამდე იბანდა და ჰკითხა:

— აბუ ჰურაირე, ეს როგორი აბდესია?

მან კი უპასუხა:

— ბენი ფერრაჰ, თქვენ აქ იყავით? თქვენი აქ ყოფნა რომ მცოდნოდა ასეთ აბდესს არ ავიღებდი, — უპასუხა მას და შემდეგ განაგრძო:

— მე ალლაჰის შუამავლის საუბარს ვესწრებოდი, სადაც მან ბრძანა, რომ „განკითხვის დღეს მუსლიმანის შუქი აბდესის წყლის მიღწეულ ადგილამდე იქნებაო.“<sup>106</sup>

აბდესი არამარტო ღვთის მსახურებისთვისაა საჭირო, არამედ ისლამი სხვა დროსაც მოითხოვს ადამიანი იყოს აბდესიანი. თუმცა ყოველი საქმის სუფთად გაკეთება ან ყოველ წუთს სუფთად ყოფნა თითოეული ადამიანისთვის შეუძლებელია. ეს მხოლოდ იმ ადამიანებს შეუძლიათ, ვინც მისი ფასი კარგად იცის. სწორედ ამის გამო,

105. მუსლიმი, თაჰარეთი, 39.

106. მუსლიმი, თაჰარეთი, 40.





განუწყვეტილად აბდესიანი ყოფნა, რწმენის ერთი ატრიბუტის შესრულებაა. ალლაჰის შუამავალი ჰადისში ბრძანებს:

*„განუწყვეტილად აბდესიანი ყოფნა მხოლოდ ძლიერ მორწმუნე ადამიანს შეუძლია.“<sup>107</sup>*

ამ საკითხთან დაკავშირებით, საყვარელი შუამავლის ცხოვრებიდან უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება. აბუ ჯუჰეიმის გადმოცემით, ალლაჰის შუამავალი ჯემელის ჭის მხარეს მიმავალ ერთ კაცს შეხვდა. შემხვედრმა მას სალამი მისცა, მაგრამ შუამავალმა მას სალამზე არ უპასუხა. იგი სწრაფად ერთ კედელთან მივიდა, თეიმუმით აბდესი აიღო და მხოლოდ მის შემდეგ უპასუხა შუამავალმა მიცემულ სალამს.<sup>108</sup>

იბნ აბბასი გადმოგვცემს: „ალლაჰის შუამავალი როცა საპირფარეშოდან გამოვიდოდა, ჯერ წყლით ხელებს დაიბანდა, ხოლო შემდეგ აბდესს აიღებდა. იბნ აბბასმა შუამავალს ჰკითხა:

— *ალლაჰის შუამავალო! თქვენ ხომ წყალთან ახლოს ხართ, ასე რატომ აკეთებთ?*

*შუამავალმა უპასუხა:*

— *რა ვიცი, შეიძლება იქამდე ველარ მივალწიო (მოვკვდე).“<sup>109</sup>*

ალლაჰის შუამავალი ისეთ მდგომარეობაში ყოფნისას, როცა ღუსლის აბდესის აღებას საჭიროებდა, ჯერ ხელებს კედელზე დაარტყამდა და თეიმუმით აბდესს აიღებდა.<sup>110</sup>

ალლაჰის შუამავლის ასეთი ლამაზი მაგალითების წყალობით, მრავალმა მუსლიმმა აბდესის მოშლისთანავე ახლის აღება ან აბდესის აღების შემდეგ ცოტა დრო რომ გავიდოდა, აბდესის მოუშლელად, კიდევ ერთხელ მისი აღება წესად შემოიღო. აბდულჰამიდ ჰანი როცა გაიღვიძებდა, სანოლის ქვეშ შენახული ქვას აიღებდა, და წყალთან მისვლამდე თეიმუმით აბდესს აიღებდა. მისი ქალიშვილი გადმოგვცემს:

107. მუვათათა, თაჰარეთი, 6.

108. ბუჰარი, თეიმუმი 3.

109. იბნ ჰანბელი, 1 – 288.

110. ჰეისემი, 1 – 264.





ალლაჰის შუამავალმა ბრძანა: „იმ ადამიანს, ვინც აბდესიანად ყოფნის მიუხედავად, ან მის მოუშლელად, კიდევ ერთ აბდესს აიღებს, ათმაგი მადლი დაენერება.“<sup>111</sup>

აბდესის აღების მნიშვნელობა ალლაჰის შუამავლის უამრავ ჰადისშია გადმოცემული. აი, ერთ-ერთი მათგანი:

„ვინც აბდესისთვის ნყალს მოამზადებს, შემდეგ ამ ნყლით პირსა და ცხვირს გამოივლებს, უეჭველად, დაშვებული შეცდომები დაცვივდება. ვინც შემდეგ, ალლაჰის ბრძანების მიხედვით, სახეს დაიბანს, ჩადენილი ცოდვები დაბანილი ნყლის დარად ჩამოერეცხება, შემდეგ ვინც, თავზე მესს გაიკეთებს, ჩადენილი ცოდვები ჩამოშორდება. ხოლო, მას, ვინც ფეხებს კოჭების ჩათვლით დაიბანს, (ფეხებით ჩადენილ ცოდვებს დაბანილი ნყალი ჩამორეცხს. ამის შემდეგ თუკი იდგება და ალლაჰის წინაშე ნამაზს ილოცავს, შევედრება, გულიდან, ალლაჰის გარდა სხვის სიყვარულსა და შიშს ამოიღებს, მაშინ ის ადამიანი ახალშობილი ბავშვის მსგავსად უცოდველი გახდება.“<sup>112</sup>

ამ ჰადისში არ არის მოხსენიებული აბდესის ის ნესები, რომელთა გაკეთებაც სუნნეთია. აქ მხოლოდ აბდესის ფარძებზეა ყურადღება გამახვილებული.

ადამიანი თუ ალლაჰის მიმართ ბოლომდე თავაზიანი არ იქნება, თავის სულიერ მოთხოვნილებასა და გულს ვერ გააკონტროლებს, ის ნამდვილ სისუფთავეს ვერ დაიცავს. ამიტომ, აბდესის აღების დროს, საჭიროა, სხეულის ყოველი ორგანოს გასუფთავებასთან ერთად, ის სულიერადაც გასუფთავდეს.

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების გარდა, შუამავალი მუჰამმედი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მისვაქის<sup>113</sup> ხმარებას. ის მისვაქს დილასა და საღამოს იყენებდა და მის გამოყენებას ყველას ურჩევდა. იგი ერთ-ერთ ჰადისში ბრძანებს:

„მე რომ დარწმუნებული ვყოფილიყავი, ის თქვენ არ შეგიქმნიდა სიძნელეს, მის გამოყენებას ყოველი ნამაზის წინ გიბრძანებდი.“<sup>114</sup> ან

111. თირმიზი, თაჰარეთი, 44.

112. მუსლიმი, მუსაფირინი, 294.

113. მისვაქი-ხის ფესვისგან დამზადებული კბილის ჯაგრისი.

114. ბუჰარი, ჩუმა, 8.





კიდევ: „მისვაქი პირის ღრუს გამსუფთავებელი და ამასთან ერთად, ალლაჰის კმაყოფილების მოპოვების ერთ-ერთი საშუალებაა.“<sup>115</sup>

### **ბ. ნამაზი (ლოცვა)**

ნამაზი-ალლაჰისადმი მსახურების ყველაზე ძვირფასი და ლამაზი ფორმაა. ღვთისმსახურების ყველაზე მნიშვნელოვანი და ადამიანისთვის ყველაზე სასარგებლო საქმეა. სწორედ ამიტომ არის, რომ ალლაჰი ყურანში მას ხშირად ახსენებს და ის რწმენის ერთ-ერთ მთავარ ბურჯად აცხადებს. შუამავალმა, ალლაჰის შთაგონების მეშვეობით, ნამაზის დროები, წესები და ყველა წვრილმანი ჩამოაყალიბა.

ნამაზი ალლაჰისადმი მსახურების სამ ძირითად კომპონენტს შეიცავს:

1. ალლაჰის ძლიერების დაჯერება, გულის მისი სიდიადით პატივისცემითა და სიყვარულით ავსება;

2. ალლაჰი სიდიადისა და პატივისცემის ენითა და ხმამაღალი სიტყვებით გამოხატვა;

3. ალლაჰის პატივისცემისა და დაფასების მოქმედებით გამოხატვა. სულიერი შეგრძნებით ალლაჰისადმი მორჩილების გამოხატვა და მის წინაშე სეჯდის (ქედის მოხრა) გაკეთება. ძლევამოსილი შემქმნელის წინაშე სხვადასხვა მდგომარეობით-ყიამით (ნამაზის სალოცავად დგომა), რუქულით (წელში მოხრა) და სეჯდეთი (მინიერი თაყვანისცემა) ღვთისმსახურების შესრულება.

ალლაჰის პატივისცემისა და მსახურების გამოსახატავი ნამაზი სანიმუშოდ შუამავალმა შეასრულა. მან თავის თანამიმდევრებს ასეთი თხოვნით მიმართა: „ნამაზი ისე ილოცეთ, როგორც მე ვლოცულობ!“<sup>116</sup> ამის გამო, პირველ რიგში, საჭიროა შევისწავლოთ, თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ალლაჰის შუამავალი ნამაზს და როგორ ასრულებდა მას. ჩვენი საყვარელი მუჰამედ შუამავალი ნამაზს ასე ლოცულობდა:

ნამაზის ლოცვის დროს ყიბლესკენ შებრუნდებოდა, ხელებს ყურის ბიბილოებთან მიიტანდა ალაპყრობდა, „ელლაჰუექბერ“ — იტყოდა და ლოცვას დაიწყებდა. ხელებს მუცლის ქვემოთ, მარჯვენას

115. ნესაი, თაჰარეთი, 5.

116. ბუჰარი, ეზანი, 18.





მარცხენაზე-დადებით წელზე შეიკრავდა და „სუბჰანექეს“ იკითხავდა. ამის შემდეგ „ბისმილით“ სურა „ფათიჰა—“ს იკითხავდა. შემდეგ ხმადაბლა „ამინ—“ს იტყოდა. ამასთანავე, შუამავალი მუჰამმედი მორწმუნეებსაც მოუწოდებდა, რომ მათაც წარმოეთქვათ. „ამინ!“

ალლაჰის შუამავალი სურა „ფათიჰას“ კითხვის შემდეგ კიდევ ერთ სურას იკითხავდა. შემდეგ „ალლაჰუექებერ“ იტყოდა და რუქუზე წავიდოდა (რუქული — მუხლებზე ხელების დაყრდნობით წელში მოხრავდა), სადაც სამჯერ „სუბჰანე რობბიელ აზიიმ“ — იტყოდა. შემდეგ „სემიელლაჰჰუ ლიმენ ჰამიდეჰ“ იტყოდა და წელში გაიმართებოდა, საიდანაც „რობენაა ვე ლექელჰამდ“ თქმის შემდეგ, „ალლაჰუექებერ—“ს იტყოდა და სეჯდეზე წავიდოდა. ამგვარად, ხელების, ცხვირის შუბლის, მუხლებისა და ფეხის თითების ძირს შეხებით ალლაჰს სეჯდეს გაუკეთებდა. ამ მგომარეობაში სამჯერ „სუბჰანე რობბიელ ალლას“ იტყოდა.

შემდეგ, „ალლაჰუექებერი—“ს თქმით სეჯდედან თავს აიღებდა და კიდევ ერთხელ „ალლაჰუექებერი—“ის თქმით მეორედ სეჯდეს გააკეთებდა, სადაც კიდევ ერთხელ სამჯერ „სუბჰანე რობბიელ აალა—“ს იტყოდა. ამის შემდეგ კი, „ალლაჰუექებერ“ იტყოდა და მეორე მუხლის სალოცავად ფეხზე ადგებოდა. მეორე მუხლსაც ისე ილოცავდა, როგორც პირველს. ამის შემდეგ მარჯვენა ფეხის გაუქანებლად მარცხენა ფეხს მოკეცავდა და მასზე დაჯდებოდა. ხელებს მუხლებზე დაინყობდა, „ეთთეჰიათს“, სალლი-ბარიჰ ვედრებებს იკითხავდა, შემდეგ კი, ჯერ მარჯვნივ, მერე მარცხნივ თავს მიაბრუნებდა და „ესსელაამუ ალეიქუმ ვერეჰმეთულლაჰის“ თქმით სალამს მისცემდა.

ლოცვის დროს ალლაჰის შუამავალის მოქმედებები: რუქუი, ორი სეჯდე, ორ სეჯდეს შორის დაჯდომა და რუქუიდან ადგომის დროს გასწორება დაახლოებით ერთნაირი იყო, ისეთივე, როგორც დღეს ჩვენ ვაკეთებთ.

ალლაჰის შუამავალი დილის ნამაზის ლოცვის დროს, შედარებით უფრო გრძელ სურებს კითხულობდა. მაგალითად: „თაქვინ“-ს „ყაფ“-ს „ვაყია“-ს ან სურა „იასინ“-ს ჯუმა დღის (პარასკევს), დილის ნამაზზე კი სეჯდეზე სურა „ინსანს“ კითხულობდა. დილის ნამაზის ლოცვის დროს პირველ მუხლზე-უფრო გრძელ, ხოლო მეორე მუხლზე შედარებით მოკლე სურას კითხულობდა. შუადღისა და სამხრობის ნამაზის ლოცვისას, ძირითადად, „ლეილ“, „ბურუჯ“, „ტარიყ“ და



„ასრს“ სურას კითხულობდა. სალამოს ნამაზის ლოცვის დროს კი — „ტურ“ და „მურსელათ“ სურას. ისიც ცნობილია, რომ ალლაჰის შუამავალს ბოლო სალამოს ნალოც ნამაზზე სწორედ სურა „მურსელათი“ წაუკითხავს.

აბდულლაჰ იბნ აბბასმა ერთ სალამოს ნამაზის ლოცვის დროს, როცა სურა „მურსელათი“ იკითხა, დედა — უმმულ ფადიმ უთხრა: „შვილო, ალლაჰს ვფიცავ, რომ სურა „მურსელათი—“ს კითხვით შუამავლის მიმართ მონატრების გრძნობა თვითონ გამიღვიძე, რადგან ის სურა სწორედ მის მიერ ბოლო სალამოს ნალოც ნამაზზე ნაკითხია, რომელიც მე მოვისმინე. (ბუჰარი, ეხანი, 98).

ალლაჰის შუამავალი, ჩამოთვლილი სურების გარდა, სხვებსაც ხშირად კითხულობდა. მაგალითად: სალამოს ნამაზის ლოცვის დროს, პირველ მუხლზე — სურა „ქააფირუნს“, ხოლო მეორეზე „იჰლასს“ კითხულობდა. ძილის წინა ნამაზის ლოცვის დროს ის „დუჰა“, „თინ“, „მუნააფიყუნ“, „ალა“, „ლეილ“, „ალაყ“ და კიდევ სხვა სურებს კითხულობდა. ერთხელ, ძილის წინა ნამაზის ლოცვის დროს, სურა „ინშიყაყი“ იკითხა და როცა სეჯდეს აიათი წაიკითხა, სეჯდე გააკეთა.

ვითრი ნამაზის ლოცვის დროს, პირველ მუხლზე — „ალას“, მეორეზე — „ქააფირუნ“, ხოლო მესამეზე „იჰლას“ სურებს კითხულობდა. სალამის მიცემის შემდეგ კი სამჯერ „სუბჰანელ მელიქულ ყუდდუს“ იტყოდა. მესამეჯერ თქმის დროს ხმას ცოტა აუმაღლებდა და სიტყვებს გააგრძელებდა.<sup>117</sup>

## 1. ნამაზის მნიშვნელობა მუჰამმედ შუამავლის მიხედვით

ალლაჰის შუამავალი ფარძი ნამაზების ლოცვის გარდა, თავისუფალ დროს ნაფილე ნამაზებსაც ლოცულობდა. როდესაც რაიმე მიზეზის გამო ოდნავ სიხარულს იგრძნობდა, მაშინვე მადლობის ნამაზს (შუქურ ნამაზს) ლოცულობდა. როცა რაიმე საწყენ ამბავს შეიტყობდა, კვლავ ნამაზს ლოცულობდა.<sup>118</sup> მას ნამაზი არასდროს არაფრით შეუცვლია. ახლად გამუსლიმებული ადამიანებისთვისაც ნამაზის არლოცვის ნება არასდროს მიუცია და ის ყოველთვის ამბობდა, რომ ნამაზის გარეშე არც ერთი სარწმუნოება არ შეიძლებო-

117. მ. ასიმ ქოქსალი, 4 – 2 – 93-97.

118. აბუ დავუდი, სალათი, 312.





და ყოფილიყო. ამ საკითხთან დაკავშირებით, ფრიად საინტერესოა შემდეგი მაგალითი:

საქიფ ჰეიეთის ტომის წარმომადგენლებმა, მუსლიმებს წაუყენეს მოთხოვნები, რომლებიც მდგომარეობდა შემდეგში:

- არ აეღოთ მათგან არავითარი გადასახადი;
- არასდროს გამოეძახებინათ ისინი ჯიჰადზე (ომში);
- არ მოეთხოვათ ნამაზის ლოცვა.

მათ მოთხოვნებს ალლაჰის შუამავალმა უპასუხა:

*„კარგი! დაე, თქვენ არ მოგთხოვონ გადასახადის გადახდა, არ გაგინვიონ ჯიჰადზე, მაგრამ არაფერი კარგი არ არის ისეთ რწმენაში, სადაც არ ლოცულობენ ნამაზს!“<sup>119</sup>*

ნამაზს, რომლის ლოცვაც ალლაჰის ბრძანებაა, იმდენად უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს, რომ ბრძოლისველზეც კი ვალდებული იყვნენ მეომრები შეესრულებინათ ის — აბუ ჰურაირე შემდეგ ისტორიას გადმოგვცემს:

„ალლაჰის შუამავალი ერთ-ერთი მოგზაურობის დროს დაჯანანისა და უსფანის ტომებს შორის დაბანაკდა. მოწინააღმდეგეები ერთმანეთს ეუბნებოდნენ:

— მუსლიმებს აქვთ ნამაზი, რომელიც მათთვის შვილებსა და მშობლებზე ძვირფასია. ეს არის - იქინდი ნამაზი. იყავი ფხიზლად და როგორც კი ისინი ნამაზის ლოცვას შეუდგებიან, მოულოდნელად დავესხათ თავს. ამ დროს ჯებრაილ ანგელოზი გამოეცხადა შუამავალს და უკარნახა, ბრძოლის ველზე როგორ ელოცათ ნამაზი.

„და როცა შენ (ო, მუჰამედ!) მორწმუნეთა შორის ხარ და წარმართავ მათ ლოცვით, შენთან ერთად ილოცოს ერთმა ჯგუფმა იარალით ხელში. როცა პირველი ჯგუფი ლოცვას დაასრულებს, შენ უკან დადგნენ და მოვიდეს მეორე ჯგუფი, რომელსაც ჯერ არ ულოცია და შენთან ერთად განაგრძოს ლოცვა. მაგრამ ფრთხილად იყვნენ და იარალი ჰქონდეთ თან. ვინც ურწმუნოა, ნატრობს უგულისყოფილად დატოვოთ იარალი და აღჭურვილობა, რომ მოულოდნელად დაგესხან თავს. ცოდვად არ გეთვლებათ, თუ იარალს განზე გადადებთ წვიმიით

119. აბუ დავუდი, ჰარიჯი, 25-26.

შენუხებულნი ან ავად მყოფნი. და იყავით ფხიზლად! უეჭველად, ალლაჰმა გაუმზადა ურწმუნოებს სასჯელი დამამცირებელი!“<sup>120</sup>

როგორც ხედავთ, მუსლიმანს ნამაზის გადადება არასდროს არ შეუძლია. ნამაზის ჯამათით ლოცვაზე უარიც კი - სერიოზული გადაცდომაა. ძლევამოსილი ალლაჰი გვაფრთხილებს, რომ მართლ-მორწმუნეებს მხოლოდ ნამაზის ლოცვით შეუძლიათ გამარჯვების მოპოვება:

الَّذِينَ إِذَا مَكَتَاهُمْ فِي الْأَرْضِ أَقَامُوا الصَّلَاةَ  
وَأَتَوْا الزَّكَاةَ وَأَمَرُوا بِالْمَعْرُوفِ وَنَهَوْا عَنِ الْمُنْكَرِ  
وَاللَّهُ عَاقِبَةُ الْأُمُورِ

„რომელთაც ჩვენ მივმადლით ამ ქვეყანაზე ბატონობას, აღავლენენ ლოცვას, გაიღებენ ზექათს, ბრძანებენ სიკეთის კეთებას და კრძალავენ უკეთურობას. უეჭველად, ყოველი საქმის აღსასრული ალლაჰთან მიიქცევა.“<sup>121</sup>

ამგვარად, ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ ნამაზი ღვთისმსახურების ყველაზე ძვირფასი ფორმაა. ამიტომ ადამიანმა ნებისმიერი წინააღმდეგობის და სიძნელის დროს ნამაზი მაინც უნდა ილოცოს. აბუ დერდა გადმოგვცემს: „ალლაჰის შუამავალმა ასეთი რჩევა მომცა: „როგორც არ უნდა განადგურდე, ცეცხლშიც რომ დაიწვა, ალლაჰს მაინც არავინ გაუტოლო! არასდროს ნამაზის ლოცვას თავი არ დაანებო! ვინც ნამაზის ლოცვას შეგნებულად თავს დაანებებს, ის ადამიანი ალლაჰის მფარველობიდან შორს დარჩება.“<sup>122</sup>

ალლაჰის შუამავალი ბრძოლის დროს ფარძი ნამაზის ლოცვით არ კმაყოფილდებოდა. ის ღამლამობით დილამდე ალლაჰს ევედრებოდა. ალი ბედირის ბრძოლის შესახებ გადმოგვცემს:

„ბედირის დღეს, ჩვენ შორის, მიყდადის გარდა, სხვა ცხენოსანი არავინ იყო. კარგად მახსოვს რომ იმ დროს, ალლაჰის შუამავლის

120. სურა ნისა, აიათი 102; თირმიზი, თეფსირი, 4 – 21.

121. სურა ჰაჯჯი, აიათი 41.

122. იბნ მაჯე, ფითენი, 23.





გარდა, ყველას გვეძინა. ის კი, დილამდე, ერთი ხის ძირში, ნამაზს ლოცულობდა და ტიროდა.<sup>123</sup>

მუჰამმედ შუამავალის ალლაჰისადმი სიყვარულმა ისეთ დონეს მიაღწია, რომ იგი ქვეყანაზე სიმშვიდეს და მოსვენებას, მხოლოდ ღვთისმსახურების დროს პოულობდა. ამქვეყნიურ საქმიანობაში ჩაიძირებოდა რა, მაშინვე ბილალს ეზანს აკითხებდა და თვითონ ნამაზის სალოცავად წავიდოდა. ლოცვის დროის დადგომისას, ის ყველა საქმეს გვერდზე გადადებდა ნამაზის სალოცავად გაეშურებოდა. მთელი სიცოცხლის განმავლობაში მუჰამმედ შუამავალი, ნამაზს დროის დადგომისთანავე ლოცულობდა. ის ნამაზის თავის დროზე ლოცვით ძალიან დიდ კმაყოფილებასა და სიმშვიდეს პოულობდა.<sup>124</sup> უზუნაესი ალლაჰი ნამაზის მიმართ სერიოზული დამოკიდებულებისა და თავის დროზე შესრულების შესახებ აიათში ასე ბრძანებს:

إِنَّ الْمُنَافِقِينَ يُخَادِعُونَ اللَّهَ وَهُوَ خَادِعُهُمْ وَإِذَا قَامُوا إِلَى الصَّلَاةِ قَامُوا كَسَالَى يُرَآؤُونَ النَّاسَ وَلَا يَذْكُرُونَ اللَّهَ إِلَّا قَلِيلًا

„უეჭველად, ის სურთ თვალთმაქცებს, რომ ალლაჰი მოატყუონ, მაგრამ იგი მოატყუებს მათ. და როცა ლოცვად დგებიან, მცონარობით დგებიან, საჩვენებლად ხალხისა და არ ახსენებენ ალლაჰს, მცირედის გამოკლებით.“<sup>125</sup>

فَوَيْلٌ لِلْمُصَلِّينَ الَّذِينَ هُمْ عَنْ صَلَاتِهِمْ سَاهُونَ

„ვაი, იმ მლოცველებს, ისინი, რომელნიც უგულისყუროდ ასრულებენ ლოცვას!“<sup>126</sup>

ცნობილი მეცნიერი ელმალილი ამ აიათით თეფსირის (განმარტება) ამბობს:

— ისინი ნამაზის მნიშვნელობას ყურადღებას არ აქცევენ და როგორც საჭიროა, ისე არ ასრულებენ;

123. იბნ ჰუზეიმე, 2 – 52.  
124. ბუჰარი, სალათი, 48.  
125. სურა ნისა, აიათი 142.  
126. სურა მათინი, აიათები 4-5.



- არ ფიქრობენ იმაზე, შესრულდა თუ არა ესა თუ ის ნამაზი;
- ნამაზის დროის მოსვლას ყურადღებას არ აქცევენ. ნებისმიერ დროს შეუძლიათ ნამაზის შემდგომზე გადატანა;
- მათ სრულებით არ აღეღვებთ ნამაზის ლოცვა.
- ისინი მხოლოდ ამქვეყნიური ცხოვრებისა და გარკვეული ინტერესების გამო ასრულებენ მას; და როცა ლოცულობენ, მაშინაც ალლაჰისთვის სუფთა გულით ამას არ აკეთებენ.

— ისინი მხოლოდ ადამიანებთან ერთად ყოფნისას ლოცულობენ და ალლაჰისადმი არავითარი გრძნობები არ ამოძრავებთ. ამას მხოლოდ სხვის დასანახად აკეთებენ.<sup>127</sup> როდესაც ალლაჰი მლოცავებზე ამბობს: „ისინი რა ცოდვანი არიან“, მაშინ საერთოდ არამლოცველებზე რას იტყვის?!“

ამის გამო, ალლაჰის შუამავალი ნამაზის შემდეგი დროისათვის გადადებას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს:

*„ნამაზის ლოცვას პირველი წუთებიდანვე ალლაჰის კმაყოფილება ახლავს, ხოლო ბოლო წუთებში-პატიება.“<sup>128</sup> აქედან გამომდინარეობს, რომ ალლაჰი ნამაზის პირველივე წუთებში მლოცავების კმაყოფილი ხდება, ბოლო წუთებში მლოცავ ადამიანებს კი პატიების შანსი რჩებათ.*

ალლაჰის შუამავალს, სიცოცხლის ბოლო წუთებშიც, როდესაც ძალიან მძიმედ ავად იყო, ნამაზი არ გაუცდენია. ავადმყოფობა ისე გაძლიერდა, მის ორგანიზმში, რომ ძალ-ღონე გამოეცალა, მაგრამ ორი ადამიანის დახმარებით, შუადღისა და სამხრობის ნამაზის სალოცავად მან, მაინც შეძლო მეჩეთში შესვლა და ნამაზის ხალხთან ერთად ლოცვა. სიკვდილთან ძალიან ახლომყოფმა ალლაჰის შუამავალმა ბოლო წუთებშიც არ დაივიწყა თავისი საყვარელი თანამიმდევრები, რომელთა მიმართ მისი ბოლო სიტყვები ასეთი იყო: *„ნამაზი! ნამაზი! თქვენი ძალაუფლების ქვეშ მყოფ მონებს, ქალებსა და ბავშვებს გაუფრთხილდით და სამართლიანად მოექცით!“<sup>129</sup>*

ალლაჰის შუამავალმა თავისი ცხოვრება და ისლამის სარწმუნოება საუკეთესო დონეზე წარმოგვიდგინა. ასევე ნამაზის შესრუ-

127. ჰაქ დინი, ყურან დინი, 9 – 6168.

128. თირმიზი, სალათი, 13.

129. აბუ დავუდი, ედები, 133.





ლებასაც ის ყველასგან საუკეთესოდ მოითხოვს. მუთეს ბრძოლაში წასასვლელად მზადყოფმა აბდულლაჰ ბინ რევაჰამ დამშვიდობებისას ალლაჰის შუამავალს მიმართა:

„— შუამავალო, ისეთი რამ მითხარი, რასაც დავიმახსოვრებ და არასდროს დამავინწყდება. შუამავალმა უთხრა:

— *შენ ხვალ ისეთ ადგილას მიხვალ, სადაც ალლაჰის წინაშე ყველაზე ცოტა ნამაზს ლოცულობენ. შენ კი იქ, რაც შეიძლება, მეტი ნამაზი ილოცე.*“<sup>130</sup>

საყვარელი შუამავალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბავშვობის ასაკიდან ლოცვის დანყებას. ის შვიდი წლის ასაკში ყველასგან ნამაზის ლოცვის დანყებას ითხოვდა, ხოლო ათი წლის ასაკში — მის მიმართ უფრო სერიოზულ დამოკიდებულებას, რადგან ალლაჰი ყურანის აიათში ასე ბრძანებს:

وَأْمُرْ أَهْلَكَ بِالصَّلَاةِ

وَأَصْطَبِرْ عَلَيْهَا لَا نَسْأَلُكَ رِزْقًا نَحْنُ نَنْزُقُكَ وَالْعَاقِبَةُ لِلتَّقْوَى

„და უბრძანე შენს ოჯახს ლოცვა და იყავი მომთმენი მასზე. ჩვენ არ გთხოვთ სარჩოს, ჩვენ თავად გასაზრდობთ შენ. ხოლო კეთილი აღსასრული ღვთისმომშიშებისთვისაა!“<sup>131</sup>

მართლმორწმუნეებმა მუჰამედ შუამავლის გაკვეთილები ნამაზის შესახებ კარგად აითვისეს. ამიტომ მის შესრულებას ისინი უპირველეს ვალდებულებად თვლიდნენ. ოსმალეთის ერთ-ერთმა იმპერატორმა სულთანმეჰმედ რეშიდ მეექვსემ, რომელიც დიდ პატივად თვლიდა მიჰყოლოდა კვალდაკვალ ალლაჰის შუამავალს, თავისი შვილების აღმზრდელად დაქირავებულ მასწავლებელს — ქალბატონ საფიეს შემდეგი დარიგება მისცა:

„ვინც ნამაზსა და მარხვას არ შეასრულებს, ჩემ მიერ მისთვის მიცემული საჭმელ-სასმელი ჰარამი იქნება. ეს სიტყვები ასე გადაეცა ყველას.“<sup>132</sup>

130. ვაჰიდი, 2 – 758.

131. სურა თაჰა, აიათი 132.

132. საფიე უნუვარი, მემუარები სარაიაში გვ. 21.





ეს რა დიდი ღვთისმსახურებაა! რა დიდი სიბრძნე!..

## 2. ნამაზის ლოცვით მიღებული ღვთისმოსაობა და სიმშვიდე

ანიჭებდა რა უდიდეს მნიშვნელობას ნამაზის შესრულებას, ალლაჰის შუამავალი ლოცვისას დიდ სიყვარულსა და გატაცებას გრძნობდა. როგორც ჩვეულებრივი ადამიანი საყვარელ და ძალზე მონატრებულ ადამიანთან შეხვედრის დროს განიცდის სიხარულს, სწორედ ასეთ, დიდ და ძლიერ სიხარულს განიცდიდა შუამავალი ნამაზის ლოცვის დროს, რადგან მას სიამოვნებდა, ალლაჰთან საუბარი.

საყვარელი შუამავალი, ნამაზის ლოცვის დროს, ალლაჰის წინაშე მორჩილებას, თავმდაბლობასა და პატივისცემას იჩენდა, მას ალლაჰზე ვედრება და ხვეწნა-მუდარა ერთგვარ სიამოვნებას ანიჭებდა.

ნამაზის შესრულებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი თავმდაბლობა და მორჩილებაა. სწორედ ამ თვისებებითა და ალლაჰის შიშით გამოირჩეოდა შუამავალი. ალლაჰის შუამავალი ნამაზის ლოცვისას სახით ყიბლესკენ დადგებოდა, სრულ სიმშვიდეს მიეცემოდა, მთელი გულით ალლაჰს მიენდობოდა, თვალთ მხოლოდ და მხოლოდ ერთი წერტილს დასცქეროდა და ერთ ადგილას იყო გაჩერებული.

აბდულლაჰ იბნ შერრიჰი გადმოგვცემს: „ერთხელ მუჰამმედ შუამავალს ნამაზის ლოცვაში მივუსწარი. მას მკერდიდან, როგორც მდულარე ქვაბიდან, დუღილის ხმა გამოსდიოდა.“<sup>133</sup>

ლოცვას, რომლის დროსაც სხეული, სული და ფიქრები მიმართულია მხოლოდ ალლაჰისკენ, აქვს უზარმაზარი მნიშვნელობა მისი სიყვარულისა და უსაზღვრო წყალობის მოსაპოვებლად. ჰადისში ვკითხულობთ:

„ნამაზი ორ-ორი მუხლით ილოცვება და ყოველ ორ მუხლზე „შეჰადეთი“ იკითხება. ნამაზის დამთავრების შემდეგ, ხელების მაღლა აწევით, ალლაჰის მიმართ ვედრება სრულდება. ვინც ასე არ შეასრუ-

133. აბუ დავუდი, სალათი, 158.





ლებს, მის ნამაზს ნაკლი ექნება.“<sup>134</sup> ნამაზი — ადამიანის ღვთისმოსიშობისა და ღვთისმოსაობის გამოხატულებაა.“

ჯამაათით ნამაზის ლოცვისას ალლაჰის შუამავალი, ყოველთვის ფიქრობდა მის გვერდით მლოცავ მოხუცებსა და ავადმყოფებზე, ამიტომ არასდროს ნამაზის ლოცვას საჭიროზე მეტხანს არ გააგრძელებდა. ერთხელ, ნამაზის ლოცვის დროს, მას ბავშვის ტირილის ხმა შემოესმა და ლოცვა ადრე დაამთავრა, რადგან იფიქრა, ბავშვის დედა შესაძლებელია მის უკან ნამაზზე მდგარიყო. მაგრამ როცა ღამეში თეჰეჯჯუდ ნამაზს ლოცულობდა და სხვაზე ფიქრი არ აწუხებდა, მაშინ ძალიან დიდხანს ლოცულობდა. ის ბრძანებდა, რომ ხანგრძლივად ნალოც ნამაზს ალლაჰის წინაშე მეტი ფასი ჰქონდა.<sup>135</sup> ამგვარად, ალლაჰის შუამავალი მარტოდ ყოფნის დროს „ნაფილე“<sup>136</sup> ნამაზებს დიდხანს ლოცულობდა და ალლაჰთან ერთად ყოფნის სიამოვნებით ტკბებოდა. ალლაჰის შუამავლის მიერ ერთ დღეს ნალოც „ნაფილე“ ნამაზის შესახებ ჰუზეიფე შემდეგ ამბავს გვიყვება:

„ერთ დღეს შუამავლის ერთად ნამაზის სალოცავად დავდექი. მან ნამაზის პირველ მუხლზე სურა „ბაყარას“ კითხვა დაიწყო. ჩემს გულში ვთქვი, ალბათ ასი აიათის კითხვის შემდეგ რუქუზე წავამეთქი, მაგრამ ასი აიათის შემდეგაც კითხვა არ შეწყვიტა. გონებაში გამიელვა, ალბათ, ამ სურით ორი მუხლი უნდა ილოცოს-მეთქი, მაგრამ ასე არ მოხდა. მერე ვიფიქრე, რომ ამ სურას ბოლომდე იკითხავს-მეთქი. მაგრამ არც ამჯერად შეწყვიტა კითხვა და სურა „ბაყარას“ შემდეგ სურა „ნისას“ კითხვა დაიწყო, მის შემდეგ კი სურა „ალი იმრანი“ იკითხა. ძალიან ნელა და გარკვევით კითხულობდა. შემდეგ რუქუზე წავიდა, სადაც „სუბჰანე რობბიელ ააზიმ“ თქვა, მერე — „სემიელლაჰუ ლიმენ ჰამიდეჰ“ და წელში გაიმართა სადაც ცოტა ხანი გაჩერდა და სეჯდეზე წავიდა. სეჯდეზე „სუბჰანე რობბიელ ელლა“ — თქვა და ამგვარად ორი სეჯდე გააკეთა.“<sup>137</sup>

ნამაზის ლოცვა ამქვეყნიური საქმეებიდან დროებით მოშორება და ალლაჰთან დაახლოებაა. ალლაჰთან დაახლოება მხოლოდ რეგულარულად ნამაზის ლოცვითა და ბევრი ვედრებით არის შესაძლებელი.

134. თირმიზი, სალათი, 166.

135. მუსლიმი, მუსაფირინი, 165.

136. ნაფილე ნამაზი – ხუთი დროის ნამაზის გარდა ნალოც ნამაზს, ნაფილე ნამაზი ჰქვია.

137. მუსლიმი, მუსაფირინი, 203.





ლი. ამის განხორციელებისთვის ნამაზის ლოცვით გულის გასუფთავებაა საჭირო. როდესაც ადამიანისთვის ნამაზის ლოცვა ერთგვარ მოვალეობად იქცევა, მისი შესრულება აღარ გაუჭირდება, ყოველგვარი სიძნელე მოეხსნება და ნამაზის ლოცვის სურვილი მოემატება. შემდეგ კი მასში ეს სურვილი, რა თქმა უნდა, ყოველთვის იქნება და არასდროს დაიკარგება.

ნამაზის ლოცვის დაწყება და სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელება, მორწმუნე ადამიანისთვის, ყველაზე წარმატებული და ნაყოფიერი საქმეებიდან ერთ-ერთია.

აღლაჰი ბრძანებს:

الَّذِينَ هُمْ عَلَىٰ صَلَاتِهِمْ دَائِمُونَ

„რომელნიც ლოცვას აღავლენენ გამუდმებით“<sup>138</sup>

მევლანა „ყუდღისე სირრუჰ“ ნამაზის შესახებ ბრძანებს:

„ჩვენთვის სწორი გზის მაჩვენებელი და ცუდი საქმეებისგან დამცავი ნამაზი. დღეში ხუთჯერ ილოცება. ნამაზის ლოცვის მოყვარულები ყოველთვის ჩვენს გზაზე არიან. მათ გულებში არსებული რწმენა, აღლაჰისადმი სიყვარული, არც ხუთი დროის ნამაზში ჩაეტევა და არც ხუთი ათასში. გამონათქვამი: „მე ხშირად არ მომინახულო!“ — აღლაჰის შეყვარებული ადამიანებისთვის არ არის ნათქვამი. აღლაჰის ნამდვილ მოყვარულთა სულები უწყლოა. ამიტომ გამონათქვამი — „მე ხშირად არ მომინახულო“ — თევზებზე შეიძლება ვთქვათ? თევზებს შეუძლიათ ზღვის გარეშე სიცოცხლე? ზღვის წყალი ხომ ძალიან საშიშია, მაგრამ ის თევზებისთვის საშიში არ არის, რადგან მათ მხოლოდ მისით შეუძლიათ არსებობა. ერთი წამით წყლის გარეშე ყოფნა მათთვის ერთი წლის ტოლფასია.“<sup>139</sup>

მუჰამედ ფარისა, აღლაჰის მორწმუნე ადამიანების ნალოც ნამაზზე მინიჭებულ მნიშვნელობას ასე აფასებს: „ყველაზე ძვირფასი და მნიშვნელოვანი საქმე ნამაზის ლოცვაა, რადგან ის აღლაჰის მიმართ შესრულებულ ყოველგვარ მსახურებაზე უფრო ძვირფასია.“

138. სურა მეარიჯი, აიათი 23.

139. მესნევი, ბეითი: 2669-74.





### 3. ნამაზის ლოცვის მადლი (ჯილდო)

ალლაჰის შუამავალმა ნამაზის ლოცვას დიდი მნიშვნელობა მინიჭა და ის ერთ-ერთ ძვირფას ღვთისმოსაობად გამოაცხადა. ერთ-ერთ ჰადისში ის ბრძანებს:

*„სწორი მიმართულება დაიჭირეთ და იცოდეთ, რომ ნამაზის მადლს თქვენ ვერასდროს აწონით! თქვენ მიერ გაკეთებული ყველაზე ძვირფასი საქმე ნამაზია!“<sup>140</sup>*

ამ ჰადისით შუამავალმა გაგვიმარტა თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და ძვირფასი ღვთისმსახურებაა ნამაზი.

ალლაჰმა ადამიანის მიერ გაკეთებულ ყოველ ერთ სიკეთეზე რამდენიმე ჯილდო დააწესა. ყოველ ერთ მუხლ ნამაზს ადამიანისთვის დიდი მნიშვნელობა გააჩნია. ალლაჰის შუამავალი ამ საკითხს ჰადისში რა კარგად განმარტავს. აბუ ჰურაირე გადმოგვცემს:

*„ალლაჰის შუამავლის სიცოცხლეში კუდდას ტომის ორი სახელოვანი წარმომადგენელი ისლამში გაერთიანდა. ერთ-ერთი მათგანი შეჰიდი გახდა, მეორე კი, ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა. თალჰა იბნ უბეიდულლაჰი ბრძანებს: „სიზმარში, ერთი წლის შემდეგ გარდაცვლილი ადამიანი, თავის შეჰიდ მეგობარზე ადრე სამოთხეში შესული დავინახე და ძალიან გამიკვირდა!“ როდესაც გათენდა, თალჰას ეს სიზმარი ალლაჰის შუამავალს უამბეს. მან მოუსმინა და შემდეგი პასუხი გასცა:*

*— შეჰიდად დაცემული ადამიანის შემდეგ, მეორემ ერთი წლის განმავლობაში, განა ექვსი ათასზე მეტი მუხლი ნამაზი არ ილოცა? ერთი წლის განმავლობაში განა მარხული არ ყოფილა? ამიტომ მათ შორის, რა თქმა უნდა, განსხვავება იქნება.“<sup>141</sup>*

ნამაზი, რომელიც ისლამში ღვთისმსახურების ყველაზე მნიშვნელოვანი სახეა, უზრუნველყოფს მუდმივად მის შემსრულებლის ჯილდოს დამსახურებას. ამის გარდა, ნამაზს გააჩნია კიდევ ერთი თვისება — ადამიანებს გასაკიცხი საქმეებისგან თავს აკავებინებს. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

اِنَّ مَآ اَوْحِيَٓ اِلَيْكَ مِنَ الْكِتَابِ

140. მუვათთა, თაჰარეთი, 6.

141. იბნ ჰანბელი, 2 – 333.





وَأَقِمِ الصَّلَاةَ إِنَّ الصَّلَاةَ تَنْهَىٰ عَنِ الْفَحْشَاءِ  
وَالْمُنْكَرِ وَلَذِكْرُ اللَّهِ أَكْبَرُ وَاللَّهُ يَعْلَمُ مَا تَصْنَعُونَ

„ნაიკითხე ის, რაც შთაგეგონა ნიგნიდან და აღავლინე ლოცვა. უეჭველად, ლოცვა განდევნის სიავენს და უკეთურს. და რა თქმა უნდა, ალლაჰის ხსენება მნიშვნელოვანია. და ალლაჰი უწყის, რასაც სჩადისართ!“<sup>142</sup>

ადამიანს ნამაზი ალლაჰის ხსენება, რასაკვირველია, ყველაზე დიდი ღვთის მსახურებაა. ალლაჰმა უწყის რასაც აკეთებთ. ასუფთავებს და სულიერად ასაზრდოებს. მისი საშუალებით მორწმუნე მშვენიერ თვისებებს შეიძენს და უარყოფით თვისებებს დათმობს. ვინც ნამაზს სრულყოფილად შეასრულებს, ანუ აბდესს აიღებს, თავის დროზე მოკრძალებითა და მორჩილებით ილოცავს, უეჭველია ცუდ საქმეებს თავს დააღწევს და ალლაჰის პატივას დაიმსახურებს.

ერთ დღეს, ალლაჰის შუამავალს, რომელიც მეჩეთში თანამიმდევრებთან ერთად ნამაზის ლოცვას ელოდებოდა, ერთმა ადამიანმა ჰკითხა:

„ — ო, შუამავალო! მე ერთი ცოდვა ჩავიდინე. შუამავალმა მას პასუხი არ გასცა. ნამაზის დამთავრების შემდეგ, იგივე პიროვნება ფეხზე ადგა და შუამავალს კიდევ ერთხელ შეკითხვა გაუმეორა: „შუამავალო, მე ცოდვა ჩავიდინე.“

შუამავალმა ჰკითხა:

— *შენ ახლა ნამაზი ჩვენთან ერთად არ გილოცავს? ამ ნამაზისთვის აბდესი არ ავიღია?*

— დიახ, შუამავალო, აბდესიც ავიღე და ნამაზიც ვილოცე.

— *ნალოცი ნამაზი შენ ცოდვები ჩამოგაშორებს! — უპასუხა შუამავალმა.*<sup>143</sup>

მევლანა (ყუდდისე სირრუჰ) რა კარგად ამბობს:

142. სურა ანქებუთი, აიათი 45.

143. ჰეისემი, 1-301.



„მონყალე ალლაჰი, ნამაზის გულით მლოცავ და მასზე მინდობილ ადამიანს აუცილებლად სიკეთით დააჯილდოებს. ნამაზის მადლით ალლაჰი მას ცოდვებისგან გაათავისუფლებს და გადაარჩენს.“<sup>144</sup>

მევლანას ეს სიტყვები შემდეგი აიათის მიხედვით არის ნათქვამი:

„და დადექი ლოცვად დღის ორივე კიდეში და ღამის გარკვეულ საათებში. უეჭველად, კეთილი საქმენი განდევნიან ბოროტებანს. ეს არის შეგონება გონიერთათვის“.<sup>145</sup>

إِلَّا مَنْ تَابَ وَآمَنَ وَعَمِلَ عَمَلًا صَالِحًا

فَأُولَٰئِكَ يُبَدِّلُ اللَّهُ سَيِّئَاتِهِمْ حَسَنَاتٍ وَكَانَ اللَّهُ غَفُورًا رَحِيمًا

„ეს არ ეხება მათ, ვინც მოინანია, ირწმუნა და სამართლიანად მოიქცევა. მათ ავ საქმეებს ალლაჰი კეთილით შეცვლის, რამეთუ ალლაჰი შემწყნარებელია, მიმტევებელია!“<sup>146</sup>

იმისათვის, რათა ნამაზის ლოცვით მივიღოთ დადებითი შედეგი, რომ ის მართლაც ალლაჰთან დაახლოების საშუალებად იქცეს, აუცილებელია მისი ისე შესრულება, როგორც მუჰამმედ შუამავალი ასრულებდა. საჭიროა ისეთი სულიერი სრულყოფილების მიღწევა, როგორსაც ნამაზის შესრულებისას ალლაჰის შუამავალი აღწევდა. შესაბამისი წესების მიხედვით შესრულებული ნამაზით, სადაც მთელი გულისყურით იქნება სურა „ფაათიჰა“ ნაკითხული, ადამიანი დიდ შთაგონებას მიიღებს. ამ გზით ადამიანი სულიერ სიმშვიდეს ჰპოვებს. ზუსტად, ასეთი ნამაზი არის ყველაზე ეფექტური საშუალება იხსანის (განჭვრეტა) მდგომარეობამდე მისასვლელად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ ალლაჰის შუამავლის მსგავსად ნამაზს არ ვილოცავთ, მაშინ ის ჩვენს ცხოვრებას სრულებით ვერ შეცვლის და ცოდვებში ჩაძირული დავრჩებით. კვლავ მევლანას დავუგდოთ ყური:

„ადამიანო, ჯერ ბელელი თავისგან გაათავისუფლე და ხორბალი მერე მოიმკე. როგორც ალლაჰის ყველაზე ძვირფასი და სანიმუშო შუამავალი ბრძანებს: „ნამაზი მხოლოდ სუფთა გულით შეიძლება

144. მესნევი, ბეითი: 4345.

145. სურა ჰუდი, აიათი 114.

146. სურა ფურყანი, აიათი 70.





შესრულდეს“, ეს ჰადისი გაიხსენე, სატანა ჩამოიშორე და მთელი გულით შეეცადე ნამაზი ილოცო. “



ნამაზის მიმართ გამოჩენილ დიდ ყურადღებას გადმოგვცემს აგრეთვე ალლაჰის შუამავლის თანამოაზრე მისვერ იბნ მაჰრემი:

„თავდასხმის შედეგად ომარ იბნ ხატაბიმ გონება დაკარგა. რამდენიმე ხნის შემდეგ მე შევედი მასთან.

— როგორ არის?

— როგორც ხედავ, უგრძნობლად არის, — მიპასუხეს მათ.

— ნამაზის სალოცავად დაუძახეთ? თუკი ის ცოცხალია, ნამაზის გარდა, არაფერი გააღვიძებს. როგორც ეს ვუთხარი, იქ მყოფმა ადამიანებმა მას დაუძახეს:

— მუსლიმანთა მბრძანებლო, ნამაზის ლოცვის დროა!

ამ სიტყვებზე ომარმა გაიღვიძა და თქვა:

— მართლა? ვფიცავ ალლაჰს, რომ ნამაზის ულოცველ ადამიანს ისლამში არაფერი ესაქმება. შემდეგ წამოდგა და ნამაზი ისე ილოცა, ჭრილობიდან სისხლდენა არ შეჩერებია.“<sup>147</sup>

მუჰამედ შუამავლის თანამიმდევრებისთვის ალლაჰის ბრძანება ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. ალლაჰის ბრძანებასთან შედარებით, მათვის ქონება და სიმდიდრე არაფერს ნიშნავდა.

შემდეგ თაობებშიც იყვნენ მსგავსი ადამიანები. მათგან ერთ-ერთი კავკასიის ლეგენდარული გმირი შეიხ შამილი იყო. მან ალლაჰის გზაზე ბრძოლაში უამრავი ჭრილობა მიიღო. ბრძოლისთვის. 1829 წელს იგი დაიჭრა როგორც ხმლით, ასევე ტყვიით. ტყვიამ მას ლავინის ძვალი დაუმტვრია. ერთი სიტყვით, ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, 25 დღე უგონოდ იყო. ოცდამეხუთე დღეს, როცა ის გონს მოვიდა და თვალები გაახილა, თავთან მჯდომი დედა დაინახა, რომელსაც ჰკითხა:

„დედა, ნამაზის დრო ხო მარ გასულა?“<sup>148</sup>

147. ჰეისემი, 1, 295: იბნ სადი 3-35.

148. იბრაჰიმ რეფიყი, ეფსანე სოლუქლარი, გვ. 78.





თანამიმდევრები, რასაც შუამავალში ხედავდნენ, იმას აკეთებდნენ. აი, ასეთ ყურადღებას აქცევენ ისლამის მიმდევრები ნამაზის ლოცვას.

### გ. ერთობლივად ნალოცი ნამაზის მნიშვნელობა

*მეჩეთთან ახლოს მცხოვრები ადამიანისთვის მხოლოდ მეჩეთში ნალოცი ნამაზი ითვლება სრულყოფილად.*

იბნ აბუ შეიბე 1-303

მსახურების ზოგიერთი რიტუალის ერთობლივად შესრულება ადამიანისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ასეთი ფორმით მსახურება ადამიანს სულიერად აამაღლებს. მათ შორის ერთ-ერთი ერთობლივად ნამაზის ლოცვაა, რომელსაც დიდი მადლი და ალლაჰთან დაახლოება ახლავს თან. ეს რიტუალი ადამიანებს ერთმანეთისგან განასხვავებს, რადგან ამ დროს ის ადამიანები გამოირჩევიან სხვებისგან, ვისაც ალლაჰის მიმართ მეტი პატივისცემა და სიყვარული გააჩნიათ.

ალლაჰის სურვილი, ისლამის სარწმუნოების ამაღლება და დედამიწაზე მასზე უფრო ძლიერი სარწმუნოების არარსებობაში ადამიანების დარწმუნებაა. ამ მიზნის განხორციელებისათვის საჭიროა განათლებული თუ გაუნათლებელი, დიდი თუ პატარა, ქალაქსა თუ სოფელში მცხოვრები ადამიანების ერთ ადგილას ხშირად თავშეყრა და ერთობლივად ალლაჰის წინაშე ნამაზის ლოცვა. ალლაჰის შუამავალი ბრძანებს:

*„ერთობლივად ნალოცი ნამაზის მადლი, მარტოდ ნალოცთან შედარებით ოცდაშვიდჯერ მეტია.“<sup>149</sup>*

გარდა ამისა, ერთობლივად ნალოცი ნამაზის შემდეგ, მუსლიმების მიერ ალლაჰისადმი ერთობლივი ვედრება და მონანიება უფრო მიღებული იქნება, ვიდრედ მარტოდ ნალოცი ნამაზის შემდეგ. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ერთობლივად ნალოცი ნამაზის შემდეგ ვედრებას უფრო მეტი ფასი აქვს ალლაჰის წინაშე.

149. ბუჰარი, ეზანი, 30.



ალლაჰის შუამავლის გადმოცემის მიხედვით, ადამიანი, რომელიც ნამაზის ლოცვისათვის ყურადღებით აზღვეს აიღებს, შემდეგ მეჩეთისკენ გაემართება, მეჩეთის მიმართულებით სიარულიც ნამაზის ლოცვაში ჩაეთვლება. მეჩეთამდე გადადგმულ ყოველ ნაბიჯზე ცოდვები მოაკლდება და ალლაჰს უფრო და უფრო დაუახლოვდება. ამასთან ერთად, ასეთი ადამიანი ალლაჰის მრავალ წყალობასაც მოიპოვებს.<sup>150</sup>

ალლაჰის შუამავალი კიდევ ერთ ჰადისში ბრძანებს:

*„ყოველი მისლისთვის, ვინც დილას და საღამოს მეჩეთში ივლის, უზენაესი ალლაჰი სამოთხის საჩუქარს ამზადებს.“<sup>151</sup>*

ამ ჰადისით შუამავალი მიუთითებს იმას, რომ ვინც დღეში ხუთჯერ მეჩეთში ერთობლივად ილოცავს ნამაზს, მისთვის ალლაჰის მრავალრიცხოვან და მრავალგვარ წყალობას ზღვარი არ ექნება. სახელგანთქმული შეიხი უფტადე ულუ მეჩეთში ხშირ-ხშირად ასე იტყოდა:

*„ძვირფასო მეჩეთო, დიადი ადამიანების შემკრებო, უძვირფასესო ადგილო! ნეტავი იმათ, ვინც ხუთი დროის ნამაზის ლოცვისათვის დილა-საღამოს შენს კარებს შემოაღებენ!“*

საყვარელი შუამავალი, როგორც იმამი, მის გვერდით ნამაზის მლოცველებს ყოველთვის თვალს ადევნებდა და ვისაც მოაკლდებოდა, მოიკითხავდა. ხშირ შემთხვევაში, დილისა და საღამოს ნამაზის ლოცვას აკლდებოდა ხალხი, რადგან სწორედ ამ დროს ავადმყოფები და ორპირი მორწმუნეები არ მიდიოდნენ მეჩეთში. უბეი იბნ ქააბი გადმოგვცემს:

*„ალლაჰის შუამავალმა ერთ დღეს დილის ნამაზი გვალოცა და იკითხა, ესა და ეს ადამიანი ნამაზზე არის თუ არა მოსულიო. ხალხმა უპასუხა, არ მოსულაო. შუამავალმა კიდევ ერთი ადამიანი მოიკითხა. ხალხმა უპასუხა, რომ არც ის იყო მოსული. ამის შემდეგ, მან ბრძანა:*

*„სწორედ, ეს ორი ნამაზი ორპირი მორწმუნეებისათვის ყველაზე ძნელად შესასრულებია, მაგრამ რომ იცოდნენ, ამ ორივეს რამოდენა მაღლი გააჩნია, მაშინ მუხლებზე ხოხვითაც რომ საჭირო გამხდარიყო, მეჩეთში მოვიდოდნენ. მეჩეთში მლოცველების პირველი რიგი*

150. ბუჰარი, ეზანი, 30:მუსლიმი, მესაჯიდი, 272.

151. ბუჰარი, ეზანი, 37.





ანგელოზების რიგის მსგავსია. პირველ რიგში ლოცვის მაღლი რომ იცოდეთ, იქ დადგომისათვის ერთმანეთს შეეჯიბრებოდით. ორი ადამიანის ერთად ნალოცი ნამაზი მარტოდ მლოცავი ადამიანის ნამაზზე უფრო ძვირფასი და მაღლიანია. ერთობლივად მლოცავი ადამიანების რაოდენობა რაც უფრო მეტი იქნება, ალლაჰისთვის უფრო მოსაწონია.<sup>152</sup>

ალლაჰის შუამავალმა ერთობლივად ლოცვის უპირატესობის კიდევ ერთი მაგალითი გვიჩვენა. მისი გარდაცვალების დღეს ორი კაცის დახმარებით მეჩეთში შევიდა და ხალხთან ერთად ნამაზი ილოცა. ესვედი გადმოგვცემს: „აიშეს ერთად ვიყავით, სადაც ნამაზის ლოცვის აუცილებლობაზე ვისაუბრეთ. ბოლოს მან ბრძანა:

„შუამავლის გარდაცვალების დღეს, როცა ნამაზის ლოცვის დრო დადგა, ეზანი იკითხეს. შუამავალმა აბუ ბაქრს სთხოვა ერთობლივად ნამაზის ლოცვისთვის ეხელმძღვანელა. აბუ ბაქრი ხალხს გაუძღვა და ნამაზის ლოცვა დაიწყო. ალლაჰის შუამავალმა ამით გარკვეული შვება იგრძნო. შემდეგ ორი ადამიანის დახმარებით მეჩეთში შევიდა. აბუ ბაქრმა მისი დანახვისთანავე, უკან დახევა გადანიშნა, მაგრამ შუამავალმა შეაჩერა და უთხრა: „იდექი შენს ადგილას!“ შემდეგ მივიდა, აბუ ბაქრის გვერდით დადგა და მათთან ერთად ნამაზი ილოცა.“<sup>153</sup>

ლოცვის შემდეგ ალლაჰის შუამავალმა ბრძანა:

„მეჩეთის მეზობლად მცხოვრები ადამიანის ნამაზი, მხოლოდ მეჩეთში ლოცვის დროს არის სრულყოფილი.“<sup>154</sup>

ალიმ კითხვაზე, თუ ვინ იყო მეჩეთის მეზობელი, შუამავლისგან შემდეგი პასუხი მიიღო:

„მუეზინის ხმის გამგონი ყველა მეჩეთის მეზობელია.“<sup>155</sup>

დიახ, ეზნის გამგონ ყოველ ადამიანს მეჩეთში მისვლა და ნამაზის ერთობლივად ლოცვა ევალება. რა თქმა უნდა, მხოლოდ საპატიო მიზეზით გამონაკლისის გარდა. უზენაესი ალლაჰი მეჩეთში ერთობლივად სალოცავად წამსვლელ ადამიანს ყოველ ნაბიჯზე მაღლს

152. აბუ დავუდი, სალათი, 47.

153. ბუჰარი, ეზანი, 39.

154. იბნ აბუ შეიბე, 1-303.

155. ბეიჰაჟი, ეს სუნნეთულ ქუბრა, 3-57.





უნერს. ანუ ადამიანი რაც უფრო შორს დადის მეჩეთში ნამაზის სალოცავად, მით უფრო მეტ მადლს იგებს. შუამავალი ბრძანებს:

*„ყველაზე დიდ ჯილდოს ნამაზის სალოცავად მეჩეთში შორიდან მოსული ადამიანები მიიღებენ. აგრეთვე, სახლში მლოცავი ადამიანი, რომელიც ეზნის შემდეგ იმამს დაელოდება და ისე ილოცავს. მისი ნამაზი, იმ ადამიანის ნალოც ნამაზზე უფრო ძვირფასია, რომელიც ეზნის შემდეგ სასწრაფოდ ილოცავს და დანვება.“<sup>156</sup>*

მეჩეთში სიარული და ერთობლივად ნამაზის ლოცვის ყოველდღიურ ცხოვრებაში წესად შემოღება მორწმუნე მუსლიმის ერთ-ერთი კარგი საქმეა. ამ უკანასკნელს კი დაინესებენ ისინი, ვისაც განკითხვის დღის სწამს, ვინც ზექათს იხდის და ალლაჰი უყვარს. უზენაესი ალლაჰის კმაყოფილების მოპოვება მხოლოდ ასეთი საქმეების გამკეთებელ ადამიანებს შეუძლიათ.<sup>157</sup>

ის ადამიანი, ვინც არ დადის მეჩეთში ერთობლივად ნამაზის სალოცავად, ზიანს აყენებს როგორც ისლამს, ასევე საკუთარ თავს.

ალლაჰის შუამავალი ერთობლივად ლოცვაზე თავის ამრიდებელი ადამიანების შესახებ ბრძანებს:

*„თუკი სამი მუსლიმანი ერთ სოფელში ან სადღაც მინდორში ნამაზს თითო-თითო შეასრულებს, უეჭველად, მათ ყოველი მხრიდან ეშმაკი შეუჩნდება და დაამარცხებს. ამიტომ ნამაზი ყოველთვის ერთად შეასრულეთ. ფარას მონყვეტილ ცხვარს აუცილებლად მგლები შეჭამენ.“<sup>158</sup>*

ეს ჰადისი იმის მაჩვენებელია, რომ ერთობლივად ნამაზის ლოცვაზე თავის დანებებით, შესაძლებელია, ადამიანმა მრავალ ცუდ საქმეს მოჰკიდოს ხელი. ამიტომ, ერთობლივად ნამაზის ლოცვაზე თავის ასარიდებლად არავითარ მიზეზს გამართლება არ აქვს. ალლაჰის შუამავალს ორივე თვალთ ბრმა აბდულლაჰ იბნ უმმე მექთუმმა, ჰკითხა:

— შუამავალო, მე ისეთი არავინ მყავს, ვინც მეჩეთში წამიყვანს, ამიტომ უფლება მაქვს თუ არა, რომ ნამაზი სახლში ვილოცო? შუა-

156. ბუჰარი, ეზანი, 31.

157. სურა თეგბე, აიათი 18.

158. აბუ დავუდი, სალათი, 46.





მავალმა მას სახლში ლოცვის ნება მისცა. აბდულლაჰი მიბრუნდა და ნასვლას აპირებდა, როცა შუამავალმა დაუძახა და ჰკითხა:

— შენ ნამაზის დროს ეზნის ხმა გესმის?

— დიახ, — უპასუხა აბდულლაჰმა.

— მაშინ დაპატიჟებას დაემორჩილე და სალოცავად მეჩეთში მოდი.<sup>159</sup>

შუამავალი მუჰამმედი ერთობლივად ნამაზის ლოცვას ისეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომ სრულიად არ უყვარდა ნამაზის მარტოდ მლოცავები. აბუ საიდ ელ ჰუდრი გადმოგვცემს: „ერთი ადამიანი მეჩეთში იმ დროს შემოვიდა, როცა შუამავალს ნამაზის ლოცვა დამთავრებული ჰქონდა. მან ბრძანა:

„თქვენგან ვის სურს ამ ადამიანთან ერთად, მონყალების გაღებით, მადლის მოგება? სასწრაფოდ ერთი ადამიანი წამოდგა და იმ კაცთან ერთად ნამაზი ილოცა.“<sup>160</sup>

ალლაჰის შუამავალთან ერთად ნამაზის მლოცავმა თანამიმდევარმა, დაგვიანებულ მეგობარს რომ ჯგუფურად ლოცვის მადლი მოეგო, მასთან ერთადაც ილოცა.

იეზიდ იბნ ამრი გვიყვება: „შუამავალთან, რომ მივედი, ნამაზს ლოცულობდნენ. გვერდით დაგვექი და მათ არ შეეუერთდი. შუამავალმა ლოცვა დაამთავრა, უკან შემობრუნდა და გვერდით მჯდომი რომ დამინახა, მკითხა:

— იეზიდ, შენ ჯერ არ გამუსლიმანებულხარ?

— დიახ, შუამავალო, გავმუსლიმანდი!

— მაშინ, რამ შეგიშალა ხელი რომ არ ილოცე?

— მე ვიფიქრე, თქვენ ნამაზი ნალოცი გექნებოდათ და სახლში ვილოცე. ალლაჰის შუამავალმა კი ასე მითხრა:

„თუ ნამაზი ნალოცი გექნება და ჯამაათით მლოცავ ადამიანებს შეხვდები, მათ შეუერთდი და მათთან ერთად კიდევ ილოცე. ასეთ

159. მუსლიმი, მესაჯიდი, 255.

160. თირმიზი, სალათი, 50.





შემთხვევაში პირველად ნალოცი ნამაზი — ფარძში, ხოლო მეორედ ნალოცი ნაფილე ნამაზად ჩაგეთვლება.“<sup>161</sup>

იზნ მესუდი ერთობლივად ნალოცი ნამაზის განცდას რა კარგად გადმოგვცემს:

„ვისაც ხვალ ალლაჰთან შეხვედრა მუსლიმის ფორმით სურს, მან ნამაზის ლოცვა მეჩეთში განაგრძოს. უეჭვლია, რომ ალლაჰმა შუამავალს ჭეშმარიტი გზები უჩვენა. ნამაზიც, სწორედ, ალლაჰის მიერ ნაჩვენები ჭეშმარიტი გზაა. თუკი თქვენ ერთობლივად ნამაზის ლოცვას თავს დაანებებთ და მარტოდ ილოცავთ, გამოდის, რომ ალლაჰის შუამავლის სუნნეთსაც თავს ანებებთ. შუამავლის სუნნეთზე თავის დაანებება კი ჭეშმარიტი გზიდან აცილებას ნიშნავს. ალლაჰს გეფიცებით, ერთხელ ერთი კაცი ორი ადამიანის დახმარებით მეჩეთში მოიყვანეს და ნამაზის სალოცავად დააყენეს.“<sup>162</sup>

#### დ. თეჰეჯჯუდი და შეხვედრა განთიადთან

*„ნუ გძინავს მთელი ღამე უძინარივით, თუ გიყვარს ყაიუმი (მარადიული) მანამდე, ვიდრე არ გაცოცხლდები ყაიუმის (მარად ცოცხალი) წინაშე“*

იბრაჰიმ ხაკკი არზურუმი

ღამის მეორე ნახევარში, ანუ გარიჟრაჟზე, როცა ირგვლივ სიმშვიდე სუფევს, ადამიანის ორგანიზმი დასვენებული და დამშვიდებულია, ეს დრო მორწმუნის ალლაჰთან დახლოების ყველაზე კარგი მომენტია.

ვიდრე ხუთი დროის ნამაზი მუსლიმებზე ფარდი გახდებოდა, ღამის საათებში ყურანის გრძელი სურების კითხვით „თეჰეჯჯუდის“ ლოცვა ყველა მუსლიმისთვის ფარდი იყო.<sup>163</sup>

**„ჰეი შენ, სამოსში გახვეულო! აღავლინე ლოცვა ღამით, თუნდაც მცირედი, ან მისი ნახევარი ან გამოაკელი მას ცოტა, ან დაამატე მასზე და ღამაზად იკითხე ყურანი, აუჩქარებლად (დინჯად).“**

161. აბუ დავუდი, სალათი, 56.

162. მუსლიმი, მესაჯიდი, 256-257.

163. ელ მუზემმილი 73 – 1-4.





ეს დაახლოებით ერთ წელს გაგრძელდა. ასეთი გრძელი ნამაზების ლოცვით მუსლიმანებს ფეხები სტკიოდათ. ბოლოს, როდესაც ხუთი დროის ნამაზი მათთვის ფარძი გახდა, „თეჰეჯჟუდის“ ლოცვა უკვე ყველასთვის ნაფილე ნამაზად იქცა.

„უეჭველად, შენი ღმერთი უწყის, რომ შენ ლოცვას ადავლენ სულ მცირე ღამის ორ მესამედ ან ამის ნახევარს, ან მის მესამედს, და ერთი ჯგუფი იმათგან, რომელნიც შენთან ერთად არიან...“<sup>164</sup>

ალლაჰმა კეთილშობილ შუამავალს ყურანში „თეჰეჯჟუდის“ ლოცვა უბრძანა:

وَمِنَ اللَّيْلِ فَتَهَجَّدْ بِهِ

نَافِلَةً لَكَ عَسَىٰ أَنْ يَبْعَثَكَ رَبُّكَ مَقَامًا مَّحْمُودًا

„და ღამის ერთ ნაწილში ილოცე ყურანით, კერძოდ, შენთვის განსაკუთრებული დამატებითი ლოცვა. ეგების ღმერთმა შენმა მოგმადლოს ადგილი ქებული!“<sup>165</sup>

ამ ბრძანების შემდეგ ალლაჰის შუამავალს ღამის იმ ძვირფას წუთებში ნამაზის ლოცვა, ყურანის კითხვა და ვედრება არასდროს შეუწყვეტია. მაშინაც კი ლოცულობდა „თეჰეჯჟუდ“ ნამაზს, როცა ძალიან ავად იყო და ფეხზე დადგომაც კი უჭირდა. ამ დროს თავის მოვალეობას ალლაჰის წინაშე ის დამჯდარი ასრულებდა.<sup>166</sup> ალლაჰის შუამავალი თეჰეჯჟუდ ნამაზს ვითრთავს ერთად ცამმეტ, ხოლო სიცოცხლის ბოლო ხანებში თერთმეტ მუხლად ლოცულობდა. გარდაცვალების წინა პერიოდში მან ცხრა მუხლი ილოცა, მაგრამ როგორც ვხედავთ, მისთვის თავი არასდროს დაუნებებია.<sup>167</sup>

საკვარელი შუამავალი „თეჰეჯჟუდ“ ნამაზს „თვალის სინათლეს“ უწოდებდა და მას დიდი მონდომებითა და სურვილით ასრულებდა. ის „თეჰეჯჟუდ“ ნამაზის შესახებ ასე ბრძანებს:

164. ელ-მუზემმილი, 73-20; აბუ დავუდი, თათავეუ 17.

165. სურა ისრა, აიათი 79.

166. აბუ დავუდი, თათავეუ, 18.

167. აბუ დავუდი, თათავეუ, 26.





*„აღლაჰმა ყველა შუამავალს, გარკვეული რაღაცის შესახებ, ძლიერი სურვილი გაუჩინა. ჩემთვის ყველაზე მოსაწონი ღამეში შესრულებული ღვთისმსახურებაა.“<sup>168</sup>*

ღამეში, როდესაც სხვებს ძინავთ და შენ ნამაზს ლოცულობ, აღლაჰს ევედრები, ამით მასთან უფრო მეტ სიახლოვეს გამოხატავ. ამ დროს ღვთისმსახურების სურვილი და მონდომება რამდენად ძლიერიც იქნება, აღლაჰის მხრიდანაც იმის შესაბამისად იქნება, ის შეფასებული. როდესაც ყველას ძინავს, შენ კი ძილსა და დასვენებას აღლაჰის მიმართ ღვთისმსახურებას ამჯობინებ, ეს, რა თქმა უნდა, უძვირფასესი საქმეა და მას აღლაჰი აუცილებლად შეგიფასებს.

რადგანაც ღამის სიფხიზლე უფრო შედეგიანია აღლაჰთან დასახლოებლად, თაყვანისცემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეა და მუჰამმედ შუამავალს ყოველთვის სურდა, თავისი თანამიმდევრებისათვის არ მოეკლო მისი წყალობა. ამ მიზნით დაიწყო მან თეჰეჯჯუდის ქადაგება თავის მეგობრებსა და ნათესავებში. ერთხელ მან შუალამისას თავის ქალიშვილ ფატმასა და სიძე ალის სახლის კარებზე დაუკაკუნა და ჰკითხა:

*„ნამაზი არ უნდა ილოცოთ?“<sup>169</sup> სხვა თანამიმდევრებს კი ასე მიმართა:*

*„გთხოვთ, ღამეში ადგომა ისურვოთ, რადგან ამდროს ღვთისმსახურება აღლაჰთან დაახლოების გზაა. იგი თქვენ ცოდვებისგან გიხსნის შეცდომებისგან და გიცავს და მწუხარებას მოგაშორებს!“<sup>170</sup>*

აღლაჰის შუამავლის დასანახად მედინაში ჩასულმა ებრაელმა აბდულლაჰ იბნ სელამმა თქვა: „ვფიცავ აღლაჰს, ასეთი სახის მქონე ადამიანი ტყუილს არასდროს იტყვის.“ პირველი სიტყვები, რომელიც მოისმინა შუამავლისაგან ასეთი იყო:

*„ერთმანეთს მიესალმეთ! ერთმანეთს პატივი ეცით! ნათესაური უფლებები დაიცავით! ღამეში, როცა ყველას ძინავს, ადექით და ნამაზი ილოცეთ! მხოლოდ მის შემდეგ დაიმსახურებთ სამოთხეში შესვლას.“<sup>171</sup>*

168. ჰეისემი, 2-271.  
169. ბუჰარი, თეჰეჯჯუდი, 5.  
170. თირმიზი, დეავათი, 101.  
171. თირმიზი, ყიამეთი, 42.



როცა ყველას ძინავს ან ყველა ისვენებს, ხოლო ადამიანი ალლაჰის ძლიერი სიყვარულის ან პატივისცემის გამო ძილს გაიტყვის, თბილ სანოლს მიატოვებს, ადგება, აბდებს აიღებს და მის წინაშე ნამაზს ილოცავს, რა თქმა უნდა, ეს ალლაჰთან დაახლოების, მისი ვედრების ასრულების და სამოთხის მოგების ყველაზე რეალური გზაა.

„თეჰეჯჯუდისა“ და სხვა მსგავსი ღვთისმსახურებისთვის ძალეზის მოკრება, მათზე დახმარება, ვისაც ამის გაკეთება უჭირთ, ყოველი მუსლიმის ვალია. მუსლიმები ვალდებული არიან ერთმანეთს დაეხმარონ, გაამხნეონ და გვერდში ამოუდგნენ. ღამით შესასრულებელი ღვთისმსახურება ჯერ ყველამ საკუთარ ოჯახში უნდა დაანესოს. ცოლ-ქმარი ალლაჰის მსახურებაში ერთმანეთს გვერდში უნდა დაუდგეს. ალლაჰის შუამავალი ბრძანებს:

*„ისეთი ქმარი, რომელიც ღამეში ნამაზის სალოცავად ადგება, ცოლსაც გააღვიძებს სალოცავად, მაგრამ ის არ ადგება და ქმარი მას სახეზე წყალს მიასხამს, ალლაჰისგან დალოცვილი იყოს! ან პირიქით, ცოლი, რომელიც ღამეში ნამაზის სალოცავად ადგება, ქმარსაც გააღვიძებს ნამაზისთვის, მაგრამ ის არ ადგება და სახეზე წყალს მიასხამს, ალლაჰისგან დალოცვილი იყოს!“<sup>172</sup>*

ცოლ-ქმარს შორის ასეთი დამოკიდებულება აუცილებელია, რადგან მათ ერთად შეძლონ სწორი გზის პოვნა და წარმატებული შედეგის მიღწევა.

ალლაჰის კმაყოფილების მოსაპოვებლად ღვთისმსახურების დაწყება და მისი გაგრძელება, ყველაზე ჭეშმარიტი გზაა. ალლაჰის შუამავალიც სწორედ ასეთ რჩევებს იძლევა. მაგრამ ყველა საქმეს, რა თქმა უნდა, თავისი ზღვარი გააჩნია. აბდულლაჰ იბნ ამრ იბნ ასი გადმოგვცემს, თუ შუამავალი მას როგორ რჩევას აძლევდა:

*„ო, აბდულლაჰ, ისეთი ადამიანის მსგავსი ნუ იქნები, ვინც ადრე ყოველთვის ასრულებდა ღამის ნამაზებს, მაგრამ ამ ბოლო დროს ბევრი ღოცვის გამო ფეხზე ველარ დგება.“<sup>173</sup>*

მევლანა ალლაჰის წინაშე მზადყოფნას, ღამეში ღვთისმსახურების შესრულებასა და ალლაჰთან შესახვედრად მზადების აუცილებლობას ასე აფასებს:

172. აბუ დავუდი, თათავეუ, 18.

173. მუჰარი, თეჰეჯეფდი, 19.





„აღლაჰთან ადამიანების ხელცარიელი მისვლა, ნისქვილში ცარიელი ტომრით მისვლას ჰგავს. აღლაჰი განკითხვის დღეს ადამიანებს მიმართავს: „რა საჩუქარი მოიტანეთ განკითხვის დღისთვის? ნუთუ თქვენ, მოდით იმ სახით, როგორც მე გაგაჩინეთ: სხვაზე დამოკიდებული და ხელცარიელი, სულელები, მარტოხელები და გაჭირვებულები? ახლაც ისეთი მოხვედით? აბა, მითხარით, ამ დღისთვის რა მოამზადეთ? თუ, არ გახსოვდათ, ერთი დღე იქნებოდა ქვეყანას დატოვებდით და ჩემთან მოხვიდოდით, ნუთუ თქვენ განკითხვის დღის შეტყობინება სიცრუედ ჩათვალეთ? თუკი თქვენ გჯერათ განკითხვის დღის, რატომ მიდიხართ აღლაჰთან ცარიელი ხელებით?“

სულ ცოტაოდენ ძილსა და ჭამას მოუკელი და აღლაჰთან შესახვედრად პატარა საჩუქარი გაიმზადე, ღამეში ადექი, აღლაჰს ვედრება გაუკეთე და პატიება სთხოვე!<sup>174</sup>

აღლაჰის შუამავალი ბრძანებს:

„ფარდი ნამაზების შემდეგ ყველაზე ძვირფასი ღამის ნამაზია.“<sup>175</sup>

ამ ჰადისში შუამავალი „თეჰეჯჯუდ“ ნამაზს გულისხმობს. შუამავალი უკმაყოფილოა იმისგან, ვინც მთელ ღამეს ძილში გაატარებს. ერთხელ, როდესაც შუამავალს უთხრეს, რომ ერთმა კაცმა დილაამდე იძინა და ნამაზი არ ილოცაო, ეს მას არ მოეწონა და თქვა:

„ამ ადამიანის ყურებში სატანას მოუშარდავს.“<sup>176</sup>

მთელი ღამის ღვთისმსახურებაში გატარება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ადამიანის არსებობისთვის კვება. ასევე, აღლაჰის მსახურებისთვისაც სულიერი კვება აუცილებელია.

„თეჰეჯჯუდ“ ნამაზი ჯოჯოხეთის ცეცხლის ფარდა და მორწმუნის ღირსეული ღვთისმსახურებაა. ალი, ძლიერ გაკვირვებული იყო ხალხის საქციელით, ვისაც სამოთხეში მოხვედრა და ჯოჯოხეთის ცეცხლის აცილება სურდათ, მაგრამ გათენებამდე მშვიდად ეძინათ.

იბნ ომარი გადმოგვცემს:

„ადრე, მუჰამედ შუამავლის სიცოცხლეში, ვინც სიზმარს ნახავდა, მას უყვებოდა. მეც მინდოდა, რაღაც სიზმარი მენახა და მისთ-

174. მესნევი, ბეითი 3171-3179.

175. მუსლიმი, სიამი, 203.

176. ბუჰარი, თეჰეჯჯუდი, 13.





ვის მომეყოლა. იმ დროს დაუქორწინებელი ახალგაზრდა ვიყავი და მეჩეთში მეძინა. ერთხელ სიზმარში, ვნახე, რომ ორმა ანგელოზმა ჯოჯოხეთში წამიყვანა. ვხედავ, რომ ჯოჯოხეთის უფსკრული ამოყვანილია ქის მსგავსი კედლით. ჩავიხედე რა შიგ, დავინახე უამრავი ნაცნობი ადამიანი და შეშინებულმა დავინწყე ყვირილი“

ჯოჯოხეთისგან ალლაჰს შევეფარები!“ ამ დროს ერთი ანგელოზი მოვიდა და მითხრა: „ნუ გეშინია, შენ არაფერი მოგივა!“

ეს სიზმარი ჩემს და ჰაფსას მოვუყევი, რომელმაც შემდეგ შუამავალს გადასცა. შუამავალმა ბრძანა:

„აბდულლაჰი რა კარგი ადამიანია! მას, რომ ღამეშიც ნამაზი ელ-ოცა, უფრო კარგი იქნებოდა!“ ამ დღის შემდეგ, ღამის დიდ ნაწილს ალლაჰზე ღვთისმსახურებაში ვატარებდი და ძალიან ცოტა მეძინა.<sup>177</sup>

ეს სიზმარი და შუამავლის მიერ მიცემული რჩევა უამრავი მუსლიმისთვის სასარგებლო გამოდგა, რადგან ამის შემდეგ მრავალი მათგანი ღამეში ალლაჰს ევედრებოდა და პატიებას თხოვდა. ყადი ბეიდავი ამ საკითხის შესახებ ამბობს:

„როდესაც ხუთი დროის ნამაზი მუსლიმებზე ფარდი გახდა და ღამეში ნალოცი ნამაზი-სუნნეთი, მაშინ ალლაჰის შუამავალი სახლიდან გამოვიდა და თანამიმდევრების სახლები შემოიარა. რა საკვირველებაა, ყურანის კითხვისა და ზიქრის ბგერები ისე გამოდიოდა კედლებიდან, როგორც სკებიდან ფუთკრის ზუზუნი.“<sup>178</sup>

ამასთან დაკავშირებით ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

وَتَوَكَّلْ عَلَى الْعَزِيزِ الرَّحِيمِ الَّذِي  
يُرَاك حِينَ تَقُومُ وَتَقَلِّبُكَ فِي السَّاجِدِينَ

„და სასოებდე ძლივამოსილს, მწყალობელს, რომელიც გხედავს, როცა (ლოცვად) დგები და ქცევას შენსას მლოცველებს შორის!“<sup>179</sup>

მიუხედავად იმისა, რომ მუჰამმედ შუამავალი თვითონ მოუნოდებდა თავის თანამიმდევრებს ღამის ნამაზის შესრულებას. მუდმი-

177. ბუჰარი, ასჰაბუნ ნები, 19.  
178. ენვარუთ-თენზილი, 4 – 111.  
179. სურა შუარა, აიათები 217-219.

ვად მოუწოდებდა ასევე, არ დავინცებოდათ ახლობლები და ნათესავები. იმ მიზეზით, რომ ზოგიერთმა ადამიანმა სრულიად მიუძღვნა საკუთარი თავი რელიგიას, დაიწყო ოჯახზე გვერდის ავლა, თავის ვალდებულებებზე უარის თქმა. ასეთ ადამიანებს ალლაჰის შუამავალი აფრთხილებს ოჯახსაც გარკვეული დრო დაუთმონ.<sup>180</sup>

შუამავალი იმ ადამიანებს, ვინც განუწყვეტლივ „თეჰეჯჯუდ“ ნამაზს ლოცულობდნენ, მაგრამ ხანდახან ღამეში ვერ იღვიძებდნენ და ამის გამო ძალზედ დამწუხრებულნი იყვნენ, ასე მიმართავდა:

*„იმ ადამიანს, ვინც ყოველღამე „თეჰეჯჯუდ“ ნამაზს ლოცულობს, მაგრამ ხანდახან ძილი მოერევა და ვერ გაიღვიძებს, ალლაჰი ნამაზის ლოცვისოდენა მადლს დაუწერს. ძილი კი ალლაჰის მიერ ნაბოძები წყალობაა მისი დასვენებისთვის.“<sup>181</sup>*

ღამით შესრულებული ღვთისმსახურება, დღისით გაკეთებულ სამუშაოს სიუხვეს მატებს. ყოვლისშემძლე ალლაჰი მუჰამმედ შუამავალს „თეჰეჯჯუდ“ ნამაზის სალოცავად ღამეში ასადგომად ასე მიმართავს:

يَا أَيُّهَا الْمَرْمَلُ قُمِ اللَّيْلَ إِلَّا قَلِيلًا نِصْفَهُ أَوْ انْقُصْ مِنْهُ قَلِيلًا

أَوْ زِدْ عَلَيْهِ وَرَتِّلِ الْقُرْآنَ تَرْتِيلًا إِنَّا سَنُلْقِي عَلَيْكَ قَوْلًا

ثَقِيلًا إِنَّ نَاشِئَةَ اللَّيْلِ هِيَ أَشَدُّ وَطْءًا وَأَقْوَمُ قِيْلًا إِنَّ لَكَ فِي

النَّهَارِ سَبْحًا طَوِيلًا

„ჰეი შენ, სამოსში გახვეულო! აღავლინე ლოცვა ღამით, თუნდაც მცირედი, ან მისი ნახევარი ან გამოაკელი მას ცოტა, ან დაამატე მასზე და ღამაზად იკითხე ყურანი, აუჩქარებლად (დინჯად). უეჭველად, ჩვენ ზეგარდმოვავლენთ შენზე მძიმე სიტყვას, უეჭველად, ღამით

180. ბუჰარი, თეჰეჯჯუთი 7.

181. მუვათთა, სალათულ-ლეილი, 1.





**ნამოდგომა (ძნელია, მაგრამ) უფრო ქმედითია და უფრო ნაყოფიერი. უეჭველად, შენთვის დღისით უფრო დიდი დატვირთულობაა.**<sup>182</sup>

ლამე და გარიჟრაჟი ისეთი დროა, როდესაც ყველგან, შედარებით, სიმშვიდე სუფევს. დღე კი ხმაურიანია, რაც ადამიანის ყურადღებას ფანტავს და სიმშვიდეს არღვევს. ამიტომ ლამეში ღვთისმსახურებისთვის გამოყოფილი ერთი წამი ისეა მნიშვნელოვანი, როგორც დღისით სარჩოს მოსაპოვებლად ჩატარებული სამუშაო.

ლამით თბილი და რბილი ლოგინის მიტოვება და მხოლოდ ალლაჰის სიყვარულით ლოცვა-ვედრება, უძვირფასესი საქმეა. ამ დროს ღვთისმსახურებას ალლაჰის წინაშე დიდი ფასი გააჩნია. ვინც ამ დროის ფასი იცის, ხელიდან არასოდეს გაუშვებს.

ის ადამიანები, ვინც ალლაჰის მსახურებისთვის ლამეს არ გამოიყენებენ, დღისით მისთვის საკმარის დროს ვერასოდეს ნახავენ. ამისათვის გარკვეული დრო მაინც რომ გამონახონ, ის ისეთი ძვირფასი, როგორიც გარიჟრაჟის დრო მაინც არ არის. საჭიროა, ალლაჰის მიერ დაკომპლექტებული დრო და ადგილი ისე გამოვიყენოთ, როგორც ის ბრძანებს. ეშმაკი ყოველმხრივ ცდილობს ამ კანონების დარღვევით ადამიანი შეაცდინოს. აი, რას ყვებოდა შუამავალი მუჰამმედი უდარდელი ადამიანების მდგომარეობაზე, მთელ ლამეს უდარდელად მძინარებსა და მათზე, ვისაც ნამდვილად სურს ლამით სალოცავად ადგომა:

*„ადამიანი რომ დაიძინებს, ეშმაკი კეფაში სამ კვანძს გამოუნასკვავს. ყოველი გამონასკვისას, ხელის დარტყმით ეტყვის: „გრძელი ლამე გქონოდეს. დანეჯი, დაიძინე!“ ადამიანი თუ გამოიღვიძებს და ალლაჰის სახელს ახსენებს, მაშინ ერთი კვანძი გაიხსნება; თუკი აბდებს აიღებს, მაშინ მეორე კვანძიც გაიხსნება, თუ ნამაზსაც ილოცავს, მაშინ ყველა კვანძი გაიხსნება და მშვენიერი დილა შემოსცინებს. სხვა შემთხვევაში კი უხალისო და მონყენილი დილა გაუთენდება.“<sup>183</sup>*

ამგვარად, ლამეში ნალოცი ნამაზი, ადამიანს როგორც სულიერ, ისე ფიზიკურ სიმშვიდეს მატებს. საჭიროზე მეტი ძილი ჯანმრთელობისთვის ზიანის მიმტანი, ასევე სიუხვისა და იმქვეყნის მარაგისთვის ხელის შემშლელია.

182. სურა მუზემმელი, აიათები 1-7.

183. ბუჰარი, თეჰეჯჟუდი, 1.





ვინც ღამის ფასი არ იცის, ის ადამიანი ვერც დღის მნიშვნელობას და ფასს გაიგებს. ამიტომ ვისაც სურვილი აქვს, მშვიდობიანი და წარმატებული დილა გაუთენდეს, ღამის სიმშვენიერე სწორად უნდა გამოიყენოს.

თეჰეჯჯუდ ნამაზის სულიერი და ფიზიკური მნიშვნელობა დიდი ხანია აღიარეს როგორც მტრებმა, ასევე მეგობრებმა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია შემდეგი მაგალითები:

„იერმუქის ბრძოლის დროს, როდესაც ორი არმია ერთმანეთის საპირისპირო პოზიციაზე იდგა, ბიზანტიის ჯარის სარდალმა გაგზავნა არაბი მზვერავი მუსლიმთა ჯარში, რათა შეეტყო მათი მდგომარეობა. ჯაშუშმა მასზე დავალებული საქმე შეასრულა და რომის იმპერატორთან დაბრუნდა. იმპერატორმა ჰკითხა:

— რაშია საქმე, რას აკეთებენ ისინი? ჯაშუშმა თავისი თვალით დანახული ასეთი სურათი აღუწერა.

— ისინი ღამით — ღვთისმსახურები და დღისით მხედრები არიან.

მოისმინა რა პატაკი, იმპერატორმა წამოიყვირა:

— ეს თუ მართალს ამბობს, მაშინ მიწისქვეშ ყოფნა სჯობს, მათთან მიწის ზემოთ შებრძოლებას.

ბრძოლებში ვერც ერთი მტერი ალლაჰის შუამავლის თანამიმდევრებს ვერ ამარცხებდა. მუსლიმანებთან ბრძოლაში დამარცხებულმა ჰერაკლემ ჯარს მიმართა:

— სირცხვილი თქვენს თავს! თქვენს წინააღმდეგ მებრძოლ ჯარში როგორი ადამიანები არიან? ისინიც თქვენი მსგავსი არ არიან?

— დიახ, ჩვენი მსგავსნი არიან — უპასუხეს მხედრებმა.

— თქვენ უფრო მეტი ხართ, თუ ისინი? — შეეკითხა იმპერატორი.

— ბატონო, ჩვენ მათთან შედარებით რამდენჯერმე მეტი ვართ — უპასუხეს მას.

— მაშ, თქვენ რა გემართებათ, რომ ყოველ ბრძოლაში ისინი იმარჯვებენ?



ამ დროს წამოდგა რომის იმპერიის ერთ-ერთი ხნიერი მებრძოლი და ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგი მოსაზრება გამოთქვა:

— იმიტომ, რომ ისინი ღამეებს ღვთისმსახურებაში ატარებენ, დღისით მარხულობენ, თავიანთ ვალდებულებებს პირნათლად ასრულებენ, სიკეთეს თესავენ და ცუდი საქმეებისაგან შორს დგანან, ერთმანეთს ყველაფერს უნაწილებენ. ჰერაკლემ კმაყოფილებით წარმოთქვა:

— ნამდვილად. შენ სიმართლეს ამბობ!“<sup>184</sup>

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ღამეში ღვთისმსახურების შედეგად, მუსლიმანები დღისით გამარჯვებას აღწევენ. დღეს მუსლიმანების პრობლემები და უბედურებები მათი საქციელისა და სულიერი სისუსტის გამოა.

უდარდელი ძილი წვიმის მსგავსია, რომელიც ოკეანეში ან უკაცრიელ უდაბნოში განვიმდება. ასეთი ძილი თავისთავში აუნაზღაურებელ დანაკარგს მალავს, პოეტი იბრაჰიმ ხაქქი არზურუმი წერდა:

„ადამიანო იფხიზლე, კმარა ამდენი ძილი,  
ადექი, კვლავ მიატოვე შენი ლოგინი თბილი,  
ზეცას ახედე, ვარსკვლავებს, ღამე კიაფობს გრილი,  
ალლაჰს მიენდე, ილოცე, მორჩილად თავდახრილი.

დღისით ვერ იცლი, მუშაობ, ყანაში მუხლჩახრილი,  
ნამაზი მაინც ილოცე, იყო თუნდ ოფლდაღვრილი,  
იფხიზლე, ღამით იფხიზლე, არ იყო აქ გულგრილი,  
ღმერთს ესაუბრე, ილოცე, ირჩიე გზა ნამდვილი.

ადამიანო, ილოცე, ვიცი, ხარ გადაღლილი,  
ადექი, კვლავ მიატოვე შენი ლოგინი რბილი,  
წუთისოფელი ნუ გხიბლავს, გეყოფა აქ სირბილი,  
ალლაჰს მიენდე სულით და ილოცე თავდახრილი.

184. იბნ ასაკირი, 2 – 97.





## ე. ნამაზის დამატებითი სახეები (ნაფილე ნამაზი)

„მსახურის ჩემთან დაახლოება (ფარდ ნამაზებზე დამატებით) ნაფილე ნამაზის საშუალებით შეიძლება. ასეთი ადამიანი მე ძალიან მიყვარს.“

ბუჰარი, რიყაყი, 38.

შუამავლის ცხოვრება, ალლაჰისადმი ღვთისმსახურებითა და სანიმუშო მაგალითებით არის სავსე. ის დღის განმავლობაში, სხვადასხვა დროს უამრავ ნამაზს ლოცულობდა და თავის თანამიმდევრებსაც, შეძლებისდაგვარად, მათ სალოცავად მოუწოდებდა. ადამიანი ალლაჰს, ვერასოდეს დაუახლოვდება ისე, როგორც ფარდების შესრულების დროს. მაგრამ მასთან დაახლოება ნაფილე ნამაზების საშუალებითაც შეიძლება. ალლაჰი, ნაფილე ნამაზების მლოცველ ადამიანებს სამოთხეში, თვალით უხილავ და ადამიანის მიერ წარმოუდგენელ სილამაზეს ჰპირდება. ალლაჰის შუამავალი ბრძანებს:

*„მუსლიმანმა ადამიანმა რომ ყოველდღე, ალლაჰის ხათრისთვის, ფარდი ნამაზების გარდა, თორმეტი მუხლი ნაფილე ნამაზი ილოცოს, მისთვის სამოთხეში სასახლე მზად იქნება.“<sup>185</sup>*

ნაფილე ნამაზის ფასი და ადამიანის მოგებულის მადლი ჰაიბერის აღების დღეს კარგად გამოვლინდა. ამ დღეს ერთი ადამიანი შუამავალთან მივიდა და უთხრა:

— ალლაჰის შუამავალო, დღეს ისეთი წარმატება და მოგება მივიღე, მსგავსი ჯერ არასოდეს მქონია. შუამავალმა ჰკითხა:

— აბა, მითხარი, რა მოიგე?

— დღეს ვაჭრობა არ გამიჩერებია, ისეთი ვაჭრობა მქონდა, სამასი უყიე მოგება ვნახე. შუამავალმა უთხრა:

— შენთვის ყველაზე კარგი მოგება რა არის, ვითხრა?”

— რა არის, შუამავალო?

185. მუსლიმი, მუსაფირინი, 103.





— ფარდი ნამაზის შესრულების მერე ნალოცი ორი მუხლი ნაფილე ნამაზი. <sup>186</sup>

განკითხვის დღეს ადამიანმა პირველი პასუხი ნამაზის შესახებ უნდა გასცეს. იმ საშინელ დღეს, როდესაც ალლაჰის წინაშე ადამიანმა, თავისი ყოველი საქციელის გამო, პასუხი უნდა აგოს, გასაჭირში ჩავარდნილს ნაფილე ნამაზების მადლი დაეხმარება. ამ საკითხთან დაკავშირებით, ალლაჰის შუამავალი ბრძანებს:

„განკითხვის დღეს ადამიანის დაკითხვა ნამაზით იწყება. თუ ნამაზი წესრიგში აქვს, შემდეგი დაკითხვები წარმატებული იქნება, თუ ნამაზი არ აქვს ნალოცი, მაშინ ის აუცილებლად დაისჯება. თუ ადამიანს ფარდი ნამაზის ვალი აღმოაჩნდება, მაშინ ალლაჰი ბრძანებს:

**„ნახეთ, ამ ადამიანს ნაფილე ნამაზი თუ აქვს ნალოცი?!“**

თუ ნალოცი ექნება მისი ფარდი ნამაზების ვალი ნაფილე ნამაზებით შეივსება. <sup>187</sup>

თუკი ალლაჰის შუამავალი ადამიანებს ფარდი ნამაზების მეჩეთში ერთობლივად ლოცვისკენ მოუწოდებს, ნაფილე ნამაზის შესრულებას სახლში ურჩევს. იგი ჰადისში ბრძანებს:

„ადამიანებო, ნაფილე ნამაზი სახლში ილოცეთ! ფარდი ნამაზის გარდა, სხვა ნამაზის სახლში ლოცვა უფრო უკეთესია. <sup>188</sup>

როგორც ცნობილია, ფარდი ნამაზი ყოველი მუსლიმისთვის აუცილებლად შესასრულებელია. ყოველი ადამიანი ვალდებულია ამ საქმეს დიდი გულისყურით მოეკიდოს. ამიტომ მისი შესრულება ჯამაათით უფრო უკეთესია. ნაფილე ნამაზი კი ადამიანის სურვილზეა დაკავშირებული. ამიტომ ადამიანი სახლში ლოცვის დროს, მას იმდენ დროს დაუთმობს, რამდენსაც მოისურვებს. მეორე მხრივ, სახლებში ნამაზის ლოცვა, სიუხვითა და სილამაზით ავსებაა. აგრეთვე, იმ მუსლიმანი ადამიანების მიმართ, რომლებიც ყოველ ნამაზს მეჩეთში ლოცულობენ, ალლაჰის შუამავალი ბრძანებს:

186. აბუ დავუდი, ჯიჰადი, 168.

187. თირმიზი, სალათი, 188.

188. ბუჰარი, ეზანი, 81.





*„ზოგიერთი ნამაზი სახლებში ილოცეთ, რადგან ისინი (სახლები) სასაფლაოებს არ დაემსგავსონ!“<sup>189</sup>*

### 1. „ქუშლუქ“<sup>190</sup> (დუჰა) ნამაზი

აღლაჰის მიერ ადამიანებზე ნაბოძები წყალობების ჩამოთვლა შეუძლებელია. მათ გამო, ადამიანები ვალდებული არიან მოწყალება გაილონ და აღლაჰს მადლობა გადაუხადონ. ადამიანებს, რა თქმა უნდა, იმის ძალა არ შესწევთ, აღლაჰის ნაბოძები წყალობის საფასური მოწყალება გაილონ ან მადლობა გადაიხადონ, მაგრამ ასეთი საქციელით ისინი გარკვეულ პასუხისმგებლობას გამოსატყვევენ. აღლაჰი კი, მათ ასეთ საქციელს შეაფასებს და დაასაჩუქრებს. აღლაჰის შუამავალი თანამიმდევრებს, ამ საქმის გაიოლების მიზნით, მოუწოდებს:

*„ყოველდღიურად ყოველმა თქვენმა ორგანომ და ნაწილაკმა მოწყალება უნდა გაილოს. აღლაჰის ყოველი ხსენება სამოწყალო საქმეა, ყოველი განდიდება მოწყალებაა, რწმენის სიმბოლო ყოველი წარმოთქმა მოწყალებაა, ყოველი კეთილი საქმე მოწყალებაა, მაგრამ ორი მუხლი ქუშლუქ ნამაზის ლოცვა ყველა ამ მოწყალების უპირატესია.“*

აქედან გამომდინარეობს, რომ დღეში ორი მუხლი ნამაზის ლოცვა, აღლაჰის მიერ ადამიანისადმი გაღებული უდიდესი წყალობის სამაგიეროა. ასე გაუადვილა შუამავალმა ადამიანს აღლაჰის მიმართ თავისი ვალის მოხდა.

ქუშლუქ ნამაზის შესახებ შუამავალი უამრავ ჰადისს ბრძანებს, რადგან ის მის ლოცვას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, შუამავალს ეს ნამაზი ოთხი მუხლიც ულოცავს.<sup>191</sup> სხვა ვერსიების მიხედვით კი — ათი და თორმეტი მუხლი.<sup>192</sup>

აბუ ჰურაირე გადმოგვცემს:

*„აღლაჰის შუამავალმა მე ყოველ თვეში სამი დღე მარხვა, ორი მუხლი ქუშლუქ ნამაზისა და დაძინებამდე ვითრის ლოცვა მირჩია.“<sup>193</sup>*

189. ბუჰარი, სალათი, 52.

190. ქუშლუქი – არის დრო მზის ამოსვლიდან შუადღემდე.

191. მუსლიმი, მუსაფირინი, 78-79.

192. ბუჰარი, თეჰეჯჯუთი, 31.

193. ბუჰარი, თეჰეჯჯუდი, 33.





„ერთხელ ალლაჰის შუამავალმა ჯარის ერთი ნაწილი დავალე-ბის შესასრულებლად გაგზავნა. მუსლიმმა ჯარისკაცებმა დავალე-ბა პირნათლად შეასრულეს და მალე სახლში დიდი ნადავლით და-ბრუნდნენ. ეს რომ ებუ ბექირმა დაინახა, თქვა:

— შუამავალო! აქამდე ასე სწრაფად და ამდენი ქონებით დატ-ვირთული ჯარი არასდროს დაბრუნებულა. შუამავალმა მას ასე უპა-სუხა:

— გინდათ ამათზე უფრო სწრაფად და უხვად დაბრუნების შეს-ახებ გაიმბობთ?

— დიახ, — უპასუხეს თანამიმდევრებმა.

— ადამიანი, რომელიც სრული წესების დაცვით აბდებს აილებს, მეჩეთში შევა და დილის ლოცვას შეასრულებს, შემდეგ ქუშლუქ ნამაზსაც ილოცავს, ის ყოველ საღამოს, ყველაზე სწრაფად და მეტი მოგებით დაბრუნდება.“ (იბნ ჰიბბანი, 6, 276).

ქუშლუქ ნამაზის ლოცვის დრო, მზის ამოსვლიდან 45 წუთის შე-მდეგ იწყება და შუადღის ლოცვამდე ნახევარი საათით ადრე მთავრ-დება. დღის ერთი მეოთხედის გასვლის შემდეგ ლოცვა უფრო მად-ლია. იმის გამო, რომ ამ დროს სხვა ნამაზი არ ილოცვება და ალლაჰის წინაშე მას დიდი ფასი გააჩნია. დღის პირველი საათები ადამიანის-თვის ძირითადად სარჩო-სანოვაგით მომარაგების დროა. ამ დროს შესრულებული ქუშლუქ ნამაზი კიდევ იმის მაჩვენებელია, რომ ადა-მიანის ფიქრი იმქვეყნისადმი უფრო დიდია, ვიდრე ამქვეყნისადმი.

## 2. „ევვაბინ“ ნამაზი

იბნ ომარი გადმოცემით, რომ ალლაჰის შუამავალი საღამოს ლოცვის შემდეგ, კიდევ ორ მუხლ ნაფილე ნამაზს ლოცულობდა.<sup>194</sup> ამ ნამაზს „ევვაბინ“ ნამაზი ეწოდება. სიტყვა „ევვაბინ“ „მომნანიებ-ელს“ ნიშნავს. ადამიანს, რომელიც ცოდვის ჩადენის შემდეგ ალლაჰს გაიხსენებს და მისგან პატიებას მოითხოვს, „ევვაბი“ ეწოდება. საღა-მოს ლოცვის შემდეგ ექვსი, ოთხი ან ორი მუხლი ნამაზის ან ერთ-ერ-თი ჰადისის მიხედვით, საღამოს ლოცვიდან ძილის წინა ლოცვამდე განუსაზღვრელი რაოდენობით ნამაზის მლოცავი ადამიანები „ევ-ვაბინ“ სახელით არიან ცნობილი.

194. ბუჰარი, თეჰეჯჯუთი, 29.





### 3. „ჰაჯეთ“ 195 ნამაზი

ყოველი გასაჭირის დროს ახსენებდა რა ალლაჰს და იყო მასზე დამოკიდებული ალლაჰის შუამავალი, სიღუბნებში მყოფ ადამიანებს ორი მუხლი ნამაზის ლოცვას და ალლაჰზე ვედრებას ურჩევდა. ჰადისში შუამავალი ასე ბრძანებს:

*„თუკი ადამიანი გასაჭირში ჩავარდება, ჯერ გულდასმით აბდესი აილოს, შემდეგ ორი მუხლი ნამაზი ილოცოს, ალლაჰს შეევედროს და შუამავლისთვის სალათი იკითხოს. ამის შემდეგ ქვემოთ მოცემული ვედრება ჩაიკითხოს:*

*„ლმობიერი და კეთილშობილი ალლაჰის გარდა, სხვა ღმერთი არ არსებობს. ის უნაკლოა. ქება-დიდება ამქვეყნის ბატონ-პატრონ დიდ ალლაჰს! დიდო ალლაჰო, ყოველი ჩადენილი ცოდვისგან შენ შეგეფარები. ცოდვების პატიებას და სიკეთით დაჯილდოებას გთხოვ! ღმერთო, მაპატიე ყველა ცოდვა და მომიგვარე ყველა პრობლემა! შენი კანონის შესაფერისი ყველა თხოვნა შემისრულე! მინყალობე ის, რაც შენს კმაყოფილებას მომიხვეჭს, ჩემო შემწყნარებელო, დიდო ალლაჰო!“*

ამ ვედრების წაკითხვის შემდეგ, შეიძლება ამქვეყნიური საქმეებისა და პრობლემების შესახებ ალლაჰს შეევედრო რადგან ის აუცილებლად შეგისრულებს.“<sup>196</sup>

ალლაჰის შუამავალი ჰაჯეთ ნამაზის სალოცავად მუსლიმებს ხშირად მოუწოდებდა. თანამიმდევრებიც დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ ამ საქმეს და როდესაც რაიმე გასაჭირი ექნებოდათ, ალლაჰს ევედრებოდნენ. ზაფხულის ერთ დღეს ენესთან მებაღე მივიდა და უთხრა, გვალვის გამო, სადაც არის ბაღჩა გახმებო. ენესმა წყალი მოითხოვა, აბდესი აილო და ნამაზის სალოცავად დადგა. როდესაც ლოცვა დაასრულა, მებაღეს დაუძახა:

- ზეცაზე რამეს ხედავ?
- ვერ ვხედავ. — უპასუხა მებაღემ.

ენესი შიგ შებრუნდა და ნამაზის ლოცვა განაგრძო. ენესმა ეს შეეკითხა სამ-ოთხჯერ გაუმეორა მებაღეს:

195. ჰაჯეთ — ვედრება.  
 196. იბნ მაჯე, იქამე, 189, თირმიზი, ვითრი 17.





— ცაში რამეს ხედავ?

— ჩიტის ფრთისოდენა ღრუბელს ვხედავ. — უპასუხა მებაღემ. ენესმა ისევ განაგრძო ნამაზის ლოცვა და ალლაჰზე ვედრება. ცოტა ხნის შემდეგ მებაღე მასთან შევიდა და უთხრა:

— ცა ღრუბლებით დაიფარა და ნვიმა დაინყო. ენესმა მებაღეს უთხრა:

— ადექი, ბიშრ ბინ შეგაფის გამოგზავნილ ცხენზე შეჯექი და ნადი. ნახე, ნვიმამ სადამდე მიაღწია. მებაღე ცხენზე შეჯდა და ირგვლივ ტერიტორია შემოიარა. მან ნახა, რომ მხოლოდ ენესის ბაღში განვიმებულებიყო.<sup>197</sup>

ალლაჰის შუამავლის თანამიმდევართაგან ერთ-ერთი — აბუ მილაქი სამართლიანი და სიტყვის შემსრულებელი კაცი იყო. მას მრავალ ადამიანთან საქმიანი კავშირი ჰქონდა დამყარებული და ვაჭრობდა. ერთ დღეს სავაჭრო საქმეებზე ქალაქგარეთ გასულს, ყაჩაღი წამოენია და უთხრა:

— რაც გაქვს, ყველაფერი დაყარე, უნდა მოგკლა!

— ქონება თუ გაინტრესებს, ნაიღე, — უთხრა აბუ მილაქმა.

— მე მხოლოდ შენი სული მინდა! — უპასუხა ქურდმა.

— მაშინ ნება მომეცი, ორი მუხლი ნამაზი ვილოცო.

ყაჩაღმა შეინყალა და ნამაზის ლოცვის ნება დართო. აბუ მილაქმა ნამაზი ილოცა და ალლაჰს ასე შეევედრა:

*„ყველასათვის საყვარელო, ყველაფრის პატრონო, ყველა სურვილის შემსრულებელო, დიდო ღმერთო! შენი ღირსების, მბრძანებლობისა და შენი ულამაზესი შუქის წყალობით, ამ ქურდისგან დამიცავი და გადამარჩინე!“*

აბუ მილაქმა ეს ვედრება სამჯერ გაიმეორა. ვედრების დამთავრებისთანავე დაინახა, რომ მოულოდნელად ერთი მხედარი გაჩნდა და ქურდი მოკლა. გადარჩენილმა თანამიმდევარმა მხედარს ჰკითხა:

— შენ, ვინ ხარ? ალლაჰმა შენი საშუალებით მე დახმარება გამინია და სიკვდილს გადამარჩინა.

197. იბნ სალდი, 7 – 21-22.



— მე მეოთხე საფეხურის ზეცის მკვიდრი ვარ. პირველი ვედრების დროს, ზეცის კარების ჭრიალი გავიგე. მეორე ვედრებაზე ზეცის მცხოვრებთა ხმაური შემომესმა, მესამედ — ითქვა, რომ განსაცდელში მყოფი კაცის ვედრების ხმა იყო. ეს რომ გავიგონე, ალლაჰს ვთხოვე, ქურდის მოსაკლავად მე გამოვეგზავნე. ალლაჰმაც ნება მომცა და შენთან მოვედი. კარგად დაიმახსოვრე, ვინც აბდესს აიღებს, ოთხ მუხლ ნამაზს ილოცავს და შემდეგ ალლაჰს შეევედრება, მას თხოვნა აუცილებლად შეუსრულდება.<sup>198</sup>

#### 4. „ისთიჰარე“ ნამაზი

უვიცობის ხანაში ხალხი ცდილობდა მიეღო სასწრაფო გადწყვეტილება მნიშვნელოვან საკითხებზე (გამგზავრებულებიყო სადმე, დაქორწინებულებიყო, ევაჭრა), რისთვისაც იყენებდნენ სამკითხაო ისრებს. ისინი ამ გზით ცდილობდნენ დაგეგმილი საქმის შედეგის წინასწარ შეტყობას. ალლაჰის შუამავალმა მკითხაობა აკრძალა, რადგან ის მხოლოდ ვარაუდი იყო და სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. გარდა ამისა, ის ალლაჰის კანონების საწინააღმდეგოც იყო. შუამავალმა ხალხს სხვა მეთოდი ასწავლა.

შუამავლის სწავლების მეთოდის პრინციპი, თავიანთ სურვილზე მეტად ალლაჰის კანონის გათვალისწინება იყო. ალლაჰის შუამავალმა ამ საკითხს დიდი ყურადღება დაუთმო და ადამიანებს ვარაუდისგან თავის შორს დაჭერა ურჩია:

*„ადამიანის ბედნიერების მიზეზი ალლაჰის კმაყოფილების მოპოვებაა. შეცდომებისა და დანაშაულის საფუძველი ისტიჰარის შეუსრულებლობაა.“<sup>199</sup>*

ბჭობასთან დაკავშირებით, ჯაბირი გადმოგვცემს: ალლაჰის შუამავალი ჩვენ, ყურანიდან რომელიმე სურის შესწავლის მსგავსად, ყოველი საქმის მიმართ ერთმანეთში ბჭობას გვირჩევდა. ის გვეუბნებოდა:

„თუკი რომელიმე თქვენგანს რაიმე საქმის გაკეთების სურვილი გაუჩნდება, ფარძი ნამაზის გარდა, ორი მუხლი ნამაზი ილოცოს და შემდეგი ვედრება შეასრულოს:

198. იბნ ჰაჯერი, ელ ისაბე, 4, 182.

199. თირმიზი, ქადერი, 15.





„ღმერთო, შენგან სიკეთეს ვითხოვ, შენ ყოვლისმცოდნე ხარ! შენგან, სიკეთის მოსამკობად ძალას ვითხოვ! შენ მიცემა ვიყვარს. ღმერთო, შენგან სათნოებასაც ვითხოვ. შენთვის მომავალი ცნობილია. ღმერთო, თუ ეს საქმე რწმენის, სიცოცხლისა და საბოლოო შედეგისთვის სიკეთის მომტანია, შეაფასე და მისი გაკეთება გამიოლღე, შემდეგ კი ჩემთვის სასიკეთო გამოაყენე! თუ ეს საქმე ჩემი რწმენის, სიცოცხლისა და მომავლისთვის ზარალის მომტანია, მისგან შორს მამყოფე. რომელი საქმეც სასიკეთოა, იმ საქმეზე დამაყენე და ის გამაკეთებინე!“

„ამის შემდეგ ადამიანს, შეუძლია ალლაჰს ის შეევედროს, რისი სურვილიც აქვს.“<sup>200</sup>

ამგვარად ალლაჰზე ვედრების შემსრულებელი ადამიანის გულში სიხარული და შვება დაისადგურებს. მისი გაკეთებული საქმეც სიკეთის მომტანი და წარმატებული იქნება. ასეთი ადამიანი შეცდომებისგანაც დაცული იქნება.

## 5. თაჰიეთულ მესჯიდ ნამაზი

აბუ ყათადე ერთ დღეს მესჯიდი ნებევიში მივიდა. მან დაინახა, რომ ალლაჰის შუამავალი თავის თანამიმდევრებთან ერთად იჯდა. ისიც მივიდა და მათ მიუჯდა. შუამავალმა აბუ ყათადეს უთხრა:

„რამ შევიშალა ხელი აქ დაჯდომამდე ორი მუხლი ნამაზი გელოცა?“

აბუ ყათადემ უპასუხა:

— შუამავალო, შენ და შენი თანამიმდევრები აქ მსხდომი დაგინახე და ამის გამო არ ვილოცე. შუამავალმა უპასუხა:

— მეჩეთში შესული არც ერთი თქვენგანი არ დაჯდეს, ვიდრე ორ მუხლ ნამაზს არ ილოცავს.<sup>201</sup>

„თაჰიეთულ-მესჯიდ“ ნამაზის შესახებ სხვა მაგალითებიც არის. „თაჰიეთულ-მესჯიდ“ — მეჩეთზე მისალმებას ნიშნავს. მეჩეთები ალლაჰის სახლებია. ამ სახლში შემსვლელი ადამიანისთვის, პირველ რიგში, მის მეპატრონეზე მისალმება აუცილებელია. მეჩეთში შემსვლელი ადამიანი „თაჰიეთულ-მესჯიდ“ ნამაზის ლოცვით ალლაჰზე

200. ბუჰარი, დეავათი, 48.

201. მუსლიმი, მუსაფირინი, 70.





მისაღმებას აკეთებს, მისდამი სიყვარულს, დაფასებასა და პატივისცემას გამოხატავს, ალლაჰის მიმართ მსახურების მოვალეობის შესრულებას აჩვენებს. ამასთანავე უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც რომ „თაჰითულ-მესჯიდ“ ნამაზი „ქერაჰათის“<sup>202</sup> დროს არ ილოცვება.

## 6. აბდესის ალების შემდეგი ნამაზი

ალლაჰის შუამავალმა ბილალს ჰკითხა: — *„ბილალ, სამოთხის ბაღში, ჩემ წინ, მე შენი ფეხის ხმა გავიგონე. მის შემდეგ, რაც შენ გამუსლიმანდი, სახის სასიკეთო საქმისთვის მოელი უფრო მეტად დაჯილდოებას? ბილალმა უპასუხა:*

— *დღე იქნება თუ ღამე, აბდესის ალების შემდეგ, შეძლებისდაგვარად, ნამაზს ვლოცულობ. იმედი მაქვს ზუსტად ამ ნამაზების საშუალებით უზარმაზარი ჯილდო მოვიპოვო.“*<sup>203</sup>

ყოველთვის აბდესიანი ყოფნით და აბდესის ალების შემდეგ ნამაზის ლოცვით, ადამიანი სულიერების მწვერვალს მიაღწევს. რა თქმა უნდა ეს ყველაფერი დიდი მონდომებითა და ნებისყოფითაა შესაძლებელი. აბდესის შემდეგი ნამაზი, ადამიანს სხვადასხვა ცოდვებისგანაც ათავისუფლებს. ოსმანი გადმოგვცემს:

„— *ალლაჰის შუამავალი აბდესის ალების დროს დავინახე. როცა დაასრულა აბდესის ალება, ბრძანა:*

*ვინც აბდესს ჩემგვარად აიღებს, შემდეგ ორ მუხლ ნამაზს ილოცავს და ფიქრებით მხოლოდ ალლაჰთან იქნება, მას ჩადენილი ყველა ცოდვა ეპატიება.“*<sup>204</sup>

## 7. „თევზე“205 ნამაზი

ზოგჯელ ადამიანი გულმავინყოფის მიზეზით ან გრძნობების მოძალებით უღირს საქციელს სჩადის. ასეთ ნუთებში საჭიროა, პირველ რიგში, ადამიანმა მოინანიოს და ფიქრი ალლაჰისკენ მიმართოს. ცოდვის ჩადენის შემდეგ სწრაფად უმალ მონანიება, ვიდრე ცოდ-

202. ქერაჰათი – დროის მონაკვეთი, მზის ამოსვლის შემდეგ — 45 წუთი და მზის ჩასვლის წინ — 45 წუთი.

203. ბუჰარი, თეჰეჯჯუდი, 17.

204. ბუჰარი, ვუდუ, 24.

205. თევზე – მონანიება.





ვა გულში დაიბუდებს, ადამიანს იმ ცოდვისგან გაათავისუფლებს. ალლაჰი ბრძანებს:

**„მას ვერ მიაღწევს, გარდა მათი, რომელთაც მოითმინეს, და მას ვერ მიაღწევს, გარდა უდიდესი წილის მფლობელი.“<sup>206</sup>**

შუამავალი კი ასე ბრძანებს: „სადაც არ უნდა იყო, ალლაჰის ღვთისმსახური იყავი! როცა რაიმე ცოდვას ჩაიდენ, მაშინვე რალაც სიკეთე ჰქმენ! ეს სიკეთე იმ ცოდვას მოგაშორებს, გარდა ამისა, — ადამიანებს კარგად მოეპყარი!“<sup>207</sup>

ზემოთ მოყვანილ აიათებსა და ჰადისებში, ჩადენილი ცოდვისგან გაათავისუფლება ნათლად არის ასახული. ერთ დღეს შუამავალმა მუეზინ ბილალს ჰკითხა:

*„— ბილალ, რომელი საქმით შეხვედი ჩემზე ადრე სამოთხეში? გუშინ საღამოს, სამოთხეში ჩემ წინ შენი ფეხის ხმა გავიგონე.“*

ბილალმა უპასუხა:

*— შუამავალო, როდესაც რაიმე ცოდვას ჩავიდენ, მაშინვე ორ მუხლ ნამაზს ვლოცულობ.*

*— ნამდვილად, ამის გამოა! — ბრძანა შუამავალმა.<sup>208</sup>*

## 8. „შუქურ“ 209 ნამაზი

ალლაჰის მიერ ნაბოძები უთვალავი სიკეთის სანაცვლოდ მადლობის გადახდა, ყოველი ადამიანის უპირველესი მოვალეობაა. ალლაჰზე მადლიერებით ადამიანი კიდევ მეტ სიუხვეს მოიმკის. შუამავალს როცა რაიმე გაუხარებოდა, მაშინვე ალლაჰს მადლობის ნიშნად სეჯდეს გაუკეთებდა და შუქურ ნამაზს ილოცავდა.<sup>210</sup>

ენეს იბნ მალიქი გადმოგვცემს:

ალლაჰის შუამავალს ერთხელ მისთვის ძნელი საქმის შესახებ უმახარობლეს. მან სასწრაფოდ ალლაჰს სეჯდე გაუკეთა.<sup>211</sup>

206. ფუსსილეთი 41-36.

207. თირმიზი, ბირრი, 55.

208. იბნ ჰუზეიმე, 2, 213.

209. შუქურ – მადლობა.

210. იბნ მაჯე, სალათი, 192.

211. იბნ მაჯე, სალათი, 192.





როგორც შუამავალი, ასევე, მისი თანამიმდევრებიც, სიხარულის დროს მადლობის ნამაზს ლოცულობდნენ. იმის გამო, რომ ვერ მიიღო მონაწილეობა თებუქის ბრძოლაში ქააბ იბნ მალიქმა ძალიან მძიმე დღეები გადაიტანა, მან ალლაჰს პატიება სთხოვა და სეჯდე გააკეთა. შემდეგ კი მთელი თავისი ქონების ალლჰის გზაზე გახარჯვის სურვილი გაუჩნდა, თუმცა შუამავალმა ურჩია, რომ ქონების მხოლოდ ნახევარი მოწყალეობად გაეღო და ნახევარი ოჯახისთვის დაეტოვებინა.<sup>212</sup>

სინამდვილეში ალლაჰის მიერ ბოძებულ სიკეთეებზე მადლიერება გულით უნდა გამოვხატოთ, თუმცა მადლობის ნამაზის ლოცვით ადამიანი ქედს იხრის გამჩენის წინაშე, რაც მას სიამაყის გრძნობის დაძლევაში ეხმარება.

## 9. „თერავიჰ“ ნამაზი

რამაზნის თვეში, ღამის ლოცვის შემდეგ „თერავიჰ“ ნამაზის ლოცვა, შუამავლის სუნნეთია. ერთ-ერთ ჰადისში შუამავალი ბრძანებს: „ალლაჰმა რამაზნის მთვარეში მარხვა ფარძი გახადა, რამაზნის სარგებლის მიღებისათვის საჭიროა, მარხვასთან ერთად, ღამლამობით ალლაჰისადმი ღვთისმსახურება და ცოდვების ჩადენისაგან თავის დაცვა. რამაზნის ღამეებში ლოცვა ადამიანის გადარჩენის საშუალებაა. ალლაჰის შუამავალი ბრძანებს:

*„ვინც გულწრფელად ირწმუნებს და მხოლოდ ალლაჰს მიენდობა, რამაზნის თვეში ღამლამობით ნამაზებს ილოცავს, მას ყველა ცოდვა მიეტევება.“<sup>213</sup>*

აიშეს გადმოცემის მიხედვით, ალლაჰის შუამავალი რამაზნის თვეში, თავდავინყებით ლოცულობდა ნამაზებს და ცდილობდა რაც შეიძლება მეტი ღვთისმსახურება შეესრულებინა. ამ თვის ბოლო ათ დღეს მხოლოდ ღვთისმსახურებაში ატარებდა. ამასთან არ იძინებდა და შუა ღამისას აღვიძებდა თავისი ოჯახის სხვა წევრებსაც.<sup>214</sup>

ალლაჰის შუამავალი ლოცულობდა რა „თერავიჰ“ ნამაზს ღამით, აღნიშნავდა ამ თვის მნიშვნელობას. ის ამ ნამაზს მარტოდმარტო ლოცულობდა. მან მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ ყველას იმდენი

212. ბუჰარი, მელაზი, 79.

213. ბუჰარი, თერავიჰი, 46.

214. ბუჰარი, ფადლუ ლეილეთულ-ყადირი, 5.





ელოცა, რამდენსაც შეძლებდა. თერავიჰ ნამაზი აბუ ბაქრის დროსაც მარტოდ ილოცებოდა. ამ ნამაზის ჯამაათით ლოცვა ომარის ხალიფობის დროიდან დაიწყო. შუამავლის მიერ „თერავიჰ“ ნამაზის მარტოდ ლოცვის შესახებ აიშე გადმოგვცემს:

„შუამავალმა ერთხელ რამაზნის თვეში მეჩეთში ნაფილე ნამაზი ილოცა. რამდენიმე ადამიანი მას ლოცვაში მიჰყვა. მეორე დღეს თანამიმდევრებმა თქვეს, რომ ალლაჰის შუამავალმა ღამეში მეჩეთში ნაფილე ნამაზი ილოცა. შუამავალმა მეორე ღამესაც ილოცა ნამაზი. თანამიმდევრებმა კიდევ ილაპარაკეს ამის შესახებ. ამასთან ერთად, მეჩეთში ხალხის რაოდენობამაც საგრძნობლად მოიმატა. შემდეგ ღამეს კი მეჩეთი მთლიანად მლოცველებით გაივსო. მაგრამ იმ ღამეს შუამავალი მეჩეთში აღარ გამოჩენილა. მეორე დღეს, დილას შუამავალმა განაცხადა:

„— მე დავინახე თქვენი გულმოდგინება. გუშინ თქვენთან მოსვლისგან თავი შევიკავე, ამის მიზეზი კი იმის შიში იყო, რომ ეს ნამაზი სავალდებულო არ გამხდარიყო.“<sup>215</sup>

## 10. „თესბიჰ“ ნამაზი

ალლაჰის შუამავალმა თავის ბიძა — აბბასს ჰკითხა: „ბიძაჩემო, გინდა ერთი კარგი რჩევა მოგცე?“ მას ნარსული ცოდვების პატიებისა და ალლაჰის კმაყოფილების მოპოვებისთვის „თესბიჰ“ ნამაზის ლოცვა ურჩია და ასეთი დარიგება მისცა:

„ოთხ მუხლ ნამაზს ილოცავ! ყოველ მუხლზე სურა „ფათიჰა—“სა და კიდევ ერთ სურას იკითხავ. სურა „ფათიჰა—“ს კითხვამდე, 15-ჯერ „სუბჰანელლაჰი ველჰამდულილლაჰი ველაა ილააჰე ილლალ-ლაჰუ ველლაჰუ ექბერს“— იკითხავ! „ფათიჰასა“ და კიდევ ერთი სურის კითხვის შემდეგ იგივეს 10-ჯერ იკითხავ. შემდეგ რუქუზე ნახვალ და იქაც 10-ჯერ იკითხავ. რუქუდან რომ ადგები და წელში გაიმართები, იქაც 10-ჯერ იკითხავ. სეჯდეს დროსაც 10-ჯერ იკითხავ. ორ სეჯდეს შორის რომ დაჯდები, იქაც 10-ჯერ იკითხავ. მეორე სეჯდეს რომ გააკეთებ, იქაც 10-ჯერ იკითხავ. ამგვარად, ერთი მუხლის ლოცვის დროს მისი 75-ჯერ ჩაკითხვაა საჭირო. როდესაც ოთხივე მუხლს ასე ილოცავ, მაშინ მისი ჩაკითხვა 300-ჯერ მოგიწევს. თუ გსურს ეს ნამაზი ყოველდღე ილოცე; ყოველდღე თუ ვერ ილოცავ,

215. ბუჰარი, თერავიჰი, 1; მუსლიმი, მუსაფირინი, 177.



მაშინ კვირაში ერთხელ ილოცე; ყოველ კვირაში თუ ვერ ილოცავ, მაშინ თვეში ერთხელ ილოცე; თუ თვეში ერთხელაც ვერ ილოცავ, მაშინ წელიწადში ერთხელ ილოცე და ამასაც თუ ვერ შეასრულებ, მაშინ სიცოცხლეში ერთხელ მაინც ილოცე.<sup>216</sup>

## 11. „ისტისყა“217 ნამაზი.

ერთხელ შუამავალს უწვიმობის გამო შესჩივლეს. შუამავალმა მინბერის<sup>218</sup> მოტანა მოითხოვა. ის მუსალლაში<sup>219</sup> დაიდგა. ადამიანების იქ შესაკრებად დღე დაინიშნა. ალლაჰის შუამავალმა, ჯერ კიდევ მზის ამოსვლამდე, მუსალლასკენ გეზი აიღო. იქ მისულმა მინბერზე ავიდა, თექბირი გააკეთა და დაიწყო:

„თქვენ გვალვის გამო ჩივილი დაიწყეთ. ალლაჰი კი თქვენგან ვედრებას მოითხოვს. ის თქვენს ვედრებას აუცილებლად შეისმენს.“ — უთხრა და ვედრება დაიწყო:

„*ძალა ერთადერთი ალლაჰის ხელშია! ის რაჰმანი<sup>220</sup> და რაჰიმი<sup>221</sup> ის განკითხვის დღის პატრონია! ალლაჰის გარდა სხვა ღმერთი არ არსებობს! რასაც მოისურვებს, იმას გააკეთებს! ღმერთო, შენ ერთადერთი ხარ; შენ მდიდარი ხარ, ჩვენ — ღარიბი; ჩვენ შენგან წვიმას ვითხოვთ, განვიმებისას ძალა შეგვმატე. ის გარკვეული დროის მანძილზე ჩვენთვის საკმარისი იქნება!*“

ამ ვედრების შემდეგ ხელები მაღლა ასწია, ხალხისკენ ზურგით შემობრუნდა. ტანსაცმელი გამოაქცია, ხელები კვლავ მაღლა აწეული ჰქონდა. შემდეგ ისევ ხალხისკენ შემობრუნდა. მინბერიდან ჩამოვიდა და ორი მუხლი ნამაზი ილოცა. ალლაჰმა იმწამსვე ღრუბლები გამოგზავნა, მალე ჭექა-ქუხილი დაიწყო და წვიმაც წამოვიდა. სანამ

216. აბუ დავუდი, თათავუ, 14, თირმიზი, ვითრი, 19.

217. ისტისყა — განვიმებისთვის თხოვნა.

218. მინბერი – სპეციალური დასაჯდომი, საიდანაც შეკრებილ ხალხს მიმართვას გაუკეთებ. მინბერი გამოიყენება მეჩეთში, საიდანაც იმამი ხალხს რელიგიის შესახებ ესაუბრება.

219. მუსალლა – ის გამოყენებული იყო ისლამის დაარსების პირველ ხანებში. ეს არის ფართო ადგილი სოფლის ან ქალაქის გარეუბანში, სადაც ადამიანები ჯამათით სალოცავი ნამაზებისთვის იკრიბებოდნენ, როგორც არის ჯუმა, ბაირამი ან ჯენაზე ნამაზები.

220. რაჰმანი – ამქვეყნად შემცოდებელი.

221. რაჰიმი – იმქვეყნად შემწნარებელი.





ალლაჰის შუამავალი მეჩეთში დაბრუნდებოდა, გზები წვიმით დაიღვარა. მან კი ბრძანა:

*„მონმე ვარ, ალლაჰი ყოვლისშემძლეა. მე კი მისი მსახური და შუამავალი ვარ.“<sup>222</sup>*

## 12. „ქუსუფ“ და „ჰუსუფ“ ნამაზები

კიდევ ერთი ნაფილე ნამაზი მზისა და მთვარის დაბნელების დროს ილოცვება. უხსოვარი დროიდან მოყოლებული ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც მზესა და მთვარეს აღმერთებენ. როცა მუსლიმანი ადამიანი მათი რწმენის არა რეალურობის დამამტკიცებელ მომენტს ნახავს, მაშინვე ალლაჰს უნდა შეევედროს. ასეთი ქმედება რწმენის განმტკიცებისა და ურწმუნოების გაჩუმების ერთ-ერთი პასუხი იქნება.

აბდულლაჰ იბნ ამრის გადმოცემის მიხედვით, ალლაჰის შუამავლის დროს მზე დაბნელდა. შუამავალმა ხალხს ნამაზი ალოცა. ლოცვის დროს ფეხზე იმდენ ხანს გაჩერდა, ბევრ მათგანს ეგონა, ის რუქუზე წასვლას საერთოდ აღარ აპირებდა და ნამაზი მთლიანად ფეხზე დგომით უნდა შეესრულებინა. შემდეგ რუქუზე წავიდა და დიდხანს თავი მალლა აღარ აუწევია. მერე წელში გაიმართა და იმდენ ხანს გაჩერდა, ეგონათ სეჯდეზე აღარ უნდა წასულიყო. როგორც იქნა სეჯდეზე დავიდა, მაგრამ იქაც იმდენ ხანს გაჩერდა, რომ თითქოს ფეხზე ადგომას აღარ აპირებდა. შემდეგ სეჯდედან აიშალა და დაჯდა. ასე ჯდომაც დიდხანს გაგრძელდა. შემდეგ მეორე სეჯდეც გააკეთა. ამგვარად ორი მუხლი ნამაზი ილოცა. როდესაც დაამთავრა, მზეც მთლიანად გამოჩნდა. ამის შემდეგ შუამავალმა მუსლიმებს მინბერიდან მოუწოდა:

*„მზე და მთვარე, ალლაჰის არსებობისა და ერთადერთობის დამამტკიცებელი ნიშნებია. როცა ისინი დაბნელდება, ალლაჰს შეევედრეთ. ალლაჰი გაიხსენეთ, აღიარეთ მისი უდიდებულესობა, ნამაზი ილოცეთ და მოწყალეობა გაიღეთ!“<sup>223</sup>*

შუამავალმა მზისა და მთვარის დაბნელება ალლაჰის აიათებიდან ერთ-ერთად შეაფასა და აღნიშნა, რომ მათი დაბნელება არც ერთი ადამიანის სიკვდილთან ან დაბადებასთან კავშირში არ არის.

222. აბუ დავუდი, ისთისკა, 2.

223. ბუჰარი, ქუსუფი, 2-4.





ეს თანამიმდევრებსაც აუხსნა. ის მხოლოდ ალლაჰის აღიარებითა და ყოველ წამს დედამიწის არსებობის დასრულების მოლოდინის გამო, გამუდმებით ალლაჰის წინაშე ვედრებით იყო დაკავებული. მოღრუბლვის, განვიმების, ჭექა-ქუხილის, მზისა და მთვარის დაბნელებისას-ყოველთვის თავისი თანამიმდევრების უსაფრთხოების მიზნით ალლაჰს ევედრებოდა.

შუამავლის ასეთი აღელვების მიზეზი მხოლოდ ალლაჰის შიში იყო. აიშეს გადმოცემის მიხედვით, ალლაჰის შუამავალს ცაში შავი ღრუბლის გამოჩენისა და ძლიერი ქარის ამოვარდნის დროს სახეზე ფერი ეცვლებოდა. ხანდახან დგებოდა და იმ ღრუბელს უყურებდა, ხან სახლში შევიდოდა და გამოვიდოდა. როდესაც განვიმდებოდა, მაშინ დამშვიდდებოდა. ეს ყველაფერი აღელვების გამო ხდებოდა. როცა აიშემ ამის შესახებ შეეკითხა, შუამავალმა ასე უპასუხა: „რავიცი, შეიძლება ამ შავ ღრუბელს მოაქვს უბედურება, როგორც მოუვიდათ ადის ტომელებს. როცა შავი ღრუბელი დაინახეს, ეგონათ განვიმდებოდა, მაგრამ სინამდვილეში მან დიდი უბედურება მოუტანა მათ.“<sup>224</sup>

ალლაჰის შუამავალმა მთვარის დაბნელებიდან განათებამდე ნამაზი ილოცა და თავის თანამიმდევრებსაც იგივე უბრძანა.<sup>225</sup>

„ქუსუფ“ და „ჰუსუფ“ ნამაზი სუნნეთია. ისინი ორი მუხლისაგან შესდგება. მზის განათებამდე ალლაჰზე ვედრება კეთდება. „ქუსუფ“ ნამაზის ჯგუფურად ლოცვა შესაძლებელია, „ჰუსუფ“ ნამაზი კი მარტოდ ილოცვება. ამ ნამაზების მეჩეთში ლოცვა სუნნეთია. ეზანი და ყამმეთი საჭირო არ არის. მხოლოდ მზის დაბნელებისას ნამაზის სალოცავად „ეს-სალათუ ჯამიეთუნ“ (ნამაზისთვის შეიკრიბეთ)!“ გამოცხადებაა საჭირო.<sup>226</sup>

მთვარისა და მზის დაბნელების მსგავსად, მიწისძვრაც ალლაჰის სიდიადის მაჩვენებელი მოვლენაა. ჰიჯრის მეხუთე წელიწადს მედინაში მიწისძვრა მოხდა. გულთი ყოველთვის ალლაჰთან მყოფმა მუჰამედ შუამავალმა ბრძანა:

224. ბუჰარი, თეფსირი, 46-2. მუსლიმი, ისტისკა, 14-16.

225. იბნ ჰიბბანი, 7 – 68 – 100.

226. ბუჰარი, ქუსუფი, 3. მ. ა. ქოქსალი, 11, 221.





„ალლაჰი ცდილობს თქვენი კმაყოფილი იყოს. ამიტომ თქვენც მისი კმაყოფილების მოსაპოვებლად იბრძოლეთ!“<sup>227</sup> გადმოცემის მიხედვით, იბნ აბბასი, მისდევდა რა მუჰამმედ შუამავლის დარიგებას, მინისძვრის დროს თავის მეგობრედთან ერთად ნამაზს ყოველთვის ლოცულობდა.<sup>228</sup>

## 2. მუჰამმედ შუამავლის მარხვა

*„ო, თქვენ, ვინც ირწმუნეთ! თქვენთვის დანესებულია მარხვა, იმის მსგავსად, როგორც ის დანესებული იყო მათთვის, ვინც თქვენამდე ცხოვრობდა, — შეიძლება თქვენ ღვთისმოსაში იქმნეთ.“*

სურა ბაყარა, აიათი 183

მარხვა — ადამიანის სულიერი გაძლიერების ერთ-ერთი საშუალებაა. მარხვით, ადამიანი შესაძლოა სულიერად ძალიან ამაღლდეს და საგრძნობლად შეიცვალოს დადებითისაკენ. ამავე დროს, მარხვა ადამიანს ცოდვების ჩადენისგან იცავს და საკუთარი თავის გაკონტროლებაში ეხმარება. აბუ უმამემ ალლაჰის შუამავალს უთხრა: „ისეთი რამის გაკეთება მირჩიე, რომ ალლაჰმა, იმ საქმის გამო, დამაჯილდოვოს.“ შუამავალმა უპასუხა:

*„შენ მარხვას გირჩევ, რადგან მისი მსგავსი სხვა ძვირფასი ღვთისმსახურება არ არ სებობს!“<sup>229</sup>*

ალლაჰის მიერ შუამავლის მოსანონი ერთ-ერთი ყველაზე ხშირად შესრულებული ღვთისმსახურება მარხვა იყო. შუამავალი მარხვის მადლის შესახებ ბრძანებს:

*„ადამიანის გაკეთებული საქმე ყოველთვის ორმაგდება. გაკეთებული სიკეთე სულ ცოტა ათჯერ გაორმაგდება. ალლაჰი ბრძანებს: მარხვის დროს საქმე სხვაგვარადაა, იმიტომ, რომ ის მხოლოდ ჩემთვის კეთდება. მეც მარხულს იმდენ მადლს დავუწერ, რამდენიც*

227. იბნ აბუ შეიბე, 2, 220. იბნ ესირი, უსუდულ გაბე, 1, 29.

228. იბნ აბუ შეიბე, 2, 220.

229. ნესაი, სიაში, 43.





მსურს, რადგან ადამიანმა ჩემ გამო მრავალ სიამოვნებაზე ჭამაზე, სმაზე უარი თქვა.“ მარხული ადამიანისთვის ორი სიხარული არსებობს: ერთი — იფთრის დროს, მეორე კი — ალლაჰთან შეხვედრის წუთი. მარხული ადამიანის პირიდან ამოსული სუნი, ალლაჰის წინაშე ყველა სუნამოზე უფრო სასიამოვნოა.“<sup>230</sup>

შუამავალი ზაფხულის ცხელ და გრძელ დღეებსაც მეტწილად მარხული ატარებდა. ძალიან ხშირად ბრძოლის დროსაც მარხულობდა. ხანდახან ისეთი დაძაბული ბრძოლა იქნებოდა, რომ მარხვას ვერავინ ახერხებდა. მასთან ერთად მარხული, მხოლოდ ერთხელ, აბდულლაჰ იბნ რევაჰა დარჩა.<sup>231</sup> შუამავალი მარხვის შესახებ ამბობდა: „ის ადამიანის ცოდვებისგან დამცავი საქმეა.“<sup>232</sup>

მარხვა არის ღვთისმოშიშობა, რომელიც ღვთისმსახურებასთან გვაახლოებს. ადამიანი, ღვთისმოშიშობის საშუალებით, ჯოჯოხეთის ცეცხლისგან დაცული და სამოთხესთან დაახლოებული იქნება. ამის შესახებ შუამავალი ბრძანებს:

„ვინც ალლაჰის გულის მოგებისთვის მხოლოდ ერთ დღეს იმარხულებს, ალლაჰი მას ჯოჯოხეთის ცეცხლისგან სამოცდაათი წლის სავალი გ ზით დააშორებს.“<sup>233</sup>

მარხვის გამო მშვირად დარჩენილი მუსლიმი ადამიანი, ღარიბების მდგომარეობას უფრო კარგად იგრძნობს და მათ მიმართ შეცოდების გრძნობები უფრო გაუღვივდება. ასეთ გრძნობებთან, რა თქმა უნდა, ადამიანი ცარიელი კუჭით უფრო ახლოს დგას, ვიდრე მაძლრით. მარხვით, ადამიანში სულიერი გრძნობები გაიღვიძებს და უფრო მეტს დაფიქრდება. მარხვით სულიერად ამადლებული მევლანა ბრძანებს:

„დერვიშების ასკეტიზმი რისთვის არის საჭირო? იმისთვის, რომ სხეულზე მიყენებული წვალება და ტანჯვა სულიერ მდგომარეობას აუმჯობესებს. ამ გზის მიმდევარმა ადამიანმა სულის ხანგრძლივობა, უკვდავება რომ ვერ ნახოს, მაშინ მარხვითა და სხვა დამლელი ღვთისმსახურებით სხეულს ზედმეტად გადაღლის და დაავადმყოფებს?“<sup>234</sup>

230. მუსლიმი, სიამი, 164.

231. მუსლიმი, სიამი, 108-109.

232. ბუჰარი, სავმი, 2.

233. ბუჰარი, ჯიჰადი, 36.

234. მესნევი, ბეითი. 3349-3350.





მარხვით წარმატებული შედეგის მისაღწევად და ალლაჰის გამო შესასრულებლად, შუამავლის მიერ ნასწავლები წესებით უნდა ვიმოქმედოთ. შუამავალი მარხულ ადამიანის ცუდი სიტყვების ხმარებისგან თავის შეკავებას, ცუდი ქცევებისგან შორს ყოფნას და ლმობიერებას ურჩევს. ჰადისში იგი ბრძანებს:

*„ვინც ტყუილის თქმას და მისი საშუალებით საქმის გაკეთებას თავს არ დაანებებს, მაშინ ალლაჰს ასეთი ადამიანის მიერ საჭმელსა და სასმელზე უარის თქმა არაფრად სჭირდება.“<sup>235</sup>*

*„არც ერთმა თქვენგანმა მარხვის დროს ცუდი სიტყვა არ თქვას და არავის წაეჩხუბოს. თუ ვინმე შეურაცხყოფას მოგაყენებთ, მას უთხრით — „მე მარხული ვარ!“<sup>236</sup>*

შუამავალი მარხვის დროს ყოველთვის ზედმეტად თავშეკავებული და ზომიერი იყო, თავის თანამიმდევრებსაც იგივეს ურჩევდა. საკუთარი საქციელით აჩვენებდა ადამიანებს, თუ როგორ მოქცეულიყვნენ. შუამავალმა იფთორის (ხსნილება) გარეშე ერთი დღის მარხვის მეორეზე გადაბმა აკრძალა. ერთმა თანამიმდევარმა მას ჰკითხა:

— შუამავალო! კი მაგრამ, თქვენ ხომ ასე მარხულობთ?

მან უპასუხა:

*— ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ მე თქვენი მსგავსი არ ვარ. „მე მაჭმევინ და მასმევინ.“<sup>237</sup>*

ზომიერების დაუცველობის დროს, შეიძლება ადამიანი დაზარალებს და მასში გარკვეულმა პრობლემებმა იჩინოს თავი. ადამიანი დასუსტდეს, დაუძლურდეს და აუცილებლად შესასრულები საქმეც კი ველარ გააკეთოს. ღვთისმსახურების შესახებ ყველაზე დიდი დარდი გადაღლილობა და მობეზრებაა. თუ ადამიანს რაიმე მობეზრება, მას ველარასოდეს შეიყვარებს. ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: *„ყველაფერს თავისი მხნეობა გააჩნია, ყველა მხნეობას კი — მობეზრება.“ (თირმიზი, ყიამე, 21).* ალლაჰმა ადამიანის მდგომარეობა და შესაძლებლობა ყველაზე უკეთ იცის, ამიტომ ყოველ ღვთისმსახურებას, როგორც ექიმი ავადმყოფს წამალს გამოუწერს, თავისი ზომიერება განუსაზღვრა.

235. ბუჰარი, საგმი, 8.

236. ბუჰარი, საგმი, 9.

237. ბუჰარი, საგმი, 48.





ღვთისმსახურებასთან დაკავშირებით, ალლაჰის შუამავლის ერთ-ერთი ჰადისი ასეთია: ერთ დღეს შუამავალთან ბაჰილი მივიდა და ჰკითხა:

„— ალლაჰის შუამავალო, მე ვერ მიცანით? შუამავალმა უპასუხა:

— შენ ვინ ხარ, ვერ გიცანი.

— ერთი წლის წინ ვიყავი შენთან, ბაჰილი ვარ.

— შენ, ასე რამ შეგცვალა? მახსოვს, ადრე უფრო კარგად გამოიყურებოდი.

— როდესაც შენგან წავედი, დღემდე ყოველი დღე მარხვაში ვავატარე. ამის გამგონმა შუამავალმა უთხრა:

— შენი თავისთვის ტანჯვა მიგიყენებია! ამის შემდეგ რამაზნის თვე სრულად და სხვა თვეებში თითო დღე იმარხულე.

— რაოდენობა მომიმატეთ, რადგან მე მეტის გაკეთება შემიძლია.

— მაშინ თვეში ორი დღე იმარხულე!

— კიდევ მომიმატეთ.

— კარგი. ყოველ თვეში სამი დღე იყოს!

— ცოტა კიდევ მომიმატეთ.

— ჰარამის თვეებში (რეჯები, ზილყადე, ზილჰიჯჯე და მუჰარრემი) სამი დღე იმარხულე და შეწყვიტე, სამი დღე იმარხულე და შეწყვიტე, სამი დღე იმარხულე და შეწყვიტე! — უთხრა შუამავალმა და თან თავისი ნათქვამი ხელის თითებით აჩვენა.<sup>238</sup>

ენესის გადმოცემის მიხედვით, ალლაჰის შუამავალი არსებულ მდგომარეობის მიხედვით მოქმედებდა. ზოგიერთ თვეში ცოტა დღეს მარხულობდა. თანამიმდევრებს კი ეგონათ, იმ თვეში საერთოდ არ უნდა ემარხულა. ზოგიერთ თვეში კი იმდენ დღეს მარხულობდა, ეგონათ ეს თვე მთლიანად მარხვაში უნდა გაატაროსო.<sup>239</sup> ამასთან ერთად, შუამავალი რამდენიმე თვეს ერთად საერთოდ არ მარხულობდა. უმემუ სელემე გადმოგვცემს, რომ შუამავალი, შაბანი-სა და რამაზნის თვეების გარდა, ერთად ორ თვეს არასდროს მარხუ-

238. აბუ დავუდი, სავმი, 55.

239. ბუჰარი, სავმი, 53.





ლობდა.<sup>240</sup> ასე ყოველ წელიწადს არ აკეთებდა. ეს მხოლოდ ხანდახან ხდებოდა.

შუამავალი მარხული ადამიანისგან იფთხის (ხსნილების) თავის დროზე გაკეთებას მოითხოვდა:

*„იფთხის (ხსნილების) თავის დროზე გაკეთების დროს, მუსლიმანები სიკეთეს დაიმსახურებენ.“<sup>241</sup>* ერთ დღეს მესრუქმა აიშეს უთხრა:

— მუჰამმედ შუამავლის თანამიმდევრებიდან ორი ადამიანი სიკეთეს არასდროს ჩამორჩებიან. მაგრამ ერთ-ერთი მათგანი სალამოს ნამაზის ლოცვასა და იფთხის გაკეთებას ჩქარობს, მეორე კი, როგორც იფთხის (ხსნილებას), ისე სალამოს ლოცვას აგვიანებს. აიშემ ჰკითხა:

— ვინ არის ის, ვინც სალამოს ლოცვას ან იფთხის (ხსნილების) გაკეთებას დროულად ცდილობს და არ აგვიანებს?

— აბდულლაჰ იბნ მესუდი.

— ალლაჰის შუამავალიც ასე აკეთებდა. — უპასუხა აიშემ.<sup>242</sup>

### **ა. მარხვის დამატებითი სახეები, რომლებსაც შუამავალი მუჰამმედი ასრულებდა**

მუჰამმედ შუამავალი, რამაზნის თვის გარდა, დროდადრო ნაფილე მარხვას ასრულებდა. განსაკუთრებით ორშაბათსა და ხუთშაბათ დღეებში იყო მარხული. ამის მიზეზი მან ამგვარად ახსნა:

*„(ჩვენს მიერ) გაკეთებული საქმეები ალლაჰს ორშაბათსა და ხუთშაბათს წარედგინება. მე ჩემი საქმეების მისდამი წარდგენა მარხულ მდგომარეობაში მიჩვენია.“<sup>243</sup>*

აგრეთვე, ჰიჯრის წელიწადის განმავლობაში, ყოველი მთვარის თვის 13, 14, 15 რიცხვებში მარხვას დიდ ყურადღებას აქცევდა და თანამიმდევრებსაც იგივეს ურჩევდა. იბნ აბბასი ბრძანებს:

240. თირმიზი, სავმი, 37.

241. ბუჰარი, სავმი, 45.

242. მუსლიმი, სიამი, 49-50.

243. თირმიზი, სავმი, 44.





*„აღლაჰის შუამავალი ამ დღეებში მარხვას არც მოგზაურობის დროს წყვეტდა.“<sup>244</sup>*

შუამავალი შევვალის მთვარის პირველ ექვს დღესაც მარხულობდა. ჰადისში ვკითხულობთ:

*„რამაზნის მთვარის მთლიანად მარხვაში გამტარებელი ადამიანი თუ შევვალის თვეში ექვს დღეს იმარხულებს, აღლაჰი მას ერთი წლის მარხვაში ჩაუთვლის.“*

კიდევ ერთი — აშურის მარხვა არსებობს. აიშე ამასთან დაკავშირებით ბრძანებს: „სანამ რამაზნის თვე მუსლიმებისთვის ფარძი გახდებოდა, შუამავალი აშურის თვეში მარხულობდა; ხოლო როდესაც მარხვა ფარძი გახდა, ამის შემდეგ აშურის მთვარის 9-10 ან 10-11 დღეებში მარხვა გააგრძელა. რა თქმა უნდა, ეს სურვილის მიხედვითაა და ვისაც სურს ის იმარხულებს.“<sup>245</sup>

აღლაჰმა, მუსა (მოსე) შუამავალი ფარაონისგან სწორედ აშურის დღეს გადაარჩინა. მუსამ აშურის დღეს მარხვით აღლაჰს მადლობა გადაუხადა. ამის გამო, ამ დღეს მარხვა წესად დარჩა. აღლაჰის შუამავალი აშურის დღის მარხვის მადლის შესახებ ბრძანებს:

*„აღლაჰის იმედი მაქვს, რომ აშურის დღეს მარხული ადამიანი განვლილი წლის ცოდვებისგან გათავისუფლდება.“<sup>246</sup>*

აგრეთვე, არაფა დღესაც მარხვა შუამავლის რჩევებიდან ერთერთია.

იმ მარხვის შესრულების შემდეგ, რომელიც ადამიანისთვის ფარძია, ნაფილე მარხვის შესრულებაც საჭიროა, რადგან ესეც ერთერთი გზაა, რითაც ადამიანი აღლაჰს უახლოვდება.

## **ბ. განმარტობა (ითიქაფი)**

ეს სიტყვა ყურადღების ზედმეტ კონცენტრაციას, რაიმეზე დაჟინებით ყურებას ნიშნავს. ისლამის ტერმინოლოგიაში ეს სიტყვა ადამიანთან მიმართებაში გამოიყენება, რომელიც აღლაჰის კმაყოფილების მოპოვების მიზნით რამდენიმე დღეს მეჩეთში განმარტოვდება. განმარტოვება უმეტესად, რამაზნის მთვარეში მარხული

244. ნესაი, სავმი, 70.

245. მუსლიმი, სიამი, 115.

246. თირმიზი, სავმი, 48.





მდგომარეობით მეჩეთში კეთდება. განდეგილობა, დღის მარხვაში გატარება, ღამით კი მეჩეთში ღვთისმსახურებისათვის განმარტოება, პირდაპირი მნიშვნელობით, პირობის მიცემას ნიშნავს. აუცილებელი საჭიროების გარეშე, მეჩეთიდან გარეთ გამოუსვლელი განდეგილობა, ადრინდელ სარწმუნოებებშიც ღვთისმსახურებად ითვლებოდა.

ზოგჯერ ადამიანი განვლილი ცხოვრებისა და სხვადასხვა საქმეების გამო ალლაჰისგან დაშორებას იგრძნობს. ასეთ დროს მეჩეთში გარკვეული დროით დარჩენა და ამქვეყნიური საქმეების ჩამოცილება მისთვის სასარგებლო იქნება. ასეთი რამის განუწყვეტილად გაკეთება შეუძლებელია, მაგრამ მთლიანად უარიც არ ითქმის.

მეჩეთში განმარტოება — გონების მოკრების, ცუდი საქციელისგან თავშეკავებისა და ყადირის (რამაზნის 27-ე ღამე) ღამის ნახვის შესაძლებლობას იძლევა. ამის გამო, ალლაჰის შუამავალი რამაზნისთვის ბოლო ათ დღეს განდეგილად რჩებოდა. გარდაცვალების წელს, რამაზნის თვეში, ის ოც დღეს განდეგილად იყო.<sup>247</sup> ასეთი რამის გაკეთებაც ყოველი მუსლიმანი ადამიანისთვის სუნნეთია.

მარხვის გარეშე განდეგილობა, რომლის დროსაც აუცილებელია დიდ მეჩეთში შესვლა, შეუძლებელია. მეჩეთში განდეგილად ყოფნისას შესაძლებელია კარავის გაშლა და შიგ ცხოვრება. განმარტოების დროს, ქალებისთვის მეჩეთის მაგივრად, სახლში ღვთისმსახურებისთვის გამოყოფილ ადგილას ყოფნა უფრო მიზანშეწონილია.

### 3. მუჰამედ შუამავლის ჰაჯობა

*„თუკი ვინმეს ქააბას მონახულება ნილად ერგება, ე.ი. მას გადაეფინა ალლაჰის წყალობა, ვინაიდან თავისთან პატიჟებს იმას, ვინც ძალიან უყვარს.“*

ნაჰიფი სულეიმანი

ჰაჯობა — ალლაჰის ერთობისა და მისდამი მადლობის გადახდის დამამტკიცებელი ერთ-ერთი ძვირფასი ღვთისმსახურებაა,

247. ბუჰარი, ითიქაფი, 1, 17.

რომელიც მუსლიმებს ერთი და იმავე მიზნის გარშემო აერთიანებს. ისლამის დებულებები მორწმუნეებს სულიერად და ფიზიკურად აძლიერებს, ერთმანეთს აცნობს და გამოცდილებას აზიარებინებს. ჰაჯობის მიზანი — ალლაჰის რწმენის განმეტკიცება, იბრაჰიმ შუამავლის სუნნეთის შესრულება და ალლაჰის ნაბოძები სარჩო-საბადებლის გახსენებაა.

ჰაჯობა, ალლაჰის სახლის დაფასების ყველაზე კარგი ფორმაა. ქაბას მონახულება და მისი დაფასება - ალლაჰის დაფასებას ნიშნავს. ამ მიზეზით ჰაჯობაზე წასვლა შესაძლებლობის მქონე მუსლიმი ადამიანისთვის ალლაჰმა ფარძი გახადა. აიათში ის ბრძანებს:

وَلِلَّهِ عَلَى النَّاسِ حِجُّ الْبَيْتِ

مَنْ اسْتَطَاعَ إِلَيْهِ سَبِيلًا وَمَنْ كَفَرَ فَإِنَّ اللَّهَ غَنِيٌّ عَنِ الْعَالَمِينَ

„იქაა ცხადი სასწაულები, სადგომი იბრაჰიმის. და იქ ვინც შევა, დაცულია. ალლაჰი ავალდებულებს ადამიანს, ვისაც ძალა შესწევს, გაემგზავროს და მოინახულოს ეს სახლი. და ვინც უარყო, უეჭველად, ალლაჰი მდიდარია სამყაროებსა ზედა.“<sup>248</sup>

იბნ ათა, აიათში ნათქვამი სიტყვების: „ვისაც შესაძლებლობა აქვს“ — შესახებ, ასეთ განმარტებას იძლევა: „ჰაჯობის შესაძლებლობა ორი სახისაა: მათგან ერთი ფიზიკური გარემოებაა, მეორე — ქონებრივი. ფიზიკურად შემძლე ადამიანი გზას გაუდგეს და ქონება მას ნახავს. ფიზიკური მდგომარეობით სიყვარულის გამოხატვა შეიძლება. როდესაც სიყვარული იქნება, იქ მონდომებაც არსებობს; როდესაც მონდომება არსებობს, მაშინ გრძელი გზა შემოკლდება; ხოლო როცა მონდომება არ არის, მაშინ მოკლე გზაც გრძელდება. როდესაც გულში მონდომება ძლიერია და მისწრაფება არსებობს, მაშინ, გულთან ერთად, ფეხებიც სწრაფად მოძრაობს.

ისლამში, მათთვის, ვისაც ძალა არ შესწევს, ჰაჯობის გაკეთება-არგაკეთება ნებადართულია; ხოლო, ვისაც ძალა შესწევს — მათთვის აუცილებელი. შუამავალი ბრძანებს:

„ალლაჰის გზაზე ჯიჰადის, ჰაჯობისა და უმრეს გამკეთებელი ადამიანები მისი ელჩები არიან. იმიტომ, რომ მან ამ საქმეების გა-

248. სურა ალი იმრანი, აიათი 97.





კეთება ადამიანებს დაავალა და ისინი სწორედ მისი ბრძანების შემსრულებლები არიან. ამის საპასუხოდ ისინი ალლაჰისგან რასაც მოითხოვენ, იმას მიიღებენ.<sup>249</sup>

ალლაჰის შუამავალი ჰაჯობის გაკეთების მნიშვნელობას და მის მადლს ჰადისში ასე გადმოგვცემს:

*„ყოველი მუსლიმის ერთად, მარჯვნივ და მარცხნივ არსებული ყველა ქვა, ხე და მთა თექვსირს აკეთებს. ასეთი ურთიერთობა ჰაჯობის ბოლომდე გრძელდება.“<sup>250</sup>*

ასეთი ენთუზიაზმის სულიერი შეგრძნებისათვის, ყოველგვარი ცოდვებისგან გათავისუფლებისათვის ჰაჯობისკენ სწრაფვა შესაძლებლობის მქონე ყოველი მუსლიმანისათვის სავალდებულოა. როგორც ყველა სასიკეთო საქმისკენ მომწოდებელი შუამავალი, ჰაჯობისკენაც ასე მოგვინოდებს:

*„ვისაც ჰაჯობის გაკეთება სურს, იჩქაროს! შეიძლება ადამიანი ავად გახდეს ან კიდევ სხვა რამემ ხელი შეუშალოს.“<sup>251</sup>*

ჰაჯობა შორი მოგზაურობა და ძნელი საქმეა. ამასთან ერთად, მისთვის დიდი თავდადებაა საჭირო. ამიტომ მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰისთვის გაკეთებული ჰაჯობა, ადამიანს ყველა ცოდვებისგან გაათავისუფლებს. ამას შუამავალი ჰადისში გვიდასტურებს:

*„ვინც გზად არავის აწყენს, არ ჩაიდენს რაიმე ცოდვას და ალლაჰისთვის ჰაჯობას შეასრულებს, ის ისეთი უმანკო დაბრუნდება, როგორც მოველინა თავის დროზე ამ ქვეყანას.“<sup>252</sup>*

ალლაჰს უამრავი გზა აქვს გაჩენილი, რითაც ადამიანს ჩადენილი ცოდვებისგან გათავისუფლება შეუძლია. ვინც ამ მომენტს გამოიყენებს, მისთვის ალლაჰს მრავალი საჩუქარი აქვს გამზადებული. ამასთან ერთად, შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის ალლაჰის სახლის მონახულება და დროებით ამქვეყნიური საქმეებისგან შორს დადგომა განსაკუთრებული მოვალეობაა.

ყოველი ადამიანისთვის უბადლო მაგალითის მიმცემი შუამავალი, ჰაჯობის სიცოცხლეში ერთხელ გაკეთების აუცილებლობას

249. იბნ მაჯე, მენასიქი, 5.

250. თირმიზი, ჰაჯი, 14.

251. იბნ ჰანბელი, 1, 214.

252. ბუჰარი, ჰაჯი, 4.





ამცნობს მათ. თვითონაც მხოლოდ ის ერთხელ შეასრულა. ჰაჯობის დროს მუსლიმებს დაემშვიდობა და უთხრა: „ეს დასამშვიდობებელი ჰაჯობაა.“<sup>253</sup> შუამავალი ამ ჰაჯობას „ჰაჯჯეთულ ისლამის“ სახელით მოიხსენიებდა.<sup>254</sup>

მუჰამედ შუამავალმა გადანყვიტა ჰაჯობის გაკეთება და თავისი გადანყვეტილების შესახებ ყველა თანამიმდევარს აცნობა. მისი თანამიმდევრებიც მასთან ერთად ჰაჯობის გასაკეთებლად მოემზადნენ. ყველა ცდილობდა, რომ შუამავალთან ერთად წასულიყო ჰაჯობაზე და მის მსგავსად გაეკეთებინა ჰაჯობა. როდესაც ამ ამბავმა მედინას გარეთ გააღწია, ადამიანები მედინასკენ ჯგუფ-ჯგუფად მოედინებოდნენ. იმდენი ადამიანი შეიკრიბა, რომ ირგვლივ თვალის გადავლება შეუძლებელი გახდა. შუამავალმა ჰაჯობის გაკეთების შესახებ მოკლედ აუხსნა იქ მყოფ ადამიანებს და გზას გაუდგა. მასთან ერთად 114 000-ზე მეტი ადამიანი იმყოფებოდა. შუამავალმა ჰაჯობაზე ყურბნად დასაკლავად ასზე მეტი აქლემი წაიყვანა.

შუამავალი გზაში ადამიანებს ჰაჯობის შესახებ ესაუბრა. მან თანამიმდევრებს ჰაჯობის ვაჯიბები და სუნნეთები აუხსნა. ზულჰუ-ლეიფეში, აქიქის ველზე გასულმა, მუსლიმ ძმებს მიმართა:

*„ალლაჰის გამოგ ზავნილი ჯებრაილ ანგელოზი ამალამ ჩემთან მოვა და მეტყვის: ამ ადგილას ნამაზი ილოცე და თქვი: „ჰაჯობისა და უმრეს გასაკეთებლად მიზანი დავისახე!“<sup>255</sup>*

იქ შუამავალმა ორი მუხლი იჰრამის ნამაზი ილოცა, თექბირი თქვა და შემდეგ ალლაჰს შეევედრა:

*„დიდო ალლაჰო, ჩემი გაკეთებული ჰაჯობა სასიკეთო და მოსაწონი ჰქმენი!“<sup>256</sup>*

ზულჰულეიფეში იჰრამში შევიდა და თელბიეს კითხვა დაიწყო, შემდეგ კი ხალხს მიმართა:

*„თქვენგან ვინც ჰაჯობისა და უმრეს გასაკეთებლად მიზანი დავისახა, ისევე მოიქცეს, როგორც მე!“*

253. ბუჰარი, ჰაჯჯი, 132.

254. ჰეისემი, 3, 237.

255. ბუჰარი, ჰადი, 16.

256. იბნ მაცე, მენასიკი, 4.





ჰაჯები დადგენილ ადგილას იჰრამში შედიან და მექაში შესვლი-სათვის ემზადებიან. ჰაჯობისა და უმრეს გაკეთების დროს იჰრამ-ში შესვლა ისეთივეა, როგორც ნამაზის ლოცვის დროს თექბირის გაკეთება. იჰრამი — ჰაჯობის რიტუალის სულიერი შეგრძნებისა და ჰაჯობის ღიად გამოხატვის ფორმაა. ამასთან ერთად, ყოველგვარი სულიერი სურვილების, წეს-ჩვეულებების, ამქვეყნიური საქმეების-გან დროებით დაშორების, ალლაჰის მიმართ თავის დახრისა და პა-ტივისცემის გამოხატვის ფორმაა.

იჰრამში შესულ და თელბიეს მკითხავ შუამავალთან ჯებრაილ ანგელოზი მივიდა და უთხრა:

*„მუჰამედ, შენს თანამიმდევრებს თელბიეს კითხვის დროს ხმის ამალღება უბრძანე, რადგან ეს ჰაჯობის კანონებიდან ერთ-ერთია!“<sup>257</sup>*

სადაც გაჩერდებოდნენ, ალლაჰის შუამავალი იმამობას ასრუ-ლებდა და თანამიმდევრებს ნამაზს ალოცებდა. შემდეგ იმ ადგილე-ბში, სადაც შუამავალი შეჩერდა და ხალხს ნამაზი ალოცა, მეჩეთები გაკეთდა.<sup>258</sup>

შუამავალმა, როცა ალლაჰის სახლი ანუ ქააბა დაინახა, ხელები მაღლა ალაპყრო და ალლაჰს შეევედრა:

*„დიდო ალლაჰო, ამ სახლს ღირსება, ბრწყინვალეობა, სიღიადე და დიდსულოვნება მოუმატე! აგრეთვე ყველას, ვინც მასთან ჰაჯობისა და უმრას გასაკეთებლად მივა, ღირსება, ბრწყინვალეობა, სიღიადე და დიდსულოვნება მიეცი!“<sup>259</sup>*

შუამავალი ქააბას კარებთან აქლემიდან ჩამოქვეითდა. მან მო-სასხამის ერთი ბოლო მარჯვენა ილლიის ქვეშიდან მარცხენა მხარზე მოისროლა და მარჯვენა მხარის შიშველი მდგომარეობით „მესჯიდი ჰარემში“ შევიდა. ის პირდაპირ ჰაჯერულ ესვედის ქვასთან მივიდა, აკოცა, მოეფერა და ხელები სახეზე ჩამოისვა. ამ დროს მას თვალები ცრემლებით ავესო.

შემდეგ ზემოთ მოყვანილი სიტყვები წარმოთქვა და ჰაჯერულ ესვედის კუთხიდან შემოვლა დაიწყო.<sup>260</sup> შემოვლისას, პირველ სამ

257. იბნ მაჯე, მენასიქი, 16.

258. იბნ სადი, 2, 173.

259. იბნ სადი, 2, 173.

260. ჰეისემი, 3, 240.



წრეში უფრო სწრაფად დადიოდა. „რუქნი იემანისა“ და „ჰაჯერულ ესვედის“ პირდაპირ რომ მივიდა, შემდეგ აიათი წაიკითხა:

وَمِنْهُمْ مَنْ يَقُولُ رَبَّنَا آتِنَا فِي الدُّنْيَا  
حَسَنَةً وَفِي الْآخِرَةِ حَسَنَةً وَقِنَا عَذَابَ النَّارِ

„და იმათგან, ვინც ამბობს: ღმერთო ჩვენო! მოგვეცი ჩვენ სიკეთე ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც და იმქვეყნიურშიც, დაგვიფარე ჩვენ ცეცხლის სასჯელისგან“<sup>261</sup>

შუამავალმა შემოვლა რომ დაამთავრა, ჰაჯერულ ესვედს აკოცა, ხელებით შეეხო და შემდეგ სახეზე მოისვა. ამის შემდეგ ხალხის ნაკადი გაარღვია და „მაყამი იბრაჰიმთან“ მივიდა, სადაც ორი მუხლი ნამაზი ილოცა. შემდეგ დაბრუნდა, კიდევ ერთხელ მოეფერა ჰაჯერულ ესვედს და ომარს მიმართა:

„ომარ, შენ ძლიერი ადამიანი ხარ, ამიტომ ჰაჯერულ ესვედთან მიახლოებისას მხარით არავის უბიძგო, არც შენუხდე და არც სუსტი ადამიანები შეაწუხო. ხალხმრავლობის გამო მასთან მიახლოება რომ ვერ შეძლო, შორიდან მისი მოფერების ფორმით, ხელის მოძრაობა გააკეთე და თექბირის ძახილით გაიარე!“<sup>262</sup>

უთხრა რა ეს ომარს, მუჰამმედ შუამავალი ქააბას „ბენი მაჰზუმის“ კარებიდან გამოვიდა და საფას მთისკენ წავიდა. აქ მან შემდეგი აიათი წაიკითხა:

إِنَّ الصَّفَا وَالْمَرْوَةَ مِنْ شَعَائِرِ اللَّهِ

„უეჭველად, საფა და მერვე ალლაჰის დადგენილი ნიშანთაგანია;“<sup>263</sup> შემდეგ თქვა:

„მე ალლაჰის მიერ აიათში პირველად ნაბრძანების შესრულებას ვინყებ.“

მან საფასა და მერვეს შორის სიარულის ათვლა საფადან დაიწყო. ქააბას დანახვისას თექბირი წარმოთქვა. ამის შემდეგ სამჯერ თუ შვიდჯერ შემდეგი ვედრება გააკეთა:

261. სურა ბაყარა, აიათი 201.

262. ჰეისემი, 3, 241, იბნ ჰანბელი, 1, 28.

263. სურა ბაყარა, აიათი 158.





„ერთი ღმერთის გარდა სხვა ღმერთი არ არსებობს. მას თანასწორი და მენწყვილე არავინ ჰყავს. ეს ქვეყანა მას ეკუთვნის, ძალაუფლება მის ხელშია. მას შეუძლია გააცოცხლოს და მოკლას. იგი ყოველისშემძლეა. მისი მსგავსი სხვა არავინ არსებობს. ალლაჰმა სიტყვა შეასრულა, თავის მსახურს დაეხმარა, სამტროდ შეკრებილი მთელი ჯარი მარტოდმარტო გაანადგურა.“<sup>264</sup>

შემდეგ საფასა და მარვას შორის სიარული განაგრძო. ის ძალიან სწრაფად დადიოდა. სიარულში კი კითხულობდა:

„დიდო ალლაჰო, მაპატიე და მოიღვებო! ყველაზე ძლიერი და ყოველისშემძლე შენ ხარ!“<sup>265</sup>

ალლაჰის შუამავალმა, მარვას მთაზეც იგივე იკითხა, რაც საფას მთაზე. საფა — მარვას შორის შვიდჯერ მიმოსვლა და ათვლა მან მარვაში დაასრულა.

„ვისაც ყურბანი ჰყავს, იჰრამში დარჩეს, ვისაც — არა იჰრამიდან გამოვიდეს და ჰაჯობა უმრის სახით გაავრძელოს“ — ბრძანა შუამავალმა.<sup>266</sup> თვითონ, რადგან ყურბანი ჰყავდა, იჰრამში დარჩა.

ალლაჰის შუამავალი მექაში ოთხ დღეს დარჩა. მეხუთე დღეს, ქააბაზე შვიდჯერ შემოვლის შემდეგ, როცა მზე დასავლეთისკენ გადავიდა, აქლემზე შეჯდა და მინასკენ წავიდა. მინაში ჩასულმა ღამე „დარულ იმამეში“ გაატარა. ზილჰიჯჯეს მეცხრე დღეს მზის ამოსვლისთანავე არაფატის მთისკენ გასწია. ალლაჰის შუამავალი მინა-დან არაფატის მთასთან მისვლამდე თელბიეს კითხვას აგრძელებდა.

შუამავალმა არაფატის მთაზე ჩვენთვის ცნობილი დასამშვიდობებელი ქადაგება („ვედა ხუთზე“) წაიკითხა. თავის სიტყვებში მან აუხსნა ხალხს კანონები, რომელთა უცოდინრობაც პასუხისმგებლობისგან არავის ათავისუფლებს. მან მოუწოდა შეკრებილ მუსლიმებს, რაც მისგან მოისმინეს, მთელი კაცობრიობისთვის გადაეცათ.

ქადაგების შემდეგ, ბილალმა ეზანი იკითხა. შუამავალმა ჯამათით ჯერ — შუადღის, შემდეგ კი სამხრობის ნამაზის ფარდი ალოცა. ნამაზის შემდეგ, თავის აქლემზე შეჯდა და „ჯებელურ რაჰმანში“ მივიდა. აქლემი ყიბლეს მხარეს შეატრიალა და მზის ჩასვლამდე იქ გაჩერდა.

264. იბნ აბბასი, მენასიქი, 84.

265. ჰეისემი, 3, 248.

266. მუსლიმი, ჰაჯი, 147.





აღლაჰის შუამავალს ვაქვფეში ყოფნისას ერთ ხელში აქლემის აღვირი ეჭირა, მეორე — მაღლა აწეული ხელით კი აღლაჰს გრძელი ვედრება გაუკეთა. ამ ვედრების ერთი ნაწილი ასეთია:

„დიდო აღლაჰო, საფლავის ნვალებიდან, გულის მერყეობისა და საქმეების გაფუჭებისგან დასაცავად, შენ შეგეფარები! ქარის მოტანილი ტანჯვისგან, შენ შეგეფარები!

დიდო აღლაჰო! თვალებში, ყურებსა და გულში შუქი გამიჩინე! გული გამიხალვათე, საქმეები გამიადვილე, ჯანმრთელობა შემინარჩუნე და ყოველგვარი ნვალებისგან გამათავისუფლე! ღმერთო, სწორ გზაზე დამაყენე, წარსულის შეცდომები მაპატიე და მომავალში შეცდომებისგან დამიცავი!

ცისა და დედამიწის გამჩენო, ყველაფრის მაკონტროლებლო დიდო აღლაჰო! შენ მიმართ სხვადასხვა ენაზე ვედრების გამკეთებელი ადამიანების თხოვნა შეისმინე და იმ ადამიანებს, ვინც მომავალში მე დამივიწყებს, ჩემი თავი შეახსენე!

ღმერთო! შენ ჩემს სიტყვას ისმენ, ჩემს ადგილსამყოფელს ხედავ, ღიად თუ მალულად რაც მაქვს — ყველაფერი იცი; შენგან დახმარებასა და დაცვას ვითხოვ! მეშინია, ცოდვებს ვალიარებ, როგორც ერთი, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანი, შენგან რაიმეს ითხოვს, მეც ისე ვთხოვ! როგორც ერთი ცოდვიანი ადამიანი შენ რაღაცას გვედრება, მეც ისე გვედრები! როგორც მინაზე გაშოტილი შენი მონა-მსახური გვედრება, მეც ისე გვედრები! დიდო აღლაჰო, ვთხოვ, შეისმინო ჩემი ვედრება! იყავი ჩემ მიმართ მწყალობელი და შემბრალებელი! ო, ჩემო აღლაჰო! შენ ყველაზე საუკეთესო და გულუხვი ხარ!

ჩემი შეცდომები როგორი დიდიც არ უნდა იყოს, ის შენს პატიებასთან მაინც პატარა გამოჩნდება. მაპატიე, ღმერთო! შენ ხომ ყველაფერი შეგიძლია!

ღმერთო! შენ რომ მხოლოდ შენი დამფასებლების მიმართ სიკეთე გამოიჩინო, მაშინ ცოდვიანი ადამიანები ვის უნდა შეეფარონ?

მე ყოველ წუთში შენზე ვარ დამოკიდებული! შენ კი ჩემზე — არასდროს! შენ, როგორც გამჩენი, ჩემდამი მპატიებელი ხარ, ამ ადგილზე გაჩერებული, ჰაჯობის რიტუალის ყოველნაირი ნესების შემსრულებელი გვედრები, რომ შეისმინო ჩემი ვედრება და სურვილებშესრულებული დამაბრუნო უკან!





ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე, დიდო ალლაჰო! ერთად-ერთო ღმერთო! მხოლოდ შენ შეგიძლია, რომ ადამიანს დაეხმარო. მხოლოდ შენ შეგიძლია მუდამ სამართლიანი იყო. შენ გაგაჩნია მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ რამდენად მეტიც მოგთხოვონ, იმდენად მეტი მისცე! დიდო ალლაჰო, შენ ყველა სტუმრის კარგად მიმღები ხარ და ჩვენც სწორედ შენი სტუმარი ვართ. გვევდრები, სა-მოთხეში მიგვიღე და გაგვიმასპინძლდი!

დიდო ალლაჰო! ყველა ქარავანსა და მომთხოვნს — საჩუქარი, ყველა მომნახულელებს პატივისცემა უკეთდება, ყველა მადლის მსურველს მადლი ენერება, ჩვენც ყველა ერთად შევიკრიბეთ და შენს სახლში — „ბეითულ ჰარემში“ მოვედით, აქ გავჩერდით და შეგვევდრეთ. გთხოვთ, რომ ჩვენი ვედრება არ გაგვიცრუო და თხოვნა შეგვისრულო!“<sup>267</sup>

არაფატის მთაზე მყოფ ალლაჰის შუამავალთან ადამიანები მივიდნენ და ჰკითხეს:

„— შუამავალო, ჰაჯობა როგორია, რით შეიძლება ის დასრულდეს? შუამავალმა უპასუხა:

— ჰაჯობა არაფატია. ვინც მუზდელიფედან (არაფატსა და მინას შორის არსებული ადგილი) საღამოს წავა და დილის ლოცვამდე არაფატის მთაზე მივა, ის ჰაჯობაზე არ დაავციანებს. მინას დღეები სამია. ვინც იჩქარებს და იქ ორ დღეს დარჩება, ცოდვად არ ჩაეთვლება.“<sup>268</sup>

— როდესაც ალლაჰის მტერმა სატანამ გაიგო, რომ ალლაჰი ჩემს ყველა თანამიმდევარს პატიებას დაპირდა, მინა აიღო, სახეში შეიყარა და თქვა: „დასწყევლოს ჩემი თავი, გავნადგურდი, ყველა ჩემი შრომა წყალში ჩამეყარაო!“ — ამგვარად დაიწყო ღრიალი და მის დანახვაზე გამეცინა.“<sup>269</sup>

ალლაჰის შუამავალმა მინაში სატანაზე სასროლი ქვები მუზდელიფეში მოაგროვა. მზის ამოსვლამდე იქიდან წავიდა. მუესსირის ხეობაში ასულ თანამიმდევრებს ქვების მოგროვება დაავალა. აუხსნა და ხელითაც აჩვენა, თუ როგორ უნდა ესროლათ ქვები.

შუამავალი აქაბეს „ჯემრესთან“ მივიდა. სამივე ჯემრეთაგანი მინაშია. შუამავალმა ყურბნის დაკვლის ადგილად აქაბეს ჯემრე

267. იბნ ქესირი, ელ ბიდაიე, 5 – 166-168. 3 – 252. გაზალი, იჰია, 1 – 337-338.

268. იბნ მაჯე, მენასიქი, 57.

269. იბნ მაჯე, მენასიქი, 56.





მზის ჩასვლის შემდეგ გამოაცხადა. ეს ადგილი მინას ბოლოში მდებარეობს. პირველი და შუა ჯემრე კი — ჰაიფის მეჩეთის ზემოთ.

ჯემრეს ქვების სროლა ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. იმისათვის, რომ არ დაგვავინყდეს შვიდი თექვირი. შუამავალმა ქვები ცერა თითსა და საჩვენებელ თითს შორის დაიჭირა და ისე ისროლა. თანამიმდევრებმაც მიბაძეს მას. შუამავალმა ბრძანა:

*„ადამიანებო, ერთმანეთი არ მოკლათ! სატანაზე ქვების სროლის დროს, პატარ-პატარა ქვები (ცერა და საჩვენებელ) თითებს შორის დაიჭირეთ და ისე ისროლეთ!“<sup>270</sup>*

ქუდამე იბნ აბდულლაჰი შუამავლის მიერ ქვების სროლას შემდეგნაირად გადმოგვცემს:

*„აქლემზე ამხედრებული ალლაჰის შუამავალი ქვების სროლის დროს დავინახე. არც დარტყმა, არც ხელის კვრა და არც განწევგამონწევა არ ყოფილა!“<sup>271</sup>*

ალლაჰის შუამავალმა, ყოველი განვლილი წლის, ანუ 63 წლის სანაცვლოდ 63 აქლემი ყურბნად თავისი ხელით დაკლა. ამის შემდეგ დანა ალის გადასცა. დანარჩენი ყურბნები ალიმ დაკლა. შუამავალმა დაკლული ყოველი ყურბნიდან ერთი ნაწილის აღება უბრძანა. შემდეგ ხორცი შეწვეს და ყველამ ერთად მიირთვეს. ამის შემდეგ შუამავალმა ალის ტყავისა და დანარჩენი ხორცის ღარიბებზე დანაწილება დაავალა.

შუამავალმა ყურბნის დაკვლის შემდეგ დალაქი იხმო და თმა შეიჭრა. რაც შეეხება ქალებს, მათ ალლაჰის შუამავალმა თმის შეჭრა აუკრძალა:

*„ქალებს თმის შეჭრა ეკრძალებათ, მათ შეუძლიათ მხოლოდ თმის ბოლოების მოჭრა.“<sup>272</sup>*

შუამავალი ყურბან ბაირამის პირველ დღეს აქლემზე შეჯდა და ქააბას მოსანახულებლად, მის გარშემო შემოსავლელედ „ბეითულლაჰში“ წავიდა. მისი შემოვლის შემდეგ ალლაჰის შუამავალმა შუადღის ნამაზი ილოცა, მერე ზემზემის ჭასთან მივიდა და იმ საღამოს მინაში დაბრუნდა. თეშრიყის დღეები მინაში გაატარა. ღამლამობით ხშირად ქააბას მოსანახულებლად მიდიოდა.

270. იბნ ჰანბელი, 379.

271. იბნ მაჯე, მენასიქი, 66.

272. დარიმი, მენასიქი, 63.





შუამავალი ყურბან ბაირამის მეორე და მესამე დღეს, მზის ჩასვლამდე, ფეხით მინას მეჩეთიდან პირველ ჯემრესთან მივიდა. თემრიყ დღეების მესამე დღეს, ჯემრეს ქვების სროლის შემდეგ, ნაშუადღევს მინადან მუჰასებესაკენ წავიდა. როდესაც იქიდან მუსლიმები ირგვლივ მიმოიფანტნენ, შუამავალმა ხალხს მიმართა:

*„ვიდრე უკანასკნელი წერტილი — ბეთუღლაჰი არ იქნება, მანამ არავინ არსად წავიდეს!“<sup>273</sup>*

ზილჰიჯჯეს მეთოთხმეტე დღეს, დილის ლოცვამდე ბეთუღლაჰზე შემოვლის ბრძანება გასცა. თვითონაც წავიდა და ბეთუღლაჰს შემოუარა.

შემდეგ ერთი ადამიანი მივიდა შუამავალთან და მექაში დარჩენის შესახებ ჰკითხა. შუამავალმა ბრძანა:

*„მექა - დარჩენის ადგილი არ არის. როდესაც გარედან მოსული ხალხი ჰაჯობის რიტუალებს მორჩება, სახლში უნდა წავიდეს, მათთვის მექაში დარჩენის ვადა სამი დღეა!“<sup>274</sup>*

ალლაჰის შუამავალი მესჯიდი ჰარემის მიმართ უდიდესი პატივისცემას გამოხატავდა. როდესაც რაიმე დასჭირდებოდა ან მოშვიდებოდა, ის სადღაც შორს წავიდოდა. მაგრამ მოსაწყენი რომ არ ყოფილიყო და უპატივცემულობაში არ ჩათვლოდა, ის მალევე უკან ბრუნდებოდა.

შუამავალი და მუსლიმები, დასამშვიდობებელი შემოვლის გაკეთების შემდეგ, ყველანი ერთად მედინას გზას გაუდგნენ.<sup>275</sup>

ჰაჯობა — ალლაჰის, განკითხვის დღისა და წინა შუამავლების გახსენების ერთ-ერთი ღვთისმსახურებაა. ჰაჯობის დროს შესასრულებელ ყოველ პროცედურას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ისლამის სწავლულები, ჰაჯობას ქვეყნის დასასრულსა და განკითხვის დღეს ადარებენ:

*„ჰაჯობა მორწმუნეებს ამქვეყნის დასასრულს გაახსენებს. როცა ადამიანი თავის სახლს, ოჯახს, ქვეყანას ტოვებს და ძალიან შორს ჰაჯობაზე მიდის, გზად უამრავ დაბრკოლებას ხვდება. რასაკვირველია მორწმუნე გზად თავის სიცოცხლესაც საფრთხეს უქმნის. ლებბეიქის ხმები ადამიანს ქვეყნის დასრულებას გაახსენებს, ადამიანს, არაფატის მთაზე სირბილი კი — განკითხვის მოედანზე*

273. დარიმი, მენასიქი, 85.

274. იბნ ჰამბელი, 4, 339.

275. ბუჰარი, ჰაჯი, 21, 70, 128. მუსლიმი, ჰაჯი, 147. მაჯე, მენასიქი, 84.





სირბილს. ბეითულლაჰზე შემოვლა და სიარული ალლაჰის ჩრდილქვეშ ადგილის ძებნას ჰგავს. ჰაჯერულ ესვედზე კოცნა — ალლაჰის კანონების შესრულებას ნიშნავს, დასამშვიდობებელი შემოვლა კი — განკითხვის მოედნიდან მუდმივი საცხოვრებლის მისამართით გამგზავრებას. ზემზემის წყლის დაღევა — მუჰამედის თანამიმდევრების მიერ სამოთხეში ქვესერის წყლის დაღევას გამოხატავს, ყურბნის დაკვლა კი — სამოთხესა და ჯოჯოხეთს შორის კავშირის განყვეტას.“

შუამავალმა, ჰაჯობასთან ერთად, უმრეც გააკეთა. მან თავის სიცოცხლეში უმრე ოთხჯერ გააკეთა. უმრე ფარდი არ არის, სუნნეთია, მაგრამ ამის მიუხედავად, შუამავალი მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. უმრეს უდიდესი მნიშვნელობის შესახებ მან შემდეგნაირად ბრძანა:

*„ჰაჯობა და უმრე ერთიმეორის მიყოლებით გააკეთეთ! იმიტომ, რომ ასე ყოველგვარი ცოდვებისგან გათავისუფლდებით.“<sup>276</sup>*

*„ერთხელ გაკეთებული უმრე ცოდვების გაკეთებისგან მომავალ უმრემდე დაგიცავს. ჰაჯობის პასუხად კი ალლაჰი სამოთხეს გინყალობებს.“<sup>277</sup>*

რამაზნის თვეში გაკეთებულ უმრეს შესახებ შუამავალი ბრძანებს:

*„რამაზნის თვეში გაკეთებული უმრე ჰაჯობაში ჩაგეთვლებათ, ან ჩემთან ერთად გაკეთებული ჰაჯობის ადგილს დაიჭერს!“<sup>278</sup>*

იბნ არაბი, ნანარმოებში „ელ ფეთუჰათულ-მექქიე“, სადაც ადგილი უჭირავს შეიხ შიბლი რაჰმეთულლაჰის მოსაზრებებს, ჰაჯობის სულიერ სიღრმეს შემდეგნაირად გამოხატავს:

„შიბლი საკუთარ თავს ეკითხება: ჰაჯობაზე წასვლა განიზრახე და იჰრამით შეიმოსე?

საკუთარ თავს თვითონვე პასუხობს: დიახ, შევედი!

— სიცოცხლის განმავლობაში, ამ ჰაჯობის განზრახვის გარდა, სხვა განზრახვები გააუქმე?

— არა.

276. იბნ მაჯე, მენასიქი, 3.

277. ბუჰარი, უმრე, 1.

278. ბუჰარი, უმრე, 4.





— მაშინ ჰაჯობის გასაკეთებლად განზრახვა არ მიგიღია. შემდეგ, იჰრამისთვის ტანსაცმელი გაიხადე?

— დიახ, გავიხადე.

— როგორც ტანსაცმელი გამოიცვალე, გულიც ამქვეყნიური საქმეებიდან ისე გამოიცვალე?

— არა.

— მაშინ იჰრამში არ შესულხარ. გასუფთავდი?

— დიახ.

— შენში არსებული სიბინძურე ამ გასუფთავებით გაინმინდა?

— არა.

— მაშინ არ გასუფთავებულხარ. თელბიე იკითხე?

— დიახ.

— შენ მიერ ნაკითხი თელბიეს მსგავსი პასუხი თუ მიიღე?

— არა.

— მაშინ თელბიე არ გაგიკეთებია. ჰარემში შეხვედი?

— დიახ.

— ჰარემში შესვლისას ჰარამ საქმეებზე თავის დანებებისგან დარწმუნებული იყავი?

— არა.

— ამის გამო, ჰარემში არ შესულხარ. შემდეგ მექას მიუახლოვდი?

— დიახ.

— როცა მექას მიუახლოვდი, ალლაჰისგან რაიმე იგრძენი?

— არა.

— მაშინ ესეც არ გამოვიდა. მესჯიდი ჰარემში შეხვედი?

— დიახ, შევედი.

— ალლაჰის ცოდნის მიუხედავად, მასთან მიახლოება მოახერხე?

— არა.

— მაშინ მესჯიდი ჰარემში არ შესულხარ. ქააბა დაინახე?

— დიახ, დავინახე.

— შენი სურვილი და გაკეთებული განზრახვა შეამჩნიე?





— არა.

— მაშინ ქაბა არ დაგინახავს. შვიდჯერ რემი გააკეთე?

— დიახ.

— ამქვეყნიური ყველაფერი დაივიწყე და ალლაჰს მადლობა გადაუხადე?

— არა.

— მაშინ რემი არ გაგიკეთებია. ჰაჯერულ ესვედს აკოცე?

— დიახ.

— (ამ პასუხის გაცემის დროს შეეყოყმანდა) თავი ხელში აიყვანე, შენ რას ამბობ, ჰაჯერულ ესვედზე მომფერებელი ალლაჰსაც მოეფერება. ალლაჰზე მომფერებელი კი „დაირვ-ი ემნუში“ შევა. შენ ასეთი რამ გააკეთე?

— არა.

— მაშინ არ მოფერებხარ! შემდეგ ალლაჰის წინაშე ვაქფეში გაჩერდი და ორი მუხლი ნამაზი ილოცე?

— დიახ.

— ალლაჰის ადგილის შესახებ რაიმე მიხვდი?

— არა.

— მაშინ არც ვაქფი გაგიკეთებია და არც ნამაზი გილოცავს! საფაზე ახვედი?

— დიახ.

— რა გააკეთე?

— შვიდჯერ თექბირი ავიღე, ჰაჯობა გავიხსენე და ალლაჰს ჩემდამი კმაყოფილება ვთხოვე.

— ანგელოზების მსგავსად, თექბირი აიღე და იქ ყოფნის დროს მისი მნიშვნელობა გაიგე?

— არა.

— საფადან ჩამოხვედი?

— დიახ.

— შენი სულიერი ავადმყოფობები მთლიანად განიკურნენ?

— არა.





— მაშინ საფაზე არც ასულხარ და არც ჩამოსულხარ! შემდეგ ირბინე?

— დიახ.

— სულიერი მოთხოვნისგან გათავისუფლდი და ალლაჰს მიენდე?

— არა.

— მაშინ არ გირბენია! მერე მარვას შეუერთდი?

— დიახ.

— ამით შენი მდგომარეობა შეიცვალა, რაიმე იგრძენი?

— არა.

— მაშინ მარვაში არ ყოფილხარ! მინაზე ახვედი?

— დიახ.

— გაკეთებული ცოდვების გამო, ალლაჰს პატიება სთხოვე?

— არა.

— მაშინ მინაზე არ ასულხარ! „მესჯიდულ ჰაიფეში“ შეხვედი?

— დიახ.

— შესვლისა და გამოსვლისას ალლაჰის შეგეშინდა? ასეთი შიში სხვაგან როდესმე იგრძენი?

— არა.

— აქაც არაფერი გაგიკეთებია! არაფატზე ახვედი, ვაქფეში გაჩერდი?

— დიახ.

— თუ იგრძენი გაჩენის დრო, ახლანდელი მდგომარეობა და ხვალინდელი მომავალი?

— არა.

— მაშინ არაფატის საქმეც ვერ გაგიკეთებია! მუზდელიფეში ჩამოხვედი, „მეშარილ-ჰარამი“ დაინახე?

— დიახ.

— თავისთავისა და ამქვეყნის დავინწყება თუ მოახერხე და ერთი ნუთით ალლაჰს ღვთისმსახურება თუ გაუკეთე?

— არა.

— მაშინ არაფერი გაგიკეთებია. შემდეგ ჯემრე ისროლე?





— დიახ.

— ამ სროლით სანადელს მიაღწიე?

— არა.

— მაშინ ჯემრე არ გისროლია. შემდეგ თმა შეიჭარი?

— დიახ.

— ამქვეყნისთვის სწრაფვა თმას გააყოლე თუ არა?

— არა.

— ესეც ვერ შეასრულე. შემდეგ მოსანახულებელი შემოვლა გააკეთე?

— დიახ.

— ამ შემოვლის დროს, რაიმე სინამდვილე და სასწაული აღმოაჩინე, რაიმე მიიღე? იმიტომ, რომ შუამავალი ბრძანებს:

*„ჰაჯისა და უმრეს გამკეთებლები, ალლაჰის მნახველები არიან. მნახველებს კი რაღაც პატივისცემა სჭირდებათ“.*

— არა.

— მაშინ არ მოგინახულებია! შემდეგ იჰრამიდან გამოხვედი, ჰალალი საქმეების გაკეთება დაიწყე?

— დიახ.

— ამის გამო, ჰალალიდან ჭამის განზრახვა გააკეთე?

— არა.

— მაშინ ჰალალი საქმის კეთება არ გადაგინწყვეტია! შემდეგ დაემშვიდობე?

— დიახ.

— შენი სული მის მოთხოვნილებებს დაემშვიდობა?

— არა.

— მაშინ დამშვიდობება არ გაგიკეთებია! ხელმეორედ უნდა შეასრულო ჰაჯობა!

შეიხი, ამ საუბრის გადმოცემის შემდეგ, ამბობს: „ამის შემდეგ ჰაჯობა როგორ უნდა შესრულდეს გაიგეთ და იმის მიხედვით შეასრულეთ!“

ჰაჯობისა და უმრეს ერთიმეორეზე მიყოლებით შესრულება ძალიან კარგი საქმეა. ამასთან ერთად, რამდენსაც შეძლებთ, იმდენი უმრე გააკეთეთ! ამ ყველაფრის გასაკეთებლად კი უბადლო მაგა-





ლითს — მუჰამედ შუამავალს მიბაძეთ და ყველაფერი ისე შეასრულეთ, როგორც ეს თვითონ გააკეთა.

#### 4. მუჰამედ შუამავლის ქველმოქმედება

„თქვი: „ჭეშმარიტად, ჩემი ღმერთი უზრდის ან უმცირებს სარჩოს მის მონა — მსახურებისგან იმას, ვისაც მოისურვებს. რასაც სასიკეთოდ გაიღებთ, ღმერთი მის ნაცვლად სხვას გიბოძებთ. აგინაზღაურებს ყველაფერს. ის სარჩოს მბოძებელთაგან საუკეთესოა.“

სურა სეიბე, აიათი 39

იმისათვის, რათა დადგინდეს საზოგადოებაში სოციალური ნონასწორობა, მოიშალოს ზღვარი მდიდრებსა და ღარიბებს შორის, აუცილებელია ხალხს ჰქონდეს მისწრაფება, საქველმოქმედო საქმიანობისკენ. რა თქმა უნდა, ადამიანებს შორის არიან მდიდრებიც და ღარიბებიც. ზოგი ცხოვრობს უკიდურეს გაჭირვებაში. შეიძლებისდაგვარად ადამიანებმა საზოგადოებაში უნდა მოძებნონ გაჭირვებული ხალხი და დაეხმარონ მათ.

ალლაჰმა ადამიანებს სარჩოს ნახვისა და რჩენის გზები ძალიან გაუმარტივა. შუამავალმა ჰადისში ადამიანებს უმახარობლა: „თუკი ოჯახის ქონებიდან ან ხეზე მოსხმული ხილიდან, ვინმე მოიპარავს ან შეჭამს, ეს მის მეპატრონეს სადაყად (მინყალება) ჩაეთვლება.<sup>279</sup>

ალლაჰის შუამავალმა თავისი ცხოვრებით, ამ საკითხთან დაკავშირებით, მშვენიერი მაგალითი გვიჩვენა. მისმა თანამიმდევრებმა კი არაჩვეულებრივად საუკეთესო ფორმით გადმოგვცეს ყოველივე. შუამავალი რასაც ნახავდა, ყოველთვის სხვას აძლევდა. მისი ცხოვრება ასეთი პრინციპით იყო აგებული. მაგრამ მიცემულ ქონებას ყოველთვის თავისთვის ითვლიდა, რადგან ის დარწმუნებული იყო, რომ ალლაჰი მის მაგივრად აუცილებლად იმქვეყნად მისცემდა. ამასთან ერთად, მას ისე ძლიერ უხაროდა სხვაზე დახმარება და რაი-

279. მუსლიმი, მუსაკათი, 7.



მეს მიცემა, რომ ამლებზე გაცილებით დიდ სიხარულს თვითონ განიცდიდა.

შუამავალი ამქვეყნიურ ცხოვრებას, იმქვეყნისთვის მოსამზადებელ სამუშაოდ მიიჩნევდა. ის დარწმუნებული იყო, რომ ამქვეყანაზე გაკეთებული ყველა სიკეთის სანაცვლოს, იმქვეყნად ყველა მიიღებდა. ამიტომ ალლაჰის მიერ მიცემული საშუალებების წყალობით, ის ცდილობდა იმქვეყნისთვის რაც შეიძლებოდა მეტი დაეგროვებინა.

აბუ ზერრის მონათხრობი, მუჰამედ შუამავლის მატერიალური სიმდიდრისადმი დამოკიდებულების და ქველმოქმედების ნათელი დასტურია:

„შუამავლის ერთად მედინაში ვიყავი. სიარულის დროს უჰუდის მთის წინ აღმოვჩნდი. შუამავალმა მითხრა:

— აბუ ზერრ!

— ბრძანე, შუამავალო. — ვუპასუხე მე.

— უჰუდის მთისოდენა ოქრო რომ მქონდეს, მე არ გამახარებს. ვალის მოხდის გარდა, ერთ დინარსაც კი სამ დღეზე მეტს არ შევინახავ. ყველაფერს გაჭირვებულებს დავურიგებო! — თქვა და გზა განაგრძო.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ ბრძანა:

„ვისაც ამქვეყნად დიდი შესაძლებლობა აქვთ, მათ იმქვეყნად ცოტა მაღლი ექნებათ. მხოლოდ მათი გამოკლებით, ვინც გაჭირვებულებს ხშირად ეხმარება. მაგრამ ასეთებიც ძალიან ცოტა არიან.“<sup>280</sup>

შუამავალს ბრძოლებიდან მნიშვნელოვანი რაოდენობის უძრავ-მოდრავი ქონება რჩებოდა. მაგრამ ის ამ ყველაფერს ხალხს, ქვეყანასა და გაჭირვებულებს ახმარდა.<sup>281</sup> შუამავლის მიერ უშიშრად ამოდენა წყალობების გაღება ალლაჰის მისდამი დიდი ნდობის გამოხატულება იყო. შუამავალი თავის ჰადისში ალლაჰის სიტყვებს ხშირად იმეორებდა:

„შენ სხვა გადაარჩინე, სხვას მიეცი და მე შენ მოგცემ! ალლაჰი ძალიან მდიდარია! ადამიანების დახარჯული, ალლაჰის ქონებას ვერაფერს დააკლებს. ის ძალიან გულუხვია. წარმოიდგინეთ, დედამი-

280. მუსლიმი, ზეჰათი, 32. ბუჰარი, ისტიკრაზი, 3.

281. იბნ სადი, 1. 501-503.



ნის გაჩენიდან მოყოლებული, ალლაჰს რამდენი აქვს გაცემული და ამით მას არაფერი დაჰკლებია.“<sup>282</sup>

ამ ჰადისის მეშვეობით, შუამავალმა ადამიანებს სხვაზე დახმარებისკენ მოუწოდა, არ შეშინებოდათ, რადგან ამით არც არაფერს დაკარგავდნენ და არც არაფერი მოაკლდებოდათ.

ამქვეყნიური ქონება შუამავალს არასდროს ჰყვარებია და სხვაზე მიცემასა და დახმარებაშიც ყველაზე ხელგაშლილი იყო. ენესი ბრძანებს:

„ალლაჰის შუამავალი ყველაფერს მისცემდა ისლამის გამო, რასაც მისგან მოითხოვდნენ. ერთხელ მასთან მისულ ადამიანს ცხვრის ფარა აჩუქა, თავის ხალხთან დაბრუნებულმა ცხვრის პატრონმა ხალხს მიმართა:

— ხალხო, გაიქეციეთ ისლამი მიიღეთ იმიტომ, რომ მუჰამმედი ძალიან დიდ საჩუქრებს არიგებს!

ძალიან ბევრი ადამიანი მხოლოდ ამქვეყნიური ქონების გამო ღებულობდა ისლამს, მაგრამ შემდეგ, როდესაც გაიგებდა, თუ როგორი რწმენა იყო იგი, ამქვეყნიური ქონება მისთვის აღარაფერს ნიშნავდა.“<sup>283</sup>

შუამავლის შესახებ კიდევ ერთი ასეთი მაგალითია:

მედინელმა მუსლიმებმა შუამავლისგან რაღაც მოითხოვეს. მან მისცა. შემდეგ კიდევ მოითხოვეს, კიდევ მისცა. შუამავალმა მანამ აძლია, ვიდრე სრულიად არ გამოეღია. აღარაფერი რომ აღარ დარჩა, მათ მიმართა:

„კიდევ რომ რამე მექონდეს, აუცილებლად მოგცემდი. ვინც მათხოვრობას მოერიდება და პატიოსნად მოიქცევა, ალლაჰი მას პატიოსნებას მოუმატებს. ვისაც სურვილი ექნება, რომ მაძლარი თვალი ჰქონდეს, ალლაჰი მას სხვაზე დამოკიდებულს არ დატოვებს. ვინც მეტ მოთმინებას გამოიჩინებს, ალლაჰი მას უფრო მეტ ნებისყოფას მისცემს. მოთმინებაზე ძვირფასი ალლაჰს არავისთვის არაფერი მიუცია.“<sup>284</sup>

282. ბუჰარი, თევჰიდი, 22.

283. მუსლიმი, ფეჰაილი, 57-58.

284. ბუჰარი, ზეჰათი, 50, მუსლიმი, ზეჰათი, 124.





არიან გაჭირვებულები, რომლებიც თავიანთ გასაჭირს მაღავენი და არავისგან არაფერს ითხოვენ, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც დაჟინებით ითხოვენ დახმარებას. ამიტომ არც ერთი კატეგორიის ადამიანები არ უნდა ვაწყინოთ ჩვენი მოქმედებით. ისე უნდა მოვიქცეთ მათ წინაშე, რომ ისინი ჩვენი კმაყოფილი დარჩნენ. „მე ძუნწი არ ვარ“<sup>285</sup> — ბრძანებს შუამავალი და აღნიშნავს, რომ ის ხელგაშლილი ადამიანია. მას არასდროს ჰქონდა იმის სურვილი, მასთან მისული გაჭირვებული ადამიანი ხელცარიელი წასულიყო. რაც გააჩნდა, აუცილებლად მისცემდა; თუ არაფერი ჰქონდა, მაშინ მას ტკბილ სიტყვას ეტყოდა და გულს არასდროს ატკენდა. ალლაჰი აიათში ადამიანისგან სწორედ ამგვარ მოქცევას მოითხოვს:

**„და თუ სახის შექცევა მოგინევენ მათგან, მაშინ, შენი ღმერთიდან წყალობის მოლოდინის იმედით, ტკბილი სიტყვა მაინც უთხარი!“<sup>286</sup>**

შუამავალ მუჰამმედის ეს თვისება რა ლამაზად გადმოგვცა იმამმა ბუსირიმ თავის „ყასიდეში.“

ჩვენი შუამავალი მუჰამმედი ყოველთვის სიკეთისკენ მოგვიწოდებს და ბოროტებას გმობს, მაგრამ მის გარდა ასე ტკბილად არავის შეეძლო წარმოეთქვა სიტყვები „დიახ“ და „არა.“

### **ა. მუჰამმედ შუამავლის აჩქარებულობა სასიკეთო საქმეების კეთებაში**

ალლაჰის შუამავალი დაიკმაყოფილებდა რა თავის უპირველეს მოთხოვნილებებს, არ დააგროვებდა არაფერს და დარჩენილ ქონებას ხალხს ურიგებდა. ის ყოველთვის ცდილობდა იმქვეყნის სიმდიდრისათვის საჭიროზე მეტი ქონება გაჭირვებულებისთვის ამქვეყნად მიეცა. ის ბრძანებს:

*„ადამიანო, საჭიროზე მეტი ქონების გაჭირვებულებზე მიცემა შენთვის უფრო სასიკეთოა. თუ არ მისცემ და შეინახავ, ეს შენთვის უფრო ცუდი იქნება. როდესაც მხოლოდ შენთვის საჭირო ქონება გაგაჩნია, ამით ალლაჰის წინაშე პასუხისმგებლობას მოიხსნი. ზედმეტი ქონების სხვაზე დახმარებით გახარჯვა დაინწყე! მიმცემი ხელი ამლებ ხელზე ყოველთვის ძვირფასია.“<sup>287</sup>*

285. მუსლიმი, ზეჟათი, 127.

286. სურა ისრა, აიათი 28.

287. მუსლიმი, ზეჟათი, 97.





ამ ჰადისში შუამავალი ადამიანებს ზედმეტი ქონებიდან გაჭირვებულებზე დახმარებას ურჩევს და აღნიშნავს, რომ ეს საქმე იმქვეყნისთვის ყველაზე მომგებიანია. ერთი არაბი ისტორიკოსი ადამიანებს ამ თემასთან დაკავშირებით ასე მიმართავს:

*„დიდი სიმდიდრის მქონე ადამიანებო, ვისაც ამქვეყნად ქონება გაგაჩნიათ, გაჭირვებულებს დაურიგეთ და შეძლებისდაგვარად დაეხმარეთ. ეს ქვეყანა სასტიკია, დრო კი — ცვალებადი; ძალაუფლება სიზმარია, წარმატება კი — ზაფხულის ღრუბლის მსგავსი. მე ხშირად წინასწარ ვამზადებდი იმას, რაც ხვალ უნდა გამეცა.“<sup>288</sup>*

შუამავალი სასიკეთო საქმეების დაუყოვნებლივ კეთებასაც დიდი გულისყურით ეკიდებოდა. ისლამის დებულებები მან პირველმა გაატარა პრაქტიკულ ცხოვრებაში. ის ყოველთვის ჩქარობდა ალლაჰის სასიკეთო საქმის კეთებას. ერთ-ერთ ასეთ მაგალითს უქუბი იბნ ჰარისი გადმოგვცემს:

„ერთხელ, საყვარელი შუამავლის ერთად სამხრობის ნამაზი ვილოცე. ნამაზის დასრულების შემდეგ, შუამავალი სწრაფად ფეხზე წამოხტა, მლოცავი ადამიანების რიგები აჩქარებით გაიარა და თავისი ცოლის ოთახში შევიდა. მისი ასეთი საქციელის გამო ხალხი ძალიან აღელდა. შუამავალი ხალხთან მალე დაბრუნდა. მან იცოდა, რომ მისი საქციელის გამო ხალხი აღელვებული იყო და მის პასუხს ელოდებოდა. შუამავალმა ხალხს მიმართა:

*„გამახსენდა, რომ ოთახში ცოტაოდენი ოქრო მქონდა. რომ არ დამეგვიანებინა სიკეთის გაკეთება, ოთახში შევედი და მისი სასწრაფოდ გაჭირვებულებზე დარიგება ვუბრძანე.“<sup>289</sup>*

ისეთ ადგილას, სადაც გაჭირვებულები მრავლად არიან, სხვაზე დახმარების ფასი უფრო მნიშვნელოვანია. არავითარი გამართლება არ აქვს ზნეობრივ სიყრუეს, თუკი მუსლიმი ხედავს სხვას გაჭირვებასა და უბედურებაში. ამიტომ შუამავალი გაჭირვებულებს თავისთან იხმობდა და დახმარებას უწევდა. გაჭირვებული მას ყველა ადამიანი ეცოდებოდა და ჩქარობდა მათთვის დახმარება აღმოეჩინა. ჯერ იბნ აბდულლაჰი გადმოგვცემს:

„ერთ დღეს ალლაჰის შუამავალთან ერთად ვიყავით. ამ დროს მუდარის ტომიდან ადამიანთა ერთი ჯგუფი მოვიდა. ისინი ძალიან

288. მაქამათი, გვ. 188.

289. ბუჰარი, ეზანი, 158.



ღარიბები იყვნენ და ქუჩებში დაგლეჯილ-დაფლეთილი ტანსაცმლით დადიოდნენ. ერთი სიტყვით, ნახევრად შიშვლები იყვნენ. ადამიანების ასეთი მდგომარეობა, როგორც კი დაინახა, შუამავალს სახეზე ფერი ეცვალა. ის სასწრაფოდ სახლში შევიდა. გამოვიდა თუ არა ბილალს ეზნის კითხვა უბრძანა. ბილალმა ეზანი, შემგეგ კი, მერე ყამმეთი წაიკითხა. შუამავალმა ნამაზი გვალოცა და ყურანიდან შემდეგი აიათები წაიკითხა:

يَا أَيُّهَا النَّاسُ اتَّقُوا رَبَّكُمُ الَّذِي خَلَقَكُمْ مِنْ نَفْسٍ وَاحِدَةٍ وَخَلَقَ مِنْهَا  
 زَوْجَهَا وَبَثَّ مِنْهُمَا رِجَالًا كَثِيرًا وَنِسَاءً وَاتَّقُوا اللَّهَ الَّذِي تَسَاءَلُونَ  
 بِهِ وَالْأَرْحَامَ إِنَّ اللَّهَ كَانَ عَلَيْكُمْ رَقِيبًا

„ჰეი, ადამიანნო! გეშინოდეთ თქვენი ღმერთის, რომელმაც გააგჩინათ თქვენ ერთი სულისგან, და გააჩინა მისგან მენწყვილე (მეფულლე) მისი, ხოლო მათ ორისგან გაამრავლა უამრავი კაცი და ქალი. გეშინოდეთ ალლაჰისა, ვისითაც ურთიერთობთ ერთმანეთს შორის და გაუფრთხილდით ნათესაურ კავშირებს. შეჭველად, ალლაჰი ზედამხედველია თქვენ!“<sup>290</sup>

მის შემდეგ სურა „ჰაშრიდან“ ერთი აიათი იკითხა:

يَا أَيُّهَا الَّذِينَ آمَنُوا اتَّقُوا اللَّهَ وَتَنظُرْ  
 نَفْسٌ مَا قَدَّمَتْ لِغَدٍ وَاتَّقُوا اللَّهَ إِنَّ اللَّهَ خَبِيرٌ بِمَا تَعْمَلُونَ

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! იყავით ალლაჰის წინაშე ღვთისმოსავნი; და დაე, შეხედოს სულმა რა წაიმძღვარა ხვალისთვის. გეშინოდეთ ალლაჰის, შეჭველად, ალლაჰი უწყის, რასაც იქმთ თქვენ!“<sup>291</sup>

შემდეგ ხალხს მიმართა:

„თითოეულმა თქვენგანმა, ოქროთი იქნება, ვერცხლით, ხორბლით თუ სხვა რამით — მონყალევა გააკეთოს. თუგინდ ნახევარი ხურმა იყოს!“

290. სურა ნისა, აიათი 1.

291. სურა ჰაშრი, აიათი 18.





გაიგონეს რა მუჰამმედ შუამავლის მონოდება, ყველა სახლში რაიმეს მოსატანად გაიქცა ანსარის გვარიდან ერთ-ერთმა ადამიანმა ისეთი მძიმე ტომარა მოიტანა, რომ ყველას გაუკვირდა. გაჭირვებულები რიგში ჩადგნენ და ყველამ დახმარება მიიღო. უცებ დავინახე შუამავლის მომღიმარი სახე. ის იდგა და სიხარულით ოქროსფრად ანათებდა.<sup>292</sup>

შუამავლის გარდაცვალების დღეს, აიშეს სახლში ექვსი თუ შვიდი დინარი ჰქონდა. შუამავალს ამ ფულის ღარიბებზე დარიგება ჰქონდა მისთვის ნაბრძანები, მაგრამ მისი ავადმყოფობის გამო, ამის დრო ვერ გამონახა. უძლურებისგან მიზნედილი ალლაჰის შუამავალი რომ გონს მოვიდა, აიშეს შეეკითხა:

— ფულს რა უყავი, გაჭირვებულებს დაურიგე? აიშემ უპასუხა:

— არა! შენი ავადმყოფობის გამო ვერ მოვიცალე და ამიტომ ვერ მოვახერხე მისი დარიგება. შუამავალმა უბრძანა და ფული მასთან მიატანინა, ხელში აიღო და თქვა:

— ეს ფული ხელში მეჭიროს და ამ მდგომარეობაში სული დავლიო, ალლაჰს ჩავბარდე, ამ შემთხვევაში მუჰამმედ შუამავლის მდგომარეობა როგორი იქნება?!

ალლაჰის შუამავალმა ბრძანა ეს ფული სასწრაფოდ გაჭირვებულებზე დაერიგებინათ. აიშე ასეც მოიქცა, ფული ანსარის ტომის ხუთ გაჭირვებულ ოჯახს დაუნაწილა. ამის შემდეგ, ალლაჰის შუამავალმა:

ახლა კი მოვისვენე! — თქვა და დაიძინა.<sup>293</sup>

აქედან გამომდინარე, იმამი კასტალლანი ამბობს:

„მუჰამმედი იყო შუამავალი, ვისაც როგორც წარსული, ასევე ახლანდელი ცოდვები ძლევამოსილმა ალლაჰმა, რომელიც სამყაროთა ბრძანებელი და მფლობელია, აპატია ასეთი ადამიანი თუ მსგავს რაიმეს იფიქრებდა, მამ, რა მოვლით იმ ადამიანებს, ვინც შელახა სხვისი უფლებები ან არაპატიოსანი გზით შეიძინა ქონება, ვინც დაღვარა უდანაშაულო სისხლი და ატყუებდა პატიოსან მორწმუნეებს?“

292. მუსლიმი, ზეჟათი, 69.

293. იბნ ჰანბელი, 6, 104. იბნ სადი, 2, 237-238.





## ბ. საზღაური ქველმოქმედებისათვის

გაჭირვებულსა და ღარიბ ადამიანზე დამხმარეს ალლაჰი მისთვის მოულოდნელ სამ კარს გაუხსნის. გარეგნულად თითქოს ქონებას აკლდება, მაგრამ ეს ასე არ ხდება, მას ყოველთვის სიუხვე ექნება. ყაის იბნ სელი გადმოგვცემს:

„ძმებმა, ჩემ შესახებ შუამავალს შესჩივლეს, რომ თითქოს ქონებას ვანიავებდი და აქეთ-იქით ვარიგებდი. მე შუამავალს ვუთხარი:

— შუამავალო! მე მოსავლის საერთო რაოდენობიდან ჩემს წილს ვიღებ და ალლაჰის ხათრისთვის ჩემს რწმენით ძმებს ვუნაწილებ. შუამავალმა მკერდზე სამჯერ დამარტყა და მითხრა:

— *დაეხმარე, რომ ალლაჰმაც შენ დაგეხმაროს!*

ამ ამბის შემდეგ, ალლაჰის გზაზე საბრძოლველად რომ წავედი, მე უკვე ცხენიც მყავდა და მუსლიმანებს შორის ყველაზე შეძლებულიც ვიყავი.<sup>294</sup>

ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: არსებობს, სამი რამ რაზეც შემიძლია დავიფიცო. ესენია:

1. *მონყალების მიმცემი ადამიანის ქონებას ალლაჰი არაფერს მოაკლებს.*
2. *მას, ვინც მოთმინებას და ნებისყოფას გამოავლენს, როცა მას სრულიად დაუსაბუთებლად აწყენინებენ, ალლაჰი ღირსებას უფრო აუმაღლებს.*
3. *ვინც მათხოვრობის გზას დაადგება, ალლაჰი მას სიღარიბის კარებს გაუხსნის!*<sup>295</sup>

ვინც მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰის სიყვარულით და არა სხვის დასანახად, ან სახელის გამოსაჩენად გაჭირვებულს დახმარებას გაუწევს, ალლაჰი მას როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად გააძლიერებს. ამასთან დაკავშირებით, ერთხელ შუამავალმა დედამიწის გაჩენის და მის გასამყარებლად გაჩენილ მთებზე ისაუბრა. როდესაც ალლაჰმა დედამიწა შექმნა, მთების სიძლიერით ანგელოზები გაკვირვებული დარჩნენ და ალლაჰს ჰკითხეს, თუ იყო გაჩენილთაგან რამე მთაზე უფრო ძლიერი. ალლაჰმა თანმიმდევრობით ჩამოთვა-

294. ჰეისემი, 3, 128.

295. თირმიზი, ზუჰდი, 17.





ლა: რკინა, ცეცხლი, წყალი და ბოლოს, ყველაზე ძლიერად ქარი და-  
ასახელა. ამ ყველაფერზე უფრო ძლიერი კი ადამიანია, — აღნიშნა  
ალლაჰმა.

*„თუ ადამიანი მარჯვენა ხელით მონყალებას მისცემს და მას  
მარცხენა ხელი ვერ შენიშნავს, ის ყველაზე ძლიერი იქნება.“<sup>296</sup>*

ალლაჰმა ადამიანი ყველაზე ძვირფას არსებად გააჩინა. ადა-  
მიანებმა კი ერთმანეთში უნდა გამოარჩიონ უფრო ძვირფასი, რისი  
გაკეთებაც მათი გულწრფელობის, სხვაზე დახმარებითა და სიკეთ-  
ით შეიძლება მოხდეს. მონყალების ჩუმი მიმცემი ადამიანი მათ-  
გან ყველაზე უფრო ძლიერი და ძვირფასია.

იმ ადამიანს, ვისაც სხვაზე დახმარება უყვარს, ალლაჰი ყო-  
ველთვის იცავს და ეხმარება. ალლაჰის სიყვარულის გამო მონყა-  
ლების მიმცემი ადამიანი, უპატრონოდ არასდროს დარჩება. ალლაჰი  
მას უამრავი საჩუქრით დააჯილდოებს. შუამავალი აღნიშნავს, რომ  
სხვაზე დახმარებით ქონებას არაფერი მოაკლდება, პირიქით, უფრო  
მოიმატებს. იმისათვის, რათა აღნიშნოს ქველმოქმედების მადლი,  
შუამავალი მუჰამმედი შემდეგ ისტორიას მოგვითხრობს:

*„უდაბნოში მოგ ზაურობის დროს, ერთ-ერთ მგ ზავრს ციდან, სა-  
დაც ერთი ღრუბელი იყო, ხმა მოესმა: „ამა და ამ კაცის ბაღჩა მორწ-  
ყე!“ ამის შემდეგ, ეს ღრუბელი გაშავდა და მხოლოდ ერთ ფერდობზე  
განვიმდა. ამ ადამიანმა დაინახა, რომ წყალი მთლიანად ერთ არხში  
მოთავსდა. ეს ადამიანი, რა თქმა უნდა, დაინტერესდა და წყალს გა-  
ჰყვა. ამ დროს დაინახა, ერთი ადამიანი წყალს თოხით ხან ერთ, ხან  
მეორე მხარეს უშვებს და თავის ბაღჩას რწყავს. მას ჰკითხა:*

— ალლაჰის მსახურო! სახელად რა გქვია? პასუხად სწორედ ის  
სახელი მიიღო, რომელიც ღრუბლიდან შემოესმა.

— სახელი რატომ მკითხე?

— მე ღრუბლიდან ხმა შემომესმა, ბრძანება, სადაც შენი სახელი  
იყო მითითებული და მეც ამიტომ გკითხე. ისეთს რას აკეთებ, რომ  
ასეთი რამ დაიმსახურო?

— რადგან ძალიან გაინტერესებს, გეტყვი: მე ამ ბაღჩის შემო-  
სავალს ვვანგარიშობ. შემოსავლის ერთ მესამედს გაჭირვებულებს

296. თირმიზი, თეფსირი, 113-117.





*ვადღევ, ერთ მესამედს დასათესად ვინახავ და ერთი მესამედიც სახლში მიმაქვს.*<sup>297</sup>

ამ ძვირფას ადამიანს, მხოლოდ თავისი მოწყალების მადლით, ისეთ ადგილას, სადაც წვიმა ნაკლებია, ალლაჰის დახმარებით, იმდენი მოსავალი მოჰყავდა, რომ მასაც ყოფნიდა და სხვასაც უნაწილებდა.

ადამიანი, რა თქმა უნდა, ცოდვისა და შეცდომისგან სრულიად დაცული ვერ იქნება, მაგრამ ზექათი და მოწყალება, ალლაჰის რისხვისგან დაცავს და გადაარჩენს. ამ ლოცვების წყალობით მათი ამქვეყნიური ცხოვრება დასრულდება მშვიდობიანად. შუამავალი ბრძანებს:

*„გაცემული მოწყალება ალლაჰს შენდამი გაბრაზებას დაუკარგავს და ცუდი სიკვდილისგან დავიცავს.“*<sup>298</sup>

ალლაჰის შუამავალი, ერთი მხრივ, ხალხს სხვის დასახმარებლად მოუწოდებს, მეორე მხრივ კი — მათხოვრობას უკრძალავს.

### **გ. შუამავალ მუჰამედის თანამიმდევართა აღზრდის მეთოდები, ქველმოქმედებაში.**

ალლაჰის შუამავალმა, ისე, როგორც სხვა საკითხებში, ასევე ქველმოქმედებაშიც, თავისი თანამიმდევრები საუკეთესოდ აღზარდა და ამქვეყანაზე ყველაზე ხელგაშლილ ადამიანებად აქცია. ერთ-ერთი მათგანი, ვის გულშიც ქველმოქმედების სიყვარულს დიდი ადგილი ეჭირა, ალლაჰის შუამავალთან მივიდა და ჰკითხა:

„ — შუამავალო! გაღებულ რომელ მოწყალებას უფრო დიდი მადლი აქვს?

შუამავალმა უპასუხა:

— *როდესაც შეძლება და ძალაუფლება არ გავაჩნია, როცა ყველაფერი წესრიგში არ გაქვს და როცა გაკოტრების შიში არსებობს, მაშინ ვაკეთებული ქველმოქმედება უფრო ძვირფასია. მაგრამ მთავარია, როდესაც გაგიჭირდება, არ თქვა, ამდენი ამას მივეცი, ამ-*

297. მუსლიმი, ზუჰდი, 45.

298. თირმიზი, ზექათი, 28.





დენი — იმას და ა. შ. რადგან ის ქონება უკვე მას ეკუთვნის და შენ მასზე უფლება დაკარგული გაქვს.<sup>299</sup>

ამ ჰადისში შუამავალი აღნიშნავს, რომ გაჭირვების დროს გაღებული დახმარებას ალლაჰის წინაშე მეტი ფასი აქვს.

შუამავალმა თანამიმდევრებს ხელგამლილობა და უშიშრად სხვაზე დახმარება ასწავლა. ის ბრძანებს:

*„ქველმოქმედება გააკეთე, ბევრი გაეცი, ქონება არ შეაგროვო! თუ ასე გააკეთებ, მაშინ ალლაჰი შეაგროვებს შენთვის სარჩოს და დაიცავს მას. ფული ქოთანში არ შეინახო, რადგან ალლაჰიც შენგან შეინახავს მას.“<sup>300</sup>*

ამ ჰადისით შუამავალმა იმ ადამიანებს თავისთავზე ზარალის მიყენების შესახებ აუწყა, ვინც ფულს შეინახავს და ქველმოქმედებას არ გააკეთებს.

ჰუდეიბიეში, ურწმუნოებთან დადებული შეთანხმებიდან ერთი წლის შემდეგ, უმრეს გაკეთების დრო მოვიდა. როდესაც მეშვიდე წლის ზილყადეს თვე დადგა, შუამავალმა ჰუდეიბიეში მონაწილე ყველა ადამიანს უმრეს გასაკეთებლად მომზადება უბრძანა. აგრეთვე, სხვა ადამიანებსაც მოუწოდა უმრესთვის მომზადებულიყვნენ. იმ დროისთვის რეგიონებიდან მედინაში ჩამოსულმა ადამიანებმა შუამავალს უთხრეს:

— ვფიცავ ალლაჰს, შუამავალო, რომ არც ჩვენ არაფერი გაგვაჩინია და არც ისეთი ვინმე გვყავს, დახმარება გაგვინიოს!

შუამავალმა მედინას მოსახლეობას ამ ადამიანებზე დახმარებისკენ მოუწოდა და გააფრთხილა, რომ თუ მათ არ დაეხმარებოდნენ, ალლაჰი ყველას გაანადგურებდა. მედინას მოსახლეობამ შუამავალს მიმართა:

„ — შუამავალო, ჩვენ რა მივცეთ მონყალეების სახით, როცა თვითონ არაფერი გაგვაჩინია? შუამავალმა უპასუხა:

— რაც გაქვთ, თუგინდ ეს ნახევარი ხურმა იყოს!<sup>301</sup>

299. მუსლიმი, ზეჟათი, 92.

300. ბუჰარი, ზეჟათი, 88.

301. ვაჟიდი, 2, 732.





ეს მაგალითი იმას გვიჩვენებს, რომ მთავარი ბევრის მიცემა არ არის. მთავარი იმის მიცემაა, რისი საშუალებაც გაგაჩნია. ოღონდ ის არ უნდა შეგებრალოს და ასეთი ქველმოქმედება შენი ცხოვრების პრიორიტეტად უნდა აქციო.

შუამავლის მიერ მოგზაურობაში განვრთნილმა თანამიმდევრებმა ალლაჰის ნაბრძანები ქველმოქმედებისა თუ მონყალების გაღებაში საუკეთესო მაგალითები აჩვენეს, მათ დაამტკიცეს ალლაჰისა და მისი შუამავლის მიმართ თავიანთი ერთგულება და სიყვარული. როდესაც შუამავალმა თებუკის მოგზაურობისთვის მუსლიმანებს დაუძახა, ღარიბ მუსლიმანთაგან ერთ-ერთი უღბე იბნ ზეიდი ღამის მეორე ნახევარში ლოგინიდან ადგა, ორი მუხლი ნამაზი ილოცა და ალლაჰს შეევედრა:

„დიდო ღმერთო, შენ ჯიჰადზე წასვლა გვიბრძანე, მაგრამ შუამავალთან ერთად წასასვლელად შესაჯდომი ცხოველი არ მომეცი. არც შუამავალს მიეცი, რომ მეც წამიყვანოს! მე ყოველთვის გავიღე მონყალება, რისი საშუალებაც გამაჩნდა. ღმერთო, ხელში არსებული მცირედი, რაც შემრჩა, მონყალებად ვიღებ!“

როდესაც დილა გათენდა ალლაჰის შუამავალთან მივიდა და უთხრა:

— შუამავალო! ამას გარდა, სხვა არაფერი გამაჩნია და ხელში არსებული მცირედით, მინდა ქველმოქმედებაში ჩემი წვლილი შევიტანო. ამასთან ერთად, ვინც მე მანყენინა ან ცუდი რამე მითხრა, მათთვისაც მიპატიებია! ამ უძვირფასესი ადამიანის ამგვარი თავდადებული მოქმედების სანაცვლოდ, შუამავალმა მას უთხრა:

— *ალლაჰს ვთხოვ, კმაყოფილი იყოს შენი ქველმოქმედებით! შუამავალს ამის გარდა მისთვის არაფერი უთქვამს. მეორე დღეს კი შუამავალმა განაცხადა:*

— *სად არის ის ადამიანი, ვინც გუშინ მონყალება გაიღო?*

*პასუხი ვერავისგან მიიღო.*

— *სად არის ის ადამიანი, ვინც გუშინ მონყალება გაიღო? — გაიმეორა კითხვა შუამავალმა, მაგრამ ვერც ამჯერად მიიღო პასუხი.*

— *ვინც გუშინ მონყალება გაიღო, ფეხზე ადგეს ის ადამიანი! — მესამედ გაიმეორა შუამავალმა. უღბე ფეხზე წამოდგა. შუამავალმა მას მიმართა:*



— მე შენი მონყალეა მივიღე. შენთვის სამახარობლო მაქვს! ალლაჰის სახელს ვფიცავ, რომ შენი სახელი იმ ადამიანების სიაში ჩაინერა, ვისი გაკეთებული ქველმოქმედებისგანაც ალლაჰი კმაყოფილი გახდა!<sup>302</sup>

ალლაჰისა და შუამავლის ბრძანების შესრულებისთვის, შუამავლის თანამიმდევრები ხელთარსებული ყველა საშუალებით ცდილობდნენ ქველმოქმედებაში თავიანთი წვლილი შეეტანათ. მაგრამ იმ ადამიანების საქციელი უფრო გასაკვირია, ვისაც საერთოდ რაიმე არ გააჩნდათ.

ანსარებიდან აბი აქილმა თებუკისაკენ მიმავალ ჯარს ძალიან ცოტა რაოდენობის ხურმა მიუტანა, მაშინ როდესაც ყველაზე უფრო მას უჭირდა.

— შუამავალო, ცოტაოდენი ხურმა მოვიტანე, ცოტა კი სახლში დავტოვე!

— ალლაჰმა სიუხვე მოგცეს და ის შენი კმაყოფილი გახდეს! — უთხრა და მოტანილი ხურმის შეგროვებულ მონყალეებში შერევა უბრძანა.<sup>303</sup>

შუამავალი, (ჰალალი გზით მოპოვებული თუგინდ ერთი ხურმა იყოს), გაკეთებული ქველმოქმედებით, ალლაჰის მიერ ნაბოძებ სიუხვეს ჰპირდება. (ბუჰარი, ზეჟათი 8). ეს ნიშნავს, რომ ქველმოქმედებაში დახარჯული ქონება ცხოვრებისთვის მომგებიანი ნაბიჯია, რომელიც განკითხვის დღეს ყოველ ადამიანს მფარველად მოეწვინება.

ისეთი თანამიმდევრებიც იყვნენ, რომლებიც მხოლოდ ღვთისმსახურებას მისდევდნენ და თავის სარჩენად სხვები მათ ხურმას უზიდავდნენ, ერთხელ ზოგიერთებმა გაფუჭებული ხურმა მიუტანეს, მაგრამ როდესაც სხვა საქმელი აღარ ჰქონდათ, იძულებული გახდნენ, ის ეჭამათ. ამ შემთხვევის გამო, ალლაჰმა აიათი გამოგზავნა, სადაც ის ბრძანებს:

يَا أَيُّهَا الَّذِينَ

ءَامَنُوا أَنْفِقُوا مِنْ طَيِّبَاتِ مَا كَسَبْتُمْ وَمِمَّا أَخْرَجْنَا

302. იბნ ჰაჯერი, ელ ისაბე, 2, 500. იბნ ქესირი, ელსირე, 4, 9, ვაქიდი, 3, 994.

303. თაბერი, თეფსირი, 10, 251.

لَكُمْ مِنَ الْأَرْضِ وَلَا تَيَمَّمُوا الْخَبِيثَ مِنْهُ تُنْفِقُونَ وَلَسْتُمْ

بِأَخِيذِهِ إِلَّا أَنْ تُغْمِضُوا فِيهِ وَاعْلَمُوا أَنَّ اللَّهَ غَنِيٌّ حَمِيدٌ

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გაეცით იმ საუკეთესოთაგან, რაც მოიხვეჭეთ და რაც მიწიდან აღმოვაცენეთ თქვენთვის. და არ განიზრახოთ მისგან ყველაზე ცუდი გასაცემად, რისი ამღებიც არ იქნებოდით თქვენ, გარდა თვალმოხუჭვისა. იცოდეთ, რომ ალლაჰი ყოვლადმდიდარია, ყოვლადქებულია!“<sup>304</sup>

რა თქმა უნდა, ალლაჰის გზაზე ქველმოქმედების გაკეთების დროს, მთავარია ადამიანის გულში არსებული განზრახვა. ადამიანი თუ დაფიქრდება, თვითონ მიხვდება, თუ რა ფასი ექნება ალლაჰის წინაშე მიცემულ იმ მოწყალებას, როცა ქონების საუკეთესო ნაწილს თავისთვის დაიტოვებს და უფასურს სხვას მისცემს.

იბნ არაბი გადმოგვცემს:

„ერთმა გაჭირვებულმა მეორე ადამიანს, ალლაჰის სახელით, დახმარება სთხოვა. ამ ადამიანმაც სალარო აიღო და შიგნით ხურდა ფულის ძებნა დაიწყო. გაჭირვებული ადამიანი კი მას აკვირდებოდა. მერე ჩემკენ შემობრუნდა და მკითხა:

— იცი, ეს ადამიანი ახლა რას ეძებს?

— არა. — ვუპასუხე მე.

— ეს ადამიანი ახლა ალლაჰის წინაშე თავის საფეხურს ეძებს. იმიტომ, რომ დახმარებას ალლაჰის გამო აკეთებს. როდესაც დიდი ფული მოყვება ხელში, მას სალაროში უკან აბრუნებს, რადგან ფიქრობს, რომ ალლაჰის სიყვარული მის მიმართ ამდენს არ ღირს. ის ძებნას მანამ გააგრძელებს, ვიდრე ხურდა ფულს არ ნახავს.

ბოლოს, როგორც იქნა ამ ადამიანმა ხურდა ფული იპოვა და მათხოვარს მისცა. მათხოვარმა კი მას უთხრა:

— ალლაჰის წინაშე შენი ფასი ამ ფულისოდენაა.“<sup>305</sup>

დედამიწაზე ყოფილან ისეთი ადამიანები, რომლებიც ალლაჰის გზაზე მოწყალების გასაღებად, ძლივს შოულობდნენ პატარა რაღა-

304. სურა ბაყარა, აიათი 267.

305. ნიჰათი, ქექლიკი, გვ. 172.





ცას. აგრეთვე, იყვნენ ისეთი ადამიანებიც, ვისაც უთვალავი ქონება ჰქონდა. ამათგან ერთ-ერთი — ოსმალეთის იმპერიის 27-ე ფადიშაჰი — მაჰმუდი იყო, რომელიც უამრავ ქონებას გაჭირვებულებს ურიგებდა და ყოველთვის ქველმოქმედების კეთების სურვილი ჰქონდა.<sup>306</sup>

## 5. მუჰამედ შუამავლის დამოკიდებულება ყურანისადმი

*„....მათ შორის არიან ისეთებიც რომლებიც ღამლამობით სეჯდეს ასრულე-ბენ და ალლაჰის აიათებს კითხულობენ.“*

სურა ალი იმრანი, აიათი 113

შუამავალი ალლაჰის მიერ მისთვის გამოგზავნილ ყურანის მიმართ დიდ პატივისცემასა და ყურადღებას იჩენდა. ის ყურანს ყოველთვის დიდი გულისყურით კითხულობდა. მისი თანამიმდევრებიც, საუკეთესო მაგალითის მქონე შუამავლის მსგავსად, მას ხელიდან ძირს არ დებდნენ და მის სიტყვებს პირიდან არ იშორებდნენ. ეგს იბნ ჰუზეიფე, ამ საკითხთან დაკავშირებით ასე გადმოგვცემს:

„ერთ საღამოს, შუამავალმა, ძილის წინა ნამაზის შემდეგ, ჩვენთან მოსვლა დაიგვიანა.

— შუამავალო! ჩვენთან მოსვლა რატომ დააგვიანე? — ვკითხეთ მას მოსვლისთანავე. მან გვიპასუხა:

— *ყოველდღე ყურანიდან ერთი მონაკვეთის კითხვა თავისთავს დავავალე. უკითხავად აქ მოსვლა არ მინდოდა. შუამავალმა დილას თანამიმდევრებს ჰკითხა:*

— *თქვენ ყურანს როგორ კითხულობთ?*

— *თავდაპირველად ჩვენ პირველ სამ სურას ვკითხულობთ, შემდეგ კიდევ ხუთს, შემდეგ შვიდს, მეთერთმეტე და მეცამეტე სურებს ვკითხულობთ ერთად. ამის შემდეგ ჩვენ ვკითხულობთ სურა „ქეჰფს“ ბოლომდე. ამრიგად, კითხვისას ყურანს ჩვენ შვიდ ნაწილად ვყოფთ.“<sup>307</sup>*

306. ზეჰი ქუშოგლუ, გვ. 26.

307. იბნ ჰანბელი, 4, 9. იბნ მაჯე, სალათი, 178.



ჩვენი საყვარელი შუამავალი, წარსდგებოდა რა შუალამისას ალლაჰის წინაშე სალოცავად, საათობით კითხულობდა ცალკეულ სურებს ყურანიდან და ენით გამოთქმულ სიამოვნებას ღებულობდა.

„ალლაჰი, ღამეში ორი მუხლის მლოცველი ადამიანის მსგავსად, არავის მოუსმენს.“<sup>308</sup> ამ ჰადისით შუამავალმა ყურანის ხანგრძლივი კითხვის უპირატესობა და მადლი ღიად ასახა.

შუამავლის ნაკითხი ყურანი ძალიან გასაგები იყო. ის მას ნელა და ყოველი ბგერის გამოთქმით კითხულობდა.<sup>309</sup> იმიტომ, რომ ალლაჰი შუამავალს უბრძანებს:

أَوْ زِدْ عَلَيْهِ وَرَتِلِ الْقُرْآنَ تَرْتِيلاً

„ყურანი ნელ-ნელა და ყურადღებით იკითხე!“<sup>310</sup>

შუამავალი, სხვების მსგავსად, ამ ბრძანებასაც დიდი ყურადღებით მოეკიდა და ისე შეასრულა, როგორც ალლაჰმა უბრძანა.

ყურანის კითხვისთვის მთავარი მხოლოდ ღამაზი ხმა არ არის. ის მუსიკალურად ასაწყობი და საკითხავი არ არის, არამედ უნდა წავიკითხოთ ნელა, გასაგებად და მის ყოველ მნიშვნელობაზე ღრმად დაფიქრდეთ. ამის გამო, ყურანის სწორი კითხვისთვის აუცილებელია თეჯვიდის<sup>311</sup> ცოდნა.

მთელი ცხოვრების მანძილზე ალლაჰის ბრძანებებს დამორჩილებული შუამავალი, ყურანის კითხვას უფრო დიდ მნიშვნელობას რამაზანში ანიჭებდა. ჯებრაილ ანგელოზი რამაზნის თვეში მუჰამმედ შუამავალთან ყოველდღე ჩამოდიოდა და ისინი ყურანს ერთმანეთს უკითხავდნენ.<sup>312</sup> გარდაცვალების წინა წლის რამაზნის თვეში მათ მხოლოდ ორჯერ გააკეთეს ამგვარი შეხვედრა.<sup>313</sup>

საყვარელ შუამავალს, ყურანის როგორც კითხვა, ასევე მისი სხვისგან მოსმენაც ძალიან უყვარდა. ძალიან დიდ სიამოვნებას ღებულობდა, როცა მას ცნობილი მკითხველები უკითხავდნენ. აბდულ-ლაჰ იბნ მესუდი გადმოგვცემს, რომ შუამავალმა ერთხელ მთხოვა:

308. თირმიზი, ფედაილულ-ყურანი, 17.

309. თირმიზი, ფედაილულ-ყურანი, 23.

310. სურა მუზემშილი, აიათი 4.

311. თეჯვიდი – ყურანის კითხვის წესები.

312. მუსლიმი, ფედაილი, 50.

313. ბუჰარი, ფედაილულ-ყურანი, 7.





„— ყურანი მკითხე!

მე ვუთხარი:

— ალლაჰის შუამავალო, მაშინ, როცა ყურანი შენზე ჩამოვიდა, მე როგორ შემიძლია ის გკითხო?

— ყურანის სხვისგან მოსმენა ძალიან მსიამოვნებს. ამის შემდეგ სურა „ნისას“ კითხვა დავინწყე. როდესაც 41-ე აიათს მივალწიე, მითხრა:

— ახლა საკმარისია! როცა მას შევხედე, დავინახე, თვალებიდან ცრემლები ცვიოდა.<sup>314</sup>

შუამავალი თუ ყურანის კითხვისას ტიროდა, მაშინ რიგით მუსლიმანებს მართებთ უფრო მეტი დაფიქრება, ალლაჰის რისხვის ეშინოდეთ და მისი უსაზღვრო ნყალობის იმედი ჰქონდეთ.

შუამავალი ხანდახან ყურანის მკითხველ თანამიმდევარს გაუფრთხილებლად უსმენდა და კმაყოფილი რჩებოდა. ამასთან დაკავშირებით, აიშეს მოგონებებიდან ერთ-ერთი ასეთია:

ერთ დღეს, როცა მასთან მისვლა დააგვიანა, შუამავალმა ჰკითხა, თუ სად იყო. მან უპასუხა:

— შუამავალო! მეჩეთში ერთი კაცი იყო, რომელიც ყურანს კითხულობდა. მე აქამდე მასზე უფრო ლამაზად ყურანის მკითხველი ადამიანი არ მინახავს. დავრჩი და მას მოვუსმინე. ამის შემდეგ, შუამავალი მეჩეთში წავიდა და ნახა, რომ ეს ადამიანი სალიმი იყო. მას ასე მიმართა:

„ალლაჰს დიდ მადლობას მოვახსენებ იმისათვის, რომ ჩემს თანამიმდევრებში შენისთანა ამხანაგი მომცა.“<sup>315</sup>

### ა. ყურანის კითხვისას მის მნიშვნელობაზე დაფიქრება

ადამიანი ყურანის მნიშვნელობით, სინმინდითა და მჭერმეტყველებით განცვიფრებულია. ყურანის მკითხველ ადამიანს შუამავლის გარეგნობის, ზნეობის, ხასიათისა და ცხოვრების შესახებ ყველაფერი წაკითხული აქვს. ამიტომ მუსლიმანები ვალდებული

314. ბუჰარი, თეფსირი, 4-9. მუსლიმი, მუსაფირინი, 247.

315. იბნ ჰანბელი, 6, 165.





არიან ყურანი ბევრი იკითხონ, დაფიქრდნენ მის მნიშვნელობაზე და იმის მიხედვით მართონ თავიანთი ცხოვრება. შუამავალი ბრძანებს:

*„ყურანი იკითხეთ. იმიტომ, რომ ყურანი განკითხვის დღეს მის მკითხველ ადამიანს დამხმარედ მოეველინება.“<sup>316</sup>*

*„ვინც ყურანიდან ერთ ასობგერას ნაიკითხავს, მისთვის ერთი სიკეთე არსებობს. ყოველი სიკეთის სანაცვლოდ კი ათი მადლია. მე არ ვამბობ, რომ „ელიფ ლამ მიიმ“ ერთი ასობგერაა, არამედ „ელიფ-რიც“ ერთი ასობგერაა, „ლამიც“ და „მიმიც.“<sup>317</sup>*

შუამავალი ამგვარი ჰადისებით მუსლიმებს ყურანის კითხვის-კენ მოუწოდებს. ერთ-ერთი მუსლიმის მიერ ყურანის თავიდან ბოლომდე ნაკითხვის შემდეგ, ხელმეორედ მისი კითხვის დაწყება თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, ეს შემდეგ მაგალითში კარგად ჩანს:

ერთი ადამიანი შუამავალთან მივიდა და უთხრა:

„ — შუამავალო! ყველაზე კარგი საქმის გამკეთებელი ადამიანი რომელია? შუამავალმა უპასუხა:

— *ყურანის თავიდან ბოლომდე ნაკითხავი და ყოველი ნაკითხვის შემდეგ ხელმეორედ კითხვის დამწყები ადამიანი.“<sup>318</sup>*

მართალია, ყურანის კითხვა ძალიან დიდი მადლია. მაგრამ მთავარი — მისი მნიშვნელობის გაგება და იმის მიხედვით ცხოვრებაა. ამიტომ ყურანის კითხვას განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება. ეს მიდგომა კი ალლაჰის სიყვარულითა და დიდი მონდომებით მისი კითხვაა. ყურანის კანონებზე დაფიქრება, მისი ბრძანებების შესრულება, მისი მაგალითების გადმოღება და ცხოვრებაში გატარება, ალლაჰის სახელის ხსენების დროს „სუბჰანელლაჰის“ თქმა ან სამოთხისა და ჯოჯოხეთის სახელების ნაკითხვის დროს ალლაჰზე შეფარება, ყოველი მუსლიმი ადამიანის მოვალეობაა.

მორწმუნე ადამიანი დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ მას ყურანის კითხვაში ალლაჰი ხედავს და უსმენს. მას ისეთი გრძნობა უნდა ჰქონდეს, თითქოს ალლაჰს ესაუბრება. მან უნდა იფიქროს ალლაჰის დიდებაზე, ძალაუფლებასა და შესაძლებლობაზე. ალლაჰს პატიება და შეწყალება უნდა სთხოვოს. მას თვალწინ უნდა წარმოუდ-

316. მუსლიმი, მუსაფირინი, 252.

317. თირმიზი, ფედაილულ-ყურანი 16.

318. თირმიზი, ყირაათი, 11.





გეს ალლაჰის მიერ განადგურებული მტრების მდგომარეობები. მას უნდა გაახსენდეს ალლაჰის შუამავლები და მათი მეგობრები. ერთი სიტყვით, ყურანი ყველამ გასაგებად უნდა იკითხოს. იმ ადამიანს, ვისაც მისი მნიშვნელობა არ ესმის, ყურანის მიმართ მაინც დიდი პატივისცემა მართებს. თუ შესაძლებლობა არსებობს, ასეთმა ადამიანმა ყურანის „თეფსირი“ უნდა წაიკითხოს და მისი მნიშვნელობის გაგებას შეეცადოს. თუ ამასაც ვერ მოახერხებს, მაშინ სხვის მიერ გაკეთებული ქადაგება უნდა მოისმინოს.

შუამავლის თანამიმდევრები, როდესაც შუამავლისგან ათ აიათს შეისწავლიდნენ, სანამ მის მნიშვნელობას კარგად არ აღიქვამდნენ, სხვა აიათებზე არ გადადიოდნენ. ისინი ამბობდნენ, რომ ასეთი ხერხით ცოდნასა და საქმეს ერთად ვსწვლობთ.<sup>319</sup> მაგალითად, იმამი მალიქი გადმოგვცემს, რომ აბდულლაჰ იბნ ომარმა სურა „ბაყარას“ შესწავლას რვა წელი მოანდომა.<sup>320</sup> იმამი მალიქის გადმოცემულს ელ-ბაჯი ამატებს: „ეს მდგომარეობა იმას არ ნიშნავს, თითქოს აბდულლაჰ იბნ ომარს დახეპირების უნარი დაბალი ჰქონდა. ის ყურანს თავისი მნიშვნელობის ერთად სწავლობდა და მის ბრძანებებს ცხოვრებაში ატარებდა. სწორედ, ამის გამო დაჭირდა სურა „ბაყარას“ შესასწავლად რვა წელი.“<sup>321</sup>

ყურანის მნიშვნელობა უსასრულო და უკიდევანო ოკეანეა. როგორც მუჰამედ ფარსა ბრძანებს: „ყურანის აიათებისა და ასობგერების მნიშვნელობა მთლიანად რომ გამოაშკარავებულიყო, მის სიმძიმეს შვიდი სართული ცა და დედამიწა ვერ გაუძლებდა.“ ყურანზე მრავალი ადამიანის მუშაობის შედეგად დამტკიცდა, რომ მასში არსებული ინფორმაციის ძალზე ცოტა რამ არის ჩვენთვის ცნობილი.

„ალლაჰისა და სხვა არსებათა შესახებ, მრავალი საკითხი ყურანში ყველაზე საუკეთესოდ არის მოცემული. ამას გარდა, ბევრი საკითხი ჯერ კიდევ ამოუხსნელია, რომლის პასუხიც მასში იმალება და მათი ამოხსნის დრო ჯერ კიდევ არ დამდგარა.“

დღესდღეობით, ჩვენი მთავარი ამოცანა, ყურანის იმ უსაზღვრო ოკეანის მსგავსი მნიშვნელობის გაგება და ცხოვრებაში გამოყენებაა, რომელიც ყურანში ღიად არის მოცემული. ამჟამად ამის ცოდნა ჩვენთვის ნამდვილად საკმარისი იქნება.

319. იბნ ჰანბელი, 5, 410.

320. მუვათთა, ყურანი, 11.

321. ქეთანი, 2, 191.



ამიტომ ყურანი არ არის ის წიგნი, რომელიც ჩვეულებრივ იკითხება. მის მიმართ საჭიროა სათანადო პატივისცემა და რწმენა იმისი, რომ ის დღეს ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგიური წიგნია დედამიწაზე. ყურანის მეშვეობით სარგებლის მიღება მხოლოდ მისდამი კეთილგანწყობით შეიძლება. ღვთისმოშიშობა ალლაჰის დაფასებას ნიშნავს. განათლებული და მორწმუნე ადამიანი ალლაჰის მოყვარული და მისი დამფასებელია, რადგან ყურანის კითხვის დროს, როცა მისი მნიშვნელობა ესმის, ტირილს იწყებს და ალლაჰის წინაშე სეჯდეს აკეთებს. ყურანში ალლაჰი ბრძანებს:

وَيُؤْتُونَ لَلذَّقَانِ يَبْكُونَ وَيَزِيدُهُمْ خُشُوعًا

„ისინი ტირილით პირქვე მინას ემხოზიან. და აძლიერებს მათ მოკრძალებას.“<sup>322</sup>

მათ, ვინც ყურანს მუდმივად კითხულობდა, ყურადღებით მის შინაარსს ჩაუფიქდებოდა და მისი დებულებებით პირად ცხოვრებაში ხელმძღვანელობდა, შუამავალი მუჰამმედი „ეკლი ყურანს“ უწოდებდა. ყურანი, განკითხვის დღეს, ღამეში — უძილოდ და დღისით უწყლოდ დარჩენილებს, დახმარებას გაუწევს.<sup>323</sup>

„განკითხვის დღეს ყურანი და მისი მიმდევარი ადამიანები სამსჯავრო მოედანზე შეიკრიბებიან. ამ დროს სურები „ბაყარა“ და „ალი იმრანი“ სათავეში მოექცევიან და ორივე მათი მკითხველი ადამიანების დაცვაში ერთმანეთს შეეჯიბრება.“<sup>324</sup>

შუამავლის თქმით, ყურანის მკითხველები მხოლოდ საკუთარ თავს კი არა, ახლობლებსაც დაეხმარებიან.

„ვინც ყურანს იკითხავს და მისი ბრძანებების მიხედვით მოიქცევა, განკითხვის დღეს თავის მამას ერთ გვირგვინს დაადგამს თავზე. ამ გვირგვინის შუქი ამქვეყნად ერთ სახლში მოთავსებული მზის შუქზე უფრო ღამაზია. ამის მერე დაფიქრდით, თუ თვით მკითხველს თავს როგორი ღამაზი გვირგვინი დაედგმება“<sup>325</sup>

ყურანის მხოლოდ დამზებულებები და მისი ღამაზი ხმით მკითხველები, მანამ არ ჩაითვლებიან „ყურანის მიმდევრებად“, ვიდრე

322. სურა ისრა, აიათი 109.

323. იბნ მაჯე, ედები, 52.

324. მუსლიმი, მუსაფირინი, 253

325. აბუ დავუდი, ვითრი, 14.





მისი კანონების შესაბამისად არ მოიქცევიან. მუსლიმებისთვის მთავარი ყურანის მეგზურად არჩევაა.

„ყურანის მკითხველო ადამიანო! გული გაიხსენი და ალლაჰის ნაბრძანები ყურანი ისე მოისმინე! მოისმინე მისი სიტყვები მისგანვე. მკითხველის მელოდიური ხმა ზოგჯერ დაბრკოლებათ. ფრთხილად იყავი! არ გაირინდო მის ხმაში!“

ყურანის სწავლისა და გაგებისთვის ერთად შეკრება და სემინარის ჩატარება, შუამავლის მოწონებული და ერთ-ერთი კარგი საქმეა. ამ საქმის გამკეთებელი ადამიანების მონაგები შემდეგ ჰადისშია მოცემული:

*„ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ალლაჰის სახლებიდან რომელიმეში შეიკრიბება და ყურანს იკითხავს, ხოლო მერე მის მნიშვნელობაზე ისაუბრებს, ალლაჰი შეიბრალებს და უხვად დააჯილდოვებს. ამის შემდეგ ალლაჰი მათ თავის გვერდით მდგომ ადამიანებს შორის მოიხსენიებს.“<sup>326</sup>*

ყურანზე უდიდესი პატივისცემით მომპყრობ შუამავალს ის თანამიმდევრებიც ძალიან უყვარდა და აფასებდა, რომლებიც ისევე იყვნენ განწყობილი ყურანის მიმართ, როგორც თვითონ. საყიფის ტომში წლოვანებით ყველაზე პატარა ოსმან იბნ ებილ ასი ყურანის ყველაზე კარგი მცოდნე იყო.

საყიფის გვარის წარმომადგენლები, ასაკით ყველაზე პატარა ოსმანს ცხოველების მეთვალყურედ ტოვებდნენ. შუადღის სიცხეში, როდესაც უფროსები ჩაიძინებდნენ, ოსმანი შუამავალთან მივიდოდა და სარწმუნოების შესახებ შეკითხვებს უსვამდა, ყურანის კითხვას უსმენდა და სწავლობდა. ამ მეთოდით შუამავლისგან მან ბევრი სურა დაიზეპირა.

ოსმანმა თავის უფროსებისგან ჩუმიად მუსლიმანობა მიიღო. ის როდესაც შუამავალს ვერ ნახავდა, ხან აბუ ბაქრთან, ხან უბეი იბნ ქაბთან მივიდოდა, შეკითხვებს დაუსვამდა და ყურანს იკითხავდა. ოსმანის ასეთი ქცევა შუამავალს ძალიან მოსწონდა. ის მას ძალიან უყვარდა. როდესაც საყიფის გვარის წარმომადგენლებმა თავიანთ სახლებში დაბრუნება მოისურვეს, შუამავალს უთხრეს:

326. მუსლიმი, ზიქრი, 38.



— შუამავალო! ჩვენ შორის ერთ-ერთი იმამად დაგვინიშნე! შუამავალმა იმამად მათ, თავიანთ გვარში ასაკით ყველაზე უმცროსი — ოსმანი დაუნიშნა.<sup>327</sup>

ჯაბირის გადმოცემის მიხედვით, შუამავალმა უჰუდის ბრძოლაში შეჰიდად დალუპული ადამიანების გვამები ყოველ სასაფლაოსთან ორ-ორი მოატანინა:

„— ამათგან უფრო კარგად ყურანი ვინ იცოდა?“ —

ჰკითხა თანამიმდევრებს. ვისაც კარგად სცოდნოდა ყურანი, ის ყიბლის მხარეს ჩაადებინა.<sup>328</sup>

ყველა ეს შემთხვევა ნათელი დადასტურებაა იმის, რომ ყურანის მკითხველებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ როგორც ალლაჰის ისე მისი შუამავლის წინაშე.

### **ბ. თანამოაზრეების დამოკიდებულება ყურანისადმი**

შუამავალთან ერთად აღზრდილი თანამიმდევრები, შუამავლის მსგავსად, ყურანს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ყურანმა მათ გულებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა და მათი ცხოვრების მეგზური გახდა. ისინი ყურანს ძალიან ბევრს კითხულობდნენ. მათ სურდათ, რომ არც ერთ დღეს ყურანის კითხვის გარეშე არ ჩაეყოლო. შუამავლის თანამიმდევრები დღეს ყურანის კითხვით იწყებდნენ. იმ ადამიანებსაც, ვისაც თვალის პრობლემები ჰქონდა, მათაც ყურანის კითხვას ურჩევდნენ. ოსმანმა ყურანი იმდენი იკითხა, რომ ორი წიგნი დააძველა.<sup>329</sup>

ომარ იბნ ჰატტაბი ლამაზი ხმის მქონესა და ყურანის კარგად მკითხავ აბუ მუსა ელ ეშარის ხანდახან ეტყოდა:

— აბუ მუსა, ალლაჰი გაგვახსენე. ამის შემდეგ აბუ მუსაც ყურანს იკითხავდა.<sup>330</sup> ერთხელ აბუ მუსას ომარ იბნ ჰატტაბმა უთხრა:

— ძმაო, მიდი ალლაჰის გახსენებით აგვალფრთოვანე! აბუ მუსამ ყურანის კითხვა დაიწყო. ცოტა ხნის შემდეგ ომარს ნამაზის სა-

327. იბნ სადი, 5, 508. იბნ ჰაშიმი, 4, 185. იბნ ჰანბელი, 4, 218.

328. ბუჰარი, ცენაიზი, 73-75.

329. ქეთთანი, 2, 197.

330. აბუ ნუაიმი, 1, 258.





ლოცავად დაუძახეს. ყურანის მოსმენით გაბრუებული ომარი როცა გონს მოვიდა, თქვა:

— ჩვენ ნამაზზე არ ვიყავით?<sup>331</sup> ასეთი კითხვით გაკვირვება გამოხატა. აქედან ნათლად ჩანს, რომ თანამიმდევრები არა მარტო ყურანის კითხვით, არამედ მისი მოსმენითაც იყვნენ გატაცებული და ამასთანავე დიდ სიამოვნებასაც ღებულობდნენ.

შუამავალი თავის თანამიმდევრებს ყურანის ბევრ კითხვას ურჩევდა, მაგრამ გადაჭარბებას უკრძალავდა. რომელი საკითხიც არ უნდა იყოს, თუგინდ ეს რელიგიას ეხებოდეს, მისი გადაჭარბება არც ალლაჰს და არც შუამავალს არ უბრძანებია. აბდულლაჰ იბნ ამრ იბნ ასი გადმოგვცემს:

„შუამავალმა ერთხელ მითხრა:

— *შენ ყოველდღე რომ მარხული ხარ და ყოველდღე „ხათმს“<sup>332</sup> კითხულობ, რას ფიქრობ, მე ამის შესახებ არაფერი ვიცი?*

*მე ვუპასუხე:*

— *რა თქმა უნდა, იცი, შუამავალო! მაგრამ მე მსურს ამით მხოლოდ ალლაჰის კმაყოფილება მოვიპოვო შუამავალმა მითხრა:*

— *დავუდ შუამავლის მსგავსად, მარხვა შეასრულე! იმიტომ, რომ ის ალლაჰის გაჩენილი ადამიანებიდან ერთ-ერთი ყველაზე კარგი ღვთისმსახური იყო. თვეში ერთხელ კი „ხათმი“ წაიკითხე!*

— *შუამავალო, მე უფრო მეტის გაკეთების შესაძლებლობა გამაჩნია.*

— *მაშინ ათ დღეში ერთი „ხათმი“ წაიკითხე!*

*მე კიდევ ვუთხარი:*

— *ამაზე კიდევ უფრო მეტის გაკეთება შემიძლია, შუამავალო!*

— *მაშინ შვიდ დღეში ერთი „ხათმი“ წაიკითხე, ეს უკვე ნამდვილად საკმარისი იქნება! შენ ნამდვილად არ იცი, თუ რამდენი უნდა იცოცხლო, ამიტომ მერე გაგიჭირდება“.*

აბდულლაჰ იბნ ამრი შემდეგს გადმოგვცემს:

331. იბნ სადი, 4, 109.

332. ხათმი – ყურანის თავიდან ბოლომდე წაიკითხვა.





„როდესაც მოვხუცდი, შუამავლის ნათქვამ მდგომარეობაში ჩავვარდი და ვისურვე მისი რჩევა გამეთვალისწინებინა.

ამ უდიდესმა თანამიმდევარმა, შუამავლის სიტყვა რომ არ დაიჯერა, მისი შეცდომის არსს გვიან ჩასწვდა და დიდი სიძნელის მიუხედავად, მაინც ცდილობდა შუამავალზე მიცემული სიტყვის შესრულებას. თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში, თვითონ როდესაც ველარ შეძლო კითხვა, სხვას აკითხებდა ყურანს და თვითონ ისმენდა. რაც შეეხება მარხვას, ის რამდენიმე დღეს, ძალის მომატების მიზნით, საჭმელს ჭამდა და შემდეგ მარხვის გაცდენილ დღეებს ასრულებდა, რათა შუამავალზე მიცემული სიტყვა არ დაერღვია.<sup>333</sup>

მუჰამმედ უმმანი ბრძანებს:

*„თუკი რომელიმე თქვენგანს ღამეში ყურანის კითხვის დროს ენა შეეშლება და ვერც მის მნიშვნელობას მიხვდება, მაშინვე დანვეს.“<sup>334</sup>*

*„ძილბურანში ნამაზის მლოცავი ადამიანი, პატიების თხოვნის ნაცვლად, თავისთავს გალანძღავს.“<sup>335</sup>*

აქ ღიად აღნიშნულია, რომ ასეთ ფორმაში ადამიანები თავიანთ თავს ზარალს მიაყენებენ.

## 6. მუჰამმედ შუამავლის დაფიქრება (თაფაქქური)

*რა ღამაზი წიგნია სამყარო, რომლის თითოეულ გვერდზე გაკვეთილად ასაღები ათასობით სიბრძნე იკითხება.*

ზია ფაშა

სიტყვა „თეფექქური“ ლექსიკურად ღრმა ჩაფიქრებას ჭკუის ვარჯიშს, რაიმე პრობლემის გადაწყვეტას ან რაიმე საგანზე ყურადღების კონცენტრირებას ნიშნავს. ეს ადამიანის ერთ-ერთი კარგი და საჭირო თვისებაა. ამ გზით ადამიანი სწორი გადაწყვეტილების მიღებას ცდილობს. სწორედ ამ თვისებით არის ადამიანი სხვა სულიერებისგან განსხვავებული. ადამიანი როდესაც დაფიქრდება

333. ბუჰარი, საგმი, 55-56-57. მუსლიმი, სიამი, 181-193.

334. მუსლიმი, მუსაფირინი, 223.

335. აბუ დავუდი, თათავუ. 18.





ალლაჰის სიდიადეს, მისი გაჩენილების, მის მიერ ნაბოძები სარჩო-სანოვაგის, სილამაზის, ერთიმეორეზე მიყოლებული დღე-ღამისა და ამქვეყანაზე დროებითი ცხოვრების არსს უფრო კარგად შეიცნობს.

თეფექტური ანუ დაფიქრება — ალლაჰის პატივისცემისა და მორჩილების, მისდამი მიდრეკილების, ამქვეყნიური სურვილებისგან თავის დაცვის, ალლაჰის გაჩენილი სატანჯველებისგან გადარჩენის ერთადერთი სწორი გზაა. ალლაჰის სიდიადეზე დამფიქრებელი ადამიანი რწმენას გაიძლიერებს, რადგან ნამდვილი რწმენა ადამიანმა მხოლოდ ფიქრით შეიძლება მოიპოვოს. ამის გამო, ყურანის მრავალ აიათში ალლაჰი ადამიანს დაფიქრებას უბრძანებს.

ფიქრი შეიძლება მხოლოდ ისეთ საგნებზე, რომელთა წარმოდგენაც გონებრივად შესაძლებელია. ამიტომ ნებადართულია წარმოდგენა და დაფიქრება ალლაჰის ქმნილებებზე, მაგრამ კატეგორიულად აკრძალულია ღმერთის წარმოდგენა რაიმე სახით. ე.ი. მისი რაიმეზე მიმსგავსება დიდი დანაშაულია. შუამავალი ბრძანებს:

*„ალლაჰის გაჩენილების შესახებ დაფიქრდით, მაგრამ მისი შეხედულებისა და ფიზიკური ფორმის შესახებ, ნუ დაფიქრდებით! იმიტომ, რომ ალლაჰის წარმოდგენას მისთვის შესაფერისი ფორმით თქვენ ვერ შეძლებთ!“<sup>336</sup>*

მაგრამ ალლაჰის თვისებებისა და მისი გაჩენილების შესახებ დაფიქრება, ყველა ადამიანისთვის აუცილებელია. იმიტომ, რომ ფიქრი ცოდნის მარცვალია. ადამიანის გულსა და ჭკუაში დათესილი ეს მარცვალი დროის განმავლობაში, უეჭველად, რამდენადმე მეტ მოსავალს მოგვცემს.

ალლაჰის მიერ ნაბოძები სარჩო-სანოვაგის მიმართ დაფიქრება ერთ-ერთი ძვირფასი ღვთისმსახურებაა. შუამავლის პირველი ღვთისმსახურებაც სწორედ ფიქრი იყო. ჰირას გამოქვაბულში ის ალლაჰის სიდიადეზე ფიქრობდა. ალლაჰის შუამავალი ბრძანებს:

*„ჩემმა მბრძანებელმა მიბრძანა:*

*— „როგორც ჩუმად, ასევე აშკარად — ყველა მდგომარეობაში ალლაჰის შიში!*

*— როგორც გაბრაზების, ასევე სიხარულის დროს, სამართლიანი გადანყევტილების მიღება!*

336. დეილემი, 2, 56.





— როგორც სიღარიბის, ასევე სიმდიდრის დროს ეკონომიურად მოქცევა!

— ჩემთან ურთიერთობის გამწყვეტ ადამიანზე საჩუქრის გაკეთება!

— მივცე მას, ვინც პატივს მომაკლებს!

— პატიება მათზე, ვინც მე მანყენინა.

— ჩუმად ყოფნის დროს ფიქრი!

— ისეთი საუბარი, რომელიც ღვთისმსახურებად ჩაითვლება!

— ნორმალური გამოხედვა!

— სიკეთისაკენ მონოდება!<sup>337</sup>

ალლაჰის ამგვარი ბრძანებების მიმართ მორჩილი შუამავალი, გაჩუმებულ მდგომარეობაში ფიქრს ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდა. ჰინდ იბნ აბუ ჰალე შუამავლის შესახებ გადმოცემის დროს ასე ბრძანებს:

„შუამავალი ყოველთვის დარდიანი და დაფიქრებული იყო. მას თავისუფალი დრო არასდროს ჰქონდა. უადგილო ადგილას არასდროს ლაპარაკობდა. ის გაჩუმებული უფრო მეტხანს იყო, ვიდრე საუბრის დროს. ლაპარაკის დანყებისას, ისე როგორც დამთავრებისას, ალლაჰის სახელს ასხენებდა.“<sup>338</sup>

იუსუფ ჰერმედანი, მუსლიმანი ადამიანის ყოველი მოქმედების დროს, დაფიქრების საჭიროებაზე საუბრობს: „ადამიანში როდესაც ალლაჰის რწმენა გაჩნდება, ისლამის ქცევებიც მას უკან მიჰყვება. ამ ორი რამის, ანუ როგორც საქმისა და ფიქრის ერთად თავმოყრაა შესაძლებელი, ისე მათი შერწყმაც აუცილებელია!“<sup>339</sup>

ყურანში ალლაჰი, წარსულში ზოგიერთი ტომის ამალღებისა და ზოგიერთის დამცირების შესახებ, დაფიქრებას გვიბრძანებს.<sup>340</sup> ჩვენზე ადრე მოსული ტომების განადგურების დღეებისა და მიზეზების შესახებ დაფიქრება, ადამიანის ამქვეყნიური სულიერი სურ-

337. იბრაჰიმ ჯანანი, ჰადის ანსიკლოპედისი, 16, 252.

338. იბნ სადი, 1, 422-423.

339. რუთბეთულ ჰაიათი, გვ. 60.

340. იბრაჰიმი 14-5.





ვიღების დაოკებასა და ცოდვებისგან თავის დაცვას უზრუნველყოფს. ალლაჰი ბრძანებს:

„ნუთუ არ დაფიქრდებიან საკუთარ თავზე? რომ ალლაჰს არ გაუჩენია ცანი და მიწა და ის, რაც მათ შორისაა, თუ არა ჭეშმარიტებისთვის და მხოლოდ განსაზღვრული ვადით. მაგრამ ხალხთაგან მრავალი თავიანთ ღმერთთან შეხვედრის ,დიახაც, უარმყოფელნი არიან. ნუთუ არ უმოგზაურიათ მათ ქვეყანაზე და არ უნახავთ როგორი იყო აღსასრული მათი, რომელნიც მათ უწინ იყვნენ? ისინი მათზე ძლიერნი იყვნენ. ამუშავებდნენ მიწას და კეთილანყობდნენ მათზე უკეთ. და მივიდნენ მათთან შუამავალნი ცხადი მტკიცებებით. ალლაჰი არ ყოფილა უსამართლო მათ მიმართ, ისინი თავად მოექცნენ უსამართლოდ საკუთარ სულთ!“<sup>341</sup>

საყვარელმა შუამავალმა სიკვდილის შესახებაც ბევრი ფიქრი უბრძანა ადამიანებს. იმიტომ, რომ ადამიანი როდესაც ამქვეყანაზე ურთიერთობას განწყვეტს, მან თავისი გაკეთებული კარგისა და ცუდის შესახებ ალლაჰის წინაშე პასუხი უნდა აგოს. ამიტომ, სანამ დროა, უნდა დაფიქრდეს, რომ ეს დღე ოდესმე აუცილებლად დადგება და ამისთვის გარკვეული სამზადისი მომზადებული უნდა ჰქონდეს. ანუ აქედან გამომდინარეობს, რომ სიკვდილზე ფიქრი ცხოვრებას აზრს მატებს და იმქვეყანას ალამაზებს.

ადამიანის მიერ ჩადენილი ცოდვების შესახებ დაფიქრება და ალლაჰისგან პატიების თხოვნა, ალლაჰის გაჩენილი ტანჯვა-წამების შესახებ დაფიქრება, სიკვდილის გახსენება და ფიქრი იმაზე, თუ როგორ უნდა გაატაროს დარჩენილი სიცოცხლე, ალლაჰისთვის ადამიანის ყველაზე საყვარელი მოქმედებებია. შუამავალი ფიქრისთვის ძირითადად ღამეს იყენებდა. თვალცრემლიანი ფეხების დასიებამდე რუქუსა და სეჯდის სახით ალლაჰის წინაშე წარმდგარი — ყოველივე ამაზე ფიქრობდა.

ათა - ალლაჰმა შეინყალოს აიშეს შეეკითხა:

— შუამავლის ყველაზე გასაოცარი მდგომარეობის შესახებ შეგიძლია, მითხრა? აიშემ უპასუხა:

— მისი რომელი მდგომარეობა არ იყო გასაკვირი! ერთ ღამეს ჩემთან მოვიდა და ლოგინში დანვა. შემდეგ მკითხა:

341. სურა რუმი, აიათები 8-9.





— ნებას მომცემ, რომ ავდგე და ალლაჰს ვემსახურო?

მე ვუპასუხე:

— ალლაჰს ვფიცავ, რომ შენთან ერთად ყოფნა ძალიან მიყვარს, მაგრამ ის უფრო მიყვარს და ვაფასებ, რაც შენ გიყვარს. ამის შემდეგ ადგა, აბდესი აიღო, ნამაზის სალოცავად დადგა და ძალიან ბევრი იტირა. იმდენი იტირა, რომ ცრემლები გულმკერდზე ჩამოსდიოდა. მერე რუქუზე წავიდა და იქაც იტირა. მერე სეჯდეზე დავიდა და იქაც იტირა. სეჯდედან თავი წამოწია და კიდევ ერთხელ იტირა. ეს მდგომარეობა მანამ გაგრძელდა, სანამ ბილალი მოვიდოდა და დილის ლოცვისთვის ეზანს იკითხავდა. ბილალმა როცა დაინახა მტირალი შუამავალი, ჰკითხა:

— შუამავალო! წარსული და მომავალი ცოდვების ალლაჰის მიერ პატიების შემდეგ, რა გატირებს?

— *ალლაჰისთვის უამრავი მადლობის გადამხდელი ადამიანი არ ვიყო? ვფიცავ ალლაჰს, ამ ღამეს ისეთი აიათი ჩამოვიდა, რომ სირცხვილი იმ ადამიანებს, ვინც მას წაიკითხავს და მასზე არ დაფიქრდება!*

— *თქვა და აიათი წაიკითხა:*

إِنَّ فِي خَلْقِ السَّمَوَاتِ وَالْأَرْضِ وَاخْتِلَافِ اللَّيْلِ

وَالنَّهَارِ آيَاتٍ لِّأُولِي الْأَبْصَارِ

**„უეჭველად, გაჩენა ცათა და ქვეყნის და მონაცვლეობა ღამისა და დღისა სასწაულებია ბრძენკაცთ, ჭკუასაკითხთათვის.“<sup>342</sup>**

ალლაჰი სხვა აიათებში გვაუწყებს, რომ ურწმუნოები ამქვეყნიდან ისე წავიდნენ, რომ მათ ალლაჰის გაჩენილებიდან მისი ერთობის დამამტკიცებელი არაფერი შეუმჩნევიათ. ალლაჰის საყვარელი და მორწმუნე ადამიანები კი მას ხშირად იგონებენ. ისინი ბევრს ფიქრობენ ალლაჰის მიერ გაჩენილი ცის, დედამიწის, ადამიანისა და სხვა არსებების შესახებ, რომლებიც მხოლოდ მის განკარგულებაში არიან. ირგვლივ ყოველთვის ალლაჰის ძალასა და უფლებას ხედავენ. ისინი ხვდებიან, რომ ეს ყველაფერი ტყუილუბრალოდ არ არის შექმნილი. მათ იციან, რომ ალლაჰი ყოველგვარი ნაკლისგან დაცულია. ამიტომ ცდილობენ მასთან დაახლოებას. ბოლოს კი უდიდესი

342. სურა ალი იმრანი, აიათები 190; იბნ ჰიბბანი, 2 386.



ძალაუფლების მქონე ალლაჰისგან პატიებასა და ჯოჯოხეთისგან გადარჩენას ითხოვენ.

„არ დაფიქრდებით?“ „ვინც დაფიქრდება, მათთვის მტკიცებულებები არსებობს!“ — ალლაჰი ყურანის მრავალ ადგილას ამ სიტყვებით მორწმუნეებს ფიქრისკენ მოუწოდებს. მან ადამიანის დასაფიქრებლად უთვალავი არსება გააჩინა, ყველაფერი, რაც ცაში, დედამიწაზე და მათ შორის არსებობს. ერთ აიათში ალლაჰი ბრძანებს:

„(ალლაჰს) იმ(წყლ)ით თქვენთვის მარცვალი, ზეთისხილი, ფინიკი, ყურძენი და ყოველგვარი ნაყოფი მოჰყავს. ჭეშმარიტად, ყოველივე ამაში — დამფიქრებელი ხალხისთვის სასწაული.“<sup>343</sup>

როდესაც ადამიანი ნამაზზე დგას, ეს თავისთავად ალლაჰის სიდიადის შესახებ ფიქრს ნიშნავს. აბუ ზერი ამასთან დაკავშირებით ასე ბრძანებს:

„შუამავალი ერთ დღეს ფეხზე მდგომარე კითხულობდა:

إِنْ تَعْبُدُهُمْ فَإِنَّهُمْ عِبَادُكَ  
وَإِنْ تَغْفِرْ لَهُمْ فَإِنَّكَ أَنْتَ الْعَزِيزُ الْحَكِيمُ

„და თუ მათ დასჯი, ეჭვი არ არსებობს, რომ ისინი შენი მსახურნი არიან. და თუ მიუტევებ მათ, ეჭვი არ არსებობს, რომ შენა ხარ ძლევამოსილი, ბრძენი!“<sup>344</sup>

ეს აიათი შუამავალმა დილამდე ფეხზე მდგომარე იკითხა.“<sup>345</sup>

როგორც ამ აიათებიდან და ჰადისებიდან ჩანს, ყოველი ღვთისმსახურება, საუბარი, ყოველგვარი მოქმედება დაფიქრებით უნდა გაკეთდეს. ალი, კითხვის დროს დაფიქრების შესახებ, ასე ბრძანებს:

„დაუფიქრებლად ნაკითხ ყურანსა და უმიზნოდ გაკეთებულ ღვთისმსახურებას არავითარი სიკეთე არ მოაქვს. ნამდვილი განათლებული და ჭკვიანი ადამიანი ისეთია, რომელიც ალლაჰისგან

343. სურა ნაჰლი, აიათი 11.

344. სურა მაიდე, აიათი 118.

345. ნესაი, იფთითაჰი, 79. იბნ ჰანბელი, 5, 156.





გადარჩენის იმედს არასდროს დაკარგავს და ყურანზე წინ არაფერს დააყენებს.“<sup>346</sup>

ალლაჰი, ისე როგორც მორწმუნეებს, ასევე ურწმუნოებსაც დაფიქრებისკენ მოუწოდებს:

„უთხარი: „მე მხოლოდ მოგცემთ ერთ დარიგებას: „რომ ფეხზე წამოდგეთ ალლაჰისათვის ორ-ორად და კენტად, მერე კი დაფიქრდით. თქვენს მეგობარს არანაირი შეშლილობის ნიშანწყალი არ ეტყობა. ის მხოლოდ შემგონებელია თქვენთვის, სასტიკი სასჯელის წინაშე!“<sup>347</sup>

ამ აიათის საშუალებით, შუამავალი, ურწმუნოებს მარტოდ ან ჯგუფურად ალლაჰზე ღვთისმსახურებასა და იმაზე დაფიქრებას მოუწოდებს, რომ თვითონ ნამდვილად შუამავალია. აგრეთვე, ახსენებს შუამავალი, რომ ამ რჩევის გათვალისწინების შემთხვევაში, მათთვის გასაგები იქნება, თუ დანარჩენი რა უნდა აკეთონ და როგორ მოიქცნენ. ეს ყველაფერი ალლაჰის წინაშე გულითადი მსახურებითა და დაფიქრებით შეიძლება გაკეთდეს.

ლოყმან შუამავალი მარტოდმარტო მყუდრო ადგილას ხშირად განცალკევდებოდა და ფიქრს მიეცემოდა. მას ჰკითხეს:

— მარტო რატომ ზიხარ, ხალხთან ერთად რომ დაჯდე და სემინარი გამართო, უფრო კარგი არ იქნება? ლოყმან შუამავალმა კი ასეთი პასუხი გასცა:

— ადამიანი რომ დაფიქრდე, ამისათვის მარტოდ ყოფნა უფრო ხელსაყრელია. ბევრი ფიქრი კი ადამიანს სამოთხის კარებისკენ უბიძგებს.

„ეს ქვეყანა თავიდან ბოლომდე ალლაჰის დიდი წიგნია. ამ წიგნის რომელ ასოსაც ნაიკითხავ, მის მნიშვნელობაში ალლაჰის არსებობას ამოიკითხავ. ამ ქვეყანაზე რომელ საკითხზეც არ უნდა დაფიქრდეს, ბოლოს მაინც ალლაჰთან მიაღწევ.“

ვინც ფიქრის საშუალებით ალლაჰის სიახლოვეს მიაღწია, ის სულიერ სიმშვიდეს ჰპოვებს, ის ამ მდგომარეობით პირდაპირ სამოთხეში აღმოჩნდება და ალლაჰის სახის ხილვის უფლებას მოიპოვებს.

346. იბრაჰიმ ჯანანი, 15, 24.

347. სურა სებე, აიათი 46.





## 7. ზიქრი (ალლაჰის ხსენება) და თავისი თავის განსჯა

განა არ დამდგარა დრო იმათთვის, რომელთაც ირწმუნეს, რომ ძრწოდნენ გულნი მათნი ალლაჰის შეხსენებისთვის და იმით, რაც ზემოველინა ჭეშმარიტებიდან?

სურა ჰადიდი, აიათი 16

ალლაჰი ყურანის მრავალ აიათში მისი ხსენების აუცილებლობის შესახებ გვახსენებს, რათა იმქვეყნად მუდმივი ბედნიერება მოვიპოვოთ. სურა „აჰზაბში“ ყოვლისშემძლე ალლაჰი ბრძანებს:

**„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გაიხსენეთ ალლაჰი მრავალგზის! და ადიდეთ დილით და საღამოს!“<sup>348</sup>**

მდგომარე, მჯდომარე, დაჯდომოსას, მწოლიარე, სიარულში — ვახსენოთ ის მუდმივად, ნებისმიერ სიტუაციაში:

الَّذِينَ يَذْكُرُونَ اللَّهَ قِيَامًا وَقُعُودًا وَعَلَىٰ جُنُوبِهِمْ

**„რომელნიც ალლაჰს ახსენებენ ფეხზე მდგომარე, მჯდომარე თუ მწოლიარე“<sup>349</sup>**

ალლაჰი ადამიანისგან მის გახსენებას ისეთ მნიშვნელობას ანიჭებს, რომ ქონებამ, შვილებმა, ცხოვრებამ, ვაჭრობამ მას ხელი არ უნდა შეუშალოს:

يَا أَيُّهَا الَّذِينَ ءَامَنُوا لَا تُلْهِكُمْ أَمْوَالُكُمْ وَلَا أَوْلَادُكُمْ عَن ذِكْرِ اللَّهِ

**„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არმოგაცდინოთ თქვენ თქვენმა ქონებამ და შვილებმა ალლაჰის მოხსენიებისაგან, რამეთუ ვინც იქმს ამას, სწორედ ისინი არიან წაწყმედილნი.“<sup>350</sup>**

ალლაჰი, არა მარტო იმ ადამიანებს მოუწოდებს სწორი გზისკენ, ვინც ამქვეყნიური საქმეებით არის გართული და ალლაჰის გახსენება მეორეხარისხოვნად მიაჩნია, არამედ იმათაც, ვინც ალლაჰს ხში-

348. სურა აჰზაბი, აიათები 41-42.

349. სურა ალი იმრანი, აიათი 191.

350. სურა მუნაფიყუნ, აიათი 9.





რად ახსენებს და თავისი ცხოვრების დროის უდიდეს ნაწილს სწორედ მასზე ფიქრს უთმობს:

**„კაცთ, რომელთაც ვაჭრობა და ყიდვა-გაყიდვა ვერ მოსწყვეტს ალლაჰის მოხსენიებას, ლოცვის აღვლენას და ზექათის გაღებას, მათ ეშინიათ დღის, როცა შეძრწუნდება გულნი და თვალნი.“<sup>351</sup>**

ადამიანი, ალლაჰს სამი ფორმით მოიგონებს: ენით, გულით და სხეულით.

ენით — ალლაჰის ულამაზესი სახელების წარმოთქმით, ყურანის კითხვითა და ვედრებით.

გულით — ალლაჰის არსებობის დამამტკიცებელ გარემოებებზე დაფიქრებით, გულში არსებული ეჭვების გაფანტვით. მისი ყველა ბრძანებისა და აკრძალულების დაჯერებითა და მორჩილებით.

სხეულით — ალლაჰის ბრძანებების შესრულება სხეულით, ანუ მოქმედებით.

ამგვარად, ალლაჰი მიცემული სარჩო-სანოვაგისთვის მადლიერს და მის შემფასებელს შეინყალებს. მას მიცემულ სარჩო-სანოვაგეს მოუმატებს და გასაჭირიდანაც იხსნის.

ამიტომ არის, რომ შუამავალი ალლაჰის ხსენებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მისი გული დღისითაც და ღამითაც ალლაჰის ფიქრით იყო დაკავებული და ამას ენითაც ამტკიცებდა. როდესაც რაიმეს ჭამა ან დალევა სურდა — ყველაფერს ალლაჰის სახელით აკეთებდა. ჭამის დამთავრების შემდეგაც აუცილებლად ალლაჰს მადლობას მოახსენებდა. ლოგინში დანოლისა და გაღვიძების დროსაც, პირველ რიგში, ალლაჰის სახელს ახსენებდა. ასევე დაჯდომისა და ადგომის დროსაც იგივეს აკეთებდა. ახალი ტანსაცმლის ჩაცმის დროსაც, პირველად ალლაჰის სახელს ახსენებდა. ვინც შუამავლის ცხოვრება კარგად იცის და მის თითოეულ ნაბიჯს აკვირდება, დაინახავს, რომ მას ალლაჰი ძალიან უყვარდა და მის წინაშე უდიდესი მორჩილებით გამოირჩეოდა. აქედან გამომდინარეობს ის, რომ შუამავალი ალლაჰს მრავალ ვედრებას ჩუმად უკეთებდა. აიშე ბრძანებს:

**„შუამავალიყოველწიუსაღლაჰისხსენებითიყოდაკავებული.“<sup>352</sup>**

351. სურა ნური, აიათი 37.

352. მუსლიმი, ჰაიზი, 117.





შუამავლის შეხედულებით, ალლაჰის ხსენებას იმოდენა ფასი აქვს, რომ მთლიანად ეს ქვეყანა მასთან შედარებით საერთოდ უმნიშვნელო რამედ რჩება. ის ჰადისში ასე ბრძანებს:

მოკლე ცხოვრების განმავლობაში, ამქვეყნად რომ ბევრი სიკეთე აკეთო და მეტი მადლი მოიგო, საჭიროა სწორი მიმართულების არჩევა და მოქმედება. ამ მხრივ, შუამავალი სიტყვებით მოკლე, მაგრამ ღრმა მნიშვნელობის გამონათქვამებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ერთ დღეს, დილის ნამაზის ლოცვის შემდეგ, როცა ჯუვეირიე ჯერ კიდევ ნამაზს ლოცულობდა, შუამავალი სახლიდან გავიდა. ქუშლუქის (დრო მზის ამოსვლიდან შუადღემდე) დროს, როდესაც სახლში დაბრუნდა ნახა, რომ ჯუვეირიეს ლოცვა ჯერ კიდევ არ დაემთავრებინა:

„— რაც ნავედი მას შემდეგ აქ ზიხარ და ალლაჰის ხსენებაში გაატარე მთელი ეს დრო? — ჰკითხა შუამავალმა, რაზეც მან „დიახ“ პასუხი მიიღო. შემდეგ მას უთხრა:

— შენგან ნასვლის შემდეგ ჩემ მიერ სამჯერ ნათქვამი ოთხი წინადადება და შენ მიერ დილას აქეთ გაკეთებული ვედრება რომ ავწონოთ, მადლის მხრივ ერთნაირი სიმძიმე ექნება:

„მე ალლაჰს ვაქებ, ვადიდებ და მადლიერებას გამოვთქვამ უსასრულოდ“

ალლაჰმა თავის გაჩენილ საყვარელ ადამიანს, სამოთხეში მალა-ლი საფეხურის მოსაპოვებლად, რბილად და ადვილად სათქმელი ვედრება ასწავლა, რადგან ალლაჰის მიერ ადამიანისთვის მიცემული სარჩო-სანოვანის ზომა უსაზღვროა. სად იბნ აბუ ვაყყასი ასე ამბობს:

„ერთ დღეს შუამავლის ერთად ვიყავით, როცა მან ბრძანა:

— „რომელიმე თქვენგანს იმის სურვილი გააჩნია, რომ დღეში ათასი მადლი მოიგოს?“

ჩვენგან ერთ-ერთმა ჰკითხა:

— ადამიანი დღეში ათასი მადლის მოგებას როგორ შეძლებს, შუამავალო?!

შუამავალმა უპასუხა:





— ასჯერ „სუბჰანელლაჰი—“ს მოქმელ ადამიანს ათასი სიკეთე დაენერება ან ათასი ცოდვა ეპატიება.“<sup>353</sup>

ადამიანის მიერ თავისი სანადელის მიღწევა შესაძლებელია მუდმივად ალლაჰის ფიქრითა და იმის წარმოდგენით, რომ სადაც არ უნდა იყოს და რასაც არ უნდა აკეთებდეს, ალლაჰი მას ყოველთვის ხედავს. ამ ფორმით ცხოვრების გამკონტროლებელი ადამიანი ისე როგორც ცუდი საქმეებისგან დარჩება შორს, ასევე კარგი საქმისა და სიკეთის კეთებაშიც უკან არ დაიხევს. ამ ხერხით სიყვარულს ცასა და დედამიწაზე სხვების გულებში შეიტანს. ასეთი ადამიანი ალლაჰსაც უყვარს და სხვებსაც. შუამავალი ალლაჰის ასეთ სიტყვებს გადმოგვცემს: „*მე ადამიანს თავისი მოქმედების მიხედვით ვექცევ. როდესაც მახსენებს, მეც მის გვერდით ვარ. როცა ის, რომელიმე ჯგუფთან ერთად გამიხსენებს, მეც მასზე უფრო ძვირფას ჯგუფთან ერთად ვავიხსენებ!*“<sup>354</sup>

თუ ადამიანი ღმერთს გულთხედავად გაიხსენებს და მის მოცემულ სარჩო-სანოვავის შესახებ კარგად დაფიქრდება, ალლაჰი მას გზაზე არსებულ ფარდას ჩამოუხსნის და ის თავის სულიერ წადილს ადვილად მიაღწევს. თუ ადამიანი ღმერთს ხალხთან ერთად გაიხსენებს და ამით მას ისლამის გავრცელების და ამალღების სურვილი ექნება, ალლაჰი მას ანგელოზებს შეაყვარებს და ისინი მისთვის ალლაჰს ვედრებას გაუკეთებენ. ამგვარად, მას სიუხვე მოემატება. შემდეგ მასში არსებული პრობლემები სიყვარულით შეიცვლება. ასეთი რამეები კი ადამიანისთვის ყველაზე ძვირფასი საჩუქრებია.

ამ თემასთან დაკავშირებით, ბიშრი ჰაფიფი ერთ-ერთი ლამაზი მაგალითია. ის სიკვდილის შემდეგ სიზმარში ნახეს და ჰკითხეს: „ალლაჰმა შენ შესახებ როგორი გადანყვეტილება მიიღო?“ მან უპასუხა:

„ალლაჰმა ყველაფერი მაპატია, სამოთხის ნახევარი მიბოძა და მითხრა:

„*ბიშრ! შენ რომ ნაკვერჩხალზე შემდგარს ჩემთვის სეჯდე გაგეკეთებინა, მაშინაც კი ვერ გადაიხდიდი იმ სიყვარულსთვის,*

353. მუსლიმი, ზიქრი, 37.

354. ბუჰარი, თევჰიდი, 15. მუსლიმი, ზიქრი, 2.





მადლობას რომელიც შენდამი ადამიანთა გულებში მქონდა განთავსებული!“<sup>355</sup>

შუამავალი ალლაჰის ხსენებას ისეთ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომ თითქმის მთელ ღვთისმსახურებას მის ხსენებასთან აკავშირებდა. ამასთან დაკავშირებით შემდეგი მაგალითი ძალზე საყურადღებოა. „ერთ-ერთი თანამიმდევარი შუამავალთან მივიდა და უთხრა:

— რომელი ჯიჰადის გასამრჯელო უფრო დიდია? შუამავალმა უპასუხა:

— უდიდესი ალლაჰის ყველაზე მეტი მხსენებლის!

— რომელი მარხვის ფასია უფრო დიდი?

— უდიდესი ალლაჰის ყველაზე მეტი მხსენებლის! ამის შემდეგ ადამიანმა, ნამაზის მლოცავების, მარხვის შემსრულებლების, ჰაჯობის გამკეთებლების შესახებაც იგივე კითხვა გაუმეორა. შუამავალმა თითოეულ ამ შეკითხვას უპასუხა:

— უდიდესი ალლაჰის ყველაზე მეტი მხსენებლის! შემდეგ აბუ ბაქრმა ომარს მიმართა:

— აბუ ჰაფს! ალლაჰის მხსენებლებმა ყოველგვარი სიკეთე და მადლი წაიღეს! ამის გამგონი შუამავალი მათ მიუბრუნდა და უთხრა:

— დიახ, ნამდვილად ასეა!<sup>356</sup>

ალლაჰის ხსენება ადამიანის გულსა და სულს სრულიად ასუფთავებს. ასეთი გულით გაკეთებული ყოველგვარი ღვთისმსახურება, სხვა ადამიანების მიერ გაკეთებული ღვთისმსახურებისაგან განსხვავებულია.

შუამავალის დიდი სურვილი იყო, გულების გამწმენდი და ლაქის მომშორებელი ალლაჰის ხსენება, თანამიმდევრების გულებში ღრმად რწმენით შეეტანა. ამიტომ მათ ყველგან და ყოველთვის ალლაჰის ხშირად ხსენებას უბრძანებდა. მუაზ იბნ ჯებელი ამბობს, რომ ერთხელ ის შუამავალთან მისულა და უთქვამს:

„ — შუამავალო, მინდა, რაღაც რჩევა მომცე.

შუამავალმაც ურჩია:

355. ქუშაირი, გვ. 406.

356. იბნ ჰანბელი, 3 – 438. ჰეისემი, 10 – 74.





— ღვთისმოსავი და ღვთისმოშიში იყავი! სადაც არ უნდა იყო, ყველგან ალლაჰი ახსენე. ყოველი ხის ქვეშ და ყოველი ქვის გვერდით ალლაჰი ახსენე! თუკი რაღაც უღირს საქციელს ჩაიდენ, მაშინვე ილოცე და ალლაჰს პატიება სთხოვე ღიად, ხოლო ჩუმად ჩადენილ ცოდვებზე — მალულად.<sup>357</sup>

ალლაჰის მხსენებელსა და მის დამვიწყებელ ან დროის ტყუილად მფლანგავ ადამიანს შორის განსხვავება ისეთია, როგორც ცოცხალსა და მკვდარ ადამიანს შორის.<sup>358</sup> ამგვარად განსხვავებულია ღმერთის მხსენებელი სახლი ისეთი სახლისგან, სადაც მას არასდროს ახსენებენ.<sup>359</sup>

შუამავალი იმ ადამიანებს შეახსენებს საბედისწერო დასასრულის შესახებ, ვისაც ავინყდებათ, რომ ალლაჰი მათ ყოველთვის ხედავს. ალლაჰის დამვიწყებლები და ის ადამიანებიც, ვისაც ხანდახან ახსენდებათ იგი და ამის მიუხედავად, დიდ ცოდვებს სჩადიან, განკითხვის დღეს აუცილებლად დაისჯებიან. სამოთხეში შესული ასეთი მორწმუნეების შესახებ შუამავალი ბრძანებს:

„სამოთხის ბაღების მცხოვრებლები დიდ სინანულს მხოლოდ იმ წამებისთვის განიცდიან, რომლებიც ალლაჰის ხსენების გარეშე გაატარეს.“<sup>360</sup>

ამ მიზეზის გამო, შუამავალი იმქვეყნისთვის მომზადებას ურჩევს ხალხს, რათა შემდეგ სინანული არ დაეუფლოთ. უბეი იბნ ქააბი გადმოგვცემს: ღამის ორი მესამედის გასვლის შემდეგ შუამავალი გაიღვიძებდა, ადგებოდა და იტყოდა:

„ადამიანებო, ალლაჰი გაიხსენეთ! ალლაჰი გაიხსენეთ, რადგან მალე ისრაფილ ანგელოზი სურას ჩაბერავს და სამყაროს დასასრული დადგება. შემდეგ მეორედ ჩაბერავს. სიკვდილი მთელი თავისი სიმკაცრით მოვა.“<sup>361</sup>

ადამიანის მიერ ყოველთვის ალლაჰის ხსენება და მასზე ფიქრი, უეჭველია, რომ მხოლოდ თავისთავზე დამოკიდებული თვისება არ არის. ამ ღამაში თვისების მოპოვებისთვის, საჭიროა, ჯერ ძლიერი

357. ჰეისემი, X, 74.

358. ბუჰარი, დეავათი, 66.

359. მუსლიმი, მუსაფირინი, 211.

360. ჰეისემი, X, 73-74.

361. თირმიზი, ყიამეთი, 23.





მონდომება და მერე ალლაჰისგან დახმარების თხოვნა. მუაზ იბნ ჯუბელი ასე გადმოგვცემს:

ერთ დღეს შუამვალმა ხელი მომკიდა და მითხრა:

„— ვფიცავ ალლაჰს, შენ ძალიან მიყვარხარ!“

— მეც შენ მიყვარხარ, შუამვალო! — ვუპასუხე მე. შემდეგ მან მითხრა:

— ყოველი ნამაზის შემდეგ იკითხე ეს ვედრება;

„ო, დიდო ალლაჰო! დამეხმარე, რათა შენი ხსენება შევძლო, დაგემადლიერო შენ და ყველაზე მშვენიერი ფორმით ღვთისმსახურება შევასრულო!“<sup>362</sup>

მუდმივად ალლაჰის მხსენებელი ადამიანი ვალდებულია, ჯერ თავისთავს ძალა დაატანოს, ალლაჰს ვედრება გაუკეთოს და დახმარება სთხოვოს.

ხშირად ალლაჰის ხსენება და ამგვარად ცხოვრების მართვა ადამიანს ცოდვებისგან ათავისუფლებს და სიკეთის კეთებაში ეხმარება. იმიტომ, რომ ალლაჰისადმი კეთილგანწყობა და მასზე მინდობა ადამიანს ყოველგვარი ცოდვებისგან ათავისუფლებს და სულიერად აძლიერებს. ალლაჰი ბრძანებს:

أَلَا بِذِكْرِ اللَّهِ تَطْمَئِنُّ الْقُلُوبُ

„**დიახ, მხოლოდ ალლაჰის ხსენებით ჰპოვებს გულნი სიმშვიდეს!**“<sup>363</sup>

ალლაჰის მხსენებელი ადამიანი ეშმაკისაგან დაცულია და ანგელოზებიც მათთვის მუდმივად ვედრებას აკეთებენ. შუამავალი იაჰია ამბობს:

„ალლაჰი თქვენგან მის ხშირად გახსენებას ითხოვს. წარმოვიდგინოთ ვილაც ადამიანი, ვისაც მტერი ფეხდაფეხ მოსდევს. ამ ადამიანს თავის გადარჩენა მხოლოდ ციხესიმაგრის კედლებში შესვლით შეუძლია. მტრისგან თავის დასაცავად ციხესიმაგრეში შემსვლელი

362. ნესაი, სეჰიბი, 60. აბუ დავუდი, ვითრი, 26.

363. სურა რადი, აიათი 28.



ადამიანის მდგომარეობა, ზუსტად ჰგავს ეშმაკისაგან თავის დასაცავად ალლაჰის სახელის ხსენებას.<sup>364</sup>

ყველაზე მთავარი — ალლაჰის ხსენებითა და თავისთავის კონტროლით, ადამიანის ღმერთთან დაახლოებაა. ასეთი ადამიანები ალლაჰისთვის ძალიან საყვარელი და მასთან დაახლოებულები არიან. ერთ-ერთი ყუდსი ჰადისში ალლაჰი ბრძანებს:

„ჩემი მსახურებიდან — წმინდანებიდან და გაჩენილთაგან — საყვარლები, ჩემი მხსენებლები არიან, რომლებსაც ჩემი გახსენების სანაცვლოდ, მეც გავიხსენებ!“<sup>365</sup>

მთავარია, ალლაჰის ხსენება ნამდვილი მონდომებითა და გულთ მოხდეს, რადგან მათ გარეშე ის ფასი არ ექნება, რაც გულრწფელობით გაკეთებულს. შუამავალი ბრძანებს:

„ალლაჰი ეძებე, რომ ის იპოვო!“<sup>366</sup>

ადამიანის მოვალეობაა ალლაჰის თვისებების შესახებ დაფიქრდეს. ყურანში ნაბრძანებია:

قُلْ هُوَ اللَّهُ أَحَدٌ ۝ اللَّهُ الصَّمَدُ ۝ لَمْ يَلِدْ

وَلَمْ يُولَدْ ۝ لَمْ يَكُنْ لَهُ كُفُوًا أَحَدٌ

„თქვი: ის, ალლაჰი ერთადერთია! ალლაჰი „სამედია“ (ანუ ის არაფერზეა დამოკიდებული, პირიქით, ყველაფერი მასზეა დამოკიდებული)! არ შობილა და არც უშვია (მშობელი არ ყოფილა) და არც არავინ ყოფილა ბადალი მისი (და ვერც იქნება)!“<sup>367</sup>

وَهُوَ مَعَكُمْ أَيْنَ مَا كُنْتُمْ

„...იგი თქვენთანაა, სადაც არ უნდა იყოთ...“<sup>368</sup>

وَنَحْنُ أَقْرَبُ إِلَيْهِ مِنْ حَبْلِ الْوَرِيدِ

364. თირმიზი, ჯეჰენემი, 9.

365. იბნ ჰანბელი, 3-430.

366. იბნ ჰანბელი, 1-293.

367. სურა იხლასი 1-4

368. სურა ჰადიდი, აიათი 4.





„ჩვენ მასთან უფრო ახლოს ვართ, ვიდრე აორტა“<sup>369</sup>

يُحِبُّهُمْ وَيُحِبُّونَهُ

„...რომელნიც ეყვარება მას და რომელთაც ეყვარებათ იგი...“<sup>370</sup>

ამ აიათების ნაკითხვის დროს, საჭიროა მათ მნიშვნელობებზე დაფიქრება. ამით ადამიანს ალლაჰის მიმართ გრძნობები გაუძლიერდება, ხოლო მათი შესუსტების დროს, საჭიროა, მისი კიდევ ერთხელ ნაკითხვა და დაფიქრება. თუ ადამიანი ასე გააგრძელებს, მასში აუცილებლად გაიღვიძებს კეთილი გრძნობები და სწორ გზას დაადგება.

### 8. მუჰამედ შუამავლის ვედრებები

„(შე)ვედრეთ თქვეს ღმერთს შიშით და რუდუნებით.“

სურა აარაფი, აიათი 55

შუამავალი, თავის გონებაში, ყოველ წამს ალლაჰთან ერთად ატარებდა. ის ლლაჰის ყველაზე კარგადშემცნობი, ყველაზე მეტად მოშიში და მისი სიდიადის ყველაზე კარგად შემცნობი იყო. ამიტომ მის ღვთისმსახურებასა და ვედრებას ყოველთვის ალლაჰისადმი შეფარების ფორმა გააჩნდა. მაგრამ მთავარი ის არის, რომ შუამავალი ღმერთის მფარველობას არა მარტო თავისთვის, არამედ თავისი თანამიმდევრებისთვისაც სთხოვს.

ერთ დღეს მუჰამედ შუამავალმა იბრაჰიმ შუამავლის ვედრება ნაიკითხა:

رَبِّ إِنَّهُنَّ أَضَلَّلَن كَثِيرًا مِّنَ النَّاسِ

فَمَنْ تَبِعَنِي فَإِنَّهُ مِنِّي وَمَنْ عَصَانِي فَإِنَّكَ غَفُورٌ رَّحِيمٌ

369. სურა ყაჰფი, აიათი 16.

370. სურა მაიდე, აიათი 54.

„ღმერთო ჩემო! უეჭველად, მრავალი ადამიანი აცდუნეს მათ. ან, ვინც მე გამომყვება, უეჭველად, იგი ჩემიანია. ხოლო ვინც მე მეურჩება, მაშინ უეჭველად, შენა ხარ შემნდობი, მწყალობელი.“<sup>371</sup>

შემდეგ კი ისა შუამავლის ვედრება წაიკითხა:

إِنْ تَعَذَّبْتَهُمْ فَإِنَّهُمْ عَبَادُكَ  
وَإِنْ تَغْفِرْ لَهُمْ فَإِنَّكَ أَنْتَ الْعَزِيزُ الْحَكِيمُ

„და თუ მათ დასჯი, ეჭვი არ არსებობს, რომ ისინი შენი მსახურნი არიან. და თუ მიუტევებ მათ, ეჭვი არ არსებობს, რომ შენა ხარ ძლევამოსილი, ბრძენი!“<sup>372</sup>

მერე ხელები მაღლა ალაპყრო და ალლაჰს შეევედრა:

„ო, დიდო ალლაჰო! ჩემი მიმდევრები დაიფარე, ჩემს მიმდევრებს აპატიე, შეინყალე ისინი!“ —

ამის გამო, ღმერთმა ჯებრაილ ანგელოზი იხმო და უთხრა:

„ჯებრაილ! შენი ღმერთი ხომ ყოვლისმცოდნეა, ამიტომ წადი და მუჰამმედს ჰკითხე, თუ რატომ ტირის.“ ჯებრაილ ანგელოზი მუჰამმედ შუამავალთან მივიდა და ტირილის მიზეზი ჰკითხა. შუამავალმა უპასუხა, რომ მას მისი თანამიმდევრების ბედი ანუხებდა. როდესაც ჯებრაილ ანგელოზმა ალლაჰს მოახსენა მუჰამმედ შუამავლის პასუხი, მან ბრძანა:

„ჯებრაილ წადი და მუჰამმედს უმახარობლე, რომ მის შენს მიმდევრებთან დაკავშირებით კმაყოფილს დავტოვებთ და მაგის გამო მას არ დავამწუხრებთ!“<sup>373</sup>

ადამიანებზე ალლაჰის ბრძანებების გადაცემის, მათი გადარჩენის გამო, მრავალი უსიამოვნების აღმკვეთი და არასდროს უკან დახვევი შუამავალი, ადამიანების უსამართლო გზაზე ყოფნას ძალიან განიცდიდა. ამის გამო, ურწმუნოებისთვის რწმენის ჩანერგვას, მორწმუნეებისთვის სწორი გზის შენარჩუნებასა და ცოდვიანების-

371. სურა იბრაჰიმი, აიათი 36.

372. სურა მაიდე, აიათი 118.

373. მუსლიმი, იმანი, 346.





თვის ცოდვის პატიებას ალლაჰს მუდმივად ევედრებოდა. ამ გზით ცხოვრების გამო, მას მრავალი პრობლემა ხვდებოდა წინ, მაგრამ მტრებისგან გადასარჩენად ის ყოველთვის ალლაჰს ეფარებოდა. აბუ ზერრის გადმოცემის მიხედვით, ერთ დღეს შუამავალმა ნამაზი ილოცა და სურა „მაიდეს“ 118-ე აიათის კითხვა დილამდე გააგრძელა. ის ამ აიათს რუქუზეც კითხულობდა და სეჯდეზეც.<sup>374</sup>

მექას ურწმუნოების მიერ, ჭეშმარიტი გზის უარყოფის გამო, შუამავალი სხვაგან უნდა წასულიყო. მისი ერთ-ერთი იმედი ტაიფი იყო და გადაწყვიტა იქ წასვლა. მაგრამ ტაიფში შუამავალი ურწმუნოებმა არ მიიღეს. მას დასცინეს და თავადების ბრძანებით მონებმა ქვების სროლა დაუწყეს. ერთი სიტყვით, დიდი შეურაცხყოფა მიაყენეს. მათი ნასროლი ქვებით შუამავალს ფეხები დაუსისხლიანდა. როდესაც მას ფეხების ტკივილის გამო სიარული აღარ შეეძლო და ძირს ჯდებოდა, აიძულებდნენ ფეხზე ამდგარიყო და სიარული გაეგრძელებინა, ხოლო როცა წავიდოდა, ისევ ქვებს უშენდნენ, დასცინოდნენ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ. როცა ამ ყველაფერს თავი დააღწია, შუამავალმა ცოტა დაისვენა, მერე ორი მუხლი ნამაზი ილოცა, ალლაჰის წინაშე ხელები მალლა აღაპყრო და შეევედრა:

*„ღმერთო! ფიზიკური სისუსტის, უყურადღებობისა და ხალხის მიერ დაცინვის გამო, შენს წინაშე ჩემს ჩვილსა და წუხილს გამოვხატავ!*

*მწყალებელო! შენ ხარ ყველა გაჭირვებულის ღმერთი და ჩემი ღმერთიც! ვის ხელებში მაგდებ? იმ ადამიანების, ვინც შენ არ გცნობს და შენი ყველაზე დიდი მტერია?“<sup>375</sup>*

შუამავლის ასეთი გულში ჩამწვდომი ვედრება, უეჭველია, მისი ყველაზე კარგად მცოდნე და მის მიმართ ყველაზე დიდი სიყვარულით განწყობილი ალლაჰისგან უპასუხოდ არ დარჩებოდა. ალლაჰმა მას ჯებრაილ ანგელოზი გაუგზავნა და უთხრა:

„თუ გინდა ორ მთას შევაერთებ და იმ ტომს, რომელმაც შენ დაგამცირა და ტანჯვა მოგაყენა, მთლიანად გავანადგურებ!“ მიუხედავად ამისა, მან ალლაჰს ტაიფის მცხოვრებლების შენდობა და პატიება სთხოვა.

374. იბნ ჰანბელი, 5-149.

375. ჰეისემი, 6, 35. იბნ ჰაშიმი, 2, 29-30.





მუჰამედ შუამავლის მეუღლე აიშე გვიყვება ერთ ეპიზოდს, რისი მონმეც გახდა ერთხელ ის:

„ერთ ღამეს გამოვიღვიძე, შუამავალი ჩემს გვერდით აღარ იყო. ირგვლივ ხელით ცეცება და მისი ძებნა დავიწყე. ამ დროს ხელით მის ფეხს შევეხე. მაშინ მივხვდი, რომ ის ალლაჰს სეჯდეს უკეთებდა. მის ვედრებას მოვუსმინე. ის ტიროდა და ალლაჰს ევედრებოდა:

*„ღმერთო! შენი ტანჯვისგან დამიფარე! შენ გარდა, სხვა ღმერთი არ არსებობს. შემიძლია, მხოლოდ შენ შეგეფარო! შენ როგორც მოისურვებ, ყველაფერი ისე იქნება!“<sup>376</sup>*

შუამავალი მუჰამედი ალლაჰს ევედრებოდა არა მარტო ძნელ ბედობისას, არამედ სიხარულისა და ბედნიერების დროს. ომარი ალლაჰის შუამავლის ერთ ვედრებას გადმოგვცემს, რომელიც მან ერთ-ერთი ბრძოლისას წაიკითხა:

„ბედირის ბრძოლის დროს, შუამავალმა ურწმუნოებს შეხედა, ისინი ათასი იყვნენ. თანამიმდევრები კი — სამას ცხრამეტი. მაშინვე ალლაჰის წინაშე ხელები მაღლა აღაპყრო და შეევედრა:

*„ო, ჩემო ალლაჰო! შეასრულე შენი პირობა, რომელიც მომეცი! ო, დიდო ალლაჰო! გვაჩუქე გამარჯვება! ო, დიდო ალლაჰო! თუკი შენ მუსლიმანების ამ ჯგუფს გაანადგურებს, მას შემდეგ დედამინაზე არ დარჩება მათგან არავინ, ვინც შენი ღვთისმსახური იქნებოდა.“*

ალლაჰის შუამავალი ხელებანეული ისეთი გრძნობითა და ემოციით ევედრებოდა ალლაჰს, რომ მოსასხამი მხრებიდან ძირს გადმოუვარდა. ამის მნახველი აბუ ბაქრი მასთან მივიდა, მოსასხამი მხრებზე მოხვია და უთხრა:

— შუამავალო! საკმარისია ალლაჰზე ამდენი ვედრება. იგი შენ თხოვნას აუცილებლად შეისმენს. ამ დროს ალლაჰმა შემდეგი აიათი გარდმოავლინა:

„(გაიხსენეთ), შველა სთხოვეთ თქვენ ღმერთს დასახმარებლად, და მან გიპასუხა: „მე თქვენ დასახმარებლად ათას ანგელოზს ერთი-

376. მუსლიმი, სალათი, 222.



მეორის მიყოლებით გამოგიგზავნი.“<sup>377</sup> მართლაც, იმ დღეს ალლაჰმა მუსლიმებს ანგელოზები გამოუგზავნა და დაეხმარა.“<sup>378</sup>

მუჰამმედ შუამავალი, ვისაც არ ჰყავდა სხვა საყრდენი, გარდა ყოვლის შემძლე ალლაჰისა, დაინახა რა მუსლიმები ბედირის ბრძოლაში აღმოჩნდნენ მძიმე მდგომარეობაში, ალლაჰს ასე შეევედრა:

*„დიდო ალლაჰო! ჩემი თანამიმდევრები მშვიერი არიან. გვედრები, ისინი გააძლე! ღმერთო, მათ შესაჯდომი ცხოველები არ ჰყავთ, გვედრები, დაეხმარე და მათ ცხოველები მიეცი! ღმერთო, მათ არც ტანსაცმელი აქვთ, გვედრები, დაეხმარე და ჩასაცმელი მიეცი!“*

ალლაჰმა მუსლიმებს ბედირის ბრძოლაში გამარჯვება აზეიმა. უკან დაბრუნებისას თითოეულ მათგანს, ერთის მაგივრად, ორი ცხოველი ჰყავდა. მათ ტანსაცმელიც ჩაიცვეს და შიმშილის გრძობაც დაიკმაყოფილეს.<sup>379</sup>

თანამიმდევრები როდესაც რაიმე გასაჭირში ჩავარდებოდნენ, მაშინვე შუამავალთან მიდიოდნენ და ალლაჰისთვის ვედრების გაკეთებას სთხოვდნენ. გარდა ამისა, ურწმუნოებიც ხშირად მიდიოდნენ შუამავალთან. როდესაც დიდი გვალვა და გაჭირვება იქნებოდა, დახმარებას მას სთხოვდნენ.<sup>380</sup> შუამავალმა, ერთ-ერთი გვალვის დროს, ალლაჰს შემდეგნაირი ვედრება გაუკეთა:

*„ღმერთო! შენ ერთადერთი ღმერთი ხარ. ყველაფერი შენს ხელშია და შენ ყველაფერი გაგაჩნია. ჩვენ კი გაჭირვებულები და ღარიბები ვართ. გთხოვთ, ნვიმა გამოგიგზავნო და ის ჩვენთვის სიკეთის მომტანი გამოაყენო!“<sup>381</sup>*

შუამავალი თანამიმდევრებისთვის ალლაჰზე ვედრებისა და თავშეფარების სასწავლებლად ხშირად მათთან ერთად აკეთებდა ვედრებას. რადგან ალლაჰი თითოეული თავისი მსახურისგან ვედრებას მოითხოვს:

377. სურა ენფალი, აიათები 8-9.

378. მუსლიმი, ჯიჰადი, 58. ბუჰარი, მელაზი, 4.

379. აბუ დავუდი, ჯიჰადი, 145.

380. ბუჰარი, თეფსირი, 44 – 2-3.

381. აბუ დავუდი, ისტისკა, 2.





„უთხარი: „თუ არ იქნება თქვენი ვედრებანი, რატომ მოგანიჭებთ ღირსებას ღმერთი ჩემი, როცა ის ცრუდ შერაცხეთ? უეჭველად, მალე ის (სასჯელი) გარდაუვალი შეიქნება!“<sup>382</sup>

უჰუდის ბრძოლაში ურწმუნოების დამარცხების შემდეგ შუამავალმა ხალხს მიმართა:

„ყველა მწკრივში ჩადექით და ალლაჰს ვედრება გაუუკეთოთ!“ თანამიმდევრები შუამავლის უკან ჩამწკრივდნენ. შუამავალმა შემდეგი ვედრება გააკეთა:

„დიდო ალლაჰო! ყოველგვარი ძალაუფლება შენს ხელშია! ღმერთო, შენს სურვილს ვერავინ შეაჩერებს, ვერც ვერავინ რაიმეს გაკეთებას დაგაძალებს! შენ გარდა ჭეშმარიტ გზაზე ვერავინ ვერავის დააყენებს და შენს გარდა ჭეშმარიტ გზასაც ვერავინ ვერავის ვერ ჩამოაშორებს ვერავინ მიიღებს, შენს გადაწყვეტილებას ვერც ვერავინ შეგაცვლევინებს! შენ რასაც არ მისცემ, მას ვერავინ მისცემს; შენს მიცემულს კი ვერავინ შეუშლის ხელს! შენ მიერ დაშორებულს ვერავინ დაახლოებს, ვერც შენს დაახლოებულს ვერავინ დააშორებს!

დიდო ალლაჰო! შენი წყალობა და სიუხვე არ მოგვაკლო! დიდო ალლაჰო! შენგან ისეთ წყალობას ვითხოვთ, რომელსაც ვერავინ წაგვართმევს და არასდროს გაგვითავდება!

დიდო ალლაჰო! გაჭირვების დროს სარჩოს და შიშის დროს გამბედაობას გთხოვთ! შენგან მოვლენილსა და ჯერ კიდევ მოუვლენელი წვალბებისგან გადარჩენას გთხოვთ!

დიდო ალლაჰო! რწმენა შეგვაყვარე, ჩვენს გულებში ის გააძლიერე! ცოდვები და ცუდი საქმეები შეგვაძულე! რწმენისა და ქვეყნისთვის სიკეთე გვაკეთებინე და სწორი გზის მიმდევრებიდან გვამყოფე!

დიდო ალლაჰო! ამქვეყნად მუსლიმანად გვაცხოვრე და იმქვეყნადაც მუსლიმანად წავვიყვანე!

ადამიანის მიერ ალლაჰზე ვედრების გაკეთება და შეფარება, ყველაფერთან ერთად, ალლაჰის დაფასებაც არის. ამიტომ ასეთი

382. სურა ფურყანი, აიათი 77.



საქციელი ალლაჰს ძალიან მოსწონს და ამის გამკეთებელი ადამიანები ძალიან უყვარს. ალლაჰს ის ადამიანები არ გაუკეთებენ ვედრებას, ვისაც თავისთავი ძალიან მოსწონს და ამაყია. ასეთი ადამიანები ალლაჰისთვის საყვარელი ვერასდროს გახდებიან.



ამ თავში ჩვენ შევეცადეთ მუჰამმედ შუამავლის ზოგიერთი მხარე გაგვეშუქებინა, ვინც არის „უსვეი ჰესენე“ (მისაბადი მაგალითი). გვინდოდა გვეთქვა, რომ შეუძლებელია მისი რელიგიური ცხოვრების სრული აღწერა, უნდა შევეცადოთ მის მაგალითს მივსდეთ, მისი მოქმედებები გულმოდგინედ შევისწავლოთ. ეჭვი არ არის იმაში, რომ მუჰამმედ შუამავალი არის პიროვნება, ვინც ჩვენ ყოვლისშემძლე ალლაჰმა ნიშნად და იდეალად გამოგვიგზავნა. მან გამოგზავნა მუჰამმედ შუამავალი, რათა კაცობრიობისთვის ღვთისმსახურება ესწავლებინა.

ღვთისმსახურების ყველა სახე, რომელთა შესრულებაც ალლაჰის მიერ ნაბრძანებია, მიცემული პირობისადმი ჩვენი ერთგულების დემონსტრაციაა. ღვთისმსახურების ყველა სახე საშუალებას აძლევს ადამიანს სულიერ სრულყოფას მიაღწიოს და ჩვენი ცხოვრება როგორც ამ ქვეყნად, ისე იმქვეყნად შეამსუბუქოს. აჩვენებდა რა ღვთისმსახურების არსს და მნიშვნელობას, მევლანა ჯალალედინ რუმი წერდა:

*„ნამაზი, მარხვა, ჰაჯობა და ალლაჰის გზაზე ბრძოლა, იმქვეყნად ადამიანის მონმეები არიან. ზეჟათის მიცემა, მეგობრებზე დახმარება, ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა და სიკეთის კეთება შუამავლის მისაბადი მაგალითები და იმქვეყნად ადამიანის გადამრჩენი საქმეებია. ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ალლაჰზე მიცემული სიტყვის გამკეთებლები, კარგი მუსლიმანები და სამაგალითო ადამიანები ვართ.“*

*სხვაზე მიცემული საჩუქრით, გაკეთებული სიკეთით, განა ის არ გამოიხატება, რომ ჩვენ მის გვერდით ვართ და ის გვიყვარს, რომელიც იმქვეყანას ჩვენი მონმე იქნება?!“*

შესრულებული მარხვა ადამიანს იმქვეყნად მონმედ დაუდგება და ალლაჰს ეტყვის: „ამ ადამიანმა შენი ბრძანების შესრულების გამო, მაშინ, როდესაც წინ ჰალალის საჭმელი და სასმელი ჰქონდა,





უარი თქვა და იმარხულა. ამის შემდეგ მას როგორ შეეძლო, რომ ჰარამი ეჭამა?“

მიცემული ზეკათი იტყვის: „მან თავისი საყვარელი ქონების ნაწილი გამოყო და გაჭირვებულებს დაურიგა. ამ ადამიანს განა შეეძლო, რომ სხვისთვის რაიმე მოეპარა?“

მაგრამ თუკი ეს საქმეები არა ალლაჰის ბრძანებით, არამედ სხვის დასანახად და მოსატყუებლად კეთდება, მაშინ ისე აღარ მოხდება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ.<sup>383</sup>

*ყოველივე ამის გაკეთება ადამიანს სულიერად გაასუფთავებს და აამაღლებს. შუამავლის, როგორც სხვა საქმეები, ასევე ღვთისმსახურება ბევრი ან ცოტა კი არა, მისი შეუწყვეტელი და ყოველდღიური საქმე იყო. იგი ჰადისში ბრძანებს: „ალლაჰის წინაშე ყველაზე ძვირფასი და მოსაწონი, ცოტა, მაგრამ განუწყვეტელი ღვთისმსახურებაა!“<sup>384</sup>*

მუჰამედ შუამავალი ყოველ ნუთს ღვთისმსახურებით იყო დაკავებული. თუკი ადამიანი მას დააკვირდებოდა იფიქრებდა, რომ ის ამის გარდა, სხვა არაფერს აკეთებდა. მის გაკეთებულ საქმეებს რომ ადამიანი დაინახავდა, იფიქრებდა და იტყოდა, რომ მას ალბათ ღვთისმსახურებისათვის დრო აღარ დარჩებოდა. მაგრამ ამ უდიდესი შუამავლის ცხოვრებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი და მაგალითის გადმოსაღები მისი ღვთისნიერი ცხოვრებაა.

შუამავალი, ღვთისმსახურებასთან ერთად, სხვა საქმეებსაც აკეთებდა. ის ოჯახსაც უყურებდა, გაჭირვებულებსაც ეხმარებოდა, თავის მიმდევრებს ხელმძღვანელობას უწევდა, ქვეყანას მართავდა, სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობას ამყარებდა და ისლამისკენ მოუწოდებდა, უცხო ქვეყნებიდან ჩასულ ელჩებს ღებულობდა და უმასპინძლებოდა, ისლამის მიმართ მტრულად განწყობილი ხალხის წინააღმდეგ იბრძოდა, ადამიანთა სხვადასხვა პრობლემებს აგვარებდა, ალლაჰის ნაბრძანებ კანონებს ადამიანებს აცნობდა, სამართლიანობის მაგალითებს აჩვენებდა, ალლაჰის ნაბრძანები აიათების თეფსირს (განმარტება) აკეთებდა, სუნნეთის შესახებ ადამიანებს ესაუბრებოდა, კანონს ამყარებდა და აკონტროლებდა.

383. მესნევი, ბეითი, 183-191.

384. ბუჰარი, რიყაყი, 18.





## IV. შუამავალის შეხედულება ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ ცხოვრებაზე

*...ახსენე სახელი შენი ღმერთის და მთელი ძალისხმევით იღვანე მისკენ ყველაფრისგან შორს. იგია ღმერთი აღმოსავლეთისა და დასავლეთის. არ არსებობს ღვთაება, გარდა მისი. მაშ, იგი დაიდგინე მფარველად!*

სურა მუზემმილი, აიათი 8-9.

მორწმუნე ადამიანისთვის ალლაჰის კმაყოფილების მოპოვება და სულიერი სიმშვიდე ძალიან მნიშვნელოვანია. როგორც ყველა სფეროში, ასევე ამ შემთხვევაშიც, მუჰამედ შუამავალის ცხოვრება ყველა ადამიანისთვის საუკეთესო მაგალითია.

ასკეტური ცხოვრება მოთხოვნილებასა და გატაცებაზე უარის თქმას ნიშნავს. რაიმეზე უარის თქმა, ან ზურგის შექცევა, მისი არაფრად ჩაგდებისა და გაუფასურებიდან გამომდინარეობს.

ამგვარად, ასკეტური ცხოვრების საშუალებით, ამქვეყნიური დროებითი საქმეებისგან თავის შორს დაჭერა და მისი გულიდან ამოგდება, მხოლოდ იმქვეყნის სიყვარულით არის შესაძლებელი.

ადამიანი, განდეგილი რომ გახდეს, მიუხედავად ამქვეყნად არსებული გარკვეული საშუალებებისა, მრავალი მათგანისგან თავი უნდა შეიკავოს. ამ თემასთან დაკავშირებით, მალიქ იბნ დინარი თავისთავზე ამბობს: „ადამიანები მალიქ იბნ დინარის ასკეტიზმზე საუბრობენ, მაგრამ ნამდვილი ასკეტი ომარ იბნ აბდულ აზიზია, რომელიც ყველაფრის მიუხედავად, ამქვეყნიურით არაფრით გატაცებულა.“<sup>385</sup>

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი რამეები, რითაც ადამიანი არ არის გატაცებული, და მათზე უარს იტყვის, ის ასკეტად

385. იბნ ჰანბელი, 5, 249.



არ ჩაითვლება. მაგალითად, იაფფასიანზე არა და ოქრო ვერცხლზე უარის მთქმელ ადამიანს ასკეტი შეიძლება ვუნოდოთ.

ასკეტიზმი მორწმუნე ადამიანთა სულიერების დონის მიხედვით, სამი ხარისხისაა:

პირველი — ჰარამზე უარის თქმა. ეს რიგითი მუსლიმის ასკეტიზმია;

მეორე — ნებადართულის ზედმეტი რაოდენობით მოხმარებაზე უარის თქმა,;

მესამე — ალლაჰზე დაფიქრების და გახსენების ყველა ხელისშემშლელ ფაქტორზე უარის თქმა. ამათგან, ყველაზე ძნელი მესამე საფეხურია, რადგან ალლაჰზე დაფიქრების და გახსენების დროს, ყოველგვარი ფიქრი, როგორც ამქვეყნის, ისე სამოთხის სილამაზის შესახებ თავიდან უნდა ამოიგდოს.

### **1. მუჰამედ შუამავლის შეხედულება ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ ცხოვრებაზე**

ამქვეყნისადმი ზურგის შექცევას და მთლიანად ალლაჰისადმი კონცენტრირებას, ყურანის მიხედვით, განდევნილობა ეწოდება. როდესაც ამქვეყნისა და იმქვეყნის შორის არჩევანის გაკეთების აუცილებლობაზე არის საუბარი, აიათი დაუფიქრებლად იმქვეყნის არჩევანის გაკეთებას მოითხოვს. ამის საწინააღმდეგოდ მოქმედ ადამიანებს ყურანი სასტიკად ძრახავს.<sup>386</sup>

**„ რომელთაც საიქიოზე უფრო მეტად უყვართ მიწიერი ცხოვრება, და აცდუნებენ ალლაჰის გზიდან, და სურთ მისი გამრუდება. სწორედ ეგენი არიან ღრმა ცდომილებაში.“**

ყურანის მიხედვით, ამქვეყნიური ცხოვრება ადამიანის დროებითი სიამოვნებით გამტაცებელია და მისი ფასი, იმქვეყნისათან შედარებით, ძალიან პატარაა. ის, ცეკვა-სიმღერის მსგავსად, დროებითი გასართობი რამ არის.

386. იბრაჰიმი, 14-3. სურა ნაზიათი, აიათები 37-39.



**„და არაფერია ამქვეყნიური ცხოვრება თუ არა თამაში და გართობა. და იმქვეყნიური ცხოვრება, უთუოდ, უკეთესია მათთვის, რომელნიც იყვნენ მოკრძალებულნი. განა კიდევ არ მოგეებით გონს?“<sup>387</sup>**

საუკეთესო მაგალითის მქონე შუამავალი ადამიანთა შორის ყველაზე დიდი განდევილი იყო. მის მიერ ნაწარმოები ბრძოლების შედეგად უთვალავი რაოდენობის ქონების მოპოვების მიუხედავად, მის სახლში რამდენიმე დღეს ზედიზედ ცხელი საჭმლის სუნი არ დამდგარა. ეს მაშინ, როცა მას ალლაჰის მხრიდან ბრძოლის დროს მოპოვებული ქონების მეხუთედის გამოყენების უფლება ჰქონდა მინიჭებული.

**„და იცოდეთ, რომ თუ რამე ალაფს მოიპოვებთ, უეჭველად, ამის მეხუთედი ალლაჰისაა, მისი შუამავალის და ახლო ნათესავების, ობლებისა და უპოვრების და მგზავრების.“<sup>388</sup>**

მაგალითად, ავილოთ ჰუნეინის ბრძოლა, სადაც მოპოვებული იქნა ორმოცი ათასი ცხვარი, ოცდაოთხი ათასი აქლემი, ექვსასი ტყვე და ოთხასი უყიე ვერცხლი.<sup>389</sup> ამათ გარდა, კიდევ სხვა ბრძოლებში მოპოვებული დიდძალი ქონებით და სხვადასხვა ქვეყნის ხელმწიფეებისგან ნაჩუქარი საჩუქრებით შუამავალს შეეძლო გაცილებით მდიდრულად ცხოვრება, მაგრამ ასეთი ცხოვრება შუამავალის ცხოვრების სტილის საწინააღმდეგო იყო. ის ერთ-ერთ ჰადისში ბრძანებს:

*„უჭუდის მთისოდენა ოქრო, რომ მქონდეს, არსებულ ვალს გადავიხდის, დანარჩენს კი სამ დღეზე მეტხანს სახლში არ გავაჩერებდი და მთლიანად გაჭირვებულებს დავურიგებდი.“<sup>390</sup>* ამ ჰადისით შუამავალი ამქვეყნიური ქონების მიმართ თავის დამოკიდებულებას გამოხატავს. ამას გარდა, შუამავალმა ყურანის კანონებზე დაყრდნობით, ცოლებს ერთი თვე თავისუფლება მიანიჭა, რათა ალლაჰის, მის შუამავალის, მომავალი ცხოვრების სიმშვენიერესა და წუთისოფელს შორის არჩევანი გაეკეთებინათ. ალლაჰმა ამ თემასთან დაკავშირებით აიათში ბრძანა:

يَا أَيُّهَا النَّبِيُّ قُلْ لَأَزْوَاجِكُمْ إِن كُنْتُمْ تَرُدُّنَّ

387. სურა ენლამი, აიათი 32.

388. სურა ენფალი, აიათი 41.

389. წონის ერთეული იმდროინდეს არაბათში.

390. ბუჰარი, თემენნა, 2.



الْحَيَاةَ الدُّنْيَا وَزِينَتَهَا فَتَعَالَيْنِ أُمَتِّعَنَّ وَأَسْرَحَنَّ  
سَرَاحًا جَمِيلًا وَإِنْ كُنْتُمْ تُرِيدُونَ اللَّهَ وَرَسُولَهُ وَالْأَرْضَ  
الْآخِرَةَ فَإِنَّ اللَّهَ أَعَدَّ لِلْمُحْسِنَاتِ مِنْكُنَّ أَجْرًا عَظِيمًا

„ჰეი, შუამავალო! უთხარი შენს ცოლებს: თუ გასურთ ამქვეყნიური ცხოვრება და სამშვენივრები მისი, მაშ, მოდით, მოგცემ განქორწინების საფასურს და მშვენივრად გაგიშვებთ! და თუ თქვენ ირჩევთ ალლაჰს, მის შუამავალს და უკანასკნელ დღეს, უეჭველად, ალლაჰმა თქვენგან კეთილისმქმნელთათვის მზადჰყო საზღაური დიადი!“<sup>391</sup>

ამის შემდეგ, შუამავალმა მეუღლეები თითო-თითო დაიბარა. აი-შეს ჰკითხა:

„— მე შენთან ერთი წინადადება მაქვს, პასუხის გაცემა არ იჩქარო, მშობლებთან მოლაპარაკების შემდეგ პასუხი გამეცი. განცვიფრებულმა აიშემ უპასუხა:

— ასეთი რა უნდა მკითხო, შუამავალო. შუამავალმა აიათი წაუკითხა, აიშემ ჰკითხა:

— ანუ არჩევანის გასაკეთებლად მშობლებს უნდა ვკითხო? არავითარ შემთხვევაში! მე ალლაჰს, შუამავალსა და იმქვეყანას ვირჩევ! — უპასუხა აიშემ.“<sup>392</sup>

შუამავალი ამქვეყნად თავისთავს ერთ-ერთ მგზავრად თვლიდა და ახლო მომავალში მუდმივ საცხოვრებლად გადასვლის ფიქრებით ცხოვრობდა. მის შეხედულებით, ეს ქვეყანა შორეული მოგზაურობის დროს სიცხეში საჩრდილებელი ხის მსგავსია.<sup>393</sup> იგი ცოტა ხანს ამ ხის ჩრდილში დარჩება და მერე გზას განაგრძობს. მაგრამ ამ მოგზაურობის დროს მისთვის მთავარი, ზოგიერთი რამის ადამიანებისთვის მიწვდენა იყო. ამ ძვირფასი შუამავლის ცხოვრების მთავარი ინტერესიც, სწორედ ეს იყო. შუამავალი ერთ-ერთ ჰადისში ბრძანებს:

„ყურადღებით იყავით! ალლაჰის გარდა ყველაფერი ამოაო!“<sup>394</sup>  
შუამავალმა ჰენდეკის ბრძოლის დროს, ცხოვრების უძნელეს და

391. სურა აჰზაბი, აიათები 28-29.

392. მუსლიმი, ტალაყი, 29.

393. იბნ მაჯე, ზუჰდი, 3.

394. ბუჰარი, რიყაყი, 29.





დაძაბულ წუთებში, ბრძანა: „დიდო ალლაჰო! ჭეშმარიტი ცხოვრება მხოლოდ იმქვეყნიურს შეიძლება ვუწოდოთ.“<sup>395</sup> ამ ჰადისით მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მას თავის სიცოცხლეში ამქვეყნიური ქონებისთვის და ამ ქვეყნის დროებითი სიცოცხლისთვის მნიშვნელობა არასდროს მიუნიჭებია. მის გულში ყოველთვის მთავარი ადგილი იმ ქვეყნის ფიქრს ეჭირა.

### ა. ამქვეყნიური ცხოვრების არსი

ყურანის მრავალ სურაში ნათქვამია, რომ ამქვეყნიური ცხოვრება დროებითია, ხოლო ნამდვილი ცხოვრება დაიწყება იმქვეყნად. სურა „იუნუსში“ გადმოცემულია:

إِنَّمَا مَثَلُ الْحَيَاةِ الدُّنْيَا كَمَاءٍ أَنْزَلْنَاهُ مِنَ السَّمَاءِ فَاخْتَلَطَ بِهِ نَبَاتُ الْأَرْضِ مِمَّا يَأْكُلُ النَّاسُ وَالْأَنْعَامُ حَتَّى إِذَا أَخَذَتِ الْأَرْضُ زُخْرُفَهَا وَازَّيَّنَتْ وَظَنَّ أَهْلُهَا أَنَّهُمْ قَادِرُونَ عَلَيْهَا أَتَاهَا أَمْرُنَا لَيْلًا أَوْ نَهَارًا فَجَعَلْنَاهَا حَصِيدًا كَأَن لَّمْ تَغْنِ بِالْأَمْسِ كَذَلِكَ نُفَصِّلُ الْآيَاتِ لِقَوْمٍ يَتَفَكَّرُونَ

„უეჭველად, ამქვეყნიური ცხოვრება წყალს ჰგავს, რომელიც ზეციდან მოვავლინეთ და რომლის მეშვეობითაც შეერწყმის და აღმოცენდება დედამიწის მცენარეულობა, რითიც იკვებებიან ადამიანები და ცხოველები. როცა დედამიწა შეიმკობა და გალამაზდება, მის მკვიდრთ ეგონებათ, რომ შესწევთ მასზე ძალა, ჩვენი ბრძანება მოუვა მას ღამით ან დღისით. ჩვენ ვაქცევთ მას მიმომლენილად, თითქოს გუშინ არც ყოფილიყოს. აი, ასე განვმარტავთ აიათებს გონიერ ხალხთათვის!“<sup>396</sup>

როგორც ვხედავთ, აიათის მიხედვით, ამქვეყნიური ქონება ზოგიერთი ადამიანისთვის დიდი ხაფანგია. მევლანა ამ გარემოებას ასე ხსნის:

395. ბუჰარი, რიყაყი, 1.

396. სურა იუნუსი, აიათი 24.



„ამქვეყნიური ქონება და სარჩო-საბადებელი ალლაჰის მიერ ადამიანებზე ნაბოძები სიკეთეა, მაგრამ, სამწუხაროდ, ქონება ჩვენ გვიტაცებს, გვატყუებს, ჭკუას გვართმევს და გვანადგურებს. ძვირფასო ადამიანო! გაჭირვება და ავადმყოფობა, ერთი შეხედვით, შენთვის ქონებასა და ძალაუფლებაზე უფრო ძვირფასია. იმიტომ, რომ სიმდიდრე, ქონება და ძალაუფლება ხაფანგს გიგებს და ბოლოს მასში გიმწყვდევს.“<sup>397</sup>

ერთ აიათში ალლაჰი ასევე ბრძანებს:

وَأَضْرِبْ لَهُمْ مَثَلِ الْحَيَاةِ  
الدُّنْيَا كَمَا أَنْزَلْنَاهُ مِنَ السَّمَاءِ فَاخْتَلَطَ بِهِ نَبَاتُ الْأَرْضِ  
فَأَصْبَحَ حَشِيمًا تَذْرُوهُ الرِّيَّاحُ وَكَانَ اللَّهُ عَلَى كُلِّ شَيْءٍ مُقْتَدِرًا  
الْمَالُ وَالْبَنُونَ زِينَةُ الْحَيَاةِ الدُّنْيَا وَالْبَاقِيَاتُ الصَّالِحَاتُ  
خَيْرٌ عِنْدَ رَبِّكَ ثَوَابًا وَخَيْرٌ أَمَلًا

„აღუხატე მათ მაგალითი მინიერ ცხოვრებაზე. ის წყალსა ჰგავს, რომელიც ჩვენ გარდმოვავლინეთ ზეციდან. ამგვარად მასთან გაზავდა დედამიწის მცენარეები და მერე გარდაიქვა მშრალ ღეროებად, რომელსაც ქარი მიმოფანტავს. ჭეშმარიტად, ალლაჰი ყოვლისშემძლეა! ქონება და შვილები მშვენიერაა მინიერი ცხოვრების, მაგრამ ნარუვალის სიქველენი უკეთეს საზღაურია შენი ღმერთის წინაშე და მათზე სჯობს იმედის დამყარება!“<sup>398</sup>

აიათში ქარის მიერ გაფრენილი ხმელი ღეროები ამქვეყნიური დროებითი ქონების მაჩვენებელია, რომელიც ისე განიავდება, როგორც ქარი გააქროლებს. აგრეთვე, აიათში არის მონოღება, რომ ადამიანისთვის მთავარი კეთილი საქმის კეთებაა, რომელიც ალლაჰის წინაშე არასდროს დაიკარგება. ის ერთადერთი იმედია,

397. მესნევი, ბეითი. 3040-3041; 1999 წლის 17 აგვისტოს, როდესაც სტამბოლში მინისძვრა მოხდა და ერთ-ერთი შენობა დაინგრა, ეზოში მდგარ მოხუცს, რომელიც ყურადღებით უყურებდა დანგრეულ შენობას, ჰკითხეს: ეს შენობა შენი იყო? საინტერესო და დამაფიქრებელი აღმოჩნდა მოხუცის პასუხი: „ასე ვფიქრობდით!“

398. სურა ქაჰფი, აიათები 45-46.





რომელიც ადამიანს იმქვეყნად გადაარჩენს. ჰარუნი ამ აიათის თეფსირს ასე გადმოგვცემს:

„ამქვეყნის მოყვარულო ადამიანებო! იცოდეთ, რომ იგი ხაფანგია. დედამინა ისეთი რამ არის, ერთ დღეს თუ გახარებს და გაცივნებს, მეორე დღეს აუცილებლად გატირებს. ცაში თუ ღრუბელი გამოჩნდება და არ განვიმდება, ეს მონყურებულ ადამიანებს არაფერში არგია. ამქვეყნად დარდი არასდროს გამოილევა. ამქვეყნად მოსული ადამიანი ვერანაირად მას თავს ველარ დააღწევს. მაგრამ ადამიანს შეუძლია მის ხაფანგებს დააღწიოს თავი, თუ ფრთხილად იქნება და ამქვეყნით გატაცებას თავს დაანებებს.“<sup>399</sup>

სინამდვილეში, იცხოვრო ამქვეყნად და მასთან ურთიერთობა განყვიტო, ეს ადვილი გასაკეთებელი ნამდვილად არ არის ადამიანი ამქვეყნად ყოველმხრივ შებოჭილია. ამის შესახებ ალლაჰი აიათში ბრძანებს:

زَيْنَ لِلنَّاسِ حُبِّ الشَّهَوَاتِ مِنَ النِّسَاءِ  
وَالْبَنِينَ وَالْقَنَاطِيرِ الْمُقَنْطَرَةِ مِنَ الذَّهَبِ وَالْفِضَّةِ  
وَالْخَيْلِ الْمُسَوَّمَةِ وَالْأَنْعَامِ وَالْخَرْثِ ذَلِكَ مَتَاعُ  
الْحَيَاةِ الدُّنْيَا وَاللَّهُ عِنْدَهُ حُسْنُ الْمَآبِ

„კაცთათვის მიმზიდველი და თვალწარმტაცია გახდა ქალების, ბავშვების, ოქრო-ვერცხლის, დახვავებული საუნჯისა და ნიშანდებული ბედაურების, საქონლის, ნათესების სიყვარული. ოღონდ ეს (ყველაფერი) ამქვეყნიური დროებითი საბადებელია, ხოლო საუკეთესო თავშესაფარი (მარადიული სამყოფელი) ალლაჰთანაა!“<sup>400</sup>

ამქვეყნისადმი მიდრეკილება ადამიანის ხასიათიდან გამომდინარეობს. მისდამი იმ ადამიანებს უფრო ძლიერი მიდრეკილება გააჩნიათ, ვინც სულიერად უფრო გაუნონასნორებელია. ადამიანი ვალდებულია ალლაჰის სიყვარული გულში განმტკიცებული ჰქონდეს და ამქვეყნად მოპოვებული ყველაფერი მისი კმაყოფილების მოპოვების მიზნით გამოიყენოს.

399. მაქამათი, გვ 172.

400. სურა ალი იმრანი, აიათი 14.



ყოვლისშემძლე ალლაჰი ბრძანებს:

مَنْ كَانَ يُرِيدُ حَرْثَ الْآخِرَةِ نَزِدْ لَهُ فِي حَرْثِهِ وَمَنْ

كَانَ يُرِيدُ حَرْثَ الدُّنْيَا نُؤْتِهِ مِنْهَا وَمَا لَهُ فِي الْآخِرَةِ مِنْ نَصِيبٍ

„მე გავიქეცი თქვენგან, როცა შემეშინდა თქვენი. მაგრამ ჩემმა ღმერთმა მიწყალობა ცოდნა და დამადგინა შუამავალთაგანი!“<sup>401</sup>

ამ აიათის შემდეგ სულიერად განონასწორებული და ჩამოყალიბებული ადამიანი ალლაჰს ამქვეყნისთვის კი არა, მუდმივი ცხოვრებისთვის საჭირო მადლის დაწერას მოსთხოვს.

შუამავალი, ყურანის აიათების მიხედვით, ცდილობდა თანამიმდევრებისთვის სწორი გზა ეჩვენებინა. ჯაბირის გადმოცემის მიხედვით, შუამავალი ერთ სავაჭრო ადგილას მივიდა. მას თანამიმდევრებიც ახლდნენ. გზად შუამავალი პატარა მკვდარ ბატკანს ნააწყდა. მას ყურზე ხელი მოჰკიდა და ხალხს მიმართა:

„— ვის უნდა, ამ ბატკანში ერთი დირჰემი გადაიხადოს? თანამიმდევრებმა უპასუხეს:

— მაგ ბატკანში უფრო იაფსაც არ გადავიხდით. მკვდარი ბატკანი რაში უნდა გამოვიყენოთ. შუამავალმა ჰკითხა:

— ტყუილად რომ მოგცენ, მაშინ გინდათ?

— ეგ ბატკანი ცოცხალიც რომ იყოს, არ გვინდა; ყურები არ აქვს, რაც მისი დიდი ნაკლია. მკვდარი კი საერთოდ რაში უნდა გამოვიყენოთ? ამის შემდეგ შუამავალმა ხალხს მიმართა:

— ვფიცავ ალლაჰს, მის წინაშე წუთისოფლის ფასი ამ მკვდარ ბატკანზე უფასურია.“<sup>402</sup>

კიდევ სხვა ჰადისებში შუამავალი ბრძანებს:

„ამქვეყნას რომ ალლაჰის წინაშე კოლოს ფრთისოდენა ფასი ჰქონოდა, ალლაჰი არც ერთ ურწმუნო ადამიანს ყლუბი წყლის დაღვევის საშუალებას არ მისცემდა.“<sup>403</sup>

401. სურა შუარა, აიათი 20.

402. მუსლიმი, ზუჰდი, 2.

403. თირმიზი, ზუჰდი, 13.





ამ ჰადისით შუამავალმა კიდევ ერთხელ გამოხატა ამქვეყნისა და მისი სიმდიდრის უფასურობა, ამასთან ერთად, ის აშკარად გვეუბნება, თუ რატომ აძლევს ურნმუნოებს ალლაჰი ამქვეყნად სიმდიდრეს. ამიტომ ჩვენ არ უნდა დაგვენანოს მათი ამქვეყნიური დროებითი სიამოვნება. ერთ აიათში ალლაჰი ბრძანებს:

وَلَا تَمُدَّنَّ عَيْنَيْكَ إِلَىٰ مَا مَتَّعْنَا بِهِ أَزْوَاجًا مِنْهُمْ زَهْرَةَ الْحَيَاةِ الدُّنْيَا  
لِنَفْتِنَهُمْ فِيهِ وَرِزْقُ رَبِّكَ خَيْرٌ وَأَبْقَىٰ

„თვალი არ გაგექცეს იმისკენ, რითაც ჩვენ ვასარგებლეთ ზოგი იმათგანი მიწიერი ცხოვრების შემკულობანით, რათა ამით გამოგვეცადა ისინი. ხოლო სარჩო შენი ღმერთისა უფრო უკეთესია და მარადიულია!“<sup>404</sup>

ერთ-ერთ ჰადისში კიდევ შუამავალი ასე ბრძანებს:

„მას, ვინც განკითხვის დღისთვის თავის მომავალზე იზრუნებს, ალლაჰი გულს გაუმდიდრებს,..“

საჭიროა, ჩვენს ქონებას ვეპატრონოთ და მათი განმნდით ვიყოთ დაკავებული.“ ყურანში ნაბრძანებია:

وَأَنْفِقُوا فِي سَبِيلِ اللَّهِ وَلَا تُلْقُوا بِأَيْدِيكُمْ إِلَى التَّهْلُكَةِ  
وَأَحْسِنُوا إِنَّ اللَّهَ يُحِبُّ الْمُحْسِنِينَ

„თვალი არ გაგექცეს იმისკენ, რითაც ჩვენ ვასარგებლეთ ზოგი იმათგანი მიწიერი ცხოვრების შემკულობანით, 195. გაიღეთ ალლაჰის გზაზე, და თავი არ ჩაიგდოთ საფრთხეში თქვენივე ხელით, და სიკეთე აკეთეთ. უეჭველად, ალლაჰს უყვარს კეთილისმყოფელები.“<sup>405</sup>

ამ აიათში „საკუთარი ხელით თავისთავის საფრთხეში ჩაგდების“ გარდა, ნათქვამია, რომ ამქვეყნიურ ქონებას დიდი ყურადღება არ უნდა დაუთმოთ და ჭეშმარიტი გზა მეორეხარისხოვან საკითხად არ უნდა ჩათვალო.

404. სურა ტაჰა, აიათი 131.

405. სურა ბაყარა, აიათი 195.



როგორც ზემოთ მოყვანილ აიათშია ნაბრძანები, აბუ ეიუბ ელ-ანსარმა, სწორედ ამგვარად გაატარა მთელი თავისი სიცოცხლე და ამქვეყნიური ქონებისთვის ყურადღება არასდროს მიუქცევია. მისი ინტერესის სფერო ყოველთვის საიქიო ცხოვრება იყო. ასე დაასრულა მან თავისი ცხოვრება და შეჰიდად დაეცა კონსტანტინეპოლის კედელთან. ის ადგილზევე იქნა დასაფლავებული.<sup>406</sup>

აი, ამის მსგავსი კიდევ ერთი მაგალითი:

უჰუდის ბრძოლაში შუამავალმა მშვილდოსანთა ერთი ჯგუფი კატეგორიულად გააფრთხილა, რომ თავისი პოზიცია არავითარ შემთხვევაში არ მიეტოვებინა. მიუხედავად ამისა, მათმა უმრავლესობამ ბრძანება დაარღვია და ქონების მოსაგროვებლად თავიანთი საგუშაგო მიატოვა. ზოგიერთმა მებრძოლმა კი ბრძანება შეასრულა და შეჰიდად დაეცა. ამის შემდეგ ალლაჰი აიათში ბრძანებს:

مَنْ يُرِيدُ الدُّنْيَا وَمَنْ  
 مَنْ يُرِيدُ الآخِرَةَ ثُمَّ صَرَفَكُمْ عَنْهُمْ لِيَبْتَلِيَكُمْ  
 وَلَقَدْ عَفَا عَنْكُمْ وَاللَّهُ ذُو فَضْلٍ عَلَى الْمُؤْمِنِينَ

„...თქვენ შორის იყვნენ, ვისაც ეს ქვეყანა სურდა, და თქვენ შორის იყვნენ, ვისაც ის ქვეყანა სურდა; შემდეგ უკუგაქცია მათგან (დამარცხებული უკან მობრუნდით), რათა გამოეცადეთ. (ამ ყველაფრის მიუხედავად) შეგინდოთ თქვენ. დიახაც, რომ ალლაჰი მონყალეების მიმნიჭებელია მორწმუნეთათვის.“<sup>407</sup>

შუამავალი ამბობს: „ეს ქვეყანა ტკბილია და ლამაზი პეიზაჟი აქვს.“ ამით ამ ქვეყნის სილამაზე აღნიშნა, მაგრამ ჰადისის გაგრძელებაში ამბობს: „უეჭველია, რომ ალლაჰმა ადამიანს ამქვეყნად მმართველობის უფლება მისცა, სადაც თვითონ უნდა შეხედოს, თუ ის როგორ მოიქცევა ან რას გააკეთებს. ამიტომ მე მოგიწოდებთ, ამ ქვეყნის შეგეშინდეთ!“<sup>408</sup>

ამ ჰადისში შუამავალმა აღნიშნა, რომ ეს ქვეყანა ადამიანის გამოცდაა, ალლაჰი მის ყველა ნაბიჯს აკვირდება, ბოლოს კი ყველაფერზე პასუხს მოსთხოვს. მრავალ ჰადისში შუამავალი აღნიშნავს,

406. აბუ დავუდი, ჯიჰადი, 23. თირმიზი, თეფსირი 2.

407. სურა ალი იმრანი, აიათი 152.

408. ბუჰარი, ზეჟათი 47.





რომ ისლამის მიმდევრები მომავალში ამ ქვეყანას ძალიან შეიყვარებენ და ის ქვეყანა დაავინყდებათ. ამის გამო კი ალლაჰის წინაშე თავიანთი გამოცდას ვერ ჩააბარებენ. ის ერთ-ერთ ჰადისში ასე ბრძანებს:

*„ჩემ შემდეგ, ამქვეყნის სილამაზემ და მისმა ხიბლმა, მეშინია, თქვენი გულები არ დაიპყროს.“<sup>409</sup>* კიდევ ერთ ჰადისში ბრძანებს:

*„ყველა უმმეთს ერთი ინტრიგა აქვს. ჩემი მიმდევრების ინტრიგა კი ამქვეყნიური ქონება.“<sup>410</sup>*

409. ბუჰარი, ჯიჰადი, 37.

410. იბნ ჰანბელი, 4, 160; ამ საკითხთან დაკავშირებით ერთი ლამაზი ნოველა მოგვითხრობს: იყო ერთი მონა, რომლსაც სახელად აიაზი ერქვა. ერთ დღეს ეს მონა იმპერატორმა მაჰმუდმა იყიდა. ადამიანური თვისებების გამო, იმპერატორს აიაზი ძალიან უყვარდა. აიაზმა იმპერატორის ისეთი ნდობა დაიმსახურა, რომ სახელმწიფო ხაზინის გამგებლად დაინიშნა და სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესი და ძალიან ძვირფასი ქონება მას ჩაბარდა. იმპერატორის სასახლეში მყოფი ბევრი სახელოვანი ადამიანი, შურმა შეიპყრო, აიაზის ამ თანამდებობაზე დანიშვნა ვერ აიტანა. მათ საეჭვოდ დაიწყეს აიაზის შესახებ საუბარი, რომელმაც იმპერატორის ყურამდეც მიაღწია. ისინი ამბობდნენ, რომ აიაზი ძალიან ხშირად დადიოდა სახელმწიფო ხაზინაში. ამასთან, დასვენების დღეებშიც იქ საათობით რჩებოდა. იმპერატორის კარზე მომუშავე ადამიანები დარწმუნებული იყვნენ, რომ აიაზი ხაზინას ძარცვავდა და ცდილობდნენ ამაში იმპერატორიც დაერწმუნებინათ. იმპერატორმა გადაწყვიტა ის, რასაც ხალხი აიაზზე ფიქრობდა ან საუბრობდა, საკუთარი თვალით ენახა და ისე დარწმუნებულიყო. ამიტომ ერთ დღეს მან მოიფიქრა, იმ ოთახისთვის, სადაც ძვირფასეულობა ინახებოდა, საიდუმლო ნახვრეტი გაეკეთებინა და იქიდან ეთვალთვალა, თუ რას აკეთებდა საათობით ხაზინაში შესული აიაზი. ის ასეც მოიქცა. აიაზი უხმაუროდ ოთახში შევიდა, კარები გულდასმით დაკეტა, გაიარა და ერთ სკივრთან შეჩერდა. სკივრთან მუხლებზე დაიჩოქა, ფრთხილად გახსნა და რაღაც ამოიღო. ეს რაღაც კი სკივრში შენახული პატარა ბოხჩა იყო. ჯერ ბოხჩას აკოცა, მერე შუბლი დაადო მას და ფრთხილად გახსნა. ბოხჩაში ძველი და დახეული ტანსაცმელი იდო, რასაც ის მონობის დროს იცვამდა. აიაზმა სასახლის ტანსაცმელი გაიხადა და ის ძველი ტანსაცმელი ჩაიცვა. მერე სარკის წინ დადგა და თავისთავს მიმართა:

— გახსოვს თუ არა, ვინ იყავი მაშინ, როდესაც ეს ტანსაცმელი გეცვა? ვინ იყავი შენ? ერთი ჩვეულებრივი გასაყიდი მონა. ალლაჰმა, იმპერატორის ხელით, შენ ეს თანამდებობა გინყალობა, მაგრამ შეიძლება ამას არც იმსახურებ. აიაზ, ახლა აქ ხარ, მაგრამ არასდროს დაგავინყდეს, საიდან მოხვედი, რადგან ქონება ადამიანს ანადგურებს! ფრთხილად იყავი, სიამაყე არ გაგიჩნდეს გულში და სხვას ამ გრძნობით არასდროს შეხედო! ყოველთვის გახსოვდეს შენი ძველი მდგომარეობა!

ამის შემდეგ ტანსაცმელი ისევ გამოიცვალა, სკივრში შეინახა, მერე ფრთხილად დახურა და უხმაუროდ კარისკენ წავიდა. გარეთ გასვლისას, მოულოდნელად, იმპერატორის პირისპირ აღმოჩნდა. იმპერატორი აიაზს სახეში უყურებდა და





შუამავალი ბრძანებს: „ფრთხილად იყავით, ამქვეყნიურმა საქმემ და ხორციელმა სურვილება არ გაგიტაცოთ და სიკვდილი არ დაგავინყოთ, თორემ გულები გაუხეშდება! კომპეტენტური იყავით! სიკვდილი და მისი მომდევნო მოვლენები ნამდვილად ახლოს არის!“<sup>411</sup>

ჰადისში ნახსენები საქმე და სურვილი ადამიანს ხშირ შემთხვევაში შებოჭავს და გასაქანს არ მისცემს, რომ უახლოეს მომავალში მზად იყოს ნებისმიერი მოსალოდნელი შემთხვევისათვის. ამასთან, ზოგიერთ ხანდაზმულ ადამიანს, ამქვეყნიური მიდრეკილება, წლოვანების მომატებასთან ერთად უფრო უძლიერდება. ამ თემასთან დაკავშირებით შუამავალი ამბობდა: „*მოხუცი ადამიანის გული ორი რამის სიყვარულში არასდროს ბერდება. ამათგან ერთ-ერთი — ქონების სიყვარული, მეორე კი დიდხანს სიცოცხლის სურვილია.*“<sup>412</sup> იმამი გაზალი აღნიშნავს, რომ ქონებისა და მრავალი სურვილის მისწრაფება, ადამიანს ავიწყებს იმ ქვეყანას და ის მხოლოდ ამქვეყნიურისთვის ფიქრობს. მისგან ადამიანის გადარჩენის გზას კი ის შემდეგნაირად ხსნის:

„უვიცობისგან თავის დაღწევა, ნასწავლ და განათლებულ ადამიანებზე მოსმენით შეიძლება. ამქვეყნის სიყვარულის გულიდან ამოგდების გზა კი განკითხვის დღისა და მისი ამბების დაჯერებით არის შესაძლებელი. როდესაც ადამიანი ამ რწმენასთან დაახლოებას დაიწყებს, მაშინ ამქვეყნის სიყვარული მას ნელ-ნელა დაშორდება. მნიშვნელოვანი რამის შეყვარება, უმნიშვნელო რამეების გულიდან ამოგდების მიზეზი გახდება.“

ალლაჰმა ამქვეყნად ადამიანებს ცხოვრების განსხვავებული პირობები შეუქმნა. ზოგს საშუალება მისცა, საქმე თვითონ წარმართოს და ზოგი ვალდებულია სხვას ემსახუროს. აქედან გამომდინარეობს, რომ ადამიანებს ამქვეყნად ღმერთმა სრულიად განსხვავებული პირობები შეუქმნა. იგი ყურანში ბრძანებს:

თვალეზიდან ცრემლები ჩამოსდიოდა. სიტყვები ყელზე ისე ადგებოდა, ლაპარაკს ძლივს ახერხებდა:

— აიაზ! დღემდე ძვირფასეულობის ხაზინადარი იყავი, ახლა კი ჩემი გულის ხაზინადარიც ხარ, შენ გამახსენე ჩემი არსებობა და ის, თუ როგორ უნდა მოვიქცე ჩემი გამჩენის წინაშე!“; მუჰიდიდინ შექური, გვ. 114.

411. იბნ მაჯე, მუყადდემე, 7.

412. ბუჰარი, რიყაყი, 5.





„განა ისინი ანანილებენ წყალობას შენი ღმერთისას? ჩვენ გა-  
ვუნანილეთ მათ საარსებო მათი ამქვეყნიურ ცხოვრებაში და უპი-  
რატესვყავით ერთიმეორეზე ხარისხებად, რათა ერთ ნაწილს მბრ-  
ძანებლობაში მოექცია მეორე ნაწილი. თუმცაღა წყალობა შენი  
ღმერთისა უკეთესია იმაზე, რასაც ისინი აგროვებენ.“<sup>413</sup>

ადამიანები რომ თავიანთი ცხოვრებით კმაყოფილი იყვნენ, შუა-  
მაგალი მათ მიმართავს:

„თქვენი ცხოვრების პირობები იმ ადამიანების ცხოვრებას კი არ  
უნდა შეადაროთ, ვინც ყოველმხრივ უზრუნველყოფილია, არამედ  
მათსას, ვინც თქვენზე უფრო ცუდ პირობებში ცხოვრობს, რადგან  
ალლაჰის მოცემული წყალობა არარაობად არ ჩაადგოთ. ასეთი  
საქციელი თქვენთვის უფრო მიზანშეწონილი იქნება!“<sup>414</sup>

შუამავლის ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ შეხედულებებს შემდეგი  
ჰადისები გამოხატავს:

„ამქვეყნად განდევნილობა, არც ჰალალის ჰარამად გადაქცევიდა  
და არც ქონების დაკარგვით არაა განპირობებული, არამედ ალლაჰის  
საკუთრების მიმართ უფრო მეტი დაფასების გამოჩენით, ვიდრე შენს  
ხელთარსებული ქონების მიმართ. და კიდევ, იმის არცოდნის გამო,  
რომ ახლო მომავალში რა გელის და რა შეიძლება გადაგხდეს თავს,  
ალლაჰის იმედით ყოფნა!“<sup>415</sup>

„გამდიდრებისა და ძალაუფლებისკენ სწრაფვა უფრო დიდ ზიანს  
აყენებს ადამიანის რწმენას, ვიდრე ცხვრის ფარაზე ორი მშიერი მგ-  
ლის თავდასხმა.“<sup>416</sup>

## ბ. მუჰამედ შუამავლის თანამოაზრეების ასკეტიზმი

მუჰამედ შუამავლის მიერ ნაჩვენები ცხოვრების მაგალითების  
შემდეგ, თუ როგორი იყო მისი თანამიმდევრების არჩეული ცხოვრე-  
ბის მეთოდი, ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესოა. მაგალითად,  
ავიღოთ შუამავლის უახლოესი მეგობარი აბუ ბაქრი, რომელიც ყუ-  
რაიშების გვარში ერთ-ერთი მონინავე მცხოვრები და დიდი ქონების  
მფლობელი იყო. ამის მიუხედავად, მან უბრალო ცხოვრება აირჩია.

413. სურა ზუჰრუფი, აიათი 32.

414. მუსლიმი, ზუჰდი, 9.

415. თირმიზი, ზუჰდი, 29.

416. თირმიზი, ზუჰდი, 43.





აბუ ბაქრმა შუამავლის თანდასწრებით, მთელი ქონება გამოაჩინა და ისლამის გზაზე დახარჯა. ახალდაარსებულ ისლამის პერიოდში, როდესაც ამ ქვეშაირიტ სარწმუნოებას დიდი გასაჭირი ჰქონდა, აბუ ბაქრმა თავისი ქონება გამუსლიმებული მოწიების ყიდვასა და მათზე თავისუფლების მინიჭებაში დახარჯა, რათა მათთვის ტანჯვა-წვალება აეცილებინა. ასეთი საქციელით მან მრავალ ადამიანს საუკეთესო მაგალითი უჩვენა.

აბუ ბაქრი, როდესაც ხალიფა გახდა, არც მაშინ შეუცვლია თავისი ცხოვრების წესი და ისევ უბრალო ცხოვრებით ცხოვრობდა. გარდაცვალების წინ კი თავის ანდერძში ბრძანა, რომ გაეყიდათ მის სახელზე დარჩენილი მიწის ნაკვეთი და თავისი ხალიფობის დროს აღებული ხელფასი ქვეყნისთვის უკან დაებრუნებიათ.<sup>417</sup>

აბუ ბაქრის შესახებ კიდევ ერთ ჰადისში კარგად არის აღნიშნული, თუ რამდენად იმოქმედა შუამავლის ცხოვრების წესმა მის ცხოვრებაზე: ერთ დღეს, აბუ ბაქრს პატივი მიაგეს და დასალევად თაფლისწყალი მიუტანეს. გასინჯა რა ის, მან ტირილი დაიწყო. ცრემლები ვერც მის გვერდით მყოფმა ადამიანებმა შეიკავეს. მიზეზი როდესაც ჰკითხეს, მან უპასუხა:

— ერთხელ შუამავალთან ერთად ვიყავი. უცებ „ჩემგან შორს წაიღე, ჩემგან შორს წაიღე!“ — დაიწყო ყვირილი შუამავალმა, მაგრამ მე ვერაფერს ვხედავდი. როდესაც ვკითხე, თუ რაში იყო საქმე, მან მიპასუხა:

*„ეს ქვეყანა მთელი თავისი ქონებითა და სილამაზით გამომეცხადა. მას ვუთხარი, რომ ჩემგან შორს წასულიყო. ისიც წავიდა, მაგრამ მომადება: შენ თუნდ ჩემგან თავი შორს დაიჭირო, ალლაჰს ვფიცავ, შენ შემდეგი ადამიანები მე თავს მაინც ვერ დამალწვენ! მეც სწორედ ამის გამო შემეშინდა, რომ ეს ქვეყანა არ შემეყარებოდა და ტირილი დავიწყე.“<sup>418</sup>*

ომარის ასკეტური ცხოვრებაც ძალიან საინტერესო იყო. ერთხელ, როდესაც ის საქადაგებლად გამოვიდა თორმეტსაკრებლიანი პერანგი ეცვა. როდესაც მისი ქალიშვილი ჰაფსა მას რჩევას მისცემდა, ახალი ტანსაცმელი ჩაეცვა, ან კარგი საქმელი ეჭამა, ის შუამავლის გაჭირვებული ცხოვრების შესახებ უყვებოდა და ეუბნებოდა:

417. იბნ ესირი, ელ ქამილი, 2, 428-429.

418. აბუ ნუაიმი, 1, 30-31.





— ალლაჰს ვფიცავ, რომ თუ შევძლებ, შუამავლისა და აბუ ბაქრის მსგავსად უნდა ვიცხოვრო. მინდა მეც მივალწიო იმას, რასაც იმ ქვეყანად ამ ორმა ადამიანმა მიაღწია.“

შუამავლის ცხოვრების ნაკვალევს აღმოჩენა თითქმის ყველა თანამიმდევარში შესაძლებელია. მათგან ერთ-ერთი აბუ ზერრია, რომლის შესახებ შუამავალმა ბრძანა: „ამქვეყნად ყველაზე ცოტა ქონების მქონე ადამიანის დანახვა თუ გსურთ, აბუ ზერრს შეხედეთ!“<sup>419</sup> მთელი თავისი სიცოცხლე მან ისე გაატარა, როგორც ამას შუამავალი აღნიშნავს. აბუ ზერრს როდესაც ოთხი ათასი დინარი გამოუყვეს არსებობისათვის, ამ თანხის მხოლოდ მცირე ნაწილს იყენებდა თავისთვის, უმეტეს წილს კი გაჭირვებულებს უნაწილებდა.<sup>420</sup> აბუ ზერრი ყოველთვის ამბობდა, რომ იმქვეყნად ორი დირჰემის მქონე ადამიანისთვის ალლაჰის წინაშე ანგარიშის ჩაბარება უფრო ძნელია, ვიდრე ერთი დირჰემის მქონისა. აბუ ზერრს დამასკოს მერმა სამასი დირჰემი საჩუქრად გამოუგზავნა. აბუ ზერრმა კი იფიქრა: „ნუთუ ჩემზე უფრო გაჭირვებული ვერავინ ნახა! ჩვენ ხომ თავმესაფარი გავგაჩნია, ცხვარი, ერთი მოსამსახურეც გვყავს. ამათ გარდა, სხვა რამ არ მჭირდება, რადგან მეშინია, ალლაჰის წინაშე ყველაფრისთვის პასუხის გაცემა მომიწევს“ — თქვა და გამოგზავნილი თანხა მერს უკან დაუბრუნა.<sup>421</sup>

ამ ქვეყანასთან დაკავშირებით ყურანის მრავალ აიათში მოცემულია ალლაჰის ბრძანება. დედამინა საიქიოში მისასვლელად დროებითი საცხოვრებელი ადგილია, ამიტომ მათ შორის გარკვეული ზღვარი უნდა არსებობდეს. საიქიოსთვის მზადების დროს, „ამქვეყნის წილი არ დაგავინყდეს!“<sup>422</sup> — აიათში მოცემულია ამქვეყნის სარგებელის შესახებ, აგრეთვე, ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ამქვეყნის გამო საიქიო არ უნდა დაგვაინყდეს. სააქაო, მხოლოდ საიქიოსთან დასაკავშირებლად უნდა გამოვიყენოთ. მევლანა ბრძანებს:

*„გემში წყლის მოხვედრა უბედურების მომასწავებელია, გემის ქვეშ არსებული წყალი კი მას ცურვაში ხელს უწყობს. თავდახურული ტიკი, რომლის შიგნითაც ჰაერია, წყალში არ ჩაიძირება. გაჭირვებული ადამიანი ამქვეყნად ზღვაში არ ჩაიძირება და ზღვის ზედა-*

419. იბნ ჰანბელი, ზუჰდი, გვ. 147.

420. აბუ ნუაიმი, 1, 163.

421. იბნ ჰანბელი, ზუჰდი, გვ. 147.

422. სურა ყასასი, აიათი 77.





პირზე ამოვა. მთელი სააქაო რომ მისი საკუთრება იყოს, მის თვალში არაფრად გამოჩნდება, რადგან მისი გული ალლაჰის რწმენით არის სავსე.“

ყოველივე ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ქვეყანას სახე სრულებით შევაქციოთ. შუამავალი ბრძანებს: „საკუთარი თავის, მეუღლის, შვილების, ამხანაგებისა და ალლაჰის წინაშე გარკვეული მოვალეობები არსებობს. ვალდებული ხარ, ყველას წინაშე შენი ვალი მოიხადო!“<sup>423</sup> შუამავალმა ქაბ იბნ მალიქს ასეთი რჩევა მისცა: „ქონების გარკვეული ნაწილი შენთვის შეინახე, ეს შენთვის უფრო კარგი იქნება!“ სად იბნ აბუ ვაქქასს კი უთხრა: „მემკვიდრეების მდიდრად დატოვება, ღარიბად დატოვებაზე უფრო ძვირფასია.“<sup>424</sup>

შუამავლის მიერ უბრალო და ღარიბული ცხოვრების არჩევანის გაკეთება სწორად და კარგად უნდა გავიგოთ. შუამავალმა პირადი ცხოვრება ღარიბული აირჩია და რასაც ნახავდა ყველაფერს თავისი თანამიმდევრების დასახმარებლად ხარჯავდა. აგრეთვე, მისი განდევნილი ცხოვრებაც როგორც ღარიბი, ასევე მდიდარი ადამიანისთვის სამაგალითო იყო. მდიდარი ადამიანი, როცა დააკვირდებოდა შუამავლის ქცევებს, გაიგებდა, თუ სად და როგორ უნდა გამოეყენებინა თავისი ქონება. ღარიბი ადამიანი კი დაინახავდა, თუ როგორი მომთმენი უნდა ყოფილიყო ღარიბული ცხოვრების მიმართ. შუამავალი ბრძანებს: „ნამდვილი სიმდიდრე ქონების სიუხვით კი არ იზომება, არამედ გულით.“<sup>425</sup> შუამავალი ალლაჰს ყოველთვის ასე ევედრებოდა: „ღმერთო! სიმდიდრისა და სიღარიბის შფოთვისგან შენ შეგეფარები!“<sup>426</sup> ამ ჰადისიდან გამომდინარეობს, რომ, როგორც სიმდიდრეს, ასევე სიღარიბესაც შეუძლია მოუტანოს ადამიანს სიკეთე და სიგლახე. ამას თითოეული ადამიანის მოქმედება აჩვენებს.

423. ბუჰარი, სავმი, 51, 55.

424. ბუჰარი, ვესაია, 2.

425. ბუჰარი, რიყაყი, 15.

426. იბნ ჰანბელი, 4, 57.





## 2. მუჰამედ შუამავლის ყოველდღიური ცხოვრება

*„ო, დიდო ალლაჰო! უბოძე მუჰამედის ოჯახს ზუსტად იმდენი, სარჩო სანოვაგე რამდენიც საარსებო მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებდა.“*

მუსლიმი, ზეჟათი, 126

შუამავალს მექაში ყოფნის დროს, თავის გასატანად, საკუთარი შემოსავალი ჰქონდა. მედინაში კი მისი საარსებო წყარო ბრძოლების დროს მოპოვებული ნადავლი იყო.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ ასეთი შემოსავალი მას ყოველთვის არ ჰქონდა. ამასთან ერთად, ის სტუმრებსა და გაჭირვებულ მუსლიმებს ძალიან დიდ ყურადღებას უთმობდა და თავისი მიღებული წილის დიდ ნაწილს სხვას ახმარდა. ამის გამო, მისი ცხოვრება, ნათლად ჩანდა, რომ ძალიან ღარიბული იყო. ეს სიღარიბე მკვეთრად იგრძნობოდა მის ოჯახში. მას არ გააჩნდა საკმარისი ჩასაცმელი, საჭმელი და სასმელი. აგრეთვე, სიკვდილის შემდეგ გამოჩნდა, რომ მას ამქვეყნად არავითარი ქონება არ დარჩენია.

### ა. მუჰამედ შუამავლი ხანგრძლივად მშვიერი რჩებოდა

შუამავალი დროდადრო, საკვების არქონის გამო, მშვიერი რჩებოდა. როდესაც ჰქონდა, მაშინაც თავისთვის საკმარისს არ დაიტოვებდა და გაჭირვებულებს დაურიგებდა. ასეთი საქციელი შუამავლის განდევილი ცხოვრების ერთ-ერთი მაგალითი იყო. აბუ ტალჰა გადმოგვცემს: „ერთხელ შუამავალს, შიმშილის გამო წელში ჩამოწყობილი ქვეები ვაჩვენეთ და ყველამ ერთად საჩივრით მივმართეთ. შუამავალმაც თავისი მოსასხამი აიწია და დაგვანახა, რომ წელში ერთის ნაცვლად, ორი ქვა ჰქონდა ჩამოდებული.“<sup>427</sup>

აბუ ჰურაირას გადმოცემის მიხედვით, შუამავალს ერთ დღეს ცხელი საჭმელი მიუტანეს. როდესაც შეჭამა, თქვა: „აღჰამდული-ლლაჰ, დიდი ხანია კუჭში ცხელი საჭმელი არ ჩასულა.“<sup>428</sup>

427. თირმიზი, ზუჰდი, 39.

428. იბნ მაჯე, ზუჰდი, 10.



შუამავალი შუამავლობის პერიოდში ამგვარ სიტუაციაში ხშირად აღმოჩენილა. ჯაბირი, ჰენდეკის ბრძოლის დროს სანგრის გათხრის შესახებ გადმოგვცემს: ერთ ადგილას ძალიან მაგარი ქვა შეგვხვდა, რომელიც ვერ გავტყხეთ. შუამავალმა ბრძანა: „სანგარში მე ჩავალო“ — და ფეხზე ადგა. შიმშილის გამო მას წელში ქვეები ჰქონდა ჩამონყობილი. სამი დღე უჭმელ-უსმელი ვმუშაობდით. შუამავალმა ქვას ძლიერად დაარტყა. ის გატყდა და ნამცეცებად იქცა.“<sup>429</sup>

ერთ დღეს, ფატიმამ შუამავალს გამომცხვარი თხელი პური მიუტანა. შუამავალმა ჰკითხა:

— ეს რა არის?

— გამომცხვარი პატარა პური. სანამ შენ არ მოგიტანდი, ვერ მოვახერხე მისი შექმა. ამის სურვილი გამიქრა, — უპასუხა ფატიმამ.

— ბოლო სამი დღის განმავლობაში მამაშენისთვის პირველი ლუკმა სწორედ ეს იქნება.“<sup>430</sup>

შუამავლის ამგვარი ტანჯვის, გადატანას, რა თქმა უნდა, მისი თანამიმდევრებიც იზიარებდნენ და ისინიც ამ მდგომარეობაში იყვნენ. აბუ ჰურაირა ხშირად მოიგონებდა გასული დღეების შიმშილობას და ამბობდა, რომ შიმშილის გამო წელში ქვეების ჩამონყოფა იმ დროისთვის ხშირი მოვლენა იყო.<sup>431</sup>

როგორც ჩანს, ისლამში ადამიანთა დაპატიჟება ძალიან დიდი გაჭირვების დროს დაიწყო და დიდხანს ასე გაგრძელდა. ასეთი მდგომარეობის გამო, შუამავალს ალლაჰისთვის არასდროს შეუჩივლია. ის თავის თანამიმდევრებს მოთმინებას ურჩევდა და განკითხვის დღეს ახსენებდა. ერთხელ, ნამაზის ლოცვის დროს, შიმშილის გამო ერთი თანამიმდევარი წაიქცა, რის გამოც შუამავალმა ბრძანა: „რომ იცოდეთ, ალლაჰს თქვენთვის რა აქვს გამზადებული, მაშინ უფრო მეტ სიღარიბეს და გაჭირვებას ირჩევდით.“<sup>432</sup>

ერთხელ ღამით, შიმშილით შენუხებული შუამავალი სახლიდან გარეთ გავიდა. მან დაინახა, რომ აბუ ბაქრი და ომარიც გარეთ

429. ბუჰარი, მეღაზი, 29.

430. იბნ სადი, 1, 400. ჰეისემი, 10-312.

431. ბუჰარი, რიყაყი, 17.

432. თირმიზი, ზუჰდი, 39.





იყვნენ. გაკვირვებულმა იმით, რომ ასე გვიან ისინიც გარეთ იყვნენ, ჰკითხა:

- რამ გაიძულათ ამ დროს გარეთ გამოსულიყავით?
- შიმშილი, შუამავლო! — უპასუხეს მათ.

— ყოველგვარი ძალაუფლების მქონე ალლაჰის სახელს ვფიცავ, რომ მაგ მიზეზმა გამომიყვანა მეც გარეთ. ადექით, ჩემთან ერთად წამოდით, — უთხრა შუამავალმა და ორივე ერთ-ერთ ანსართან სტუმრად წაიყვანა. სტუმრებს ოჯახის უფროსი შინ არ დახვდათ. შუამავლის დანახვისას, ოჯახის უფროსის ცოლმა უთხრა:

- მობრძანდით, შუამავალო!
- ოჯახის უფროსი სად არის? — ჰკითხა ალლაჰის შუამავალმა.

— ჩვენთვის წყლის მოსატანად წავიდა, — მოახსენა ცოლმა. ამ დროს, წყლით გავსებული თუნგით ოჯახის უფროსიც დაბრუნდა და დაინახა რა სტუმრები, წამოიყვირა: — მადლობა ალლაჰს! დღეს ჩემზე უფრო ძვირფასი სტუმრები არავის ეყოლება. შემდეგ სახლში შევიდა და მათ მნიფე ხურმა გამოუტანა.

— სტუმრები ხურმის საჭმელად დაპატიჟა, თვითონ კი ხელში დანა აიღო. შუამავალმა მას უთხრა:

- მეწველ საქონელს არ შეეხო!

სახლის პატრონმა სტუმრებს ცხვარი დაუკლა. სტუმრებმა ხურმასთან ერთად ცხვრის ხორციც ჭამეს და ახალმოტანილი წყალიც დალიეს. ჭამა-სმის დამთავრების შემდეგ შუამავალმა აბუ ბაქრსა და ომარს მიმართა:

— ვფიცავ ალლაჰს, ვის ძალაუფლებაშიცაა ჩემი სული, რომ დღევანდელი მოპოვებული სარჩოს გამო განკითხვის დღეს პასუხის გაცემა დაგჭირდებათ, რადგან სახლიდან შიმშილის გამო გარეთ გამოსულთ, შინ დაბრუნებამდე ალლაჰმა ასეთი რამ გინყალობათ.<sup>433</sup>

ამ ჰადისში ერთი რაღაცის კარგად გაგებაა საჭირო. როგორც ვხედავთ, შუამავლის მდგომარეობის შესახებ მასთან ახლომყოფებმა — ანსარებმა და მუჰაჯირებმა არაფერი იცოდნენ. მას არ უყვარდა, ვინმე შეეწუხებინა და მისი გაჭირვება სხვისთვის თავს მოეხვია.

433. მუსლიმი, ეშრიბე, 140.



როგორც ამ ჰადისიდან ჩანს, ის სახლიდან შიმშილმა გამოიყვანა, იმ იმედით, რომ თავისთვის რაღაცას იშოვიდა, მაგრამ ამ დროს, იგივე პრობლემამ აბუ ბაქრი და ომარიც გარეთ გამოიყვანა. შუამავლის მსგავსად, როგორც ვხედავთ, არც ამ ადამიანებს შეუწუხებიათ ვინმე თავიანთი გასაჭირის გამო. თითოეული თანამიმდევარი, საუკეთესო მაგალითის მქონე შუამავალს ნებისმიერ საქმეში ბაძავდა. ისინი თავიანთი გაჭირვების სხვასთან ჩივილს ჩუმად ყოფნას ამჯობებდნენ. მაგრამ, როდესაც გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნებოდა, მაშინ იმ ამხანაგის სახლის კარებს მიადგებოდნენ, ვისაც მათი მდგომარეობის გათვალისწინება შეეძლო.

შუამავლის სახლში ძირითადი საკვები ხურმა, რძე და ქერის პური იყო. მაგრამ ხურმა და რძე ყოველთვის არ ჰქონდა. ხანდახან ისეთი დროც იყო შუამავლის სახლში, ერთი-ორი თვე ცეცხლი საერთოდ არ დაენთებოდა და ამ დროს მხოლოდ ხურმითა და წყლით იკვებებოდნენ.<sup>434</sup> აიშეს გადმოცემულ ერთ ჰადისში ნათქვამია, რომ შუამავლის ოჯახი ორ დღეს ზედიზედ ქერის პურითა და სამ დღეს ზედიზედ ხორბლის პურით არასდროს გამძღარა.<sup>435</sup>

მართალია, რომ შუამავლის დროს არაბეთის ნახევარ კუნძულზე როგორც ქერის, ასევე ხორბლის მარცვალი ძნელი საშოვარი იყო. ამასთან ერთად, ორივეს მოპოვების ყველაზე მეტი შესაძლებლობა შუამავალს ჰქონდა. მაგრამ მას არასდროს ჰქონდა იმის სურვილი, ისეთი რამ ჰქონოდა, რაც მის თანამიმდევრებს არ ექნებოდათ. ადამიანები თუ ხანდახან მშიერი რჩებოდნენ, ეს ყველაზე მეტად შუამავლის ოჯახში იყო, იმის მიუხედავად, რომ ალლაჰმა შუამავალს უთხრა, შენ თუ ისურვებ, მთელ მექას ტერიტორიას ოქროდ გადავაქცევო. მაგრამ მან ეს არ ისურვა და ერთი დღე მშივრად, ერთი დღე მაძღრად ყოფნა ირჩია. ის ალლაჰს ევედრებოდა: „დიდო ალლაჰო! როცა მშიერი ვიქნები, შენ შეგვედრები, როცა მაძღარი ვიქნები, მაღლობას გადაგიხდი!“<sup>436</sup>

უქონლობის მიუხედავად, შუამავლის ერთ-ერთი თვისება, დიდი მოთმინება იყო. ის თავს ისე აჩვენებდა, თითქოს ყველაფერი ჰქონდა და არაფრის უჭირდა. არასდროს ჩიოდა და წუწუნებდა უქონლობის გამო. არც არასდროს იმედს იწურავდა და ისე იქცეოდა, თითქოს

434. ბუჰარი, ჰიბე, 1.

435. მუსლიმი, ზუჰდი, 20-22.

436. თირმიზი, ზუჰდი, 35.





არაფრის უჭირდა. ამგვარად, ის ყოველთვის ბედნიერი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მონყალება, მოთმინება, კმაყოფილება და ალლაჰის იმედად ყოფნა — შუამავლის ძირითადი თვისებებია.

*გადმოცემის მიხედვით, შუამავალს ყოველთვის უბრალო საჭმელი ჰქონდა და მას არასდროს ის დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. ერთხელ უმმუ ეიმენეს, შუამავლისთვის განსაკუთრებული პურის გამოცხობა სურდა და ცოტაოდენი ფქვილით ცალკე მოზილა ცომი. მის გამოცხობას აპირებდა, როცა შუამავალმა უთხრა: „ჩემთვის ცალკე მოზელილი ცომი ფქვილში შეურიე და ყველა ერთნაირად გამოაცხე!“<sup>437</sup> როგორც ვხედავთ, ამის ნება მან არ მისცა.*

ჯაბირის გადმოცემის მიხედვით, ერთ დღეს შუამავალმა სახლში საჭმლის საკმაზი მოითხოვა, მაგრამ როდესაც გაიგო, რომ შინ ძმრის მეტი არაფერი იყო, მას დაყაბულდა. როცა მას ძმარი მიუტანეს, თქვა: „ძმარი რა კარგი საკმაზია! რა კარგი საკმაზია!“ — და ჭამა დაიწყო.<sup>438</sup>

ერთ დღეს შუამავალმა ქერის პურის ერთი ნაჭერი აიღო, მას ზემოდან ერთი ხურმა დაადო და თქვა: „ეს ხურმა ამ პურის საკმაზია!“<sup>439</sup>

შუამავალს პურის ნაჭერზე ხორცის წვენის დასხმა და შეჭამანდის გაკეთება უყვარდა. აგრეთვე, თაფლი და მისი მსგავსი ტკბილეულიც ძალიან უყვარდა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ასეთი რამ მის სახლში ძალიან იშვიათი საჭმელი იყო.<sup>440</sup>

ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ შუამავლის ცხოვრებაში იყო ისეთი პერიოდიც, როდესაც მის ოჯახს საჭმელი ჰქონდა და არ შიმშილობდა. ჰიჯრით მეოთხე წელიწადს, შუამავალს საკუთრებაში ნადირის გვარიდან ხურმის ბაღჩა დარჩა, რომელიც გაყიდა და ოჯახის ერთი წლის სარჩო ამით უზრუნველყო. როგორც უმმუ სელემე გადმოგვცემს: „ჩვენი საკვების ძირითადი წყარო ამ ერთი წლის განმავლობაში აქლემი და ცხვარი იყო.“<sup>441</sup>

აუცილებელია, აღვნიშნოთ კიდევ ის გარემოება, რომ შუამავალს თავისი ოჯახის გარდა, როგორც ქვეყნის ხელმძღვანელს, იმ

437. იბნ მაჯე, ეთიმე, 44.

438. მუსლიმი, ეშრიბე, 166.

439. აბუ დაჟუდი, ეთიმე, 41.

440. აბუ დაჟუდი, ეთიმე 22. თირმიზი ეთიმე, 29.

441. იბნ სადი, 1, 496.





ადამიანების კვებაზეც უნდა ეზრუნა, ვინც მესჯიდი ნებევში სწავლა-განათლების მისაღებად იყო მისული და იმ ადამიანებისთვისაც, ვინც ობოლი, უსახლ-კარო ან გაჭირვებული იყო. ის ამ ადამიანებზე ისევე ზრუნავდა, როგორც თავისი ოჯახის მიმართ. ამის შესახებ აბუ ჰურაირა გადმოგვცემს:

„ასეთი მდგომარეობა შუამავლის ცხოვრებაში თითქმის ყოველდღე იყო. ამას ემატებოდა მრავალსტუმრიანობა. შუამავალი, მასთან მყოფი თანამიმდევრებისა და იმ გაჭირვებული ადამიანების გარეშე, რომლებიც მესჯიდი ნებევში იყვნენ, საჭმელს არასდროს ჭამდა. ალლაჰმა ჰაიბერის ბრძოლაში მუსლიმებს დიდი გამარჯვება მოაპოვებინა, რის შედეგად მათ დიდძალი ქონება დარჩათ და ამით მრავალი მუსლიმი ადამიანის ჭამის პრობლემა დროებით მოიხსნა. მაგრამ კიდევ იყო უამრავი ოჯახი, სადაც ეს საკითხი პრობლემად რჩებოდა.“<sup>442</sup>

თანამიმდევართა ერთ კატეგორიას თავშესაფარი და ქონება არ გააჩნდა. შუამავალს, როგორც კი რაიმე შემონირულობა გაუჩნდებოდა, ასეთ ადამიანებს აუცილებლად უგზავნიდა. თავისთვის კი არაფერს იტოვებდა. თუკი საჩუქარი იქნებოდა და არა შემონირულობა, მაშინ ცოტა რამეს თავისთვისაც დაიტოვებდა.<sup>443</sup> შუამავლის ოჯახში ხანდახან რომ მხოლოდ ხურმა, წყალი ან ზოგჯერ არაფერი იყო, ამისი მიზეზი მის მიერ ყველაფრის გაჭირვებულზე დარიგება იყო. მას არ ჰქონია იმის შიში, თუ ხვალ რა უნდა ეჭამა. მას ალლაჰის იმედი ერთი წუთითაც არა დაუკარგავს. ყოველივე აქედან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ შუამავლის მშვიერი დარჩენა იმ პერიოდში უამრავი ადამიანის გაჭირვებული ცხოვრება იყო. ამასთან დაკავშირებით ის ერთ-ერთ ჰადისში ბრძანებს:

„ვისაც მეზობელი მშვიერი ჰყავს მან კი მაძლარია, ის ქვეშარიტი მორწმუნე არაა.“<sup>444</sup>

შუამავლის შემდეგ, უამრავ მუსლიმან ადამიანს ბრძოლებში გამარჯვებით ჩაგდებული ქონების გამოყენების ძალიან ეშინოდა. ისინი ხშირად იხსენებდნენ შუამავლის დროს არსებულ გაჭირვებას. ერთხელ აბდურრაჰმან იბნ ავფი მარხული იყო. მას ხსნილების დროს

442. იბნ სადი, 1, 409.

443. ბუჰარი, რიყაყი, 17.

444. ჰაქიმი, 2, 15.





ძალიან ძვირფასი მაგიდა გაუშალეს. როცა საჭმელს თვალი გადაავლო, თქვა:

„მუსაბ იბნ უმეირი უჰუდის ბრძოლაში შეჰიდი გახდა. ის ჩემზე უფრო ძვირფასი ადამიანი იყო და ერთ დროს ძალიან მდიდარიც. მაგრამ მისი დასაფლავების დროს, იმდენი ტანსაცმელიც კი არ ჰქონდა, რომ მისი სხეული დაეფარათ. როდესაც თავს დაუფარავდნენ, ფეხები ღია რჩებოდა. როდესაც ფეხებს დაუფარავდნენ — თავი ღიად რჩებოდა. დღეს კი ჩვენ ყველაფერი გაგვანია. ამიტომ მეშინია, ალლაჰმა ჩვენ თავისი სიკეთიდან ყველაფერი ამქვეყნად ხომ არ მოგვცა?!“ ამის შემდეგ მან ტირილი დაიწყო და სუფრიდან ისე ადგა, ერთი ლუკმაც არ შეუჭამია.<sup>445</sup>

ომარი ერთხელ ჯაბირს შეხვდა. მას ხელში ხორცის ნაჭერი ეჭირა. ომარმა მას ჰკითხა:

— ხელში რა გიჭირავს?

ჯაბირმა უპასუხა:

— ხორცის ნაჭერი. ძალიან მომინდა, ამიტომ ნავედი და ვიყიდე.

— ის რაც მოგინდება, ყველაფერი შეგიძლია იყიდო? თუ შენ სულ იმის გეშინია, არ აღმოჩნდე მათ რიცხვში, ვისზეც ყურანში ნათქვამია:

أَذْهَبْتُمْ طَيِّبَاتِكُمْ فِي حَيَاتِكُمُ الدُّنْيَا وَاسْتَمْتَعْتُمْ بِهَا

„...განა თქვენ არ გალიეთ თქვენი სიკეთენი ამიერ ცხოვრებაში და ისარგებლეთ იგი...“<sup>446</sup>

როგორც ამ აიათში ბრძანებს ალლაჰი, არ გეშინია, რომ ასეთი ადამიანების რიცხვში აღმოჩნდე? აი, ასე გაააფრთხილა ომარმა ჯაბირი.<sup>447</sup>

მტკიცედ შეიძლება ვთქვათ, რომ შუამავალი და მისი თანამიმდევრები როგორც ცხოვრების მძიმე პერიოდში, ასევე კეთილდღეობისასაც შიმშილობდნენ, ყოველთვის ცდილობდნენ ციტა ეჭამათ, რაც მათ ღვთის მოსაობაზე მეტყველებს.

445. ბუჰარი, ჯენაიზი, 27.

446. სურა აჰქაფი, აიათი 20.

447. იბნ ჰანბელი, ზუჰდი, გვ. 124.



## ბ. მუჰამმედ შუამავლის ცხოვრება

მუჰამმედ შუამავალი ჰიჯრას გაკეთების შემდეგ, გარკვეული დროით ება ეიუბ ელ ანსარის სახლში საცხოვრებლად დარჩა. როდესაც მესჯიდი ნებევი გაკეთდა, მის ოთახებში გადავიდა საცხოვრებლად. თავდაპირველად მესჯიდს სამი ოთახი ჰქონდა. ერთი ოთახი სევდეს ეკუთვნოდა, მეორე — ჯერ კიდევ დანიშნულ აიშეს, მესამე ოთახში კი შუამავლის ორი ქალიშვილი ცხოვრობდა — უმმუ გულსუმი და ფატიმა.<sup>448</sup> მას შემდეგ ოთახების რაოდენობა საჭიროების მიხედვით გამრავლდა. ზოგი ოთახი — აგურით, ზოგი კი ქვით იყო გაკეთებული. ისინი ზემოდან ხურმის ტოტებით იყო დახურული.<sup>449</sup> ამასთან ერთად, ცნობილია, რომ ოთახები ძალიან მჭიდრო იყო, ისეთი მჭიდრო, რომ ერთხელ, როდესაც შუამავალი ღამეში ნამაზის სალოცავად ადგა, სეჯდის გაკეთების დროს მძინარე აიშეს ფეხებს შეეხო. აიშემ კი ფეხები გვერდზე გასწია, რათა მისთვის ხელი არ შეეშალა.<sup>450</sup>

ჰასან ბასრი, რომელმაც ბავშვობა თითქმის შუამავალთან გაატარა, ამბობს, რომ ის შუამავლის ოთახებში ხელს ჭერამდე უწვდებოდა.<sup>451</sup>

შუამავლის ოთახების კარები შავბენვიანი ქეჩისგან იყო გაკეთებული.<sup>452</sup>

„თაბინების“ (საჰაბეთა შემდგომი თაობა) დროს მცხოვრები ერთ-ერთი ძვირფასი იმამი — საიდ იბნ მუსეიები შუამავლის ნაცხოვრები ოთახების დანგრევისა და მესჯიდი ნებევზე შეერთების შესახებ ბრძანებს:

„ვფიცავ ალლაჰს, რომ ძალიან მინდოდა, ის ოთახები, სადაც შუამავალი ცხოვრობდა, ისეთივე დაეტოვებინათ, როგორც იყო, რადგან მომავალი თაობა, როცა თავისი თვალთ დაინახავდა, თუ სად ცხოვრობდა შუამავალი, მიხვდებოდა, რომ ამქვეყანად ბევრი

448. ჰამიდულლაჰი, 2, 1053-1054.

449. იბნ სადი, 1, 499. სუჰეილი, 1, 248.

450. მუსლიმი, სალათი, 272.

451. იბნ სადი, 7, 161. სუჰეილი, 1, 248.

452. იბნ სადი, 1, 499.





ქონების დაგროვებას და დიდი სასახლეების აშენებას არავითარი ფასი არ გააჩნია.“<sup>453</sup>

შუამავალს ხის ხმელი ტოტებისა და ხურმის წვრილი ტოტებისგან შეკრული სანოლი ჰქონდა.<sup>454</sup> იგი ამ სანოლზე წვებოდა და ისვენებდა. სანოლის ზედაპირი გაუხეშებული ტყავით იყო დაფარული.<sup>455</sup> აიშეს გადმოცემის მიხედვით, ერთმა ქალმა დაინახა რა შუამავლის სანოლი, სახლში გაიქცა და მატყლის ლეიბი მოიტანა. ამის მნახველმა შუამავალმა აიშეს უთხრა:

*„აიშე, ჩემი სანოლი მის ადგილას დააბრუნე!“*

აიშე ამბობს: „სანოლი, მისი თხოვნის მიუხედავად, არ მიეუტანე, რადგან მინდოდა ასეთი სანოლი ჩემს სახლშიც მქონოდა. როდესაც შუამავალმა სამჯერ გაიმეორა თავისი ბრძანება, მერე თქვა:

*„ვფიცავ ალლაჰს, სურვილი რომ მქონოდა, ალლაჰი ოქროსა და ვერცხლის მთებს მბრძანებლობის ქვეშ გადმომცემდა.“<sup>456</sup>*

ჰაფსას ჰკითხეს: „შუამავალი შენს ოთახში როგორ სანოლზე იწვა? ჰაფსამ უპასუხა: — მატყლით გაკეთებულ თხელ ლეიბზე. ერთ დღეს ვიფიქრე, ლეიბს ოთხად გავკეცავ და შუამავალი უფრო მოისვენებს-მეთქი. ასეც მოვიქეცი და ლეიბი ოთხად გავკეცი. როდესაც შუამავალი დილას ადგა, მკითხა:

— გუშინ საღამოს როგორი სანოლი გვქონდა?

— ძველი სანოლი, შუამავალო! ოღონდ, ოთხად გავკეცი, რომ უფრო რბილი ყოფილიყო და კარგად დაგესვენა. ამის შემდეგ შუამავალმა მითხრა:

*— ჩემი სანოლი ძველ მდგომარეობაში მოიყვანე, რადგან რბილმა სანოლმა ღამეში ნამაზის ლოცვაში ხელი შემეშალა.“<sup>457</sup>*

დაძინებისა და დასვენებისთვის უბრალო სანოლის არჩევანის გამკეთებელი შუამავალი, დროდადრო ჭილოფზეც წვებოდა და ისვენებდა. ამის მნახველი თანამიმდევრები მას ხშირად ეუბნებოდნენ:

453. იბნ სადი, 1, 499-500.

454. სურელი, 1, 248.

455. ბუჰარი რიყაყი, 17.

456. იბნ სადი, 1, 465.

457. თირმიზი, შემაილი, გვ. 154.





„შუამავალო! ნება მოგვეცი და შენთვის ერთ რბილ სანოლს გავამზადებთ, რათა კარგად დაისვენო!“ შუამავალი კი მათ პასუხობდა:

*„სააქაოდ იგი არ ღირს. ისე როგორც ყველა, მეც ამქვეყნად ხის ჩრდილში ცოტა ხნით დასვენების გამო გაჩერებული, შორს მიმავალი მგზავრის მსგავსი ვარ!“<sup>458</sup>*

შუამავლის საცხოვრებელი ოთახების მნახველი ომარი გადმოგვცემს:

„ერთხელ შუამავლის საცხოვრებელ ოთახში შევედი. დავინახე, რომ ის ჭილოფზე დანოლილიყო, რომლის ღეროებს მის სხეულზე ნაკვალევი დაეტოვებინა. გარდა ამისა, მას ხურმის ხის ტოტებისგან გაკეთებული ბალიში ჰქონდა. ოთახი დავათვალიერე. ალლაჰს ვფიცავ, ოთახში ტყავის სამი სალოცავის გარდა, ვერაფერი დავინახე. ბოლოს შუამავალს ვუთხარი:

— შუამავალო! ალლაჰს შეევედრე, რომ შენს მიმდევრებს უფრო მეტი გასაქანი მისცეს! რომის იმპერიასა და ირანში მცხოვრები ადამიანები ალლაჰს საერთოდ არ ემსახურებიან, მაგრამ ის მათ მაინც კარგი ცხოვრების პირობებს უქმნის. ამ სიტყვების გამგონმა შუამავალმა ომარს უთხრა:

*„შენც ასე ფიქრობ, ჰატტაბის შვილო?! ეჭვი არ შეგეპაროს, რომ იმ ადამიანებს ალლაჰი ყოველგვარ სიკეთეს ამქვეყნად აძლევს.“<sup>459</sup>*

ერთ-ერთი სხვა ვერსიის მიხედვით, როდესაც ომარმა შუამავლის სხეულზე სანოლის დატოვებული ნაკვალევი დაინახა, ტირილი დაიწყო. შუამავალმა როდესაც ტირილის მიზეზი ჰკითხა, მან უპასუხა:

— შუამავალო! ცნობილია, როგორ ცხოვრობენ ქისრა და ქევსერი. შენ ხომ ალლაჰის შუამავალი ხარ! ომარის ასეთი სიტყვების შემდეგ, შუამავალმა უპასუხა:

*„სააქაო რომ — მათი და საიქიო შენი იყოს, კმაყოფილი არ იქნები?“<sup>460</sup>*

458. იბნ მაჯჰე, ზუჰდი, 3. იბნ ჰანბელი, 1, 391.

459. ბუჰარი, ნიქაჰი, 83.

460. მუსლიმი, ტალაყი, 31.





აღისა და ფატიმას დაქორწინებისას ცნობილია, რომ მათი საწოლი მხოლოდ ცხვრის ტყავისგან იყო გაკეთებული.<sup>461</sup> ამ მდგომარეობით უკმაყოფილო ფატიმასგან შუამავალი მხოლოდ მოთმინებას მოითხოვს.<sup>462</sup> ერთხელ შუამავალი თავისი ქალიშვილის — ფატიმას მოსანახულებლად წავიდა. როდესაც მის სახლთან მივიდა და დაინახა, რომ სახლის კარები მორთული და ნაქარგი ნაჭრით იყო დაფარული, შიგნით აღარ შევიდა, უკან მობრუნდა და თქვა: „მე — სად, და სააქაო, ამქვეყნიური ქონება — სად?!“ ამით მან არსებული მდგომარეობის მიმართ თავისი უკმაყოფილება გამოხატა. ამის გამო ძალზე დამწუხრებულმა ფატიმამ შუამავალს ჰკითხა, თუ სად უნდა წაეღო მის სახლის კარზე ჩამოკიდული მორთული ფარდა. შუამავალმა ფატიმას მისი სხვაზე მიცემა უბრძანა.<sup>463</sup>

შუამავლის სამზარეულოს მოწყობილობის შესახებ, თუ რამდენი რა გააჩნდა, ენესისგან მოვისმინოთ, რომელმაც პატარაობიდან მის გვერდით სიცოცხლის მრავალი წელი გაატარა: „მე შუამავალი განსაკუთრებულად გამოყოფილ ცალკე ოთახში ჭამის დროს არასდროს დამინახავს. არც ის დამინახავს ოდესმე, სუფთად დაფქვილი ფქვილისგან გამოეცხო პური, საჭმელი მაგიდის მსგავს რამეზე დაელაგებინა, მიმჯდარიყო და ისე ეჭამა.“ მას ჰკითხეს:

- მაშინ შუამავალი საჭმელს როგორ ჭამდა?
- ის სუფრას ძირს გაშლიდა და ისე ჭამდა.<sup>464</sup>

თუკი ირანის ან სხვა ქვეყნების იმპერატორებს განსაკუთრებულად დამზადებული და ძვირფასი სამზარეულო ჰქონდათ, შუამავალმა უბრალო სუფრა ირჩია. ის ერთ-ერთ ჰადისში გადმოგვცემს: „მე მხოლოდ ერთი ჩვეულებრივი მსახური ვარ, რომელიც მის შესაფერისად ჭამს და სვამს.“<sup>465</sup>

თუკი შუამავლის ოჯახში საჭმლის მომზადების საქმეს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მას, ძირითადად, სახლის ქალბატონები აკეთებდნენ.<sup>466</sup> მაგალითად, საფიე ძალიან გემრიელ კერძებს ამზა-

461. იბნ მაჯე, ზუჰდი, 11.

462. დიარბეჟრი, 1, 412.

463. აბუ დავუდი, ლიბასი, 43.

464. ბუჰარი, ეთიმე, 8.

465. მუნავი, 2, 724.

466. ჰამიდულლაჰი, 2, 1078.





დებდა. აიშე ამბობს: „საჭმლის მისი მსგავსი გამკეთებელი არავინ მინახავს.“<sup>467</sup>

### **შუამავალი საოჯახო საქმეებსაც ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდა.**

— შუამავალი, შუამავლობასთან ერთად, ჩვეულებრივი ადამიანი იყო. ის ტანსაცმელსაც კერავდა, ცხვარსაც წველიდა და ხშირად ოჯახის სხვა საქმეებსაც აკეთებდა.<sup>468</sup>

— ის სახლში, თქვენ მსგავსად, ფეხსაცმელებს შეაკეთებდა და ტანსაცმელს შეკერავდა.<sup>469</sup>

— შუამავალი სახლში ოჯახის საქმეს აკეთებდა, ხოლო, როცა ეზნის ხმას გაიგონებდა, მაშინვე ნამაზის სალოცავად წავიდოდა.<sup>470</sup> აიშემ შუამავლის საქმიანობის შესახებ ასეთი პასუხები გასცა:

ამ ყველაფერთან ერთად, შუამავალს ხანდახან მოსამსახურეც ჰყავდა, რომელიც მის სახლის კარებთან იდგა და ემსახურებოდა. ერთ-ერთი ასეთი ადამიანი ჰეისემ იბნ ნასრი იყო. მას ხანდახან აბუ ჰეისემის ჭიდან ტკბილი წყალი მოჰქონდა.<sup>471</sup> რაბია იბნ ქაბ ელ ან-სარი ასე გადმოგვცემს: „შუამავალს ღამეში აბდესისთვის წყალს ვუზიდავდი. ხანდახან მისი ხმა გარეთ მესმოდა. ის ხშირად ამბობდა: „სემიღელლაჰუ ლიმენ ჰემიდე.“ და „ელჰამდულილლაჰი რაბბილ ლალემინ.“<sup>472</sup> იგივე თანამიმდევარი კიდევ ასეთ რამეს გვიყვება: „შუამავალს ღამის აბდესისთვის წყალს და სხვადასხვა რამეს ვუზიდავდი. ერთ დღეს შუამავალმა მკითხა:

- *მიტხარი, ჩემგან რას ითხოვ!*
- მე ვუთხარი:*
- *სამოთხეში შენი ამხანაგობა მინდა — მეთქი.*
- *სხვა რამე რომ მოითხოვო, არ შეიძლება?*
- *ჩემი სურვილი მხოლოდ ეს არის — მივუგე მე.*

---

467. აბუ დავუდი, ბუიუ, 89.  
 468. იბნ ჰანბელი, 6, 256.  
 469. იბნ ჰანბელი, 6, 106.  
 470. ბუჰარი, ნაფაყათი, 8.  
 471. იბნ ჰაჯერი, ისაბე, 3, 615.  
 472. იბნ სადი, 4, 313.



შუამავალმა მითხრა:

— *მაშინ სეჯდე ბევრჯერ შეასრულე და შენს სასიკეთოდ დამეხმარე!*<sup>473</sup>

ენესის შემდეგი სიტყვებიც ძალიან დასაფიქრებელია:

„შუამავალს ცხრა წელი ვემსახურე. მაგრამ მას, ამ დროის განმავლობაში არც ერთხელ არ უთქვამს ჩემთვის, ეს რატომ გააკეთე ან არ გააკეთეო?“<sup>474</sup>

აბდულლაჰ იბნ მესუდიც შუამავალთან მსახურობდა. ის მას აღვიძებდა, ტანსაცმლის ჩაცმაში ეხმარებოდა და სადაც წავიდოდა, თან დაჰყვებოდა, მარტოდ არ გაუშვებდა.<sup>475</sup>

შუამავალს სხვა ადამიანებთან დასაკავშირებელი ტრანსპორტი არ გააჩნდა. მაგრამ, როდესაც ამის საჭიროება შეიქმნებოდა, ის რამდენიმე თანამიმდევარს აირჩევდა, სახლის კარებთან დააყენებდა და მათი საშუალებით სხვებს უკავშირდებოდა. ასეთ ადამიანებს შორის, შუამავალის მიერ გათავისუფლებული მონა ზეიდი და რაბან ელ ესვედიც იყვნენ.<sup>476</sup>

ორ საქმეს შუამავალი არასდროს არავის დაუთმობდა. ერთი იყო, ღამეში აღებული აბდესის წყლის დაქცევა და მეორე — გაჭირვებულზე მოწყალების მიცემა. ის გაჭირვებულს მოწყალებას ყოველთვის თავისი ხელით აძლევდა.<sup>477</sup> აბდულლაჰ იბნ აბბასი გადმოგვცემს: „*შუამავალი აბდესის წყალს თვითონ გაამზადებდა და მოწყალებას თავისი ხელით მისცემდა. ამ ორ საქმეს ის არავის დაავალებდა.*“<sup>478</sup>

შუამავალმა ღარიბული ცხოვრების სტილი ირჩია. ის, რა თქმა უნდა, მდიდრული ცხოვრების მეთოდს არ აირჩევდა, რადგან იმ დროს ადამიანთა უმრავლესობას ძალიან უჭირდა. მისი სახლის აგებულება, მასში არსებული ქონება და მისი საქმის თავისივე ხელით კეთება, ყოველი ჩვენგანის ცხოვრებისთვის საუკეთესო მაგალითია. ეს ისლამის პრინციპებიდან ერთ-ერთია. ის, ვიდრე ადამიანებს რაიმე საქმის გაკეთებას უბრძანებდა, თავდაპირველად თვითონ

473. მუსლიმი, სალათი, 226.

474. აბუ დაჟუდი, ედები, 1.

475. იბნ სადი, 3, 153.

476. ბუჰარი, ჯენაიზი, 32. იბნ ჰაჯერი, ისაბე, 1, 75, 502.

477. იბნ სადი, 1, 369. იბნ აბუ შეიბე, 1, 178.

478. იბნ მაჯე, თაჰარეთი, 30.



აკეთებდა. მისი ცხოვრება ყველა დროისა და ადგილის საუკეთესო მაგალითად იქცა.

## გ. მუჰამმედ შუამავლის ტანსაცმელი

მუჰამმედ შუამავლის ტანსაცმელი, როგორც სხვა ყველაფერი, თანამოაზრეებისა და მრავალრიცხოვანი თანამიმდევრების დიდ ინტერესს იწვევდა. ამიტომ მას ხშირად ეკითხებოდნენ, ჩვეულებრივ, ის რას ატარებდა, რა ტანსაცმელს იცვამდა და როგორი ტანსაცმლის ჩაცმას ურჩევდა მუსლიმებს.

### 1. ჩალმა

შუამავალი ჯერ ქუდს დაიხურავდა, მერე ჩალმას მოიხვევდა, გამონასკვავდა და ჩალმის ნვერებს ზურგის მხარეს ჩაუშვებდა.<sup>479</sup> იგი ჩალმას ყოველთვის იყენებდა და აღნიშნავდა, რომ მას ანგელოზებიც იყენებდნენ. შუამავალმა მირაჯში (ცად ამალღება) ყოფნის დროს ანგელოზების უმრავლესობა ჩალმადახურული დაინახა.<sup>480</sup>

ცნობილია, რომ შუამავალს ყოველთვის თავს ეხურა და ნამაზსაც ასეთი ფორმით ასრულებდა. ამიტომ ნამაზის ლოცვის დროს თავის დახურვა სუნნეთია.

შუამავალი უფრო ხშირად თეთრი ფერის ჩალმას იყენებდა. იგი ყოველთვის თავის მიმდევრებს თეთრი ფერის ტანსაცმელს ურჩევდა.<sup>481</sup> გადმოცემის მიხედვით, მექას ალების შემდეგ თანამიმდევრებთან საუბრის დროს, მას თავზე შავი ფერის ჩალმა ეხურა.<sup>482</sup>

### 2. ტანსაცმელი

საყვარელი შუამავლის ტანსაცმელი ორი ნაწილისგან შედგებოდა. წელს ზემოთ ჩასაცმელს — „რიდა“ და ქვემოთ ჩასაცმელს „იზარი“ ეწოდება.<sup>483</sup> მაგრამ შუამავლის ყველაზე საყვარელი ტანსაცმელი „ყამისი“ იყო. იგი ფეხებამდე გრძელი პერანგია.<sup>484</sup> მას გარდა, საჭიროების დროს ჩვეულებრივ ტანსაცმელზე მოსასხამსაც იცვამ-

479. თირმიზი, ლიბასი, 12.

480. ჰეისემი, 5, 120.

481. თირმიზი, ედები, 46.

482. მუსლიმი, ჰადი, 451.

483. იბნ სადი, 1. 452.

484. აბუ დავუდი, ლიბასი, 3.





და.<sup>485</sup> იმ დროისათვის ე. წ. „სირვალს“ ანუ დღეს არსებული შარვლის მსგავს ტანსაცმელსაც იცვამდა.<sup>486</sup> შუამავალს განსაკუთრებული სადღესასწაულო ტანსაცმელიც ჰქონდა, რომელსაც ბაირამსა და ჯუმა (პარასკევე) დღეებში იცვამდა. ეს წითელ მოსასხამთან ერთად, ჰადრამუთის ტანსაცმელი იყო.<sup>487</sup> მას, აგრეთვე, სპეციალურად ღამეში ჩასაცმელი ტანისმოსიც ჰქონდა.<sup>488</sup>

თუ ვიმსჯელებთ იმის შესახებ, შუამავალი საერთოდ რისგან დამზადებულ ტანსაცმელს იცვამდა, შეიძლება ვთქვათ, რომ ის როგორც შალის, ასევე მატყლის ქსოვილისგან დამზადებულ ტანისამოსს იცვამდა. გადმოცემის მიხედვით, ვიცით, რომ მას ხანდახან უხეში ბენვისგან დამზადებული ტანსაცმელიც ეცვა.<sup>489</sup> ჩამოთვლილი ტანისამოსის ფერებს რაც შეეხება, ისინი თეთრი, შავი, ყვითელი, მწვანე და წითელი ფერის იყო.<sup>490</sup> მიუხედავად ამისა, შუამავალი, შეძლებისდაგვარად თეთრი ფერის ტანსაცმელს იცვამდა და სხვებსაც ამას ურჩევდა ერთ-ერთ ჰადისში ასე ბრძანებს:

*„თეთრი ფერის ტანსაცმელი ჩაიცვით, რადგან, ის უფრო სუფთაა და კარვად გამოიყურება. მიცვალებულებიც თეთრ ნაჭერში შეახვიეთ!“*<sup>491</sup> ამ ჰადისის მიხედვით, როგორც ვხედავთ, შუამავალი თეთრი ტანსაცმლის ჩაცმას არა მარტო ცოცხალ ადამიანებს ურჩევს, არამედ მიცვალებულების თეთრ სამოსელში გახვევაზეც საუბრობს. გარდა ამისა, იგი კატეგორიულად მოითხოვს, ტანსაცმელის სისუფთავესაც.

შუამავალი ყოველთვის მონესრიგებული იყო. საჭიროების შემთხვევაში ხშირად იცვლიდა ტანისამოსს. აიშეს გადმოცემის მიხედვით, იგი სუნამოს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

შუამავალი ისეთი ტანსაცმლის ჩაცმას ყოველთვის ერიდებოდა, რომელიც ძალიან ძვირფასი და ადამიანის თვალში მოსახვედრი იყო. ერთხელ ბიზანტიის იმპერატორის მიერ ნაჩუქარი აბრეშუმის ძალზე ძვირფასი ტანსაცმელი ჩაიცვა. ის თანამიმდევრებს ისე მოეწონათ,

485. იბნ სადი, 1, 450, 451, 453, 461.

486. ჰეისემი, 5, 121.

487. იბნ სადი, 1, 451, 458.

488. ჰამიდულლაჰი, 2, 1077.

489. აბუ დავუდი, ლიბასი 5.

490. იბნ სადი, 1, 449-456.

491. თირმიზი, ედები, 46.



რომ შუამავალს ჰკითხეს: „ეს ტანსაცმელი ციდან გამოგეგზავნა?“ მას შემდეგ შუამავალს ეს ტანსაცმელი აღარ ჩაუცვამს და ის საჩუქრად ნეჯაში ასჰამას გაუგზავნა.<sup>492</sup>

შუამავალს თავდაპირველად აბრეშუმის ტანსაცმელი ეცვა, მაგრამ შემდეგ მისი ჩაცმა, როგორც თავისთავს, ასევე მის მიმდევრებსაც აუკრძალა. რა თქმა უნდა, მხოლოდ მამაკაცებს. ალი გადმოგვცემს: „შუამავალმა ერთ დღეს მარჯვენა ხელში — აბრეშუმი, მარცხენაში კი ოქრო აიღო და თანამიმდევრებს მიმართა:

*„ეს ორივე — ჩემი მიმდევარი მამაკაცებისთვის ჰარამია!“<sup>493</sup>*

შუამავალს არასდროს ჰქონდა სურვილი, რომ დიდი ხნის განმავლობაში ნაცვამი ტანსაცმელი გვერდზე გადაეგდო და ახალი ეყიდა. ის იცვამდა როგორც გახუნებული ფერის ჩასაცმელს, ასევე მოკერებულსაც. თანამიმდევრებიდან ქალბატონი ქაილე ბინთ მაჰრემე გადმოგვცემს: „მე შუამავალი ხშირად გახუნებული ფერის, ორი ნაჭრისგან შემდგარი ტანსაცმლით დამინახავს.“<sup>494</sup> აიშე გადმოგვცემს: „შუამავალს, გარდაცვალების დროს, ორი ნაჭრისგან გამოყვანილი, მრავალ ადგილას გაცვეთილი, ძველი ტანსაცმელი ეცვა.“<sup>495</sup>

### **3. წინდა და ფეხსაცმელი**

შუამავალი წინდას და ფეხსაცმელს არსებული მდგომარეობისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით იცვამდა.

შუამავლის ჩაცმული ფეხსაცმელები იყო „ნალეინი“ ანუ სანდლები და „ჰუფფეინი“ ანუ მესთები. ბურეიდეს გადმოცემის მიხედვით, ეთიოპიის ხალიფა ნეჯაშიმ შუამავალს უბრალო, შავი ფერის მესთები აჩუქა. შუამავალმა ის მაშინ ჩაიცვა, როცა აბდესიანი იყო. ამის შემდეგ, აბდესის აღებისას მას ფეხიდან არ იხდიდა და მხოლოდ სველ ხელს მოუსვამდა.<sup>496</sup> გარდა ამისა, დიჰიეთულ ქელები შუამავალს მესთები და მოსასხამი აჩუქა, რომლებიც შუამავალს დაძველებამდე ეცვა.<sup>497</sup>

492. იბნ სადი, 1, 456, 457.

493. აბუ დავუდი, ლიბასი, 11.

494. თირმიზი, ედები, 50.

495. მუსლიმი, ლიბასი, 35. თირმიზი, ლიბასი, 10.

496. აბუ დავუდი, თაჰარეთი, 60.

2. თირმიზი ლიბას, 30

3. აბუ დავუდი, თაჰარეთი, 60.





აბდულლაჰ იბნ ომარი გადმოგვცემს: „შუამავალს უბენვო ტყავისგან დამზადებული ფლოსტები ეცვა, რომლებსაც აბდესის აღების დროს იცვამდა. ამის გამო, მეც ამგვარი სახის ფლოსტების ჩაცმა მიყვარს.“<sup>498</sup>

#### 4. მუჰამედ შუამავლის ბეჭედი

შუამავალმა, როდესაც მექადან მედინაში ჰიჯრა გააკეთა და მუსლიმანები ერთი დროშის ქვეშ შეკრიბა, ჰიჯრის მეექვსე წელიწადს მან მეზობელი რამდენიმე ქვეყნისთვის ისლამის მისაღებად დასაპატიჟებელი წერილების გაგზავნა ისურვა. ამასთან დაკავშირებით, თანამიმდევრებმა შუამავალს უთხრეს: „შუამავალო! სხვა ქვეყნის ხელმძღვანელები, მათთვის გაგზავნილ წერილებს, რომლებსაც ბეჭედი არ აქვს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ.“ ამის შემდეგ შუამავალმაც თავის სახელზე ბეჭედი გააკეთებინა.<sup>499</sup>

შუამავლის ბეჭედი ვერცხლისგან დამზადებული ჩვეულებრივი, თითზე გასაკეთებული ბეჭდის მსგავსი იყო.<sup>4</sup> ბეჭედს ზემოდან სამი სიტყვა ჰქონდა მოტვიფრული: „მუჰამედ“, „რესულ“, „ალლაჰ“.<sup>500</sup>

უამრავ თანამიმდევარს შუამავლის ბეჭდის მსგავსის გაკეთების სურვილი გაუჩნდა, მაგრამ შუამავალმა ბრძანა: „ჩემი ბეჭდის მსგავსი წარწერით ბეჭედი არავინ გააკეთოს!“<sup>501</sup> ეს ბეჭედი ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთი სიმბოლო იყო.

შუამავლის გარდაცვალების შემდეგ, ბეჭედს თანამიმდევრობით აბუ ბაქრი, ომარი და ოსმანი იყენებდნენ. ბოლოს, ოსმანის ხალიფობის მეექვსე წელიწადს, ის მედინაში არსებულ ერისის ქაში ჩავარდა და დაიკარგა.<sup>502</sup>

#### 5. სისუფთავის დამცავი საშუალებები

შუამავალი, როგორც ტანსაცმლის სისუფთავეს, ასევე მოწესრიგებასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ის თმას და წვერს ყოველთვის ლამაზად ივარცხნიდა ხანდახან თმას ინითაც იღებავდა და

4. ბუჰარი, ლიბასი, 37. მუსლიმი, ჰაჯი, 25.  
5. ბუჰარი, ლიბასი, 50.  
500. ბუჰარი, ლიბასი, 55.  
501. იბნ ჰანბელი, 3, 290.  
502. ბუჰარი, ლიბასი, 50.



ზეთის ხელის ზეთსაც ისვამდა.<sup>503</sup> ამასთან ერთად, დიდ ყურადღებას აქცევდა კბილების გასუფთავებასაც. ის დღეში რამდენჯერმე მისვაქით (ხის ტოტისგან დამზადებულ კბილის სახეხით) კბილებს ინმენდდა.<sup>504</sup> შუამავლის ცხოვრებაში სუნამოსაც განსაკუთრებული ადგილი ეჭირა, რადგან მას ძალიან უყვარდა კარგი და სასიამოვნო სუნი. ენესი გადმოგვცემს:

*„მას სუნამოს ერთი ბოთლი ჰქონდა, რომელსაც ხშირად იყენებდა.“<sup>505</sup>*

მეორე მხრივ, შუამავალი იმის წინააღმდეგი იყო, ადამიანს რომ თავის მოწესრიგებისთვის იმდენი დრო არ დაეთმო, რამდენიც არ სჭირდებოდა, ანუ მასზე ზედმეტი დრო არ უნდა დახარჯულიყო. ამასთან ერთად, შუამავალმა აღნიშნა, რომ ადამიანის სისუფთავე და წესიერად ჩაცმა-დახურვა რწმენისთვის საჭირო რამ არის.<sup>506</sup> შუამავალს თავის მოსაწესრიგებლად გააჩნდა: სარკე, სავარცხელი, მაკრატელი, მისვაქი და სუნამოს ბოთლი.<sup>507</sup>

შუამავალი, როდესაც სადმე გაემგზავრებოდა, ზოგიერთ რამეს თან წაიღებდა.<sup>508</sup>

## 6. სამგზავრო ცხოველები

შუამავლის მიერ გამოყენებული სამგზავრო ცხოველებიდან ცნობილია აქლემი, სახელად „ყასვა“. ამას გარდა, შუამავალს უჰუდის ბრძოლის დროს ჰყავდა ცხენი, სახელად „სექბი“. მას კიდევ რამდენიმე ცხენი ჰყავდა თანამიმდევრებისგან ნაჩუქარი, რომლებიც შემდეგ ისევ სხვადასხვა თანამიმდევარს აჩუქა. ამათ გარდა, შუამავლის მიერ გამოყენებული სამგზავრო ცხოველებიდან ცნობილია ჯორი, სახელად „დულდულ“ და ვირი, სახელად „იაფური“<sup>509</sup>

503. თირმიზი, შემაილი, გვ. 18-27.

504. მუსლიმი, თაჰარეთი, 42.

505. აბუ დავუდი, თეჰეჯჯული, 2.

506. აბუ დავუდი, თერეჯჯულ, 1.

507. იბნ სადი, სადი, 1, 484.

508. იბნ სადი, 1, 484.

509. იბნ სადი, 1, 489-492.





## 7. შეიარაღება და აღჭურვილობა

შუამავალს, როგორც ერთ-ერთ ჩვეულებრივ ადამიანს, და ალლაჰის შუამავალს და სარდალს ყოველდღიური ჩვეულებრივი ტანსაცმლის გარდა, ჯავშნის, ხმლისა და ჩაფხუტის მსგავსი საბრძოლო აღჭურვილობაც ჰქონდა.

ჯავშანი ლითონისგან მოქსოვილი ნელზედა მოსასხამი იყო. შუამავალს ამგვარი ჯავშნის პერანგი უჭუდისა და ჰაიბერის ბრძოლებში ეცვა.<sup>510</sup> შუამავალის ჯავშნის პერანგებს — „ზათულ-ფუდულ“, „ფიდდა“, „სუდიესა“ და „ჰარნაქ“ სახელებს უწოდებდნენ.<sup>511</sup>

მექას აღების დროს, ქალაქში შესვლისას შუამავალს დალოცვილ მუზარადი ჩაფხუტი ეხურა.<sup>512</sup>

ამავე დროს, შუამავალს რამდენიმე სახელის ხმალი — „ზულფიყარ“, „ქალაი“, „ბეთთარ“, „ჰაფტ“ — ჰქონდა.<sup>513</sup> მათგან ყველაზე გამორჩეული ბედირის ბრძოლაში მოპოვებული „ზულფიყარის“ ხმალი იყო.

შუამავალს სამი ხიშტი და სამიც მშვილდი ჰქონდა. მის მშვილდებს სახელად „რავჰა“, „ბეიზა“ და „საფრა“ ერქვა. ამას გარდა, შუამავალს ერთი ფარი ჰქონდა, რომელზეც ყოჩი ეხატა. ის მას არ მოსწონდა და ბრძანა ნახატი მოეშალათ.<sup>514</sup>

ყოველივე აქედან გამომდინარეობს, რომ შუამავალს, როგორც სხვა დანარჩენი საქმეები, ჩაცმაც უბრალო და მონესრიგებული უყვარდა. ის სხვებისგან განსხვავებით, ყოვლისშემძლე მეფეებსავით არც ფიქრობდა და არც იცვამდა.

## დ. მუჰამედ შუამავალის ქონებრივი მემკვიდრეობა

ამქვეყნად მხოლოდ იმქვეყნის ინტერესების გამო მცხოვრები და მხოლოდ სიკეთის მკეთებელი შუამავალი ბრძანებს: „ჩვენ — შუამავლები მემკვიდრეობას არ ვტოვებთ, ჩვენ მიერ დატოვებული ყველაფერი მონყალებაა.“<sup>515</sup>

510. იბნ სადი, 1, 487.

511. ზეჰები, ეს-სირე, 1, 430.

512. ბუჰარი, ჯიჰადი, 169.

513. იბნ სადი, 1, 485.

514. იბნ სადი, I 479.

515. ბუჰარი, ნაფაყათი, 3.





მის მიერ დატოვებული რამდენიმე აუცილებელი ნივთი სახე-ზეა, რაც მონიშნავს, რომ მას სხვა არაფერი დაუტოვებია.

ჯუვეირიეს გადმოცემის მიხედვით, შუამავალს სიკვდილის შემდეგ, თეთრი ჯორის, საბრძოლო იარაღისა და მგზავრობისას გასაჩერებლად გამოყოფილი სპეციალური ადგილის გარდა, არავითარი ოქრო, ვერცხლი, მონა, მოსამსახურე, ან სხვა რამ, არ გააჩნდა.<sup>516</sup>

შუამავლის ზემოთ მოცემული ჰადისის მიხედვით, აუცილებლად საჭირო რამდენიმე ნივთის გარდა, სხვა ქონება მონყალბაა. კიდევ ერთ ჰადისში იგი ბრძანებს: „ოჯახის თავის გასატანად საჭიროზე მეტი — ყველაფერი მონყალბაა.“<sup>517</sup> ამ ჰადისიდან გამომდინარეობს ის, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ოჯახისთვის საჭირო ქონება ოჯახისთვის უნდა გადაეცათ. შუამავალმა თავის სიცოცხლეში საკუთარი მიწები და ტერიტორიები, რომლებზეც უფლებამოსილება ჰქონდა, მისგან ნაწილი საზოგადოებას გადასცა სარგებლობაში. ანუ ამ ტერიტორიების შემოსავლის ნაწილს ოჯახს ახმარდა, დანარჩენს კი საზოგადოების სარგებლობისთვის ხარჯავდა.<sup>518</sup> ამ ყველაფერთან ერთად, შუამავლის სიკვდილის შემდეგ, მისი ოჯახი არ დაზარალებულა და შუამავლის რჩევის მიხედვით, თავისი მიწის ტერიტორიის შემოსავალი მის ოჯახს სიკვდილამდე არჩენდა. შუამავლის გადმოცემით, მიწის ნაკვეთის საზოგადო საქმისთვის გაჩუქება ერთ-ერთ სასიკეთო საქმეა. ხადისში ნაბრძანებია:<sup>519</sup>

*„ადამიანის სიკვდილის შემდეგ იხურება მისი ქმედებების ნივნი, მაგრამ შემდეგ სამ შემთხვევაში, ანგელოზები აგრძელებენ წერას: პირველი: სადაყათულ ჯარია (სავადმყოფოების, მეჩრეთების, ხიდების, ბაღების მშენებლობა, მეორე: ცოდნა, რომელიც ემსახურება ხალხს და მესამე: კარგი შვილები, რომლებიც ევედრებიან გარდაცვლილი მშობლებისთვის“.* დღემდე უამრავი ადამიანი დაუფიქრდა შუამავლის ამ ჰადისს და გააკეთა ისეთი საქმეები, რომლის მაღლი განკითხვის დღემდე არ შეუწყდებათ. გარდა ამისა, მათ მომავალ თაობას თავიანთი სიკეთით საუკეთესო მაგალითიც აჩვენეს.

შუამავალი თავისი სიცოცხლის განმავლობაში, ადამიანებს არა მარტო ამქვეყნიური არამედ იმქვეყნიური ცხოვრების მაგალითებ-

516. ბუჰარი, ვესაიე, 1.

517. ბუჰარი, ვესაიე, 32. მუსლიმი, ჯიჰადი, 55.

518. ნევევი, შერჰუ საჰიჰი მუსკიმი, 12, 82.

519. მავერდი, 217-221.





საც აჩვენებდა. ყოველივე ამას, ნაბრძანები სიტყვების გარდა, მისი ჭამა, სმა, ჩაცმა, დახურვა და სიკვდილის შემდეგ დატოვებული ქონებაც ამტკიცებს.

ნეტავი იმ ადამიანს, ვინც ამქვეყნად შუამავლის ცხოვრების მსგავსად ცხოვრებს!...







მეორე ნაწილი

საუკეთესო ზნეობის უბადლო მაგალითი

მუჰამმედ შუამავლის ზნეობრივი ღირსებები

صَلَّى اللَّهُ  
عَلَيْكَ  
وَسَلَّمَ





„და უეცრ’ველად, სჰენ ადგაკჰარ უმაგჰლეს ზნეობას!“ (სურა  
კ’ალამი, 68/4)



## მუჰამედ შუამავლის ზნეობრივი ღირსება

გაკეთილშობილდით ღვთისნიერი  
ზნეობით.

მუნავი, ეთ-თეარიფი, გვ. 564

ზნეობა — ხასიათს, ჩვევას, ქცევას და ზნე-ჩვეულებას ნიშნავს. ის შეიძლება იყოს როგორც ცუდი, ასევე კარგი. არაბულ ენაში ზნეობა ერთი სიტყვით — „ზულქ“ გამოითქმება და შემდეგი მნიშვნელობა აქვს: ის, რაც შეიძლება სულით აღიქვა, შეიგრძნო და რასაც სულის არსი წარმოადგენს. საზოგადოებაში არიან ცუდი და კარგი ხასიათის ადამიანები, ე.ი. — შესაბამისად, კარგი და ცუდი ზნეობის მქონე პიროვნებები.

კარგი ზნეობა რწმენას, სიკეთის კეთებას, ცხოვრების სწორად მართვას და ალლაჰის კმაყოფილების მოპოვებას ნიშნავს. ჩამოთვლილი თვისებების საპირისპიროდ მოქმედება, ალლაჰის საწინააღმდეგოდ მოქმედებას ნიშნავს, რომელიც ცუდი ზნეობის ადამიანების დამახასიათებელი თვისებაა. მაგალითად, მარხვა და ნამაზის ლოცვა ადამიანს კარგ ზნეობას უყალიბებს. ამის შედეგად, ადამიანს უჩნდება მისწრაფება სხვადასხვა არასავალდებულო სიკეთისა და ღვთისმსახურების გაკეთების მიმართ, რომელთა შესრულების სურვილი მხოლოდ კარგი ზნეობისა და ალლაჰის მიმართ სიყვარულის მქონე ადამიანებს ახასიათებთ. ამ თემასთან დაკავშირებით შუამავალი ბრძანებს:

*„კარგი ზნეობის მქონე ადამიანები, „დღისით მარხული და ღამით ნამაზის მლოცველი“ ადამიანების დონემდე ამაღლდებიან.“<sup>1</sup>*

კარგი ზნეობის მქონე ადამიანს, ისე როგორც თავისთვის, ასევე საზოგადოებისთვის მრავალი სიკეთის მოტანა შეუძლია. საზოგადოებაში ერთსულოვნება და სიყვარული კარგი ზნეობის მქონე ადამიანთა წყალობით არის შესაძლებელი. აბუ ჰურაირას გადმოცემის მიხედვით, შუამავალი ბრძანებს:

1. აბუ დავუდი, ედები, 7.



*„ადამიანთა დაკმაყოფილება მხოლოდ ფიზიკური დახმარების წყალობით შეუძლებელია. მათთვის აუცილებელია მოლიმარი სახით, ან კარგი ზნეობით დახმარება და დაკმაყოფილება.“<sup>2</sup>*

ყოვლისშემძლე ალლაჰს უყვარს კარგი ზნეობის და ხასიათის მქონე ადამიანები და ასეთ სიყვარულს სხვების გულებშიც ნერგავს. ასეთი ადამიანი ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც კარგ ცხოვრებას დაიმსახურებს, ალლაჰის დახმარებით, სამოთხეში ცხოვრების უფლებას მოიპოვებს. *„მორწმუნე ადამიანები კარგი ზნეობის მქონე არიან.“<sup>3</sup>* როცა შუამავალს ჰკითხეს, სამოთხეში უფრო მეტი როგორი ადამიანები მოხვდებოდნენ, მან უპასუხა:

*„ალლაჰის ერთგული ღვთისმსახურები და კარგი ზნეობის მქონე ადამიანები!“<sup>4</sup>*

სამოთხეში ყველაზე მაღალ საფეხურზე მყოფ შუამავალთან ახლოს, კარგი ზნეობის მქონე ადამიანები იქნებიან. ამასთან დაკავშირებით ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: *„თქვენგან ჩემთვის ყველაზე საყვარელი და განკითხვის დღეს ჩემთან ყველაზე ახლოს მყოფი, კარგი ზნეობის მქონე ადამიანები იქნებიან.“<sup>5</sup>*

ადამიანთაგან სასურველ შედეგს, უეჭველად, ისლამის მიმდევრები მიაღწევენ, რადგან ისინი ერთადერთი — ალლაჰის მორწმუნე, ყურანის ბრძანებების შემსრულებელი და შუამავლის სუნნეთის მიმდევარი არიან. შუამავალმა მომავალ თაობას კარგი ზნეობის უამრავი მაგალითი აჩვენა. ამიტომ მისი ცხოვრების შესწავლა ყოველი ადამიანისთვის აუცილებელია, რათა დააკვირდეს, დაფიქრდეს და მიბაძოს მას. სად იბნ ჰიშამმა აიშეს სთხოვა, — მუჰამმედ შუამავლის (სალლალლაჰუ ალეიჰი ვესელლემ) ზნეობის შესახებ რაიმე მოეთხრო.

აიშემ ჰკითხა:

— *შენ ყურანს არ კითხულობ?*

— *დიახ, ვკითხულობ.*

2. ჰაქიმი, 1, 212.

3. იბნ ჰიბბანი, 9, 483.

4. თირმიზი, ბირრი, 62.

5. იბნ ჰიბბანი, 2, 231.





— შუამავლის ზნეობა ყურანი იყო, — მიუგო აიშემ.<sup>6</sup>

ზია ფაშა შუამავლის შესახებ ასე ბრძანებს:

„არსებობდა სკოლა, რომლის მოსწავლე — შუამავალი, მასწავლებელი კი ალლაჰი იყო.“

მუჰამმედ შუამავალმა ალლაჰის მიერ ყურანით გადმოცემული ზნეობის ყველა საკითხი აითვისა და ადამიანებს ცხოვრების ყველა სფეროში განუმეორებელი მაგალითი აჩვენა. მუჰამმედ შუამავლის (საღვთისმშობელს ალელიჰი ვესელემ) ყველაზე ნათელი განმასხვავებელი ნიშანი მისი მაღალი ზნეობაა. ალლაჰი მას ყურანში ასე მიმართავს:

وَأِنَّكَ لَعَلَىٰ خُلُقٍ عَظِيمٍ

„და უეჭველად, შენ ადგახარ უმაღლეს ზნეობას!“<sup>7</sup>

ამ აიათში ალლაჰმა შუამავლის მაღალი ზნეობა ღიად ასახა. ამ თემასთან დაკავშირებით, თვით შუამავალი თავისი ზნეობის შესახებ ერთ-ერთ ჰადისში ბრძანებს: „მე ალლაჰმა მაღალი ზნეობის შესავსებად და სხვაზე საჩვენებლად გამომგზავნა.“<sup>8</sup>

შუამავალი სარკეში ჩახედვისას ალლაჰს ასეთ ვედრებას უკეთებდა:

„ღმერთო! ფიზიკურად როგორი ლამაზიც გამაჩინე, ზნეობაც ისეთივე ლამაზი მომეცი!“

„ღმერთო! გვედრები, ყველაზე მაღალი ზნეობის ადამიანად მაქციე! უეჭველია, ეს მხოლოდ შენ შეგიძლია!“<sup>9</sup>

მაჰმუდ ჰუდაი შუამავლის ზნეობისა და თვისებების შესახებ ბრძანებს:

„ეს სამყარო სააქაო სარკეა, გაჩენილი ქმნილება მხოლოდ ალლაჰის ძალისხმევით არსებობს მუჰამმედ შუამავლის (საღვთის-

6. მუსლიმი, მუსაფირინი, 139.

7. სურა ყალემი, აიათი 4.

8. მუვათთა, ჰუსნულ-ჰულყი, 8.

9. იბნ ჰაჯერი, ფეთხულ-ბარი, 10, 456.



ლლაჰუ ალეიჰი ვესელლემ) სარკეში კი მხოლოდ ალლაჰის მაღალი ზნეობაა გამოსახული.“

მექაში ჩამოსული ყურანის აიათების მნიშვნელობას თუ კარგად დავაკვირდებით გავიგებთ, რომ ერთი რწმენა და მეორე — მაღალი ზნეობაა. აქედან გამომდინარე გასაგებია, რომ ყურანი მორალურ, ეთიკურ და ზნეობრივ ნორმებს ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. რწმენა - ალლაჰთან კავშირს წარმოადგენს, ხოლო მშვენიერი ზნეობა — საზოგადოებრივ, სოციალური ურთიერთობის მაჩვენებელია. შუამავლის მაღალი ზნეობის მაგალითების წყალობით, ისლამმა ძალიან მოკლე პერიოდში ადამიანთა გულები დაიპყრო.

მუჰამმედ შუამავლის მაღალი ზნეობის შესახებ თუ დანვრილებითი ცოდნა გვჭირდება, ამას მისი შვილიშვილის — ჰუსეინისა და ჰინდ იბნ აბუ ჰალეს მიერ გადმოცემული მაგალითებით გავიგებთ. ჰუსეინმა თავის მამა — ალის მუჰამმედ შუამავლის ზნე-ჩვეულების შესახებ ჰკითხა, თუ როგორ იქცეოდა ის ოჯახს გარეთ. ალიმ მას ასე უპასუხა:

„ალლაჰის შუამავალი ბევრს არ ლაპარაკობდა. ის მხოლოდ ისეთ რამეს იტყოდა, რაც მუსლიმანებისთვის სასარგებლო იყო. მისი საუბარი მუსლიმან ადამიანებს ერთმანეთთან უფრო აახლოებდა. იგი ყოველი გვარის მოწინავე და გამორჩეულ ადამიანებს დიდ პატივს სცემდა და მათ თავიანთი ტომის ხელმძღვანელად ირჩევდა.“

შუამავალი ყველას მიმართ თავდაუზოგავი იყო. ის თავის თანამიმდევრებს ყოველთვის აკვირდებოდა და მათი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას ფლობდა. მას სიკეთის კეთება უყვარდა და ცუდ საქმეს ყოველთვის გმობდა. მის გაკეთებულ საქმეს ვერასდროს უნახავდი ნაკლს. ერთი სიტყვით, ის ყველაზე მაღალი ზნეობის მქონე ადამიანი იყო. ამასთან ერთად, ის გაჭირვებული ადამიანების ყველაზე დიდი დამხმარე გახლდათ.“

შემდეგ, ჰუსეინმა თავის მამა — ალის შუამავლის საზოგადოებაში ქცევის შესახებ ჰკითხა.

ალიმ განაგრძო:

„მუჰამმედ შუამავალი (სალლალლაჰუ ალეიჰი ვესელლემ) ყოველი დაჯდომისა და ადგომის დროს ალლაჰის სახელს ახსენებდა. ის მეჩეთში, ან სხვაგან, თავისთვის განსაკუთრებულ ადგილს არას-





დროს გამოყოფდა და ამის ყოველთვის დიდი წინააღმდეგი იყო. მეჩეთში შესვლისას, ხან წინ გავიდოდა და დაჯდებოდა, ხან კიდეც — სულ უკან. ის სხვებსაც ამგვარი მოქცევისკენ მოუწოდებდა.

ის გვერდიგვერდ მყოფოფოთ — ყველას კარგად ექცეოდა. შუამავალზე დაკვირვებისას, ვინც უნდა ყოფილიყო მის გვერდით, იფიქრებდი, მის გვერდით მყოფი მისთვის ყველაზე ახლობელი და საყვარელი ადამიანი იყო. თუკი ვინმე მისგან რაიმეს მოითხოვდა, საშუალება თუ ჰქონდა, აუცილებლად მისცემდა. თუ არაფერი ექნებოდა, მას ტკბილ სიტყვას ეტყოდა და მაინც კმაყოფილს დატოვებდა. ის იმდენად კეთილი იყო, რომ მისი სიკეთე გავრცელდა მთელ კაცობრიობაზე. მას ჰქონდა სრულყოფილი ზნეობრივი თვისებები, რომლებიც დღემდე თითოეული ადამიანისთვის ნიმუშს წარმოადგენს. მის თვალებში ყველა ადამიანი იყო თანასწორი. თითოეული მორწმუნისთვის ის კეთილ და გულმონყალე მამად იქცა.

შუამავალი უდიდესი მომთმენი იყო. ამასთან ერთად, ტყუილად არასდროს დაადანაშაულებდა ვინმეს და არც არავის დანაშაულს სახალხოდ გამოიტანდა. იგი ყველას ერთნაირად ექცეოდა და არავის გამოარჩევდა. ერთმანეთზე უპირატესობა ადამიანებს მხოლოდ ღვთისმსახურების საშუალებით ჰქონდათ. თანამიმდევრებიც, მისივე წყალობით, კარგი ზნეობის ადამიანებად იქცნენ. ისინი ყველას მიმართ უდიდეს პატივისცემას იჩენდნენ და ერთმანეთსაც კარგად აფასებდნენ. უფროსების მიმართ — დიდ პატივისცემას, ხოლო უმცროსების მიმართ დიდ სიყვარულს იჩენდნენ. ყოველთვის ცდილობდნენ გაჭირვებულებს დახმარებოდნენ და მათი პრობლემები მოეგვარებინათ. უპატრონო და უცხო ადამიანებს იცავდნენ და სხვას არ აჩაგვრევენებდნენ.“

ალი ალლაჰის შუამავლის დახასიათებას განაგრძობდა:

„შუამავალი საზოგადოებაში ყოველთვის მოლიმარი სახითა და თბილი ხასიათით გამოირჩეოდა. მას დიდი პატიების გრძნობა გააჩნდა. არასდროს არავის ნაეჩხუბებოდა. ის ყოველთვის კარგად იქცეოდა და ყველას კარგ სიტყვას ეუბნებოდა. არასდროს არავის შეარცხვენდა. ყველაზე ხელგამლილი და გულუხვი იყო. შემდეგი სამი საქმისგან ის ყოველთვის თავს იკავებდა:

1. ადამიანებთან დაპირისპირებისგან;
2. ბევრი ლაპარაკისგან;





3. უსარგებლო და გამოუსადეგართან მიახლოებისგან.

ადამიანებთან ურთიერთობაშიც თავს სამი რამისგან იკავებდა:

1. არავის შესახებ, არც პირისპირ და არც ზურგს უკან, ცუდს არ იტყოდა, არავის შეარცხვენდა;
2. არავის შეცდომას და სირცხვილს არ გამოააშკარავებდა;
3. არავის შესახებ უხემ სიტყვას არ იტყოდა.

შუამავლის საუბრის დროს, მისი თანამიმდევრები ისე გაუნძრევლად ისხდნენ და უსმენდნენ, თითქოს თავებზე ჩიტები ესხდათ და ეშინოდათ, არ აფრენილიყვნენ. როდესაც ის საუბარს დაამთავრებდა, თავიანთ სათქმელს ისინი მერე იტყოდნენ. შუამავალს არასდროს ეკამათებოდნენ. როცა ერთი ადამიანი შუამავალს ელაპარაკებოდა, მაშინ სხვები ჩუმად იყვნენ და უსმენდნენ.

როდესაც ადამიანები რაიმეზე გაიცინებდნენ, შუამავალიც ოდნავ გაიღიმებდა. როცა ხალხი რაიმეს გაიკვირვებდა, მაშინ ისიც გაიკვირვებდა. ის ადამიანებს ყოველთვის ეუბნებოდა: *„როდესაც დაინახავთ, ვინმეს რაიმე უჭირს, მას აუცილებლად დაეხმარეთ!“*

შუამავლის პირიდან „არა“ სიტყვა იშვიათად ისმოდა, ანუ ამ სიტყვას იგი თითქმის არ ხმარობდა. როდესაც მისთვის მოსაწონი რაიმე საქმე გამოჩნდებოდა, მისი შესრულებისთვის „დიახ“ — გავაკეთოთო, — იტყოდა. როცა რაიმე არ მოეწონებოდა, მაშინ საერთოდ გაჩუმდებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მისი გაკეთება არ სურდა.<sup>10</sup>

ჰასანის შეკითხვებს, შუამავლის შესახებ, ჰინდ იბნ აბუ ჰალე ასე პასუხობს:

„ალლაჰი შუამავალი როდესაც რომელიმე მხარეს გახედვას დააპირებდა, მთელი სხეულით იმ კუთხეს შეტრიალდებოდა. ის უფრო მეტად წინ იყურებოდა და მისი ცქერა ფიქრითა და სასწაულებით გამოირჩეოდა. თანამიმდევრებთან ერთად სიარულის დროს, მათ წინ გაუშვებდა და თვითონ უკან მისდევდა. როდესაც ვინმეს შეხვდებოდა, სალამს პირველად თვითონ მისცემდა. შუამავალი ყოველთვის დაფიქრებული იყო. ის უადგილოდ არადროს ლაპარაკობდა. მისი სიჩუმე და ფიქრი დიდხანს გრძელდებოდა. მისი თხრობა თავიდან ბოლომდე დანყნარებული და გასაგები იყო. ის ყოველთვის მოკლედ

10. ჰეისემი, IX, 13.





და გასაგებად მეტყველებდა. მის საუბარში სიტყვები ზომიერი, არც მეტი და არც ნაკლები იყო.

ის სულ მცირე სარჩოსაც კი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. საერთოდ, ამ ქვეყანას და მის ქონებას დიდ მნიშვნელობას არასდროს ანიჭებდა. სხვის უფლებებს დიდი პასუხისმგებლობით იცავდა და უფრთხილდებოდა. გაბრაზებას სახალხოდ არასდროს გამოამჟღავნებდა. სიცილს კი, ყოველთვის ღიმილის სახით გამოხატავდა. გაღიმების დროს კბილების სულ მცირე ნაწილი გამოუჩნდებოდა ხოლმე.<sup>11</sup> შუამავალი ადამიანთაგან ყველაზე ნაზი, მაღალი ზნეობის მოღიმარი ადამიანი იყო.<sup>12</sup>

მუჰამედ შუამავალი შუამავლობის მისიის მიღებამდეც ყველაზე მაღალი ზნეობის, სამართლიანი, გამორჩეული და ყველასათვის თითოთი საჩვენებელი ადამიანი იყო. წყაროებში გადმოცემულია:

„შუამავალი შუამავლობის მისიამდეც გამორჩეული, მაღალი ზნეობის, წარმომავლობით უძვირფასესი, კარგი მეზობელი, სამართლიანი, სანდო და სიკეთის მოყვარული ადამიანი იყო. ის არასდროს არავის წაეჩხუბებოდა და არც არავის აწყენინებდა. ყველა დადებითი თვისება ალლაჰს მასში ჰქონდა თავმოყრილი. ამის გამო, ადამიანები მას „სანდოს“ უწოდებდნენ.“<sup>13</sup>

შუამავლის ყოველი საქციელი მიზანმიმართული და სამართლიანი იყო. ის ყველას შეიცოდებდა და შეინწყნარებდა, ვინც ამის ღირსი იყო, ხოლო ვინც არ იმსახურებდა, არ შეიბრალებდა. ამგვარი საქციელიც ზნეობის ერთგვარი ფორმა და ზომა იყო. მისი გადაწყვეტილებები ყოველთვის ალლაჰის კანონების ფარგლებში იყო მოქცეული და არასდროს მათ არ გასცდენია.

მუჰამედ შუამავლის მაღალ ზნეობაზე საკმაო საუბრის შემდეგ, შეიძლება განვიხილოთ მისი კონკრეტული მოქმედებები, რომლებიც ადამიანებისთვის სწორი გზის საჩვენებლად ჰქონდა გამოყენებული.

11. იბნ სადი, 1, 422-423.

12. იბნ სადი, 1, 365.

13. იბნ სადი, 1, 121.





## 1. მოკრძალება

მოკრძალება — თავმდაბლობას, ალლაჰზე თავის დახრასა და სიმართლის დაჯერებას ნიშნავს. მისი სანიხალმდეგო ქმედება სიამაყეა. მოკრძალებისადმი ადამიანს დიდი ყურადღების გამოჩენა სჭირდება.

შუამავლის შემდეგი თაობის წარმომადგენელ ჰასან ბასრის მიხედვით, მოკრძალება და თავმდაბლობა, სახლიდან გასული რომელიმე ადამიანის მიერ გზაში შემხვედრი მუსლიმის საკუთარ თავზე უფრო მაღლა დაყენებასა და დაფასებას ნიშნავს.

ამქვეყნად, ადამიანების ერთ-ერთი ყველაზე კარგი თვისება მოკრძალება და თავმდაბლობაა. ეს ისეთი თვისებებია, რომლებიც თითოეული ადამიანისთვის აუცილებელია. შუამავალი ბრძანებს:

„ვინც ალლაჰის კმაყოფილებისათვის მოკრძალებას გამოიჩენს, ის მას ერთი საფეხურით აამაღლებს, ხოლო მას, ვინც სიამაყეს გამოავლენს, ერთი საფეხურით დაამდაბლებს. საბოლოოდ კი, იგი ყველაზე მდაბიოდ იქცევა.“<sup>14</sup>

თუ რამდენად ცუდი საქმეა სიამაყე, ამას შუამავალი კიდევ ერთ ჰადისში აღნიშნავს:

„სამი კატეგორიის ადამიანები არსებობენ, ვისაც ალლაჰი განკითხვის დღეს არ დაელაპარაკება, სახეზე არ შეხედავს და არ დაეხმარება. ამასთან, ასეთი ადამიანებისთვის დიდი ტანჯვაც არსებობს!“

გაიმეორა რა შუამავალმა ეს სიტყვები სამჯერ, აბუ ზერრმა ჰკითხა:

— ასეთ ადამიანებს დიდი წვალეა დაუმსახურებიათ. ასეთები ვინ არიან, შუამავალო?

შუამავალმა უპასუხა:

„სიამაყის გამო ლამაზი ტანსაცმლის ჩამცმელი, გაკეთებული საქმით მოტრაბახე და საქონლის კარგ ფასში გაყიდვისათვის ცყუილზე დამფიცებელი ადამიანი.“<sup>15</sup>

14. იბნ მაჯე, ზუჰდი, 16.

15. მუსლიმი, იმანი, 171.





როგორც შუამავლის ჰადისიდან გამომდინარეობს, სიამაყე იმქვეყნად ალლაჰთან დალაპარაკების, მისი შეხედვისა და დახმარების გარეშე ტოვებს ადამიანს და ამასთან, მას დიდი ტანჯვაც ემუქრება. აქედან გამომდინარე, სიამაყე ერთ-ერთი ყველაზე ცუდი თვისებაა. ასეთი ადამიანები არა მარტო ალლაჰის წინაშე იქნებიან დამცირებული, არამედ ადამიანებსაც შეძულდებათ. მოკრძალება კი ადამიანს სამართლიანობასთან ახლოს დააყენებს.

ალლაჰი, მოკრძალებისა და თავმდაბლობისაკენ უპირველეს ყოვლისა, შუამავალს მოუწოდებს:

وَإِخْفِضْ جَنَاحَكَ لِمَنِ اتَّبَعَكَ مِنَ الْمُؤْمِنِينَ

**„გადააფარე შენი ფრთა მორწმუნეებს, რომლებიც მოგყვებიან!“<sup>16</sup>**

ალლაჰის ამ ბრძანების შემდეგ, შუამავალი თავის თანამიმდევრებს მიმართავს: „მე მივიღე ალლაჰის ბრძანება რომელშიც ნათქვამია: „თქვენგან არავინ შეხედოს ახვას ქედმაღლურად. დაე, არავინ მიაყენოს სხვას ზიანი!“<sup>17</sup> ასე მიმართა თავის თანამიმდევრებს შუამავალმა და თავისი სიცოცხლის მანძილზე მიჰყვებოდა ღვთაებრივ მონოდებას, სადაც ამჟღავნებდა ზნეობისა და მოკრძალების მწვერვალზე დგომას. მან ალლაჰის მსახურება ამქვეყნიურ მმართველობას ამჯობინა, როცა ჰქონდა ამის საშუალებები.

შუამავალი ისეთ ადამიანებს, ვინც მის მიმართ საჭიროზე მეტ ყურადღებას იჩენდნენ, ეუბნებოდა: „გთხოვ გამჩენ ალლაჰზე მეტად არასოდეს დამაფასოთ, რადგან, ვიდრე ალლაჰი შუამავლად მაქცევდა, მე ჩვეულებრივი მონა-მსახური ვიყავი.“<sup>18</sup> ამ ჰადისით შუამავალმა ჩვეულებრივი მონა-მსახურის ღირსება ნათლად გამოხატა.

აბდულლაჰ იბნ ჯუბეირი გადმოგვცემს: ერთ დღეს შუამავალი თანამიმდევართა ჯგუფთან ერთად მიდიოდა. ამ დროს ერთ-ერთ თანამიმდევარს თავსაფარის საშუალებით მზისგან შუამავლის დაცვა უნდოდა. შუამავალმა ჩრდილი რომ შეამჩნია, თავი მალლა ასწია და დაინახა, ერთი ადამიანი მზისგან მის დაცვას ცდილობდა.

16. სურა შუარა, აიათი 215.

17. მუსლიმი, ჯენნეთი, 64.

18. ჰეისენი, 9, 21.





შუამავალმა ამ ადამიანს უთხრა: „არ გინდა! მეც ისეთივე ადამიანი ვარ, როგორც თქვენ.“<sup>19</sup>

შუამავალი, მიუხედავად იმისა, რომ ალლაჰის ყველაზე საყვარელი ადამიანი იყო, ყველაზე მეტ მოკრძალებას და თავმდაბლობას იჩენდა. ადამიანთა შორის ისე იქცეოდა, როგორც ერთ-ერთი მათგანი. აბბასი გადმოგვცემს: „შუამავალს ვუთხარი:

— შუამავალო! თქვენთვის ერთი სკამი გაგეკეთებინათ და მასზე დამჯდარიყავით, რადგან ვხედავ, ადამიანები განუხებენ. შუამავალმა უპასუხა:

— არა! ვიდრე ალლაჰი არ მომაკითხავს და წამიყვანს, თქვენთან ერთად უნდა ვიდგე. თუგინდ ფეხებზე დამაბიჯონ, ტანსაცმელზე ჩამომეკიდონ, მტვერი მომაყარონ, მაინც ხალხთან ერთად ვიდგები!“<sup>20</sup>

ასეთი თავმდაბლობის გამო, შუამავალი ხალხს არასდროს მორიდებია, არასდროს დამალულა, მათგან არასდროს გამორჩეულა. ის ყველგან და ყოველთვის ჩვეულებრივად იქცეოდა, მინაზე ჯდებოდა და საჭმელს ძირს გაშლილი სუფრიდან მიირთვამდა. ის ხშირად მბობდა: „მეც მონის მსგავსად დავჯდები მინაზე და მის მსგავსად ვჭამ საჭმელს, რადგან მხოლოდ ერთი ჩვეულებრივი მონა ვარ.“<sup>21</sup> მოსამსახურეებს რომ შუამავალი ქერის პურზე დაეპატიჟებინათ, აუცილებლად შეუერთდებოდა.<sup>22</sup> ის ბავშვებსაც დიდი გულისხმიერებით ესალმებოდა.<sup>23</sup>

მედინას ნებისმიერ მცხოვრებს შეეძლო შეხვედროდა ალლაჰის შუამავალს და მოეთხრო მისთვის თავისი პრობლემის თუ თხოვნის შესახებ. პოეტი ბდულლაჰ ვასაფი, რომელიც აღნიშნავდა, რომ მოკრძალება და გულმონყალეობა მართლაც ამაღლებს ადამიანს, წერდა:

იყავი კეთილი სუსტების მიმართ და იქნები დაფასებული! იყავი მოკრძალებული და ამაღლდები! შუამავალი თავისი თანამიმდევრების წინაშე ძალიან თავმდაბალი იყო და ყველას ალლაჰზე შევედრე-

19. ჰეისემი, 9, 21.

20. იბნ სადი, 2, 193. ჰეისემი, 9, 21.

21. იბნ სადი, 1, 372.

22. ჰეისემი, 9, 20.

23. ბუჰარი, ისტიზანი, 15.





ბას სთხოვდა. ომარი გადმოგვცემს: ერთხელ, შუამავლისგან უმრეს გასაკეთებლად ნება ვითხოვე. მან გამათავისუფლა და მითხრა:

*„აღლაჰზე შევედრების დროს მე არ დამივინყო, ძვირფასო ძმაო!“*

შუამავლის ამ სიტყვების მოსმენა ისე ძლიერ გამიხარდა, რომ ეს ქვეყანა ჩემთვის რომ ერუქებინათ, ისე არ გამიხარდებოდა.<sup>24</sup>

შუამავალი სახლში ყოფნისას თავის ტანსაცმელს და ფეხსაცმელებს თვითონ იკემსავდა.<sup>25</sup> ამის გარდა, ცხვრებსაც მონველიდა.<sup>26</sup> თავის ბარგს ყოველთვის თვითონ ატარებდა და სხვას არასდროს შეაწუხებდა. აბუ ჰურაირას გადმოცემული შემდეგი მოგონება ამის ერთ-ერთი კარგი მაგალითია:

*„ერთ დღეს შუამავალთან ერთად ბაზარში წავედი. მან ტანსაცმელი იყიდა. მე მაშინვე მინდოდა მისთვის ნავაჭრი გამომერთვა და მეტარებინა, მაგრამ მან არ დამანება და ასე მითხრა:*

*„თითოეული ადამიანისთვის უფრო მიზანშეწონილია, თავისი ტვირთი თვითონ ატაროს. თუკი რომელიმე მათგანს ძალიან მძიმე ტვირთი აქვს სატარებელი, მაშინ მისი მეგობარი ვალდებულია მას დაეხმაროს.“<sup>27</sup>*

ენესის გადმოცემით, ვიცით, რომ შუამავალი ავადმყოფებს ხშირად მოინახულებდა. მიცვალებულის გადაყვანაში მონაწილეობდა და ხალხის მიერ გამოყენებულ შესაჯდომ ცხოველებზეც შეჯდებოდა. ის სახედარზე შეჯდომას არ ერიდებოდა. ჰაიბერის აღების დღეს, ის სწორედ სახედარზე იყო ამხედრებული.<sup>28</sup> შუამავალი ფეხითაც ხშირად დადიოდა და ეს მისთვის ჩვეულებრივი რამ იყო. ჯაბირი გადმოგვცემს: „ერთხელ ავად ვიყავი და შუამავალმა მომიწახულა. ის ჩემთან ფეხით მოვიდა.“<sup>29</sup>

„მესჯიდი ნებვის“ „მუჰამმედ შუამავლის მეჩეთი“ მშენებლობის დროს, აღლაჰის შუამავალი სხვა მუსლიმანებთან ერთად აგურს ეზიდებოდა. მძიმე ბრძოლების დღეებში, იმისათვის, რათა მოეკლა

24. აბუ დაფუდი, ვითირი, 23.

25. იბნ სადი, 1, 366.

26. ჰეისემი, 9, 20.

27. ჰეისემი, 5, 122.

28. ჰაქიმი, 2, 506.

29. ბუჰარი, მერდა, 15.





შიმშილის გრძნობა, როცა სხვა მორწმუნეებს თითო ქვა ჩამოედოთ ნელში, მას ორი ჩამოედო. ერთი სიტყვით, არასდროს მათზე მალლა თავისთავს არ დააყენებდა.

შუამავალი ბრძანებს:

*„აღლაჰმა მე არა ჯიუტ და მოძალადე ადამიანად, არამედ ერთ ჩვეულებრივ მონა მსახურად გამაჩინა.“<sup>30</sup>*

შუამავალს არ უყვარდა, როცა თავისი მეგობრებისგან განსხვავებულად ვინმე მას შეხედავდა ან მოექცეოდა. ერთ-ერთი მოგზაურობის დროს, აღლაჰის შუამავალმა თანამიმდევრებს ცხვრის დაკვლა და შენვა უბრძანა. თანამიმდევრებიდან ერთ-ერთმა უთხრა: „შუამავალო, ცხვარს მე დავეკლავ“, მეორემ თქვა: „შუამავალო, მე შევწვავ!“ შუამავალმა კი უპასუხა:

*„მაშინ შეშასაც მე მოვავროვებო!“*

თანამიმდევრებმა უთხრეს:

*„შუამავალო, შეშასაც ჩვენ მოვავროვებთ, შენი მუშაობა საჭირო არ არის.“* ამის შემდეგ შუამავალმა თანამიმდევრებს მიმართა:

*„ვიცი, რომ თქვენ ამასაც გააკეთებთ, მაგრამ თქვენი ასეთი პრივილეგია ჩემს მიმართ არ მომწონს, იმიტომ, რომ აღლაჰს ასეთი რამ არ უყვარს.“<sup>31</sup>*

შუამავალმა, როგორც ერთ-ერთი ქვეყნის ხელმძღვანელის, ასევე ჯარის სარდლობის საუკეთესო და განუმეორებელი მაგალითები აჩვენა. ვიდრე აღლაჰი ამქვეყნიდან წაიყვანდა, მან მრავალ გამარჯვებას მიაღწია. მაგრამ ამ მრავალი გამარჯვების მიღწევის შემდეგაც შუამავალს არავითარი სიამაყე არ გასჩენია და ისეთივე თავმდაბალი დარჩა, როგორც იყო. შუამავლის მიერ მექას აღება მისი თავმდაბლობის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი იყო. იქ მყოფი მისი თანამიმდევრები ამ ამბავს ასე გადმოგვცემენ:

„მექასკენ მიმავალ ჯარს სათავეში შუამავალი ედგა. როდესაც ის ქალაქში აქლემზე ამხედრებული შევიდა, აღლაჰის წინაშე თავი ისე დაბლა ჰქონდა დახრილი, თითქოს წვერი სადაც იყო აქლემის ზურგს დასწვდებოდა. ამ დროს ის განუწყვეტილ იმეორებდა:

30. აბუ დავუდი, ეთიმე, 17.

31. კასტალლანი, 1, 385.





*„ო, დიდო ალლაჰო! ქეშმარიტი ცხოვრება მხოლოდ იმქვეყნადაა!“<sup>32</sup>*

შუამავალი არც ერთი გამარჯვების შემდეგ ადამიანებს უხეშად არ მოქცევია და ყოველთვის თავმდაბალი იყო. ხშირ შემთხვევაში, თუ რომელიმე თანამიმდევარი აქლემზე იჯდა და მიდიოდა, თვითონ ფეხით მისდევდა.

ერთ დღეს, შუამავალმა მუჰაჯირებისა და ანსარების წარმომადგენლებთან ერთად, მუაზ იბნ ჯებელი იემენის გუბერნატორად დანიშნა და მის გასაცლილებლად წავიდა. ამ დროს მუაზ იბნ ჯებელი აქლემზე იჯდა, ხოლო შუამავალი მას ფეხით მისდევდა და დარიგებებს აძლევდა. მუაზ იბნ ჯებელმა შუამავალს უთხრა:

— შუამავალო! მე აქლემზე ვზივარ, შენ კი ფეხით მომყვები. მეც რომ ჩამოვიდე და თქვენთან ერთად ფეხით ვიარო, არ შეიძლება? შუამავალმა მას ასე უპასუხა:

*„მუაზ! მე მსურს ამ ადამიანებმა, ალლაჰის გულისთვის, უფრო მეტი ნაბიჯი გადადგან!“<sup>33</sup>*

შუამავალი, თავისი დიდი თავმდაბლობის გამო, მოგზაურობის დროს ხშირად თავის ხალხს უკან მიჰყვებოდა და მათ, ვისაც სიარული უჭირდა, ეხმარებოდა ან ალლაჰს ევედრებოდა.<sup>34</sup>

ზემოთ მოყვანილი ამდენი მაგალითის შემდეგ, განა რაიმე ფასი აქვს ამ ქვეყანას და მის ქონებას? შუამავლის თვალში, ცხოვრება მხოლოდ იმქვეყნიური არსებობს და თუ ადამიანთა შორის ჯიბრი არსებობს, მისი მოპოვებისთვის უნდა არსებობდეს.

თითოეულ ამ მაგალითში აშკარაა შუამავლის მოკრძალება და თავმდაბლობა. გარდა ამისა, ის კიდევ უფრო თავმდაბალი და მოკრძალებული იყო, ვიდრე ამის გადმოცემა ჩვენ მოვახერხეთ, რადგან მოკრძალება მისი ცხოვრების დევიზი იყო. მისი მიმდევრების ვალდებულება კი მასზე გაყოლაა.

32. ვაქადი, 2, 824. ბუჰარი, რიყაყი, 1.

33. დიარბექრი, 2, 142.

34. აბუ დავუდი, ჯიჰადი, 94.



## 2. მორცხვობა

სირცხვილი ორი სახისაა. ერთი — არის ალლაჰის ნაჩუქარი ბუნებრივი თვისება დაბადებიდან. მაგალითად, ხელით ან ტანსაცმლით სხეულის შიშველი ადგილების დაფარვა. მეორე კი — მორალური სირცხვილი, რომელიც რწმენასთან ახლოს დგას და ცოდვისა და ცუდი საქმის გაკეთებისგან ადამიანს აბრკოლებს.

ამის მიხედვით, სირცხვილი ცუდი საქმეებისგან თავის შორს დაჭერა და თავისთავის გაკონტროლებაა. იბნ მესუდი გადმოგვცემს:

„ერთ დღეს შუამავალმა ბრძანა:

— ალლაჰის წინაშე სირცხვილი იქონიეთ!

ჩვენ შუამავალს ვუთხარით:

— შუამავალო! ელჰემდულილლაჰ, ალლაჰის გვრცხვენია.

სირცხვილი ცუდი საქმის და მრავალი სურვილის შესრულების საპირისპირო გრძნობაა. აქედან გამომდინარე, ადამიანი სირცხვილის გარეშე ვერც ღვთისმსახური იქნება.

სირცხვილს, რწმენასთანაც ძალიან მჭიდრო კავშირი აქვს. ეს ორივე გრძნობა ადამიანში ყოველთვის ერთადაა. ამის შესახებ შუამავალი ბრძანებს: „სირცხვილი რწმენაში არსებობს.“<sup>35</sup> მათგან ერთი რომელიმე თუ გაქრება, მაშინ მეორეც დაიკარგება.<sup>36</sup> სირცხვილისა და ზრდილობის ნაკლებობა, რწმენის არასრულყოფილებიდან გამომდინარეობს.

ალლაჰს სირცხვილის მქონე ადამიანები უყვარს და ყურანში მათ შესახებ ასე ბრძანებს:

لِلْفُقَرَاءِ الَّذِينَ أَحْصَرُوا فِي سَبِيلِ اللَّهِ

لَا يَسْتَطِيعُونَ ضَرْبًا فِي الْأَرْضِ يَحْسَبُهُمُ

الْجَاهِلُ أَغْنِيَاءَ مِنَ التَّعَفُّفِ تَعْرِفُهُمْ بِسِيمَاهُمْ

لَا يَسْأَلُونَ النَّاسَ إِخْفًا وَمَا تَنْفِقُوا مِنْ خَيْرٍ فَإِنَّ اللَّهَ بِهِ عَلِيمٌ

35. ბუჰარი, იმანი, 3.

36. ჰაქიმი, 1, 73.





„ღარიბთათვისაა, რომელთაც თავი მიუძღვნეს ალლაჰის გზას და არ შეუძლიათ შემოიარონ დედამინა. უვიცთ მდიდარი ჰგონიათ ისინი მათი თავმდაბლობიდან გამომდინარე, შენ გამოიცნობ მათ მათივე სახეებიდან, მოწყალეობას არ სთხოვენ ხალხს დაჟინებით. და რა სიკეთესაც გაიღებთ, შეჭვვლად, იცის ის ალლაჰმა.“<sup>37</sup>

მუჰამმედ შუამავალმა ალლაჰის მორცხვი ადამიანების სიყვარული ენეს ელ-ანსართან ნათქვამი სიტყვებით გამოხატა: „*უეჭველია, რომ შენში ალლაჰის საყვარელი ორი გრძნობა არსებობს — ზრდილობა და სირცხვილი!*“<sup>38</sup>

იმ ადამიანების შესახებ, ვისაც ზრდილობა და სირცხვილი არ გააჩნია, ალლაჰი ყურანში ასე ბრძანებს:

إِنَّ الَّذِينَ يُجِبُونَ أَنْ تَشِيَعَ الْفَاحِشَةُ فِي الَّذِينَ آمَنُوا لَهُمْ عَذَابٌ أَلِيمٌ  
فِي الدُّنْيَا وَالْآخِرَةِ وَاللَّهُ يَعْلَمُ وَأَنْتُمْ لَا تَعْلَمُونَ

„*უეჭველად, რომელთაც უყვართ, რომ გაავრცელონ საზიზღრობა იმათ შორის, რომელთაც ირწმუნეს, სწორედ მათთვისაა მწარე სასჯელი სააქაოშიც და საიქიოშიც. ალლაჰი უწყის, და არ იცით თქვენ!*“<sup>39</sup>

შუამავალი ჰადისში ბრძანებს:

„*უეჭველად, ერთადერთი და ყოვლადძლიერი ალლაჰი, თუკი მოისურვებს ვინმეს განადგურებას, პირველ რიგში, მას სირცხვილს წაართმევს. უსირცხვილო ადამიანის ხვედრი კი მხოლოდ ტანჯვანვალებაა. ნვალებაში ზღვეულ ადამიანს ნდობა დაეკარგება. ნდობა რომ აღარ ექნება, ის ცბიერი გახდება. ცბიერი როდესაც გახდება, ის ნყალობას დაკარგავს. ნყალობის დამკარგავი კი დაწყველილი დარჩება. დაწყველილი ადამიანი კი ისლამთან კავშირს საერთოდ განწყვეტს.*“<sup>40</sup>

ყველა შუამავლის მიზანი და მოვალეობა — ალლაჰის ერთადერთობის რწმენა და ღვთისმსახურების მთელ დედამინაზე გავრცელება იყო. მუჰამმედ შუამავალიც ადამიანებზე ამაღლებული ზნეობისა

37. სურა ბაყარა, აიათი 273.

38. იბნ მაჯე, ზუჰდი, 18.

39. სურა ნური, აიათი 19.

40. იბნ მაჯე, ფითენი, 27.



და მაგალითების მაჩვენებელი იყო. იგი ვიდრე შუამავლობას მიიღებდა, ადამიანთა შორის თავისი ქცევებითა და სამართლიანობით გამორჩეული იყო. ამის ერთ-ერთი ლამაზი მაგალითი შემდეგი ისტორიაა:

ქაბას ხელმეორე მშენებლობისას, შუამავალი ბიძამისის — აბბასის ერთად ქვებს ეზიდებოდა. აბბასმა, შუამავლისთვის ქვას რომ მხარზე ტკივილი არ მიეყენებინა, უთხრა გაეხადა პერანგი და მხარზე ქვის ქვეშ შემოედო.

მაგრამ როცა, შუამავალმა ამის გაკეთება მოისურვა, უცბად წაიქცა. შეხედა მან აბბასს და უთხრა:

„მომეცით ჩემი პერანგი!“

„იქ დამსწრეებმა სწრაფად აიღეს და ჩააცვეს მას“<sup>41</sup>

იმ დროისათვის, როდესაც ტანსაცმლის გარეშე სიარული ჩვეულებრივი მოვლენა იყო, შუამავალი ვერაფრით ეგუებოდა და ასეთი რამ უდიდეს სირცხვილად მიაჩნდა. როდესაც ბიძამისმა ალლაჰის შუამავალს მოუწოდა ასეთი რამის გაკეთებისკენ, ალლაჰმა მას, როგორც ვხედავთ, ხელი შეუშალა და სირცხვილისგან დაიცვა.

შუამავლის სირცხვილის გრძნობის შესახებ კიდევ ერთ ჰადისში აბუ სად ელ-ჰუდრი გადმოგვცემს:

„შუამავალი ჩაცმა-დახურვის მხრივ ძალიან მორცხვი იყო. მოუწონელი მდგომარეობა მის სახესა და საქციელში ყოველთვის შეიმჩნეოდა.“<sup>42</sup>

შუამავალი ბრძანებს:

„სირცხვილი მხოლოდ სიკეთეს მოიტანს.“<sup>43</sup>

„ყოველგვარი სირცხვილი სიკეთის მომტანია.“<sup>44</sup> ამ ჰადისებით ის მორწმუნე ადამიანების სირცხვილის მიმართ ყურადღებას მოითხოვს. ის ყოველთვის აღნიშნავდა, რომ უსირცხვილოდ გაკეთებუ-

41. ბუჰარი, ჰაჯი, 42.

42. ბუჰარი, მენაქიბი, 23.

43. ბუჰარი, ედები, 77.

44. მუსლიმი, იმანი, 61.





ლი საქმე დანყვევლილია და არა სიკეთის მომტანი. რაც შეეხება სირცხვილს, ყველა დადებითად ეკიდება მის გამოვლენას.<sup>45</sup>

მიუხედავად მიზეზებისა, სირცხვილის გრძნობა მშვენიერია და მას ადამიანისთვის მხოლოდ სიკეთე მოაქვს. სირცხვილის გრძნობას არავითარი კავშირი არ აქვს ჩაგვრასთან და უსაზღვრო შიშთან. სირცხვილის გრძნობის დაუფლება, ადამიანის გულთან არის დაკავშირებული. თუ ადამიანს გულში რწმენა გააჩნია და იცის თავისი უფლებამოსილება, იცის თავისი ადგილი და ისიც, რომ მის მიერ გაკეთებული ყოველი საქმის შესახებ ალლაჰის წინაშე პასუხი უნდა აგოს, მაშინ მას სირცხვილის გრძნობაც გააჩნია. ანსარელი ქალბატონები შუამავალთან მიდიოდნენ და რწმენის შესახებ რაღაცებს ეკითხებოდნენ. აიშე ბრძანებს: „ანსარის ქალბატონები რა კარგი ადამიანები არიან! სირცხვილს მათთვის რწმენის გაღრმავებაში ხელი არ შეუშლია.“<sup>46</sup>

ალლაჰი სირცხვილის შესახებ ერთ აიათში ასე ბრძანებს:

يَا أَيُّهَا الَّذِينَ آمَنُوا لَا تَدْخُلُوا بُيُوتَ النَّبِيِّ إِلَّا أَنْ يُؤْذَنَ لَكُمْ إِلَى طَعَامٍ غَيْرٍ نَاظِرِينَ إِنَاهُ وَلَكِنْ إِذَا دُعِيتُمْ فَادْخُلُوا فَإِذَا طَعِمْتُمْ فَانْتَشِرُوا وَلَا مُسْتَأْنِسِينَ لِحَدِيثٍ إِنَّ مِنْ بَعْدِهِ أَلْأَبْدَاءُ إِنَّ ذَلِكُمْ كَانَ عِنْدَ اللَّهِ عَظِيمًا

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ შეხვიდეთ შუამავლის სახლში, თუ სადილად არ ხართ მიპატიჟებული, დროის მიუხედავად. და თუ მიწვეული იქნებით, შედით, და სადილის მერე დაიშალეთ, არ დარჩეთ სალაპარაკოდ, ამით აწუხებთ შუამავალს. მას ერიდება თქვენი, მაგრამ ალლაჰს არ ერიდება ჭეშმარიტების.“<sup>47</sup>

ენესი ამ აიათის ჩამოსვლის მიზეზს ამგვარად ხსნის:

„შუამავალი როდესაც დაქორწინდა, დედა — უმმუ სულეიმემ მითხრა:

45. თირმიზი, ბირრი, 47.

46. მუსლიმი, ჰაიზი, 61.

47. სურა აჰზაბი, აიათი 53.





— შუამავალს რაღაც საჩუქარი მივუტანოთ, კარგი იქნება.

მე ვუთხარი:

— შენ რაიმე გაამზადე და მე მივუტან. მან ხურმა, ზეთი და ყველი ქოთანში ჩაანყო და გემრიელი კერძი მოამზადა, რომელიც მე შუამავალს მივუტანე.

შუამავალმა მითხრა:

— ქოთანი დადე აქ, წადი და ეს ადამიანები დაპატიჯე, მან დასაპატიჟებელი ადამიანების სახელები მითხრა, მათ გარდა, ვინც გზაში შეგხვდება, ისინიც დაპატიჟე!“

მე მისი ყველა ბრძანება შევასრულე და როდესაც სახლში დავბრუნდი, ხალხი უკვე შეგროვილი დამხვდა. ამის შემდეგ ალლაჰის შუამავალმა ხელები საჭმელზე დაანყო და ალლაჰს ჩუმად რაღაც შეევედრა. მერე ადამიანები ათ-ათად შეიპატიჟა საჭმელზე და ყველას გაუმასპინძლდა. ის ადამიანებს მოუწოდებდა:

— *საჭმლის ჭამა ალლაჰის სახელის ხსენებით დაიწყეთ.*

სადილი მანამ გაგრძელდა, ვიდრე თითოეული არ დაპურდა. ჭამის შემდეგ, შუამავალი ხალხის დაშლას ელოდებოდა. სუფრიდან აშლის შემდეგ, ზოგი სახლში წავიდა, ზოგი კი დარჩა და საუბარი განაგრძო. შუამავალი ოთახიდან გამოვიდა და სხვა ოთახისკენ წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ დარჩენილი სტუმრებიც წავიდნენ. შემდეგ მივედი და შუამავალს ვუთხარი, რომ უკვე ყველა წასული იყო. შუამავალი თავის ოთახში დაბრუნდა. ხოლო, რაც შეეხება ზემოთ მოცემულ აიათს, ის სწორედ ამ დღეს მომხდარის მიზეზით ჩამოვიდა.<sup>48</sup>

კეთილშობილი მუჰამმედ შუამავალი ახალდაქორწინებული იყო და ახალგაზრდა მეუღლესთან მარტო დარჩენა უნდოდა, მაგრამ თავისი სიმორცხვიდან გამომდინარე დაელოდა ყველას დაშლას. მისმა თანამოაზრეებმა ეს სრულებით არ გაითვალისწინეს, ისხდნენ და ერთმანეთში მშვიდად საუბრობდნენ. ყოვლისშემძლე ალლაჰმა შუამავალი ვინმეს გამოუვალ მდგომარეობაში რომ არ ჩაეყენებინა, ზემთაგონება გარდმოავლინა, რომელიც ყველა მუსლიმის გაფრთხილებას შეიცავს.

48. ბუჰარი, თეფსირი, 33. მუსლიმი, ნიქაჰი, 89.



ტაიფის ალყაში მოქცევის შემდეგ, შუამავლის მიერ გამოხატული სირცხვილის გრძნობა ნამდვილად სულიერი სილამაზის მაჩვენებელია. თანამიმდევარმა საჰრმა, ალყის დროს გმირობა და თავგანწირულობა გამოამჟღავნა და თავის თანამებრძოლებთან ერთად მრავალი ტყვე ხელში ჩაიგდო. ბრძოლის შემდეგ მან მუჰამედ შუამავალს მიმართა მისთვის მუდმივი სარგებლობისათვის გამოეყო მინა, სულეიმის ტომში, რომელსაც არ ჰქონდა მიღებული ისლამი. ალლაჰის შუამავალი ყურადღებით მოეკიდა უშიშარი მებრძოლის თხოვნას და ნება დართო თავის თანატომელებთან ერთად ამ მინაზე დასახლებულიყო. რამდენიმე ხნის შემდეგ ალლაჰის შუამავალთან მულირა ბინ შუბა შემდეგი საჩივრით მივიდა:

— შუამავალო! საჰრმა ჩემი მამიდა ტყვედ აიყვანა, იმის მიუხედავად, რომ მას ისლამი მიღებული ჰქონდა. შუამავალმა საჰრი თავისთან იხმო:

„— საჰრ! ადამიანი, რომელიც ისლამს მიიღებს, მისი ქონებაცა და სიცოცხლესაც დაცული უნდა იქნეს. ამიტომ მულირეს მამიდა უნდა გაათავისუფლო!“ საჰრმა შუამავლის ბრძანება შეასრულა. ცოტა ხნის შემდეგ სულეიმის გვარიც გამუსლიმდა და საჰრთან მივიდა. მათ თავიანთი წყლის დაბრუნება მოითხოვეს. საჰრმა მათი თხოვნა არ დააკმაყოფილა. სულეიმის გვარის წარმომადგენლები შუამავალთან მივიდნენ და უთხრეს:

— შუამავალო, ჩვენ ისლამი მივიღეთ, ჩვენ საჰრს საკუთარი წყლისა და ადგილის დაბრუნება ვთხოვეთ, მან უარი გვითხრა. შუამავალმა საჰრი თავისთან კიდევ ერთხელ დაიბარა:

„საჰრ! თუკი ადამიანები გამუსლიმდებიან, მათი ქონება და სიცოცხლე დაცული უნდა იქნეს. ამიტომ ამ ადამიანებს თავიანთი საკუთრება დაუბრუნე!“

— როგორც ბრძანებთ, შუამავალო! — უთხრა საჰრმა და შუამავლის ბრძანება შეასრულა.

ამ ამბის გადმომცემი თანამიმდევარი ამბობდა: შუამავალი ძალიან დიდმა სირცხვილმა შეაწუხა, რადგან ერთხელ სხვაზე მიცემული რამის უკან ართმევა მოუხდა. მას სირცხვილის გამო სახე გაუწითლდა.<sup>49</sup>

49. აბუ დავუდი, ჰარაჯი, 34-36.





შუამავალი, უალრესად დიდი სირცხვილის გამო, ადამიანს სახე-ში პირდაპირ არასდროს შეხედავდა.<sup>50</sup>

იგი ყოველთვის კარგი ცხოვრების მეთოდით ცხოვრობდა. როდესაც მარტოდ იმყოფებოდა, მაშინაც კი არასდროს მოქცეულა უსირცხვილოდ. თავისი თანამიმდევრებისგანაც იგივეს გაკეთებას მოითხოვდა. ის ერთ-ერთ ჰადისში ბრძანებს: „აღლაჰი ღირსია იმის, რომ ადამიანს ხალხზე მეტად მისი ერიდებოდეს.“<sup>51</sup> ის თანამიმდევრებს ურჩევდა შემდეგს:

*„სიძიშვლეს მოერიდეთ, რადგან თქვენს ირგვლივ ყოველთვის ანგელოზები არსებობენ! ანგელოზები ადამიანს, მხოლოდ საპირფარეშოში შესვლისა და სექსუალური ურთიერთობის დროს შორდებიან. მათგან შეგრცხვეთ და მათ კარგად მოექეცით!“<sup>52</sup>* გადმოცემული ჰადისებიდან ამკარად ჩანს, რომ შუამავალი ყოველთვის სუფთა გრძნობებითა და უდიდესი სირცხვილით ცხოვრობდა. მუსლიმ ადამიანებსაც ის ყოველთვის ამ თემის შესახებ დარიგებებს აძლევდა.

სირცხვილის გრძნობის მთავარი პირობა ალლაჰის მიმართ მოკრძალებაა. იმ ადამიანს, ვისაც სჯერა და ყოველთვის ახსოვს, რომ ალლაჰი მას მუდმივად ხედავს და უყურებს, უდიდესი სირცხვილის გრძნობა აქვს. ის ყველა საქმეში წინდახედულია და შეცდომებიც ნაკლებად მოსდის, რომელიც სირცხვილის ყველაზე მნიშვნელოვანი ნერტილია.

სირცხვილის გრძნობა პირველი ადამიანებიდან — ადამიდან და ევადან მოდის. დედამინაზე მოვლენილი პირველი შუამავლების დროსაც ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამ თემასთან დაკავშირებით, ალლაჰის შუამავალი ასე ბრძანებს:

*„პირველი შუამავლებიდან ხალხის მეხსიერებაში დარჩა ასეთი სიტყვები: სირცხვილის გრძნობა თუ არ გაგაჩნია, გააკეთე ისე, როგორც შენ მოგეპრიანება!“<sup>53</sup>*

სირცხვილის გრძნობა შთამომავლობით მომავალ თაობებზე გადადის. ამ გრძნობას უმცროსი თაობა უფროსს, ნასწავლს და განათლებულ ადამიანებზე დაკვირვებით აღიქვამს. ალლაჰისა და ადამიანე-

50. მუნავი, 5, 224.

51. აბუ დავუდი, ჰამმაში, 2.

52. თირმიზი, ედები, 42.

53. ბუჰარი, ენბია, 54. ედები, 78.





ბის მიმართ სირცხვილის გრძნობის გამომხატველი ადამიანის მიერ ყველა საქმის გაკეთება შეუძლებელი ხდება. ხოლო, უსირცხვილო ადამიანს ნებისმიერი საქმის გაკეთებაში, ხელს არაფერი უშლის. ამიტომ ასეთ ადამიანს ყოველგვარი სიბინძურის გაკეთება შეუძლია.

ამქვეყნად, როგორც არ უნდა მოქმედებდეს ადამიანი, რასაც არ უნდა აკეთებდეს, დადგება ისეთი დღე, მას მოუწევს მათზე პასუხის გაცემა. ამიტომ მთავარია, საქმის გაკეთებამდე ადამიანი კარგად დაფიქრდეს. თუ საქმე ალლაჰისა და ადამიანების მიმართ სასირცხო არ არის, მაშინ ის მთელი გულით შეიძლება გაკეთდეს. თუ საქმე ალლაჰისა და ადამიანების წინაშე სასირცხო ითვლება, მაშინ მას ადამიანი უნდა მოეშვას და არ გააკეთოს. შუამავალიც მრავალ ჰადისში, სწორედ, ამას გვიბრძანებს. ადამიანმა შეცდომა რომ არ დაუშვას, ამის ყველაზე კარგი გზა შუამავლის სუნნეთია. იმიტომ, რომ ეს გზა ყველაზე სუფთა და წარმატებულია ყოველი ადამიანისთვის.

### 3. მიცემული პირობის ერთგულება

*„იყავით თქვენს მიერ დადებული პირობის ერთგულნი, რათა მეც შეგისრულოთ დაპირება ჩემი.“*

სურა ბაყარა, აიათი 40

პირობა შეიძლება იყოს როგორც სიტყვიერი, ასევე წერილობითი. მიცემული პირობის შესრულებას, წერილობითი იქნება თუ სიტყვიერი, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

ყოვლისშემძლე ალლაჰი ბრძანებს:

يَا أَيُّهَا الَّذِينَ آمَنُوا أَوْفُوا بِالْعُقُودِ

**„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! შეასრულეთ აღთქმანი...“** <sup>54</sup>

ამ აიათის მიხედვით, ყველა მუსლიმი ვალდებულია თავისი პირობა შეასრულოს, რადგან ეს უპირველესად ალლაჰის ბრძანებაა. პირველ რიგში, რწმენა ერთ-ერთი ხელშეკრულებაა. რწმენის მი-

54. სურა მაიდე, აიათი 1.



ღების შემდეგ ადამიანს ალლაჰის წინაშე ერთგვარი მოვალეობები ეკისრება. გარდა ამისა, ადამიანი ცხოვრების განმავლობაში მრავალ ხელშეკრულებას აკეთებს და სხვადასხვა პირობას დებს. ამიტომ ის ვალდებულია, ყველა ეს დაპირებები პირნათლად შეასრულოს. ადამიანის მიერ მიცემული პირობა, რა სახის და რა მნიშვნელობისაც არ უნდა იყოს, სავალდებულოა შესრულდეს. ეს არის სარწმუნოების ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რწმენის კანონი და ალლაჰის ბრძანება.

ცხოვრების წესის ჩამოყალიბებას და ცხოვრებაში არსებული პირობების შესრულებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ცხოვრებაში ადამიანს მრავალი პირობის დადება და სხვადასხვა ხელშეკრულების გაკეთება უხდება. მათ გარეშე ცხოვრება შეუძლებელია. ამიტომ ცხოვრებაში ადამიანს ყველაზე დიდი პრეტენზია, სწორედ, ამ საკითხის მიმართ უჩნდება, რადგან არ ხდება ყველა პირობის სრული დაკმაყოფილება. ის ადამიანი, რომელიც მიცემულ პირობას არ ასრულებს, მოწინააღმდეგე ადამიანის უფლებებსაც არღვევს, ე.ი. თავის სიტყვას ის არ ასრულებს. ამ საკითხის შესახებ ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

وَأَوْفُوا بِالْعَهْدِ إِنَّ الْعَهْدَ كَانَ مَسْئُولًا

„...და აღასრულეთ აღთქმა. შეჟველად, აღთქმა პასუხისმგებლობაა!“<sup>55</sup>

ამ აიათით ალლაჰი ადამიანებს ყურადღებისკენ მოუწოდებს. პირობის შესრულება ადამიანის ხასიათის მნიშვნელოვანი თვისებაა, მაშინ როცა პირობის შეუსრულებლობა და აღებული ვალდებულების დარღვევა ნეგატიურ შედეგამდე მიმყვანია. პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, საზოგადოებაში ადამიანის მიმართ სიძულვილი, სიბრაზე და უნდობლობა გაჩნდება. ხოლო პირობის შესრულების შემთხვევაში — სიყვარული და პატივისცემა გამოიხატება. ამასთანავე, ასეთ ადამიანს მომავალშიც დიდი წარმატება ელოდება. მათ შესახებ ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

فَمَنْ نَكَثَ فَإِنَّمَا يَنْكُثُ عَلَىٰ نَفْسِهِ وَمَنْ أَوْفَىٰ بِمَا عَاهَدَ عَلَيْهِ

اللَّهُ فَسَيُؤْتِيهِ أَجْرًا عَظِيمًا

55. სურა ისრა, აიათი 34.





„...ხოლო ვინც აღასრულებს იმას, რა აღთქმაც ალლაჰის წინაშე დადო, მაშინ მას მიეგება საზღაური უდიდესი.“<sup>56</sup>

კეთილშობილი შუამავალი ალლაჰის სიტყვების გადმოცემისას: „განკითხვის დღეს მე ჩემს მრისხანებას დავატებ სამი ჯგუფის ადამიანებს!“ — პირველად ახსენა ისინი, ვინც „ალლაჰის სახელის დაფიცებით არ შეასრულა თავისი პირობა.“<sup>57</sup> ერთ-ერთ სხვა ჰადისში, შუამავალი აღნიშნავს, რომ იმ ადამიანის სახე, ვინც მიცემულ პირობას არ ასრულებს, ამ თვისების დათმობამდე ორპირი და ფარისეველი (მუნაფიცი) ადამიანის მსგავსია.<sup>58</sup> კიდევ სხვა ჰადისებში, ასეთ ადამიანებს განკითხვის დღეს ალლაჰი თუ როგორ წვალებას მიუზღავს, ბრძანებს:

„განკითხვის დღეს, პირობის შეუსრულებელი ადამიანის უკან ერთი დროშა აღიმართება და მის მიერ დარღვეული პირობების შესაბამისად ამალდება. ამის შედეგად მისი დანახვა მრავალ ადამიანს შეეძლება. ეს ვითარება ამ ადამიანს ხალხში უფრო დაამცირებს.“

აბბასი ბრძანებს: „ვინც პირობას დაარღვევს, ალლაჰი მას აუცილებლად რალაც უბედურებას გამოუგზავნის.“<sup>59</sup> აქედან გამომდინარე, ალლაჰი ასეთ ადამიანს ამქვეყანაზევე მტრებისა და განსაცდელის წინაშე აგდებს.

შუამავალი ერთ-ერთი თანამიმდევრის დასაფლავების შემდეგ, ალლაჰს ასე შეევედრა:

„ო, დიდო ალლაჰო! ეს ადამიანი დღეის შემდეგ შენს ხელთ არის და შენზე ჩაგვიბარებია. გვედრები, ის საფლავის წვალებისა და ჯოჯოხეთის ცეცხლისგან დაიცვა! შენ ყველა სიტყვის და პირობის შემსრულებელი ხარ და მხოლოდ შენ იმსახურებ ქება დიდებას!“<sup>60</sup>

ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

وَأَوْفُوا بِعَهْدِي أُوْفٍ بِعَهْدِكُمْ وَإِيَّايَ فَارْهَبُونِ

56. სურა ფეთჰი, აიათი 10.

57. ბუჰარი, ბუიუ, 106.

58. ბუჰარი, იმანი, 24.

59. მუვათთა, ჯიჰადი, 4.

60. აბუ დავუდი, ჯენაიზი, 54-56.





„...და შეასრულეთ ჩემი აღთქმა, მაშინ მეც შეგისრულებ თქვენს აღთქმას, და გეშინოდეთ მხოლოდ ჩემი.“<sup>61</sup>

ამგვარად, ალლაჰი ჯერ ადამიანებისგან ითხოვს თავიანთი პირობების შესრულებას, შემდეგ თავისი მიცემული პირობის შესრულებას ჰპირდება. ამის გამო, შუამავალი ალლაჰს ხშირად ასე ევედრება:

„ო, დიდო ალლაჰო! მე შენი მონა-მსახური ვარ! შეძლებისდაგვარად ჩემს პირობასა და სიტყვას ვასრულებ!“<sup>62</sup> შუამავალი როგორც ალლაჰის წინაშე ასრულებდა თავის პირობას, ასევე ადამიანებზე მიცემულ ყოველ სიტყვასაც პირნათლად ასრულებდა. იბნ აბბასმა შუამავლის ცხოვრების ყველა დეტალი კარგად შეისწავლა და შემდეგ განაცხადა: „შუამავალი როდესაც რაიმეს იტყოდა, მას აუცილებლად ასრულებდა.“<sup>63</sup>

შუამავალი, მთელი ცხოვრების განმავლობაში, საქმეში მის ერთად მყოფებს და სხვა ადამიანებსაც ყოველთვის პატიოსნად ექცეოდა. ეს თვისება მას შუამავლობის მისიის მიღებამდეც ახასიათებდა. ის თუ ვინმეს რაღაც სიტყვას მისცემდა, რაც არ უნდა დაჯდომოდა, მას აუცილებლად შეასრულებდა. აბდულლაჰ იბნ ებილ ჰამსა გადმოგვცემს: „შუამავლის მიერ ოფიციალურად სხვა სახელმწიფოების ისლამში დაპატიჟებამდე, მის ერთად ერთ-ერთ სავაჭრო საქმეში ვიყავი. ამ საქმის შემდეგ მასთან ვალში დავრჩი. მას ვუთხარი, ჩემთვის ცოტა დრო მოეცა და ვალს გავუსწორობდი, მაგრამ მიცემული სიტყვა დამავინწყდა. სამი დღის შემდეგ გამახსენდა ჩემი დაპირება და წავედი იმ ადგილას, სადაც უნდა მივსულიყავი. დამინახა თუ არა, მითხრა:

„ახალგაზრდავ! შენ ტანჯვა მომაყენე. სამი დღეა აქ გელოდები!“<sup>64</sup>

შუამავლის სამდღიანი ლოდინის მიზეზი ვალის აღება კი არა, მიცემული სიტყვის შესრულება იყო. ის პირობის შესრულებას ისეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომ მტრები ამით ხშირად სარგებლობდნენ. ჰუზეიფე გადმოგვცემს:

61. სურა ბაყარა, აიათი 40.

62. ბუჰარი, დეავათი, 16.

63. ბუჰარი, შეჰადეთი, 28.

64. აბუ დავუდი, ედები, 82.





„ერთხელ მამაჩემ — ჰუსეილთან ერთად სამოგზაუროდ წავედი. ყურაიშებმა დაგვიჭირეს და გვითხრეს:

— თქვენ მუჰამედის რიგებში შესვლა ნამდვილად გასურთ?

ჩვენ ვუპასუხეთ:

— არა, ჩვენ მედინაში სხვა მიზეზის გამო მივდივართ. ამის შემდეგ, მათ ჩვენგან სიტყვა აიღეს, რომ მუჰამედის გვერდით არც დავდგებოდით და არც ვიბრძოდით. როდესაც მედინაში ჩავედით და შუამავალს მომხდარის შესახებ მოვახსენეთ, გვითხრა:

„ნადით და თქვენი სიტყვა შეასრულეთ, ჩვენ კი მათ წინააღმდეგ ალლაჰის დახმარება მოვითხოვთ!“ (სწორედ ეს გახდა ჩემი ბედირის ბრძოლაში მონაწილეობის მიუღებლობის მიზეზი).<sup>65</sup>

მცემული სიტყვის შეუსრულებლობის, მუსლიმების მოუწონელი ერთ-ერთი მაგალითი ჰუდეიბიეს შეთანხმების დროს მომხდარი ამბავია. ჰუდეიბიეს შეთანხმების ერთ-ერთი პირობა, მექადან მედინაში თავშესაფრის ძებნისთვის ჩასული ადამიანების უკან დაბრუნება იყო. ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დროს ყურაიშების წარმომადგენელი სულეიჰ იბნ ამრის შვილი — აბუ ჯენბელი ფეხებზე დიდებული ბორკილების თრევით შუამავალთან მივიდა. აბუ ჯენბელს გამუსლიმების გამო ურწმუნოებისგან დიდი ტანჯვა ჰქონდა და გადატანილი. ამის გამო, როდესაც დრო ნახა, ურწმუნოებისგან გაიქცა და თავის შესაფარებლად მუსლიმებთან ჩავიდა. სულეიჰმა გამოქცეულ აბუ ჯენბელს სახეში მაგრად გაარტყა და უკან დაბრუნება უბრძანა. ამის დამნახავმა შუამავალმა, სულეიჰს, აბუ ჯენბელის ხელშეკრულების გარეშე, მისთვის გადაცემა სთხოვა. მაგრამ სულეიჰი შუამავლის ამ თხოვნას არ თანხმდებოდა. აბუ ჯენბელი კი მუსლიმებს ეხვეწებოდა და დახმარებას სთხოვდა, რომ ის ურწმუნოებთან აღარ დაებრუნებინათ. მუსლიმებმა ამ მდგომარეობას ვედარ გაუძლეს და ტირილი დაიწყეს. შუამავალმა აბუ ჯენბელი გაამხნევა და უთხრა:

„აბუ ჯენბელ! ცოტა კიდევ მოითმინე! ალლაჰისგან ამის საპასუხო მოითხოვე! ეჭვი არ შეგეპაროს, რომ ალლაჰი შენ და შენისთანა სუსტ თუ უპატრონო მუსლიმანებს რაღაც გამოსავალს გიშოვის. ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით ხელშეკრულება გვაქვს დადებული“

65. მუსლიმი, ჯიჰადი, 98.



ლი და ვალდებული ვართ ის შევასრულოთ. ასევე მათაც აქვთ ჩვენზე მოცემული სიტყვა. მიცემული სიტყვის შეუსრულებლობა ჩვენ არ შეგვგერის.<sup>66</sup>

ამის შემდეგ შუამავალს ურწმუნობმა სიტყვა მისცეს, რომ აბუ ჯენბელს აღარ აწვალებდნენ. შუამავალი ამით ცოტა დამშვიდდა.

ჰაიბერის ბრძოლის დროს ერთი მწყემსს — იესარს საინტერესო ისტორია გადახდა. გადმოცემის მიხედვით, რომ იესარი ჰაიბერის ბრძოლის დღეებში ერთ-ერთი მონინავე ებრაელის ცხვრების მწყემსობით ლუკმა პურს შოულობდა. იესარს შუამავლის სახელი ებრაელთა სასახლეში ხშირად ესმოდა და ამის გამო მასთან შეხვედრის ძალიან დიდი სურვილი გაუჩნდა. ერთ დღეს, როდესაც ცხვრები სამწყემსავად წაიყვანა, შუამავალს შეხვდა. მასთან არც ისე ხანგრძლივი საუბრის შემდეგ, იესარმა ისლამის სარწმუნოება მიიღო. შუამავალმა მას სახელი გადაუკეთა და „ესლემი“ დაარქვა. შემდეგ ესლემმა შუამავალს ჰკითხა, თუ ცხვრები რა უნდა ექნა. შუამავალმა უპასუხა:

„ცხვრები უკან მიაბრუნე და გარეკე! ეჭვი არ შეგეპაროს, ისინი თავიანთ პატრონს დაუბრუნდებიან.“ ესლემი ასეც მოიქცა. როგორც შუამავალმა ურჩია, ცხვრები უკან გააბრუნა და თან მიაძახა: „პატრონთან დაბრუნდით! დღეიდან თქვენთან ერთად აღარასოდეს ვიქნები!“ ცხვრები პატრონთან ისე დაბრუნდნენ, თითქოს უკან ვიღაც მიჰყვებოდა. მწყემსი კი მუსლიმანებს შეუერთდა და მათთან ერთად საბრძოლველად მოემზადა. ახალგამუსლიმანებული ესლემი იმ ბრძოლაში შეჰიდი გახდა. ეს სწორედ ის ერთადერთი თანამიმდევარია, რომელმაც ნამაზის ულოცავი სამოთხე დაიმსახურა.

ამ მოთხრობაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ შუამავალს ცხვრებისთვის ხელი არ უხლია და ისინი თავიანთ პატრონს დაუბრუნა, რადგან მწყემსს ცხვრების დაბრუნების თაობაზე პატრონზე სიტყვა ჰქონდა მიცემული.

რადგან შუამავალი სიტყვის შესრულებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, მისი თანამიმდევრებიც დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ ამ საქმეს და ცდილობდნენ თვითონაც ასევე მოქცეულიყვნენ. ჯაბირი გადმოგვცემს:

66. იბნ ჰანბელი, 4, 325. იბნ ჰიშამი, 3, 367.





„ერთ დღეს შუამავალმა მითხრა:

— თუკი ბაჰრეინის კუთხიდან ზექათი ჩამოვა, მე შენ აუცილებლად გამოგიყოფ მნიშვნელოვან სახსრებს. მაგრამ ალლაჰის შუამავლის გარდაცვალებამდე ბაჰრეინიდან არავის ჩამოუტანია ზექათი. როდესაც ქონება ჩამოვიდა, აბუ ბაქრმა განაცხადა:

— ვისაც შუამავლისგან ასაღები ვალი აქვს, ან ვინმეზე მიცემული სიტყვა, ჩემთან მოვიდეს. მეც მივედი და ვუთხარი, რომ შუამავალი დაპირებული იყო, ჩემთვის ამ ქონებიდან მნიშვნელოვანი დახმარება გაენია. აბუ ბაქრმა ქონებიდან ერთი პეშვი ამოიღო. როდესაც დათვალა 500 დირჰემი იყო. მერე მე მითხრა: „შეგიძლია კიდევ ორმაგი აიღო.“<sup>67</sup>

კიდევ ერთ საინტერესო ამბავს ენესი გადმოგვცემს:

„ბიძაჩემს — ენეს იბნ მალიქს ბედირის ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია, რასაც შემდეგ ძალიან განიცდიდა. ერთხელ მან შუამავალს უთხრა:

— შუამავალო! ურწმუნოების წინააღმდეგ გამართულ პირველ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიმიღია. თუ ალლაჰი ამის შემდეგ მომცემს შესაძლებლობას ვიბრძოლო, მაშინ ყველა დაინახავს თუ რას გავაკეთებ. ამის შემდეგ მან უჰუდის ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა. როდესაც მუსლიმანთა ჯარი დაიშალა, ის ალლაჰს ევედრებოდა: „ო, დიდო ალლაჰო! ჩემი ამხანაგების მიერ ჩადენილი საქციელის გამო, პატიებას გთხოვ!“ შემდეგ ურწმუნოების მისამართით ჩამოიყვირა: „დიდო ალლაჰო! მე მათთან საერთო არაფერი მაქვს!“ ამ დროს შემოხვდა სად ბინ მუაზი, რომელსაც მიმართა:

— სად! ჩემი სურვილი მხოლოდ სამოთხეა! ალლაჰს გეფიცები, სამოთხის სუნს ვგრძნობ.“ ამის შემდეგ სად იბნ მუაზი გადმოგვცემს: „მე მისი გაკეთებული ვერ გავაკეთე, შუამავალო!“

ბრძოლის შემდეგ იგი შეჰიდად დაცემული ვიპოვეთ. მის სხეულზე ხმლით, შუბითა და ისრით მიყენებული ოთხმოცზე მეტი ჭრილობა იყო. ურწმუნოებს ის ისეთ მდგომარეობაში შეეყვანათ, რომ ვერავინ ამოიცნო. ბოლოს მისი ამოცნობა უმცროსმა დამ თითების საშუალებით შეძლო.“ ეს აიათი, სწორედ, ბიძაჩემისა და მისთანა გმირების მიზეზით გამოგზავნა ალლაჰმა:

67. ბუჰარი, ქეფალეთი, 3.



مِنَ الْمُؤْمِنِينَ رِجَالٌ صَدَقُوا مَا عَاهَدُوا اللَّهَ عَلَيْهِ فَمِنْهُمْ مَن  
قَضَىٰ نَحْبَهُ وَمِنْهُمْ مَن يَنْتَظِرُ وَمَا بَدَّلُوا تَبْدِيلًا

„მორწმუნეებს შორის არიან კაცნი, რომელნიც ალლაჰთან დადებული აღთქმის ერთგულნი დარჩნენ. მათ შორის არიან ისეთებიც, ვინც უკვე მოიხადა თავისი მოვალეობა და ისინიც, ვინც ჯერ კიდევ მოელის, მაგრამ არაფრით არღვევენ!“<sup>68</sup>

როგორც ვხედავთ, თანამიმდევრები ალლაჰსა და შუამავალზე მიცემულ სიტყვას, სიცოცხლის ფასიც რომ დასჯდომოდათ, მაინც ასრულებდნენ. ასეთი ადამიანებიდან კიდევ ცნობილია ბერა იბნ მარური. ის აქაბეს შეხვედრასაც დაესწრო და იმ თორმეტ ადამიანს შორის იყო, ვინც შუამავალს სიტყვა მისცა, ისლამის გავრცელებაში დაეხმარებოდა. ბერა იბნ მარურმა შუამავალს ჰაჯობის დროს მექაში ჩასვლა და ჰაჯობის გაკეთების პირობა მისცა. მაგრამ ამ დროის მოსვლამდე ის გარდაიცვალა. სიკვდილის პირას მისულმა თავის ოჯახს მიმართა:

— შუამავალზე მიცემული სიტყვის გამო, გთხოვთ, ქააბას მიმართულებით შემატრიალოთ, რადგან ჰაჯობის გაკეთებისთვის მას პირობა მივეცი! ამგვარად, ის პირველი ადამიანი გახდა, რომელიც სიცოცხლეშიცა და სიკვდილის შემდეგაც ქააბას მიმართულებით იწვა. მედინაში ჩასული შუამავალი თანამიმდევრებთან ერთად ბერა იბნ მარურის სასაფლაოზე წავიდა. მან, თანამიმდევრებთან ერთად, ჯერ ჯენაზე ნამაზი ილოცა, მერე კი ალლაჰს შეევედრა: „ო, დიდო ალლაჰო! გევედრები, მას აპატიო, ყოველივე კარგი იმქვეყნად მისცე და მისი კმაყოფილი დარჩე!“<sup>69</sup>

ისლამის ისტორიაში პირობის შესრულების ყველაზე კარგი მაგალითი თვით ალლაჰის შუამავალი იყო. ამიტომ თითოეული ჩვენგანის უპირველესი მოვალეობა შუამავლის ნაკვალევზე გაყოლა და მისი სუნნეთის შესაბამისად ნაბიჯის გადადგმაა. ამქვეყნიური თუ იმქვეყნიური ბედნიერება, სწორედ ამაზეა დამოკიდებული.

68. სურა აჰზაბი, აიათები 33/23; ბუჰარი, ჯიჰადი, 12.

69. იბნ აბდიბერი, 1, 153. იბნ სადი, 3, 619-620.





#### 4. ყაირათიანობა

სიტყვა, ყაირათი - ადამიანის სულიერ მდგომარეობას აღნიშნავს, რომლის დროსაც ის თავისი ვითარებით და მატერიალური შესაძლებლობებით კმაყოფილია, ეს თვისება შემდეგ შემთხვევებში მჟღავნდება: მცირედით კმაყოფილება, ხარჯვისას რეალური შესაძლებლობების გათვალისწინება, მატერიალური სახსრების დაზოგვა, გულიდან შურის ამოგდება, უსაზღვრო გამდიდრებისგან თავის არიდება, ყველაფრის გამჩენმა ალლაჰმა ყველას თავისი სარჩო-საბადებელი მისცა.

ის აიათში ბრძანებს:

وَمَا مِنْ دَابَّةٍ فِي الْأَرْضِ إِلَّا عَلَى اللَّهِ رِزْقُهَا وَيَعْلَمُ مُسْتَقَرَّهَا  
وَمُسْتَوْدَعَهَا كُلٌّ فِي كِتَابٍ مُبِينٍ

„და არ მოიძებნება დედამიწაზე სულიერი, ალლაჰს რომ არ მიეცა მისთვის სარჩო. ალლაჰი უწყის მათ ადგილსამყოფელს და განსასვენებელს, ყოველივე ეს ცხად ნიგნშია.“<sup>70</sup> მაგრამ როგორც სახეზე გვაქვს, ალლაჰმა ყველას განსხვავებული რაოდენობის ქონება და საშუალება მისცა: ზოგს — ბევრი, ზოგს კი — ცოტა. ადამიანის გამოცდა ალლაჰის წინაშე სწორედ ამაში მდგომარეობს. ვისაც ცოტა ქონება გააჩნია, ის ალლაჰის კმაყოფილი უნდა იყოს და არალეგალური გზით გამდიდრებაზე არ უნდა იფიქროს. ხოლო, მდიდარმა ადამიანმა ღარიბებს უნდა გადახედოს და საჭიროზე მეტი ქონებიდან მათ დახმარება გაუწიოს.

ყაირათიანობა მხოლოდ ღარიბებისთვის არ არის დაწესებული. პირიქით, ის შეძლებულ და მდიდარ ადამიანებს უფრო ესაჭიროებათ, ვინაიდან საკმარისზე მეტის მოპოვების და მატერიალური სახსრების მომატებით ზოგიერთ ადამიანს სიმდიდრის დაგროვების უსაზღვრო სიყვარული იპყრობს. თუკი ვინმემ, იმდენი სახსრები შეაგროვა, რომ ის საკმარისია ნათესავების შესანახადაც, ის ცდილობს გამოიმუშაოს უფრო მეტი და უფრო მეტი ფული დააგროვოს. ასეთი მისწრაფება დროდადრო ავადმყოფურ ხასიათს იღებს, რომელიც ადამიანს უმნიშვნელოდ ეჩვენება. ამასთან დაკავშირებით იუნუსს ემრე ასე ბრძანებს: „თუ ჭკუა გაქვს, გაუმაძღრობა არ გამოიჩინო!“

70. სურა ჰუდი, აიათი 6.



ნებისმიერი ადამიანი, მდიდარია თუ ღარიბი, თუკი არ შეუძლია დაზოგვა, თანდათან ცრუ ილუზიებს ეძლევა და არაფრის მაქნისი ლითონის ბრწყინვალეობით ერთობა. შემდეგ ის ივიწყებს წუთისოფლად იმ ქვეყნისთვის მზადებას. ასეთ უბედურებას მევლანა ჯალალედინ რუმი შემდეგ დარიგებას აძლევს:

„მატერიალური კეთილდღეობის ოკეანე რომ დოქში ჩაგვესხა, რამდენს ჩაიტევდა? ზუსტად იმდენ წყალს, რამდენიც ერთი დღისთვისაა საჭირო. მაგრამ არასდროს გაძლება მისი თვალები, ვინც სიმდიდრის წყურვილითაა შეპყრობილი. ნიჟარები რომ მცირედით არ დაკმაყოფილებულიყო, მათში მარგალიტი არავითარ შემთხვევაში არ ჩაისახებოდა!“

ხოლო, ის, ვინც დაივიწყებს თავის მხარზე შემოდგომულ დოქს და იფიქრებს უფრო მეტი წყლის ავსებას, მალე დაივიწყებს ამქვეყნად თავისი მოსვლის არსს, დაიბნევა და ჭეშმარიტების გზიდან გადავა. ასე დაკარგავს ის თავის მომავალს. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

وَمَا خَلَقْتُ الْجِنَّ وَالْإِنْسَ إِلَّا لِيَعْبُدُونِ مَا أُرِيدُ مِنْهُمْ مِنْ رِزْقٍ  
وَمَا أُرِيدُ أَنْ يُطْعَمُوا إِنَّ اللَّهَ هُوَ الرَّزَّاقُ ذُو الْقُوَّةِ الْمَتِينُ

„და მე არ გამიჩენია ჯინები და ადამიანები, თუ არა ჩემდამი თავყვანისცემისთვის. არ მინდა მათგან სარჩო და არც ის, რომ დამაპურონ. უეჭველად, ალლაჰია სარჩოს მომცემი და ძლევამოსილი.“<sup>71</sup> ამის გამო, ისლამის კანონების ერთ-ერთი ძირითადი მუხლი, შუამავლის ნათქვამი და გაკეთებული საქმეა. ის აღნიშნავდა, რომ რა მატერიალური შესაძლებლობაც არ უნდა ჰქონდეს ადამიანს, მისთვის ყველაზე დიდი სიმდიდრე - ყაირათიანობაა.<sup>72</sup> ვისაც აქვს ჯამრთელობა, არ აქვს ცუდი ჩვევები და მისწრაფებები, აქვს თავისი ოჯახის გამოკვების სარჩო, ყველაზე მდიდარი ადამიანია, ვინაიდან მას ამქვეყნიური ყველა წყალობა ნაბოძები აქვს.<sup>73</sup> კიდევ ერთ ჰადისში შუამავალი ასე ბრძანებს:

71. სურა ზარიათი, აიათები 56-58.

72. ბუჰარი, რიყაყი, 15.

73. თირმიზი, ზუჰდი, 34.





*„მუსლიმანი ადამიანი, რომელიც მისთვის საჭირო სარჩოს და ქონების მიმცემი, ალლაჰისგან კმაყოფილი იქნება, უეჭველია, ის იმქვეყნად წარმატებას მიაღწევს.“<sup>74</sup>*

კეთილშობილი შუამავალი ყაირათს, მადლობის (შუქურ) გამობატვის საუკეთესო საშუალებად თვლიდა და ამიტომ მიუთითებდა, რომ ის, ვინც ცხოვრების წილით კმაყოფილია, ალლაჰის ყველაზე კეთილშობილი მონა-მსახურია.<sup>75</sup>

ყოველივე ამასთან ერთად საჭიროა, არასდროს დაავიწყდეს ადამიანს მის ხელთარსებული ქონების გამო, ალლაჰის წინაშე პასუხისმგებლობა. ალლაჰი აუცილებლად ჰკითხავს თითოეულ ადამიანს, თუ მის მიერ მიცემული ქონება სად და როგორ გამოიყენა. ამიტომ ადამიანს, რაც მეტი გააჩნია, მით უფრო მეტი პასუხისმგებლობა აკისრია. ამ თემასთან დაკავშირებით ყველაზე ლამაზი რჩევა შუამავლის შემდეგ ჰადისშია მოცემული:

*„ადამიანო! საჭიროზე მეტი ქონება მოწყალებად გაიღე. ეს შენთვის უფრო მომგებიანი იქნება. თუ არ მისცემ და შენთვის დაიტოვებ, ის შენთვის წამგებიანი გამოდგება. საჭიროზე მეტი ქონება თუ არ გავაჩნია, მაშინ მასზე ალლაჰის წინაშე პასუხისმგებლობა აღარ გექნება.“<sup>76</sup>*

ადამიანები შეიძლება ფიქრობდნენ, რომ ალება უფრო კარგია, სინამდვილეში, გაცემა უფრო ძვირფასი საქმეა. სხვაზე გაცემა, კმაყოფილების გამობატვის ფორმაა. ვინც არ იცის, რა არის ყაირათიანობა, ის ამქვეყნად ვერაფრით გაძლება. ასეთ ადამიანს, მთელი ქვეყანა რომ მისცე, სხვაზე გასაცემად მაინც ვერაფერს გაიმეტებს, რადგან ასეთ ადამიანს სუფთა არ სული გააჩნია. ყაირათიანობას ვინმესთვის წაგება რომ არ მიუტანია, ამის შესახებ მევლანა ძალიან კარგად ამბობს:

*„ყაირათიანობის გამოხატვა, ადამიანის სულში არ გაჩენილა, არც უსაზღვრო ლტოლვა ყოფილა ადამიანის ბატონი. ალლაჰი არც ღორების და ძაღლების მიერ პურის შეჭმას მოფრთხილებია. ღრუბელი და წვიმა ადამიანის მონაგები არასდროს ყოფილა. როგორც შენ ხარ ქონებაზე შეყვარებული, ისიც ისეა შენზე შეყვარებული.“*

74. მუსლიმი, ზეჟათი, 125.

75. იბნ მაჯე, ზუჰდი, 24.

76. მუსლიმი, ზეჟათი, 97.





ქონებას შენ თუნდ არ გამოეკიდო, ის შენთან მაინც მოვა. მაგრამ შენ თუ მას გამოეკიდები, მაშინ უბედურებას ნახავ, ის შენ ტანჯვას მოგაყენებს.<sup>77</sup>

ალლაჰს ის ადამიანები არ უყვარს, ვინც მის მიერ მიცემული სარჩო-საკვებით უკმაყოფილო არიან და დახმარებას სხვას სთხოვენ. ვინც თავისი გაჭირვების გამო, ალლაჰის გარდა, სხვას მიმართავს, უფრო ღარიბდება. ხოლო, ვინც საკუთარი ღირსების დაცვით სთხოვს და ელოდება დახმარებას მხოლოდ ალლაჰისგან, სიმშვიდის და კმაყოფილების წყაროს ნამდვილად იპოვნის.

ამ კონკრეტული საკითხის შესახებ ალლაჰის შუამავალი ბრძანებს:

*„მათხოვრობისგან თავის ამრიდებელ ადამიანს ალლაჰი უმნიკვლო ადამიანად აქცევს. ხალხის თვალში მადღარი სახით მომქცევ ადამიანს ალლაჰი სხვაზე დამოკიდებულს არ დატოვებს.“<sup>78</sup>*

ჰაქიმ იბნ ჰიზამი გადმოგვცემს:

„ერთ დღეს შუამავალს სამხედრო ნადავლიდან ქონების ნაწილის ჩემზე მოცემა ვთხოვე. მან მართლაც მომცა. შემდეგ კვლავ ვთხოვე, კვლავ მომცა; მესამედაც რომ დააკმაყოფილა ჩემი მოთხოვნა, შემდეგ ბრძანა:

*„ჰაქიმ! ნამდვილად, ფული ძალიან მიმზიდველი და წარმტაცია. ვინც მას სიხარბის გარეშე აიღებს, ალლაჰი ოჯახში კეთილდღეობას გამოუგზავნის. ხოლო ვინც მას სიძუნწით და სიხარბით აიღებს, ალლაჰი ბედნიერებას და სიმშვიდეს შეუნყვეტს. მის ქონებას სიუხვე დაეკარგება. ის, ისეთ ადამიანს დაემსგავსება, რომელიც ჭამს და ვერ ძღება. მიმცემი ხელი ამღებ ხელზე ძვირფასია.“*

მე აღტაცებით ვუპასუხე:

„ო, ალლაჰის შუამავალო! ვფიცავ ალლაჰს, ვინც შენ ჭემმარიტი რელიგიით გამოგაგზავნა, ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე არც ერთ მომაკვდავს არაფერს გამოვართმევ!“

ერთ დღეს, აბუ ბაქრმა, სამხედრო ნადავლიდან წილის მისაღებად, ჰაქიმმა გამოიძახა. ჰაქიმმა ქონების აღებისგან თავი შეიკავა. შე-

77. მესნევი, ბეითი: 2398-2401.

78. ბუჰარი, ზეჯათი, 18.





მდეგ ომარმა დაპატიჟა იგი სამხედრო ნადავლის წილის მისაღებად. ჰაქიმმა ამჯერადაც უარი თქვა დახმარებაზე. ამაზე ომარმა წამოიყვირა:

— ისლამის მიმდევარნო! გთხოვთ დამემონმოთ, რომ მე მსურს ჰაქიმს ნადავლის წილი გადავსცე, ის კი უარს ამბობს. როგორც ცნობილია, ჰაქიმს, შუამავლის გარდაცვალების შემდეგ, არავისგან დახმარება არ აუღია და მასზე მიცემული სიტყვა ბოლომდე შეასრულა.<sup>79</sup>

ვინც თავისი მდგომარეობით კმაყოფილია, ყაირათის გრძნობაც ძლიერი აქვს. ის ღირსეულია და გულში ამქვეყნიური ქონების მიმართ მიდრეკილება საერთოდ არ აქვს. გაუმაძლარი ადამიანი თუ ძალზე უმნიშვნელო რამისთვის თავს განირავს, ალლაჰით კმაყოფილ ადამიანს, თავისი გაჭირვების მიუხედავად, ბევრი ქონებისკენ თვალი არ გაექცევა. ჰარამის და ჰალალის განურჩევლად, ყველაფრის მსურველ ადამიანს მათხოვარი ეწოდება. ალლაჰის კმაყოფილება რომ მოიპოვო და მათხოვრობიდან თავი იხსნა, საჭიროა შუამავლის შემდეგი რჩევის გათვალისწინება:

*„როგორც კი თქვენ შენიშნავთ ვინმეს თქვენზე მეტი შესაძლებლობის მქონეს, მაშინვე მიაბრუნეთ თავი მათკენ, ვინც თქვენზე უფრო ღარიბია.“<sup>80</sup>* ასეთი ქცევა ამ სიტუაციიდან ერთ-ერთი გამოსავალია. უბედურებისა და მწუხარების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი უკმაყოფილებაა.

შუამავალი, ისე როგორც სხვა საკითხებში, ალლაჰით კმაყოფილების საკითხშიც ჩვენთვის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია. მან თავისი ყველა საშუალება დაუყოვნებლივ გაჭირვებულებს დაურიგა. საჭიროზე მეტი მარაგი მისთვის არასდროს დაუტოვებია. ამიტომ ის ხშირად ალლაჰს ასე ევედრებოდა: *„ო, დიდო ალლაჰო! შუამავალ მუჰამედის ოჯახს საჭირო სარჩო-საკვები მიეცი!“<sup>81</sup>*

ალლაჰის ყველაზე მეტად კმაყოფილ შუამავალს, დროდადრო თავისი თანამიმდევრებისგან, სხვაზე რამის მოთხოვნისგან თავის შეკავების სიტყვა აუღია. სევბანის გადმოცემის მიხედვით, „ერთხელ შუამავალმა ბრძანა:

79. ბუჰარი, ვესაია 9.

80. ბუჰარი, რიყაყი, 30.

81. მუსლიმი, ზეჟათი, 126.





*„ვინც მე სიტყვას მომცემს, რომ მათხოვრობას არასდროს დაინწყებს და ვინმეს რამეს არ მოთხოვს, გარანტიას მივცემ, სიკვდილის შემდეგ ის აუცილებლად სამოთხეში შევა.“*

მე მაშინვე ვუთხარი:

— მე გაძლევ სიტყვას, შუამავალო!“

ამ ჰადისის გადმომცემი ადამიანი გვიყვება, რომ მან მართლაც შეასრულა შუამავალზე მიცემული სიტყვა და სიცოცხლის მანძილზე არავისგან არაფერი მოუთხოვია.<sup>82</sup>

აღსანიშნავია კმაყოფილება იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანი მშვიდ დარჩეს, ან არ იმუშაოს და თავისი გასამრჯელო არ აიღოს. ყოველთვის საჭიროა საკუთარი კანონიერი უფლებების დაკმაყოფილება. ამას მონძობს შემდეგი შემთხვევა, რომელსაც ომარი მოგვითხრობს:

„შუამავალი ხანდახან მე ბრძოლის საჩუქარს მომცემდა. მე მას ვეუბნებოდი:

— ეს ჩემზე გაჭირვებულისთვის რომ მიგეცათ, უფრო უკეთესი არ იქნებოდა, შუამავალო? ის მპასუხობდა:

— *შენ ეს აიღე! რაზეც თვალი არ გაგქცევია და რისი სურვილიც არ გქონია, ასეთი ქონება შეგიძლია აიღო. შეგიძლია შენთვის დაიტოვო ან, თუ სურვილი გექნება, სხვას აჩუქო. მაგრამ არასდროს ქონების დაგროვების სურვილი არ გაგიჩნდეს!*<sup>83</sup>

საინტერესოა კიდევ ერთი ჰადისი: „იბრაჰიმ შუამავალი თავისი შვილის — ისმაილის მდგომარეობის გასაგებად მექაში ჩავიდა. სახლში მისულ იბრაჰიმ შუამავალს ისმაილი შინ არ დახვდა. მან რძალს ჰკითხა:

— ისმაილი სად არის?

რძალმა უპასუხა:

— საჭმლის საშოვრად სანადიროდ წავიდა. იბრაჰიმმა მათი მდგომარეობისა და სარჩო-საკვების შესახებ კითხვები დაუსვა. რძალმა მიუგო:

82. აბუ დავუდი, ზეჟათი, 27.

83. ბუჰარი, ზეჟათი, 51.





— ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვართ, გაჭირვებულად ვცხოვრობთ, — შესჩივლა რძალმა. შუამავალი წავიდა და რძალს დაუბარა:

— ქმარი რომ დაბრუნდება, ჩემგან სალამი გადაეცი. ამასთან ერთად, შეახსენე, რომ კარის ზღურბლი გამოცვალოს.

სახლში დაბრუნებულმა ისმაილმა შეამჩნია რაღაც მომხდარიყო და ცოლს ჰკითხა:

— ჩემს არყოფნაში ვინმე მოვიდა?

— დიახ, ერთი მოხუცი ადამიანი იყო და შენ მოგიკითხა. მან ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის შესახებ კითხვები დამისვა. მეც ვუთხარი, რომ ძალიან გაჭირვებულად ვცხოვრობთ-მეთქი. ისმაილმა ჰკითხა:

— რაიმე რჩევა ხომ არ მოუცია?

— დიახ, შენზე სალამის გადმოცემა მთხოვა და მითხრა, როდესაც დაბრუნდება, კარის ზღურბლი გამოცვალოსო.

— ის ადამიანი მამაჩემი ყოფილა. ჩემთვის შენგან განქორწინება უბრძანებია. წადი, შეგიძლია შენს მშობლებთან დაბრუნდე. ამგვარად, ისმაილი გაშორდა თავის ცოლს და ჯურჰუმულელთა გვარის სხვა ქალზე დაქორწინდა.

ცოტა დროის გასვლის შემდეგ, იბრაჰიმ შუამავალი კვლავ ესტუმრა ისმაილს მაგრამ იგი ამჯერადაც არ დახვდა. რძალს ისმაილის ადგილსამყოფელის შესახებ ჰკითხა. მან უპასუხა:

— საჭმლის მოსატანად წავიდა.

იბრაჰიმმა მათი ცხოვრების პირობებზე კითხვები დაუსვა. რძალმა უპასუხა:

— ძალიან კარგად ვართ. მშვიდად ვცხოვრობთ. რაც საჭიროა, ყველაფერი გვაქვს, ამიტომ ღმერთის დიდი კმაყოფილი ვართო.

— რას ჭამთ ძირითადად?

— ძირითადად

— ხორცს ვჭამთ.

— რას სვამთ?





— ნყალს.

მოისმინა რა იბრაჰიმმა რძლის პასუხები, ხელები მალა ალაპყრო და ალლაჰს შეევედრა: „დიდო ალლაჰო! გამოუგზავნე ამ ოჯახს კეთილდღეობა და ხვალი-ბარაქა!“

შემდეგ რძალს დაუბარა:

— ქმარი რომ დაბრუნდება, სალამი გადაეცი, შეახსენე, რომ კარის ზღურბლს კარგად გაუფრთხილდეს და მოუაროს. სახლში დაბრუნებულმა ისმაილმა ცოლს ჰკითხა:

— ჩემს არყოფნაში ხომ არავინ გვსტუმრებია?

— დიახ, ლამაზი შეხედულების ერთი მოხუცი ადამიანი მოვიდა და შენ მოგიკითხა, შემდეგ ჩვენი ცხოვრების შესახებ კითხვები დამისვა. მეც ვუპასუხე, რომ ძალიან კარგად ვცხოვრობთ და არაფრის გვიჭირს — მეთქი ისმაილმა ჰკითხა:

— რაიმე რჩევა თუ მოგცა?

— დიახ, მთხოვა შენთვის სალამი გადმომეცა და შემეხსენებინა, რომ კარის ზღურბლს გაუფრთხილდე. ისმაილმა უთხრა:

— ის მოხუცი მამაჩემი იყო, კარის ზღურბლი კი შენ ხარ. მამას გახარებია და მიჩვენებს გაგიფრთხილდე.<sup>84</sup>

იბრაჰიმ შუამავალმა ისმაილ შუამავლის პირველი მეუღლის ალლაჰით უკმაყოფილება შეიტყო და შვილს ოჯახური ცხოვრების წესიერად წარმართვისთვის, მასთან განშორება ურჩია. ამით მან ალლაჰით კმაყოფილების უდიდეს მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

მევლანა ამ საკითხთან დაკავშირებით ბრძანებს: *ადამიანი რომელიც შორსაა ალლაჰის ნყალობისგან, ხელმწიფეც რომ იყოს, მათხოვრის მსგავსად გაუმაძღარია. ვიდრე ადამიანი ალლაჰის მიერ მიცემულით არ დაკმაყოფილდება, სადაც არ უნდა წავიდეს, ყველგან წინააღმდეგობა და პრობლემები შეექმნება.*<sup>85</sup>

ამქვეყნიური ქონებით კმაყოფილება, ადამიანს შესაძლო პრობლემებისა და უბედურებისგან იხსნის. ამასთან ერთად, ასეთ ადა-

84. ბუჰარი, ენბია, 9.

85. მესნევი, ბეითი, 588-590.





მიანებს, გულში ალლაჰის სიყვარული უძლიერდებათ, რაც იმას ნიშნავს, რომ ალლაჰსაც ისინი უფრო შეუყვარდება. შუამავალს სწორედ ერთ-ერთი ასეთი ახალგაზრდა ძალიან შეუყვარდა და დააჯილდოვა. ეს ისტორია ასეთია:

„შუამავლის მოსანახულებლად ჩასული ბენი თუჯიბის გვარის წარმომადგენლები, რომლებიც უკან ბრუნდებოდნენ, შუამავალმა სხვებზე უფრო მეტად დაასაჩუქრა და უთხრა:

— თქვენგან საჩუქრის მიუღებელი ვინმე დარჩა?

— დიახ. ჩვენზე ასაკით ყველაზე უმცროსი ცხოველებზე სამეთვალყუროდ დავტოვეთ. მას შენგან საჩუქარი არ აუღია. შუამავალმა უთხრა:

— გადაეცით, ისიც ჩემთან მოვიდეს!

მეგობრები ახალგაზრდასთან მივიდნენ და უთხრეს:

— შუამავალთან მიდი და შენი საჩუქარი აიღე! ჩვენ, ჩვენი საჩუქრები ავიღეთ და მას დავემშვიდობეთ.

ახალგაზრდა მივიდა და უთხრა:

— შუამავალო! მე ებზას გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელი ვარ. ცოტა ხნის წინ შენთან მყოფი ადამიანების მოძმე ვარ, რომლებიც დაასაჩუქრე. შეგიძლია, ჩემი თხოვნაც გაითვალისწინო? შუამავალმა ჰკითხა:

— შენი სათხოვარი გაქვს?

— შუამავალო, ჩემი სათხოვარი ჩემი ამხანაგების სათხოვარს სრულებით არ ჰგავს, ისინი ისლამს მონატრებული მოვიდნენ და თავიანთი ზექათიც მოიტანეს. ჩემი სათხოვარია, შეევედრო ალლაჰს მაჰატიოს ჩადენილი ცოდვები, მან გამინიოს მონყალეზა და ამასთანავე, გამიძლიეროს სული. მუჰამმედ შუამავალმა, მოისმინა ბიჭის თხოვნა და ალლაჰს შეევედრა:

„ო, დიდო ალლაჰო! აჰატიე ამ ბიჭს ცოდვები და მიეცი შენი ნყალოზა, გაუძლიერე და გაუმდიდრე სული!

ამის შემდეგ ბენი თუჯიბის გვარის წარმომადგენლები თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნდნენ. რამდენიმე მათგანი ერთი წლის შემდეგ, მინაში ჰაჯოზის დროს, შუამავალს შეხვდა.





— ჩვენ ებზას შთამომავლებიდან ვართ, — უთხრეს შუამავალს. მან ჰკითხა:

„გასულ წელს თქვენთან ერთად ჩემს სანახავად ჩამოსული ახალგაზრდა რას აკეთებს?“

— შუამავალო! ალლაჰის მიერ მიცემული სარჩო-საკვებით მაგისტანა კმაყოფილი ადამიანი ჯერ არ გვინახავს. ადამიანებმა ამ ქვეყნის ერთმანეთში განაწილება რომ დაიწყონ, თვალთაც არ შეხედავს. მას ამ ქვეყნის მიმართ არავითარი მოთხოვნილება და სურვილი არ გააჩნია. ამ სიტყვების მომსმენი შუამავალი სიხარულით აღფრთოვანებული დარჩა და ალლაჰს მადლობა შესწირა. ის ერთხელ კიდევ შეევედრა ალლაჰს ამ ახალგაზრდის შესახებ და ყოველივე კარგი უსურვა.

ეს ახალგაზრდა თავისი მოქმედებით გვარში ყველაზე ღირსეული ადამიანი გახდა. ის ალლაჰის მიერ მიცემული სარჩოთი ყველაზე კმაყოფილი ადამიანი იყო და მთელი თავისი ცხოვრება ამ გზით იარა. შუამავლის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც იემენის ხალხი ისლამის რწმენიდან უკან დაბრუნდა, არც მათთვის ალლაჰის შეხსენებისგან უკან დაუხვევია. საკუთარი შრომის ფასად, მისი გვარიდან არც ერთ ადამიანს რწმენისთვის არ უღალატია. შემდეგ აბუ ბაქრმა ეს ახალგაზრდა მოიკითხა, მისი მდგომარეობა გაიგო და იმ მხარის გუბერნატორს ახალგაზრდას მიმართ სიკეთის გამოჩენა ურჩია.<sup>86</sup>

ყაირათიანობა — რწმენით სიძლიერეს და ალლაჰით კმაყოფილებას ნიშნავს. სწორედ ამიტომ, ალლაჰსაც ასეთი ადამიანები გამორჩევით უყვარს.

ყაირათიანობა — ხელთარსებული ქონებით კმაყოფილებას და სხვის ქონებაზე თვალის გაუქცევლობას ნიშნავს. ადამიანებ უნდა ახსოვდეთ, რომ სხვის ქონებაზე თვალის დამჭერი, თავის ქონებასაც დაკარგავს.

86. იბნ ქაიმი, 3, 54-55. იბნ სადი, 1, 323.





## 5. ალლაჰზე მინდობა

*შენ მიენდე ალლაჰის ნებას, იყავი მისი ერთგული და სიმშვიდე მოიპოვე! მის ყოველ განგებას კმაყოფილი შეხვდით. ვნახოთ, ალლაჰი კიდევ რას მოიმოქმედებს! რასაც ის გააკეთებს, ყველაფერს მშვენიერს გააკეთებს!*

იბრაჰიმ ჰაქი ერზურუმი

ალლაჰის რწმენისა და ნდობის კიდევ ერთი ფაქტორი მასზე მინდობაა. რაც არ უნდა მნიშვნელოვანი რამ გააკეთოს მუსლიმმა ადამიანმა, ყველა აუცილებელი პირობა და დებულება დაიცვას, აუცილებლად უზენაეს ალლაჰს უნდა მიენდოს, ფიქრითა და სულით სულ მასთან ერთად უნდა იყოს.

ალლაჰზე მინდობა როდი გულისხმობს სხვადასხვა სამუშაოზე თავის არიდებას, ის სრულებით არ გულისხმობს სიზარმაცეს და უქნარობას.

ალლაჰზე შევედრების ორი ფორმა არსებობს: ერთი — მოქმედებით, მეორე — სიტყვით. მოქმედებით შევედრება ალლაჰის წინაშე სავალდებულო საქმეების შესრულებით გამოიხატება. სიტყვიერი ვედრება კი, ფიზიკურად შესრულებული საქმის შემდეგ — ალლაჰის წინაშე სულიერი ვედრების სახით. იმ ადამიანის საქციელი სასაცილოა, ვინც იტყვის: „მე მხოლოდ ალლაჰის იმედი მაქვს“ და აღარაფერს გააკეთებს. ერთხელ ერთმა ბედუინმა ალლაჰის შუამავალს ჰკითხა:

— ალლაჰის შუამავალო! როგორ მოვიქცე, ჯერ მივაბა აქლემი და მერე მივენდო ალლაჰს, თუ მისი იმედით ცხოველი დაუბმელი დავტოვო? შუამავალმა მუჰამმედმა უპასუხა:

— ჯერ მიაბი მაგრად და შემდეგ ალლაჰის ნებას მიენდე!

وَتَوَكَّلْ عَلَى الْحَيِّ الَّذِي لَا يَمُوتُ وَسَبِّحْ بِحَمْدِهِ



„და სასოებდე მარადიულს, რომელიც არ მოკვდება, და ქებითა განადიდე იგი. იგი საკმარისია, თავის მსახურთა ცოდვების მცოდნედ!“<sup>87</sup>

فَإِذَا عَزَمْتَ فَتَوَكَّلْ عَلَى اللَّهِ إِنَّ اللَّهَ يُحِبُّ الْمُتَوَكِّلِينَ

„და როცა რამე საქმეს გადაწყვეტ, ალლაჰს მიენდე, უეჭველად, ალლაჰს უყვარს მინდობილები!“<sup>88</sup>

وَعَلَى اللَّهِ فَلْيَتَوَكَّلِ الْمُؤْمِنُونَ

„...მაშ, მორწმუნენი ალლაჰს სასოებდენ!“<sup>89</sup>

აიათებიდან გამომდინარე, ალლაჰის სურვილია, მის გარდა ადამიანი არავისზე იყოს მინდობილი.

وَمَنْ يَتَوَكَّلْ عَلَى اللَّهِ فَهُوَ حَسْبُهُ

„... ხოლო ვინც სასოებს ალლაჰს, მაშინ იგი საკმარისია მისთვის. უეჭველად, ალლაჰი აღმსრულეა საქმის.“<sup>90</sup>

ალლაჰის შუამავლის მომდევნო ჰადისში ლაჰარაკია იმაზე, რომ ყოვლისშემძლე ალლაჰი ყოველთვის იცავს მათ, ვინც მასზე მინდობილია, რომ ისინი განკითხვის დღეს უხვად დაჯილდოვდებიან და სამოთხის ბალებში დაიდებენ ბინას:

„წინა მიმდევრები მე გამომეცხადნენ. დავინახე ერთი შუამავალი, ვისთან ერთადაც სამკაცციანი ჯგუფი იყო. დავინახე კიდევ ერთი შუამავალი, ვის გვერდითაც არც ერთი ადამიანი არ იყო. ამ დროს მის წინ დიდი ხალხმრავლობა გაჩნდა. ისინი, ჩემი მიმდევრები მეგონა. მითხრეს: „ესენი მუსა შუამავლის მიმდევრები არიან, შენ მეორე მხარეს გაიხედეო!“ გავიხედე და ჰორიზონტზე რალაც შევნიშნე. ამ დროს მითხრეს:

„აი, ესენი შენი მიმდევრები არიან, მათ შორის 70 ათასი ადამიანია, ვინც დაუკითხავად და ყოველგვარი ანგარიშის ჩაუბარებლად სამოთხეში შევა.“

87. სურა ფურყანი, აიათი 58.

88. სურა ალი-იმრანი, აიათი 159.

89. სურა იბრაჰიმი, აიათი 11.

90. სურა ტალაყი, აიათი 3.





როგორც იბნ აბბასი მოგვითხრობს, ამ სიტყვების შემდეგ შუამავალ ადგა და სახლში წავიდა. თანამიმდევრებმა ერთმანეთში კამათი დაიწყეს, თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ეს სამოცდაათი ათასი ადამიანი. ზოგის ვარაუდით, ისინი შუამავლის ერთად მცხოვრები ხალხი უნდა ყოფილიყო, ზოგის ვარაუდით კი — ისლამის პირველი მორწმუნეები. კიდევ მრავალი მოსაზრება არსებობდა. ამ საკითხთან დაკავშირებით კამათი არ შეწყვეტილა, ვიდრე შუამავალი არ დაბრუნდა. ის ხალხთან მივიდა, ჰკითხა:

— რის შესახებ კამათობთ?

— ანგარიშის გარეშე და ყოველგვარი ტანჯვის უხილავად სამოთხეში შემსვლელი ადამიანების შესახებ ვკამათობთ, თუ ვინ შეიძლება ყოფილიყვნენ ის ადამიანები. შუამავალმა მათ ასე უპასუხა:

— ეს ხალხი ჯადოს არასდროს აკეთებდა, არც არავის თხოვდნენ ამას. ამ ხალხს გაუმართლებლობის არასდროს სჯერა და ყოველთვის ალლაჰს მინდობილი არიან! ამის გაგონებაზე უქქაშე იბნ მიჰსანი ადგილიდან წამოვარდა და თქვა:

— შუამავალო, ალლაჰს შეევედრე, რომ მეც იმ ადამიანებიდან ვიყო. შუამავალმა უთხრა:

— შენ ერთ-ერთი მათგანი ხარ უქქაშა!

შემდეგ კიდევ ერთი თანამიმდევარი ადგა და იგივე თხოვნით მიმართა, მაგრამ ალლაჰის შუამავალმა უპასუხა:

— შესაძლებლობა უქქაშამ შენზე უკეთ გამოიყენა.<sup>91</sup>

ამ ჰადისით აშკარად არის ნაჩვენები, თუ ადამიანის ალლაჰზე მინდობა რამდენად მნიშვნელოვანი და საჭირო საქმეა. პოეტი ბაქი აღნიშნავდა რა, რომ ნუთისოფელში ადამიანები არ უნდა ეთაყვანებოდნენ მომაკვდავეს. ხალხი მხოლოდ ერთ ალლაჰს უნდა ემსახურებოდეს და მხოლოდ მასზე მინდობით სიმშვიდეს და მშვიდობას მოიპოვებდეს:

„ამქვეყნიურ არაფერზე თავის დახრა არ ღირს, უნდა გნამდეს ალლაჰი და მხოლოდ მას უნდა ენდობოდე. ვინც მხოლოდ ალლაჰს მინდობილია, თვით ალლაჰი იქნება მისი მეგობარი. მხოლოდ ამ გზით იქნება სული ბედნიერი. შუამავალი, რომელმაც მთელი ცხო-

91. მუსლიმი, იმანი, 374.





ვრება ალლაჰზე მინდობილმა გაატარა, მუდმივად ამ ვედრებას კითხულობდა.“

„დიდო ალლაჰო! შენზე ვარ მონდობილი, შენი მჯერა, შენი მორჩილი ვარ! მთელი სულითა და გულით შენკენ ვარ შემობრუნებული. შენი დახმარებით მტრების წინააღმდეგ ვიბრძვი. ღმერთო, შენს უდიდებულებას შევეფარები! შენ გარდა სხვა ღმერთი არ არსებობს! უკვდავი მხოლოდ შენ ხარ! ჯინები და ადამიანები — ყველა მოკვდავები არიან!“<sup>92</sup>

შუამავლის ყოველ ნაბიჯში ალლაჰზე მინდობას დაინახავ. ის სახლში შესვლისა და გამოსვლის, დანოლისა და ადგომისას — ყოველთვის ალლაჰის სახელს ახსენებდა. უმმუ სელემეს გადმოცემის მიხედვით, შუამავალი სახლიდან ყოველი გამოსვლისას აუცილებლად ცას შეხედავდა და ალლაჰს ასე ევედრებოდა:

*„ბისმილლაჰ, მე მხოლოდ ალლაჰს ვემორჩილები. დიდო ალლაჰო! სწორი გზიდან გადახვევის, შეცდომების, არასწორი ქცევების და უსამართლობისგან შენ შეგეფარები!“<sup>93</sup>*

ვედრებაში ნახსენები სიტყვები — „ალლაჰს ვემორჩილები“ ალლაჰზე მინდობას ნიშნავს. ადამიანის მიერ ასეთი მოქმედების ყოველდღიურ რეჟიმში მოქცევა, შუამავლის ერთ-ერთი სუნნეთია.

შუამავალმა თანამიმდევრებს ალლაჰზე მინდობის შესახებ საკმარისად აუხსნა. ზათურ-რიყას ბრძოლიდან დაბრუნებისას, შუამავალმა ერთ ადგილას ხალხი დასვენების მიზნით დააბანაკა. შუამავალიც ერთი ხის ქვეშ დასასვენებლად დაჯდა და ხმალიც ხეზე ჩამოჰკიდა. ჯაბირი ამ ამბავს ასე განაგრძობს:

„ახალ ჩაძინებული ვიყავით, რომ შუამავლის ძახილი შემოგვესმა. ჩვენ სასწრაფოდ მასთან მივირბინეთ. დავინახეთ, მის გვერდით ერთი ბედუინი იჯდა. შუამავალმა შემდეგი რამ მოგვიყვა:

— ვიდრე მე მეძინა, ამ ბედუინმა ჩემი ხმალი აიღო. როცა გამოვიღვიძე, ვნახე ხმალი ქარქაშში აღარ იღო. შემდეგ მან მკითხა:

— ამჯერად ვინ გადაგარჩენს შენ?

მე სამჯერ გავუმეორე:

92. მუსლიმი, ზიქრი, 67.

93. აბუ დავუდი, ედები, 102-103. თირმიზი, დეავათი, 35.





— ალლაჰი! ალლაჰი! ალლაჰი!<sup>94</sup>

შუამავალს სიკვდილთან პირისპირ დარჩენის დროს, ალლაჰის იმედით, შიში არ განუცდია და გაბედულად უპასუხა ბედუინს, რომ მისი დამხმარე, მხოლოდ ალლაჰი იყო. შუამავლის ასეთი მშვიდი და გაბედული მოქმედების მნახავ ბედუინს, რასაც ის ნაკლებად მოელოდა, ხელიდან ხმალი გაუვარდა და შუამავალს ტყვედ ჩაბარდა. ამის შემდეგ შუამავალმა ალლაჰზე მინდობის კიდევ ერთი მაგალითის საჩვენებლად თანამიმდევრებს დაუძახა. ბედუინი არ დაუსჯიათ, ის ისლამზე მოაპატიოეს. თავის ხალხთან დაბრუნების შემდეგ, ბედუინმა განაცხადა: „მე ყველაზე საუკეთესო ადამიანთან ვიყავი!“

თანამიმდევრებმა ალლაჰზე მინდობის ყველაზე საუკეთესო მაგალითები შუამავალის სიცოცხლეში ნახეს. იაჰია იბნ მურრე გადმოგვცემს:

„როდესაც ალი ხალიფა იყო, ღამლამობით ნამაზის სალოცავად მეჩეთში დადიოდა. ერთ ღამეს, დაცვის მიზნით, მას უკან გაყვევით. ნამაზის დასრულების შემდეგ გვკითხა:

— თქვენ აქ რატომ ზიხართ?

— თქვენ სიმშვიდეს ვიცავთ! — ვუპასუხეთ ჩვენ.

— ცაში მყოფი არსებებისგან თუ დედამიწაზე მყოფი ადამიანებისგან? — გვკითხა. ჩვენ ვუპასუხეთ:

— დედამიწაზე მყოფი ადამიანებისგან.

— ცაში ბრძანების გაუცემლად დედამიწაზე არაფერი ხდება. ყოველ ადამიანს, ორი დამცველი ანგელოზი ჰყავს. ის ანგელოზები ადამიანს მანამ დაიცავენ, ვიდრე ზეციდან ბრძანება არ ჩამოუვთ. მეც, ამგვარად, ორი მცველი ანგელოზი მყავს. როცა ჩემი ამქვეყნიდან წასვლის დრო დადგება, მაშინ ეს ანგელოზებიც ჩემგან წავლენ. ყოველი ადამიანს აუცილებლად დაატყდება თავს რაც მისი ბედისწერაა. ხოლო, რაც მისთვის დაწერილი არ არის არასდროს შეემთხვევა. ვინც ეს არ იცის, რწმენის გემოს ვერასდროს გაიგებს!<sup>95</sup>

ალლაჰს მიუწოდებელი, ან მისი დამვიწყებელი ადამიანი, საბოლოოდ, თავისი გაკეთებული საქმეების პირისპირ დარჩება, ოღონდ

94. ბუჰარი, ჯიჰადი, 84, 87. მუსლიმი, ფედაილი, 13.

95. იბნ ასაქირი, ხლ 2, 552.



აღლაჰის კმაყოფილების მოპოვების გარეშე და წაგებული. ხოლო, აღლაჰის მორჩილი პიროვნება, მასთან ახლოს მყოფი ადამიანია, რომელსაც ის ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც მრავალ დახმარებას გაუწევს.

## 6. სხვისი ბედის განცდა ალტრუიზმი<sup>96</sup>

*„ვერასდროს მიაღწევთ ღვთისნიერებას, თუ არ გაიღებთ იმას, რაც გიყვართ. და რაც უნდა გაიღოთ, უეჭველად, აღლაჰმა უწყის იგი!“*

(სურა ალი-იმრანი, აიათი 92).

ალტრუიზმი, საკუთარ ინტერესებზე მაღლა სხვისი ინტერესების დაყენებას ნიშნავს. ეს არის, სხვის გადასარჩენად თავგანწირვა და სხვისი გაჭირვების წინა პლანზე დაყენება.

ალტრუიზმის საუკეთესო მაგალიტები თვით შუამავალმა და მისმა თანამოაზრეებმა აჩვენეს. აიათებსა და ჰადისებში მათ შესახებ მრავალი მაგალითია. აღლაჰი ასეთი ადამიანების შესახებ ბრძანებს:

وَالَّذِينَ تَبَوَّؤُوا الدَّارَ وَالْإِيمَانَ مِنْ قَبْلِهِمْ  
يُحِبُّونَ مَنْ هَاجَرَ إِلَيْهِمْ وَلَا يَجِدُونَ فِي صُدُورِهِمْ حَاجَةً  
مِمَّا أُوتُوا وَيُؤْتُونَ عَلَى أَنْفُسِهِمْ وَلَوْ كَانَ بِهِمْ خَصَاصَةٌ  
وَمَنْ يُوقَ شُحَّ نَفْسِهِ فَأُولَئِكَ هُمُ الْمُفْلِحُونَ

„და რომელთაც იმათზე უწინ ბინა ჰქონდათ დადებული და სარწმუნოება მიღებული, უყვართ ვინც გადასახლდა მათთან. გულში არ ივლებენ არანაირ შურს იმის გამო, რაც იმათ მიეცათ, და უპირატესობას ანიჭებენ საკუთარ თავზე მეტად, თუნდ ესაჭიროებოდეთ. და ვინც სიხარბისგან თავს დაიცავს, სწორედ ისინი არიან ნეტარნი!“<sup>97</sup>

96. ალტრუიზმი – სხვის სასიკეთოდ უანგარო ზრუნვა, მზაობა სხვაზე ზრუნვისა საკუთარი ინტერესების სანინაღმდეგოდ.

97. სურა ელ-ჰაშირი, აიათი 9.





ამ აიათის ჩამოსვლის მიზეზი, შუამავლისა და მისი თანამიმდევრების მიერ სხვების მიმართ გამოჩენილი ხელგაშლილობა და უანგარო ზრუნვაა. აი, ერთი მაგალითი:

„ერთი ბედუინი ალლაჰის შუამავალთან მივიდა და უთხრა:

— მე მშვიერი ვარ. შუამავალმა თავის ცოლთან ამბავი გაავაზნა და სახლიდან საჭმლის მოტანა მოითხოვა. როდესაც გაიგო, რომ სახლში წყლის გარდა არაფერი იყო, მაშინ განაცხადა:

— ამაღამ ამ ადამიანს სტუმრად ვინ მიიღებს?

— მე მივიღებ სტუმრად, შუამავალო! — უპასუხა ანსარებიდან აბუ ტალჰამ და ის მშვიერი ადამიანი თავის სახლში წაიყვანა. სახლში მისულმა აბუ ტალჰამ ცოლს უთხრა:

— შუამავლის ერთი სტუმარი მოვიყვანე, სახლში საჭამადი რამე გვაქვს?

ცოლმა უპასუხა:

— არა, მხოლოდ ბავშვებისთვისაა ცოტაოდენი საჭმელი.

— მაშინ ბავშვები ათამაშე და თუ შეეცდებიან მაგიდასთან მოსვლას, ისინი დააძინე. როდესაც საჭმლის საჭმელად დავსხდებით, რაღაც მიზეზით ლამპა ჩააქრე, სიბნელეში ჩვენ ისე უნდა მოვიქცეთ, თითქოს ვჭამთ, ხოლო სტუმარს შესაძლებლობა მიეცემა დაპურდეს.

სუფრასთან დასხდნენ. სტუმარი დანაყრდა, ხოლო მასპინძლებმა მშვიერი დაიძინეს. დილას აბუ ტალხა შუამავალთან მივიდა. ალლაჰის შუამავალმა უთხრა:

*„ალლაჰი ძალიან კმაყოფილია თქვენი საქციელით, რომელიც ნუხელ ჩაიდინეთ!“<sup>98</sup>*

შუამავლის მიერ გაჭირვებულებისთვის სახლში საჭმლის მოსატანად ადამიანების გაგზავნა უდიდესი ხელგაშლილობის მაგალითია. აღსანიშნავია, რომ საჭმელ-სასმელის და შიმშილის პრობლემა ალლაჰის შუამავლის ოჯახსაც აწუხებდა. ამასთან, ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ შესაძლებელია შუამავლის ოჯახის წევრებს იმ დღეს სულ სხვა გაჭირვებულისთვის მიეცათ, რაც თუ საჭმელი გააჩნდათ.

აიათის ჩამოსვლის კიდევ ერთი მიზეზიც შემდეგი ისტორიაა:

98. ბუჰარი, თეფსირი, 59-6. მუსლიმი, ეშრიბე, 172-173.



„შუამავლის ერთ-ერთ თანამიმდევარს ცხვრის თავი აჩუქეს. მან კი თქვა: „შეიძლება, ჩვენი მეზობელი ჩვენზე უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაში იყოს“ და ნაჩუქარი ცხვრის თავი მეზობელს გაუგზავნა. იმ მეზობელმა, ის იგივე მიზეზით მესამე მეზობელს გაუგზავნა. ამ მიზეზით ცხვრის თავმა შვიდი ოჯახი შემოიარა და ისევ პირველ ადამიანს დაუბრუნდა. ამის გამო ეს აიათი ჩამოვიდა.<sup>99</sup>

ამ აიათის ჩამოსვლის მესამე მიზეზი კი ასეთია:

შუამავალმა ბენი ნადირის ტომიდან აღებული სამხედრო ნადავლი მუჰაჯირებს გაუნაწილა. ანსარებიდან მხოლოდ სამი გაჭირვებულ ოჯახს მისცა. ამის შემდეგ ანსარებს ასე მიმართა:

*„თუ სურვილი გექნებათ, მუჰაჯირებზე ადრე მიცემული ყველაფერი მათ საკუთრებაში დარჩეს და თქვენ ამ ნადავლიდან წილი აიღეთ. თუ გინდათ, ადრე მათზე მიცემული უკან დაიბრუნეთ და ეს ნადავლი მთლიანად მათი იყოს!“* შუამავალს ამ წინადადებაზე ანსარის გვარის წარმომადგენლებმა ასე უპასუხეს:

— *ჩვენ მუჰაჯირებს, როგორც ქონებიდან, ისე სახლ-კარიდან წილს მივცემთ, მთლიან სამხედრო ნადავლსაც მათ დავუთმობთ და ჩვენ არაფერს ავიღებთ.<sup>100</sup>*

შემდეგ ალლაჰის შუამავალმა ანსარებს ასეთი სიტყვებით მიმართა:

*„როგორც ვხედავ, გაჭირვებულების დასახმარებლად ან საბრძოლველად თუკი დაგიძახებ, მრავლდებით რიცხობრივად და დასახმარებლად ჩქარობთ, ხოლო, თუკი ამქვეყნიური ქონების დანაწილების დროს დაგიძახებ, ძალიან კლებულით და ცოტანი ხართ. ეს თქვენი უმშვენიერესი საქციელია.“<sup>101</sup>*

ალლაჰის შუამავლის თანამიმდევრების ცხოვრებაში ამგვარი საოცარი მაგალითი მრავალია. ამიტომ ყოვლისშემძლე ალლაჰი მათ ასე აქებს: „ისინი ღარიბებს, ობლებს და ტყვეებს საჭმელს აძლევენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ თვითონ ესაჭიროებათ ის, (და ამბობენ):

وَيُطْعَمُونَ الطَّعَامَ عَلَىٰ حُبِّهِ مِسْكِينًا

99. ჰაქიმი 2, 526.

100. რაზი, 29, 250. ქურთუბი, 18, 25.

101. ალი ელ-მუთთაჟი, 14, 66.





وَيَتِيمًا وَأَسِيرًا إِنَّمَا نُطْعِمُكُمْ لِوَجْهِ اللَّهِ لَا نُرِيدُ مِنْكُمْ جَزَاءً وَلَا شُكْرًا  
 إِنَّا نَخَافُ مِنْ رَبِّنَا يَوْمًا عَبُوسًا قَمْطَرِيرًا فَوَقَاهُمُ اللَّهُ شَرَّ ذَلِكَ  
 الْيَوْمِ وَلَقَّاهُمْ نَضْرَةً وَسُرُورًا

„და სიამოვნებით აპურებენ უპოვრებს, ობლებს და ტყვეებს. ჩვენ მხოლოდ ალლაჰის კმაყოფილების სურვილით გაპურებთ თქვენ, ჩვენ არ გვსურს თქვენგან საზღაური და არც მადლობა. უეჭველად, გვეშინია ჩვენი ღმერთისგან იმ მოქუფრული სახიფათო დღისა! თუმცა დაიცვა ალლაჰმა ისინი ამ დღის სიავისგან და აზიარა ისინი უსაზღვრო სიხარულს.“<sup>102</sup>

ამ აიათით ალლაჰმა შუამავლის თანამიმდევრებს განკითხვის დღეს მათზე დახმარება უმახარობლა.

მათ ამგვარი მოქმედება, უეჭველად შუამავლისგან ისწავლეს. მაგრამ, მას ვერასოდეს გაუტოლდებიან. ალლაჰის შუამავლის ცხოვრება სავსეა ასეთი მაგალითებით. საჰლ იბნ სადი გადმოგვცემს:

„ერთმა ქალმა შუამავალს ხალათი მიუტანა და უთხრა:

— ეს ჩემი ხელით მოვქსოვე, რათა თქვენ ჩაგეცვათ და მუდმივად გეტარებინათ. შუამავალს ხალათი ესაჭიროებოდა, ამიტომ აიღო, ჩაიცვა და ჩვენ გვერდით დადგა. დაინახა რა ახალ ხალათში შუამავალი, ერთ-ერთმა თანამიმდევარმა უთხრა:

— რა ლამაზი ხალათია, შუამავალო! მომეცი და მე ჩავიცვამ ძალიან მინდა მისი ტარება. შუამავალმა უპასუხა:

— კარგი, მოგცემ!

ალლაჰის შუამავალი ცოტა ხანს ჩვენთან გაჩერდა, მერე სახლში წავიდა, ხალათი გაიხადა და იმ თანამიმდევარს გაუგზავნა, რომელმაც სთხოვა. თანამიმდევრებმა ამ ადამიანს საქციელი არ მოუწონეს და უთხრეს:

— კარგად არ მოიქეცი. შუამავალს ის სჭირდებოდა და იმიტომ ჩაიცვა. შენ კი ძალიან კარგად იცოდი, რომ მას რასაც მოსთხოვდი, ყველაფერს მოგცემდა. ამ ადამიანმა კი ასე უპასუხა:

102. სურა ინსანი, აიათები 8-11.





— ვფიცავ ალლაჰს, მე ის ხალათი ჩასაცვამად არ გამომირთმე-  
ვია, მე ის სუდარად მინდოდა. მართლაც, მალე ის თანამიმდევარი  
გარდაიცვალა და სუდარის მაგივრად იმ ხალათში გაახვიეს.<sup>103</sup>

როგორც ამ მაგალითშია მოცემული, შუამავალი გაჭირვებულ  
ადამიანს ყოველთვის საკუთარ თავზე წინ აყენებდა. იგი, საჭირო  
ნივთების გარდა, რასაც იშოვიდა, სხვას აძლევდა და ხშირად ამბობ-  
და: „ორი კაცისთვის მომზადებული საქმელი სამს ეყოფა, სამისთვის  
მომზადებული — ოთხს.“<sup>104</sup> მისი შეხედულებით, ამქვეყნად რაიმე  
ქონების დაპატრონებასა და გამოყენებაზე, მისი სხვაზე მიცემა ან  
მისი საფასურის იმქვეყნად გამოყენება უკეთესი იყო. შუამავალი  
აღნიშნავდა, რომ ამქვეყნად გაღებული მონყალების საფასური,  
იმქვეყნად გაცილებით მეტი იყო.<sup>105</sup> ერთ დღეს მან ცხვარი დაკლა და  
ხორცი გაჭირვებულებს დაურიგა. მერე იკითხა:

— ჩვენთვის რამე დაგვრჩა?

აიშემ უპასუხა:

— მხოლოდ კუდის ძვალი დარჩა. აიშეს ასეთი პასუხის შემდეგ  
შუამავალმა საოცრად შთამბეჭდავი რამ წარმოთქვა:

— უკეთესი იყო, გეთქვა: კუდის ძვლის გარდა, ყველაფერი ჩვენ  
დაგვრჩაო! <sup>106</sup>

შუამავალს გაჭირვებული ადამიანები და საერთოდ მთელი მისი  
თანამიმდევრები ძალიან უყვარდა. ამის დამამტკიცებელი ერთ-  
ერთი ჰადისი მოგვითხრობს: ეშარის ტომის მცხოვრებნი, როცა ბრ-  
ძოლისთვის სამზადისს დაიწყებდნენ, ან სახლებში საქმლის მარაგი  
შემოეღოდათ, რაც გააჩნდათ, ყველაფერს ერთ ადგილას მოაგრო-  
ვებდნენ და თანაბრად გაინაწილებდნენ. სწორედ ამიტომ შუამავა-  
ლი ამბობდა, რომ ეშარელები, ჭეშმარიტად, ჩემი თანამიმდევრები  
არიან, მე კი მათ ტომს ვეკუთვნიო.<sup>107</sup>

აიშემ გადმოგვცემს:

103. ბუჰარი, ლიბასი, 18. ედებ, 39.

104. ბუჰარი, ეთიმე, 11.

105. მუსლიმი, ზეჟათ, 63.

106. თირმიზი ყიამეთი, 33.

107. ბუჰარი, შირქეთი, 1. მუსლიმი, ფედაილის-საჰაბე, 167.





„ერთ დღეს ზურგზე ორი ბავშვით ერთი გაჭირვებული ქალი მოვიდა. მას სამი ხურმა მივეცი. ქალმა თითო ხურმა ბავშვებს მისცა, მესამე კი შესაჭმელად პირისკენ წაიღო. ამ დროს ბავშვებმა ისიც მოთხოვეს. ქალმა მისთვის განკუთვნილი ხურმაც მათ შუაზე გაუყო და მისცა. ქალის ასეთი საქციელით აღფრთოვანებული დავრჩი და ეს ამბავი შუამავალს მოვუყევი. შუამავალმა მითხრა:

*„ქალის ასეთი საქციელის გამო, ალლაჰი მას აუცილებლად სამოთხეს მისცემდა, ან ამ მიზეზით მას ჯოჯოხეთისგან გადაარჩენდა.“<sup>108</sup>*

ისლამის მიერ ნაბრძანებმა ალტრუიზმმა ადამიანები სამოთხის ცხოვრებით აცხოვრა. მაგრამ შუამავლის თანამიმდევრებს უფრო მეტი სურდათ და უფრო მეტის გაკეთებას ცდილობდნენ. იბნ ომარი, ნამდვილი ალტრუიზმით მცხოვრები ადამიანი, ძალიან ლამაზად ამბობს:

„ჩვენ ისეთი დროს ვცხოვრობდით, რომ ვერც ერთი ჩვენი ამხანაგი ვერ ჩათვლიდა იმ ოქროს და ვერცხლის ნამდვილ პატრონად თავს, რომელიც ხელში ჰქონდა. ისინი თვლიდნენ, რომ სხვა ხალხს უფრო მეტი უფლება ჰქონდათ მასზე, ვიდრე მათ.“<sup>109</sup>

იბნ ომარის ცხოვრების დროს მომხდარი ალტრუიზმის ამბების მოსმენით, ჩვენ გაცხებული ვრჩებით. მაგალითად, გავიხსენოთ იერმუქის ბრძოლა, სადაც დაჭრილ მდგომარეობაში ძირს დავარდნილმა და მოწყურებულმა თანამიმდევრებმა — ჰარის იბნ ჰიშამმა, იქრიმე იბნ აბუ ჯეჰილმა და იაშ იბნ აბუ რეზამ, მათთვის მიწოდებული წყალი ერთიმეორეს გადაუგზავნა და საბოლოოდ, სამივემ განუტევა სული ისე რომ წყალი ვერ დალიეს. ეს ხომ ალტრუიზმის ერთ-ერთი საოცარი მაგალითია.<sup>110</sup> ამის მსგავსი რამ დღეს აღარ ხდება და შეიძლება არც აღარასოდეს მოხდეს.

ამ გმირმა ადამიანებმა ასეთი საქციელი შუამავლისგან ისწავლეს. ისინი მის გვერდით აღიზარდნენ. მათ, თავიანთი მეგობრის გაჭირვებაზე ფიქრში, წყალიც კი არ დალიეს და ისე დაასრულეს საკუთარი სიცოცხლე. მაგრამ, სამაგიეროდ სამოთხეში დალიეს ქვეყნის წყალი.

108. მუსლიმი, ბირრი, 148.

109. ჰეისემი, 10, 285.

110. ჰაქიმი, 3, 270.





## 7. მუჰამედ შუამავლის მოთმინება

*„ო, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ!  
ითხოვეთ დახმარება მოთმინებითა და  
ნამაზი(სლოცვით). უეჭველად, ალლა-  
ჰი მომთმენ (ადამიან) ებთანაა.“*

(სურა ბაყარა, აიათი 153).

მოთმინება — თავის შეკავებას, სხვადასხვაგვარი გაჭირვებისა თუ პრობლემების გაძლებას და სარწმუნოების მიერ ნაბრძანებ კანონებზე დამორჩილებას ნიშნავს. იმამი ნევევი მოთმინებას ასეთ განმარტებას აძლევს: „მოთმინება — სულიერი მოთხოვნილებების წინააღმდეგ მიმართული გრძნობაა.“

მოთმინება — სარწმუნოების ერთ-ერთი მთავარი თვისება და ღვთისმსახურების ფორმაა. მოთმინების შედეგად შესაძლებელია მრავალი მოულოდნელი პრობლემის თავიდან აცილება.

მაგრამ მოთმინება არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერთან ერთად უნდა მოვითმინოთ უსამართლობა, ჩაგვრა, უფლებების დარღვევა და სხვა მსგავსი ქმედებები. იმიტომ, რომ ასეთ რამეს რელიგია კრძალავს და ადამიანს იმის უფლებას არ აძლევს, უსამართლობას შეეგუოს ან ვინმეს თავი დააჩაგვრინოს. თუ უსამართლობის წინააღმდეგ ფიზიკური შებრძოლების შესაძლებლობა არ არსებობს, მაშინ ეს გულით უნდა გაკეთდეს. თუ ადამიანი ასეთ რამეს ყურადღებას არ მიაქცევს, ეს მოთმინება კი არა, ადამიანის სისუსტე იქნება.

ნამდვილი მოთმინება — უბედურებისას დროულად თავის შეკავებაა. ხოლო თუ ადამიანი ჯერ თავისას გააკეთებს, მერე გარკვეული დროის შემდეგ მოიკრებს გონებას და გადაწყვეტს, რომ მოთმინება უკეთესია, ეს არ არის ნამდვილი მოთმინება, როგორცაც ალლაჰი ითხოვს ადამიანისგან. ენეს იბნ მალიქის გადმოცემის მიხედვით, შუამავალი ზავშვის საფლავის თავთან მჯდარ მტირალ დედას მიუახლოვდა და უთხრა:

— ალლაჰის გემინოდეს და მოთმინება გამოიჩინე!

ქალმა უპასუხა:





— ნადი, გამეცალე, შენ ის არ გამოგიცდია, რაც მე თავს გადამხდა. ქალმა, რა თქმა უნდა, შუამავალი ვერ იცნო. როდესაც უთხრეს, რომ ის შუამავალი იყო, სასწრაფოდ ფეხზე წამოდგა და მასთან ბოდიშის მოსახდელად გაიქცა. შუამავალთან მიმავალს, გზად წინ არავინ შეხვედრია და ამიტომ პირდაპირ სახლში შევიდა. მას ბოდიში მოუხადა და თავისი შეცდომა აღიარა:

— შუამავალო, მე თქვენ ვერ გიცანი! შუამავალმა უპასუხა:

*„ნამდვილი მოთმინება — უბედურების შეტყობის პირველი ვეწუთიდან გამოჩენილი მოთმინებაა!“<sup>111</sup>*

ყურანში მოთმინების შესახებ მრავალი აიათია მოცემული. ალლაჰი ადამიანებს სამოთხის მოპოვებისთვის გარკვეულ გამოცდას უტარებს. ამიტომ ის ადამიანებისგან ყოველთვის მოთმინებას მოელის. უზენაესი ალლაჰი ერთ-ერთ აიათში ასე ბრძანებს:

وَلْتَبْلُوْكُمْ بِشَيْءٍ مِّنَ الْخَوْفِ وَالْجُوعِ  
وَقُصٍّ مِّنَ الْأَمْوَالِ وَالْأَنْفُسِ وَالثَّمَرَاتِ وَبَشِّرِ الصَّابِرِينَ

„და, უეჭველად, ჩვენ გცდით თქვენ ცოტა შიშითა და შიმშილით, ქონების, სულთა და ნაყოფთა ნაკლებობით. და შენ ახარე მომთმენთ“<sup>112</sup>

ყოვლისშემძლე ალლაჰი მომთმენი ადამიანების დანარჩენისგან გამოსაყოფად თავის მონა-მსახურებს ცდის. ამიტომ ის ბრძანებს:

وَلْتَبْلُوْكُمْ حَتَّىٰ تَعْلَمَ  
الْمُجَاهِدِينَ مِنْكُمْ وَالصَّابِرِينَ وَتَبْلُوْا أَخْبَارَكُمْ

„და ვფიცავ! გამოგცდით თქვენ რაღაც შიშით, შიმშილით და ქონებათა, სულთა თუ ნაყოფთა დანაკლისით. და ახარე მომთმენებს.“<sup>113</sup>

ალლაჰს მომთმენი ადამიანები უყვარს, მათთან ერთად არის და მათ იმქვეყანად, ყოველგვარი ანგარიშის ჩაუბარებლად, სამოთხეს ჰპირდება. ყურანის ერთ-ერთ აიათში ის ბრძანებს:

111. ბუჰარი, ჯენაიზი, 32.

112. სურა ბაყარა, აიათი 155.

113. სურა მუჰამმედი, აიათი 31.



## أَنَا يُؤْفَى الصَّابِرُونَ أَجْرُهُمْ بِغَيْرِ حِسَابٍ

**„...უეჭველად, მომთმენთ მიეგებათ თავიანთი საზღაური - სარჩო უთვალავი!“<sup>114</sup>**

უზენაესი გამჩენის ერთ-ერთი სახელი „ეს-საბურ“ „ძალიან დიდი მომთმენის“ მნიშვნელობას ატარებს. როგორც შუამავალი ბრძანებს:

„არავის იმდენის მოთმენა არ შეუძლია, რამდენსაც ალლაჰი ითმენს. ურწმუნოები ამბობენ, რომ მას ჰყავს შვილები. მიუხედავად ამისა ალლაჰმა მათ წყალობას უგზავნის და სარჩო-სანოვაგეს აძლევს.“<sup>115</sup> მორწმუნე ადამიანი მომთმენი რომ იყოს, ამისათვის საჭიროა ხშირად ახსენოს ალლაჰის სახელი — „ეს-საბურ“, რომელიც მომთმენის მნიშვნელობას ატარებს და მასზე ბევრი იფიქროს.

შუამავალმა მოთმინების აუცილებლობასთან დაკავშირებით ასე ბრძანა: *„მოუწონებელი რამის გამო მოთმინების გამოჩენას დიდი სარგებელი მოაქვს.“<sup>116</sup>*

შუამავალი კიდევ ერთ ჰადისში ასე ბრძანებს:

*„მორწმუნე ადამიანის მდგომარეობა, შურისა და საოცრების მხრივ, ღირსეულია. იმიტომ, რომ მის ყოველ მდგომარეობას მისთვის სიკეთის მიმცემი გარკვეული მიზეზი გააჩნია. ასეთი განსაკუთრებული თვისება, მხოლოდ მორწმუნე ადამიანს ახასიათებს. თუ მას რაიმე გაუხარდება, მაშინ ალლაჰს მადლობას მოახსენებს; თუ რაიმე გასაჭირი შეექმნება, მაშინ მოთმინებას გამოიჩენს. ეს ორივე კი მისთვის სიკეთის მომტანი საქმეებია.“<sup>117</sup>* ამ ჰადისით შუამავალმა მუსლიმი ადამიანის ორი განსხვავებული თვისება — მოთმინება და მადლიერება გამოხატა.

ადამიანთა მოთმინებისკენ მოწოდება ყველა შუამავლის საერთო თვისებაა. ალლაჰის სარწმუნოების ხალხში გავრცელებისთვის, თითოეულ შუამავალს სხვადასხვა პრობლემა შეექმნა. ზოგი თავიანთი ქვეყნიდან იქნა გაძევებული, ზოგი — დატყვევებული. ზოგი დიდი წვალებისა და ზენოლის ქვეშ მოექცა, ზოგიც ამგვარი წვა-

114. სურა ზუმერი, აიათი 10.

115. ბუჰარი, ედები, 71.

116. იბნ ჰანბელი, 1, 307.

117. მუსლიმი, ზუჰდი, 64.





ლების შედეგად შეჰიდი გახდა და ა. შ. მაგრამ მთავარი ის უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველამ ალლაჰისა და იმქვეყნის სიყვარულის გამო, უდიდესი მოთმინება გამოიჩინა. მუჰამედ შუამავლის ცხოვრება თავიდან ბოლომდე მოთმინების უამრავი მაგალითით არის აღსავსე. საყვარელი შუამავლის მიერ ისლამის სარწმუნოების გავრცელების დროს გადატანილი დაბრკოლებების შესახებ ტარიყ იბნ აბდულლაჰ ელ-მუჰარაბი გადმოგვცემს:

„შუამავალი ერთხელ წითელ ტანსაცმელში გამოწყობილი დავინახე. ის ხალხს ასე მიმართავდა:

*„ადამიანებო! „ლაა ილააჰე ილლელლაჰ“ — თქვით და თავი გადაირჩინეთ!“*

ერთი უმეცარი კი ქვებით ხელში მას მისდევდა და გაიძახოდა:

*„ადამიანებო, მას არ დაუჯეროთ, ყურადღება არ მიაქციოთ. იმიტომ, რომ ის მატყუარაა!“* ქვების სროლით მას ფეხებზე ჭრილობებს აყენებდა. იქ მყოფ ადამიანებს ვკითხე:

- ვინ არის ეს კაცი?
- ეს აბდულ მუტალიბის შთამომავალია.
- ის ვინ არის, ვინც მას უკან დასდევს?
- ბიძამისი ებუ ლეჰებია.<sup>118</sup>

მუსლიმი ადამიანის ამგვარი გულისმომკვლელი ფაქტი მხოლოდ ერთხელ არ მომხდარა. მსგავსი ამბები ოცდასამი წლის განმავლობაში მეორდებოდა. ერთ-ერთს მუდრიქ ელ-ეზიდი გადმოგვცემს:

*„მამაჩემთან ერთად ჰაჯობაზე ვიყავი. მინაში დაბინავების შემდეგ, ერთ ჯგუფად შეკრებილ ადამიანებს შევხვდი. მამაჩემს ვკითხე:*

- ეს ხალხი რატომ არის აქ შეკრებილი?
- წინაპართა სარწმუნოების უარმყოფი ერთი ახალგაზრდის გამო. — მიპასუხა და ხელით მანიშნა. მივიხედე და შუამავალი დავინახე.

*„ლაა ილააჰე ილლელლაჰ“ — თქვით და თავი გადაირჩინეთ! — მიმართავდა იგი ხალხს. მას ადამიანთაგან ზოგი აფურთხებდა, ზოგი*

118. დარექუთნი, 3, 44-45.



მინას თვალეში აყრიდა, ზოგი კი სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა. ეს ვითარება შუადღემდე გრძელდებოდა. შუადღისას საყელოშესნილი ერთი პატარა გოგონა, ხელში წყლის ქურჭლითა და პატარა პირსახოცით, შუამავალთან ტირილით მივიდა. შუამავალმა ცოტა წყალი დალია, ხელები და პირი დაიბანა, თავი ზემოთ წამოსწია და გოგონას უთხრა:

*„შვილო, საყელო შეიკარი და თავზე დაიხურე! შენ იმის შიში ნუ გექნება, რომ მამაშენს რაიმეს დაუშავებენ და თავიდან მოიცილებენ!“ მე ვიკითხე, თუ ვინ იყო ეს გოგონა. ხალხმა მიპასუხა, რომ ეს მისი ქალიშვილი ზეინაბი იყო.“<sup>119</sup>*

ალლაჰის შუამავლის მიერ ისლამის გავრცელების გზაზე მოთმინების გამოჩენას საზღვარი არ უჩანდა. მისი საქციელი საოცარი და დასაფიქრებელი იყო. შუამავლის ცხოვრება, ბავშვობიდან გარდაცვალებამდე სულ დიდი წვალეებითა და უბედურებებით სავსე იყო. მან თავისი მამის, დედის, ბაბუის, ბიძების — ჰამზასა და აბუ თალიბის, საყვარელი მეუღლის — ჰატიჯესა და საკუთარი შვილების დაკარგვის სიმწარე გადაიტანა. მისი საყვარელი მრავალი თანამიმდევარი თავისი ხელით ჩაასვენა საფლავში. მაგრამ ამ ყველაფერს მისთვის ხელი არ შეუშლია და არც მისი მოთმინების უნარი შეურყევია.

შუამავლისა და მის თანამიმდევრებისათვის ყველაზე გაჭირვებულ მომენტშიც კი მოთმინებას წინა პლანზე იდგა. შუამავალი დროდადრო თავის თანამიმდევრებს მოთმინების შესახებ ესაუბრებოდა, მათ მრავალ სამახარობლოს ატყობინებდა იმედს უსახავდა. ჰაბბაბ იბნ ერეთი გადმოგვცემს: „ერთხელ, როცა შუამავალი ქააბას ჩრდილში ისვენებდა, მასთან მივედი. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ურნმუნოებს მუსლიმებზე დიდი ზენოლა ჰქონდათ. შუამავალს ვკითხე:

— ჩვენ არ გვეხმარები? ალლაჰს ჩვენს დასახმარებლად ვედრებას არ უკეთებთ, შუამავალო? შუამავალი წამოდგა, ჩემ წინ ჩამოჯდა და ასე მიპასუხა:

*„თქვენზე ადრე ცხოვრობდნენ ადამიანები, ვისაც შეიპყრობდნენ, წინასწარ გამზადებულ ორმოში ჩაავდებდნენ და შემდეგ ხერხით შუაზე ხერხავდნენ. ასეთი წვალეების მიუხედავად, მათ რწ-*

119. ჰეისემი, 6, 21.





მენაზე უარს ვერ ათქმევინებდნენ; ასევე იყვნენ ადამიანები, ვისაც ზემოთ მოყვანილზე უარეს ნვალებას აყენებდნენ, მაგრამ თავიანთ რწმენაზე უარს მათაც ვერ ათქმევინებდნენ. ვფიცავ ალლაჰს, რომ ეს სარწმუნოება თავისას მიაღწევს. ისეთი დრო მოვა, ადამიანი აქლემით ქვეყნის ერთი კიდიდან მეორე კიდეში იმგზავრებს და მას ალლაჰის გარდა, არავისი შეეშინდება. ცხვრების გამო მხოლოდ მგლების შიში ექნებათ. თქვენ კი ახლა გეჩქარებათ!“<sup>120</sup>

ალლაჰის შუამავალს ურწმუნოებთან ბრძოლაში, შეურაცხყოფასა და შევიწროებასთან ერთად, მატერიალური სახსრების დეფიციტის მოთმენაც უხდებოდა. მაგრამ მას, მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ალლაჰით უკმაყოფილება არასდროს გამოუთქვამს და ყოველთვის მოთმინებას იჩენდა. მასთან ერთად მისი თანამიმდევრებიც ყველაფერს ითმენდნენ. აბუ მუსა ელ-ემარი გადმოგვცემს:

„შუამავალთან ერთად სამოგზაუროდ წავედი. ექვსი კაცი რიგრიგობით ერთ აქლემზე ვჯდებოდით. ფეხები დაგვისივდა. მე ფეხები ისე ამტკივდა, რომ თითებიდან ფრჩხილები დამძვრა. ჭრილობებზე ნაჭრებს ვიხვევდი. ამის გამო ამ მოგზაურობას „ზათურრია“ (ნაჭერდახვეული) ეწოდა.“

მაღე თავისი ნათქვამის გამო აბუ მუსამ ინანა და თქვა: „ამის თქმა არც ისე კარგი იყო.“ ის დალონდა, რომ ალლაჰისთვის გაკეთებული სიკეთის გამო დაიჩვილა.“<sup>121</sup>

შუამავალი, რომელიც სამყაროთა სასიხარულოდ იყო მოვლენილი, თანამიმდევრებთან ერთად ყოველგვარ ჭირს და ვარამს იზიარებდა. ამასთან, ის ამხანაგებისგან არაფრით გამოირჩეოდა.

თუკი ხალხი შიმშილობდა, პირველ რიგში, ისინი ალლაჰის შუამავალი და მისი შინაურები იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ ძლევამოსილმა ალლაჰმა თავის საყვარელ შუამავალს ამქვეყნად ყოველი სიმდიდრის ფლობა და მექის გარშემო არსებული მთების ოქროდ გადაქცევა შესთავაზა. ალლაჰის შუამავალმა სრულებით არ ისურვა ამქვეყნიური სიმდიდრე და თქვა:

„ერთ დღეს მშვიერი ვიქნები და მოვითმენ, ერთ დღეს მაძლარი ვიქნები და მადლობას გეტყვი. იმიტომ, რომ რწმენის სისრულეში

120. ბუჰარი, მენაჰიბი, 25. მენაჰიბულ-ანსარი, 29.

121. ბუჰარი, მეღაზი, 31.





მოყვანა, სწორედ, ამ ორი რამით შეიძლება. ერთი — მაღლიერება, მეორე კი — მოთმინება. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

إِنَّ فِي ذَٰلِكَ لَآيَاتٍ لِّكُلِّ صَبَّارٍ شَكُورٍ

„...უეჭველად, ამაშია სასწაულები ყოველ მომთმენელთა და მაღლიერთათვის!“<sup>122</sup>

მუჰამმედ შუამავალი მექას აღებისა და ურნმუნოების სრული განადგურების შემდეგაც კი, შორეული უდაბნოდან მოსული ბედუინების უხეშობას და უზნეობას ითმენდა. ის იტანდა ფარისევლების დაცინვას და მშვიდად განაგრძობდა სახელმწიფოს მართვას, თავის თანამიმდევრებსაც მოუწოდებდა მისგან მაგალითი აეღოთ და ისე მოქცეულიყვნენ, როგორც თვითონ აკეთებდა. აბდულლაჰ იბნ მესუდი ერთ-ერთ ჰადისში გადმოგვცემს:

„შუამავალი ერთხელ ჰუნეინის ნადავლს ანანილებდა. ამ დროს ადამიანებმა ის ისე შეანუხეს, რომ მას ადრე მოსული ერთ-ერთი შუამავლის ისტორია გაახსენეს. შუამავალმა ხალხს მიმართა: „ალლაჰმა ერთი ადამიანი ხალხს შუამავლად გამოუგზავნა. ხალხმა მას სცემა და თავიც გაუტეხა. შუამავალი შუბლიდან სისხლს ინმენდდა და თან ალლაჰს ევედრებოდა: „ო, დიდო ალლაჰო! აპატიე ჩემს ხალხს, რადგან არ იციან, თუ რას აკეთებენ!“<sup>123</sup>

ალლაჰის შუამავალი ავადმყოფობის პერიოდშიც, მიუხედავად დიდი ტკივილებისა, მოთმინების მწვერვალზე იმყოფებოდა. ერთხელ, ავადმყოფი მუჰამმედ შუამავლის სანახავად აბუ საიდ ელ-ჰუდრი წავიდა. მან საკუთარი თვალთ ნახა, თუ ეს რა ძლიერი ტკივილებით იტანჯებოდა. აბუ საიდი გადმოგვცემს:

„ხელი ზემოდან დავადე, მის სიცხეს საბნის გარეთ ვგრძნობდი.

— შუამავალო, მაღალი სიცხე გაქვს — ვუთხარი მე.

— შუამავლები ასეთი ვართ. ჩვენ ტანჯვა სხვებზე მეტი გვაქვს, მაგრამ მისი სამაგიეროც, სხვებთან შედარებით, მეტი გვექნება, — ბრძანა შუამავალმა.

— შუამავალო! ადამიანთა შორის ყველაზე მეტი ნვალება ვისი ხვედრია? — ვკითხე მე.

— შუამავლების! — მიპასუხა მან.

122. სურა იბრაჰიმი, აიათი 5; ჰაქიმი, 2, 484.

123. იბნ ჰანბელი, 1, 456. მუსლიმი, ჯიჰადი, 105.





— შუამავლების შემდეგ? — ვკითხე ისევ.

— ღვთისმოსიში ადამიანების! — მიპასუხა და ასე განმიმარტა: ასეთი ადამიანები გაჭირვებას ისე შეჩვეული არიან, რომ ერთი ნაბადის გარდა, არაფერი გააჩნიათ. მაგრამ მათ გაჭირვება ისე უხარიათ, როგორც თქვენ — სიმდიდრე.<sup>124</sup>



შუამავლის სურვილი, ადამიანების მიერ ცხოვრებაში დიდი თუ პატარა გაჭირვების გამო, მოთმინების გამოჩენა და ალლაჰისგან მისი სამაგიეროს მადლის მოთხოვნა იყო. ის აღნიშნავდა, რომ მომთმენი ადამიანების საბოლოო შედეგი სამოთხეა.<sup>125</sup> აგრეთვე, შუამავალი აღნიშნავდა, რომ ალლაჰის მსახური ადამიანი, როდესაც ავად გახდება და მოკვდება, ის სამოთხეში წავა, ხოლო თუ გამოჯანმრთელდება, მისი ხორცი — უფრო კარგი ხორცით, სისხლი უფრო კარგი სისხლით შეიცვლება და ცოდვებისგანაც გათავისუფლდება.<sup>126</sup> ამიტომ, ავადმყოფობისა და სხვა ამქვეყნიური პრობლემების დროს აუცილებელია მოთმინების გამოჩენა. ცნობილი პოეტი მეჰმედ აქიფი ავადმყოფობის გამო დამწუხრებულ ერთ ადამიანს ლექსით მოთმინებისაკენ მოუწოდებდა:

„ავად ხომ ხარ, არ იფიქრო, ძმობილო,  
კვნესით, დარდით, ვარამით შემკობილო,  
ეს ქვეყანა როგორც კი მოწყობილა,  
ავად ყოფნა მისი წესი ყოფილა,  
მოითმინე, მოითმინე ძმობილო,  
მორწმუნე და მარად კეთილშობილო!“

ავადმყოფობისა და უბედურების მომთმენი ადამიანები სამოთხეს მოიგებენ. ამის ღია დამამტკიცებელი ჰადისი ასეთია:

იბნ აბბასმა ათა იბნ აბუ რაბიჰას ჰკითხა:

გაჩვენო ქალი, რომელიც სიკვდილის შემდეგ აუცილებლად სამოთხეში მოხვდება?

მან უპასუხა:

124. იბნ მაჯუე, ფითენი, 23.

125. ბუჰარი, მერდა, 7.

126. მუვათთა, აინი, 5.





„ღიას, მაჩვენე!“ იბნ აბბასმა თხოვა განაგრძო: „აი, ის ზანგი ქალი ერთხელ შუამავალთან მივიდა და უთხრა:

„მე ეპილეფსიით დაავადებული ქალი ვარ. როცა შეტევას მძღვეს, თავიდან თავსაფარს ვიხდი. შეევედრე ალლაჰს, გამათავისუფლოს ამ სენისგან!

შუამავალმა უპასუხა:

„თუ სურვილი გექნება, მოთმინება გამოიჩინე და ალლაჰი სამაგიეროდ სამოთხეში წაგიყვანს. თუ გსურს, ალლაჰს ვედრებას გავუკეთებ და ავადმყოფობიდან გაგათავისუფლებს.“

ქალმა უპასუხა:

„მაშინ მირჩენია, მოთმინება გამოვიჩინო!“<sup>127</sup>

შუამავალმა თანამიმდევრებს ასწავლა, თუ ამგვარი უბედურებების დროს ალლაჰს როგორ უნდა შეევედრო. უმმუ სელემე გადმოგვცემს:

ერთხელ, შუამავალმა, მასთან მისულ ერთ უბედურ ადამიანს ალლაჰის ნაბრძანები ვედრება ასწავლა:

„ერთხელ, შუამავალმა მუჰამმედმა თავის თანამიმდევრებს უთხრა, რომ თუკი მუსლიმს შეემთხვა რალაც უბედურება და წაიკითხავს ვედრებას:

„ჩვენ ალლაჰისგან მოვედით და ბოლოს მასთან უნდა დავბრუნდეთ. ო, დიდო ალლაჰო! ამ უბედურებისგან დამიცავი და (ჩემი მოთმინებისთვის) დამაჯილდოვე, მომეცი რამე უფრო უკეთესი“, მაშინ ყოვლისშემძლე შემოქმედი, უეჭველად, შეუმსუბუქებს შემვედრებელს მდგომარეობას და დიდ ჯილდოს უბოძებს. როდესაც მე ქმარი აბუ სელემე გარდამეცვალა, მაშინ საკუთართავს ვეუბნებოდი: „რომელი მუსლიმია აბუ სელემეზე უფრო ძვირფასი? ის ხომ შუამავლის ბრძანებით ორი ჰიჯრის გამკეთებელი ადამიანი იყო.“ ამასთან ერთად, ზემოთ მოყვანილი ვედრებაც ვიკითხე. მაგრამ, როგორც ვხედავთ, აბუსელემესადგილას ალლაჰმა მუჰამმედ შუამავალი მომცა.<sup>128</sup>

აი, შუამავლის თანამიმდევრები მოთმინების კიდევ ერთ მაგალითს მოგვითხრობენ:

127. ბუჰარი, მერდა, 6.

128. მუსლიმი, ჯენაიზი, 3.





უჭუდის ბრძოლის შემდეგ აბდულ მუტალიბის ქალიშვილი საფიე, თავისი ძმის — ჰამზას მოსაძებნად შეჰიდად დაცემული მეომრებისკენ წავიდა. მისი შვილი ზუბეირი წინ გადაუდგა და უთხრა:

— შუამავალი უკან დაბრუნებას გიბრძანებს.

საფიემ ჰკითხა:

— რატომ, არ შეიძლება, ძმა დავინახო? მე მაინც ვიცი, რომ ის დაჭრილი და ძალიან ცუდი სანახავი იქნება. ის ხომ ამ მდგომარეობაში ალლაჰის სიყვარულის გამო ჩავარდა. იმედი მაქვს მივითმენ და სამაგიეროს ალლაჰისგან მივიღებ. ზუბეირი წავიდა და საფიეს ნათქვამი შუამავალს მოახსენა.

შუამავალმა თქვა:

„გაუშვი, თუკი ასეა, ნახოს!“

საფიე მივიდა თავისი ძმის სხეულთან და ალლაჰს შეევედრა.<sup>129</sup>

როგორი ძლიერი თავშეკავებაა! როგორი მოთმინება და მორჩილებაა ალლაჰის ნებისადმი! თითოეული მუსლიმისთვის საყვარელი პიროვნების — ჰამზას, მეტსახელად „ალლაჰის ლომის“ თავსდატეხილი ტრაგედია იყო მეტისმეტად რთული.

უეჭველია, რომ მუსლიმების ყველაზე დიდი სიმწარე და მოთმინება შუამავლის მიერ თავისი მიმდევრების ობლად დატოვების დღე იყო. როგორც ენესი აღნიშნავს, იმ დღეს მედინაში ყველაფერი გაშავდა. თანამიმდევრებმა ისე დაასაფლავეს იგი, არ სჯეროდათ მისი სიკვდილი.<sup>130</sup> მაგრამ ამ უდიდესი ტკივილის მიუხედავად, მუსლიმებმა ყველაფერი მოითმინეს. შუამავალი ერთ ჰადისში ამბობს:

„თავსდამტყდარი რაიმე უბედურების დროს, მუსლიმანებმა გაიხსენონ ჩემი გარდაცვალებით გამოწვეული უბედურება და ამის საშუალებით შეძლებენ მოთმინების გამოჩენას.“<sup>131</sup>

მოთმინება ყველაზე ძლიერი და სასარგებლო წამალია. ალლაჰმა ათასობით წამალი გააჩინა, მაგრამ ადამიანისთვის მოთმინების მსგავსი სასარგებლო წამალი არაფერი არსებობს.

129. იბნ ჰაჯერი, ელ-ისაბე, 4, 349.

130. იბნ ჰანბელი, 3, 221, 268, 287. თირმიზი, მენაყიბი, 3.

131. მუვატტა, ჯენაიზი, 14.





## 8. მუჰამედ შუამავლის სიმამაცე

*„(მათთვის), რომელნიც ალლაჰის კანონებს ქადაგებენ მხოლოდ მისი ეშინიათ და არავისი ეშინიათ გარდა ალლაჰისა. და (მათთვის) საკმარისია ალლაჰის მოანგარიშედ.“*

სურა აჰზაბი, აიათი 39

შეუპოვრობა, თავდადება, მამაცობა, გამბედაობა — ადამიანის დადებითი თვისებებია. ასეთი თვისებების მქონე ადამიანისთვის სიკვდილი დიდ ტრაგედიად არასდროს ითვლება.

ასეთი თვისებების მქონე ადამიანი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში საფრთხეს არასდროს გაურბის და სიკვდილთან ძალიან ახლოს მიდის. ამგვარი ვაჟკაცობა ალლაჰისა და განკითხვის დღის ძლიერი რწმენისგან გამომდინარეობს.

სიმამაცის ნაკლი ჩვეულებრივი სიმხდალეა, რაც ბრძოლის ველიდან გაქცევასა და პოზიციების თვითნებურად მიტოვებაში გამოიხატება. გარდა ამისა, ცნობილია სიმამაცის სინონიმი სიტყვა „გამბედაობა“, როცა გადანყვეტ მომენტში ადამიანი გამჭრიახობისა და სიმშვიდის უნარს ინარჩუნებს, როცა ჰგონია, რომ ყველაფერი დაკარგული და გამარჯვების მოპოვება შეუძლებელია.

გამბედაობა ჰარამის მიმართ ან სხვის დასანახად არ უნდა იქნეს გამოყენებული. გამბედაობა და მამაცობა რწმენის კანონების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. მაგალითად, ძალის გამოყენებით სხვისგან რაიმეს აღება, რაც შენ არ გეკუთვნის, ჰარამია.

შეუპოვრობა და გამბედაობა ყველაზე მეტად შუამავალს გააჩნდა. აბდულლაჰ იბნ ომარი ბრძანებს: „შუამავალზე მეტად გაბედული, შეუპოვარი და თავდადებული ადამიანი არავინ მინახავს!“<sup>132</sup> იმიტომ, რომ როდესაც შუამავალმა ისლამის გავრცელება დაიწყო, ეს თვისებები ძალიან მაღალ დონეზე წარმოაჩინა. ამ თვისებების გარეშე მისთვის წარმატების მიღწევა შეუძლებელი გახდებოდა.

132. იბნ სადი, 1, 373.





მან ყველაფერი გაიღო ალლაჰის სწორი გზის საჩვენებლად და უკან არასდროს დაუხევია.

როდესაც ყოვლისშემძლე ალლაჰმა მუსლიმებს მექადან მედინაში ჰიჯრის გაკეთება უბრძანა, მექქელმა ურწმუნოებმა შეიტყვეს და ჭეშმარიტების ნათელი სხივის შესაჩერებლად მუჰამმედ შუამავლის (სალლალლაჰუ ალეიჰი ვესელემ) მოკვლა გადაწყვიტეს. ამ მიზნით მათ, მის სახლს ალყა შემოარტყეს, ხმლები იშიშვლეს და თავდასასხმელად მოემზადნენ. მაგრამ ალლაჰის შუამავალმა სრულიად უშიშრად გამოალო კარი, ურწმუნოებს სახეში მიწა შეაყარა და მტრის რიგებისკენ უშიშრად გაემართა. ამასთან, ის სურა „იასინს“ კითხულობდა.

მედინაში ჰიჯრას შემდეგ, ალლაჰმა მუსლიმებს ურწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლის ნება დართო. ამის შემდეგ, ყველამ უფრო კარგად დაინახა შუამავლის გამბედაობა და მამაცობა, რითაც აღფრთოვანებული დარჩნენ. ალი ბრძანებს: „ჩვენ ყველას ბედირის ბრძოლის დროს შუამავალი გვიფარავდა. იმ დროს მტერთან ყველაზე ახლოს, ყველაზე გამბედავი და მამაცი შუამავალი იყო.“<sup>133</sup>

შუამავლის კიდევ ერთი დიდი მამაცობის მაგალითი უჰუდის ბრძოლის დროს იხილა ყველამ. ერთ-ერთი ურწმუნო აქლემზე ამხედრდა და შესაბრძოლებლად მუსლიმების მხრიდან კაცი მოითხოვა. მან თავისი მოთხოვნა სამჯერ გაიმეორა. მუსლიმთა მხრიდან ზუბეირი იბნ ავვამი გავიდა და ურწმუნო ადამიანს შეებრძოლა. შუამავალმა ზუბეირს უთხრა ძირს დააგდეო. ზუბეირი ურწმუნოს ყელში სწვდა, ძირს გადმოაგდო, შემდეგ ზემოდან მოექცა და განგმირა. შუამავალმა თქვა:

*„ზუბეირი რომ არ გასულიყო საბრძოლველად, ვფიცავ ალლაჰს, მე უნდა გავსულიყავი!“<sup>134</sup>*

უჰუდის ბრძოლაში კიდევ ერთი ასეთი რამ მოხდა. უბეი იბნ ჰალეფი კითხულობდა: „მუჰამმედი სად არის? გამოვიდეს და შემებრძოლოს. ის თუ ცოცხალი იქნება, მაშინ მე სიცოცხლე არ მიინდა“ — იძახდა და შუამავლისკენ მიდიოდა. თანამიმდევრებს მისი შეჩერება უნდოდათ, მაგრამ შუამავალმა უბრძანა: „გამოუშვით, მოვიდეს!“ შუამავლის გამბედაობისა და შეუპოვრობის დამნახავი უბეი იბნ ჰა-

133. იბნ ჰანბელი, 1, 86.

134. ჰალეფი. II 235.



ლფი უკან გაიქცა. შუამავალმა მიაძახა: „ჰეი, მატყუარა! სად გარბიხარ?!“ და იგი წელში დაჭრა.<sup>135</sup>

ბრძოლის ყველაზე კრიტიკულ მომენტში ალლაჰის შუამავალი თანამეომრებს ამხნევებდა და იმედს უსახავდა. მუჰამედ იბნ მესლემე გადმოგვცემს: როდესაც უჰუდის ბრძოლაში მუსლიმების ჯარი დაიშალა და ყველა მთებისკენ თავის შესაფარებლად გარბოდა, ჩემი ყურებით გავიგონე, რაც მათ შუამავალმა მათ მიაძახა:

*„ხალხნო! ჩემთან მოდიო! ჩემთან მოდიო! მე ხომ ალლაჰის შუამავალი ვარ!“<sup>136</sup>*

ამ ეპიზოდზე ყურანში გადმოცემულია:

إِذْ تُصْعِدُونَ وَلَا تَلْوُونَ عَلَىٰ أَحَدٍ وَالرَّسُولُ يَدْعُوكُمْ فِي أَخْرَاكُمْ فَأَتَابَكُمْ  
عَمَّا بَغِمْتُمْ لَكَيْلًا تَحْزِنُونَ عَلَىٰ مَا فَاتَكُمْ وَلَا مَا أَصَابَكُمْ وَاللَّهُ خَبِيرٌ بِمَا تَعْمَلُونَ

**„როცა მიცოცავდით (მთისაკენ) თქვენ და უკან არ იხედებოდით, შუამავალი კი უკნიდან გეძახდათ...“<sup>137</sup>**

უჰუდის ბრძოლა შეწყდა. აბუ სუფიანი, უჰუდიდან უკან დაბრუნების წინ, ომართან მივიდა და უთხრა: „სიტყვას გაძლევ, რომ მომავალ წელს ბედირზე თქვენს წინააღმდეგ კიდევ ერთხელ ვიბრძოლებო!“ ომარი გაჩერდა და დაელოდა, თუ შუამავალი რა პასუხს გასცემდა.

*„კარგი, დაე, ბედირი იყოს ჩვენი მომავალი შებრძოლების ადგილი,“ — უპასუხა შუამავალმა.*

ერთი წლის შემდეგ, როდესაც მოახლოვდა ბრძოლის დრო, ურნ-მუნოებს მუსლიმების წინააღმდეგ ბრძოლის შიში გაუჩნდათ, მაგრამ მათმა ხელმძღვანელობამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ხალხი საომრად გამოეყვანა. შეიტყვეს რა ურნმუნოები საბრძოლველად ემზადებოდნენ, ბრძოლის შიში მუსლიმებსაც გაუჩნდათ. მაშინ შუამავალმა თავის თანამიმდევრებს მიმართა:

135. იბნ სადი, II, 46.  
136. ვაქიდი, 1, 237.  
137. სურა ალი იმრანი, აიათი 153.



*„ვფიცავ ალლაჰს, ვის ნებაზეც დამოკიდებულია ჩემი სიცოცხლე, გვერდითაც რომ არავინ მედგას, მარტოდმარტო წავალ ბედირზე ურნმუნოების წინააღმდეგ საბრძოლველად!“*

ამის შემდეგ დიდმა ღმერთმა მუსლიმებს ძალა შემატა და გამბედაობა დაუბრუნა.<sup>138</sup>

შემდეგი ადგილი, სადაც განსაკუთრებით გამოვლინდა შუამავალ მუჰამმედის (სალლალლააჰუ ალეიჰი ვესელემ) სიმამაცე და უშიშრობა, ჰუნენის ბრძოლა იყო. იმ დღეს, როცა ყველა უკან გარბოდა, შუამავალი თავის ცხენს ურნმუნოებისკენ მიაქანებდა. დიდი სურვილის მიუხედავად, თანამიმდევრებიც ვერ ახერხებდნენ მის შეჩერებას.<sup>139</sup>

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან გამომდინარეობს, რომ შუამავალმა საერთოდ არ იცოდა, რა იყო შიში. ის ყოველთვის თავის თანამიმდევრებს გამბედაობის უამრავ მაგალითს აჩვენებდა. ენეს იბნ მალიქი გადმოგვცემს:

*„მუჰამმედ შუამავალი (სალლალლააჰუ ალეიჰი ვესელემ) ადამიანთაგან ყველაზე ლამაზი, ყველაზე გამბედავი და მამაცი იყო. როდესაც რაიმე ყვირილი შემოესმოდათ მედინაში და საშიშროებას იგრძნობდნენ, შუამავალი აბუ ტალჰას ცხენზე — მენდუბზე შეჯდებოდა და იმ მხარეს წავიდოდა, საიდანაც საფრთხე იყო მოსალოდნელი. ერთხელ, ღამით მედინელებს ყვირილი და წივილ-კივილი მოესმათ. ისინი ძალიან შეშინდნენ. ყველა შეიკრიბა და იმ მხარეს წავიდა, საიდანაც ყვირილის ხმა მოესმათ. შუამავალს ყველაზე ადრე გაეგონა ყვირილის ხმა და მარტოდმარტო წასულიყო ამბის გასაგებად. გაერკვია რა ყვირილის მიზეზი და დაეშოშმინებინა ხალხი, შუამავალი უკან ბრუნდებოდა. ის ხმაღმემორტყმული აბუ ტალჰას ცხენზე იყო ამხედრებული. შემხვედრ ხალხს მან მიმართა:*

*„ნუ გეშინიათ! ნუ გეშინიათ! არავითარი საშიშროება არ არის მოსალოდნელი!“<sup>140</sup>*

იმამი ბუსირი შუამავლის ვაჟკაცობისა და გამბედაობის შესახებ ბრძანებს:

138. იბნ სადი, 2, 59.

139. მუსლიმი, ჯიჰადი, 76.

140. იბნ სადი, 373. ბუჰარი, ედები, 39.





„ვერ ნახავ მის დაუხმარებელ ვერც ერთ მეგობარს  
და ვერ ნახავ მისგან გადარჩენილ ვერც ერთ მტერს!“

ალლაჰის შუამავლის ფაქიზი ხელმძღვანელობით აღზრდილი თანამიმდევრები საოცარ სიმამაცეს და გმირობას სჩადიოდნენ. შუამავლის მამიდა-საფიე ჰენდეკის ბრძოლის დროს, ქალებსა და ბავშვებთან ერთად ჰასან იბნ საბითის სასახლეში იმყოფებოდა. ებრაული ბენი ქურეიზას ათკაციანმა ჯგუფმა ეს სასახლე ალყაში მოაქცია და ცდილობდა როგორმე შიგნით შეეღწია. ერთ-ერთი მათგანი სასახლის კარებთან დადიოდა და შესასვლელს ათვალიერებდა. ამ დროს შუამავალი და მისი ყველა თანამიმდევარი ჰენდეკის ბრძოლაში იყო ჩართული.

საფიე ნათლად ხედავდა, რომ მას საფრთხე ელოდა. იმასაც ხედავდა, რომ მათ დასახმარებლად არავინ ჩანდა. ამიტომ, გადანყვიტა რაღაც მოემოქმედებინა. ხელში სარი აიღო და იმ კარებთან მივიდა, სადაც ერთ-ერთი ებრაელი დაბორილებდა. კარები ფრთხილად გახსნა, ებრაელს ზურგიდან მიეპარა, თავში სარი ჩაარტყა და მოკლა. ამის დამნახავმა ებრაელებმა თქვეს:

„ჩვენთან ამბავი მოვიდა, რომ აქ მყოფი ქალები დაცვის გარეშე იყვნენ, თურმე ასე არ ყოფილაო“ და უკან გაბრუნდნენ.<sup>141</sup>

სულიერების, ქონებისა და ნამუსის დაცვისთვის უკან არასდროს დამხევი შუამავალი თავის თანამიმდევრებს კიდევ ერთ ასეთ მაგალითს უჩვენებს: ანსარის გვარიდან ერთ-ერთი ქალბატონი საყიდლებისთვის ერთი ებრაელის მაღაზიაში მივიდა. მაღაზიის პატრონმა ქალს შეურაცხყოფა მიაყენა და დაამდაბლა. ამის დამნახავი თანამიმდევარი ამრი ებრაელს წაეჩხუბა და მოკლა. რის გამოც ბენი ქაინუქაში ებრაელები შეიკრიბნენ და უთანასწორო ბრძოლაში ამრი იმსხვერპლეს. ამის შემდეგ სიტუაცია გართულდა. ბოლოს შუამავალმა ბენი ქაინუქას ებრაელებს ომი გამოუცხადა.<sup>142</sup>

ალლაჰის შუამავლისგან მაგალითის ამლები ნეჯმეთინ ქუბრა, სამშობლოს დაცვისთვის ბრძოლის დროს თავისი მოსწავლეების ამარა დარჩენილი, გმირულ ბრძოლაში შეჰიდად დაეცა. ამ საქციელით მან ყველას მამაცობისა და თავდადების მაგალითი აჩვენა.

141. ჰეისემი, 6, 133-134.

142. ვაქიდი, 1, 176-177.





## 9. ხელგაშლილობა

*„რომელნიც, (წყალობად) გაიღებენ თავიანთ ქონებას ღამით და დღისით, მალულად და აშკარად, მათთვისაა საზღაური თავიანთ ღმერთთან. არ ჰქონდეთ მათ შიში და არც დამწუხრდნენ“*

სურა ბაყარა, აიათი 274

„რომელნიც გასცემენ მოწყალებას თავიანთი ქონებიდან ღამითა თუ დღისით, ფარულად თუ აშკარად, სწორედ, იმათ აქვთ საზღაური თავიანთ უფალთან. და არცა შიში ექნეთ და არცა დამწუხრდნენ ისინი.“

ხელგაშლილობა — სხვაზე დახმარებას, მოწყალების გაღებას, პატივისცემასა და სილამაზეს ნიშნავს. შეძლებისდაგვარად გაჭირვებულებზე ხელის განოდება და მათთვის დახმარების განწვევა ალლაჰის საყვარელი საქმეებიდან ერთ-ერთია. ისლამის მცოდნეები ამ თვისებას ამგვარად ახარისხებენ:

— ქონების ერთი ნაწილის სხვაზე მიცემა ხელგაშლილობის ერთ-ერთი სახეა;

— აბუ ბაქრის მიერ ჯიჰადისთვის გაკეთებული შეწირულობა, ანუ ქონების უმეტესი ნაწილის დარიგებაც ხელგაშლილობის სახეა.

— ადამიანის მიერ, მისთვის საჭირო რამის, მასზე უფრო გაჭირვებულ ადამიანზე მიცემაც ხელგაშლილობაა.

გაჭირვებულებზე, ამხანაგებსა და ნათესავებზე დახმარება სასიკეთო საქმეა. ეს თვისება ხელგაშლილი ადამიანის თვისებაა. მაგრამ ამ საკითხში მთავარი — სხვაზე დახმარების გამწვევი ადამიანის განზრახვა და მიზეზია. თავის გამოჩენის ან სხვის დასანახად გაკეთებულ ამგვარ საქმიანობას ყოველგვარი ფასი დაკარგული აქვს. ნამდვილი ხელგაშლილობა ალლაჰის სიყვარულით გაკეთებული საქმეა.





ხელგაშლილობა ალლაჰის თვისებებიდან ერთ-ერთია. ალლაჰის ერთ-ერთი სახელი „ელ-ქერიმ“ უსაზღვრო ხელგაშლილის მნიშვნელობას ატარებს.<sup>143</sup>

**„ჰეი, ადამიანო! რაა შენი შემცდენი შენისა ღმერთისა გულუხვისა წინაშე“**

გარდა ამისა, ალლაჰის სხვა სახელები, როგორც არის: „ერ-რაჰმან“, „ერ-რაუფ“, „ერ-რაჰიმ“, „ელ-ვეჰჰაბ“, „ელ-ლატიფ“, „ეთ-თევებ“, „ელ-ლაფფარ“, „ელ-ლაფუვე“, „ელ-ჰადი“ — ალლაჰის ხელგაშლილობის სხვადასხვა ფორმის მნიშვნელობას ატარებს. შუამავალი ბრძანებს:

*„ალლაჰი უდიდესი ხელგაშლილი და მონყალეა. ამიტომ მას ხელგაშლილი ადამიანები უფრო უყვარს. ამასთან ერთად, მას მშვენიერი ზნეობის ადამიანები უყვარს და სულელური თვისებების მქონეები - არა.“<sup>144</sup>*

*„უეჭველია, რომ ალლაჰი ლამაზია და სილამაზე მოსწონს, სუფთაა და სისუფთავე უყვარს. ხელგაშლილია და ხელგაშლილობა მოსწონს.“<sup>145</sup>*

ამ ჰადისით შუამავალმა ალლაჰის თვისებების შესახებ ისაუბრა.

ეს მშვენიერი სახელები გვიჩვენებს, რომ ნამდვილი ხელგაშლილობა, მხოლოდ ალლაჰს ახასიათებს, ვინაიდან მხოლოდ მან იცის, თუ მის ქმნილებათაგან ვის, სად, რამდენად ესაჭიროება ის, ამასთან ერთად, ის არავისზე დამოკიდებული არ არის, მას არც არაფერი აკლია. ის სრულყოფილია და არავისგან არაფერს არ მოელის. როგორც იბნ არაბი ამბობდა, გულმონყალე ალლაჰმა გააჩინა სამყარო, როცა ამქვეყნად არაფერი არ იყო და ამით თავისი ხელგაშლილობა გამოამჟღავნა.“

გულმონყალე და ხელგაშლილ ალლაჰს სურს მისი შექმნილები და მონა-მსახურებიც ხელგაშლილი იყვნენ და სხვებს დაეხმარონ. ძვირფასი ყურანი გადმოგვცემს:

يَا أَيُّهَا الَّذِينَ آمَنُوا أَنْفِقُوا مِمَّا رَزَقْنَاكُمْ مِنْ قَبْلِ أَنْ يَأْتِيَ يَوْمٌ لَا بَيْعٌ فِيهِ وَلَا خُلَّةٌ وَلَا

143. სურა ელ-ინფიტარი, აიათი 6.

144. სუიუთი, 1, 60.

145. თირმიზი, ედები, 41.





## شَفَاعَةٌ وَالْكَافِرُونَ هُمُ الظَّالِمُونَ

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გაიღეთ (გახარჯეთ) რაც თქვენ გიბოძეთ იქიდან, სანამ მოსულა დღე, რომელშიც არც ვაჭრობა, არც მეგობრობა და არც შუამდგომლობა არ იქნება. და ურწმუნონი არიან უსამართლონი.“<sup>146</sup>

აღლაჰმა ამ აიათით აღნიშნა, რომ ხელგაშლილობა მხოლოდ ამქვეყნად არის შესაძლებელი. როდესაც ადამიანს სიკვდილი ეწევა, მას ამის გაკეთება აღარ შეეძლება. ის ქვეყანა ამგვარი საქმეების ადგილი კი არა, ანგარიშის გასწორების ადგილია. ამასთან ერთად, აღლაჰი აღნიშნავს, რომ ხელგაშლილი ადამიანი თავისი საქციელით იმქვეყნად მრავალი ტანჯვა-წამებისგან თავს გადაირჩენს. ხოლო ვინც ამას არ გააკეთებს, ის თავისთავს დიდ ზარალს მიაყენებს.

ყურანის ზოგიერთ აიათში ხელგაშლილობა ვაჭრობასთანაა შედარებული და ახსნილია, როგორც აღლაჰზე გადაცემული სესხი, რომელსაც მორწმუნეები იმქვეყნად აღლაჰისგან დაიბრუნებენ.

مَنْ ذَا الَّذِي يُقرِضُ اللَّهَ قَرْضًا حَسَنًا فَيُضَاعِفَهُ لَهُ وَلَهُ أَجْرٌ كَرِيمٌ

„ვინც ასესხებს აღლაჰს კეთილ სესხს, მაშინ უზვად დაუბრუნებს იგი მას და მისთვისაა კარგი საზღაური.“<sup>147</sup>

აღლაჰის მიერ ადამიანებისგან სესხის მოთხოვნა, თავიანთი ქონების გაჭირვებულ ადამიანებზე დარიგებით განისაზღვრება. ამ თემასთან დაკავშირებით, აღლაჰი ყურანის ერთ-ერთ აიათში ასე ბრძანებს:

وَإِنْ كَانَ ذُو عُسْرَةٍ فَنَظِرَةٌ إِلَىٰ مَيْسَرَةٍ وَأَنْ تَصَدَّقُوا خَيْرٌ لَكُمْ

إِنْ كُنْتُمْ تَعْلَمُونَ

„და თუ მევალე გასაჭირშია (არ შეუძლია ვალის გასტუმრება), მაშინ გადაუვადეთ მდგომარეობის გაუმჯობესებამდე. და თუ აჩუქებთ, უკეთესია თქვენთვის, რომ იცოდეთ.“<sup>148</sup>

146. სურა ბაყარა, აიათი 254.

147. სურა ჰადიდი, აიათი 11.

148. სურა ბაყარა, აიათი 280.





მუჰამედ შუამავალი აღნიშნავდა, რომ განკითხვის დღეს ყველას ხელგაშლილი ადამიანის შემურდება. ის აცხადებს:

*„მხოლოდ ორი ადამიანია შესაშური: ერთი, რომელსაც ალლაჰი ქონებას მისცემს და ის ამ ქონებას გაჭირვებულ ადამიანებს დაურიგებს და მეორე, რომელსაც ალლაჰი ცოდნას მისცემს და ის ამ ცოდნას სხვას გადასცემს.“<sup>149</sup>*

ქონება და ფუფუნება მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის და სარჩო-საკვების მიმცემიც მხოლოდ ის არის. ალლაჰის ბრძანებით, მდიდარი ადამიანის ქონებაში გაჭირვებულსაც თავისი წილი გააჩნია. ამიტომ ყველაზე მართალი გადანყვებილება ჭეშმარიტების გზაზე ალლაჰის ხათრით გაღებული ქონების დახარჯვა იქნება. ხელგაშლილობაც სწორედ ამ საქციელით გამოიხატება.

ხელგაშლილობას როგორც ამქვეყნად, ისე იმქვეყნად მრავალი სიკეთე მოაქვს. მთავარი ის არის, რომ ხელგაშლილი ადამიანი ალლაჰს უყვარს და მისდამი სიყვარულს ადამიანებსაც უნერგავს. ბოლოს და ბოლოს ასეთი ადამიანი სამოთხესთან — ახლოს და ჯოჯოხეთს დაშორებული აღმოჩნდება. შუამავალი კიდევ ერთ ჰადისში ასე ბრძანებს:

*„ხელგაშლილი ადამიანი ალლაჰთან, სამოთხესთან, ადამიანებთან — ახლოს, ხოლო ჯოჯოხეთის ცეცხლისგან შორს დგას; ძუნწი ადამიანი კი — ალლაჰის, სამოთხის, ადამიანებისგან — შორს, ხოლო ჯოჯოხეთის ცეცხლთან ახლოს დგას; ალლაჰისთვის ხელგაშლილი გაუნათლებელი ადამიანი განათლებულ, ღვთისმსახურ, მაგრამ ძუნწ ადამიანზე უფრო საყვარელია.“<sup>150</sup>*

ამ მიზეზის გამო, ძუნწი და თავმომწონე ადამიანი მეგობრად არ გამოდგება.

ალლაჰის შუამავალში ქონების, სულისა და ცოდნის ხელგაშლილობა ყველაზე ძლიერადაა თავმოყრილი. მისი საქმე, ალლაჰის მიერ ნაბრძანები სწორი გზის ხალხზე ჩვენება, გაუნათლებელ ადამიანებზე ცოდნის გადაცემა, მშვიერი ადამიანების დაპურება, გაჭირვებულ ადამიანებზე დახმარება და ადამიანთა სხვადასხვა სახის პრობლემის მოგვარება იყო. აბდულლაჰ იბნ აბბასი საყვარელი შუამავლის ხელგაშლილობის შესახებ გადმოგვცემს:

149. ბუჰარი, ილიმი, 15.

150. თირმიზი, ბირრი, 40.





„შუამავალი ადამიანთაგან ყველაზე ხელგაშლილი იყო. რამაზნის მთვარეში კი — უფრო მეტად ხელგაშლილი, რადგან ჯებრაილ ანგელოზი ამ დროს ყოველთვის მასთან ჩამოდიოდა და ერთად იყვნენ. ისინი ყურანს ერთად კითხულობდნენ. სწორედ ამიტომ, ამ დღეების განმავლობაში შუამავალი უფრო მეტად ხელგაშლილი ჩანდა.“<sup>151</sup>

შუამავალს საჭიროზე მეტი ქონების შენახვა არ უყვარდა. ზედმეტ ყველაფერს სასწრაფოდ გაჭირვებულებს ურიგებდა. ამის ჩვენზე გადმომცემი ომარი ერთხელ თავის შვილთან მივიდა და სუფრასთან დაჯდა. საჭმელად ხორცი იყო. ომარმა იგრძნო, რომ ხორცში, მისი ქონის გარდა, სხვა ცხიმი დაემატებინათ. ომარმა ბრძანა: „შუამავლის სახლში ასეთი რამ ჯერ არ ყოფილა, რომ მის სუფრაზე ერთდროულად ქონი და კარაქი ყოფილიყო. მას რომ ამის საშუალება ჰქონოდა, აუცილებლად ერთს სხვას მისცემდა.“ ამ სიტყვების შემდეგ ომარმა უარი თქვა ჭამაზე და წავიდა.<sup>152</sup>

შუამავალს როცა რაიმეს მოსთხოვდი, უარს არასდროს გეტყვოდა.<sup>153</sup> ჰასან იბნ საბითი შუამავლის შესახებ სიტყვებს ლექსად ამბობს:

„შეჰადეთის“ სიტყვების გარდა, მის ლექსიკონში არ იყო სხვა რამ. თუნდ არ ყოფილიყო შეჰადეთის სიტყვები, მისგან „არას“ ვერ გაიგონებდით.<sup>154</sup>

შუამავალს, თუკი ვინმე რაიმეს მოსთხოვდა და იმ დროისათვის არ გააჩნდა, ისესხებდა და გაჭირვებულ ადამიანს ხელს გაუმართავდა. ერთხელ ერთმა ადამიანმა მას რაღაც სთხოვა. შუამავალმა უთხრა: „ახლა შენზე მოსაცემი რამე არ გამაჩნია, წადი და ჩემი სახელით იყიდე. როდესაც მექნება, მე გადავიხდი!“ შუამავლის ასეთ გაჭირვებასა და ვალში ჩავარდნა ომარს არ მოეწონა და უთხრა:

— შუამავალო, თუ გაგაჩნია მისცემ, თუ არ გაქვს, მაშინ სხვაზე მიცემას ალლაჰი არ გავალდებულებს! შუამავალს ომარის ნათქვამი სიტყვები არ მოეწონა, რაც მის სახეზე აშკარად გამოიხატა. ამის გამო, ერთ-ერთმა ანსარმა თქვა:

151. მუსლიმი, ფეზაილი, 50.

152. იბნ მაჯუე, ეთიმე, 57.

153. ბუჰარი ედები, 39.

154. ბალდადი, 9, 210.





— შუამავალო გაეცი! არ შეგეშინდეს ცათა მფლობელი არშეგი-  
მცირებს შენ სარჩო-საკვებს! ამ თანამიმდევრის სიტყვები ალლაჰის  
შუამავალს ძალიან მოენონა და ღიმილით თქვა:

— „ღიახ, მე მებრძანა ასე მოვიქცე!“<sup>155</sup>

შუამავლის ხელგაშლილობა იმაზე უფრო მეტია, ვიდრე ავლნიშ-  
ნეთ. ის იმ ადამიანებსაც ეხმარებოდა, ვისაც რცხვენოდა მოთხოვნა,  
მაგრამ ძალიან უჭირდა. როგორც ბილალი გვიყვება, ის არასდროს  
აგროვებდა ფულს, მაშინვე გასცემდა სხვებს, რაც თუ მის ხელში  
მოხვდებოდა. ამასთან, მისთვის არავითარი მნიშვნელობა ჰქონდა  
რაოდენობას, ორ დირჰემსაც და სხვადასხვა ცხოველების ნახირით  
სავსე მინდორსაც ერთი ფასი ჰქონდა.<sup>156</sup>

ჰასან იბნ საბითი აღნიშნავს, რომ შუამავალი რა მდგომარეო-  
ბაშიც არ უნდა ყოფილიყო, მაშინაც კი, როცა ძალზე გაჭირვებული  
დრო იყო, თავისას მაინც აკეთებდა.

ვიგებთ რა შუამავლის ხელგაშლილობას შემდეგ, ჩვენ იოლად  
ვწვდებით არსს, სადაც ალლაჰმა მას „რაუფი და რაჰიმი“ (მოსიყვა-  
რულე და შემბრალებელი) უწოდა.

„და თუ მევალე გასაჭირშია (არ შეუძლია ვალის გასტუმრება),  
მაშინ გადაუვადეთ მდგომარეობის გაუმჯობესებამდე. და თუ აჩუ-  
ქებთ, უკეთესია თქვენთვის, რომ იცოდეთ.“<sup>157</sup>

მისი სული ჰგავდა მონყალებისა და თანაგრძნობის ოკეანეს და  
მთელ კაცობრიობას მოიცავდა.

შუამავალი მთელი დედამიწისთვის კეთილმოსურნე იყო. მას-  
თან ახლოს მცხოვრებ ადამიანებს ყოველთვის უფრო მეტს აკონ-  
ტროლებდა. გაჭირვებაში ჩავარდნილებს დახმარებას უწევდა. ხელ-  
გაშლილობის კიდევ ერთი მაგალითი, ჯაბირისა და მის ვაჭრობაში  
გამოიხატება. ზათურრიყას ბრძოლიდან დაბრუნებისას ალლაჰის  
შუამავალი ჯაბირს ესაუბრებოდა. ამ საუბარში მან გაიგო, რომ  
ახალდაქორწინებულ ჯაბირს დიდი ვალი ჰქონდა. შუამავალმა ჰკი-  
თხა მას, თუ ხელთარსებული ქონებიდან ამ დროისათვის რა გააჩნ-  
და. ჯაბირმა უპასუხა, რომ ახლა მხოლოდ ერთი აქლემი ჰყავდა.

155. ჰეისემი, 10, 242.

156. აბუ დავუდი, ჰარაჯი, 33, 35.

157. სურა თევბე, აიათი 128.





მისი ვალიდან გამოსვლის მიზნით შუამავალმა შესთავაზა, აქლემი მისთვის მიეყიდა. ჯაბირმა ალლაჰის შუამავალს იმ პირობით მიჰყიდა აქლემი, რომ მედინაში ჩასვლამდე მისით მგზავრობის უფლება ექნებოდა. მედინაში ჩასვლის შემდეგ ჯაბირმა მიყიდული აქლემი შუამავალს მიუყვანა. იქ ის ისეთი ამბის მონმე გახდა, ყველა განცვიფრებული დარჩა. ალლაჰის შუამავალმა არა მარტო ნაყიდი აქლემის საფასური გადაუხადა ჯაბირს აქლემიც მასვე საჩუქრად დაუტოვა.<sup>158</sup>

შემდეგ ჯაბირი ყვებოდა:

გადამიხადა რა ალლაჰის შუამავალმა აქლემის საფასური და აქლემიც მაჩუქა, ერთ ნაცნობ ებრაელს შევხვდი და მომხდარის შესახებ მოგუყვები. ის ძალიან განცვიფრებული დარჩა და ერთსა და იმავე კითხვას იმეორებდა:

„ე. ი. აქლემის საფასური გადაგიხადა და შემდეგ აქლემიც გაჩუქა?!“ მე ვიდექი და განუწყვეტლივ ვიმეორებდი სიტყვას დიახ! დიახ! დიახ!<sup>159</sup>

ამ ვაჭრობით ალლაჰის შუამავლის მიზანი ჯაბირის ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება იყო. ის მას ისე მოექცა, თითქოს ჩვეულებრივ ვაჭრობას აპირებდა. აქლემში საფასურზე მეტიც კი გადაიხადა. მუსლიმანები ამ გარემოებამ ისე აღაფრთოვანა, რომ იმ ღამეს „ლაილათულ ბაირ“ (აქლემის ღამე) უწოდეს.

ფართოდ ცნობილია შუამავლის ხელგაშლილობის კიდევ ერთი ისტორია, რომელიც არანაკლებ საინტერესო და გასაკვირია. ყურაიშების მონინავეებიდან საფვან იბნ უმეიეს, მექას ალების შემდეგ, ისლამი მიღებული არ ჰქონდა, მაგრამ ჰუნეინისა და ტაიფის ბრძოლებში, შუამავალს გვერდიდან არ მოშორებია და მასთან ერთად იბრძოდა. ბრძოლის დამთავრების შემდეგ შუამავალი თვალს ადევნებდა საფვანს, თუ როგორი აღტაცებით გაჰყურებდა იმ ადგილებს, სადაც სავსე იყო ცხვარი, საქონელი და კიდევ ბევრი თვალწარმტაცი რამ, რაც მუსლიმების საკუთრებად იქცა. შუამავალმა საფვანს უთხრა:

— აბუ ვაჰბ! ეს ტერიტორია ძალიან მოგნონს?

საფვანმა უპასუხა:

— დიახ!

158. ბუჰარი, ჯიჰადი, 49. ბუიუ, 34. მუსლიმი, მუსაქათი, 109.

159. იბნ ჰანბელი, 3, 303.



— ეს ტერიტორიაც და ყველაფერი ისიც, რაც შიგნით არსებობს, შენი იყოს! — უთხრა ალლაჰის შუამავალმა.

— შუამავლის გარდა ასეთი ხელგაშლილი სხვა ადამიანი არ შეიძლება იყოს, — თქვა აბუ ვაჰბმა და მუსლიმი გახდა.<sup>160</sup>

ამის შემდეგ ყურაიშებთან დაბრუნდა და უთხრა:

— ჩემო მოდგმავ, გახდით მუსლიმები! ვფიცავ ალლაჰს, მუჰამმედი ისეთ სიკეთებს სჩადის, რომ გაჭირვებისა და უქონლობის საერთოდ არ ეშინია.<sup>161</sup>

ამ მაგალითიდან ნათლად ჩანს, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა შუამავალს ამქვეყნიური ქონებისა და სიმდიდრის მიმართ. ყველა მაგალითში ნათლად არის ასახული, რომ ის არანაირ ქონებას არ გააჩერებდა და არ შეინახავდა. რასაც ნახავდა, ყველაფერს მაშინვე სხვას აძლევდა.<sup>162</sup> ქონების სხვაზე დარიგებამდე ის სიმშვიდეს ვერ პოულობდა. ბილალის გადმოცემით ვიცით, რომ ერთხელ მის ხელში არსებული ორი დირჰემის დაუნაწილებლად სახლში არ დაბრუნებულა და ორი დღე მეჩეთში გაატარა.<sup>163</sup>

ხელგაშლილობის მწვერვალზე მყოფი შუამავალი, თავის თანამიმდევრებს როგორც კი საკითხთან დაკავშირებით რაიმე სისუსტეს შეამჩნევდა, მაშინვე სწორი მოქმედებისკენ მოუწოდებდა. ერთ დღეს შუამავალი ამრ იბნ ავფის გვართა საცხოვრებელ ადგილას წავიდა:

— ანსარის ხალხნო! — მიმართა მათ.

— ბრძანე, შუამავალო! — უპასუხეს ანსარებმა.

— თქვენ ისლამის მიღებამდეც ხელგაშლილი იყავით და გაჭირვებულ ადამიანებს დახმარებას უწევდით. ახლა კი, როდესაც სწორ გზაზე დგახართ და ხედავთ, თქვენი შუამავალი როგორ იქცევა, ქონების შენახვა და დაგროვება დაიწყეთ? თითოეული ადამიანი აუცილებლად მიიღებს იმას, რაც ეკუთვნის.“

160. ვაჟიდი, 2, 854-855.

161. მუსლიმი, ფედაილი, 57-58.

162. აბუ დავუდი, ჰარაჯი, 33, 35.

163. იბნ ჰაბბანი, 14, 262-264.





ამის შემდეგ ავფის გვარის მცხოვრებლები ხურმის ბაღჩებისაკენ გაეშურნენ და ძალიან მალე გარშემორტყმული კედლის ოცდაათი კარი გაიხსნა,<sup>164</sup> რადგან ყოვლისშემძლე ალლაჰი ბრძანებს:

أَنْفَقْتُمْ مِنْ شَيْءٍ فَهُوَ يُخْلِفُهُ وَهُوَ خَيْرُ الرَّازِقِينَ

„უთხარი: შექველად, ჩემი ღმერთი უზრდის ან უზღუდავს სარჩოს თავის მსახურთაგან იმას, ინებებს ვისაც. და რასაც დახარჯავთ, იგი მის ადგილს შეავსობს. და იგია საუკეთესო სარჩოს მომმადლებელი!“<sup>165</sup>

ალლაჰის შუამავლის კეთილშობილი თანამიმდევრები, რომლებიც გზამკვლევე ვარსკვლავებად წარმოგვიდგებიან, ისე როგორც ამ საკითხთან დაკავშირებით, უქბე იბნ ამრი მოგვითხრობს: უდიდესი მასწავლებელი, საკვირველ ხელგამლილობას ამჟღავნებდნენ, რომელიც ჩვენთვის ნამდვილად მისაბაძი მაგალითია.

მონყალების გაღების შესახებ აიათი როცა ჩამოვიდა, მოგებული ქონება ზურგზე ავიკიდეთ და გაჭირვებულებზე დარიგება დავინწყეთ. ამ დროს, ერთი ადამიანი გამოჩნდა და დიდძალი რაოდენობის მონყალება გაიღო. ურნმუნობმა თქვეს, რომ მან ეს სხვის დასანახად გააკეთა და ამით თავი გამოიჩინაო. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ ერთი ადამიანი გამოჩნდა, რომელმაც ერთი მუჭა ხურმა გაიღო მონყალებად. ურნმუნობმა ამის გამო თქვეს, რომ ალლაჰს მისი ერთი მუჭა ხურმის არაფერი უჭირსო. ამის შესახებ, უზენაესმა ალლაჰმა შემდეგი აიათი გარდმოუვლინა:

الَّذِينَ يَلْمِزُونَ الْمُطَّوِّعِينَ مِنَ

الْمُؤْمِنِينَ فِي الصَّدَقَاتِ وَالَّذِينَ لَا يَجِدُونَ إِلَّا

جَهْدَهُمْ فَيَسْخَرُونَ مِنْهُمْ سَخِرَ اللَّهُ مِنْهُمْ وَلَهُمْ عَذَابٌ أَلِيمٌ

„რომელნიც ძრახავენ ნებაყოფლობით წყალობის გამღებ მორწმუნეებს და იმათ, რომელთაც არაფერი აბადიათ, გარდა თავიანთი

164. ჰაქიმი, 4, 148.

165. სურა სებე, აიათი 39.





**გულმოდგინებისა და ამის გამო გასცინიან მათ, ალლაჰმა გასცინა მათ. და მათთვისაა მწარე სასჯელი!**<sup>166</sup>

გადმოცემული ჰადისების მიხედვით, ცნობილია, რომ ბევრი ქონების მოწყალეობად გამლენი ადამიანი აბდურაჰმან იბნ აფფი იყო. მან თავისი ქონების ნახევარი მოწყალეობად გაიღო, რაც ოთხი ათას დირჰემს შეადგენდა. ერთი მუჭა ხურმით მოწყალეობის გამლენი ადამიანი კი აბუ აქილ ელ-ანსარი იყო, რომელმაც ორი მუჭა ხურმის გამო, მთელი ღამე ზურგით წყალი ზიდა, ხოლო მეორე დღეს ნახევარი სახლში დატოვა და ნახევარი მოწყალეობად გაიღო. ამ მაგალითის არსი იმაში მდგომარეობს, რომ შუამავლის თანამიმდევრები თავიანთი ქონების ნახევარს მოწყალეობად გასცემდნენ. მათ მიერ გაღებული მოწყალეობის რაოდენობა რომ შეიცვალოს, ამას დიდი მნიშვნელობა არ ექნება. მთავარი მათი გადადგმული ნაბიჯია და ის არასდროს შეიცვლება.

ზემოთ მოყვანილი მაგალითების მაჩვენებელი თანამიმდევრები, კაცობრიობისთვის სანიმუშო ადამიანებად იქცნენ. სიკვდილის შემდეგ მათ არავითარი სასახლე, ქონება და სიმდიდრე არ დაუტოვებიათ. ამქვეყნად მათ მიერ აშენებული მრავალი სამლოცველო და სასწავლებელი დატოვეს, რითაც თავიანთ ნაცხოვრებ მინაზე ისლამის ბეჭედი დასვეს. რაც ამქვეყნად იშოვეს — ყველაფერი თავიანთი ხელგაშლილობით გაჭირვებულ ადამიანებს დაურიგეს. მათ ხელგაშლილობა ისე შეიყვარეს, რომ მოსული სტუმრის მიღებაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

**XIV** საუკუნეში სახელგანთქმულმა ტუნისელმა მოგზაურმა იბნ ბათუთამ ისლამური სამყაროს ყველა ქალაქი და სოფელი შემოიარა. ერთ-ერთი მოგზაურობის დროს ის თავისი ამხანაგებით ქალაქ დენიზლიში შევიდა, რომელსაც მაშინ ლადიქიე ერქვა. იქ მან თავის დღიურში ასეთი ჩანაწერი გააკეთა:

„ქალაქში რომ შევედით, მაღაზიებიდან ხალხი გამოდიოდა. ისინი ჩვენს ცხენებს აღვირში ხელს სტაცებდნენ და მათკენ ექაჩებოდნენ. ამ დროს ადამიანთა მეორე ჯგუფი გამოჩნდა და მათ შორის ჩხუბი გაჩაღდა. ურთიერთობა ისე გამწვავდა, რომ ზოგიერთმა იარაღიც კი მოიმარჯვა და საბრძოლველად მოემზადა. მათი საუბრის ჩვენ არაფერი გავგეგებოდა, ამიტომ ძალიან შეგვეშინდა. ამ დროს ერთი

166. სურა თევბე, აიათი 79 (ბუჰარი, ზეჰათი, 10. მუსლიმი, ზეჰათი, 72.





ადამიანი გამოგვეცხადა, მას ვკითხეთ, თუ ამ ადამიანებს ჩვენგან რა სურდათ. მან გვითხრა, რომ ეს ადამიანები უაღრესად ხელგამწილი ხალხი იყო. ჩვენთან პირველად მოსული ადამიანები — სინანის, ხოლო შემდეგ მოსული დუმანის ხელქვეითები იყვნენ. ორივე მხარეს ჩვენი სტუმრად წაყვანა სურდა და სწორედ ეს იყო მათი ჩხუბის მიზეზი. მათი სტუმართმოყვარეობის სიყვარულისგან განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა. ბოლოს გადაწყვეტილება მიიღეს, წილისყრით გაერკვიათ, თუ ვისი სტუმრები ვიქნებოდით. წილისყრის შედეგად სინანის სტუმრები აღმოვჩნდით. სინანმა როცა გაიგო, შემოგვეგება და სტუმრად წაგვიყვანა. ჩვენ სხვადასხვა ხორაგით გაგვიმასპინძლდნენ. ცოტა დავისვენეთ და შემდეგ ალი სინანმა ყველა აბანოში წაგვიყვანა. აბანოდან გამოსვლის შემდეგ, კიდევ ერთი მდიდრული სუფრა გაიშალა. საჭმლის ჭამის შემდეგ მშვენიერი ხმის მქონე ჰაფიზის<sup>167</sup> ყურანის კითხვა მოვისმინეთ და სხვადასხვაგვარი ღვთისმსახურება გავაკეთეთ. მეორე დღისთვის ჩვენ დუმანის ხალხი გველოდებოდა, რათა სტუმრად წავეყვანეთ. იქაც წავედით და არაჩვეულებრივი სტუმართმოყვარეობა ვიხილეთ.<sup>168</sup>

ქალი პოეტი ჰალიდე ნუსრათი ჟურნალ „ისლამის შეკრებაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში იძლეოდა რა თავისი წინაპრების ხელგამწილობის ცნებას, რომლებიც შუამავალ მუჰამედის მაღალი ზნეობით იყვნენ გამსჭვალული, წერდა:

„არც ისე დიდი ხნის წინ, დაახლოებით ორმოცი წლის უკან, დიდებულ სასახლეებთან ერთად პატარა, მოკრძალებული, სისუფთავით გამორჩეული სახლებიც იყო. მათში, ჩვეულებრივ, ღარიბი ოჯახები, ხანდაზმული მოხუცები და მარტოხელა ქვრივები ცხოვრობდნენ. ასევე, ნათესავებისა და ახლობლების გარეშე დარჩენილი ობლებიც იყვნენ. ისინი მშვიდად, ბედნიერად და მდიდრულად ცხოვრობდნენ, საჭმელს, რომელიც მანქანებით რამადანის თვეში სასახლეებში მიჰქონდათ, ნაწილ-ნაწილ ყოფდნენ და ღარიბებს სახლებში უნაწილებდნენ. სურსათი მალულად მიჰქონდათ, რათა არავის დაენახა და ღარიბ ხალხს ღირსება არ შელახოდა.“

იმ დროს ავადმყოფებისა და მიცვალებულების მხრივაც დიდ ხელგამწილობას და მზრუნველობას იჩენდნენ.

167. ჰაქიმი, 4, 148.

168. იბნ ბათუთა, გვ. 305-306.





აქედან გამომდინარე, ხელგაშლილობა მუსლიმანი ადამიანის ყველაზე კარგი თვისებაა. მუსლიმანი ადამიანის სხვაგვარად მოქცევა ყოველდღეუძღვებელია, რადგან გულში რწმენა და სიძუნწე ერთად ვერ მოთავსდება. ენესის გადმოცემული შემდეგი ჰადისი ამის დამამტკიცებელი მაგალითია:

„ერთი კაცი გარდაიცვალა. ერთ-ერთმა ადამიანმა შუამავლის გასაგონად ხმამალა წარმოთქვა: „სამოთხე მისთვის ჰალალი იყოს!“ შუამავალმა ჰკითხა: საიდან იცი? შეიძლება მან მრავალი ტყუილი თქვა, საჭიროზე მეტი ქონებაც გაჭირვებულებს არ დაურიგა და ამით სიძუნწე გამოიჩინა!“<sup>169</sup>

კიდევ ერთ ჰადისში ვკითხულობთ: *„სხვისი დაჩაგვრისგან თავი შეიკავეთ, რადგან განკითხვის დღეს ასეთი ადამიანები სიბნელეში იქნებიან! სიძუნწესაც თავი მოარიდეთ, რადგან თქვენზე ადრე მცხოვრები ადამიანები მან ერთმანეთის მოკვლამდე და სხვისი ქონების მითვისებამდე მიიყვანა.“*<sup>170</sup>

ამ ჰადისით შუამავალმა აღნიშნა, რომ სიძუნწეს როგორც ამ ქვეყნად, ისე იმქვეყნად ადამიანისთვის ცუდი მოაქვს. ამიტომ, მუსლიმი ადამიანი ვალდებულია, არ შეებრალოს ალლაჰის მიერ მიცემული ქონება და გაჭირვებული ადამიანების მიმართ ხელგაშლილობა გამოიჩინოს. ადამიანის სულიერი აღზრდა ხელგაშლილობით შეიძლება. ამის მისაღწევად საჭიროა, გაჭირვებულ ადამიანებზე დახმარების აღმოჩენა, ადამიანების წინაშე პატიებისა და შემწყნარებლობის გრძნობის გამოვლენა, მოუწონებელი რამეების დანახვისას, იმქვეყნის სიყვარულის გამო, მოთმინების გამოჩენა და სხვა.

საბოლოოდ, ხელგაშლილობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტია, რომელიც საზოგადოებას სოციალური სამართლიანობისა და ზნეობრივ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაუმჯობესების საშუალებას აძლევს. როგორც იმამი გაზალი ამბობდა: „ღარიბს ადამიანს მისწრაფება კი არა, თავისი მდგომარეობით კმაყოფილება, ხოლო მდიდარს — სიძუნწე კი არა, ხელგაშლილობა უნდა ახასიათებდეს.“

169. თირმიზი, ზუჰდი, 11.

170. მუსლიმი, ბირრი, 56.





## 10. მადლიერება

*„...თუ ნამდვილად მადლიერნი იქნებით  
, უთუოდ, წყალობას გიმრავლებთ და  
თუ უმადურნი იქნებით, უეჭველად,  
სასჯელი ჩემი საშინელია!“*

(სურა იბრაჰიმი, აიათი 7)

მადლიერება — მადლობის გადახდა, პატივისცემა და დაფასება იმის მიმართ, ვინც ვინმეს დაეხმარება ან მოემსახურება.

— სიტყვით გამოხატული მადლიერება — სარჩო-საკვების მომცემის მიმართ ღვთისმსახურებას, მის ქება დიდებასა და სიტყვიერ პატივისცემას ნიშნავს.

მოქმედებით მადლიერება ალლაჰისთვის სასარგებლო საქმეებითა და საქციელით გამოიხატება. სხვა სიტყვებით, ესაა უზენაესის ქმნილებებზე მხარდაჭერა და დახმარების აღმოჩენა.

— სულიერი მადლიერება — გამჩენის დაჯერება და მისი ღვთაებრივობის აღიარებაა.

ჯუნეიდ ბაღდადი შვიდი წლის იყო, როცა ბიძამისმა სერიი საქათიმ ჰაჯობაზე წაიყვანა. ჰაჯობაზე გაკეთებულ მოხსენებებში ერთერთი საკითხი მადლიერება იყო. როდესაც იქ მყოფმა ადამიანებმა თავიანთი სიტყვა თქვეს, შემდეგ სერიი საქათი ჯუნეიდსაც თხოვეს სიტყვით გამოსულიყო. ჯუნეიდი ცოტა დაფიქრდა და ასეთი პასუხი გასცა:

მადლიერება — ალლაჰის ნებაზე წინააღმდეგობის გაუნეგლობას და მისი წყალობების ცოდვიან საქმეებში გამოუყენებლობას ნიშნავს.<sup>171</sup>

მადლიერების გრძნობა ადამიანს გულში მრავალ სილამაზეს მატებს. მადლიერების გრძნობის მქონე ადამიანი ალლაჰის მიერ მიცემულ ყველა სარჩოს ნათლად ხედავს. მას ალლაჰის მიმართ სიყვარული უძლიერდება და ხვდება, რომ მისთვის მადლობის გადახდა აუცილებელი რამ არის.

171. ათთარი, გვ. 318.





სიკეთის ფასის ცოდნა, მის გამკეთებელზე მადლობის გადახდა, სიკეთის გახსენება და მისი დიდება, მადლიერების ყველაზე კარგი ფორმებია.

მუჰამედ შუამავლი ყოველთვის დიდი მადლიერების გრძნობას გამოხატავდა იმ ადამიანის მიმართ, ვინც მას რაიმეში დაეხმარებოდა ან მოემსახურებოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი ისტორია, სადაც მუჰამედ შუამავლის სულიერი სილამაზე და სრულყოფაა მკაფიოდ გამოხატული.

მუჰამედ იბნ მესლეემ მოგვითხრობს: ერთ დღეს შუამავალთან ერთად ვიყავით. შუამავალმა ჰასან იბნ საბითს უთხრა:

— ჰასან! ჩვენთვის უვიცობის ხანის დროინდელი ლექსებიდან ისეთ ლექსს წავვიკითხავ, რომელიც ალლაჰს შეურაცხყოფას არ მიაყენებს? როცა ჰასან იბნ საბითმა მწერალ აშას პატარა ლექსი წაიკითხა, სადაც ალქამ ბინ უსას დასცინოდა, ალლაჰის შუამავალმა მას უთხრა:

— ჰასან, ამის შემდეგ ჩემს ხალხში ეს ლექსი აღარ წაიკითხო!

— შუამავალო! მე ქაისერის გვერდით მდგომი ურწმუნოებიდან ხომ არ მთვლი? — გაკვირვებული ჰკითხა ჰასან იბნ საბითმა. შუამავალმა უპასუხა:

— ჰასან! ადამიანებზე მთელი გულით მადლობის გადამხდელი ადამიანი, ალლაჰზეც მთელი გულით მადლობის გადამხდელია. როცა იმპერატორმა ქაისერმა აბუ სუფიანს ჩემ შესახებ ჰკითხა. მან ჩემზე კარგი არაფერი თქვა, ხოლო, როცა ალქამეს ჰკითხა, მან ძალიან კარგად მომიხსენია მე!“

შუამავალმა ამ ჰადისში ალქამეს მიმართ მადლიერება გამოხატა.<sup>172</sup>

აიშეს მიერ გადმოცემულ ჰადისშიც ადამიანების მიმართ მადლიერების გრძნობაა გამოხატული. აიშე გვიყვება:

„შუამავალი მე ხშირად მთხოვდა:

— აიშე, იმ ლექსებს წამიკითხავ, რომლებიც ზეპირად გახსოვს?

მე კი ვკითხავდი:

172. ალი ელ-მუთთაყი, 3, 738-739.



— რომელი ლექსი გნებავთ, შუამავალო? ზეპირად მრავალი ლექსი მახსოვს.

— მადლიერების თემაზე!

— კარგი, — ვეტყოდი მე და წავუკითხავდი იმ ლექსს, რომელიც მას სურდა. ამის შემდეგ შუამავალი მეტყოდა:

— აიშე! ჯებრაილ ანგელოზის გადმოცემის მიხედვით, განკითხვის დღეს ალლაჰი იმ ადამიანს, ვისაც სხვისგან სიკეთე უნახავს, ჰკითხავს:

— შენ, მას, ვინც სიკეთე გაგიკეთა, მადლობა გადაუხადე?

ის ადამიანი კი უპასუხებს:

— ღმერთო! ჩემს მიმართ გაკეთებული სიკეთე რომ შენგან მოდიოდა, ეს ვიცოდი და მხოლოდ შენ გადაგიხადე მადლობა. ალლაჰი ეტყვის:

— სანამ მადლობას არ გადაუხდის იმ ადამიანს, ვისი საშუალებითაც შენთვის სიკეთე გაგაკეთე, მანამ ჩემს მიმართ გადახდილი მადლობა არაფერს ნიშნავს!<sup>173</sup>

მადლობის გადახდა მხოლოდ ენითა და გულით საკმარისი არ არის. ნამდვილი მადლობის გადახდა საქმიანობა უნდა დამტკიცდეს. ალლაჰმა, ისე როგორც ყველაფერი რალაცა მიზეზით გააჩინა, ასევე ადამიანებსაც სიკეთე, სიცოცხლე, რწმენა, სარჩო, ჯანმრთელობა და კიდევ ბევრი რამ უბოძა. სამაგიეროდ, ის მათგან მადლობის გადახდასა და მის მიმართ მსახურებას მოითხოვს. ალლაჰი აიათში ბრძანებს:

وَيَعْبُدُونَ مِنْ دُونِ اللَّهِ مَا لَا يَمْلِكُ لَهُمْ رِزْقًا مِّنَ السَّمَاوَاتِ

وَالْأَرْضِ شَيْئًا وَلَا يَسْتَطِيعُونَ

„და ისინი ეთაყვანებიან ალლაჰის გარდა სხვას, რომელთაც არ ხელენიფებათ მათთვის სარჩოს მიცემა არც ცათა შინა და არც ქვეყანასა ზედა, და არ შეუძლიათ მათ“<sup>174</sup>.

173. ალი ელ-მუთაჰყი, 3, 741-742.

174. სურა ნაჰლი აიათი 73.



ამავე დროს, მადლობის გადახდა, ალლაჰის მიმართ გამოჩენილი დაფასებითა და პატივისცემითაც გამოიხატება. მაგრამ ამ თვისებების მქონე ადამიანები ძალიან ნაკლები არიან. ალლაჰი აიათში ბრძანებს:

اعْمَلُوا آلَ دَاوُدَ شُكْرًا وَقَلِيلٌ مِّنْ عِبَادِيَ الشَّاكِرِينَ

„... ჰეი, დაფუდის ოჯახეულნო! იშრომეთ მადლიერების ნიშნად. მაგრამ ჩემს მსახურთა შორის ცოტაა მადლიერი!“<sup>175</sup>

ადამიანი თავისი ბუნებით სწრაფად ივიწყებს ყოველივეს და გატაცებულია ამქვეყნიური გართობით. იმისათვის, რათა შეიძინოს ზნეობრივი თვისებები მოთმინება და მადლიერება, ყოველმა მორწმუნემ უნდა იმუშაოს საკუთარ თავზე.

სინამდვილეში, უზენაეს ალლაჰს თავისი მონა-მსახურების მადლობა სრულებით არ ესაჭიროება. ალლაჰი თავისი უდიდებულებობისა და ძალაუფლების გამო, არავის მადლობის წყალობით, ან ვინმეს მიერ შეურაცხყოფის მიყენებით, არც ამაღლდება და არც დაზარალდება. ის მთელი სამყაროს პატრონია და ყველაფერი მას ეკუთვნის, ყველა მისი ნების მორჩილია! ეს ჭეშმარიტება ასეა გადმოცემულია ყურანში:

وَمَنْ شَكَرَ فَإِنَّمَا يَشْكُرُ

لِنَفْسِهِ وَمَنْ كَفَرَ فَإِنَّ رَبِّي غَنِيٌّ كَرِيمٌ

„...ვინც მადლიერია, ის თავის სასიკეთოდაა მადლიერი, და თუ ვინმე უმადურია - ჩემი ღმერთი ხომ მდიდარია, გულუხვია!“<sup>176</sup>

ალლაჰის წინაშე მადლობის გადამხდელ ადამიანებს მისი წყალობა არ მოაკლდებათ. ხოლო ვინც ამ სიკეთეს ვერ დაინახავს, რაც თუ ლამაზი თვისებები გააჩნიათ — ყველაფერი გაუქრებათ ისე, რომ მათი ნაკვალებიც კი არ დარჩება.

შუამავალი ყოველი მოქმედებისას ალლაჰის წინაშე მადლიერების გრძნობით გამოირჩეოდა. აიშე მის ასეთ მდგომარეობას გადმო-

175. სურა სეზე, აიათი 13.

176. სურა ნემლი, აიათი 40.





გვცემს: შუამავალი ღამეში ფეხების დასიებამდე ნამაზს ლოცულობდა. მე მას ვკითხავდი:

— ასე რატომ აკეთებ, შუამავალო? ალლაჰმა ხომ შენ წარსულში ჩადენილი ცოდვებიც გაპატია და ისინიც, რომლებსაც მომავალში დაუშვებ? ალლაჰის შუამავალმა მიპასუხა:

„მადლობის გადამხდელია ადამიანი რომელიცო, მხოლოდ ამიტომ.“<sup>177</sup>

შუამავლის საქციელი, ალლაჰის მიერ მიცემული სარჩო-საბადებლისა და ნაბოძები სიკეთის მიმართ მადლობის გადახდის აუცილებლობას გამოხატავს. ადამიანს, თუგინდ ცოდვა სულ არ ჰქონდეს, ყოველთვის მართებს, მიცემული სარჩოს სანაცვლოდ, ალლაჰის წინაშე მადლობის გადახდა.

აქედან გამომდინარე, ეს საქმე ადამიანის უპირველესი მოვალეობაა. ამგვარად, ადამიანს ღვთისმსახურება და მადლიერების გამოხატვა ალლაჰთან აახლოებს და მისგან ჯილდოს იღებს.

ადამიანების დაჯილდოების შესახებ ალლაჰი აიათში ასე ბრძანებს:

وَمَنْ يُرِدْ ثَوَابَ الدُّنْيَا نُؤْتِهِ مِنْهَا وَمَنْ يُرِدْ ثَوَابَ الْآخِرَةِ نُؤْتِهِ

مِنْهَا وَسَنَجْزِي الشَّاكِرِينَ

„...და ვინც ისურვოს ამქვეყნიური და იმქვეყნიური ჯილდო, მივანიჭებთ მას, და ღმერთისადმი მადლიერთ სამაგიეროს გადავუხდით ჩვენ.“<sup>178</sup>

ადამიანი რომ გამდიდრდება, ან დიდი ძალის პატრონი შეიქმნება, მისდაუნებურად ის დაუმორჩილებელი ან გაამაყებული გახდება. მადლიერების გრძნობა კი ადამიანს ყველა კარგ თვისებას უნარჩუნებს. მადლობის გადამხდელმა ადამიანმა იცის, რომ მის ხელში ჩავარდნილი ყველაფერი ალლაჰისგან არის მოვლინებული და მისი გამოყენება ისე უნდა შეძლოს, როგორც ალლაჰს გაუხარდება. როგორც ცნობილია, დაჟუდ (დავითი) და სულეიმან (სოლომონი) შუამავლები დიდ ძალაუფლებას და სიმდიდრეს ფლობდნენ. მიუხედავად ამისა, ისინი ძალიან მოკრძალებული იყვნენ, რაც მათ სულიერ —

177. ბუჰარი, თეფსირი, 48-2.

178. სურა ალი იმრანი, აიათი 145.



ზნეობრივ სრულყოფაზე მიუთითებს. ცოდვილ ქარუნს კი ამქვეყნიური სიკეთის წყარო დავიწყებული ჰქონდა, ამქვეყნიური სიმდიდრით მოტყუებული იყო, გრძნობათა კარნახით მოქმედებდა, რის გამოც ტირილით დაასრულა თავისი სიცოცხლე.

თუკი, ადამიანი მასზე მიცემული ქონებით არ გაამაყდება, ალლაჰის წინაშე მადლობას გადაიხდის, ის მას უფრო მეტ საშუალებას მისცემს და მეტ სიკეთეს უწყალობებს. ამის მტკიცებულება ყურანის შემდეგი აიათია:

لَئِنْ شَكَرْتُمْ لَأَزِيدَنَّكُمْ وَلَئِنْ كَفَرْتُمْ إِنَّ عَذَابِي لَشَدِيدٌ

„და აკი, გაუწყათ ღმერთმა თქვენ: „თუ ნამდვილად მადლიერნი იქნებით, უთუოდ, წყალობას გიმრავლებთ და თუ უმადურნი იქნებით, უეჭველად, სასჯელი ჩემი საშინელია!“<sup>179</sup>

კეთილშობილი სევბანი მოგვითხრობს:

„როდესაც მუჰამედ შუამავალს გარდმოეველინა აიათი — „... და რომელნიც აგროვებენ ოქროსა და ვერცხლს, ხოლო არ გაიღებენ მას ალლაჰის გზაზე, მაშინ ამცნე მათ მწარე სასჯელი!“<sup>180</sup> ჩვენ სალაშქროდ ვიმყოფებოდით. თანამიმდევართაგან ზოგიერთმა თქვა: „ოქროსა და ვერცხლის შესახებ აიათი უკვე ჩამოვიდა. ამის შემდეგ მას აღარ შევადგოვით. ნეტავი ვიცოდეთ, რომელი ქონებაა კარგი, რომ ის შევადგოვით?“ შუამავალმა ამ კითხვაზე ასეთი პასუხი გასცა:

„ყველაზე ძვირფასი, რაც შეიძლება ადამიანს ჰქონდეს, ალლაჰის მხსენებელი ენა, კეთილშობილი სული და მორწმუნე მეუღლეა, რომელსაც რწმენის განმტკიცება და დაცვა შეუძლია.“<sup>181</sup>

შუამავალმა, მრავალი დღის მოშიმშილე თანამიმდევრებს, რომლებიც შიმშილობის შემდეგ არცთუ ისეთი ნოყიერი საჭმლით გაძლნენ, ალლაჰის წინაშე პასუხის გასაცემად მომზადება ურჩია, რითაც ღიად გამოხატა, რომ ისინი ვალდებული იყვნენ ალლაჰისთვის მადლობა გადაეხადათ. რაც შეეხება თვით შუამავალს, ის ყოველთვის ალლაჰზე მადლობის გადახდით იყო დაკავებული.

179. სურა იბრაჰიმი, აიათი 7.

180. სურა თევბე, აიათი 34.

181. თირმიზი, თეფსირი, 9-9.





შუამავალი როდესაც წარმოიდგენდა, რომ ის ქონება, რაც მას გააჩნდა, შესაძლებელი იყო სხვას არ ჰქონოდა, ყოველთვის ალლაჰს მადლობას სწირავდა. ერთხელ შუამავალმა ერთ-ერთი ავადმყოფი მოინახულა. დაინახა რა ავადმყოფი მან, სასწრაფოდ ალლაჰს სეჯდე მიუძღვნა და მადლობა შესწირა იმის გამო, რომ თვითონ მასზე უკეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა.<sup>182</sup> რაც გაქვს, მისი ფასის ცოდნა და დანახული სიკეთის გამო მადლობის გადახდა, ნორმალური ადამიანის ჩვეულებრივი საქციელია. საიდ იბნ ები ვაყყასი გადმოგვცემს:

„ერთ დღეს შუამავალთან ერთად მექადან მედინასაკენ გზას დავადექით. მიუახლოვდით რა „აზვარას“ დასახლებას, შუამავალი აქლემიდან ძირს ჩამოვიდა, შემდეგ ხელები მალა ალაჰყრო და ალლაჰს შევედრა. ამის შემდეგ სეჯდეზე დავიდა და ცოტა ხანიც ალლაჰის წინაშე, ამგვარად, თავდახრილი დარჩა. ასე მან სამჯერ გაიმეორა. ლოცვა რომ დაამთავრა, ბრძანა:

*„ალლაჰს ჩემს მიმდევრებზე დახმარებისათვის შევევედრე. მან კი ჩემი მიმდევრების ერთი მესამედი მაჩუქა და მათ ყველაფერი აპატია. მეც მისთვის მადლობის გადასახდელად სეჯდე გავაკეთე. შემდეგ თავი მალა ავსნიე და კიდევ ვთხოვე ჩემი მიმდევრების შეწყალება. ალლაჰმა ჩემი მიმდევრების ერთი მესამედიც მაჩუქა და შეინყალა. კიდევ ერთი სეჯდე გავუკეთე და ამით მადლობა გადავუხადე. შემდეგ თავი კვლავ ავსნიე და ალლაჰს კიდევ ერთხელ ვთხოვე ჩემი მიმდევრების შეწყალება. მან ჩემი მიმდევრების დარჩენილი ერთი მესამედიც შეინყალა, ამიტომ მადლობის გადასახდელად ალლაჰს კიდევ ერთი სეჯდე მიუძღვენი.“<sup>183</sup>*

ადამიანების გასახარებლად სარჩო-საბადებლის გულისთვის და გაჭირვების უკან მოტოვების სანაცვლოდ, ნამდვილად ღირს მადლობის გადახდა. სადი შირაზის ნათქვამის მიხედვით, ყოველი ამოსუნთქვისა და ჩასუნთქვისათვისაც კი საჭიროა მადლიერების გამოხატვა, — ვინაიდან ისიც ძალიან დიდი სიკეთე და ნყალობაა. მაგრამ, რადგანაც ჩვენ ყველაფრისათვის არ შეგვიძლია მადლობის გადახდა, საჭიროა გულწრფელად და თავის დროზე აუცილებელი რელიგიური ვალდებულები (ფარძები) შევასრულოთ. ამის შემდეგ კი, ალლაჰის მიერ ნაბოძები სიკეთის, ან მის მიერ ჩვენს თავს აცილებული გაჭირვების გამო, მას მადლობა უნდა გადავუხადოთ და სე-

182. ჰეისემი, 2, 289.

183. აბუ დავუდი, ჯიჰადი, 162.





ჯდე გავუკეთოთ, რადგან მადლობის გადახდა, მხოლოდ სიტყვითა და გულით არ სრულდება, ეს მოქმედებითაც უნდა დადასტურდეს. დღევანდელ დღეს, უამრავი გაჭირვებული ადამიანის მიმართ გამოჩენილი დახმარებითა და ალლაჰის სიყვარულის გამო ნალოცი ნამაზის წყალობით, შეიძლება ალლაჰის წინაშე მადლობის გადახდის მოვალეობა შევასრულოთ.

აბდურრაჰმან იბნ ავფი შუამავლის მიერ ალლაჰის წინაშე მადლობის გადახდის კიდევ ერთ მაგალითს გადმოგვცემს:

„ერთხელ შუამავალი მეჩეთიდან გარეთ გამოვიდა. მეც მას უკან მივყევი ისე, რომ არ ვაგრძნობინე. ის ხურმის ბაღში შევიდა. ქააბასაკენ მიბრუნდა და ალლაჰს სეჯდე გაუკეთა. სეჯდეზე იმდენ ხანს დარჩა, რომ ვიფიქრე გარდაიცვალა-მეთქი. მე სასწრაფოდ მასთან მივირბინე და სახეზე დავაცქერდი. მან თავი მაღლა ასწია და მკითხა:

— რა მოხდა აბდურრაჰმან?

— შუამავალო, სეჯდეზე იმდენ ხანს გაჩერდით, რომ ვიფიქრე გარდაიცვალა-მეთქი და შენთან ახლოს მოვედი. შუამავალმა მითხრა:

— ბაღში რომ შემოვედი, ჯებრაილ ანგელოზს შევხვდი. მან ალლაჰისგან ასეთი სამახარობლო მითხრა: „ვინც შენ მოგესალმება მეც იმ ადამიანს მშვიდობას მივცემ, ვინც შენ სალავათს (ელლაჰუმმესსალლის) წაგიკითხავს, მეც მას შევიწყალებო. ამიტომ, მეც ალლაჰს სამადლობელო სეჯდე გავუკეთე.“<sup>184</sup>

მექის ალების შემდეგ ალლაჰის შუამავალი უფრო მეტს ლოცულობდა და ალლაჰს გამარჯვების ჩუქებისათვის ემადლიერებოდა.

„მე ალლაჰის, მისი უდიდებულესობისათვის შეუფერებელი თვისებების არ-ქონას ვადასტურებ და მას ვადიდებ! ალლაჰისგან ჩემს პატიებას ვითხოვ და ჩემს ცოდვებს ვინანიებ!“ — მოუხშირა ასეთ ვედრებებს ალლაჰის შუამავალმა. როდესაც აიშემ ამის მიზეზი ჰკითხა, მან უპასუხა: „ალლაჰმა ჩემი მიმდევრების განსაკუთრებული რაღაც ნიშნის დანახვა მითხრა და ამის შემდეგ ბევრი ღვთისმსახურების შესრულება მიბრძანა.“<sup>185</sup>

184. ჰაქიმი, 1, 344.

185. მუსლიმი, სალათი, 220.





შუამავლის ასეთი მდგომარეობა, ყოველ ჩვენგანს ალლაჰის წინაშე მადლობის გადახდას გვახსენებს და გვასწავლის, თუ ყოველივე როგორ უნდა შევასრულოთ.

## 11. ერთგულება

არაბული სიტყვა „ვეფა“ ერთგულებას, სიკეთეზე სიკეთით პასუხის გაცემას ნიშნავს.

ერთგულება — დანახული სიკეთის არ დავიწყებას, ადამიანის მიერ გამოვლენილი სიკეთის შეფასებას ნიშნავს, ეს თვისება ნდობის საფუძველია, მეგობრობის წყარო და ამხანაგობის განმამტკიცებელი თვისებაა. ერთგულება, მეგობრობის ხიდი და ნდობის უპირველესი ნიშანია. ერთგულება — ნამდვილი რწმენისა და ალლაჰზე მინდობის დამამტკიცებელი რამ არის. მისი საპირისპირო მნიშვნელობა, სიკეთის ფასის არცოდნა და მის გამკეთებელზე ცუდი საქმით პასუხია.

ერთგულება ისეთი თვისებაა, რომლის მცოდნე ადამიანი მის გარეშე ცხოვრებას ვერ წარმოიდგენს.

ადამიანის ყველაზე დიდი ერთგულება თავისი გამჩენის ცნობითა და აღიარებით ღვთაებრივი ატრიბუტების შეცნობით, მისი ბრძანებების შესრულებითა და ალლაჰის მიერ ბოძებული წყალობების საპასუხო მადლიერებით გამოიხატება, ალლაჰის უარყოფა, მისი ძლევამოსილების აუღიარებლობა ღალატისა და უიმედობის ტოლფასია. ადამიანთაგან ყველაზე ერთგული — მუჰამმედ შუამავალი ბრძანებს: „*მე მამაჩემის — იბრაჰიმის ვედრება, ჩემი ძმა ისას სამახარობლო და დედაჩემის — ემინეს სიზმარი ვარ!*“<sup>186</sup> ამ ჰადისით შუამავალმა, როგორც იბრაჰიმ შუამავლის, ისე ისა შუამავლისა და დედამისის — ემინეს მიმართ ერთგულება გამოხატა. ამით არ იკმარა და ამქვეყნის დასრულებამდე მთელი მისი მიმდევრებისთვის იბრაჰიმის ვედრება სუნნეთი გახადა. ნამაზზე ნაკითხი „ალლაჰუმ-მესსალლი“ და „ალლაჰუმებარიქი“ სწორედ ის ვედრებებია, სადაც მუჰამმედ შუამავალთან ერთად, იბრაჰიმ შუამავალიც არის მოხსენიებული.

186. ჰაქიმი, 2, 453.



ალლაჰის შუამავალმა ერთგულებისა და თავდადების კიდეც ერთი მაგალითი მექის გზაზე, ჰუდეიბიეს შეთანხმების წინ აჩვენა. მან, ალლაჰის ნებით, ებვაში თავისი დედის საფლავის მონახულება გადაწყვიტა. შუამავალმა დედის საფლავზე მიწა ხელით გაასწორა და ბევრი იტირა. მისი ტირილის შემხედვარე თანამიმდევრებმაც მასთან ერთად იტირეს. შემდეგ შუამავალს თანამიმდევრებმა ჰკითხეს, თუ ასე მწარედ რატომ იტირა. შუამავალმა უპასუხა: „დედის მიერ ჩემდამი გამოჩენილი თანაგრძნობა და კეთილგანწყობა გამახსენდა და იმიტომ ვიტირე“<sup>187</sup>

ალლაჰის შუამავალმა ადრეულ ასაკში დედა დაკარგა და მისი აღზრდა ბაბუამ იკისრა. მალე ბაბუაც გარდაეცვალა და ის აღსაზრდელად ბიძა აბუ თალიბმა წაიყვანა. ბიძა და მისი მეუღლე ფატიმა მას ძალიან კარგად ეპყრობოდნენ, საკუთარ შვილებზე უკეთესადაც კი. როდესაც შუამავალმა მედინაში ჰიჯრა გააკეთა, იმ პერიოდში მის ბიძას ცოლი გარდაეცვალა, რასაც ალლაჰის შუამავალი ძალიან განიცდიდა და ამბობდა: „დედა მომიკვდაო!“ ის თავის პერანგში გაახვია და ისე დაასაფლავა. მას თანამიმდევრებმა ჰკითხეს: „შუამავალო, როგორც ჩანს, ფატიმას სიკვდილი ძალიან გენწყინა?!“ შუამავალმა უპასუხა:

*„ის ჩემთვის დედა იყო. მაშინაც კი, როცა თავისი შვილები მშვიერი ჰყავდა, ჩემს ჭამაზე ზრუნავდა, როცა თავისი შვილები მოუწესრიგებელი იყვნენ, ის თმას ჯერ მე დამვარცხნიდა და საკუთარ შვილებს ისე მიუბრუნდებოდა. ასე რომ ის, ჩემი დედა იყო.“<sup>188</sup>*

შუამავალს ძალიან სურდა, ბიძამისი აბუ თალიბი მუსლიმი გამხდარიყო. ამისათვის მას რამდენჯერმე მიმართა, მაგრამ აბუ თალიბმა ისე დატოვა ეს ქვეყანა, რწმენა არ მიუღია. ამას ალლაჰის შუამავალი ძალიან დარდობდა. მიუხედავად ამისა, აბუ თალიბი ყოველთვის შუამავლისა და მუსლიმების მხარდამჭერი იყო. აბუ თალიბის გარდაცვალების შემდეგ, ალი მუჰამმედ შუამავალთან მივიდა და უთხრა: „სამწუხაროა, რომ აბუ თალიბი ისე გარდაიცვალა, მუსლიმი არ გახდა.“ ამის გამგონმა შუამავალმა ბევრი იტირა და ალის უთხრა: „ნადი, დაბანე და დაასაფლავე!“<sup>189</sup> შუამავლის ასეთი საქციელი, რა თქმა უნდა, ერთგულების გამომხატველი ქცევა იყო.

187. იბნ სადი, 1, 116-117.

188. იაყუბი, 2, 14.

189. ნესაი, ჯენაიზი, 84, დიარბექრი, 1, 301.





აღლაჰის შუამავალი არასდროს ივინყებდა იმ ადამიანებს, ვინც მას ოდესმე დახმარებია. ის ცდილობდა პირველი შესაძლებლობის-თანავე პატივისცემით გადაეხადა მათთვის. განსაკუთრებით გასაოცარია მისი ერთგულება პირველი მეუღლის — კეთილშობილი ხატიჯეს მიმართ. ის არასდროს ივინყებდა ერთ კვირის განმავლობაში უმწუ ეიმენეს, მეძუძურ ჰალიმეს და ძუძუმტე დას შეიმეს. აღლაჰის შუამავალი მათ ყოველთვის პატივს სცემდა და ცდილობდა მათი ნებისმიერი სურვილი დაეკმაყოფილებინა.<sup>190</sup>

მან ჰევაზის ბრძოლაში ტყვედ ჩავარდნილი ძუძუმტე შეიმა და-ნახვისთანავე იცნო. ის და მისი სხვა ახლობლები ძვირფასი საჩუქრებით დაასაჩუქრა და თავიანთ ქვეყანაში გაგზავნა. შუამავალი ამ მხარეს მთელი ოთხი წელი ცხოვრობდა, ამიტომ მას სურდა თავისი ახლობლებისთვის ქონებაც დაებრუნებინა, მაგრამ ეს საბოლოოდ არ მოხერხდა. შემდეგ კი, როცა აბდულმუტალიბის გვარში ჩავარდნილი ტყვეები გათავისუფლდნენ, სხვა თანამიმდევრებმაც გაათავისუფლეს ტყვეები და ქონებაც დაუტოვეს.<sup>191</sup> შუამავლის მიერ თავის ნათესავებზე გამოჩენილი შეწყალების მიზეზით, ათასობით ადამიანი იქნა გათავისუფლებული. რის შედეგადაც მათ თვალები აეხილათ და საბოლოოდ სწორ გზას დაადგნენ.

შუამავლობის მისიის მიღების შემდეგ, შუამავალი თავდაუზოგავად ცდილობდა ადამიანებზე ისლამის ახსნას და მათ სწორ გზაზე დაყენებას. თაიფიდან დაბრუნების შემდეგ, მექას ურწმუნო ხელმძღვანელობას მისი მექაში დაბრუნება არ სურდა. შუამავალმა ბევრ სხვადასხვა გავლენიან ადამიანს მისი მფარველობის ქვეშ აყვანა სთხოვა, მაგრამ ყველასაგან უარი მიიღო. საბოლოოდ, მისი დაცვა მუთიმი იბნ ადიმი გადანყვიტა. თავისი შვილები შეაიარაღა და შუამავალი მექაში შეიყვანა. ამის შემდეგ მრავალი წელი გავიდა. მუთიმი ბედირის ბრძოლაში ურწმუნოებთან ერთად მუსლიმების წინააღმდეგ იბრძოდა, სადაც მოწინააღმდეგეებმა მოკლეს. ჰასან იბნ საბით-მა თავის ლექსში მუთიმის მიერ შუამავალზე დახმარება გაიხსენა. მუსლიმები მუთიმის ასეთი საქციელით კმაყოფილი დარჩნენ. როცა მათ ხელთჩავარდნილი ურწმუნო ტყვეების შესახებ კამათი დაიწყო, შუამავალმა თქვა:

190. იბნ სადი, 1, 113, 114.

191. იბნ ჰიშამი, 4, 135.





„მუთიმ იბნ ადი ცოცხალი რომ ყოფილიყო და ჩემთვის ამ ტყვეების გათავისუფლება ეთხოვა, მაშინ მე ყველა მათგანს გავათავისუფლებდი!“ ამით შუამავალმა მუთიმ იბნ ადის მიერ მისდამი გამოჩენილი სიკეთის პასუხად საკუთარი ერთგულება გამოხატა.<sup>192</sup> ურნმუნო ადამიანის მიმართ გამოჩენილი ასეთი ერთგულება ძალიან ძვირფასი რამ არის.

შუამავალი ისლამის გავრცელებაში უამრავ წინააღმდეგობას აწყდებოდა. ისე როგორც ამირ იბნ სასას გვარი, მან მრავალი ტომი ისლამში დაპატიჟა. როდესაც შუამავალმა ამ გვარის ადამიანებს ისლამი აუხსნა და უკან დასაბრუნებლად აქლემზე შეჯდა, ერთმა ადამიანმა, სახელად ბეიჰარმა მის აქლემს გულზე რაღაც ბასრი საგანი უჩხვლიტა. აქლემი მაღლა შეხტა და შუამავალი ძირს გადმოვარდა. ერთმა მუსლიმანმა ქალბატონმა დუბაა ბინთი ამირიმ ასეთი საქციელი რომ დაინახა, თქვა: „ამირ! ასეთი საქციელის თქვენს თვალწინ ჩადენის შემდეგ, ნუთუ თქვენ შორის არ არის ისეთი ადამიანი, ვინც მას დაეხმარება?“ ამ დროს მისი ბიძაშვილებიდან რამდენიმე ახალგაზრდა ურნმუნოებს გამოეყო და ასეთი ცუდი საქციელის ჩამდენ ბეიჰარას სასტიკად გაუსწორდა. ამ შემთხვევის შემდეგ, შუამავალი მის მიმართ სიკეთის გამკეთებელი ადამიანებისთვის, თავისი ერთგულების გამოსახატავად, ალლაჰს შეევედრა:

„ო, დიდო ალლაჰო! ამ ადამიანებს ბარაქიანობა მიეცი!“ ამ ვედრების შემდეგ ალლაჰმა მათ ბარაქიანობასთან ერთად ისლამის სიყვარული გაუჩინა და სწორ გზაზე დააყენა. ბოლოს ისინი შეჰიდებდად დაეცნენ და ალლაჰის წინაშე ყველაზე მაღალ საფეხურსაც მიაღწიეს.<sup>193</sup>

შუამავლის ერთგულება ყველასათვის გასაგები იყო. ის ისლამის გავრცელებაში ყველაზე უმნიშვნელო და პატარა საქმის გამკეთებელი ადამიანის მიმართაც იჩენდა ერთგულებასა და კეთილგანწყობას. მესჯიდი ნებვის ერთი შავკანიანი დამლაგებელი ჰყავდა. შუამავალმა ის ერთი პერიოდი ველარ დაინახა. ძალიან გაიკვირვა, თუ სად წავიდა და მისი ადგილსამყოფელი იკითხა. მას უთხრეს, ის გარდაიცვალაო. შუამავალმა, თავისი ერთგულების გამოხატვით, მის თანამიმდევრებს უსაყვედურა: „მე რატომ არ გამაგებინეთო?“

192. ბუჰარი, ჰუმუსი, 16. იბნ ჰიშამი, 1, 404-406.

193. იბნ ჰაჯერი, ელ ისაბე, 4, 353.





მერე უთხრა, მისი საფლავი ეჩვენებინათ. ის საფლავთან მიიყვანეს. შუამავალმა ჯენაზე ნამაზი ილოცა და მისთვის ალლაჰს შეევედრა.<sup>194</sup>

შუამავალი, ყველაფერთან ერთად, ალლაჰის გზაზე შეჰიდად დაცემულ ადამიანებსაც არასდროს ივინყებდა. ის შეჰიდი ადამიანების დაობლებულ ბავშვებსა და ქვრივად დარჩენილ ქალებს, შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა აგრეთვე, თანამიმდევრებსაც მოუწოდებდა, მათ მიმართ განსაკუთრებული ყურადღება გამოეჩინათ და უპატრონოდ არ დაეტოვებინათ. ამ საკითხთან დაკავშირებით მრავალი მაგალითი არსებობს, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ორ მათგანს შემოგთავაზებთ:

ჰუდეიბიედან უკან დაბრუნებისას, უჰუდის ბრძოლაში შეჰიდად დაცემულ ჰამზას უმცროსმა ქალიშვილმა უმამემ შუამავალს უთხრა: „ბიძაჩემო მე ვისთან მტოვებ, რომ მიდიხარ?“ ამის გამო, შუამავალმა ის მედინაში თან წაიყვანა. როდესაც იკითხეს, თუ ვინ მიაქცევდა უმამეს ყურადღებას, ერთის მაგივრად, მისი აღზრდის სურვილი სამმა ადამიანმა გამოთქვა. მათგან პირველი ზეიდ იბნ ჰარისი იყო, რომელიც შუამავალმა ჰიჯრის გაკეთების შემდეგ ჰამზას ძმად გამოაცხადა. მეორე ალი იყო, რომელიც უმამეს ბიძად ითვლებოდა. მესამე კი ჯაფერ იბნ აბუ თალიბი იყო, რომელიც, როგორც ალი, უმამეს ბიძად ითვლებოდა. ალისა და ჯაფერს შორის განსხვავება ის იყო, რომ ჯაფერის ცოლი უმამეს დეიდა იყო. შუამავალი, უმამეს მიმართ ასეთი ყურადღების გამოჩენით ძალიან კმაყოფილი დარჩა. აქედან გამომდინარეობს ის, რომ თანამიმდევრებს შუამავლისგან ერთგულების საკმარისი გაკვეთილი უკვე მიღებული ჰქონდათ. შუამავალმა თქვა:

*„ზეიდ, შენ ალლაჰისა და შუამავლის მეგობარი ხარ! ალი, შენ ჩემი ძმა და მეგობარი ხარ! ჯაფერ, შენ აღნაგობითა და ქცევით ყველაზე მეტად ჩემი მსგავსი ხარ!“* შუამავალმა სამივეს სხვადასხვა თვისებების ახსნით მიმართა, მაგრამ საბოლოოდ უმამეს აღზრდა და ჯაფერს დაავალა, რადგან მისი ცოლი უმამეს დეიდა იყო და ის უფრო მიზანშეწონილად მიიჩნია. მას შემდეგ, რა თქმა უნდა, უმამე უყურადღებოდ არც შუამავალს მიუტოვებია. როდესაც გაიზარდა, შუამავალმა ის უმამე სელემეს ვაჟს მიათხოვა.<sup>195</sup>

194. ბუჰარი, ჯენაიზი, 67.

195. ბუჰარი, მელაზი, 43. იბნ სადი, 8, 159.





მუთეს ბრძოლაში, სხვებთან ერთად, ჯარის სამი სარდალი — ზეიდ იბნ ჰარისი, ჯაფერ იბნ აბუ თალიბი და აბდულლაჰ იბნ რევაჰა ბრძოლის ველზე შეჰიდად დაეცნენ. ბრძოლის დამთავრების და ისლამის ჯარის მედინაში დაბრუნების შემდეგ ყველა მონაწილე შუამავალთან ერთად, შეჰიდად დაცემული მეგობრებისთვის ტიროდა. შუამავალმა ტირილი შეწყვიტა და მუსლიმანებს მის ნაცვლად შეჰიდად დაცემული ადამიანების ოჯახებში საჭმლის მიტანა სთხოვა. აგრეთვე დაავალა ობლად დარჩენილი ბავშვებისთვის დახმარება გაენიათ და უყურადღებოდ არ დაეტოვებინათ. ამ საკითხის გადაწყვეტით, ის თავისი თითოეული თანამიმდევრისთვის მაგალითად იქცა. შუამავალმა ჯაფერის ოჯახს სამძიმარი უთხრა და თავისი ხელით სამ დღეს საჭმელი უზიდა. იმავე დღიდან მისი ბავშვებიც თავისი მფარველობის ქვეშ აიყვანა.<sup>196</sup>

შუამავალი მხოლოდ იმ ადამიანების მიმართ როდი იჩენდა ერთგულებას, ვინც მას სიკეთე გაუკეთა. ის თავისი სიცოცხლის განმავლობაში ნებისმიერი ადამიანის მიმართ, შეძლებისდაგვარ ერთგულებას და თავდადებას ავლენდა.

ეთიოპიაში ჰიჯრის გაკეთების შემდეგ მრავალი წელი იყო გასული. ერთ დღეს ეთიოპიის ელჩები შუამავალთან ჩავიდნენ. შუამავალი მათ ძალიან კარგად შეხვდა და თავისი ხელით გაუმასპინძლდა. თანამიმდევრებმა მას უთხრეს, რომ ეთიოპიელ სტუმრებს თვითონ გაუმასპინძლდებოდნენ, მაგრამ შუამავალმა მათ ასე უპასუხა: „ამ ადამიანებმა ეთიოპიაში ჰიჯრის გამკეთებელ მუსლიმანებს საცხოვრებელი ადგილი მისცეს, დახმარება გაუწიეს. ამიტომ მე სურვილი მაქვს, მათ ჩემი ხელით გავუმასპინძლო!“<sup>197</sup>

ეთიოპიის მიმართ შუამავლის უდიდესი ერთგულება სიცოცხლის ბოლომდე გრძელდებოდა. მიუხედავად, იმისა რომ ამ ქვეყანასა და არაბეთს ზღვა ჰყოფდა და იქ ჩასასვლელად რამდენიმე დღე იყო საჭირო, შუამავალმა ეთიოპიის მმართველის — ნაჯაშის გარდაცვალების ამბავი იმ დღესვე თანამიმდევრებს აცნობა და ასე მიმართა:

„შორეულ ქვეყანაში გარდაცვლილი ჩვენი ძმის ჯანაზა ნამაზის სალოცავად მოემზადეთ!“

196. იბნ ჰიშამი, 3, 436.

197. ბეიჰაჟი, შუაბული, იმანი, 6, 518. 7, 436.





თანამიმდევრებმა ჰკითხეს:

„შუამავალო, ვინ არის ეგ ადამიანი?“

შუამავალმა უპასუხა:

„ის ნაჯაშია! მისთვის ალლაჰს შეევედრეთ!“

უბრძანა მათ და ჯანაზა ნამაზი ალოცა.<sup>198</sup>

შუამავალი ბოლო ავადმყოფობისას თანამიმდევრებთან შესახვედრად მეჩეთში მივიდა. მეჩეთი მუსლიმებით სავსე იყო. თავისი ცხოვრების განმავლობაში შუამავალმა ისლამი ადამიანებს აუხსნა და მრავალი მათგანი დააყენა სწორ გზაზე. სწორედ ამის შედეგი იყო მეჩეთში არსებული ხალხმრავლობა, რამაც შუამავალი ძალიან გაახარა. მაგრამ ამ ადამიანებს შორის მრავალი უკვე აღარ იყო, რომლებმაც ალლაჰის გზაზე, არც ქონება და არც სიცოცხლე არ დაიშურა და შეჰიდად გარდაიცვალა. შუამავალს ისინი არასდროს დავინწყებია და გულიდან არასდროს მოუშლია მათი სახელები. შუამავალი ხშირად გაიხსენებდა იმ ადამიანებს და მათთვის ალლაჰს ევედრებოდა. სწორედ, ხალხთან ამ ბოლო შეხვედრაზეც, ალლაჰს მათთვის უნდა შევედრებოდა და მის ვედრებაზე უამრავი ხალხის ნათქვამი სიტყვა „ამინ“ უნდა გაეგონა. ამ ჰადისის გადმომცემი ადამიანი მოგვითხრობს:

„შუამავალმა თავდაპირველად „ქელიმეი შეჰადეთი“ (ალლაჰის ერთობის დამამტკიცებელი სიტყვები) თქვა და მერე ხალხს მიმართა:

„ადამიანებო, იმ ერთადერთი ალლაჰის სახელს ვადიდებ, ვის გარდაც სხვა ღმერთი არ არსებობს! შემდეგ კი, როგორც ყოველთვის, უჭუდის დღეს დაღუპული მუსლიმანებისთვის ალლაჰს შეევედრა.<sup>199</sup>“

მას შემდეგ შუამავალმა ერთგულება ანსარების მიმართ გამოხატა. „ადამიანები მრავლდებიან, მაგრამ ანსარები მცირდებიან. ისინი ისე შემცირდებიან, როგორც საჭმელში მარილი. თქვენგან ვინც საქმეს სათავეში მოექცევა და შესაძლებლობა ექნება, ანსარების მიერ გაკეთებული სიკეთის სამავგიეროდ, მათ მიმართ სიკეთე გამოი-

198. მუსლიმი, ჯენაიზი, 62-68. იბნ ჰანბელი, 4, 7.

199. იბნ სადი, 2, 228, 251.





ჩინოს, ხოლო მათგან შეცდომის ჩამდენ ადამიანებს დანაშაული აპატიოს.<sup>200</sup>

„თქვენ ანსარების მიმართ კარგად მოქცევას გირჩევთ. ისინი ჩემი მიმდევრები, ერთგულები და მესაიდუმლენი არიან. მათ თავიანთი მოვალეობები პირნათლად შეასრულეს. მათი გაკეთებულის სამაგიერო ჯერ მთლიანად ალებული არ აქვთ. (მათ სამაგიეროს ალლაჰი იმქვეყნად გადაუხდის). ამის გამო, მათ მიერ გაკეთებული კარგი საქმეები შეაფასეთ და ჩადენილი შეცდომებისთვის პასუხი არ მოსთხოვოთ.“<sup>201</sup>

შუამავალი ამის შემდეგ ხალხის წინაშე სიტყვით აღარ გამოსულა. მისთვის ისლამის გავრცელებაში უდიდესი დახმარების გამწვევი ანსარები თანამიმდევრებს ჩააბარა. ამით თავისი მოვალეობა ალლაჰისა და ხალხის წინაშე დაასრულა და ალლაჰს ჩაბარდა.

ძალიან ბევრია მსგავსი მაგალითები, რომლებშიც მოთხრობილია მუჰამედ შუამავლის ერთგულებაზე. ის არასდროს ივიწყებდა იმ ადამიანებს, ვინც მას და მის ამხანაგებს ოდესმე დახმარება გაუწია.

მექას ალების შემდეგ თანამიმდევარი ანსარები, ძალიან დაღონდნენ იმის გამო, რომ შუამავალი მათ მიატოვებდა და საცხოვრებლად მექაში დარჩებოდა, მაგრამ ის ასე არ მოიქცა და ისევ მედინაში დაბრუნდა.

მუჰამედ შუამავალს ყოველთვის ახსოვდა მუჰაჯირების დამსახურება, მათი, ვინც პირველებმა მიიღეს ისლამი და პირველებმა ურწმუნოთა ბოროტება იწვინეს. მას ყოველთვის ახსოვდა ისინი და ყოველ მოსახერხებელ შემთხვევაში მათ წვლილს აღნიშნავდა. მათ შორის გამორჩეული ადგილი აბუ ბაქრს ეჭირა. მასზე ის ასე ამბობდა:

„ყველას, ვინც ოდესმე ჩვენ დაგვხმარებია, გარდა აბუ ბაქრისა, მეტი ან ნაკლებით გადავუხადეთ! მან იმდენი კარგი საქმე გავგიკეთა, რომ მათ გამო, მხოლოდ ალლაჰს ძალუძს მისი დაჯილდოვება. მატერიალურად მე ისე არავინ დამხმარებია, როგორც აბუ ბაქრი. მე რომ მეგობარი ამერჩია, აუცილებლად მას ვისურვებდი. (თა-

200. ბუჰარი, მენაქიბულ-ანსარი, 11.

201. ბუჰარი, მენაქიბულ-ანსარი, 11.





ვისთავზე მან თქვა): „გათვალისწინეთ, თქვენი ამხანაგი ალლაჰის მეგობარია!“<sup>202</sup>.

შუამავლის ერთგულებისა და თავდადების უამრავი მაგალითის მნიხველმა თანამიმდევრებმაც ერთგულების უამრავი მაგალითი გვიჩვენებს. აბუ ბაქრი როცა ხალიფა გახდა, განაცხადა: „შუამავალი ვისაც ქონების მიცემას დაპირდა, — ყველა მოვიდეს და თავისი წილი მიიღოს!“ ასეთი განცხადებით მიმართა აბუ ბაქრმა ხალხს და ბაჰრეინიდან ჩამოსული ქონება დაუნანილა.

ალიმ შუამავლის გარდაცვალების შემდეგ განაცხადა: „შუამავალს ვისთანაც რაიმე ვალი დარჩა, ან დანაპირები შეუსრულებელი — ყველა ჩემთან მოვიდეს!“ სანამ ცოცხალი იყო, ყოველ წელიწადს ალი მინაზე ყურბნის დაკვლის დროს ხალხში ასეთ განცხადებას აკეთებდა. ვინც მასთან მივიდა, ყველას თავისი წილი გადაუხადა. ალის სიკვდილის შემდეგ, მისმა შვილებმა — ჯერ ჰასანმა, შემდეგ კი ჰუსეინმა განაგრძეს ამ საქმის კეთება.<sup>203</sup>

## 12. დარბაისლობა და სიმშვიდე

დარბაისლობა — ადამიანის ისეთი იშვიათი თვისებაა, რომელიც გარშემომყოფთა შთამბეჭდაობით არის გამონწვეული და ქცევის მანერებში, ზომიერებაში, სიფრთხილეში, წესიერებასა და მორცხვობაში გამოიხატება.

აუცილებელია უდიდებულესობის ისეთი უარყოფითი თვისებებისგან განსხვავება, როგორიცაა ქედმაღლობა, სიამაყე, ამპარტავნობა და სხვა. ჩვეულებრივ მაღალი წრის ადამიანები ვერავის ეგუებოდნენ, ხასიათი მოშხამული აქვთ, ყოველთვის დაღვრემილი და უკარება არიან, მაშინ როცა დარბაისლობა დადებითი ნიშანია, რის გამოც თანამოსაუბრე ვალდებულია პატივსცემით საუბრობდეს.

ყურანის ერთ-ერთ აიათში უზენაესი ალლაჰი გვეკითხება: „რა გემართებათ თქვენ, რომ არ გულისხმაჰყოფთ ალლაჰის სიდიადეს?“<sup>204</sup>

ალლაჰი ადამიანებს მის დაჯერებას, მისი შიშისა და მის მიმართ დელიკატურად მოქცევისაკენ მოუწოდებს. მის საფასურად ის ადა-

202. თირმიზი, მენაქიბი, 15

203. იბნ სადი, 2, 318, ბუჰარი ქეფალე, 3.

204. სურა ნუჰი, აიათი 13.



მიანებს ასეთი საქციელის შეფასებას და მაღალ საფეხურზე აყვანას ჰპირდება.

ამას გარდა, სიტყვა „სიდარბაისლე“, რომელიც ალლაჰისა და მისი შუამავლისადმი გამოიყენება, პატივისცემის ჭეშმარიტ გამოვლენას ნიშნავს. შუამავლის კიდევ ერთი მოვალეობა, ადამიანებზე ალლაჰისა და მისი შუამავლის წინაშე მოქცევის წესების სწავლებაა. ამ საკითხთან დაკავშირებით ალლაჰი აიათში ბრძანებს:

إِنَّا أَرْسَلْنَاكَ شَاهِدًا وَمُبَشِّرًا وَنَذِيرًا لِّتُؤْمِنُوا بِاللَّهِ وَرَسُولِهِ  
وَتُعَزِّرُوهُ وَتُوَقِّرُوهُ وَتُسَبِّحُوهُ بُكْرَةً وَأَصِيلًا

**„უეჭველად, ჩვენ წარგზავნეთ მოწმედ, მახარობლად და შემგონებლად! რათა ირწმუნოთ ალლაჰი და მისი შუამავალი. შეენიოთ მას, პატივი დასდოთ და ადიდოთ იგი დილით და საღამოს!“<sup>205</sup>**

ამ აიათში ნაბრძანებია ალლაჰისა და მისი შუამავლის რწმენა, მათი სიდარბაისლის გამოჩენა, ანუ მათ მიმართ პატივისცემა და კათილგანწყობა. დარბაისლობის მისია ადამიანმა სწორედ ამის გაკეთების შემდეგ შეიძლება მიიღოს.

დარბაისლობა ყველას მიერ მოსაწონი და საყვარელი თვისებაა. ასეთ ადამიანს სხვისი ქების შემდეგ სიამაყე არ უნდა გაუჩრდეს და თავისთავის კონტროლი უნდა შეძლოს. დარბაისლობისა და სიმშვიდის ერთ რომელიმე ადამიანში თავმოყრის შემდეგ, შეიძლება ჩაითვალოს, რომ მიზანი მიღწეულია. ყურანის ერთ-ერთ აიათში ლაჰარაკია ისეთ თვისებებზე, რაც მუსლიმან ადამიანებს უნდა ახასიათებდეთ:

وَعِبَادُ الرَّحْمَنِ الَّذِينَ يَمْشُونَ عَلَى الْأَرْضِ هَوْنًا وَإِذَا خَاطَبَهُمُ الْجَاهِلُونَ قَالُوا سَلَامًا

**„ხოლო მოწყალის მსახურნი არიან ისინი, რომელნიც მოკრძალებულად დადიან ქვეყანაზე და როცა უმცვარი შემოხვდებათ ეუბნებიან: „სალამი!“<sup>206</sup>**

205. სურა ფეთიჰი, აიათები 8-9.

206. სურა ფურყანი, აიათი 63.





შუამავლის დარბაისლობა და მორჩილება ადამიანების კეთილი გრძნობების გაღვიძებითა და მათი სიყვარულით იყო განპირობებული. შუამავალი ადამიანთა შორის ყველაზე ლამაზი თვისებების მქონე იყო. ის ყოველთვის ხმადაბლა საუბრობდა და არასდროს ღელავდა. ამასთან ერთად, ცუდის გამკეთებელს ცუდითვე არასდროს პასუხობდა. ის ყოველთვის ცდილობდა ეპატიებინა დანაშაული დამნაშავეისთვის და წყენა მალე დაევიწყებინა.<sup>207</sup>

ყველაზე ძვირფასი ღვთისმსახურების, ანუ ნამაზის სალოცავად ნასვლის დროსაც დაბალი ხმით ასე ბრძანებდა:

„სალოცავად, სირბილით კი არა, დინჯი სიარულით წადით! რასაც მიუსწრებთ, ის ნაწილი იმამთან ერთად ილოცეთ! რომელ მუხლებსაც ვერ მიუსწრებთ, ისინი თვითონ შეასრულეთ!“<sup>208</sup>

იბნ აბბასის გადმოცემის მიხედვით, არაფა დღეს, არაფა-ტიდან მუზდელიფეში დაბრუნების დროს, შუამავალს უკნიდან მომლოცველთა ყვირილი და აქლემებზე მათრახის ტყლაშუნის ხმა შემოესმა. მან მათრახის მაღლა აწევით ხალხს სიჩუმისაკენ მოუწოდა და უთხრა:

„ადამიანებო, მშვიდად და ჩუმად იყავით! სიჩქარით მაღლი არ მოიგება.“<sup>209</sup>

შუამავალი ადამიანების მიერ ყველაზე გაბრაზებულ დროსაც კი სიმშვიდეს არ არღვევდა და თავს აკონტროლებდა. ენესის გადმოცემით:

„შუამავალთან ერთად მივდიოდი. შუამავალს ნეჯრანის ნაჭრის უხეში მოსასხამი ეცვა, რომლის კიდურები სქელი ნაჭრით იყო შემოკერილი. ერთი ბედუინი შუამავალს მოსასხამზე მიწვდა და მოქაჩა, რის გამოც უხეშმა ქსოვილმა მას კისერზე წითელი ზოლები დაუტოვა. ამის შემდეგ ბედუინმა შუამავალს უთხრა:

— მუჰამმედ, უბრძანე, რომ ალლაჰის მოცემული შენს ხელთარსებული ქონებიდან ცოტა მეც მომცენ. შუამავალმა ბედუინს შეხედა, გაუღიმა და სურვილი შეუსრულა.<sup>210</sup>

207. დარიმი, მუყადდიმე, 2.

208. ბუჰარი, ეზანი, 20-21.

209. ბუჰარი, ჰაჯი, 94.

210. ბუჰარი, ჰუმუსი, 19.



შუამავალს თავისი ცხოვრების განმავლობაში არც ერთი ქალისა და მოსამსახურისთვის ხელი არ გაურტყამს, გარდა გამონაკლისისა, როცა ის ალლაჰის გზაზე იბრძოდა. მისთვის შეურაცხყოფის მიმყენებელი ადამიანების მიმართ რევანშის აღებაც არასდროს უფიქრია. ის მხოლოდ ალლაჰის მიერ აკრძალული ქონების შემჭმელი ადამიანების დასჯას მოითხოვდა.<sup>211</sup>

ალლაჰის შუამავალი საზოგადოების წინაშე ყოველთვის მოკრძალებით და ნელგამართული ჯდებოდა. მის მოუწონარ მდგომარეობას ვერასდროს შენიშნავდით. ხშირად გაირინდებოდა და მყუდროებას იშვიატად არღვევდა. ზედმეტ სიტყვას არასდროს იტყოდა. აბუ მალიქ ელ-ემჰჯაი მამამისის ნაამბობს გადმოგვცემს: ახალგაზრდობაში ჩვენ ხშირად შუამავლის საზოგადოებაში ვისხედით. ამ დროს შუამავალზე დიდხანს გარუმებული ადამიანი არავინ მინახავს. როცა თანამიმდევრები საუბრობდნენ ან კამათობდნენ, ის მშვიდად ისმენდა და ილიმებოდა.<sup>212</sup>

### 13. ზომიერება

სიტყვა „ზომიერება“ რელიგიურ ტერმინოლოგიაში პირდაპირი გზით სვლას ნიშნავს, როცა ადამიანი სხვადასხვა უკიდურესობაში არ ვარდება, იგი ყველაფერში ზომიერებას იცავს. ზომიერება — აგრეთვე, თავშეკავებულობას, წონასწორობას და სიმშვიდეს ნიშნავს.

ისლამი — ჭამის, სმის, ჩაცმის, დახურვის, ქონების გამოყენების, ღვთისმსახურების მსგავს საქმეებში გადაჭარბებას კრძალავს და საშუალო მდგომარეობის არჩევას ბრძანებს. ამიტომ ყველაზე უკეთესი ადამიანისთვის სწორედ ზომიერებაა. ალლაჰმა ყველა ადამიანი თანასწორუფლებიანი გააჩინა და ყველას ზომიერებისკენ მოუწოდა. აიათში ის ასე ბრძანებს:

وَالسَّمَاءِ رَفَعَهَا وَوَضَعَ الْمِيزَانَ أَلَّا تَطْغَوْا فِي الْمِيزَانِ

„და ზეცაც, რომელიც აღმართა. და განათავსა სასწორი, რომ არ გადახდეთ წონაში.“<sup>213</sup>

211. მუსლიმი, ფედაილი, 79.

212. ჰეისემი, 10, 298.

213. სურა რაჰმანი, აიათები 7-8.





ადამიანი ვალდებულია ზომიერი ცხოვრება აირჩიოს და გადაჭარბებული არაფერი მოინდომოს. ასეთი ცხოვრების გზა ალლაჰისა და შუამავლის რჩეული გზაა. ყოვლისშემძლე ალლაჰმა თავისი საყვარელი მონა-მსახური მუჰამედ შუამავალი გააფრთხილა მხოლოდ იმისთვის, რომ ის ძალიან ჩქარობდა ღვთაებრივი შთაგონების დაზეპირებას. ყურანში ამაზე ნათქვამია:

لَا تُحْرِكْ بِهِ لِسَانَكَ لِتَعْجَلَ بِهِ إِنَّ عَلَيْنَا جَمْعَهُ  
وَقُرْآنَهُ فَإِذَا قَرَأْنَاهُ فَاتَّبِعْ قُرْآنَهُ ثُمَّ إِنَّ عَلَيْنَا بَيَانَهُ

„არ დაძრა მისით ენა შენი, რათა დააჩქარო იგი! შეჭველად, ჩვენზეა მისი შეკრება და წაკითხვა. მაშ, როცა ვკითხულობთ მას, მაშინ აჰყევი მის კითხვას! შემდეგ, შეჭველად, ჩვენზეა განმარტება მის“<sup>214</sup>

უზენაესმა ალლაჰმა შუამავალზე გარდმოვლენილი შთაგონების დროს, როდესაც დაინახა შუამავლის აღელვება და შიში, ბრძანა: „არ გარდმოგვივლენია შენზე ყურანი იმისთვის, რომ სირთულეში ჩავარდე“<sup>215</sup>

ამით ალლაჰმა შუამავალს ზომიერებისაკენ მოუწოდა. აგრეთვე, უზენაესი ალლაჰი ბრძანებს კეთილი საქმეების კეთებისა და დახმარების აღმოჩენისას საზღვრებს არ გადასცდეს:

وَلَا تَجْعَلْ يَدَكَ مَغْلُولَةً إِلَىٰ عُنُقِكَ وَلَا تَبْسُطْهَا  
كُلَّ الْبَسْطِ فَتَقْعُدَ مَلُومًا مَّحْسُورًا

„და ნუ იქნები ხელმომჭირნე და ნურც გაშლი მას ბოლომდე, თორემ იმედგაცრუებული, გადატაკებული დარჩები!“<sup>216</sup>

ადამიანი, არც ძუნწი უნდა იყო და არც უზომოდ ხელგაშლილი. ეს ორივე მდგომარეობა ადამიანისთვის მავნებელია. ამიტომ ყველაზე უკეთესი ზომიერებაა. ალლაჰი ასეთ ადამიანებს ეფერება და მათ საპატიო მსახურების სიაში სწერს. ამ მდგომარეობას ალლაჰი აიათში ასე გამოხატავს:

214. სურა „ყიამეთი“, 75/16-19.

215. სურა თაჰა, აიათი 2.

216. სურა ისრა, აიათი 29.





**„ხოლო რომელნიც, როცა შემოწირულობას გასცემენ, არც ფლანგავენ და არც ძუნწობენ, საშუალოს ირჩევენ მათ შორის,“<sup>217</sup>**

ამ ორი საქმის გაკეთების დროს ეშმაკი ყველანაირად ეცდება, ადამიანი ყოველმხრივ შეაცდინოს. მისთვის სულერთია, რომელი მხრიდან დააშვებინებს მას შეცდომას. საბოლოო შედეგი მისთვის ერთნაირია. ამის გამო, ალლაჰმა ადამიანებს სარწმუნოება გაუმარტივა. სარწმუნოებაში ალლაჰის სახელით ადამიანებზე დაძალება არასწორ ქმედებად აღიარა და ამის გაკეთების უფლება არავის მისცა.

**„ისეთი ღვთისმსახურება, რომლის გაკეთებაც აუცილებელი არ არის, შეძლებისდაგვარად გააკეთეთ, რადგან ალლაჰის წინაშე ყველაზე ძვირფასი, განუწყვეტელი ღვთისმსახურებაა!“<sup>218</sup>**

თანამიმდევრები ხშირად შუამავლის მიერ გაკეთებული ღვთისმსახურების შესახებ მის ცოლს ეკითხებოდნენ. შუამავლის გაკეთებული ღვთისმსახურების თვითმხილველმა ადამიანებმა საკუთარ თავს უთხრეს:

— შუამავალთან ჩვენი შედარება როგორ შეიძლება? მას ხომ მთელი წარსულისა და მომავლის ცოდვები ალლაჰმა აპატია.

მათგან ერთ-ერთმა ასე თქვა:

— მე ჩემი ცხოვრების ბოლომდე ღამლამობით არ დავიძინებ და დილაზე ნამაზს ვილოცავ!

მეორემ თქვა:

— მე კი მთელი ცხოვრების ყოველი დღე მარხვაში უნდა გავატარო.

მესამე თანამიმდევარმა თქვა:

— მე მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში ქალებიდან თავი შორს უნდა დავიჭირო და არასდროს არ უნდა დავქორწინდე!

ცოტა ხნის შემდეგ მათთან შუამავალი მივიდა და უთხრა:

**„ალლაჰის წინაშე ასეთი პირობის დამდეგი ადამიანები თქვენ ხართ? მინდა თქვენ გაგაფრთხილო! ვფიცავ ალლაჰს, მე თქვენ შო-**

217. სურა ფურყანი, აიათი 67.

218. იბნ მაჯე, ზუჰდი, 28.





რის ალლაჰის ყველაზე ღვთისმოშიში ვარ, მაგრამ მე ხან მარხული ვარ, ხან — არა. ღამეში ნამაზსაც ვლოცულობ და თან მძინავს კიდეც. ამ ყველაფერთან ერთად დაქორწინებულიც ვარ. ვინც ჩემს სუნნეთს უარჰყოფს, ის ადამიანი ჩემს მიმდევრად აღარ ითვლება.“<sup>219</sup>

შუამავლის მიერ თანამიმდევრების მიმართ არასავალდებულო ღვთისმსახურების ზომიერების განსაზღვრა მათდამი გამოჩენილი ერთ-ერთი ღმობიერებაა. ყველას იმის ძალა არ გააჩნია, რომ ყოველთვის ბევრი ღვთისმსახურება გააკეთოს. ამიტომ ყოველ ადამიანს იმის თავისუფლება მიენიჭა, რომ არასავალდებულო ღვთისმსახურება შეძლების და სურვილის მიხედვით შეასრულოს.

როგორც ცნობილია, ისლამში გადაჭარბებული ღვთისმსახურება ღვთაებრივი კანონებით აკრძალულია. ამასთან დაკავშირებით, ალლაჰი აიათში ასე ბრძანებს:

يَا أَيُّهَا الَّذِينَ آمَنُوا لَا تَحْرُمُوا طَيِّبَاتٍ مَا أَحَلَّ اللَّهُ لَكُمْ وَلَا تَعْتَدُوا إِنَّ اللَّهَ

لَا يُحِبُّ الْمُعْتَدِينَ

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ აიკრძალოთ სიამენი, რომელზეც ალლაჰმა ნება მოგცათ თქვენ, მაგრამ არ გადახვიდეთ ზღვარს. შეეჭველად, ალლაჰს არ უყვარს ზღვარგადასულნი.“<sup>220</sup>

მოცემული ღვთაებრივი შთავგონების მიზეზი შემდეგი შემთხვევაა. შუამავალმა ერთ დღეს თანამიმდევრებს განკითხვის დღის შესახებ ესაუბრა. თანამიმდევრებმა ძალიან განიცადეს და იტირეს. შემდეგ მათგან ათი ადამიანი ოსმან იბნ მაზუნის სახლში შეიკრიბა. მათ შორის აბუ ბაქრი და ალიც იყვნენ. იქ გამართული საუბრის შემდეგ გადანყვიტეს, რომ იმ დღის შემდეგ ყოველდღე იმარხულებდნენ, ღამეებს ღვთისმსახურებაში გაატარებდნენ, ხორცს აღარ ჭამდნენ, ცოლებს ახლოს აღარ გაეკარებოდნენ, კარგ სუნამოს აღარ მოიხმარდნენ და ტყუილუბრალოდ აღარსად წავიდოდნენ. ამ ამბავმა შუამავალმდეც მიაღწია. შუამავალი ადგა და ოსმან იბნ მაზუნის სახლში მივიდა, მაგრამ ოჯახის უფროსი სახლში არ დახვდა. მაშინ ალლაჰის შუამავალმა ოსმანის ცოლს სთხოვა, გადაეცა მისი მეუღლისთვის, რომ თავის მეგობრებთან ერთად მას სახლში სწვეოდა.

219. ბუჰარი, ნიქაჰი, 1.

220. სურა მაიდე, აიათი 87.





რამდენიმე ხნის შემდეგ ყველა თანამიმდევარი ალლაჰის შუამავლის წინაშე წარსდგა, რომელმაც მათი გადანყვეტილების ყველა მუხლი ჩამოუთვალა და შემდეგ ჰკითხა:

— თქვენ ხომ გადანყვეტილება ერთხმად მიიღეთ?

ყველა იქ დამსწრემ ერთხმად უპასუხა:

— დიახ, შუამავალო! ჩვენ მიერ ასეთი გადანყვეტილების მიღების მიზეზი მხოლოდ კეთილშობილური განზრახვაა. პასუხად შუამავალმა მათ უთხრა:

— რა თქმა უნდა, თქვენთვის ასეთი რამეების ვაკეთება მე არ მიბრძანებია. თქვენ საკუთარი თავის პასუხისმგებელი თვითონ ხართ. ხანდახან იმარხულეთ, ხანდახან კი ჭამეთ! ღამეში ღვთისმსახურებაც ვაკეთეთ და თან იძინეთ! მე ღვთისმსახურებასაც ვაკეთებ და თან მძინავს. ხან მარხული ვარ, ხან — არა. ხორცსაც ვჭამ და მეუღლეებთანაც კავშირი მაქვს. ვინც ჩემს სუნნეთს უღალატებს, ის ჩემს მიმდევრად აღარ ითვლება.“ შემდეგ შუამავალმა თავისი ყველა თანამიმდევარი შეკრიბა და შემდეგი სიტყვით მიმართა:

„ზოგიერთ ადამიანს რა ემართება, რომ ცოლთან ერთად ყოფნას, ჭამა-სმას, სუნამოს გამოყენებას, ძილს და კიდევ სხვადასხვა ამქვეყნიურ ჰალალ რამეებს, ჰარამად აცხადებენ? რა თქმა უნდა, მე თქვენ ასეთ რამეებს არასდროს გიბრძანებ. არც ჩემს სარწმუნოებაში არ არის ნაბრძანები ხორცის უჭმელობა, ცოლებთან ურთიერთობის განწყვეტა და სხვა ამგვარი საქმეები. თქვენი მოვალეობაა — ალლაჰი ცნოთ, რამაზნის მთვარეში ნაბრძანები მარხვა შეასრულოთ, ჰაჯობა გააკეთოთ, ნამაზი ილოცოთ, ზეჯათი გადაიხადოთ და მართალი ადამიანები იყოთ, რომ სხვებმა თქვენგან მაგალითი აიღონ. თქვენზე ადრე მოსული მიმდევრები გადაჭარბების გამო დაისაჯნენ. სარწმუნოება თავიანთი სურვილის მიხედვით შეიცვალეს და საქმე უფრო გაირთულეს. ამიტომ ალლაჰმაც ისინი დასაჯა.“<sup>221</sup>

შუამავალმა თანამიმდებრები გააფრთხილა, რომ იგივე შეცდომები აღარ დაეშვათ, რის გამოც მასზე ადრე მოსული მიმდევრები დაისაჯნენ. ეს საკითხი შემდეგ ჰადისში ღიად არის განმარტებული:

„ზომიერება დაიცავით! სრულყოფილების მიღწევას და ალლაჰთან დაახლოებას შეეცადეთ! დილაობით, შუადღისას და საღამოობით“

221. ვაჰიდი, გვ. 207-208.





*მოს იმუშავეთ! ლამის ერთი მონაკვეთითაც ისარგებლეთ! გაფრთხილებთ, ფრთხილად იარეთ, ზომიერება დაიცავით, რომ თქვენთვის სასურველ შედეგს მიაღწიოთ!*<sup>222</sup>

დინჯად და გათვლილი ანგარიშით მავალი ადამიანები თავიანთ სანადელს ადვილად მიაღწევენ. ხოლო ისინი ვინც უადგილოდ აჩქარდებიან, გზაში საკმაო პრობლემებს შეხვდებიან, რის გამოც შეფერხდებიან.

შუამავალი ღვთისმსახურებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, მაგრამ ზედმეტის გაკეთებას არავისგან მოითხოვდა.

ჯაბირ იბნ სუმერე გადმოგვცემს: „*ნამაზს შუამავალთან ერთად ვლოცულობდი. მისი ნალოცი ნამაზი და ჰუთბე ნორმალურ დროში ეტეოდა და ზომიერი იყო.*“<sup>223</sup>

მუსლიმი ადამიანი, თავდაჯერებული და განონასწორებულია. ის ყველგან და ყოველთვის, საუბარსა თუ მოქმედებაში ზომიერებას გამოიჩენს. ადამიანები ამქვეყნაზეც მრავალ პრობლემას გადაეყრებიან და იმქვეყნადაც დაისჯებიან. ასეთი ადამიანები არც სხვებისთვის არიან საყვარელი. შუამავალი ბრძანებს:

*„სიტყვისა და საქმის დროს ზომიერებას გადაჭარბებული ადამიანები საბოლოოდ განადგურდებიან.“*<sup>224</sup>

ამ ჰადისით შუამავალმა კიდევ ერთხელ შეახსენა ადამიანებს ზომიერების დაცვა.

როგორც ყველა მოქმედების დროს, სიყვარულსა და სიძულვილშიც ზომიერებაა საჭირო. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას არ უნდა გადააჭარბო. არც საძულველ ადამიანთან შეიძლება საერთოდ კავშირის განწყვეტა. ამის შესახებ შუამავალი ერთ-ერთ ჰადისში ე ბრძანებს:

*„მეგობარი ზომიერად შეიყვარე, იმიტომ, რომ ერთ დღეს შეიძლება ის მტრად გექცეს! მტერს კი ზომიერად მოეპყარი, რადგან ერთ დღეს შეიძლება ის დაგიმეგობრდეს!“*<sup>225</sup>

222. ბუჰარი, რიყაყი, 18.

223. მუსლიმი, ჯუმა, 41-42.

224. მუსლიმი, ილიმი, 7.

225. თირმიზი, ბირრი, 60.





შუამავალმა ამგვარად გამოზარდა თავისი ერთგული თანამიმდევრები, მათ ყველა საკითხში საუკეთესო მაგალითი აჩვენა.

ამრიგად, მეგობრებთან ურთიერთობისას არ უნდა ველოდოთ არც გადაჭარბებული თავისებების გამოვლენას და არც ნებადართულ საზღვრებს გადაცილებას. ყველაზე მთავარი ხალხთან ურთიერთობაში ზომიერების დაცვა და უკეთესობისაკენ სწრაფვაა. მორწმუნე ვალდებულია ეშმაკისგან თავი შორს დაიჭიროს და ყველაფერში ზომიერი იყოს, ვინაიდან მისი დაცვა და შუაგზის დაჭერა ალლაჰის შუამავლის ერთ-ერთი შესანიშნავი თვისებაა.

#### 14. სამართლიანობა და სწორი მიმართულება

სამართლიანობა — სიმართლეს, პატიოსნებას და წესრიგს ნიშნავს. მოცემული სიტყვა, ყოველდღიურ ცხოვრებაში გონების სახელმძღვანელოა. ტერმინი „სამართლიანობა“ იოტისოდენა გადახვევის გარეშე სწორი გზით სიარულს ნიშნავს. მისი ანტონიმია სიტყვა „ტყუილი“, რაშიც მრუდე გზით სიარული, მორალურ-ზნეობრივი ნორმების დარღვევა და პირობის შეუსრულებლობა იგულისხმება.

სამართლიანობა, ისლამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი და ხასიათის მშვენიერი თვისებაა. მუდმივი გადარჩენის მოსაპოვებლად ყოველთვის სამართლიანობაა საჭირო. ამიტომ, სწორედ ამ თვისების საშუალებით შეიძლება ჩვენში არსებული სულიერი დაავადებების განკურნვა.

ჩვენი სარწმუნოება, ტყუილის თქმისგან თავის არიდებას და სამართლიანი გზით სიარულს მნიშვნელოვან ადგილს უთმობს. ძვირფასი ადამიანების თვისებებში მთავარი ადგილი სიმართლეს უჭირავს.

ჭეშმარიტება სულიერი თვისებაა, რომელიც ყველა მაღალ მორალურ-ზნეობრივ ნიშანს შეიცავს.

მათ, ვისაც ალლაჰის, განკითხვის დღის, ზეციური ანგელოზების და ღვთაებრივი წიგნების სჯერა, ვინც ნათესავეს, ობლებს, მათხოვრებს, მგზავრებს, გაჭირვებულებს, მონებს და ტყვეებს ეხმარება, „სამართლიანებს“ უწოდებენ. ეს ის ხალხია, ვინც ნამაზს ლოცულობს, ზეჟათს იხდის, თავიანთ პირობას ასრულებს და სხვადასხვა პრობლემის წარმოქმნისას მოთმინებას იჩენენ. ამას გარდა, სიტყვა „სა-





მართლიანობა“ ყველა მუსლიმანს ახასიათებს.<sup>226</sup> „...უყვარს ქონება, მაგრამ მინც ურიგებს ახლობლებს, ობლებს, უპოვრებს, მოგზაურებს, მთხოვნელებსა და მონებს ; ლოცვად დგება, ზექათს არიგებს, და ასრულებს პირობას, თუკი დებს მას; მოთმინებით იტანს უბედურებას, გასაჭირსა და განსაცდელს. სწორედ ეგენი არიან ერთგულნი და (აღლაჰის სასჯელისგან) დაცულნიც სწორედ ეგენი არიან.“

მუსლიმების ყველაზე დიდი წარმატება ჭეშმარიტ გზაზე ყოფნაა.<sup>227</sup>

„იმათი გზით, ვისაც სიკეთე უბოძე შენ, და არა იმათი გზით, ვისაც შენი რისხვა დაატყდა თავს და არც იმათის, რომელნიც მცდარ გზაზე დგანან“

უზენაესმა ალლაჰმა თავის საყვარელი შუამავალი ასე გააფრთხილა:

فَأَسْتَقِمَّ كَمَا أَمَرْتِ وَمَنْ تَابَ مَعَكَ وَلَا تَطْغَوْا

إِنَّهُمْ لَا يَعْمَلُونَ بَصِيرَةً

„მაშ, მტკიცედ იდექი, როგორც გებრძანა, და ვინც მოიქცა შენთან ერთად . და არ გადახვიდეთ ზღვარს. უეჭველად, იგი ხედავს, რასაც სჩადიხართ!“<sup>228</sup>

ამ აიათში ყურადღება გამახვილებულია იმ საკითხზე, რომ ადამიანებს ალლაჰის ბრძანებების დაჯერებისა და მათი მიხედვით მოქმედების დროს, სწორი გზიდან გადახვევის საშიშროება არ ემუქრება. უზენაესი ალლაჰი მუჰამმედ შუამავალს აფრთხილებს: „ურწმუნო ადამიანების ლაპარაკს ყურადღებას ნუ მიაქცევ, ისინი ალლაჰს მიანდე! შენ შენი საქმე აკეთე ისე, როგორც ალლაჰი გიბრძანებს და სწორი გზიდან არ გადაუხვიო! შენი გასაკეთებელი საქმე, როგორი რთულიც არ უნდა გამოდგეს, არ შეგეშინდეს, რადგან ალლაჰი იქნება შენი დამხმარე!“<sup>229</sup>

ნაბრძანები კანონების ფარგლებში ცხოვრების მართვა არცთუ ისე ადვილია. ამას დიდი მონდომება სჭირდება, მაგრამ შეუძლებელი

226. სურა ბაყარა, აიათი 177. სურა აჰზაბი, აიათი 35.

227. სურა ფათიჰა, აიათი 6.

228. სურა ჰუდი, აიათი 112.

229. ელმალილი, IV, 2829-2830.





არაფერია. ამ საკითხთან დაკავშირებით, შუამავალი ბრძანებს: „მე სურა „ჰუდი“-მა ასაკი შემმატა.“<sup>230</sup>

აღლაჰი კიდევ ერთ აიათში ასე ბრძანებს:

**„და შეეჭველად, ესაა გზა ჭეშმარიტი, გააჰყევით მას და არ გააჰყევით გზებს, რომელიც დაგაშორებთ თქვენ მასთან. აი, რას გინეხებთ იგი, ეგების დაცული იქმნეთ ყოველივე ცუდისაგან!“<sup>231</sup>**

ცხოვრება ძალიან ხანმოკლეა, ამიტომ ადამიანს ძალიან ცოტა დრო აქვს იმისათვის, რომ მის მიერ ჩადენილი ცოდვები მოინანიოს. შეიძლება მოხუცებულობაში გამოხატული მონანიება საკმარისი არ აღმოჩნდეს მისი გადარჩენისათვის.

შუამავალი ადამიანთა შორის ყველაზე მართალი პიროვნება იყო. მისი სამართლიანობის შესახებ, ყველაზე დიდი მტრებიც, კი როგორც იყვნენ — აბუ ჯეჰილი, ნადრ იბნ ჰარისი და შემდგომში გამუსლიმებული აბუ სუფიანი ხშირად კამათობდნენ. მათ იცოდნენ, რომ შუამავალი ერთ-ერთი ყველაზე სამართლიანი ადამიანი იყო. მისგან ტყუილი არავის არ გაუგონია. ის ხუმრობის დროსაც კი სიმართლეს ამბობდა და თავისი სიტყვა არასდროს გაუტეხია.

შუამავალი აღლაჰის კანონების მიხედვით ცხოვრობდა და თავისი თანამიმდევრებისგანაც იგივეს მოითხოვდა. ის, მათ ამ საკითხთან დაკავშირებით ხშირად ესაუბრებოდა და დარიგებებს აძლევდა. შუამავალი თანამიმდევრებს ეუბნებოდა: *„თუგინდ თქვენს მიზანს ვერ მიაღწიოთ, შეეცადეთ ჭეშმარიტების გზას არ აცდეთ!“<sup>232</sup>* ამ ჰადისით შუამავალი, ადამიანებს მხოლოდ სიმართლისკენ მოუწოდებდა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. სუფიანი იბნ აბდულლაჰი გადმოგვცემს:

„ჩვენ ერთხელ შუამავალს ვუთხარით:

— შუამავალო, ისლამი ისე აგვისხენი, რომ მის შესახებ კიდევ ერთხელ სხვაზე კითხვა აღარ დაგვჭირდეს! შუამავალმა მიპასუხა:

*„თქვი, რომ აღლაჰის გჯერა და სამართლიანი იყავი!“<sup>233</sup>*

უპირველეს ყოვლისა, ადამიანი ვალდებულია აღლაჰის წინაშე სამართლიანი და გულწრფელი იყოს. ის აღლაჰის წინაშე გულწრფელი არა მარტო სიტყვით, არამედ ფიქრით, განზრახვითა და გრძ-

230. თირმიზი, თაფსირი, 56-6. ქურთუბი, 9, 107.

231. სურა ენაამი, აიათი 153.

232. იბნ მაჯე, თაჰარეთი, 4.

233. მუსლიმი, იმანი, 62.





ნობებით უნდა გამოდიოდეს. ალლაჰის სახელით ნათქვამი სიტყვა და დადებული ფიცი არ უნდა გატეხოს და მის მიმართ უდიდესი ყურადღება გამოიჩინოს.

სამართლიანი ადამიანების შესახებ უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

إِنَّ الدِّينَ قَالُوا رَبُّنَا اللَّهُ ثُمَّ اسْتَقَامُوا تَتَنَزَّلُ عَلَيْهِمُ الْمَلَائِكَةُ أَلَّا تَخَافُوا وَلَا تَحْزَنُوا وَأَبْشِرُوا بِالْجَنَّةِ الَّتِي كُنتُمْ تُوعَدُونَ

„უეჭველად, რომელთაც თქვეს: „ღმერთი ჩვენი ალლაჰია“ მერე კი იყვნენ მტკიცენი, ზეგარდმოვლენ მათზე ანგელოზები: „ნუ გეშინიათ და ნუ დამწუხრდებით, და იხარეთ სამოთხით, რომელიც იყო აღთქმული.“<sup>234</sup>

განკითხვის დღეს ასეთი ადამიანები იმ მძვინვარებისა და საშიშროების სასტიკ ხმებს ვერ გაიგონებენ. ადამიანისთვის ყველაზე დიდი საჩუქარი სწორედ ეს არის. ამის შესახებ კი ალლაჰი ასე ბრძანებს:

إِنَّ الدِّينَ قَالُوا رَبُّنَا اللَّهُ ثُمَّ اسْتَقَامُوا فَلَا خَوْفٌ عَلَيْهِمْ وَلَا هُمْ يَحْزَنُونَ أُولَئِكَ أَصْحَابُ الْجَنَّةِ خَالِدِينَ فِيهَا جَزَاءً بِمَا كَانُوا يَعْمَلُونَ

„უეჭველად, რომელთაც თქვეს: „ღმერთი ჩვენი ალლაჰია“ მერე კი იყვნენ მტკიცენი, არცა შიში ექნეთ და არცა სადარდებელი. სწორედ, ისინი არიან სამოთხის მკვიდრნი, იქ დარჩებიან სამუდამოდ, საზღაურად იმისა, რასაც სჩადიოდნენ.“<sup>235</sup>

სამართლიანობისთვის გულისა და ენის როლი ძალიან დიდია. გული - ადამიანის მთელი სხეულის მმართველია. მხოლოდ და მხოლოდ ერთი ალლაჰის რწმენით სავსე გულის მფლობელი სხეული, სიმშვიდისა და ბედნიერების ადგილია. თუ ადამიანს ჯანმრთელი ანუ სუფთა გული აქვს, მაშინ სხვა დანარჩენი ორგანოებიც სუფთა ექნება. ენა კი გულის თარჯიმანია. მისი სიმართლე ან სიცრუე სხვა

234. სურა ფუსსილეთი, აიათები 30.

235. სურა აჰქაფი, აიათები 13-14.



დანარჩენ ორგანოებზეც ზეგავლენას ახდენს. ერთ ჰადისში შუამავალი ბრძანებს:

„როდესაც გათენდება, ადამიანის ყველა ორგანო ენას მიმართავს: „ჩვენი უფლებების გამო ალლაჰის გეშინოდეს! ჩვენ მხოლოდ შენი ნათქვამის გამო შეიძლება დავისაჯოთ. შენზე ვართ დამოკიდებული. შენ თუ მართალი იქნები, მაშინ ჩვენც მართლები ვიქნებით; შენ თუ სწორი გზიდან გადაუხვევ, ჩვენც შენ მოგყვებით.“<sup>236</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით, შუამავლის კიდევ ერთი ჰადისი მოგვითხრობს:

„თუ ადამიანი გულმართალი არ იქნება, ის ჭეშმარიტი მორწმუნე ვერ იქნება. თუკი ენა სამართლიანი არ ექნება, ის არც გულმართალი იქნება.“<sup>237</sup>

სიმართლე, ყველაფერთან ერთად, ადამიანის ცოდვებისგან გათავისუფლების მიზეზიც არის. ადამიანებზე ცოდვების პატიების მოყვარული ალლაჰი აიათში ბრძანებს:

يَا أَيُّهَا الَّذِينَ آمَنُوا اتَّقُوا اللَّهَ وَقُولُوا قَوْلًا سَدِيدًا يُصْلِحْ  
لَكُمْ أَعْمَالَكُمْ وَيَغْفِرْ لَكُمْ ذُنُوبَكُمْ وَمَنْ يُطِغِ اللَّهَ وَرَسُولَهُ  
فَقَدْ فَازَ فَوْزًا عَظِيمًا

„უთხრეს: „ჰეი, ხალხო ჩვენო! უეჭველად, მოვისმინეთ ერთი წიგნი, ზეგარდმოვლენილი მუსას მერე. დამმონმებელი იმისა, რაც იყო მის წინ. იგი ადგენს ჭეშმარიტებისკენ და სწორი გზისკენ. ჰეი, ჩვენო ხალხო! „შეისმინეთ მსმობელისა ალლაჰისა და ირწმუნეთ მისი, რომ შეგინდოთ ცოდვები თქვენი და დაგიფაროს მწარე სასჯელისგან“.“<sup>238</sup>

ქააბ იბნ მალიქმა ალლაჰის პატიება დაიმსახურა მხოლოდ იმისთვის, რომ ის ყოველთვის სიმართლეს ამბობდა. ის შემდეგ ისტორიას მოგვითხრობს: „ვფიცავ ალლაჰს! მას შემდეგ, რაც მე მუსლიმი გახვდი, ყველაზე დიდი წყალობა, რომელიც უზენაესმა მომცა — იყო შესაძლებლობა მუჰამედ შუამავლის თანდასწრებით სიმართლე მელაპარაკა, რითაც მატყუარებთან ერთად სასჯელი ავიცილე.“

236. თირმიზი, ზუჰდი, 61.

237. იბნ ჰანბელი, 3, 198.

238. სურა აჰყაფი, აიათები 70-71.





უზენაესმა ალლაჰმა გარდმოავლინა შთაგონება, რომლითაც ის მატყუარები გაკიცხა, ვინც თებუქის ლაშქრობის მონაწილეებს არ შეეუერთდა:

سَيَحْلِفُونَ بِاللَّهِ لَكُمْ إِذَا انْقَلَبْتُمْ إِلَيْهِمْ لِتُعْرِضُوا عَنْهُمْ فَأَعْرِضُوا عَنْهُمْ إِنَّهُمْ  
رَجِسٌ وَمَآءُهُمْ جَهَنَّمُ جَزَاءِ بِمَا كَانُوا يَكْسِبُونَ يَحْلِفُونَ لَكُمْ لِتَرْضَوْا عَنْهُمْ فَإِنِ  
تَرْضَوْا عَنْهُمْ فَإِنَّ اللَّهَ لَا يَرْضَىٰ عَنِ الْقَوْمِ الْفَاسِقِينَ

„დაიფიცებენ ეგენი ალლაჰს თქვენს წინაშე, როცა მათთან დაბრუნდებით, რათა ანებოთ თავი. მაშ, ანებეთ თავი მათ, უეჭველად, ეგენი მურდალნი არიან და ჯოჯოხეთია მათი თავშესაფარი, საზღაურად იმისა, რაც მოიხვეჭეს გეფიცებიან თქვენ, რათა კმაყოფილნი იყოთ მათგან. და რომც კმაყოფილი იყოთ მათგან, უეჭველად, ალლაჰი არ იქნება კმაყოფილი გზააცდენილი ხალხისგან!“<sup>239</sup>

„სამართლიანობა ადამიანს — სიკეთისკენ, სიკეთე კი სამოთხისკენ წაიყვანს. ადამიანი სიმართლით ცხოვრებას თუ ბოლომდე გაავრძელებს, ის ალლაჰისთვის სამართლიანი კაცის სახელით გახდება ცნობილი. მატყუარა ადამიანი ბინძური და არასწორ გზაზე მოსიარულეა, რომელიც მას ჯოჯოხეთისკენ წაიყვანს. თუ ადამიანი ტყუილის თქმას გაავრძელებს, ის ალლაჰისთვის მატყუარა ადამიანის სახელით გახდება ცნობილი.“<sup>240</sup>

შუამავალი ენას ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და თანამიმდევრებს დიდი ყურადღებისკენ მოუწოდებდა. სუფიან იბნ აბდულლაჰმა შუამავალს ჰკითხა:

— შუამავალო! ჩემს გამო, ყველაზე მეტად რის გამო წუხხართ? შუამავალმა ენაზე თითის დადებით ანიშნა:

„აი, ამის გამო!“<sup>241</sup>

ადამიანი ვალდებულია ქვეშარიტებით იცხოვროს, სამართლიანი იყოს და მართალ სიტყვას არასდროს უღალატოს. ასე თუ მოიქცევა, ის ნებისმიერ პრობლემას აიცილებს.

239. სურა თევე, აიათები, 95-96.

240. ბუჰარი, ედები, 69.

241. თირმიზი, ზუჰდი, 61.



სიმართლე ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვან ადგილს იჭერს. ვაჭრობის სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხიც სწორედ სიმართლეა.

ვაჭრობაში პატიოსნებისა და სამართლიანობის აღსანიშნავად ალლაჰის შუამავალმა ბრძანა:

„ვაჭარი, რომელიც არ ცრუობს და მყიდველს არ ატყუებს მუდმივ სამყაროში შუამავლებთან, სამართლიანებთან და შევიდებთან ერთად იქნებიან.“ მუჰამმედ შუამავლის წესიერება ვაჭრობაში აღწერილია ისტორიაში, რომელსაც იბნ ვაჰბი მოგვითხრობს: ადდა იბნ ჰალიდემ მკითხა: „შუამავლის მიერ ჩემზე მონერილი წერილი ნაგვიკითხო?“

„დიდი სიამოვნებით მოგისმენ!“ — ვუთხარი მე.

მან წერილი ამოიღო და წაიკითხა: „ეს წერილი ადდა იბნ ჰალიდ იბნ ჰევ ზეს მიერ შუამავლისგან ნაყიდ რამეს ამტკიცებს. ადდამ მისგან ერთი მონა იყიდა. მონას არანაირი ავადმყოფობა, ქურდობისა და გაქცევის ჩვევები არ ჰქონდა. ეს მუსლიმის მუსლიმთან გაკეთებული ვაჭრობა იყო.“<sup>242</sup>

გულმონყალე ალლაჰი მუსლიმებს უბრძანებს ურწმუნოებსაც წესიერად მოექცნენ, ვიდრე ისინი თავიანთ ხელშეკრულებებს არ დაარღვევენ. ყურანში ნათქვამია:

فَمَا اسْتَقَامُوا لَكُمْ فَاسْتَقِيمُوا لَهُمْ

„...და თუ აღასრულებენ თქვენს წინაშე დადებულ ვალდებულებას, მაშ, აღასრულეთ თქვენც მათდამი ვალდებულება. უეჭველად, ალლაჰს უყვარს, მოკრძალებულნი არიან ვინც“<sup>243</sup>

სამართლიანობის დაცვა და ჭეშმარიტი გზით სიარული, რა თქმა უნდა, ძნელი ამოცანაა. ამ სიძნელის შემსუბუქებისთვის უზენაესი ალლაჰი ყურანში გადმოგვცემს:

يَا أَيُّهَا الَّذِينَ آمَنُوا اتَّقُوا اللَّهَ وَكُونُوا مَعَ الصَّادِقِينَ

242. თირმიზი, ბუიუ, 8. ბუჰარი, ბუიუ, 19.

243. სურა თევბე, აიათი 7.





„ჰეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გეშინოდეთ ალლაჰის და იყავით მართალთა გვერდით!“<sup>244</sup> ადამიანი სამართლიანი რომ გახდეს, სამართლიან ადამიანებთან ერთად უნდა იყოს. მუდმივად ასეთ ადამიანებთან ყოფნისას ის მათ ემსგავსება. თუგინდ არ დაემსგავსოს მათ, ის მაინც უმსგავსო და მოუწონარი ქცევებისგან თავს შორს დაიჭერს. ჭეშმარიტად, ადამიანი მხოლოდ სამართლიან ხალხთან ურთიერთობისას შეიძენს მშვენიერი ხასიათის თვისებებს. ძალღი, რომელიც „ასჰაბი ქეჰფის“ ბინადრების გვერდით იყო, ყურანში ნახსენებია მხოლოდ იმისათვის, რომ ის ყოველთვის ღვთისმოსავ ადამიანებთან ერთად იყო.

ადამიანი, მხოლოდ თავისი ქმედებებით სამოთხეში ვერასდროს შევა. ალლაჰის წყალობა მას მოუწევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ის თავის განზრახვაში გულრწფელი იქნება. მხოლოდ ამ გზით მოიპოვებს ის მარადიულ სამყოფელს.

## 15. სულიერი სიმდიდრე

*„მოკრძალებულობისა და გულუხვობის წყალობით მე ქვეყნად ყველაზე ბედნიერი ადამიანი ვარ. მე ორივე თვალი ამქვეყნიური ნეტარებისგან დახუჭული მაქვს.“*

ესად ერბილი, დივანი, გვ. 51

სულიერი სიმდიდრე — ეს ისეთი მდგომარეობაა, როცა ადამიანი სულიერად მდიდარია, სხვაზე არ არის დამოკიდებული და კმაყოფილდება იმით, რაც გააჩნია. ის არავისგან არაფერს მოელის და თავის პრობლემებს არავის ახვევს. ასეთ ადამიანს კმაყოფილი ჰქვია. ეს თვისება დადებითია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანი საზოგადოებაში იქცევა ასე, ხოლო ალლაჰის წინაშე სუსტად და მასზე დამოკიდებულად გრძნობს თავს.

სულიერად მდიდარ ადამიანებს მთელი ამქვეყნიური ქონება რომ მისცე და უთხრა, იმქვეყანა ამის შესახებ არავითარი პასუხი არ

244. სურა თევე, აიათი 119.



მოგეკითხებათო, ისინი არ დათანხმდებიან, რადგან ალლაჰმა ისინი ყველაფრით დააკმაყოფილა.

ადამიანის კმაყოფილება ალლაჰზეა დამოკიდებული და მის გარდა სხვა არავისგან არაფერს არ უნდა მოელოდეს.

ალლაჰის კიდევ ერთი უძვირფასესი სახელი „ელ-ღანიი-ია“. ის ალლაჰის უთვალავ სიმდიდრეს, მთელი ქონების პირად მფლობელობას და უზომო კმაყოფილებას აღნიშნავს. ალლაჰი აგრეთვე „ესსამედი“. „სამედი“ არაფრის გასაჭირს და არავისზე დამოკიდებულს ნიშნავს. ამ განსაკუთრებულობას უზენაესი ალლაჰი ასე ხსნის:

يَا أَيُّهَا النَّاسُ أَنْتُمُ الْفُقَرَاءُ إِلَى اللَّهِ وَاللَّهُ هُوَ الْغَنِيُّ الْحَمِيدُ

**„ჰეი, ხალხო! თქვენ ალლაჰის წინაშე ღატაკნი ხართ, ხოლო ალლაჰი ყოვლადმდიდარია, ყოვლადქებულია!“<sup>245</sup>**

ამ აიათში ალლაჰი ადამიანებს ახსენებს იმას, რომ ისინი მასზე არიან დამოკიდებული, თვითონ კი — არავისზე და მის მიმართ ყოველი ჩვენგანის მიერ პატივისცემის გამოხატვა უპირველესი მოვალეობაა.

ყოველი ადამიანი, ვინც საკუთარ თავს პატივს სცემს, მხოლოდ უზენაეს ალლაჰს უნდა სთხოვდეს და არა უბრალო მომაკვდავთ, ვინაიდან მას უყვარს, როცა მონა-მსახურები დასახმარებლად მხოლოდ მას მიმართავენ.

ერთ-ერთ ჰადისში ნათქვამია:

„ეიუბ შუამავალმა ტანსაცმელი გაიხადა და რეცხავდა. ამ დროს მის წინ ოქროს მონეტები დაცვივდა. მან სასწრაფოდ შეგროვება და ჯიბეების გავსება დაიწყო. ამასობაში მან გაიგონა:

— ეიუბ! მე შენ ამქვეყნიური ქონებით არ დამიკმაყოფილებიხარ? ეიუბ შუამავალმა უპასუხა:

— ვფიცავ შენს ძლევაგამოსილებას, მე ოქრო არ მიყვარს! მაგრამ შენ მიერ გარდმოვლენილ წყალობაზე უარი როგორ ვთქვა?<sup>246</sup>

ამ ჰადისიდან გამომდინარე, ალლაჰზე თხოვნის გარკვეული საზღვარი არ არსებობს. მას შეგიძლია სთხოვო რამდენიც გინდა. მას

245. სურა ფატირი, აიათი 15.

246. ბუჰარი, გუსი, 20.





უთვალავი რაოდენობის სიმდიდრე გააჩნია და რამდენს მისცემს ის თავის გაჩენილ მსახურ ადამიანს, ეს თვით იმ ადამიანის დამსახურებაა. ალლაჰისგან ყველა იმდენს ლეზულობს, რამდენსაც იმსახურებს.

შუამავალ მუსას ვედრება, რომელიც მან სისუსტის ნუთებში წარმოთქვა, როცა მას არავითარი იმედი, გარდა გამჩენის წყალობისა, აღარ დარჩა, გვიჩვენებს ისეთ სულიერ მდგომარეობას, სადაც ადამიანი მხოლოდ ღვთაებრივი წყალობის მორჩილი უნდა იყოს.

رَبِّ إِنِّي لِمَا أَنْزَلْتَ إِلَيَّ مِنْ خَيْرٍ فَقِيرٌ

„...ღმერთო ჩემო! უეჭველად, ვსაჭიროებ ყოველგვარ სიკეთეს, რომელსაც კი შენ ზეგარდმომივლენ!“<sup>247</sup>

მუსას, ამ ვედრების საშუალებით, ალლაჰის დახმარება მოევლინა.

ამის საწინააღმდეგოდ მოქცევის დროს, ანუ ისეთი მოქმედების გამოხატვა, რომ თითქოს ალლაჰის დახმარება არ გესაჭიროება — უდიდესი შეცდომაა. ამის შესახებ ალლაჰი აიათში ასე ბრძანებს:

وَأَمَّا مَنْ بَخِلَ وَاسْتَغْنَىٰ وَكَذَّبَ بِالْحُسْنَىٰ

فَسَنُيَسِّرُهُ لِلْعُسْرَىٰ وَمَا يُغْنِي عَنْهُ مَالُهُ إِذَا تَرَدَّىٰ

„და ვინც იძუნნებს (მინიერით დაკმაყოფილდება) და თავისთავს ჩათვლის საკმარისად, და ცრუდ მიიჩნევს მშვენიერს, მას ადვილად მოვისვრით გზაზე, რომელიც სიძნელეებით არის სავსე და ვეღარ იხსნის ქონება მისი, როცა ძირს ეშვება!“<sup>248</sup>

ბრძენი ჰასან ბასრი ალლაჰს ამგვარი თხოვნით მიმართავდა:

„ო, დიდო ალლაჰო! შენ გამამდიდრე ისე, რომ მე ყოველთვის მესაჭიროებოდეს შენი წყალობა! თუკი შენგან უკუმაგდებ, სიღარიბეში არ დამტოვო!“<sup>249</sup>

ალლაჰი ბრძანებს:

247. სურა ყასსასი, აიათი 24.

248. სურა ლეილი, აიათები 8-11.

249. ბაქილანი, გვ. 107.





كَلَّا إِنَّ الْإِنْسَانَ لِرَبِّهِ لَكَنُفٍ  
إِنَّ إِلَىٰ رَبِّكَ الرُّجْعَىٰ

**„არა! უეჭველად, ადამიანი გაამაყდება, რამეთუ ხედავს, რომ გამდიდრდა! უეჭველად, შენიღმერთის კენუნდამიიქცეს ყველაფერი!“<sup>250</sup>**

სულიერი სიმდიდრის ყველაზე ლამაზი მაგალითები შუამავლის ცხოვრებაშია. ერთხელ შუამავალთან ერთი კაცი მივიდა და ჰკითხა:

— შუამავალო! ისეთი საქმე მასწავლე, რისი გაკეთების შემდეგაც ალლაჰიც და ადამიანებიც შემიყვარებენ. შუამავალმა უპასუხა:

*„ამქვეყნიური სიმდიდრე არ შეიყვარო, რომ ალლაჰმაც შენ შეგიყვაროს! ადამიანების სიხარბის ქონებას თვალი არ დაადგა, რომ მათ შენ შეგიყვარონ!“<sup>251</sup> ალლაჰი ბრძანებს:*

**„ხოლო როცა დასრულდება ლოცვა, მიმოიფანტეთ დედამიწაზე, ეძიეთ ალლაჰის მადლისგან და მრავალჯერ ახსენეთ ალლაჰი, ეგების გადარჩეთ!“<sup>252</sup>**

შუამავალი კი ბრძანებს: *„ადამიანთაგან არავის უჭამია არაფერი უკეთესი, ვიდრე საკუთარი ოფლით გამოიმუშავებული. შუამავალი დაუდის ცხოვრებისათვის თვითონ გამოიმუშავებდა.“<sup>253</sup> გარდა ამისა, ზეჟერია შუამავალიც დურგლობით ირჩენდა თავს და საარსებო პურს ისე მოიპოვებდა.“<sup>254</sup>*

კეთილშობილი აიშე იტყობინება, რომ ალლაჰის შუამავლის თანამიმდევრებიც იგივეს აკეთებდნენ. შუამავალი მათ ურჩევდა სამუშაოს შემდეგ დაებანათ და მეჩეთში ისე მისულიყვნენ.“<sup>255</sup>

შუამავალი ბრძანებს:

*„საკუთარი პატიოსნებისა და ღირსებისათვის უკეთესია ბანარი ავილოთ, მთებში წავიდეთ და შეშა შევავროვოთ. შემდეგ ის გავყიდოთ. ამრიგად, ალლაჰი თქვენს ღირსებას დაიცავს და მათხოვრობას აგაცილებს.“<sup>256</sup> აქედან გამომდინარე, მუჰამმედ შუამავალი (სა-*

250. სურა ალაყი, აიათები 6-8.

251. იბნ მაჯე, ზუჰდი, 1.

252. სურა ჯუმა, აიათი 10.

253. ბუჰარი ბუიუ 15.

254. მუსლიმი, ფედაილი, 169.

255. ბუჰარი, ბუიუ, 15.

256. ბუჰარი, ზეჟათი, 50.





ლლალააჰუ ალეიჰი ვესელემ) თავის თანამიმდევრებს ასწავლიდა, რომ ნებისმიერ სიტუაციაში მათხოვრობა არ შეიძლება. არაფერია ქვეყანაზე იმაზე დამამდაბლებელი, ვიდრე კარდაკარ სიარული და მათხოვრობის ხარჯზე ცხოვრება. თითოეულ ადამიანს შეუძლია რა-ღაცის კეთება და პირადი ღირსების დაცვა ასეთი ადამიანები თვით ალლაჰსაც უყვარს. ერთ-ერთ ჰადისში ნათქვამია:

*„ალლაჰს უყვარს ისეთი მორწმუნე ადამიანები, ვინც მათხოვრობას ერიდება.“<sup>257</sup>*

აჰმედ იბნ ჰანბელს, ჰკითხეს:

„სიმდიდრე უფრო კარგია თუ სიღარიბე?“

მისი პასუხი ასეთი იყო:

— ბაზრის მუდმივი მუშტარი იყავი! ივაჭრე და ადამიანებისგან დამოუკიდებელი იყავი! მე არ ვიცი იმაზე დიდი კეთილშობილება, ვიდრე ხალხისგან დამოუკიდებლობა.“

შუამავალი თავის თანამიმდევრებს ადამიანებზე ყოველმხრივ დახმარებისკენ მოუწოდებდა. მეორე მხრივ კი, ყველას სხვაზე თხოვნისაგან თავის შეკავებას უბრძანებდა. ჰიჯრის გაკეთების შემდეგ, ანსარელებმა ყველაფერი მუჰაჯირებს ძმურად გაუყვეს და ამით ხელგაშლილობის შესანიშნავი მაგალითი აჩვენეს ყველას. მუჰაჯირებმა კი მათი გაკეთებული სიკეთის მიმართ უდიდესი კმაყოფილება გამოხატეს. პირველადი მოთხოვნების აუცილებელი რამეები ანსარებიდან სესხად აიღეს და როდესაც მათი მდგომარეობა საკმაოდ გამოსწორდა, ვალი უკან დაუბრუნეს.<sup>258</sup>

როდესაც ანსარები და მუჰაჯირები შუამავალმა ძმებად გამოაცხადა, მაშინ სად იბნ რები და აბდურრაჰმან იბნ აფფიც ძმებად გამოაცხადა. სად იბნ რებიმ თავის ახლადშეძენილ ძმას უთხრა, რომ მას ბევრი ქონება ჰქონდა და სურდა მისთვის შუაზე გაეყო. აბდურრაჰმანმა, რომელიც ვაჭრობის სფეროში დიდი გამოცდილებისა და ამ საქმის კარგი მცოდნე იყო, თავის ძმას უთხრა: *„ღმერთმა შენი ქონება შენ მშვიდობაში მოგახმაროს, ჩემთვის საკმარისი იქნება, ბაზრის გზა მიმასწავლო, დანარჩენს თვითონ მივხედავ!“<sup>259</sup>* ამგვარად,

257. იბნ მაჯე, ზუჰდი, 5.

258. ბუჰარი, ჰიბე, 35. მუსლიმი, ჯიჰადი, 70.

259. ბუჰარი, ბუიუ, 1.





მან ვაჭრობა დაიწყო და თანამიმდევართა შორის ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ადამიანად იქცა.

ავფ იბნ მალიქის მიერ გადმოცემული შემდეგი ჰადისი საკმაოდ დასაფიქრებელია:

*„ჩვენ, დაახლოებით შვიდი-რვა კაცი, შუამავლთან ერთად ვი-  
ჯექით. შუამავალმა გვკითხა:*

*„ალლაჰის შუამავლის წინაშე თქვენი სიტყვა არ უნდა დადოთ?  
ჩვენ მხოლოდ ახლად გვეჩონდა მასზე სიტყვა მიცემული და ამიტომ  
ვუთხარით:*

— *შუამავალო! ჩვენ ხომ შენ სიტყვა მოგეცით?! შუამავალმა  
კიდევ ერთხელ გაიმეორა:*

— *ალლაჰის შუამავალს სიტყვა არ უნდა მისცეთ?*

*ჩვენ კიდევ გავუმეორეთ:*

— *შუამავალო, ჩვენ ხომ შენ სიტყვა მოგეცით?! იმანაც იგივე  
გაიმეორა:*

— *ალლაჰის შუამავალს სიტყვა არ უნდა მისცეთ?*

*ჩვენ ვუთხარით:*

— *ჩვენ შენ ადრე სიტყვა მოგეცით, ახლა რის შესახებ უნდა  
მოგცეთ კიდევ სიტყვა?*

— *იმის შესახებ რომ ყოველთვის ალლაჰის მონა-მსახურები  
იქნებით. მას არასდროს მოზიარეს არ დაუწესებთ. ხუთი დროის  
ლოცვას შეასრულებთ, მისდამი პატივისცემას გამოიჩინებთ და არავის  
არაფერს მოთხოვთ! შემეძლია დავიფიცო, რომ ჩვენ შორის იყვნენ  
ისეთი ადამიანები, ვისაც ცხენზე ჯდომის დროს ხელიდან მათრახი  
რომ დავარდნოდათ, იმის მიწოდებასაც არავის თხოვდნენ.“<sup>260</sup>*

„არასდროს მექნება იმის სურვილი, რომ ვინმეს წინაშე ვალში  
ვიყო. ამას მირჩევნია ღრუბელივით ვიმოძრაო, ცასა და დედამიწაზე  
ადგილი არსად დავიჭირო.“

260. მუსლიმი, ზექატი, 108.



აღის გადმოცემის მიხედვით, ერთი მონა მასთან მივიდა და უთხრა: „ვალის გადასახდელად ძალა არ მყოფნის, გთხოვ დამეხმარო!“ აღიმ უპასუხა:

— შუამავლის მიერ ჩემზე ნასწავლები ვედრება გინდა შენც გასწავლო? ვიდრე ამის კითხვას გააგრძელებ, უდიდესი მთისოდენა ვალიც რომ გქონდეს, ალლაჰი მის გადახდაში დაგეხმარება. უთხრა და შუამავლის ნასწავლები ვედრება ნაუკითხა:

„დიდო ალლაჰო! მე ჰალალი ლუკმა-პური მომეცი და ჰარამებისგან დამიცავი! შენს გარდა, სხვაზე დამოკიდებულს ნუ გამხდის!“<sup>261</sup>

ამ ვედრებაში ვალის გადახდის სურვილსა და მონდომებასთან ერთად, ალლაჰის დახმარებაც არის გამოხატული. ადამიანი ვალდებულია, ვაჭრობის ან ვალის გადახდის დროს ყოველთვის ჰალალის საძიებლად მუშაობდეს. ჰარამს უნდა მოერიდოს და ალლაჰის დახმარება ითხოვოს. ისლამის სინმინდის დაცვისთვის მუსლიმი ადამიანი ვალდებულია ალლაჰის გარდა სხვისგან არაფერი ითხოვოს. მას ამღები კი არა, მიმცემი ხელი უნდა ჰქონდეს.



261. თირმიზი, დეავეთი, 110.





მესამე ნაწილი

მუჰამმედ შუამავლის ეთიკის საფუძვლები

ეთიკის სრულყოფილი ნიმუში

صلى الله  
عليه  
وسلم





„იტსოდეტ, რომ ტკვენს ტს'იაგჳ სჳუმავალია ალლაჰისა.“  
(სურა უჯურატი, 49/7)



## ეთიკის სრულყოფილი ნიმუში

*„თვალეები გაახილე და ალლაჰის წიგნს  
თავიდან ბოლომდე გადახედე! ის  
აიათ-აიათ მომზადებული წიგნია რო-  
მელიც სავსეა ეთიკის ნორმებით!“*

რუმი

ცხოვრების, რწმენის მიხედვით წარმართვისთვის, საჭიროა ზნეობრივი ნორმების დაცვა, რაც კარგ ზრდილობას, ჩვევებს, კეთილგანწყობას მორცხვობას და გარშემყოფებთან დელიკატურ მოპყრობას ნიშნავს. საზოგადოებაში აუცილებელია სიმშვიდით თანაცხოვრება.

შუამავლის მიერ ადამიანებზე ნაჩვენები ყველაზე ძვირფასი რამ — ზრდილობა და თავაზიანობაა. ყველაზე მთავარი, რასაც მოუნოდებს ისლამი და რაც მუჰამედ შუამავლის სურდა ხალხისთვის მიეწოდებინა — საზოგადოებაში ქცევის კულტურა და მანერებია. რელიგიური რიტუალების შესრულების პროცესში ფარძების სწორად შესრულების შემდეგ მნიშვნელოვანია - ვაჯიბები (შთაგონებულები), შემდეგ სუნნეთები (მუჰამედ შუამავლის სიტყვა და მოქმედებები), შემდეგ კი — მუსთაჰაბი.

მუჰამედ შუამავალმა, რომელიც თავისი თანამიმდევრებისთვის ყოველთვის მისაბაძ და საუკეთესო ნიმუშად ითვლებოდა, ერთხელ თქვა:

*„ჭეშმარიტად, მე თქვენთვის თითქმის ისე ვარ, როგორც მამა, რადგან თქვენ მე გზრდით, თ გეხმარებით ნაკლოვანებების დაძლევაში და ყველაფერს გასწავლით, რისი აუცილებლობაც თქვენ წარმოგექმნება.“<sup>1</sup>*

1. აბუ დავუდი, თაჰარეთი, 4.



ამ სიტყვებით ალლაჰის შუამავალმა თავისი სურვილი გამოხატა, რათა თითოეულმა მუსლიმმა უსიტყვოდ შეასრულოს შთაგონებული ყველა წესი და მის სწავლებას მტკიცედ მიჰყვეს.

ერთმა ურწმუნო ადამიანმა სელმანი ფარისს დამცინავი ტონით მიმართა:

— როგორც ვხედავ, თქვენი ამხანაგი მუჰამმედი ყველაფერს გასწავლის. იმასაც კი, თუ საპირფარეშოში როგორ უნდა დაჯდე. სელმანი ფარისის პასუხი ასეთი იყო:

— დიახ, მართლაც ასეა, — უპასუხა მან და შუამავლის მიერ ნასწავლები საპირფარეშოში მოქცევის წესები ჩამოუთვალა.<sup>2</sup>

შუამავალი ბრძანებს: *„კარგი საქციელი, დაფიქრებული ქცევა და ზომიერება საქმეში შუამავლობის ერთი ოცდამეოთხედი ნაწილია.“*<sup>3</sup> ამ ჰადისით შუამავალი ადამიანის ზნეობას აფასებს. ალლაჰისკენ მიმავალი გზები, სწორედ, ზნეობითა და ზრდილობით არის მოცული. ამიტომ ამას დიდი მნიშვნელობა უნდა მიექცეს.

ზრდილობას როგორც გარე, ასევე შინაგანი მხარე გააჩნია. ადამიანთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ ზრდილობის მხოლოდ გარე მხარის მოგვარება საკმარისია. სინამდვილეში კი, შიგნითა მხარეც უნდა მოგვარდეს, ანუ ალლაჰის წინაშე ადამიანს გული სუფთა და გახსნილი უნდა ჰქონდეს.

*„ზრდილობის გვირგვინი ჩვენს სამყაროზე დაშუქებული ღვთაებრივი შუქის განსახიერებაა. დაიდვი ეს გვირგვინი და იგრძენი თავი დაცულად და ყველაფრისგან გადარჩენილად.“*

მევლანას სიტყვებით, სულიერი და ფიზიკური სრულყოფილების მისაღწევად საჭიროა მუდმივად ალლაჰზე ვედრება. ასევე ის აღნიშნავდა, რომ მხოლოდ ზრდილობის საშუალებითაა შესაძლებელი კაცობრიობის უბოროტესი მტრის — სატანას დამარცხება. თავის უკვდავ შედეგში „მესნევი“ იგი წერდა:

„მოდით, ალლაჰს შევევედროთ, რომ მან გაიღოს მონყალემა, გვექნას ჩვენ წესიერი და ზრდილობიანი ადამიანები, ვინაიდან, ვინც ზრდილობას მოკლებულია, მის წყალობას ვერ ეღიროსება. უზრდელი ადამიანის ზიანი მისით არ შემოიფარგლება, პირიქით, სულელურ

2. მუსლიმი, თაჰარეთი, 57-58.  
3. თირმიზი, ბირრ, 66.



მანერებს შეუძლია მთელი სამყარო გადანვას. ვინც მეგობრის იდეებს ქარაფშუტულად ეპყრობა, ის ამით სხვებისთვისაც წინააღმდეგობად იქცევა. ასეთი ადამიანი კაცად არ ითვლება. სამყარო, ზრდილობის ძალით, ღვთაებრივი შუქით ავსებულია და ანგელოზები ამავე ძალით სუფთა და უმანკო არიან. ეშმაკი თავისი უხეში სიტყვების გამო გამოიდევნა სამოთხიდან. თუკი შენ გსურს ეშმაკის დამარცხება, ფართოდ გაახილე თვალები და დაინახე, რომ მართლაც ზრდილობაა შეითნის მკვლელი.“<sup>4</sup>

მუჰამედ ესედ ერბილი ზრდილობის მნიშვნელობაზე წერდა შემდეგს:

„მიუხედავად იმისა, რომ ჩემს თვალებს დანახული აქვს ზრდილობის უამრავი შედეგი, ისინი მაინც ვერ გაძლება ზრდილობის საფარზე დახვავებული ხორაგით. იმისათვის, რათა ადამიანი სიამაყისა და ქედმაღლობისგან, უმეცრებისა და სისულელისაგან განიკურნოს, მე არ მინახავს სხვა რამ ეფექტური, ვიდრე ზრდილობა.“

ამრიგად, შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად და სულიერი ამაღლებისათვის საჭიროა ალლაჰის შუამავლზე მიყოლა, ვინც თვით უზენაესი ალლაჰის კონტროლის ქვეშ გაიარა ზნეობის გაკვეთილები.

## 1. ჭამა-სმის კულტურა

ცხოვრების სხვა დეტალებთან ერთად, მუსლიმი ადამიანი ვალდებულია, ამ საკითხშიც შუამავლის სუნნეთის მიხედვით მოიქცეს. ჭამა-სმის საკითხის მოგვარებისთვის ნაბრძანებია, რომ ამ პრობლემის მოგვარება ჰალალი გზებით უნდა მოხდეს. ისლამის მიმდევარი ადამიანებისთვის ჭამის განსაკუთრებული კულტურა და წესები არსებობს ეს წესები. მუსლიმი ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

### ა. ჭამის წესები

ჭამის წინ და დამთავრების შემდეგ საჭიროა ხელების კარგად დაბანა. ეს სისუფთავისა და ჯანმრთელობის მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია. ჰადისში ნაბრძანებია: „საჭმლის — ბარაქიანობა ჭა-

4. მასნავი, 79-96.





მამდე და ჭამის შემდეგ, ხელების დაბანაშია.<sup>5</sup> ამ ჰადისით ალლაჰის შუამავალმა ხელების დაბანის აუცილებლობაზე მიუთითა, ვინაიდან ჭამის წინ ხელების დაბანა მას ჭუჭყს აშორებს, ხოლო ჭამის შემდგომი დაბანა ცხიმს და დანარჩენს ნივთიერებებს. ყოველი საქმის დაწყების მსგავსად, ჭამის წინ „ბისმილლაჰ“-ის თქმა, ისლამის კანონებიდან ერთ-ერთია. ამის შესახებ შუამავალი ასე ბრძანებს:

„თუკი ადამიანი სახლში შესვლის და ჭამის წინ „ბისმილლაჰ“ იტყვის, მაშინ ეშმაკი თავის ჯარს ეტყვის:

„ჩვენ აქ ახლა არც ჭამა შეგვიძლია და არც ღამის გათენება.“ მაგრამ თუკი ადამიანი სახლში შესვლისას არ იტყვის „ბისმილლაჰ“, მაშინ ეშმაკი თავის ჯარისკაცებს ეტყვის: „თქვენ ნამდვილად იპოვეთ ღამის გასათევი ადგილი. თუკი ეს ადამიანი არც საჭმლის ჭამის დროს იტყვის „ბისმილლაჰ“, მაშინ ეშმაკი მათ ეტყვის: *„თქვენ არა მარტო ღამის გასათევი ადგილი, არამედ უკვე საჭმელიც იპოვეთ!“*<sup>6</sup>

შესაძლებლობის მიხედვით, საჭმლის საზოგადოდ — ნათესავებთან, მეგობრებთან და ნაცნობებთან ერთად ჭამა უკეთესია. ალლაჰის შუამავალი, ურჩევდა რა ყველას ერთად ეჭამა საჭმელი, ამბობდა: *„ხალხში ალლაჰის ნყალობაა, მარტოობაში კი — მისი რისხვაა!“*<sup>7</sup>

ეს შუამავლის ერთ-ერთი რჩევაა. ვაჰში იბნ ჰარბის გადმოცემის მიხედვით, თანამიმდევრების ერთმა ნაწილმა შუამავალს შესჩივლა:

„— *შუამავალო! საჭმელს ვჭამთ, მაგრამ ვერ ვძლებით. შუამავალმა კითხვითვე უპასუხა:*

— ალბათ, ცალ-ცალკე ჭამთ?!

— ისინი დაემონმნენ, რაზეც ალლაჰის შუამავალმა შემდეგი პასუხი გასცა.

— შეეცადეთ ერთად ჭამოთ და ჭამის წინ „ბისმილლაჰ“ თქვით, რომ საჭმელს ბარაქიანობა მოემატოს!<sup>8</sup>

საჭმლის ჭამა პირველებმა, როცა მაგიდასთან უფროსებიც სხედან, არ უნდა დავიწყოთ როგორც თანამიმდევარი ჰუზეიფე ამბობს:

5. თირმიზი, ეთიმე, 39.

6. მუსლიმი, ეშრიბე, 103.

7. მუნავი, 3, 470.

8. აბუ დავუდი, ეთიმე, 14.





*„როცა ჩვენ ერთად ვჭამდით, ალლაჰის შუამავალზე ადრე ჩვენ ხელებს არასდროს გავიშვერდით.“<sup>9</sup>* თანამიმდევრების მიერ შუამავლის უფროსად ცნობა, მათი ზრდილობის მანიშნებელია, რაც მას შემდეგ მუსლიმთა ოჯახებში ჩვევად დაინერგა. თუკი საჭმლის ჭამას იწყებენ ოჯახის უფროსის მაგიდასთან დაჯდომამდე, ეს უკულტურობა და უფროსის დაუფასებლობაა.

მუსლიმი ადამიანი საჭმელს, მხოლოდ მარჯვენა ხელით და მხოლოდ თავის წინიდან უნდა იღებდეს.

დღევანდელ რეალობაში, დასავლური კულტურის ზეგავლენით, ვითომდა თანამედროვეობის ნიშნად, მარცხენა ხელით ჭამა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. დღეს სასადილოებსა და რესტორნებში, დანების მარჯვენა მხარეს და კოვზისა და ჩანგლის მარცხენა მხარეს დალაგება შეუცვლელ წესად ჩამოყალიბდა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ჭამა ორივე ხელით დასაშვებია. მუსლიმი ადამიანები, ამასთან დაკავშირებით ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ.

საჭმლის ჭამის დროს გაუმადლობას უნდა ვერიდოთ! ამ ყველაფერთან ერთად, ერთი ლუკმის გაღეჭვამდე და გადაყლაპვამდე მეორეს ალება მიზანშეწონილი არაა.

ვინმეს მოსაწონი რომც არ იყოს მომზადებული რომელიმე კერძი, მისი დაწუნება მაინც არ შეიძლება. ყოველი შემთხვევისთვის, ენით მაინც არ უნდა გამოიხატოს. აბუ ჰურაირეს თქმით, შუამავალი საჭმელს ნაკლს არასდროს უძებნიდა; ის ჭამდა ყველაფერს, რასაც წინ დაუდგამდნენ და თუკი არ უნდოდა, უბრალოდ იტყოდა, რომ არ შიოდა.<sup>10</sup>

საჭმლის ჭამის შემდეგ, საკუთარი თეფშის კარგად მოწმენდა ისლამის კულტურის ერთი ნაწილია. ენესის გადმოცემის მიხედვით, შუამავალი საჭმლის ჭამის დროს თითებს სამჯერ გაილოკავდა და ამასთან დაკავშირებით ასე ბრძანებდა:

*„რომელიმე თქვენგანს რომ ჭამის დროს ლუკმა ძირს დაგივარდეთ, ის აიღეთ განმინდეთ და შეჭამეთ. ის ეშმაკს არ დაუტოვოთ. თეფში კარგად მოწმინდეთ, რადგან არ იცით, საჭმლის ბარაქიანობა სად იმალება!“<sup>11</sup>*

9. მუსლიმი, ეშრიბე, 102.

10. ბუჰარი, მენაჟიბი, 23.

11. მუსლიმი, ეშრიბე, 136.





ჰადისში გადმოცემული იყო შუამავლის მიერ საჭმლის ჭამის შემდეგ თითების სამჯერ გალოკვა. იმ დროს ხალხი ჭამაში დანას, კოვზს თუ ჩანგალს არ იყენებდა და საჭმელს ხელით მიირთმებდნენ. თუკი გავანალიზებთ იმ სიტუაციას და პირობებს, როცა ცხოვრობდნენ პირველი მუსლიმები, ეს სრულებით ნორმალური იყო. სხვაგვარად მისი წარმოდგენაც არ შეიძლება. ჭამის წინ ხელების კარგად დაბანაც რომ ისლამში ასეთი მნიშვნელოვანია, ისიც სწორედ აქედან გამომდინარეობს. საერთოდ, კარგად დაბანილი ხელები ყველასახის ლითონზე უფრო სუფთა და სანდოა. ამიტომ, დღეს ხელით საჭმლის ჭამა სუნნეთიაო რომ ამბობენ, ეს შეცდომად არ უნდა გავიგოთ, რადგან ხელით ჭამასაც თავისი დადებითი მხარეები აქვს და ეს სირცხვილი არ არის. მუსლიმი ადამიანისთვის მთავარია მის საქციელში ყოველთვის სისუფთავის ნიშანი არსებობდეს.

ისლამმა ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელში საჭმლის ჭამა ჰარამად გამოაცხადა. ჰუზეიფეს გადმოცემის მიხედვით, შუამავალმა ასე ბრძანა:

*„აბრეშუმის ტანსაცმელი არ ჩაიცვათ! ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლიდან არაფერი დალიოთ და არც მათი მსგავსი ჭურჭლიდან რაიმე შეჭამოთ!“<sup>12</sup>*

ისლამმა ოქროსა და ვერცხლისგან დამზადებული ჭურჭლით საჭმლის ჭამა, როგორც მამაკაცებისთვის, ასევე ქალბატონებისთვის ჰარამი გახადა. ამ საკითხთან დაკავშირებით კამათი წარმოიშვა, რომ ზოგიერთი სახის ჭურჭელი აკრძალული არ იყო. ქალაქში ყოფნის დროს, ჰუზეიფეს ერთ-ერთმა ადგილობრივმა სახელოვანმა ადამიანმა წყალი დასალევად ვერცხლის ჭურჭლით მიუტანა. გაბრაზებულმა ჰუზეიფემ წყლის მიმტანს ჭურჭელი გაუქნია და უთხრა:

— ამ ჭურჭლით წყლის დალევა რომ არ შეიძლებოდა, შენზე ათასჯერ ნათქვამი მქონდა. ამიტომ გექცევი ასე. შემდეგ მას შუამავლის ნათქვამი ჰადისი კიდევ ერთხელ შეახსენა:

*„ჰარირისა“ და „დიბაჯის“ სახელობის აბრეშუმის ტანსაცმელი არ ჩაიცვათ! ოქროსა და ვერცხლისგან დამზადებული ჭურჭლით საჭმელი არ ჭამოთ! ასეთი ჭურჭელი ურწმუნო ადამიანების საკუთრებაა.“<sup>13</sup>*

12. ბუჰარი, ეთიმე, 29.

13. მუსლიმი, ლიბასი, 4.





ალკოჰოლური სასმელებითა და მათი მსგავსი ჰარამი რამეებით განწყობილ სუფრასთან მუსლიმი ადამიანის დაჯდომაც ჰარამია. შუამავალი ბრძანებს:

*„ალლაჰისა და განკითხვის დღის მორწმუნე ადამიანი, ალკოჰოლიან სუფრასთან არ დაჯდეს!“<sup>14</sup>* დღეს, როცა ასეთი შემთხვევები ძალიან ხშირად დგას დღის წესრიგში, მუსლიმ ადამიანს დიდი სიფრთხილე მართებს.

საჭმლის ჭამის დროს რაიმეზე დაყრდნობა და ისე ჭამა მიზანშეწონილი არ არის.

კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი — საჭმლის ჭამის შემდეგ ალლაჰის მიმართ ვედრებით მადლიერების გამოხატვაა. შუამავალი საჭმლის ჭამის შემდეგ ასეთ ვედრებას აკეთებდა: *„დიდო ალლაჰო! ჩვენ შენ სუფთა სულით გადიდებთ, უამრავ ქება დიდებას გიძღვნი და ყველაფრისათვის უსაზღვრო მადლობას გიხდით!“<sup>15</sup>* დროდადრო ალლაჰის შუამავალი სამყაროს გამჩენს ასე ევედრებოდა:

*„ქება დიდება ალლაჰს, ვინც გვასაზრდოებს, გვარწყულებს და გვკენა მუსლიმად!“<sup>16</sup>*

საჭმლის ჭამის შემდგომი ვედრების შესახებ კიდევ ერთ ჰადისში ნათქვამია:

*„თუკი ვინმე ჭამის შემდეგ იტყვის: „დიდება ალლაჰს რომელმაც მე გამაძღო! დიდება ალლაჰს, რომელმაც ეს საკვები მე მიწყალობა მას წარსულში ჩადენილი ყველა ცოდვა ეპატიება.“<sup>17</sup>*

გადმოცემის მიხედვით, აბუ ჰეისემმა საჭმელი მოამზადა და შუამავალი თავის რამდენიმე თანამიმდევართან ერთად დაჰატიჟა. როცა ყველა გაძღა, ალლაჰის შუამავალმა წარმოთქვა:

— დააჯილდოეთ თქვენი ამხანაგი!

თანამიმდევრებმა ჰკითხეს:

— რა ვაჩუქოთ მას, შუამავალო?

14. თირმიზი, ედები, 43.

15. ბუჰარი, ეთიმე, 54.

16. აბუ დავუდი, ეთიმე, 52.

17. აბუ დავუდი, ლიბასი, 1.





აღლაჰის შუამავალმა უპასუხა:

— მას შემდეგ, როცა თქვენ ჭამთ და სვამთ ვინმესთან, ოჯახის პატრონისთვის აღლაჰს შეევედრეთ, რომ ის ხვავით და ბარაქით აავსოს! ეს იქნება მისი ჯილდო!<sup>18</sup>

საჭმლის ჭამის დროს ადამიანმა ზომა უნდა იცოდეს და კუჭი არ უნდა გადატვირთოს. გადავსებამდე არ უნდა ჭამოს. შუამავალი ბრძანებს, რომ: „არც ერთ ადამიანს კუჭზე უფრო სახიფათო რამ ჯერ არ აუვსია. „სინამდვილეში კი, რამდენიმე ლუკმის შეჭმა საკმარისია, რომ მან ფეხზე დგომა შეძლოს. თუკი ადამიანს ბევრი ჭამა სურს, მაშინ კუჭის ერთი ნაწილი — საჭმელს, მეორე — სასმელს, ხოლო მესამე ნაწილი ჰაერს უნდა დაუთმოს!“<sup>19</sup>

როგორც ვხედავთ, კუჭის ზედმეტ გადავსებას აღლაჰის შუამავალი ჯანმრთელობისთვის სახიფათოდ მიიჩნევდა, რადგანაც ადამიანის ფიზიოლოგიურ — ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და კვებას შორის მჭიდრო კავშირია.

ალექსანდრიის მმართველმა მუკავკისმა შუამავალს, მრავალ საჩუქართან ერთად, ექიმიც გაუგზავნა. შუამავალმა ექიმს უთხრა:

„— შეგიძლია, შენს ოჯახთან დაბრუნდე, იმიტომ, რომ ჩვენ ისეთი ხალხი ვართ, ვინც მოშიებამდე არ ვჭამთ და ჭამის შემდეგაც მთლიანად არ ვძლებით.“<sup>20</sup> ზემოთ მოყვანილი ორივე ჰადისი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ უნდა ჭამო იმდენი, რამდენიც სიცოცხლის შენარჩუნებისთვის საჭიროა. ჰადისებში ცხადია დიდი განსხვავება იმ ადამიანებს შორის, ვინც სიცოცხლის შენარჩუნებისთვის და ვინც საკუთარი კუჭის ამოსავსებად ჭამს. ჭამა-სმის საჭირო ზომის განსაზღვრა იმ დონეზე უნდა იქნას დაცული, რომ ადამიანს მუშაობა და აღლაჰის მიმართ მსახურება არ უნდა გაუჭირდეს. ჭამის ზომის ცალკეული ადამიანისთვის სხვადასხვა რაოდენობით განსაზღვრა დასაშვებია. შუამავალი ადამიანს კუჭის ერთი მესამედის ცარიელად დატოვებას ურჩევს.

ამიტომ „ვჭამოთ სიცოცხლისთვის და არ ვიცოცხლოთ ჭამისთვის“ დიდი ხანია დამტკიცებულია, რომ ადამიანები შიმშილობის პერიოდში არა შიმშილით, არამედ იმიტომ კვდებიან, რომ მაძღრობას

18. აბუ დავუდი, ეთიმე, 54.

19. თირმიზი, ზუჰდი, 47.

20. ჰალები, 3, 299.





არიან მიჩვეულნი. მუჰამმედ შუამავალმა თქვა რა, რომ მუსლიმები მხოლოდ კუჭს ივსებენ, ხოლო ურწმუნოები — მთელ ნაწლავებს, ამით მუსლიმის დამატყვევებელი სახის სურათი დაგვიხატა.

აიათში უზენაესი ალლაჰი ურწმუნო ადამიანების ჭამის შესახებ ასე ბრძანებს:

وَالَّذِينَ كَفَرُوا يَتَمَتَّعُونَ وَيَأْكُلُونَ كَمَا تَأْكُلُ الْأَنْعَامُ وَالنَّارُ مَثْوًى لَهُمْ

**„ხოლო რომელთაც უარყვეს, ტკბებიან და მიირთმევენ ისე, როგორც მიირთმევს საქონელი. ცეცხლია თავშესაფრად მათთვის!“<sup>21</sup>**

ურწმუნოების საფიქრალი მხოლოდ გართობა და კუჭია. ისინი იმ ქვეყანას არასდროს იხსენებენ. ამქვეყნიური ცხოვრებით ცხოვრობენ და ის ქვეყანა არ ადარდებთ. ამიტომ მუსლიმი ადამიანი მათგან განსხვავებული უნდა იყოს, ზომიერად უნდა ჭამდეს. ალლაჰის შუამავლის ჰადისში ნათქვამია:

*„უეჭველად, რასაც სული ისურვებს, იმ ყველაფრის ჭამა და სმა დიდი მფლანგველობაა!“<sup>22</sup>*

როგორც ვხედავთ, მსგავსი ქმედებები ალლაჰის შუამავალმა ადამიანური ნორმების უგულვებლყოფად ჩათვალა. წმინდანთა შეხედულებების მიხედვით გაძლომის შემდეგ საჭმლის ჭამა ისრაფია (მფლანგველობა).

საჭმლის ჭამის კიდევ ერთი წესი, რაც შთაგონებული ჰქონდა ალლაჰის შუამავალს ხალხის შეკრების ადგილას ნახვისა და ნიორის ჭამის შემდეგ მისვლის აკრძალვა იყო. ამ მიზნით ალლაჰის შუამავალი ამბობდა:

*„ვინც ნიორი ან ხახვი ჭამა, ჩვენთან არ მოვიდეს!“ შემდეგ ალლაჰის შუამავალმა განაცხადა:*

*„ვინც ნიორი და ხახვი ჭამა, მეჩეთში არ შევიდეს!“<sup>23</sup>*

ანგელოზებს ადამიანთა სუფთად ყოფნა და კარგი სუნი უყვართ. ცუდი სუნის გამო ისინი უკმაყოფილო არიან. ამის გამო იქ ნასვლისას, სადაც ბევრი ხალხია — მეჩეთში ან სხვაგან, ხახვი, ნიორი, სი-

21. სურა მუჰამმედი, -12.

22. იბნ მაჯჟე, ეთიმე, 51.

23. ბუჰარი, ეზანი, 160.



გარეტი არ უნდა მივიღოთ. სხვადასხვა პარფიუმერიული მძაფრი სუნის მქონე სუნამოები არ უნდა ვიპყუროთ.

უზენაესი ალლაჰი აიათში ბრძანებს:

يَا أَيُّهَا الَّذِينَ آمَنُوا كُلُوا مِن طَيِّبَاتِ مَا رَزَقْنَاكُمْ  
وَأَشْكُرُوا لِلَّهِ إِن كُنتُمْ إِيَّاهُ تَعْبُدُونَ

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ჭამეთ, რაც რამ კარგი საზრდო მოგმადლეთ და მადლობა შესწირეთ ალლაჰს, თუკი თქვენ მხოლოდ მას სცემთ თაყვანს.“<sup>24</sup>

ამ აიათიდან შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ მშვიდად შეიძლება ყველაფრის ჭამა, რაც ისლამის კანონებით ნებადართულია. მაგრამ, როგორც სხვა საკითხებში, ჭამასთან დაკავშირებითაც უნდა ვიყოთ ზომიერი და თავშეკავებული; გადაჭარბებული და ზედმეტი ხარჯვებისგან თავის შეკავება აუცილებელია. ყურანში ამასთან დაკავშირებით ნათქვამია.

وَكُلُوا وَاشْرَبُوا وَلَا تُسْرِفُوا إِنَّهُ لَا يُحِبُّ الْمُسْرِفِينَ

„...ჭამეთ და სვით, და არ გადახვიდეთ ზღვარს, უეჭველად, მას არ უყვარს ზღვარგადასულნი.“<sup>25</sup>

ყველა საქმეს თავისი მიზეზი და განზრახვა გააჩნია. ამასთან განზრახვა უზარმაზარ როლს თამაშობს, რადგანაც ზუსტად ის განზრახვას მოქმედების ფასს. ასევე კვების საკითხიც: რა მიზნით და განზრახვითაც ადამიანი საჭმელს შეჭამს, იმის მიხედვით ძალას და ენერგიეს მიიღებს. ამიტომ ჭამის მიზანი კუჭის ამოვსება და ღორმუცელობა კი არ უნდა იყოს, არამედ ენერგიისა და ძალის აღდგენა ალლაჰზე მსახურების შესასრულებლად. ამიტომ საჭმლის ჭამა ალლაჰზე მსახურების განზრახვით უნდა მოხდეს. “

რელიგიური წესები ღამეში საჭმლიან ჭურჭელზე თავის დახურვის რჩევასაც იძლევა. შუამავალი ერთ ჰადისში ამასთან დაკავშირებით ბრძანებს:

24. სურა ბაყარა, აიათი 172.

25. სურა აარაფი, აიათი 31.





*„როდესაც დაბნელება, ბავშვები გარეთ არ გაუშვათ, იმიტომ, რომ ეშმაკი ამ დროს გარეთ იმყოფება. ღამის ნამაზის ლოცვის შემდეგ, არ შეიძლება გარეთ გაშვება. კარი დახურე და ალლაჰის სახელი ახსენე! შუქი ჩააქრე და ალლაჰის სახელი ახსენე! საჭმლიან ჭურჭელს თავი დაახურე და ალლაჰის სახელი ახსენე! საჭმლიან ჭურჭელს თუ სახურავი არ აქვს, ზემოდან რაღაც მინც დაადე, რადგან ეშმაკი დახურულს ვერ გახსნის. ღამა ჩააქრეთ, რადგან თავი ვითილს გადალრღნის და სახლს დაგინვაკს!“<sup>26</sup>*

სახელგანთქმული მეცნიერი მუჰიდდინ იბნ არაბი ამ ჰადისთან დაკავშირებით ასეთ განმარტებას იძლევა: „წელიწადში ერთი ისეთი საღამოა, რომლის დროც არავინ იცის. ამ საღამოს ყველა დაავადება დაბლა ეშვება. თუკი ამ დროს საჭმლით ან წყლით სავსე ჭურჭელს ღიად დავტოვებთ, მათში აუცილებლად მიკრობები მოხვდება.“

## ბ. დალევის ეთიკა

შუამავლის სუნნეტში, საჭმლის ჭამის მსგავსად, წყლის ან კიდევ სხვა რამის დალევის წესები არსებობს. ერთ-ერთი წესის თანახმად, წყალი ყოველთვის გამჭვირვალე ჭურჭლიდან უნდა დაილიოს, რადგანაც ჭურჭელში მავნე ნივთიერებები ან სახიფათო საგნები შეიძლება იყოს. შუამავალმა, სიფრთხილის გამო, რომ ადამიანისთვის ზარალის მიმცემი რამ არ ყოფილიყო, დიდი ჭურჭლიდან პირდაპირ წყლის დალევა აკრძალა.<sup>27</sup>

წყლის დალევის დროს საჭიროა „ბისმილლაჰ“-ის თქმა და არა დიდი ყლუპებით, არამედ სამჯერ სულის მოთქმით დალევა. დალევის შემდეგ კი — „ელჰემდულილლაჰის“ თქმა. შუამავალი წყალსა და სხვა დასალევებს სამჯერ სულის მოთქმით დალევდა.<sup>28</sup> ამასთან დაკავშირებით, ის ასე ბრძანებს:

*„აქლემის მსგავსად, სულის მოუთქმელად წყალი არ დალიოთ! ორჯერ ან სამჯერ ჰაერი ჩაისუნთქეთ! რაიმეს დალევის წინ „ბისმილლაჰ“. დალევის შემდეგ კი — „ელჰემდულილლაჰ — თქვით!“<sup>29</sup>*

26. ბუჰარი, ბედულ ჰალქი, 11. მუსლიმი, ეშრიბე, 96.

27. ბუჰარი, ეშრიბე, 23.

28. ბუჰარი, ეშრიბე, 26.

29. თირმიზი, ეშრიბე, 13.





შუამავალმა წყლის დაღევის დროს სამჯერ სულის მოთქმის მნიშვნელობა ასე ჩამოაყალიბა:

1. სამჯერ სულის მოთქმით დაღეული წყალი ორგანიზმში კარგად განთავსდება და ადამიანი წყურვილს ადვილად დაიოკებს.

2. სამჯერ სულის მოთქმით წყლის დაღევა ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა.<sup>30</sup>

წყლის კუჭში ნელ-ნელა მოხვედრით, ადამიანის ორგანიზმი წყალს იმ ორგანოებს უფრო ადვილად მიანვდის, რომლებსაც უფრო მეტად ესაჭიროება. დიდი რაოდენობით წყლის ერთდროულად კუჭში მოხვედრით, ადამიანის ორგანიზმი წონასწორობას კარგავს და როგორც საჭიროა, ისე მისი სხვადასხვა ორგანოებში გადანაწილება ვეღარ ხერხდება. ისეთ ადამიანს, ვისაც სცივა და მის კუჭში ერთდროულად დიდი რაოდენობით წყალი მოხვდება, მას უფრო შეცივდება. ხოლო იმ ადამიანს, ვისაც ცხელა და მის კუჭში ერთდროულად დიდი რაოდენობით ცივი წყალი მოხვდება, მისი ორგანიზმი მაშინ წყლის მიმოქცევას სწორად ვეღარ ასრულებს. როდესაც ასეთი ვარიანტების დროს, ადამიანის ორგანიზმში წყალი ნელ-ნელა შედის, მაშინ ის მსგავსი პრობლემების წინაშე აღარ დგება.

არც ერთი სახის სითხის დაღევის დროს ჭურჭელში ჩაბერვა არ შეიძლება. ასეთი საქციელი მიზანშეწონილი არ არის. აბუ საიდ ელ ჰუდრის გადმოცემის მიხედვით, შუამავალმა დასალევ ჭურჭელში ჩაბერვა აკრძალა. ერთმა კაცმა შუამავალს ჰკითხა:

— ჭურჭელში ჩავარდნილი ნაგვის ნამცეცი რომ დავინახო, როგორ მოვიქცე? შუამავალმა უპასუხა:

„— ჭურჭელში ჩავარდნილი ნამცეცი წყლით ძირს გადმოღვარე!“ შემდეგ ამ ადამიანმა ჰკითხა:

— ერთი სულის მოთქმით რომ წყურვილის გრძნობას ვერ ვიკლავ, როგორ მოვიქცე?

შუამავალმა უპასუხა:

„— ასეთ შემთხვევაში წყლის ჭურჭელი პირიდან მოიშორე და სამი ყლუპით დალიე!“<sup>31</sup>

30. მუსლიმი, თაჰარეთი, 65. ეშრიბე, 121.

31. თირმიზი, ეშრიბე, 15.





შუამავლის მიერ ჭურჭელში ჩაბერვის აკრძალვა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. წყლის დაღვევის დროს ჭურჭელში ჩაბერვა და დაღვევა ცხოველის მსგავსად მოქცევაა. თუ დავაკვირდებით, ცხოველები წყლის დაღვევისას სწორედ ასე იქცევიან. გარდა ამისა, ჩაბერვის დროს შესაძლებელია პირიდან სხვადასხვა ნაწილაკები წყლის ჭურჭელში მოხვდეს და სხვების ზიზღი გამოიწვიოს. ასეთი შემთხვევები წყლის დაბინძურებასა და მასში სხვადასხვა დაავადების წარმომქმნელი მიკრობების გაჩენას უწყობს ხელს. „ბისმილაჰ“ თქმის შემდეგ წყლის სამჯერ სულის მოთქმით დაღვევა და დაღვევის შემდეგ „ელჰამდულილაჰის“ თქმა, ისლამის მიერ დადგენილი წესებია.

წყალი და სხვადასხვა დასაღვეი ფეხზე მდგომარე არ უნდა დაილიოს. უკეთესი იქნება თუ დამჯდარი დაღვევის საშუალება იქნება. რადგან შუამავალმა ფეხზე მდგომარე დაღვევა აკრძალა. ქათადე ასე ამბობს:

— ჩვენ ენესს ვკითხეთ, საჭმლის ფეხზე მდგომარე ჭამა როგორიაო?“ მან გვიპასუხა:

— ფეხზე მდგომარე ჭამა უფრო უარესია, ვიდრე წყლის დაღვევა.<sup>32</sup>

ამ ყველაფერთან ერთად, ზოგიერთი გადმოცემის მიხედვით, შუამავლის მიერ წყლისა და ზემზემის ფეხზე მდგომარე დაღვევის მომსწრენიც ყოფილან. იბნ აბბასი გადმოგვცემს: „შუამავალს ზემზემის წყლით პატივი მივაგე და დასაღვეად მივუტანე. შუამავალმა ის ფეხზე მდგომარე დალია.“<sup>33</sup>

შუამავლის მიერ დროდადრო წყლის ფეხზე მდგომარე დაღვევა მრავალი გადმოცემის მიხედვით არის ცნობილი, რაც ამ ფორმით წყლის დაღვევის შესაძლებლობას ამტკიცებს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფეხზე მდგომარე წყლის დაღვევა ჯანმრთელობისთვის სასარგებლო არ არის და ამიტომ მისი სურვილი იყო, ასეთი ფორმით დაღვევა წესად არ ქცეულიყო. შუამავალმა, მრავალ ჰადისში, წყლის დაღვევის უკეთესი ფორმა მჯდომარე დაღვევა რომ იყო, ღიად გამოხატა. წყლის თუ სხვადასხვა სითხის მჯდომარე და ნელ-ნელა დაღვევა ადამიანის ორგანიზმში მის მიმოქცევას კარგად უწყობს ხელს.

32. მუსლიმი, ეშრიბე, 113.

33. ბუჰარი, ჰაჯი, 76.



საზოგადოებაში წყლით, ლიმონათით, რძით და სხვადასხვა სასმელებით პატივისცემის დროს, უკეთესია, მიწოდება მარჯვენა კუთხიდან დაიწყოს. შუამავალი წყლისა და სხვადასხვა სასმელების დაღვევის დროს, მას მის გვერდით მსხდომ ადამიანებს მიანვდიდა, რითაც მათ მიმართ დიდ პატივისცემას გამოხატავდა. დასაღვეს ის პირველად ყოველთვის მარჯვენა კუთხით მჯდომს მიანოდებდა და ასე გააგრძელებდა. ერთხელ შუამავალს რძე მიუტანეს. ამ დროს შუამავლის მარჯვნივ ერთი ბედუინი იჯდა, მარცხნივ კი — აბუ ბაქრი. შუამავალმა ცოტაოდენი მოსმის შემდეგ ჭურჭელი ბედუინს მიანოდა და თქვა: „ყველამ მარჯვნივ გადაანოდოს!“<sup>34</sup>

სეჰლ იბნ სადის გადმოცემის მიხედვით:

შუამავალს რაღაც დასაღვევი მიუტანეს. მისგან ცოტაოდენი დალია. ამ დროს მის მარჯვნივ ერთი ბავშვი იჯდა, მარცხნივ კი — ხნიერი თანამიმდევრები. შუამავალმა თასიდან ცოტა მოსვა, გამოიჩინა რა დელიკატურობა და სიფაქიზე, გვერდით მჯდომ ბიჭს მიმართა:

„— ნებას მომცემ, რომ პირველად ეს დასაღვევი უფროსებს მივანოდო?“ იმ პატარა ბავშვმა კი, ყველას გასაოცრად, ძალიან შთამბეჭდავი პასუხი გასცა:

— შუამავალო! ვერავის დავუთმობ! იმას, რაც შენგან იქნება შემოთავაზებული.

შუამავალს გაელიმა და თასი ჯერ — ბავშვს, ხოლო შემდეგ უფროსებს მიანოდა.<sup>35</sup>

საზოგადოებაში თუ ვინმე უფრო მეტად გამორჩეული ან დაფასებული ადამიანი იქნება, პატივისცემა ჯერ იმ ადამიანიდან უნდა დაიწყოს და შემდეგ მის მარჯვნივ უნდა გაგრძელდეს.

ვინც რაიმე დასაღვეს საზოგადოებას ჩამოურიგებს, მიზანშეწონილი იქნება, თუ თვითონ ყველაზე ბოლოს დაღვეს. ერთ ჰადისში ნათქვამია: „სასმელის ჩამომრიგებელი ადამიანი ყველაზე ბოლოს დაღვეს.“<sup>36</sup> შუამავალმა ეს სიტყვები ერთ-ერთი საბრძოლო მოგზაურობის დროს თქვა. ერთ-ერთი გრძელი მოგზაურობის დროს მუსლიმები ძალიან დაიღალნენ და წყლის მარაგიც გამოეღიათ. ჰა-

34. ბუჰარი, ეშრიბე, 14, 18.

35. ბუჰარი, ეშრიბე, 19.

36. თირმიზი, ეშრიბე, 20.





რის იბნ რები, დაღლილობის მიუხედავად, ცდილობდა შუამავლის მიმართ პატივისცემა მაინც გამოემჟღავნებინა. როდესაც მუსლიმები წყურვილმა ძალიან შეანუხა, შუამავალმა წყლის ჭურჭელი მოითხოვა, რომელშიც ცოტაოდენი წყალი იყო დარჩენილი. ამ დროს შუამავლის ერთ-ერთი სასწაული განხორციელდა. შუამავალმა აბუ ქათადეს ჭურჭლიდან ჭიქაში წყლის ჩასხმა დაიწყო. აბუ ქათადემ თანამიმდევრებს წყალი ჩამოურიგა. თანამიმდევრებმა წყურვილი მოიკლეს. ბოლოს შუამავალი და აბუ ქათადე დარჩნენ. შუამავალმა ჭიქა წყლით გაავსო და აბუ ქათადეს დასალევად მიანოდა:

*„დალიე!“ — უთხრა, მაგრამ აბუ ქათადეს შუამავალზე ადრე დალევა არ სურდა და შუამავალს უპასუხა:*

*— შენს დალევამდე მე არ დავლევ, შუამავალო!*

*შუამავალმა უთხრა:*

*„— ხალხზე წყლის მიმწოდებელი ადამიანი, ყველაზე ბოლოს სვამს.“ აბუ ქათადემ ამ ბრძანების შემდეგ წყალი დალია. ბოლო თასი კი შუამავალმა შესვა.<sup>37</sup>*

ოქროსა და ვერცხლით დამზადებული ჭურჭლიდან წყლის დალევა არ შეიძლება. ჰუზეიფე ამბობს, რომ: „შუამავალმა აბრეშუმის ტანსაცმლის ჩაცმა და ოქროსა და ვერცხლით დამზადებული ჭურჭლით წყლის დალევა აგვიკრძალა.“ შუამავალმა ბრძანა: „*მთელი ეს ქვეყანა ურწმუნოებს ეკუთვნით, ის ქვეყანა კი — თქვენ.*“<sup>38</sup> უმმუ სელემეს გადმოცემის მიხედვით, შუამავალმა ასე ბრძანა: „*ვერცხლითა და ოქროთი დამზადებული ჭურჭლით წყლის დამლევი ადამიანი ჯოჯოხეთის ცეცხლის დამლევია.*“<sup>39</sup>

37. მუსლიმი, მესაჯიდი, 311.

38. ბუჰარი, ეშრიბე, 28.

39. მუსლიმი, ლიბასი, 1-2.



## 2. ჩაცმა-დახურვის მეთოდი

*„ღვთისმოსაობა ყველაზე საუკეთესო ტანსაცმელია.“*

სურა აარაფი, აიათი 26

როგორი აუცილებელიც საქმლის ჭამა და წყლის დაღვევა ადამიანისთვის აუცილებელია, ასევეა მოხერხებული ტანსაცმლის ტარებაც. მხოლოდ ტანსაცმლის საშუალებით შეიძლება სხეულის დაფარვა და დაცვა, ზოგიერთი ფიზიკური ნაკლის დამალვა.

ჩაცმა-დახურვა ადამიანს ალამაზებს და საზოგადოებაში გასვლის საშუალებას აძლევს. ასევე ტანსაცმლის საშუალებით იცავს ადამიანი თავის სხეულს საფრთხისგან.

ყურანში ნაბრძანებია:

يَا بَنِي آدَمَ قَدْ أَنْزَلْنَا عَلَيْكُمْ لِبَاسًا يُؤَارِي سَوْآتِكُمْ وَرِيشًا وَلِبَاسُ التَّقْوَىٰ  
ذَٰلِكَ خَيْرٌ

„ჰეი, ადამის შვილნო! ჩვენ მოგივლინეთ თქვენ სამოსი თქვენთა სარცხვინებელთა დასაფარად და შესალამაზებლად, და ღვთისმოსიშობის სამოსელი, სწორედ ესაა უკეთესი. აი, ესაა ალლაჰის აიათები, ეგების გულისხმაჰყონ მათ!“<sup>40</sup>

ეს საკითხი სხვა აიათშიც ნახსენებია:

وَجَعَلَ لَكُمْ سَرَائِيلَ تَقِيكُمْ الْحَرَّ

„...დაადგინა თქვენთვის სამოსი, რომელიც სიცხისგან გიცავთ და სამოსი, რომელიც საფრთხისგან გიცავთ ...“<sup>41</sup>

ბუნების კანონების წინააღმდეგ სამოქმედო გრძნობები, ადამიანების მსგავსად, ცხოველებსაც გააჩნიათ. მათ შორის განსხვავება, ადამიანის მიერ ჭკუის გამოყენებაშია, რაც საზოგადოებაში ნამუსის დაცვასა და სასირცხო ადგილების დაფარვაში გამოიხატება. აიათ-

40. სურა აარაფი, აიათი 26.

41. სურა ნაჰლი, აიათი 81.





ში ნახსენები „ღვთისმოსავი ტანსაცმლის“ მნიშვნელობა, ადამიანის სულიერების დაცვას ნიშნავს.

ასეთი ტანსაცმლის ჩაცმა სულიერი სინმინდის დამცავია, რაც მას ოქროს მსგავს ძვირფას ადამიანად აქცევს.

აღლაჰის მიერ ნაბრძანები ამ კანონის საწინააღმდეგო ტანსაცმელი ისლამისთვის შესაფერისი ფორმა არ არის. შუამავალმა: „აიშეს დის — ესმას თხელი ტანსაცმლით დანახვაზე თავი უკან შეაბრუნა და თქვა:

*„ — ესმა! ზრდასრულობის შემდეგ, ქალების მიერ სახისა და ხელების გარდა, სხვა ნაწილების გამოჩენა, სწორი საქციელი არ არის.“<sup>42</sup>*

შუამავალი ამ საკითხთან დაკავშირებით, კიდევ ერთ ჰადისში ასე ბრძანებს:

*„ჯოჯოხეთის ბინადართა შორის არიან ორი ჯგუფის ქალები, რომლებიც მე ვერ დამინახვენ. მათგან ერთნი — ადამიანების ციმბით, ფიზიკურად და სულიერად სხვებზე შეურაცხყოფის მიყენებით არიან დაკავებულნი, ხოლო მეორე ჯგუფი, ჩაცმის მიუხედავად, შიშვლად გამოიყურებიან და სხვებსაც იგივე ფორმით ჩაცმას აძალებენ. სწორედ, ასეთი ქალები სამოთხეში ვერ მოხვდებიან. ისინი სამოთხის სუნსაც კი ვერასდროს ჩაისუნთქავენ.“<sup>43</sup>*

ტანსაცმლის ჩაცმის უპირველესი მნიშვნელობა სხეულის ნორმალურად დაფარვაში მდგომარეობს. შუამავალი ტანსაცმლის ჩაცმის დროს ასე ბრძანებდა:

*„სასირცხო ადგილების დაფარვის და ლამაზ ფორმაში თავის მოქცევის გამო, აღლაჰს მადლობას ვუხდით!“ გარდა ამისა, მან ბრძანა: „ახალი ტანსაცმლის ჩაცმის დროს, ვინც ასე შეევედრება აღლაჰს, ის მისი მფარველობის ქვეშ მოექცევა.“<sup>44</sup>*

ქალები ჩაცმასთან დაკავშირებით უფრო ფრთხილად უნდა იყვნენ. ერთ დღეს აბდურრაჰმანის ქალიშვილი ჰაფსა, რომელსაც თავზე თხელი თავსაფარი ეხურა, აიშესთან მივიდა. აიშემ მას თავიდან თხელი თავსაფარი მოხსნა და სქელი დააფარა.<sup>45</sup>

42. აბუ დავუდი, ლიბასი, 31.

43. მუსლიმი, ჯენნეთი, 52.

44. თირმიზი, დეავათი, 107.

45. მუვათთა, ლიბასი, 6.



ქალებმა თავიანთი თმები, ყელი და ცალკეული ადგილები უნდა დაიფარონ. ეს მოთხოვნა ღვთაებრივი შთაგონებით, მუჰამმედ შუამავლის (სალლალლაჰუ ალეიჰი ვესელემ) სუნნეთით და ისლამის ტეოლოგთა ერთიანი გადანყვეტილებით დამტკიცებულია. ტანსაცმელი ისეთი უნდა იყოს, რომ სხეულის ცალკეულ ნაწილებს გამოკვეთილად არ აჩვენებდეს. ალლაჰი ასე ბრძანებს:

وَقُلِّ لِلْمُؤْمِنَاتِ يَغْضُضْنَ مِنْ أَبْصَارِهِنَّ وَيَحْفَظْنَ فُرُوجَهُنَّ وَلَا يُبْدِينَ زِينَتَهُنَّ إِلَّا مَا ظَهَرَ مِنْهَا وَلْيَضْرِبْنَ بِخُمُرِهِنَّ عَلَىٰ جُيُوبِهِنَّ وَلَا يُبْدِينَ زِينَتَهُنَّ

„და უთხარი მორწმუნე ქალებს, მოარიდონ თვალნი მათნი აკრძალულს და დაიცვან ნამუსი მათნი და არ გამოაჩინონ თავიანთი სამშვენისები, გარდა მოჩანს რაც მისგან ; დაფარონ საბურველით გულმკერდი და არ დაანახონ თავიანთი სამშვენისები არავის, გარდა ქმრისა, ...“<sup>46</sup>

ყურანის ამ აიათში ქალებზე ნაბრძანებია:

1. თვალები მორცხვად დაბლა დახარონ და აკრძალულ საგნებს არ უყურონ;
2. დაიცვან თავიანთი უბინოება და ნამუსი;
3. არ გამოამხეურონ თავიანთი სხეულის ნაწილები, გარდა ნებადართულისა;

4. მიზანშეწონილია თავი და მკერდი დაიფარონ შალით ან დიდი თავსაფრით. (ამასთანავე, აიათები ჩამოთვლილი არიან ის პირები, ვისზეც გამოჩენა შეუძლია). აიათში ნახსენები სიტყვა „ჰუმური“ იმდრონდელი თავსაფრის სახელია, რასაც არაბი ქალები ისლამის დაარსებამდეც მოსართავად იყენებდნენ. მას თავზე დაიხურავდნენ და ერთ ბოლოს ზურგზე ჩაუშვებდნენ. ქალების იმდროინდელი კიდე ერთი ცნობილი ჩასაცმელი პერანგი იყო, რომლის წინა მხარე საკმაოდ ღია ფორმის იყო: ის მკერდის დიდ ნაწილს არ ფარავდა.<sup>47</sup> ისლამმა ამგვარი ჩაცმა-დახურვა აკრძალა. ისლამის მიხედვით, მკერდის დაუფარავობა დაუშვებელია. აიშეს გადმოცემის მიხედვით, ამ

46. სურა ნური, აიათი 31.

47. ქურთუბი, 12, 153. ელმალილი, 5, 3506.





აიათის ჩამოსვლის შემდეგ მუჰაჯირებისა და ანსარების ქალებმა სასწრაფოდ თავზე დაიხურეს და გულისპირები შეიკრეს.<sup>48</sup>

ისლამის კანონები ჩვენს ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ტანსაცმელი იმდენად ფართო უნდა იყოს, რომ სხეულის ნაწილები არ გამოიკვეთოს.<sup>49</sup> დადგენილია, რომ ფართო ტანსაცმელი უფრო მოსახერხებელია. ის ჯანმრთელობისთვისაც სასარგებლოა, რადგან მოტკეცილი ტანსაცმელი სხეულში სისხლის მიმოქცევას ანელებს და ადამიანს მოძრაობაში ხელს უშლის. ყოვლისშემძლე ალლაჰი აიათში ბრძანებს:

يَا أَيُّهَا النَّبِيُّ قُلْ لِأَزْوَاجِكَ وَبَنَاتِكَ وَنِسَاءِ الْمُؤْمِنِينَ يُدْنِينَ عَلَيْهِنَّ مِنْ جَلَابِيبِهِنَّ  
ذَلِكَ أَدْنَىٰ أَنْ يُعْرَفْنَ فَلَا يُؤْذَيْنَ وَكَانَ اللَّهُ غَفُورًا رَحِيمًا

„ჰეი შუამავალო! უთხარი შენს ცოლებს, ქალიშვილებს და მორწმუნე კაცთა ცოლებს, რომ მოისხან საბურველი! ეს უფრო ახლოსაა, რომ უკეთ გამოსაცნობი იყვნენ და არ მიაყენონ შეურაცხყოფა. და ალლაჰი შემნდობია, მწყალობელი!“<sup>50</sup>

ამ აიათში ალლაჰი მუსლიმან ქალებს და ქალიშვილებს გარეთ გასვლის დროს, ისეთი ტანსაცმლის ჩაცმას უბრძანებს, რომელიც მათი სხეულის ფორმას გამოკვეთისგან დაიცავს. ამ საკითხთან დაკავშირებით, ყველა სწავლული ადამიანის შეხედულება ერთნაირია და ქალის ამგვარ ჩაცმულობას ყველა ერთხმად ემხრობა. ამიტომ, ქალების გარეთ გასვლისას საჭიროა, გრძელი ლაბადის, განიერი პალტოს ან მოსასხამის ჩაცმა, რითაც ისინი თავიანთი სხეულის თავიდან ფეხებამდე დაცვას შეძლებენ. ყურანის ეს აიათი მკაფიოთ და ნათლად გვიჩვენებს, თუ ქალმა როგორ უნდა ჩაიცვას. მუშაობის ან სპორტული ვარჯიშის დროს სხეულის დაფარვის შესახებაც შეიძლება ორიოდ სიტყვა ითქვას:<sup>51</sup>

ისლამის კანონების მიხედვით, კატეგორიულად აკრძალულია ჩაცმულობით ქალების მამაკაცებზე დამსგავსება. შუამავალმა კაცების მსგავსად ჩამცმელი ქალები და ქალების მსგავსად ჩამცმე-

48. ბუჰარი, თეფსირი, 24-13. აბუ დავუდი, ლიბასი, 31-33.

49. ჰეისემი, 5, 137.

50. სურა აჰზაბი, აიათი 59.

51. თაბერი, თეფსირი, 22, 33. რაზი, 25, 230. აბუ ჰაიანი7.





ლი კაცები ალლაჰის სიკეთეებისგან შორს დარჩენილ ადამიანებად მოიხსენია.<sup>52</sup>

დღეს, როგორც ვიცით, ძალიან ბევრი იხარჯება იმისათვის, რომ ქალებისა და კაცების ტანსაცმელი ერთნაირი იყოს. ბაზარსა თუ სხვადასხვა მაღაზიებში უკვე მრავლადაა ისეთი ჩასაცმელი, რომელსაც ქალიც იცვამს და კაციც. ეს ძალიან სამწუხაროა, რადგან ასეთი ფორმა ისლამისთვის მიუღებელია. ეს პრობლემა მხოლოდ და მხოლოდ შუამავლის რჩევების მაქსიმალურად გამოყენებით შეიძლება მოგვარდეს.

მეორე მხრივ, ისლამის კანონებით აკრძალულია ისეთი ტანსაცმლის ტარება, რომელიც არ ასრულებს ორ ძირითად ფუნქციას: შიშველი ადგილების დაფარვა და სხეულის მორთვა. აკრძალულია ძვირადღირებული ტანსაცმლის ტარება და სიამაყის გრძნობის გაჩენა. არ შეიძლება ისე ჩაცმა, რომ შენი შესაძლებლობა და სიმდიდრე მჟღავნდებოდეს. ამასთან დაკავშირებით ცნობილია უამრავი ჰადისი. აი ზოგიერთი მათგანი:

*„ვინც ამქვეყნად „დიდებულ ტანსაცმელს“ ჩაიცვამს, განკითხვის დღეს მას ალლაჰი მდაბიოს ტანსაცმელს ჩააცვამს.“<sup>53</sup>*

*„ალლაჰი სიდიადის გამოსახატავად ტანსაცმლის ბოლოების მიწაზე მთრეველ ადამიანს სახეზე არ შეხედავს.“<sup>54</sup>*

ჰადისებში გადმოცემულ „დიდებულ ტანსაცმელს“ ორი მნიშვნელობა აქვს: ერთი — ძვირფასი ტანსაცმლის ჩაცმით ადამიანი ცდილობს თავისი ღირსების ამაღლებას და მეორე — ძველი და დახეული ტანსაცმლით ღარიბი და ღვთისმსახური ადამიანის სახის ჩვენებას.

სიდიადის გამოჩენისა და პირადი ინტერესების ამაღლების გარდა, ჩაცმა-დახურვისას ადამიანი ვალდებულია „ისრაფსაც“ (ზედმეტი ფლანგვა) მოერიდოს. ამასთან დაკავშირებით, შუამავალი ბრძანებს: *„ისრაფის გაუკეთებლად და სიამაყის გარეშე სვით, ჭამეთ, ხარჯეთ და ჩაიცვით!“<sup>55</sup>* იბნ აბბასი აღნიშნავდა: *„ვიდრე თქვენ არ*

52 აბუ დავუდი, ლიბასი, 28

53. იბნ მაჯე, ლიბასი, 24.

54. ბუჰარი, ლიბასი, 1, 5.

55. ბუჰარი, ლიბასი, 1.





*ფლანგავთ ზედმეტს და არ გაგიცვდებათ, შეგიძლიათ ატაროთ ყველაფერი რაც მოგესურვებთ.*<sup>56</sup>

ამჟამად ძლიერ შესამჩნევია, რომ ზოგიერთი ადამიანი მნიშვნელოვან სახსრებს ტყავის ნაწარმის შექმნაზე ხარჯავს. იმისთვის, რომ ბუნვის ქურქი ან ტყავის გრძელი ლაბადა დამზადდეს რამდენიმე ცხოველის განადგურება აუცილებელია. ზოგიერთი ძვირფასი ტანსაცმლის დასამზადებლად იშვიათი სახეობის ცხოველები ნადგურდება. აგრეთვე, არსებობს ისეთი სახის ტყავის ნაწარმი, რომელთა დამზადება მხოლოდ ისეთი მასალისგან შეიძლება, როგორცაა ჯერ კიდევ დედის მუცელში მყოფი ნაშიერი, რაც გამოსადეგია დაზადებამდე. მხოლოდ ერთი ცალი ასეთი ტანსაცმლის წარმოებისთვის რამდენიმე ისეთი ცხოველის განადგურებაა საჭირო, რომლებიც შვილის გაჩენას აპირებენ. ალლაჰის მიერ მსგავსი ქმედებების აკრძალვის მიუხედავად, ასეთი რამ ხშირად ხდება.

დღეს ჩაცმა-დახურვისთვის განეული ისრაფი (ზედმეტი ხარჯები), სარწმუნოების მიხედვით, ძალზე გადაჭარბებულია.

მეორე მხრივ, ცნობილია სასიხარულო ამბები მათთვის, ვინც მიუხედავად შესაძლებლობისა, ატარებს ძვირფას ტანსაცმელს, მოკრძალებით იცვამს. ჰადისებში ნათქვამია, რომ განკითხვის დღეს ალლაჰი ყველაზე ადრე მათ მოიკითხავს და სამოთხის ტანსაცმელს ჩააცვამს.<sup>57</sup> ამასთან, შესაძლებლობის მქონე ადამიანის მიერ ძვირფასი ტანსაცმლის ჩაცმა, სიამაყის გრძნობის გარეშე დასაშვებია. იბნ მესუდი ამბობს, რომ შუამავალმა ბრძანა:

*„გულში იოტისოდენა სიამაყის მატარებელი ადამიანი სამოთხეში ვერ შევა!“*

მას ჰკითხეს:

— ადამიანს სურვილი ექნება, რომ ლამაზი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ჩაიცვას. შუამავალმა უპასუხა:

*„ალლაჰი ლამაზია და ლამაზი ადამიანები უყვარს. სიამაყე კი თავის მოწონებაა, რომელიც მეორე ადამიანს ამცირებს.“<sup>58</sup>*

სხვადასხვა ჰადისში შუამავლის უკმაყოფილება მხრიდან მოუწესრიგებელი ტანსაცმლის მიმართ ღიად არის გამოხატული. ერთ-

56. ბუჰარი, ლიბასი, 1.

57. თირმიზი, ყიამეთი, 39.

58. მუსლიმი, იმანი, 147.





ერთი თანამიმდევარი მალიქ იბნ ნადლა გადმოგვცემს: „ერთ დღეს მოუნესრიგებელი ჩაცმულობით შუამავლის სანახავად მივედი. ასეთ მდგომარეობაში დამნახავმა შუამავალმა მკითხა:

— შენ ქონება, სიმდიდრე, რამე ხომ გაგაჩნია?

— დიახ, მაქვს, შუამავალო! — ვუპასუხე მე.

— რა ქონება გაქვს?

— ალლაჰის წყალობით, აქლემების, ცხვრის ფარისა და ცხენების რემის პატრონი ვარ. გარდა ამისა, პურისა და ქერის ყანები მაქვს. უძვირფასესმა შუამავალმა მიპასუხა:

— რადგან ალლაჰმა ამდენი ქონება მოგცა, მათი ფასი ტანსაცმელზე უნდა გეტყობოდეს!<sup>59</sup>

ჯგერაილ ანგელოზი შუამავალსა და მის თანამიმდევრებთან ადამიანის ფორმით მისვლის დროს, ჰადისების მიხედვით, მშვენივრად გამოიყურებოდა. ჩაცმული იყო თეთრ და ქათქათა ტანსაცმელში, თმები ჰქონდა შავი და დავარცხნილი. თავზე კი არახჩინი (თხელი ქსოვილის ქუდი) ეხურა.<sup>60</sup>

შუამავალი, შესაძლებლობის მიხედვით, უპირატესობას თეთრ ტანსაცმელს ანიჭებდა. ამის შესახებ ის ჰადისში ბრძანებს: „თეთრი ტანსაცმელი ჩაიცვით, რადგან ის უფრო სუფთაა და კარგად გამოიყურება. მიცვალებულებიც თეთრ სუდარაში შეახვიეთ!“<sup>61</sup>

როგორც ვხედავთ, შუამავალი როგორც ცოცხლების, ასევე მიცვალებულებისთვისაც სუფთა და ლამაზ ტანსაცმელს ირჩევს. (გამოკვლევების მიხედვით დამტკიცებულია, ადამიანის ფსიქოლოგიაზე თეთრი ტანსაცმელი დადებითად მოქმედებს, ხოლო წითელი — ნერვებსა და გრძნობებზე ახდენს ზეგავლენას).

შუამავლის მიერ სამოგზაუროდ მიმავალი ერთი ჯგუფი ადამიანების დარიგება საკმაოდ დამაფიქრებელია: „თქვენ თქვენს ძმებთან მიემგზავრებით. სამგზავრო ცხოველები შეკაზმეთ და ტანსაცმელი მოინესრიგეთ! ადამიანთა შორის გამორჩეული სილამაზე გქონდეთ, ისეთი, როგორიც მე მაქვს. იმიტომ, რომ ალლაჰს უხეში შესახედაობისა და ცუდი სიტყვის მთქმელი ადამიანები არ უყვარს!“<sup>62</sup>

59. აბუ დავუდი, ლიბასი, 14.

60. მუსლიმი, იმანი, 1.

61. თირმიზი, ედები, 46.

62. აბუ დავუდი, ლიბასი, 25.





როგორც ვხედავთ, შუამავალი არა მარტო ადამიანებს ურჩევს საკუთარი თავის მონესრიგებას, არამედ ცხოველების მიმართაც ყურადღების გამოჩენას მოითხოვს. ეს მეთოდი სხვების მიმართ პატივისცემისა და დაფასების გამომხატველია. ამიტომ ადამიანის ტანსაცმელი ჩაცმის წინ მონესრიგებას საჭიროებს.

ადამიანის ჩაცმა-დახურვა სხვის ყურადღებას ყოველთვის იქცევს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან მონესრიგებულად ჩაცმული ადამიანი ყოველთვის განსხვავებულია. ამიტომ სხვა ადამიანები ასეთ პიროვნებასთან დაახლოებას და ურთიერთობას ცდილობენ. ამგვარად უფრო მეტად შესაძლებელია ადამიანებთან კავშირის დამყარება და სასურველი შედეგის მიღწევა. მაგრამ მთავარია, არ დაგვავინცდეს მონესრიგებული და სუფთა ტანსაცმლის მედიდური ტანსაცმლისგან განსხვავება.

შუამავლის ბრძანების მიხედვით, ჩაცმა-დახურვისას ყურადღება უნდა მივაქციოთ არა იმას, თუ რა არის მოდაში და რომელი უფრო ძვირფასია, არამედ იმას, თუ რომელი უფრო მოხდენილი და შესაფერისი იქნება ჩვენთვის.<sup>63</sup>

ასევე, ალლაჰის შუამავალი ყოველთვის იძლეოდა რჩევებს თმის ვარცხნილობასთან დაკავშირებით. ერთხელ მან შენიშნა პატარა ბიჭი, რომელსაც თავის მხოლოდ ერთი მხარე ჰქონდა შეკრეჭილი და თანამიმდევრებს უთხრა: „ან სრულიად შეიკრიჭეთ თმები, ან სულ გაიზარდეთ!“<sup>64</sup>

ერთხელ ალლაჰის შუამავალს ფარდის უკნიდან გაუშვირეს ნერილი. შეხედა რა ხელს, მან იკითხა: „ეს კაცის ხელი იყო, თუ ქალის?“ პასუხად მიიღო, რომ ეს ქალის ხელი იყო. მაშინ თქვა: „ასეთ შემთხვევაში მას ფრჩხილებზე ინა უნდა ქონოდა.“<sup>65</sup>

ამასთან ერთად, ის აღნიშნავდა, რომ აბრეშუმის და ატლასის ტანსაცმელი მხოლოდ მამაკაცებისთვის იყო აკრძალული, მაშინ როცა ისინი ქალებისთვის ჩვეულებრივი ტანისამოსია.<sup>66</sup>

63. აბუ დავუდი, თერეჯჯული 3.

64. აბუ დავუდი, თერეჯჯული, 14.

65. ნესაი, ზინეთი, 18.

66. იბნ მავჯე, ლიბასი, 19.





შუამავალს არც ისეთი ტანსაცმლის ჩაცმის ნება დაურთავს, რომელზეც ადამიანის ან ცხოველის სურათია გამოსახული.<sup>67</sup>

აგრეთვე, შუამავლის ნება არ არის დართული ველური ცხოველების ტყავისგან გადაუმუშავებლად დამზადებული ტანსაცმლის ჩაცმაზეც.<sup>68</sup> ისლამის სწავლულთა მიერ დამტკიცებულია, რომ ღორის ტყავის გარდა, ყველა სახის ცხოველის დამუშავებული ტყავისგან შეკერილი ტანსაცმლის ჩაცმა დაშვებულია. შუამავალი ბრძანებს: „დამუშავებული ყველა სახის ტყავი სუფთაა.“<sup>69</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით, ჰადისებიდან გამომდინარე, ისლამის სწავლულებში განსხვავებული შეხედულებები გაჩნდა. იმამი აბუ ჰანიფე აცხადებს, რომ ღორის გარდა, ყველა ცხოველის დამუშავებული ტყავი სუფთაა და მისი გამოყენება შესაძლებელია. იმამი შაფის მიხედვით, ღორის, ძაღლისა და მათი ლეკვების ტყავის გარდა, ყველა ცხოველის გადაუმუშავებელი ტყავი სუფთაა და მისი გამოყენება შესაძლებელია.<sup>70</sup>

ჩაცმა-დახურვასთან ერთად, ქალისა და მამაკაცის გარეგან შეხუდულებასაც გარკვეული პრინციპები გააჩნია. მაგალითად, მამაკაცის მიერ წვერის გაზრდა, უღვაშების მოკლედ შეჭრა და საზოგადოების წინაშე ასეთი ფორმით წარდგომა მიზანშეწონილად არის მიჩნეული.<sup>71</sup> ამასთან, მამაკაცებისთვის მკვეთრი ფერის ტანსაცმლის ჩაცმა, რაც ქალის გემოვნებისაა და ადამიანთა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, მიზანშეწონილი არ არის.<sup>72</sup>

ზოგიერთ ჰადისში ნათქვამია, რომ ქალებზე თმის ძირში გადაკრეჭა აკრძალულია.<sup>73</sup> ქალების ისეთი საქციელი, როგორიცაა-წარბების დავინროება, თმების ღერების ამოცლა, კბილების გაქლიბვა, ტატუს გაკეთება, სახის მაკიაჟი, ნაოჭების გაქრობის საწინააღმდეგო ქმედებები ან პარიკის გაკეთება, სასტიკად აკრძალულია, რადგან ეს ყველაფერი ალლაჰის მიერ გაჩენილი სახის შეცვლასთან არის დაკავშირებული.<sup>74</sup>

67. აბუ დავუდი, ლიბასი, 45.

68. თირმიზი, ლიბასი, 32. დარიმი, ედაჰი, 19.

69. თირმიზი, ლიბასი, 7.

70. მუბარეჟფური, 5, 400-401. ქამილ მირასი, თეჯრიდი სარიჰ თერჯუმესი, 5, 301.

71. ბუჰარი, ლიბასი, 64.

72. მუსლიმი, ლიბასი, 27-28.

73. ნესაი, ზინეთი, 4.

74. ბუჰარი, ლიბასი, 82-87.





შუამავალმა ქალებს სტიბიუმის (ქიმიური ნივთიერება) წარბებსა და წამწამებზე წასმის ნება დართო, რადგან ის ადამიანის მხედველობას აძლიერებს და წამწამებს აჯანსაღებს.<sup>75</sup>

ამრიგად, ჩაცმა-დახურვის შესახებ შეიძლება ასეთი დასკვნა გავაკეთოთ: ადამიანი უნდა შეეცადოს ისეთი ტანსაცმელი ჩაიცვას, რაც მას მოუხდება და რელიგიის კუთხითაც დაშვებული იქნება. აგრეთვე, ქალებმა და მამაკაცებმა ერთმანეთისგან განსხვავებულად უნდა ჩაიცვან და ამ საკითხთან დაკავშირებით ალლაჰის და მისი შუამავლის კანონები არ დაარღვიონ.

### 3. სისუფთავის მეთოდი

*მუსლიმს ყველაფერი სუფთა და ფაქიზი უნდა ჰქონდეს: სული, სხეული, სახლი და გარემო. ყველაფერი ისეთ მდგომარეობაში უნდა იყოს, თითქოს ნებისმიერ მომენტში ალლაჰის შუამავალი უნდა მოვიდეს.*

ჩვენი სარწმუნოება სისუფთავის მნიშვნელობასა და საჭიროებაზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს.

ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

إِنَّ اللَّهَ يُحِبُّ التَّوَّابِينَ وَيُحِبُّ الْمُتَطَهِّرِينَ

„უეჭველად, ალლაჰს უყვარს მომნანიებელნი და უყვარს განწმენდილები.“<sup>76</sup> ალლაჰი ამ აიათში, ადამიანს, როგორც მონანიების საშუალებით სულიერ განწმენდას, ასევე ფიზიკურად გასუფთავებასაც უბრძანებს. შუამავალიც ამ საკითხთან დაკავშირებით ჰადისებში ბრძანებს: „სისუფთავე რწმენის ნახევარია!“<sup>77</sup> „ალლაჰი სუფთაა და სისუფთავე უყვარს!“<sup>78</sup> „ნამაზის გასაღები სისუფთავეა!“<sup>79</sup>

75. აბუ დავუდი, ლიბასი, 13.

76. სურა ბაყარა, აიათი 222.

77. მუსლიმი, თაჰარეთი, 1.

78. თირმიზი, ედები, 41.

79. აბუ დავუდი, სალათი, 73.



ფიზიკური სისუფთავე დანახული სიბინძურისგან გასუფთავე-  
ბაა. სულიერი სისუფთავე კი ჰარამის ქამის, ჭორიკნობის, ტყუილის  
თქმის, სიამაყის, სიბრაზისა და სხვა მსგავსი ცუდი საქმეებისგან  
თავის შორს დაჭერას ნიშნავს. იმქვეყანად ადამიანს, თავისი სუფთა  
გულის გარდა, ვერაფერი დაეხმარება. ალლაჰი ყურანში ამ საკითხ-  
თან დაკავშირებით ბრძანებს:

يَوْمَ لَا يَنْفَعُ مَالٌ وَلَا بَنُونَ إِلَّا مَنْ أَتَى اللَّهَ بِقَلْبٍ سَلِيمٍ

„იმ დღეს, როცა არც სიმდიდრე, არც ძენი არავის წაადგება,  
გარდა იმისა, ვინც წარსდგება ალლაჰის წინაშე უბინო გულით!“<sup>80</sup>

ახლა ყურადღება გავამახვილოთ სულიერ გასუფთაებაზე.

#### ა. ფიზიკური გასუფთაება (დაბანა)

ფიზიკური გასუფთაება ისეთი სახის სიბინძურისგან განწმენ-  
დაა, რომელიც პირველი შეხედვისთანევე არ ჩანს, მაგრამ რელიგიუ-  
რი თვალსაზრისით აუცილებელია. ასეთი სისუფთავით თავის წეს-  
რიგში მოყვანა აბდესის (განბანვის რიტუალის შესრულება) ალებას  
ან ღუსლის აბდესის ალებას საჭიროებს. ამგვარი სისუფთავე, ფი-  
ზიკური სიბინძურისა და სხეულის ჯანმრთელობის დაცვის მსგავს  
სხვადასხვა სიკეთებთან ერთად, ადამიანის ღვთისმსახურებისთ-  
ვის მომზადებასაც განაპირობებს. ალლაჰი აიათში აღნიშნავს, თუ  
ადამიანს რა დროს სჭირდება ჩვეულებრივი აბდესის, და რა დროს  
ღუსლის აბდესის ალება:

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! როცა წამოდგებით სალო-  
ცავად, დაიბანეთ სახენი და ხელები იდაყვების ჩათვლით, თავი შეინ-  
მინდეთ და დაიბანეთ ფეხები კოჭების ჩათვლით...“<sup>81</sup>

როგორც ჩანს აიათში, ნამაზისთვის რომ მოემზადებით, აბდე-  
სისთვის და თუგინდ ღუსლისთვის წყალი რომ არ იყოს, თეიემუმის  
გაკეთება აუცილებელია. შუამავალი ჰადისში ბრძანებს, რომ აბდე-  
სის გარეშე არც ერთი ნამაზის ლოცვა არ შეიძლება.<sup>82</sup>

80. სურა შუარა, აიათები 88-89.

81. სურა მაიდე, აიათი 6.

82. მუსლიმი, თაჰარეთი, 1.





ამგვარი საკითხები ყოველი მუსლიმანისთვის უპირველესი შესასწავლი თემაა. აიათის ბოლოს ალლაჰი აღნიშნავს, რომ ის ამ ბრძანებებს იმიტომ კი არ იძლევა, ადამიანისთვის რაღაც საქმე გამოიძებნოს. არამედ ის აღნიშნავს, რომ ეს ადამიანის ვალდებულებაა და მისი შესრულების შემდეგ ის ალლაჰის მიერ საკმარისად დაჯილდოვდება. სისუფთავის დაცვა ადამიანს ალლაჰის წინაშე ღვთისმსახურებაშიც ეთვლება.

## ბ. ტანსაცმლისა და სალოცავი ადგილის გასუფთავება

ამ თემასთან დაკავშირებით, პირველ რიგში მოსაწესრიგებელი საპირფარეშოა. ამ მხრივ გასათვალისწინებელია შუამავლის რჩევები:

1. საპირფარეშოში შესვლის წინ ისეთი ნივთები, როგორც არის ბეჭედი ან სხვა სამკაულები, რომლებზეც ალლაჰის ან შუამავლის სახელი წერია, მოხსნა აუცილებელია. შუამავალი საპირფარეშოში შესვლის წინ ბეჭედს თითიდან იხსნიდა, რადგან მასზე ალლაჰის სახელი იყო ამოკვეთილი.<sup>83</sup>

2. შუამავლის რჩევით საჭიროა საპირფარეშოში შესვლის წინ ვთქვათ:

*„ღმერთო! სულიერი და ფიზიკური სიბინძურებიდან შენ შეგეფარები!“<sup>84</sup>* გამოსვლის შემდეგ კი ასე უნდა ვთქვათ:

*„ჩემი გაჭირვებიდან მხსნელსა და დანაშაულის მპატიებელ ალლაჰის სახელს ვენაცვალე!“<sup>85</sup>*

3. დიდი ან პატარა აბდესის მოშლისას, საჭიროა, ყიბლეს (ქააბას) მიმართულებით მდგომარეობაში არ ვიმყოფებოდეთ. შუამავალი ამასთან დაკავშირებით ბრძანებს: *„თქვენგან რომელიმე ადამიანი საპირფარეშოში როდესაც შევა, იგი ყიბლეს მიმართულებით არც პირდაპირ და არც ზურგით არ უნდა გაჩერდეს!“<sup>86</sup>*

4. მოშარდვა ფეხზე დგომით არ უნდა მოხდეს. ასეთი მეთოდით აბდესის მოშლამ შესაძლოა ადამიანის სხეული ან ტანსაცმელი დაა-

83. აბუ დავუდი, თაჰარეთი, 10.

84. მუსლიმი, ჰაიზი, 122.

85. იბნ მაჯე, თაჰარეთი, 10.

86. ბუჰარი, ვუდუ, 11.





ბინძურს. აიშეს გადმოცემის მიხედვით, შუამავალი პატარა აბდეს ფეხზე დგომით არ შლიდა.<sup>87</sup> იბნ აბბასის გადმოცემის მიხედვით, შუამავალმა ორ სასაფლაოს გვერდით, როცა ჩაიარა ასე თქვა:

*„ორივე მათგანი ნვალეზას განიცდიან, მაგრამ არა რომელიმე დიდი ცოდვის გამო. ერთი მათგანი — სიტყვის აქეთ-იქით ნალეზა-მოტანის გამო, მეორე კი — პატარა აბდესის მოშლისას სათანადო პრინციპების დაუცველობის გამო.“* ამის შემდეგ შუამავალმა ხურმის ნეღლი ტოტი მოითხოვა, რომლებიც ორივე საფლავის გვერდით დარგო. შემდეგ კი ასე განაცხადა: *„სანამ ეს ტოტები არ გახმებიან, იმედი ვიქონიოთ, რომ მათი ნვალეზა ცოტათი შემსუბუქებული იქნება.“*<sup>88</sup>

ამ ყველაფრის გარდა, ფეხზე მდგარი მოშარდვა მედიცინის მხრიდანაც არ არის მიზანშეწონილი, რადგან ის თირკმლებზე უარყოფითად მოქმედებს.

5. მოშარდვის შემდეგ, გასუფთავება მარცხენა ხელით უნდა მოხდეს. ამის შესახებ შუამავლის ასეთი ჰადისი არსებობს: *„მოშარდვის შემდეგ მარცხენა ხელით გაისუფთავოს!“*<sup>89</sup>

6. გასუფთავება აუცილებლად წყლის საშუალებით უნდა განხორციელდეს. შუამავალი, შესაძლებლობა თუ იყო, ყოველთვის წყლით გასუფთავებას ანიჭებდა უპირატესობას.<sup>90</sup>

აიათში ყუბელების სისუფთავის გამო ალლაჰის კმაყოფილებას ვხედავთ. ალლაჰი ასე ბრძანებს:

**„იქ არიან კაცნი , რომლებსაც უყვართ, რომ განიწმინდონ. და ალლაჰს უყვარს განწმენდილები.“**<sup>91</sup>

ამ აიათის ჩამოსვლის შემდეგ შუამავალი ყუბელებთან მივიდა და შეეკითხა:

*„ანსარის წარმომადგენლებო! ალლაჰი თქვენს სისუფთავეს აქებს, თქვენ მას როგორ იცავთ?“* მათ ასე უპასუხეს:

87. თირმიზი, თაჰარეთი, 8.  
88. მუსლიმი, თაჰარეთი, 111.  
89. ბუჰარი, ვუდუ, 19.  
90. ბუჰარი, ვუდუ, 15-17.  
91. სურა თევბე, აიათი 108.



— ნამაზისთვის აბდესს ვიღებთ, სულიერი სიბინძურის დროს მთლიან სხეულს ვიბანთ და საპირფარეშოში წყლით ვაკეთებთ სისუფთავეს. ამის შემდეგ შუამავალმა თქვა:

„აი, სწორედ ამის გამო გაქვთ ალლაჰი! ამის ვაკეთება აუცილებლად გააგრძელებთ!“<sup>92</sup>

აიათში ალლაჰის მიერ წყლით სისუფთავის გამკეთებლების შექება და შუამავლის მიერ მისი მონონება ამტკიცებს იმას, რომ ეს მეთოდი აშკარად ისლამის კანონის ერთ-ერთი ნაწილია. ბოლომდე გასუფთავებისთვის ქალაღდის ან სხვა მსგავსი რამის გამოყენება საკმარისი არ არის. წყლით გასუფთავების შემდეგ კი ქალაღდითა და სხვა საშუალებებით გამშრალება უფრო უკეთესი მეთოდია.

7. საპირფარეშოში ყოფნის დროს ლაპარაკი ან სასირცხო ადგილების სხვაზე ჩვენება ნამუსისა და კულტურის საკითხია. შუამავალი გვამცნობს, რომ ამგვარ საკითხებს ვინც ყურადღებას არ მიაქცევს ალლაჰისგან ტანჯვას ელოდოს.<sup>93</sup>

8. პატარა აბდესის მოშლის შემდეგ, მამაკაცების მხრიდან აბდესის ახალად აღებამდე ცოტაოდენი გავლა-გამოვლა და შემდეგ აბდესის აღება უფრო უკეთესი მეთოდია.<sup>94</sup>

9. ტრიალ მინდორზე, ამგვარი გასაჭირის გაჩენის შემთხვევაში, გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი. ისეთი ადგილის დაბინძურებას უნდა მოვერიდოთ, სადაც ახლოსაა დასალევი წყალი ან ადამიანის შესაძლო დასვენებისთვის არსებობს ჩრდილი. აბუ ჰურაირე ამ საკითხთან დაკავშირებით შუამავლის ასეთ ჰადისს გადმოგვცემს:

„ — ორ რამეს მოერიდეთ, რომელიც თქვენი დანყევლის მიზეზი შეიძლება გახდეს!

თანამიმდევრებმა ჰკითხეს:

— რა არის ამ დანყევლის მიზეზები?

— ადამიანების გასავლელ გზაზე და მზისგან შესაფარებ ჩრდილში აბდესის მოშლაა.“<sup>95</sup>

92. იბნ მაჯე, თაჰარეთი, 28.

93. აბუ დავუდი, თაჰარეთი, 7.

94. იბნ მაჯე, თაჰარეთი, 19.

95. მუსლიმი, თაჰარეთი, 68.





ჯაბირი კი გადმოგვცემს: „შუამავალმა მდგარი წყლის ახლოს მოშარდვა აკრძალა.“<sup>96</sup>

აბდულლაჰ იბნ სერჯისის გადმოცემის მიხედვით, შუამავლის ბრძანებით, არც ისეთ ადგილებზე შეიძლება მოშარდვა და ადგილის დაბინძურება, სადაც ცხოველები ბალახობენ.<sup>97</sup>

## გ. სხეულის გასუფთავება - განმენდა

ზემთო ჩამოთვლილი სიბინძურეების გარდა, შეიძლება ადამიანის სხეულზე გარკვეული ჭუჭყი, სუნი და გამონაჟონი სიბინძურე გაჩნდეს. მათგან გასუფთავების მეთოდზე შუამავალი ჰადისებში საუბრობს, რომლის გათვალისწინება ყველა მუსლიმანი ადამიანისთვის სუნნეთია. მის მიერ ამ თემასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ჰადისი ასეთია:

*„თქვენგან რომელი ადამიანიც ჯუმა ნამაზის სალოცავად მოემზადება, მთლიანი სხეული დაიბანოს!“<sup>98</sup>*

*„თქვენგან რომელიმე თუ ჯუმა ნამაზის წინ, სუფთა მდგომარეობის მიუხედავად, მთლიან სხეულს დაიბანს და ჯუმის სალოცავად ადრიანად გაეშურება, ის იმდენ მადლს მოიგებს, რამდენსაც აქლემის ყურბნად დაკვლისა და გაჭირვებულებზე დარიგება შეადგენს!“<sup>99</sup>*

ჯუმა ნამაზის წინ სულიერად და ფიზიკურად გასუფთავების შესახებ მრავალი ჰადისი არსებობს. უნდა ვიცოდეთ, რომ ეს შუამავლის სუნნეთია. მაგრამ, რა თქმა უნდა, არც ის არის ცოტა მადლი, თუ ადამიანი ჩვეულებრივი აბდესის ალების შემდეგ ილოცავს ჯუმა ნამაზს.

აგრეთვე, დღეში ხუთი დროის ნამაზისთვის ალებული აბდესი და ჭამის წინ და შემდეგ ხელების დაბანა სისუფთავის ძირითადი პრინციპებია.<sup>100</sup> ამათ გარდა, ფრჩხილების მოჭრა, წვერისა და ულვაშის დაპატარავება, კბილების გახეხვა შუამავლის მიერ ადამიანებზე მიცემული რჩევებია.

96. მუსლიმი, თაჰარეთი, 94.

97. აბუ დავუდი, თაჰარეთი, 16.

98. ბუჰარი, ჯუმა, 2.

99. ბუჰარი, ჯუმა, 4.

100. თირმიზი, ეთიმე, 39.





## დ. ეზო, კარ-მიდამოს გასუფთავება

მუსლიმი ადამიანის მიერ საკუთარი ორგანიზმის სულიერი და ფიზიკური გასუფთავების გარდა, საჭიროა, ეზო კარ-მიდამოს გასუფთავება. მუსლიმი ადამიანის მიერ სახლ-კარისა და მის საკუთრებაში არსებული სხვა ადგილების გასუფთავება აუცილებელია. სახლი და მიმდებარე ტერიტორია ისე კოხტად უნდა იყოს მოწესრიგებული, თითქოს ყოველ წუთში შუამავალს ელოდები სტუმრად. ფეხსაცმელი ლამაზად დალაგებული უნდა ეწყოს, რომ ხელი არავის შეეშალოს.

მესჯიდი ჰარემის მეჩეთისა და შუამავლის მეჩეთის მიმდებარე ტერიტორია მუსლიმებისთვის შეუფერებელ მდგომარეობაში არ უნდა იყოს, რასაც დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს ჰაჯობისა თუ უმრეს გასაკეთებლად მისულმა ყოველმა ადამიანმა.

შუამავლის მხრიდან მრავალი რჩევა-დარიგება არსებობს კარ-მიდამოს დასუფთავების შესახებ. მაგალითად ენეს იბნ მალიქის გადმოცემის მიხედვით, შუამავალმა მეჩეთთან ახლოს, ყიბლეს მიმართულებით ნაფურთხი დაინახა. ის ადგილი თავისი ხელით დაასუფთავა. ამ დროს მის სახეზე აშკარა გაბრაზება შეიმჩნეოდა.<sup>101</sup> შუამავლის სურვილი იყო თავისი მიმდევრები სუფთა და წესიერი ყოფილიყვნენ და ზემოთ მოყვანილი მსგავსი მაგალითებისგან თავი შორს დაეჭირათ. აგრეთვე, საჭიროა, მუსლიმმა ადამიანმა საზოგადოებაში გადაფურთხებით სხვებს ზიზლი არ მოჰგვაროს და ამგვარი ქმედებებისგან შორს დადგეს.

## 4. კარზე დაკაკუნება და სხვის სახლში შესვლა

*„სახლში შესვლის ნებას სამჯერ ითხოვენ. თუ ნებას დაგრთავენ — შეგიძლია შეხვიდე, თუკი არა — საჭიროა შეტრიალდე და ნახვიდე.“*

ბუჰარი, ისტიზანი, 13

ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ ხშირად შევდივართ სხვის სახლში და გამოვდივართ. ზოგიერთი სათავსო გვეკუთვნის ჩვენ,

101. მუსლიმი, მესაჯიდი, 52. ბეიჰაჟი, ეს-სუნნეთულ ქუბრა 1, 255.

ზოგი — სხვას. ცხადია არასასიამოვნო სიტუაციიდან გამოსასვლელად საჭიროა გარკვეული წესების დაცვა. სხვის სახლში შესვლის საკითხი მუსლიმანი ადამიანისთვის გარკვეულ ჩარჩოში უნდა მოექცეს. ამ საკითხთან დაკავშირებით ყურანი გვიბრძანებს:

يَا أَيُّهَا الَّذِينَ آمَنُوا لَا تَدْخُلُوا بُيُوتًا غَيْرَ بُيُوتِكُمْ حَتَّى تَسْتَأْذِنُوا  
وَتُسَلِّمُوا عَلَىٰ أَهْلِهَا ذَٰلِكُمْ خَيْرٌ لَّكُمْ لَعَلَّكُمْ تَذَكَّرُونَ

**„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ შეხვიდეთ სახლებში, გარდა თქვენი სახლებისა, სანამ არ ითხოვთ ნებართვას ...“<sup>102</sup>**

სახლში ან სხვა სათავსოებში შესვლისას ნების აღება საიდუმლოების დაცვასთან არის დაკავშირებული. შუამავალი ერთ ჰადისში აღნიშნავს: *„ნებართვის მოთხოვნა იმ სახლის საიდუმლოებების დანახვისგან თვალის არიდებას ნიშნავს.“<sup>103</sup>*

ჰადისის მიხედვით, საიდუმლოებების გაგება მხოლოდ სახლში შესვლით არ გამოიხატება. ეს თვალებით ყურებაშიც შეიძლება გამოიხატოს. ამიტომ შუამავლის რჩევით, *როდესაც სხვისი სახლის კარებს დაუუკაკუნებთ, ცოტა უკან უნდა დავიხიოთ და ან მარჯვნივ, მარცხნივ უნდა გავჩერდეთ!<sup>104</sup>*

გარდა ამისა, სხვის სახლში ფანჯრიდან ან გასაღების ჭუჭრუტანიდან ყურება მუსლიმანი ადამიანისთვის ერთ-ერთი შეუფერებელი საქციელია. ასეთი საქციელის ჩამდენი ადამიანი სულიერად დაცემული და დაავადებულია.

სეჰლ იბნ სადის გადმოცემის მიხედვით, ერთმა კაცმა შუამავლის სახლის კარის ჭუჭრუტანიდან შიგნით შეიხედა. ამ დროს შუამავალს ხელში სავარცხელი ეჭირა. ამ ადამიანის საქციელი შუამავალმა იგრძნო და უთხრა:

*„შენ მიერ ჩემი თვალთვალის შესახებ რომ მცოდნოდა, ამით თვალებს გამოვთხრიდი. ნების აღება იმისათვის არის საჭირო, რომ სახლში შიგნით რა ხდება, ვერ დაინახო!“<sup>105</sup>*

102. სურა ნური, აიათი 27.

103. ბუჰარი, ისტიზანი, 11.

104. აბუ დავუდი, ედები, 127.

105. მუსლიმი, ადაბი, 40-41.





შუამავალი ასევე ბრძანებს: „თუკი ვინმე უნებართვოდ დაინყებს შიგნით ჭვრეტას, სიმშვიდის დარღვევას, სახლის (პატრონებს) უფლება აქვთ მას თვალები ამოთხარონ.“<sup>106</sup> ამ ჰადისებში კარგად არის ასახული, თუ როდენ დიდი ცოდვაა სხვის სახლში უნებართვოდ ყურება და თვალთვალი. ჰადისში ნახსენები „თვალების გამოთხრა“ იმას ნიშნავს, რომ ასეთი საქციელი არ არის მიზანშეწონილი და ყოველად დაუშვებელია.

შუამავლის ცხოვრების პერიოდში სახლები ხურმის ტოტებით ნაშენი, უმეტეს შემთხვევაში, ერთსართულიანი და მარტივი აგებულების იყო. მაშინ სახლის კარების წინ ადამიანის მიერ შიგნით მისალმებისა და ნების აღების ხმა ჩვეულებრივად აღწევდა, ამიტომ, შიგნით შესვლისათვის ნების მიღება ძალიან მარტივი იყო. ამგვარად მოუქცეველი თანამიმდევრების მიმართ, როგორც ჰადისებში არის მოცემული, შუამავალი უკმაყოფილო იყო.

დღეს არსებული სიტუაციიდან გამომდინარე ამჟამად, რომ შეუძლებელია შიგ შესვლამდე მისალმების ხმა მიანვიდინო. ამიტომ აუცილებელია, შიგნით შესასვლელად ჯერ კარზე დააკაკუნო ან ზარის ღილაკით დარეკო. შემდეგ, როდესაც სახლის პატრონი გამოჩნდება, ჯერ მიესალმო, რაც შუამავლის სუნნეთად ითვლება და მერე შესვლის ნებართვა ითხოვო.

ამ ყველაფერთან ერთად, ნებართვის აღების მიზნით, კარზე მხოლოდ სამჯერ დააკაკუნების უფლება გაგაჩნია. თუ პასუხს ვერ მიიღებ, მაშინ უკან უნდა გაბრუნდე. ამის შესახებ ალლაჰი აიათში ბრძანებს:

فَإِنْ لَمْ تَجِدُوا فِيهَا أَحَدًا فَلَا تَدْخُلُوهَا حَتَّىٰ يُؤْذَنَ لَكُمْ وَإِنْ قِيلَ لَكُمْ ارْجِعُوا فَارْجِعُوا  
هُوَ أَزْكَىٰ لَكُمْ وَاللَّهُ بِمَا تَعْمَلُونَ عَلِيمٌ

„და თუ ვერავის ნახავთ მასში, არ შეხვიდეთ, სანამ ნებას არ დაგრთავენ. და თუ გეტყვიან „გაბრუნდით უკან!“ - წადით. ეს უმჯობესია თქვენთვის. ჭეშმარიტად, ალლაჰი უწყის იმას, რასაც აკეთებთ!“<sup>107</sup>

106. მუსლიმი, ადაბი, 43.

107. სურა ნური, აიათი 28.





შუამავალი ჰადისში ბრძანებს: „*ნების თხოვნა სამჯერ შეიძლება. თუ დაგრთავენ — შეხვალ; თუ არა — უკან გაბრუნდები.*“<sup>108</sup> იმ შემთხვევაში, თუ შიგნით მყოფ ადამიანებს კარზე დაკაკუნების ხმა არ ესმით, შესაძლებელია სამზე მეტჯერ დაკაკუნება.

ნებართვის თხოვნის დროს, თუ იქნება დასმული შეკითხვა „რომელი ხართ?“ „მე ვარ,“ — ჰასუხის მიცემა მიზანშეწონილი არ არის, რადგან როგორი ნაცნობიც არ უნდა იყოს, ყველას იმის შესაძლებლობა არ გააჩნია, ხმის საშუალებით მისი ამოცნობა მოახერხოს. ამიტომ, თუ დავუფიქრდებით შეკითხვა „რომელი ხართ?“ — გულისხმობს თქვენს ვინაობას და ვალდებული ხართ, ამ შემთხვევაში, თქვენი სახელი წარმოთქვათ. ამ საკითხთან დაკავშირებით, შუამავლის ჰადისებში უამრავი რჩევა არის მოცემული.

თითოეული ამ მაგალითიდან გამომდინარე, სახლში შესვლის ნებართვის თხოვნისას, საჭიროა, ჩვენი ვინაობა განვაცხადოთ და შიგნით მყოფი ადამიანების მოთხოვნა დავაკმაყოფილოთ. სხვაგვარი მოქმედება მუსლიმანი ადამიანისთვის შეუფერებელი საქციელი იქნება.

სახლში, საკუთარი ოთახების მქონე ადამიანებთან შესვლის დროსაც აუცილებელია იგივე პრინციპების დაცვა. მაგალითად, აიათში ნაბრძანებია, რომ სახლის მოსამსახურეებს, საკუთარ ოთახში მყოფ სახლის უფროსებთან, ნებართვის აღების გარეშე, შესვლა არ შეუძლიათ:

„*ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! დაე, თქვენი მარჯვენით მოპოვებულმა მონებმა და იმათ, ვინც სრულწლოვანი არ გამხდარა, თქვენგან ნებართვა აიღონ შემოსვლაზე სამგზის: დილის ლოცვამდე, შუადღეს, როცა სამოსს იხდით და საღამოს ლოცვის შემდეგ. აი, სამი ჟამი სიშიშვლისა თქვენთვის. სხვა შემთხვევაში არც თქვენ და არც მათ ცოდვად არ გეთვლებათ ერთმანეთთან მიმოსვლა. ასე გაგიმარტავთ თქვენ ალლაჰი აიათებს. რამეთუ ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!*“<sup>109</sup>

ზრდასრული ასაკის მქონე ადამიანებს კი სხვის ოთახში შესვლისას ყოველთვის ესაჭიროებათ ნების აღება. ამის შესახებ ალლაჰი აიათში ასე ბრძანებს:

108. ბუჰარი, ისტიზანი, 13.

109. სურა ნური, აიათი 58.





## وَإِذَا بَلَغَ الْأَطْفَالُ مِنْكُمُ الْحُلُمَ فَلْيَسْتَأْذِنُوا

„როცა თქვენი ბავშვები სრულწლოვანებას მიაღწევენ, ნებართვა აიღონ თქვენგან, როცა ამას აკეთებენ მათზე უფროსები.“<sup>110</sup>

ეს საკითხი უკეთესად რომ გავიგოთ, ასეთ ისტორიას მოგი-  
თხრობთ:

ერთი ადამიანი შუამავალთან მივიდა და შეეკითხა:

„— შუამავალო, მის ოთახში შესასვლელად დედას ნებართვა  
უნდა ვთხოვოთ?

შუამავალმა უპასუხა:

— დიახ!

— მაგრამ, მე ხომ მასთან ერთად ერთ სახლში ვცხოვრობ?!  
შუამავალმა უპასუხა:

— ნებართვა მაინც საჭიროა!

— მე მისი მუდმივი მოსამსახურე ვარ.

— მაინც, ნება უნდა აიღო! შენ მისი შიშველი დანახვის სურვილი  
გაქვს?

— არა!

— მაშინ მისგან ნება აიღე!“<sup>111</sup>

შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ვინც უნდა იყოს ის,  
ოჯახის წევრი თუ სხვა ნათესავი, მასთან შესვლისას საჭიროა ნე-  
ბართვის აღება. ეს ყოველი მუსლიმი ადამიანის უპირველესი მოვალეობაა.

110. სურა ნური, აიათი 59.

111. მუვათთა, ისტიზანი, 1.





## 5. მისალმების წესები

*„და როცა სალმით გესალმებიან, იმაზე უკეთესით მიესალმეთ...“*

სურა ნისა, აიათი 86

ისლამში მუსლიმების მიერ ერთმანეთთან ურთიერთობის დასა-  
მყარებლად და საუბრის დასაწყებად პირველი გადადგმული ნაბი-  
ჯი ურთიერთმისალმებაა. შუამავალი ამ საკითხთან დაკავშირებით  
ბრძანებს: *„ვიდრე არ ირწმუნებთ, სამოთხეში ვერ შეხვალთ! ვიდრე  
ერთმანეთს არ შეიყვარებთ ნამდვილ მორწმუნეებად არ ჩაითვლე-  
ბით. გითხრათ, რა უნდა გააკეთოთ, რომ ერთმანეთი შეგიყვარდეთ?  
რაც შეიძლება ხშირად მიესალმეთ ერთმანეთს!“<sup>112</sup>*

სალამი ამქვეყნიური და იმქვეყნიური გაჭირვებებისგან გადარ-  
ჩენისა და ბედნიერების მნიშვნელობას ატარებს. ურთიერთმისალ-  
მების აზრი ერთმანეთზე ბედნიერების სურვილია. ამასთან ერთად,  
სიტყვა „ეს-სალამ“ ალლაჰის ულამაზესი სახელებიდან ერთ-ერთია  
და ყოველგვარი ნაკლოვანებისა და უარყოფითი თვისებისგან და-  
ცულია.

სიტყვა „სალამი“ მუსლიმურ სამყაროში ერთგვარი ნიშანია; ყუ-  
რანში ნაბრძანებია: მას, ვინც გზაზე გულთბილად მოგესალმებათ,  
არ უთხრათ: *„... არ უთხრათ იმას, ვინც მშვიდობას შემოგთავაზე-  
ბთ: შენ არა ხარ მორწმუნე! ...“<sup>113</sup>* ამ აიათიდან შეიძლება დასკვნის  
გაკეთება, რომ ამ სიტყვებით, რითაც მუსლიმები ერთმანეთს ესალ-  
მებიან, მათ თვით უზენაესი ალლაჰი და ანგელოზები მიესალმებიან.  
ამ საკითხთან დაკავშირებით ყურანში ნაბრძანებია:

لَا يَسْمَعُونَ فِيهَا لَغْوًا إِلَّا سَلَامًا

*„იქ ფუჭსიტყვაობას არ გაიგონებენ, მხოლოდ: „მშვიდობა!“ და  
მათთვისაა იქ სარჩო დილას და სალამოს!“<sup>114</sup>*

112. მუსლიმი, იმანი, 93.

113. სურა ნისა, აიათი /94.

114. სურა მერიემი, აიათი 62.





سَلَامٌ قَوْلًا مِنْ رَبِّ رَحِيمٍ  
 وَالْعَصْرِ ﴿١﴾ إِنَّ الْإِنْسَانَ لَفِي خُسْرٍ ﴿٢﴾ إِلَّا الَّذِينَ آمَنُوا وَعَمِلُوا الصَّالِحَاتِ  
 وَتَوَاصَوْا بِالْحَقِّ وَتَوَاصَوْا بِالصَّبْرِ ﴿٣﴾

„მონყალე ღმერთის სიტყვაა ერთი: „სალამი - მშვიდობა!“<sup>115</sup>

وَالْمَلَائِكَةُ يَدْخُلُونَ عَلَيْهِمْ مِنْ كُلِّ بَابٍ سَلَامٌ عَلَيْكُمْ  
 بِمَا صَبَرْتُمْ فَنِعْمَ عُقْبَى الدَّارِ

„ედემის ბალები, სადაც შევლენ ეგენი და ვინც ღვთისმოსავი იყო: მათი მამები, მათი მეუღლეები და მათი შთამომავალნი და ანგელოზები შედიან მათთან ყველა კარიბჭიდან: „სალამი თქვენ-და იმის გამო, რომ მოითმინეთ!“ და რა მშვენიერია უკანასკნელი სამკვიდრო“<sup>116</sup>

ალლაჰის შუამავლის სუნნეთის მიხედვით, „ესსელამუ ალეიქუმ!“ ან „ესსელამუ ალეიქე!“ — სახით მისალმების დროს, საჭიროა, მისი ამგვარად აღება: „ვე ალეიქუმუსსელამ!“ ან „ვეალეიქესსელამ!“ შესაძლებელია ამ სიტყვებს დაემატოს: „ვერაჰმეთულლაჰი ვე ბერაქათუჰ!“ სხვა სარწმუნოებებში სალამის მიცემის სხვადასხვა მეთოდი არსებობს. მაგალითად, ებრაელებში თითის ჩვენებით ან თავის დახრით სრულდება. უვიცობის პერიოდში არაბები „დილა მშვიდობისა!“, „სალამო მშვიდობისა!“ ან სხვა მსგავსი მიმართვებით ესალმებოდნენ ერთმანეთს. მისალმების ასეთი ფორმა დღესაც არის ჩვენში გამოყენებული. ეს სიტყვები ცუდს არაფერს შეიცავს, მაგრამ არ შეუძლია მას შეცვალოს მისალმების ის ფორმა, რაც ისლამში დაკანონებულია. მუსლიმს მხოლოდ ის მისალმება ამშვენებს, რაც მუჰამედ შუამავალმა ასწავლა. სარწმუნოების მიხედვით, ვინ ვის და როგორ უნდა მიესალმოს, შუამავლის ჰადისებში ასეა გადმოცემული:

115. სურა იასინი, აიათი 58.

116. სურა რადი, აიათები 23-24.





*„ასაკით უმცროსმა უფროსს პირველი უნდა მიესალმოს, ასევე, მხედარმა — ქვეითად მოსიარულეს, მიმსვლელმა — მჯდომარეს (მსხდომებს), ერთმა — მრავალს პირველი უნდა მიესალმოს.“<sup>117</sup>*

ერთი და იგივე ფორმითა და ერთნაირი ასაკის მქონე ადამიანთა ურთიერთმეხვედრის დროს, ვინც პირველად მისცემს სალამს, ის უფრო მოგებული დარჩება. შუამავალი ამას ჰადისში ასე ადასტურებს: *„აღლაჰის წინაშე ყველაზე ახლოს მდგომი და მისი კმაყოფილების მომპოვებლები, პირველად სალამის მიცემი ადამიანები არიან!“<sup>118</sup>*

მუსლიმი ადამიანი, როგორც მუსლიმ საზოგადოებასთან ახლოს მისვლის დროს, ვალდებულია სალამი მისცეს, ასევე ვალდებულია, წასვლის დროს მათ გამოემშვიდობოს. *„პირველად მიცემული სალამი გვიან მიცემულზე უკეთესია.“<sup>119</sup>*

შუამავლის სუნნეთის მიხედვით, მუსლიმი ყველა შემხვედრს უნდა მიესალმოს. ამასთან არ აქვს მნიშვნელობა, იცნობ თუ არა მას, ორი ადამიანის ურთიერთგაცნობა ხომ მისალმებით იწყება. ორ მუსლიმს საერთო რწმენა, საერთო იდეა და სულიერი ძმობა აერთიანებს. აღლაჰის შუამავალი ყოველთვის ახალისებდა თავის თანამიმდევრებს, რომ ყოველი შეხვედრისას ისინი ერთმანეთს მისალმებოდნენ. აბდულლაჰ იბნ ამრი გადმოგვცემს, რომ ერთმა კაცმა შუამავალს ჰკითხა:

— ისლამის წესთაგან რომელი უფრო ძვირფასია? შუამავალმა უპასუხა:

— *უცნობ თუ ნაცნობ ადამიანზე საჭმლის მირთმევა და მისალმება.“<sup>120</sup>*

აბდულლაჰ იბნ ომარის გადმოცემის მიხედვით, შუამავალი ბრძანებს: *„დაპატიჟეთ სადილზე და კიდევ — ყველა შემხვედრს მიესალმეთ!“<sup>121</sup>*

არცთუ ისე ხალხმრავალ ადგილას, სადაც უმრავლესობა მუსლიმი ცხოვრობს, ასეთი მისალმება სიძნელეს არ წარმოადგენს. მა-

117. ბუჰარი, ისტიზანი, 5-6.

118. აბუ დავუდი, ედები, 133.

119. აბუ დავუდი, ედები, 139.

120. ბუჰარი, იმანი, 20.

121. იბნ მაჯუე, ეთიმე, 1.





გრამ ისეთ ადგილას, სადაც ხშირი დასახლებაა და უამრავი ადამიანი სხვა რელიგიას აღიარებს, ამგვარი მისალმება მიზანშეწონილი არ არის. მიუხედავად ამისა, თითოეული მუსლიმი თავის რაიონსა თუ სოფელში ყველას უნდა ესალმებოდეს, რათა ალლაჰის შუამავლის სუნნეთთან ახლოს იყოს.

*„თუკი თქვენ რწმენით ძმას შეხვდებით — მიესალმეთ, აუცილებლად მიეცით სალამი. თუკი ორ მოსაუბრეს შორის აღიმართება ბოძი, ქვა ან კედელი, გადალახეთ წინააღმდეგობა და ისევ მიესალმეთ ერთმანეთს!“<sup>122</sup>*

მისალმების დროს საჭიროა, უკეთესად თუ არა, იგივე ფორმით მაინც უპასუხო მის მომცემ ადამიანს. მაგალითად, „სელამუნ ალეიქუმ“ — თუკი გეტყვის ადამიანი, შენ უნდა უპასუხო: „ვეალექუმუს-სელამ ვერაჰმეთულლაჰი ვებერექათუჰუ.“ ამასთან ერთად, შესაძლებელია, მხოლოდ „ვეალექუმუსსელამ“ — პასუხი მისცე. აიათში ალლაჰი ასე ბრძანებს:

وَإِذَا حُيِّتُمْ بِحَيَّةٍ فَحَيُّوا بِأَحْسَنَ مِنْهَا أَوْ رُدُّوهَا إِنَّ اللَّهَ  
كَانَ عَلَىٰ كُلِّ شَيْءٍ حَسِيبًا

**„და როცა სალამით გესალმებიან, იმაზე უკეთესით მიესალმეთ ან ისეთივე დაუბრუნეთ.“** შეჭველად, ალლაჰი ყველა საცქიელზე პასუხს აგებინებს!<sup>123</sup>

ამ აიათზე დაყრდნობით, სწავლული ადამიანების მიერ გამოტანილი იქნა დასკვნა, რომ სალამის მიცემა სუნნეთია, ხოლო მასზე პასუხი — ფარძი.

აბუ ჰურაირეს გადმოცემის მიხედვით, შუამავალმა ბრძანა:

*„ალლაჰმა ადამ შუამავალი რომ გააჩინა, მას უთხრა:*

*— ნადი და იქ მსხდომ ანგელოზებს მიესალმე, ყურადღებით მოისმინე, ისინი როგორ გიპასუხებენ, რადგან შენი და შენი შთამომავლების სალამიც ისეთი სახის იქნება!*

*ადამ შუამავალი ანგელოზებს ასე მიესალმა:*

122. აბუ დავუდი, ედები, 135.

123. სურა ნისა, აიათი 86.



— ესელაამუ ალეიქუმ!

ანგელოზებმა უპასუხეს:

— ესელამუ ალეიქუ ვერეჰმეთულლაჰ! ანუ მიცემულ სალამს ანგელოზებმა „ვერეჰმეთულლაჰ“ დაუმატეს.<sup>124</sup>

აიშე გადმოგვცემს:

„ერთხელ შუამავალმა მითხრა:

— „ჯებრაილ ანგელოზმა შენ სალამი გადმოგცა“.

მე ვუპასუხე:

— „ვეალეიჰისელამ ვერეჰმეთულლაჰი ვებერეჰათუჰუ!“<sup>125</sup>

გარდა ამისა, „სელამუნ ალეიქუმ ვერეჰმეთულლაჰი ვებერეჰათუჰუ“ — ამ სიტყვებით მისალმებაცა და პასუხიც შეიძლება. იმრან იბნ ჰუსაინი გადმოგვცემს:

მუსლიმი ადამიანი როგორც სხვა ადგილებში შესვლისას ესალმება იქ მყოფთ, საკუთარ სახლში შესვლის დროსაც ასევე უნდა იქცეოდეს და ცოლ-შვილს ესალმებოდეს. მან ალლაჰის წყალობა ოჯახს არ უნდა მოაკლოს. ენესი ასეთ შემთხვევას გვიყვება:

შუამავალმა მითხრა:

„შვილო, საკუთარ ოჯახში მისვლის დროს შინაურებს მიესალმე, რომ შენც და შენს ოჯახსაც ალლაჰის სიუხვე მოგემატოთ!“<sup>126</sup> ყურანის აიათში ალლაჰი ბრძანებს:

فَإِذَا دَخَلْتُمْ بُيُوتًا فَسَلِّمُوا عَلَىٰ أَنفُسِكُمْ تَحِيَّةً مِّنْ عِنْدِ اللَّهِ مُبَارَكَةً طَيِّبَةً

„...როცა შედიხართ სახლში, მიესალმეთ ერთმანეთს ალლაჰის სახელით...“<sup>127</sup>

ამ აიათის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სახლში თუნდ არავინ იყოს, მაინც უნდა მივესალმოთ. ასეთ შემთხვევაში ამ სიტყვებს

124. ბუჰარი, ენბია, 1.

125. ბუჰარი, ბედულ-ჰალქი, 6.

126. თირმიზი, ისტიზანი 10.

127. სურა ნური, აიათი 61.





ნარმოთქვამთ: „ესსელამუ ლაღინა ველელაა ღიბაადილლააჰის საალიხინი!“<sup>128</sup>

არამუსლიმ ადამიანებს, რა თქმა უნდა, ასეთი ფორმით არ უნდა მივესალმოთ. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ჩვენ მოგვესალმებოდნენ, ასეთი პასუხი უნდა გავსცეთ: „ვე ლაღეიქუმ.“

შუამავალი ბრძანებს: *„ეზრაელებსა და ქრისტიანებს პირველად თქვენ ნუ მიესალმებით!“*<sup>129</sup>

შუამავალს შეეკითხნენ:

„— თუკი ქრისტიანები და ეზრაელები მოგვესალმებოდნენ, როგორ უნდა ვუპასუხოთ?

— ვე ლაღეიქუმ, — ბრძანა შუამავალმა.“<sup>130</sup>

აიშეს გადმოცემულ ერთ-ერთ ჰადისში განსხვავებული მისაღმების მომსწრე ვხვდებით. ის მოგვითხრობს: „შუამავალთან რამდენიმე ეზრაელი მივიდა და ერთ-ერთმა მათგანმა უთხრა: „ეს საამუ აღეიქუმ!“ რაც ნიშნავს: „სიკვდილი შენს თავს!“ მე მათ მაშინვე პასუხი გავეცი: „ეს საამუ აღეიქუმ ვე ლანეთუჰუ,“ ანუ „სიკვდილიცა და წყევლაც თქვენს თავს იყოს!“

შუამავალმა მითხრა:

„— დამშვიდდი აიშე! ალლაჰს ყველა საქმეში თავაზიანობა უყვარს!“

— *შუამავალო! რა თქვეს არ გავიგონიათ?*

„*მეც ხომ ვუპასუხე „ვე აღეიქუმ!“ ანუ „თქვენს თავს იყოს!“*“<sup>131</sup>

იმ შემთხვევაში, როცა მუსლიმებთან ერთად არა- მუსლიმებიც იმყოფებიან, სალამის მიცემა დაშვებულია. შუამავალი მათ, ასეთ შემთხვევებში, როცა მუსლიმებთან ერთად ქრისტიანები და ეზრაელებიც იყვნენ, ესალმებოდა.<sup>132</sup>

აგრეთვე შეცდომით გავგების, ან სხვა რაიმე საეჭვო სიტუაციის არარსებობის შემთხვევაში ქალის კაცზე და კაცის ქალზე მისაღმება

128. მუვათთა, სელამი, 8.

129. მუსლიმი, სელამი, 13.

130. მუსლიმი, სელამი, 7.

131. ბუჰარი, ედები, 35.

132. ბუჰარი, ისტიზანი, 20.





დაშვებულია, რადგან შუამავალს მეჩეთში მყოფი ქალბატონებისთვის სალამი მიუცია.<sup>133</sup> გარდა ამისა, მისი ბიძაშვილი უმმუ ჰანიც მიესალმა.<sup>134</sup>

ბავშვებზე მისალმებაც აუცილებელია. შუამავალი ბავშვებს ყოველთვის ესალმებოდა და პატივს სცემდა. მაგალითად, ბავშვობის ასაკიდან შუამავალთან გაზრდილი ენესი ბავშვებს ყოველთვის ესალმებოდა და ამბობდა, რომ: შუამავალი ყოველთვის ასე აკეთებდა!<sup>135</sup>

არსებობს სიტუაციები, როდესაც სალამის მიცემა საერთოდ არ შეიძლება. ეს მომენტები შემდეგია:

- დიდი თუ პატარა აბდესის მოშლის,
- ნვეულებზე, როცა სტუმრები სპირტიან სასმელს იღებენ;
- აზარტული თამაშების პერიოდში;
- აბდესის აღების და ლოცვის დროს;
- ყურანის კითხვის დროს.

### 6. ხელის ჩამორთმევის წესები

*თუკი ორი მუსლიმი შეხვედრისას ერთმანეთს ხელს ჩამორთმევს, განშორებამდე მათ ადრე ჩადენილი ცოდვები ეპატიებათ.*

აბუ დავუდი, ედები, 142

არაბული სიტყვა „მუსაფახა“ ქართულად ითარგმნება როგორც ხელის ჩამორთმევა. ადამიანების ურთიერთშეხვედრისას მისალმება და მერე ხელის ჩამორთმევა ისლამის რელიგიის ერთ-ერთი კარგი ადათია. თუკი, ადამიანი ხელს ჩამოსართმევად გამოგინოდებს და შენ მას ზურგს შეაქცევ, ვინც არ უნდა იყოს იგი, დიდი სირცხვილი იქნება. ერთ-ერთ ჰადისში ხელის ჩამორთმევა მისალმების ტოლფა-

133. თირმიზი, ისტიზანი, 9.

134. ბუჰარი, ისტიზანი, 16.

135. ბუჰარი, ისტიზანი 15.





სად არის შეფასებული.<sup>136</sup> შუამავალი ხელის ჩამორთმევისას ადამიანს ხელს მანამ არ გაუშვებდა, ვიდრე ის ადამიანი არ გაუშვებდა. აგრეთვე, ვიდრე შემხვედრი ადამიანი უკან არ გაბრუნდებოდა, შუამავალი მას ზურგს არ შეაქცევდა.<sup>137</sup>

შუამავალი ხელის ჩამორთმევის შესახებ ბრძანებს:

*„თუკი ორი მუსლიმანი შეხვედრისას ერთმანეთს ხელს ჩამორთმევს და პატიებისთვის ალლაჰს შეევედრება, ალლაჰი ორივეს თხოვნას შეუსრულებს!“<sup>138</sup>*

პატიება, რაზეც აქ ლაპარაკია, ეხება ყველა სახის ცოდვას, გარდა სხვისი უფლებების შელახვისი. ის ფაქტი, რომ ასეთი მარტივი და ელემენტარული საქციელი, როგორც ხელის ჩამორთმევაა. ცოდვების პატიებას ემსახურება და უმნიშვნელოვანესი საქმეა.<sup>139</sup> ჩვენს სარწმუნოებაში თბილი სიტყვა და გალიმებაც კი მაღლის მოგებად და ღვთისმოსაობის ქმედებად ითვლება.<sup>140</sup>

ისლამის სარწმუნოების მიხედვით, დასაშვებია შორი გზიდან დაბრუნებულ მეგობარს ან ნათესავს გადაეხვიო, ან ხელებსა და შუბლზე აკოცო. აიშე გადმოგვცემს, რომ შუამავალი შორიდან დაბრუნებულ ზეიდ იბნ ჰარისეს გადაეხვია და აკოცა.<sup>141</sup>

გარდა ამისა, შუამავალი ეთიოპიიდან დაბრუნებულ ჯაფერს გადაეხვია და შუბლზე აკოცა.<sup>142</sup>

აგრეთვე, იბნ ომარის გადმოცემის მიხედვით, შუამავალმა თავის თანამიმდევრებს ნება დართო მისთვის ხელზე ეკოცნათ.<sup>143</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით, საფვან იბნ ასსაილ ამტკიცებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ხელზე კოცნა დასაშვებია.

ერთმა ებრაელმა მეორეს უთხრა:

— შუამავალთან წამიყვანე!

136. თირმიზი, ისტიზანი, 31.

137. თირმიზი, ყიამეთი, 46.

138. აბუ დავუდი, ედები, 142.

139. იბნ ჰანბალი, 2, 316.

140. თირმიზი, ბირრი, 36.

141. თირმიზი, ისტიზანი, 32.

142. იბნ ჰიშამი, 3, 414.

143. აბუ დავუდი, ჯიჰადი, 96. ედები, 148.





მეორემ უთხრა:

— მას შუამავალს ნუ ეძახი! რომ გაიგონოს შენი ნათქვამი, ძალიან გაუხარდება და თვალეები გაუბრწყინდება. შემდეგ, ორივე შუამავალთან მივიდა. მას მუსლიმებისა და ებრაელების იმ ცნობილი ცხრა საერთო ბრძანების შესახებ შეეკითხნენ, რომელიც მათ და ისლამის სარწმუნოებაში არსებობდა, ალლაჰის შუამავალმა ასეთი პასუხი გასცა:

*„ალლაჰს არასდროს გაუტოლდეთ, არ იქურდოთ, არ იმრუშოთ, ალლაჰის მიერ თქვენთვის აკრძალული და ჰარამად მიჩნეული არ ჭამოთ, მკვლელობა არ ჩაიდინოთ, უდანაშაულო ადამიანი მოსაკლავად სახელმწიფოს არ ჩააბაროთ, ჯადოქრობა არ ჩაიდინოთ, პროცენტი არ აიღოთ, პატიოსან ქალბატონს მრუშობა არ დასწამოთ, ბრძოლის ველიდან არ გაიქცეთ!“*

ამის შემდეგ ებრაელებმა შუამავალს ხელებზე აკოცეს და უთხრეს:

— ეჭვი არ გვეპარება, რომ შენ ნამდვილად შუამავალი ხარ!

შუამავალმა ჰკითხა:

*„— თუ ეგრეა, მაშინ გამუსლიმებისთვის ხელს რა გიშლით?“ ებრაელებმა უპასუხეს:*

*— დავუდ შუამავალი ალლაჰს ევედრებოდა, რომ შუამავლები ყოველთვის მისი შთამომავლებიდან ყოფილიყვნენ. ახლა რომ ჩვენ შენს სარწმუნოებაზე ვადმოვიდეთ, გვეშინია, ებრაელები მოგვკლავენ.“<sup>144</sup>*

ამ ჰადისიდან გამომდინარე, განათლებულმა ადამიანებმა ურთიერთპატივისცემა, ღვთისმოსაობა, განდევილობა, სამართლიანობა და დაფასება კოცნით აღნიშნეს. მაგრამ ამქვეყნიური სიმდიდრის გამო ხელზე კოცნა კატეგორიულად აკრძალულია.<sup>145</sup>

გარდა ამისა, მამაკაცებისა და ქალბატონების ხელის ჩამორთმევა აკრძალულია. გამონაკლისს მხოლოდ ნათესავები წარმოადგენენ, ან თუკი ქალბატონი ხანში შესულია. შესაძლებელია მოვიყვანოთ მაგალითი. როდესაც შუამავალმა მედინაში დაპატიჟების დროს რა-

144. თირმიზი, ისტიზანი, 33

145. იბნ ჰაჯერი, ფეთხულ-ბარი, 11, 57.





მდენიმე ადამიანისგან სიტყვა აიღო, მათ შორის ქალებიც იყვნენ, მათზე ხელის ჩამორთმევისგან მან თავი შეიკავა<sup>146</sup> და ასე ბრძანა: „მე ქალებს ხელს არ ჩამოვართმევ!“<sup>147</sup> სამწუხაროდ დღეს ამას ყურადღება აღარ ექცევა. ჩვენ ახლა ყოველდღიურად ვხედავთ, თუ როგორ იქცევიან ქაბუკები და ქალიშვილები შეხვედრისას, როგორ ართმევენ ერთმანეთს ხელს და როგორ მოურიდებლად კოცნიან ერთმანეთს.

## 7. საუბრის მეთოდი

*„ნუ იტყვით, თუკი შემდეგ პატიების თხოვნა მოგიწევთ!“*

იბნ მაჯჟე, ზუჰდი, 15

საუბარი — ადამიანთა შორის კავშირისა და ურთიერთ-გაგებისთვის საჭირო ალლაჰისგან ნაბოძები სიმდიდრეა. ადამიანები თავიანთ გრძნობებს, აზრებსა და სურვილებს მეტყველების საშუალებით გამოხატავენ. ადამიანის მიერ გამოყენებულმა საუბარმა შესაძლოა ის აამაღლოს; აგრეთვე, შეიძლება დაამციროს. ისიც ნათქვამია, რომ ადამიანის მიერ ენის დაცვა შესაძლებელია მისი სამოთხეში შესვლის მიზეზი გახდეს. შუამავალი ბრძანებს:

*„ვინც მე სიტყვას მომცემს, რომ მოუვლის იმას, რაც ორ ებას შორისაა (იგულისხმება ენა) და თავის პატიოსნებას, მეც სიტყვას მივცემ, რომ ის დაუყოვნებლივ სამოთხეში შევა!“<sup>148</sup>* კიდევ ერთ ჰადისში, როდესაც ჰკითხეს: „ყველაზე ძვირფასი ვინ არის?“ შუამავალმა უპასუხა:

*„ენითა და ხელით მუსლიმობის დამამტკიცებელი ადამიანი!“<sup>149</sup>* შუამავალმა საუბართან დაკავშირებით გარკვეული წესები ჩამოაყალიბა, რომლებიც შეიძლება ასე ჩამოვთვალოთ:

146. ბუჰარი, ტალაყი, 20.

147. იბნ მაჯჟე, ჯიჰადი, 43.

148. ბუჰარი, რიყაყი, 23.

149. ბუჰარი, იმანი, 4-5.





ა. ღია, გასაგები ენით საუბარი და გაურკვეველი ან მნიშვნელოვანი რამის რამდენჯერმე გამეორება.

„შუამავლის საუბარი ყველა მომსმენი ადამიანისათვის გასაგები იყო.“<sup>150</sup>

„შუამავლის საუბრისას შესაძლებელი იყო სიტყვების დათვლა.“<sup>151</sup>

„კარგად გასაგები რომ ყოფილიყო, მნიშვნელოვან სიტყვასა და წინადადებას სამჯერ გაიმეორებდა.“<sup>152</sup>

საუბრის სრულად გაგებისათვის, ხანდახან სიტყვის გამეორება აუცილებელია. ასეთი შემთხვევები ყურანშიც ხშირად შეიძლება ვნახოთ, სადაც ზოგიერთი რამ რამდენჯერმე არის გამეორებული. მაგალითად, ეშმაკის მიერ, ადამ შუამავალზე სეჯდის გაკეთების ბრძანების შეუსრულებლობა, ყურანში შვიდჯერ არის გამეორებული. მუსა შუამავლის სარწმუნოების ჯადოქრების მიერ აღიარება ყურანში ოთხ ადგილას არის გამეორებული.

შუამავალი ლოცვის დროს ზოგიერთ აიათებს ხანდახან სამჯერ იმეორებდა. აგრეთვე, თანამიმდევრებთან საუბრის დროსაც ხშირად იმეორებდა სიტყვებს. ასეთი შემთხვევები დღესაც არის. ხშირად ხდება საუბრის დროს სიტყვებისა და წინადადებების გამეორება. მაგრამ ეს ისეთი ფორმით უნდა მოხდეს, რომ მსმენელთათვის დამლელი არ გამოდგეს. ამისათვის საჭიროა მსმენელი აუდიტორიის განათლების შეფასება და მათთან საუბრის ისე წარმართვა, როგორც მიზანშეწონილი იქნება.

ბ. თავისთავის სხვებზე ჩვენებისათვის და მსმენელებთან გაუგებარი სიტყვებით საუბარი მიუღებელია.

შუამავალი ყოველთვის სუფთა გრძნობებით საუბრობდა. ის არასდროს სხვისთვის საჩვენებელ საუბარს არ აწარმოებდა.

150. აბუ დავუდი, ედები, 18.

151. ბუჰარი, მენაქიბი, 23.

152. თირმიზი, მენაქიბი, 9.





და. მისი სიტყვები ყოველთვის განსხვავებულ სილამაზეს ატარებდა. მისი საუბარი ყველასათვის სანიმუშო იყო.

გ. გამოსვლის დროს ყვირილით საუბარი ყოვლად დაუშვებელია! მსმენელს, თითქოს ყრუ იყოს, ან მასთან რაიმე საკითხზე ჩხუბი გქონდეს, ისე არ უნდა ესაუბრო. ამაყად და ტკბილად უნდა ისაუბრო. ეს მეთოდი ყოველთვის მომგებიანია. ყურანის მიხედვით, ლოცმან შუამავალი თავის შვილს ურჩევს ყოველთვის მშვიდად და ნყნარად ისაუბრობს:

وَأَقْصِدْ فِي مَشِيكَ وَأَغْضُضْ مِنْ صَوْتِكَ إِنَّ أَنْكَرَ الْأَصْوَاتِ لَصَوْتُ الْحَمِيرِ

„იარე მოზომილი ნაბიჯით, ხმა დაიმდაბლე! შეჭველად, ყველაზე უსიამოვნო ხმა ვირის ხმაა.“<sup>153</sup>

სხვა ერთ-ერთ აიათში ალლაჰი ბრძანებს:

وَقُلْ لِعِبَادِي يَقُولُوا الَّتِي هِيَ أَحْسَنُ

„უთხარი ჩემს მსახურთ : „უთხრან სიტყვა კეთილი!“ შეჭველად, ეშმაკი უკეთურებას თესავს მათ შორის. უთუოდ, ეშმაკი ადამიანის ცხადი მტერია!“<sup>154</sup>

ყოვლისშემძლე ალლაჰმა გაგზავნა რა მუსა შუამავალი და მისი ძმა ჰარუნი ფარაონთან შესახვედრად, მასთან დაბალ ხმაზე საუბარი სთხოვა.<sup>155</sup> შენი მოსაუბრე ურწმუნოც რომ იყოს, მასთანაც დაბალ ხმაზე საუბარი ალლაჰის ბრძანებაა. ერთ ჰადისში ნათქვამია, რომ ლამაზი და ხმადაბალი საუბრის საშუალებით ჯოჯოხეთის ცეცხლისგან გადარჩები:

„ნახევარი ხურმაც რომ გქონდეთ, მისი მიცემით ჯოჯოხეთს გადაურჩებით! მისი მიცემის საშუალება ვისაც არ აქვს, ის ტკბილი ლაპარაკით უნდა შეეცადოს ჯოჯოხეთიდან გადარჩენას!“<sup>156</sup>

153. სურა ლოცმანი აიათი-19.

154. სურა ისრა, აიათი 53.

155. სურა ტაჰა, აიათები 43-44.

156. მუსლიმი, ზეჟათი, 68.





დ. ორი ადამიანის ერთმანეთში ჩურჩული მესამე პირის თანდასწრებით სასტიკად მიუღებელია. შუამავალმა ბრძანა, რომ ასეთი საქციელის გამო შეიძლება ადამიანს ეწყინოს, ამიტომ ის არ შეიძლება. „**და ისინი, რომელნიც პირს იბრუნებენ ფუჭსიტყვაობისგან!**“<sup>157</sup>ნამდვილი მუსლიმი მორწმუნე ძმას არასდროს აწყენს.

ე. საზოგადოებაში, როდესაც რაღაც საკითხის შესახებ პასუხია გასაცემი, მიზანშეწონილია, პირველი სიტყვა უფროსმა ადამიანმა წარმოთქვას. მის შემდეგ, თუ საჭირო იქნება, სხვებსაც შეუძლიათ თავიანთი მოსაზრება გამოხატონ. ერთხელ, ერთ-ერთი ამბის მოსაყოლად, ასაკით ყველაზე უმცროსმა აბდურაჰმან იბნ სეჰლმა პირველმა დაიწყო საუბარი. შუამავალმა მას უთხრა: „პირველი სიტყვა უფროსებს დაუთმე!“  
„**პირველი სიტყვა უფროსებს დაუთმე.**“<sup>158</sup>

აბდულლაჰ იბნ ომარი გადმოგვცემს:

ვ. საჭიროა, მოკლე და კონკრეტული საუბარი. ფუჭი სიტყვებით ლაპარაკი მოსაბეზრებელია. უზენაესი ალლაჰი ადამიანების საუკეთესო თვისებების ჩამოთვლისას ამბობს:

„**და ისინი, რომელნიც პირს იბრუნებენ ფუჭსიტყვაობისაგან.**“<sup>159</sup>

აიათში უადგილო ადგილას საუბარი არასწორ საქციელად არის მიჩნეული. „**და ხალხთაგან, ვინც ყიდულობს ფუჭსიტყვაობას, რათა აცდუნოს ალლაჰის გზიდან...**“<sup>160</sup>

ამ საკითხთან დაკავშირებით აუცილებლად გასათვალისწინებელია შუამავლის შემდეგი ჰადისი:

„**ალლაჰის ხსენების გარეშე ბევრს ნუ ისაუბრებთ! მისი სახელის ხსენების გარეშე ბევრი საუბარი გულს გააუხეშებს.**“

157. ბუჰარი, ისტიზანი, 47.  
158. ბუჰარი, ჯიზიე, 12.  
159. სურა მუმინუნი, აიათი 3.  
160. სურა ლოყმანი, აიათი 6.



*გაუხეშებული გულის მქონე ადამიანები კი ალლაჰისგან ყველა ზეშორსმდგომირომარიან, ამაში ეჭვი არ შეგეპაროთ!*<sup>161</sup>

*„ვისაც საქმე არ ეხება და მისგან თავს შორს დაიჭერს, ის ნამდვილი მუსლიმია.“*<sup>162</sup>

ზ. ისეთი საუბრიდან, რომელიც არც სულიერ და არც ფიზიკურ სარგებელს გვაძლევს, თავი უნდა შევიკავოთ. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

مَا يَلْفُظُ مِنْ قَوْلٍ إِلَّا لَدَيْهِ رَقِيبٌ عَتِيدٌ

**„საკმარისია მან სიტყვა წარმოთქვას და შეჭველად, მეთვალყურე მზადყოფნაშია ესწრას მას.“**<sup>163</sup>

ამ აიათში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ადამიანი არა მარტო თავისი გაკეთებულის, არამედ მისი ნათქვამი ყოველი სიტყვის პასუხისმგებელიცაა. შუამავალი კი ერთ ჰადისში ბრძანებს:

*„ვისაც ალლაჰისა და განკითხვის დღის სჯერა, ან კარგი რამ თქვას, ან საერთოდ გაჩუმდეს!“*<sup>164</sup>

თ. არ ღირს საუბარი ისეთ თემაზე, რაც შენ თვითონ არ იცი. არ შეიძლება ისეთ რამეზე დასკვნის გამოტანა, რაც ჯერ ყველასთვის უცნობია. ალლაჰის შუამავლის ჰადისში ნათქვამია:<sup>165</sup>

*„დაფიქრების გარეშე ნათქვამი სიტყვა ადამიანს ჯოჯობეთში გადაისვრის.“* ალბათ, წინაპრებს ამიტომ უთქვამთ: „ას-ჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი“.

ი. ორ ადამიანს შორის ურთიერთობის გაფუჭების მიზნით საუბარი სასტიკად აკრძალულია. შუამავალი ბრძანებს:

161. თირმიზი, ზუჰდი, 62.

162. თირმიზი, ზუჰდი, 11.

163. სურა ყაფი, აიათი 18.

164. ბუჰარი, ედები, 31, 85.

165. ბუჰარი, რიყაყი, 23.



„ისეთი სიტყვა არასდროს თქვა, რომელიც შემდეგ ბოდიშის მოხდას გაიძულებს!“<sup>166</sup>

კ. მუსლიმი ადამიანი ვალდებულია ყოველთვის სიმართლე ილაპარაკოს და ტყუილისგან შორს იდგეს. შუამავალი ბრძანებს:

გაღვიძებისთანავე ადამიანის სხეულის ყველა ორგანო ენას მიმართავს: „აღლაჰის გეშინოდეს და ჩვენ გაგვიფრთხილდი, რადგანაც ჩვენ მხოლოდ შენი ლაპარაკის გამო შეიძლება დავისაჯოთ. ჩვენ შენ გემორჩილებით. თუკი შენ სამართლიანი იქნები, მაშინ ჩვენც სამართლიანი ვიქნებით. შენ თუ სწორი გზიდან გადაუხვევ, ჩვენც შენ მოგყვებით და სწორი გზიდან გადაუხვევთ!“<sup>167</sup> ყურანი კი ამ საკითხთან დაკავშირებით ბრძანებს:

يَا أَيُّهَا الَّذِينَ آمَنُوا اتَّقُوا اللَّهَ وَقُولُوا قَوْلًا سَدِيدًا يُصْلِحْ لَكُمْ  
أَعْمَالَكُمْ وَيَغْفِرْ لَكُمْ ذُنُوبَكُمْ

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გეშინოდეთ ალლაჰის და ჭეშმარიტი სიტყვა თქვით! თქვენი საქმეები გამოასწოროს და სასარგებლო ჰქმნას და მოგიტევოს ცოდვანი თქვენი. და ვინც ჰმორჩილებს ალლაჰს და მის შუამავალს, ჭეშმარიტად, მან დიად ნეტარებას მიაღწია!“<sup>168</sup>

ლ. არასდროს თქვა: „უეჭველად, მე ამას ხვალ გავაკეთებ!“ გარდა ნებითა ალლაჰისა, და როცა დაგავინყდება, გაიხსენე შენი ღმერთი და თქვი: „ეგების მიმალწევინოს ღმერთმა ჩემმა ამაზე უფრო სწორ გზას!“ — თქმა ჩვენი სარწმუნოების მიხედვით ძალიან კარგი და მიზანშეწონილია. როცა რაღაცის სურვილი გაგაჩნია და ალლაჰს თხოვნით მიმართავ, მაშინ მისი სახელის ხსენებაც ამ თხოვნის ასრულების მიზეზი ხდება. აიათში ნაბრძანებია:

166. იბნ მაჯუე, ზუჰდი, 15.

167. თირმიზი, ზუჰდი, 61.

168. სურა აჰზაბი, აიათები 70-71.





وَلَا تَقُولَنَّ لِشَيْءٍ إِنِّي فَاعِلٌ ذَلِكَ غَدًا إِلَّا أَن يَشَاءَ اللَّهُ وَادْكُرْ رَبَّكَ إِذَا  
نَسِيتَ وَقُلْ عَسَىٰ أَن يَهْدِيَنِّي رَبِّي لِأَقْرَبَ مِن هَذَا رَشَدًا

„რადაც საქმის (შესრულებისათვის) (არასდროს) თქვა: „მე ხვალ ამას გავაკეთებ“, თუკი არ დაამატებ „ინშალლაჰი!“ (თუკი ალლაჰის ნება იქნება).“<sup>169</sup>

## 8. პატივისცემისა და მოკრძალების წესები

ერთ საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანები, სულიერ-ზნეობრივი განვითარებით, მატერიალური მდგომარეობით, ინტელექტუალური განვითარებით, ეროვნებით, სქესით მაინც ყოველთვის განსხვავდებიან. მაგრამ, ამ განსხვავების მიუხედავად, თითოეული მათგანი ადამიანის თვისებებს ფლობს. ზოგიერთ ადამიანთან ერთად ცხოვრების გამო, საჭიროა, ერთმანეთის უფლებების დაცვა, ერთმანეთის მიმართ თავაზიანობის გამოხატვა, მათი დაცვა აუცილებელია კარგი ურთიერთობის დასამყარებლად და ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. ამ საკითხს ჩვენი სარწმუნოება ძალიან სერიოზულად ეკიდება. შუამავალი ბრძანებს:

*„ვინც პატარებს არ შეიცოდებს ან უფროსებს პატივს არ სცემს, ის ადამიანი ჩვენგან არ არის!“<sup>170</sup>*

ეს ჰადისი, პატარების მიმართ სიყვარულს და უფროსების დაფასების აუცილებლობას გამოხატავს. სიყვარული და პატივისცემა ისეთი თვისებებია, რომლებიც სიცოცხლეს მნიშვნელობას ანიჭებს. მაგრამ, როცა ჩვენ პატივისცემას ვახსენებთ, ამავდროულად უმცროსის მიერ უფროსის მიმართ საჭირო პატივისცემა გაგვიეღვებს თავში. ის, ვინც უფროსების მიმართ თავაზიანობას არ გამოიჩენს, მათ ღირსებას არ დაიცავს და მათ უფლებებს პატივს არ სცემს, ნამდვილ მუსლიმად არ ითვლება.

უფროსების მიმართ თავაზიანობისა და პატივისცემის გამოხატვის შესახებ, კიდევ ერთ ჰადისში ნაბრძანებია:

169. სურა ქაჰფი, აიათები 23-24.

170. თირმიზი, ბირრი, 15.





„იმ პიროვნებას, რომელიც ადამიანისადმი თავაზიანობას მხოლოდ და მხოლოდ მისი ასაკის გამო გამოიჩენს, უზენაესი ალლაჰი მას მოხუცებულობის დროს მზრუნველ და მომვლელ ადამიანს გაუგზავნის.“<sup>171</sup>

ერთი ჭეშმარიტება ყველასათვის ცნობილია: ვინც დღეს მოხუცია, ოდესღაც ახალგაზრდა იყო. თუკი ალლაჰი მოისურვებს და საშუალებას მისცემს იცოცხლებს დიდხანს და მოხუცდება. მაგრამ თავაზიანობა არ უნდა ხუცდებოდეს. ურთიერთპატივისცემა თაობიდან თაობაზე შთამომავლობით უნდა გადადიოდეს, ვინაიდან შუამავლის ჰადისში ნაბრძანებია, თუკი შენზე მოხუც ადამიანს პატივისცემ, მის სანაცვლოდ ალლაჰი, მოხუცებულობაში პატივისმცემელ ადამიანს შენც გამოგიგზავნის. აქედან გამომდინარე, შენ მიერ გაკეთებულ სიკეთე სამაგიეროს გადახდის გარეშე არ დარჩება.

ამგვარად, ყოველი მუსლიმი ადამიანის მოვალეობა მასზე უფროსი ადამიანების მიმართ თავაზიანობა და პატივისცემაა. თუ ასე გაგრძელდება, ადამიანთა შორის ურთიერთპატივისცემა საგრძნობლად მოიმატებს და გაღრმავდება.

მუსლიმი ადამიანი ყველა გაჩენილი არსების მიმართ თავაზიანია. როდესაც ალლაჰმა გამორჩეული ადამიანები ჩამოთვალა, მათ შორის იყვნენ ისინიც, ვინც შეუგნებლად ცუდად მოქცევი ადამიანების მიმართ მაინც თავაზიანობას გამოიჩენენ. გავიხსენოთ ისიც, რომ ალლაჰი, მუსა შუამავალს ფარაონთან შეხვედრისას თავაზიან მოქცევას და ხმადაბლა საუბარს დაბალი ხმით უბრძანებს.

თავაზიანობის გამოჩენის უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება. საზოგადოებაში ან სტუმრად ყოფნისას პატივისცემა მარჯვენა მხარიდან ან უფროსით უნდა დავინყოთ.

სეჰლ იბნ ები ჰასმე გადმოგვცემს: „აბდულლაჰ იბნ სეჰლი და მუჰაიისა იბნ მესუდი ზავის დღეებში ჰაიბერში წავიდნენ. თავიანთი საქმეების მოგვარების გამო ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. შეთანხმებულ ადგილას შესახვედრად მისულ მუჰაისას ამხანაგი არ დახვდა. იგი მოძებნა და ერთ ორმოში სისხლში გასვრილი და გარდაცვლილი იპოვა. ახლომახლო მყოფი ადამიანების დახმარებით, გვამი ორმოდან ამოიღო და დაასაფლავა. შემდეგ ის მედინაში დაბრუნდა.“

171. თირმიზი, ბირრი, 75.





როდესაც აბდულლას ძმამ — აბდურრაჰმან იბნ სეჰლმა ეს ამბავი გაიგო, მესუდის გვარის წარმომადგენლებთან ერთად მუჰაისა და ჰუვასისა შუამავალთან მიიყვანა. იქ მყოფი ადამიანებიდან ყველაზე უმცროსმა აბდურრაჰმანმა მომხდარი ამბის მოყოლა დაიწყო. შუამავალმა შენიშნა:

*„სიტყვა უფროსებს დაუთმე! სიტყვა უფროსებს დაუთმე!“ აბდურრაჰმანი გაჩუმდა და მომხდარი ამბავი შუამავალს უფროსებმა მოახსენეს.“<sup>172</sup>*

იმის მიუხედავად, რომ აბდურრაჰმანი დაზარალებული იყო, შუამავალმა, ასაკის გამო, სიტყვის თქმის უფლება მას მაინც არ მისცა. ასეთი მოქმედებით, შუამავალმა უფროსების მიმართ თავაზიანობის მნიშვნელობა კიდევ ერთხელ აჩვენა. ჩვენი მთავარი სათქმელიც ამ მაგალითში სწორედ ეს იყო.

შუამავალი წყლის ან რძის დაღვევის დროს, ყოველთვის სხვებისთვისაც დაიტოვებდა და მას მარჯვენა მხარიდან დაწყებული ყველას მიანოდებდა. თუ მარჯვენა მხარეს ასაკით უმცროსი ადამიანი იქნებოდა, მისგან ნების აღების შემდეგ, ჯერ უფროსებს მიანოდებდა. ეს მისი სუნნეთი იყო.

თავაზიანობა და დაფასება, უფროსებთან ერთად იმ ადამიანების მიმართაც საჭიროა, რომლებიც სწავლული, ჰაფიზები (ის ადამიანები, ვინც ყურანი ზეპირად იციან) და სამართლიანი ხელმძღვანელები არიან. ერთ ჰადისში ნაბრძანებია:

*„გაჭალარავებული წვერისა და თმის მქონე მუსლიმების, ყურანის ზეპირად მცოდნეებისა და სამართლიანი ხელმძღვანელების მიმართ გამოჩენილი თავაზიანობა ან დაფასება, ალლაჰზე პატივისცემია.“<sup>173</sup>*

ჯაბირის გადმოცემის მიხედვით, შუამავალმა უჰუდის ბრძოლაში შეჰიდად დაცემული ადამიანების გვამები თითო საფლავში ორ-ორი დაასაფლავა. დასაფლავების წინ მან იკითხა:

*„რომელმა მათგანმა უფრო მეტად იცოდა ყურანი?“*

172. ბუჰარი, ჯიზიე, 12.

173. აბუ დავუდი, ედები, 20.





*რომელმაც ყურანი უფრო კარგად იცოდა ის ადამიანი საფლავში ყიბლეს (ქაბას) მხარეს დაასაფლავა.<sup>174</sup>*

შუამავლის ამგვარი საქციელიდან გამომდინარეობს ის, რომ ყურანის მცოდნის დაფასების საკითხი არა მარტო მის სიცოცხლეში არის გასათვალისწინებელი, არამედ მისი სიკვდილის შემდეგაც. აგრეთვე, ყურანში არის ნაბრძანები: **უთხარი: „განა თანასწორნი არიან განსწავლულნი და უციცნი?!“**<sup>175</sup>

ამგვარად, ალლაჰის მიერ ყურანში ნაბრძანებია, რომ განათლებული ადამიანების მიმართ პატივისცემა და მათი სხვებიდან განსხვავება აუცილებელი რამ არის.

მუსლიმმა სწავლულმა ადამიანებმა მრავალი მსგავსი მაგალითი გადაგვიშალეს თვალწინ. მუჰამმედ ფარსა მათ შესახებ ალლაჰს ასე ევედრებოდა:

„ალლაჰმა ჩვენ მათი სიყვარულით გვაცხოვროს და ამ სიყვარულით დაგვასრულებინოს ჩვენი სიცოცხლე! იმქვეყანად მათთან ერთად გვამყოფნოს! მათზე არსებული სიუხვე ჩვენც გვარგუნოს და ეს სიუხვე სამოთხით მოგვიზღოს!“

სინამდვილეში, სწავლული ადამიანი თუ რაიმე განსაკუთრებულს ვერ მიიღებს, არც არაფერს კარგავს. ცოდნა ხომ მაინც შესაფასებელია. მაგრამ ის ადამიანები, ვინც ამას ვერ შეაფასებენ და მის ფასს ვერ გაიგებენ, ისინი ახალსაც ვერაფერს შექმნიან და ამის გამო სასტიკად დაისჯებიან. ისლამის კანონი კი ისეთია, ყველა შესაბამისად დაიმსახურებს. მცოდნე და უცოდინარი ერთნაირი ვერასდროს იქნება. იმპერატორ აბდულჰამიდზე საკოცნელად დახრილ შეიხულისლამს, იმპერატორმა ძალიან მნიშვნელოვანი სიტყვები უთხრა:

„შეიხულისლამ! თავი მაღლა ასწიეთ! შენი თანამდებობა და თავს დახურული ქუდი დაბლა დასახრელი არასდროს უნდა გახდეს!“<sup>176</sup>

აგრეთვე, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ „განათლებული“ ის ადამიანები არიან, ვინც თავიანთ ცოდნას იყენებენ და მისით ცხოვრო-

174. ბუჰარი, ჯენაიზი, 73-76.

175. სურა ზუმერი, აიათი 9.

176. ნეჯიფ ფაზილი, გვ. 16.



ბენ. ხოლო ისინი, ვინც თავიანთ ცოდნას არ იყენებენ და სხვას არ გადასცემენ, უცოდნირებად ითვლებიან.

ადამიანების ალლაჰისადმი ერთნაირი მორჩილების მიუხედავად, მათ ურთიერთობაში განსხვავებული უფლებამოსილება არსებობს, როგორცაა უფროსი და უმცროსი, ხელმძღვანელი და რიგითი. ამიტომ ყოველ ადამიანს თავისი თანამდებობის მიხედვით შეფასება და შესაფერისად მოქცევა ესაჭიროება. შუამავალი ბრძანებს:

*„ადამიანებს თანამდებობის, რანგისა და განათლების მიხედვით მოექცეცით და შეაფასეთ!“<sup>177</sup>*

მაგრამ, ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ადამიანების შეფასება საზღვრებს არ უნდა გასცილდეს და ისლამის შესაფერის ჩარჩოში უნდა მოთავსდეს. მაგალითად, ჰირაში მთავარსარდალზე ადამიანების მიერ სეჯდის გაკეთება, ყოველნაირ საზღვარს გადაცილებული იყო. ამის მნახველმა ყაის იბნ სადმა შუამავალს მოახსენა, რაზეც მან უპასუხა:

„არა, ასეთი რამ არ გააკეთოთ.“<sup>178</sup>

აქედან გამომდინარე, ადამიანმა სეჯდე მხოლოდ ალლაჰს უნდა გაუკეთოს. უზენაესის მიერ გაჩენილ არც ერთ არსებაზე სეჯდის გაკეთება არ შეიძლება. ეს ისლამში სასტიკად აკრძალულია.

შუამავალს, როცა ჰკითხეს, ადამიანმა თავის ამხანაგს, ან სხვა ვინმეს შეხვედრის დროს რომ დაუჩოქოს, თუ არის მიზანშეწონილი, მან ასე უპასუხა:

„არა, არ შეიძლება!“<sup>179</sup>

რა თქმა უნდა, მუსლიმმა-მუსლიმი აუცილებლად უნდა დააფასოს, მაგრამ ყოველივე კანონის ფარგლებში, როგორც ისლამს შეეფერება, ისე უნდა მოხდეს. მარურ იბნ სუვეიდი მოგვითხრობს:

ერთხელ მე აბუ ზერრი ძალიან ძვირფას ტანსაცმელში გამონყობილი დავინახე. მას გვერდით ედგა ზანგი მონა, რომელიც ასევე

177. აბუ დავუდი, ედები, 20.

178. აბუ დავუდი, ნიქაჰი, 40.

179. თირმიზი, ისტიზანი, 31.





მდიდრულად ჩაცმული იყო. მე დავინტერესდი, თუ რატომ ჩააცვა მან მონას ასეთი ძვირფასი ტანსაცმელი. მან მიპასუხა:

„შუამავლის სიცოცხლეში ერთი ადამიანი შევარცხვინე, რომლის დედაც შავკანიანი იყო. ამის გამო შუამავალმა მითხრა:

*„შენ უვიცობის დროინდელი ჩვევების მატარებელი ადამიანი ხარ. ისინი თქვენი მოსამსახურეებიც არიან და ძმებიც. ალლაჰმა ისინი თქვენ შესაფარებლად ჩაგაბარა. ვისაც თავისი მფარველობის ქვეშ სხვა ადამიანი ჰყავს, მას ის უნდა აჭამო, რასაც თვითონ ჭამს, ისე უნდა ჩააცვას, როგორც თვითონ იცვამს. მათ ისეთი რამ არ უნდა დააკისროთ, რასაც ვერ შეიძლებს, ხოლო თუკი ამის აუცილებლობა წარმოიქმნება, თვითონ დაეხმარეთ მას!“<sup>180</sup>*

ისლამი, კანის ფერისა და ეროვნების მიხედვით ადამიანის დამცირების კატეგორიული წინააღმდეგია. კანის ფერი, ეროვნება და სქესი — ისეთი განსაკუთრებული ნიშნებია, რომლებიც ადამიანს დაბადებიდანვე დაჰყვება. ამის გამო მასზე დაცინვა არ შეიძლება, რადგან ეს გამჩენისთვის შეურაცხყოფის მიყენებას ნიშნავს. მუსლიმი ადამიანი, რაც არ უნდა დიდი თანამდებობის იყოს, სხვა მუსლიმების ძმაცაა და ეს სამსახურის გამო, არასდროს უნდა დაავიწყდეს. რადგან ხვალ შეიძლება ის ჩამოქვეითდეს და მისი ადგილი იმ ადამიანმა დაიჭიროს, რომელსაც დღეს არაფრად აგდებს და ზედაც არ უყურებს.

შუამავალმა თანამიმდევრებისგან ითხოვა, მისი გამოჩენის დროს ფეხზე არ ამდგარიყვნენ. აბუ უმამე გადმოგვცემს: „ერთ დღეს შუამავალი ჩვენთან ყავარჯნით მოვიდა. მის დანახვაზე ჩვენ ფეხზე წამოვდექით. ამის გამო შუამავალმა ბრძანა:

„სპარსელების მსგავსად ნუ მოიქცევით!“<sup>181</sup>

მაგრამ, ცნობილია შემთხვევები, როცა ალლაჰის შუამავლის ქალიშვილი ფატიმა და მისი თანამიმდებარი იბნ ჰარისა სხვა თანამიმდევრებთან შეხვედრისას ფეხზე დგებოდნენ.<sup>182</sup> როცა შუამავალმა მუჰამმედმა (სალალლალაჰუ ალეიჰი ვესელემ) სად იბნ მუაზი

180. ბუჰარი, იმანი, 22.

181. იბნ მაჯე, დუა, 2.

182. თირმიზი, ისტიზანი, 32.





მოსამართლედ დანიშნა, უთხრა: „ნამოდექით თქვენი მმართველის წინაშე!“<sup>183</sup>

გაანალიზეს რა ორივე ჰადისი, სწავლულები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მათ ფეხზე ადგომა, ვინც საზოგადოების საკეთილდღეოდ მუშაობს, აუცილებელია ყოველივე ეს მოჩვენებით კი არა პატივისცემითა და სიყვარულით უნდა გამოიხატოს.<sup>184</sup>

ადამიანის წინაშე თავის დახრა, მასზე ლოცვა და ხვეწნა-ვედრება, მისი გაღმერთება და მსგავსი რიტუალები, კერპთაყვანისმცემლობისა და უფიცობის დროინდელი ნიშნებია, რომლებიც ისლამში ყოვლად დაუშვებელია. შუამავლის უპირველესი თხოვნა ადამიანებისადმი სწორედ ამგვარ ქმედებებზე თავის დანებება იყო.

ადამიანებთან დაფასებითა და თავაზიანობით ურთიერთობისას დროს გადაჭარბებისგან თავი უნდა შევიკავოთ. ადამიანზე პირისპირ გადამეტებულად მომფერებელ ადამიანს, შუამავალი ეუბნება:

*„სირცხვილი შენს თავს! მოჭერი ამხანაგს თავი!“ ამ სიტყვების სამჯერ გამეორების შემდეგ ასეთ დარიგებას აძლევს: „თუკი ვინმეს სურს თავისი ამხანაგი შეაქოს, თქვას: „მისი ხასიათის ეს მხარეები კარგია.“ მაგრამ სიტყვები ისე უნდა შეარჩიოს, რომ ის ადამიანი მართლაც ისეთი იყოს, რადგან მათ გამო მას ალლაჰზე პასუხის გაცემა მოუწევს. არც ერთმა ადამიანმა, ალლაჰის სახელით, სხვის შესახებ ის არ თქვას, როგორც ის სინამდვილეში არ არის!“<sup>185</sup>*

ერთ-ერთი სხვა გადმოცემის მიხედვით, შუამავალი ბრძანებს: *„ერთმანეთის შეფასების დროს, გადაჭარბებულად არ მოიქცეთ, რადგან ეს შენ მიერ შეფასებული ადამიანის მოკვლის ტოლფასია!“<sup>186</sup>*

ზემოთ მოყვანილ უამრავ მაგალითში შუამავლის კონკრეტული მოთხოვნაა, რომ ადამიანის შექება გადაჭარბებულად არ მოხდეს, რადგან ეს უარყოფით რეაქციას გამოიწვევს. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია, დაფასებული ადამიანი გაამაყდეს და მან ველარ შეამჩნიოს ის უარყოფითი მხარეც, რომელიც მას გააჩნია. შუამავალი

183. ბუჰარი, მელაზი, 30.

184. იბნ ჰაჯერი, ფეთჰულ-ბარი, 9, 49.

185. ბუჰარი, ედები, 54.

186. იბნ მაჯე, ედები, 36.





თავის თანამიმდევრებსაც აფრთხილებს იმის შესახებ, რომ არც მისი შექება მოხდეს საჭიროზე მეტად. ენეს იბნ მალიქი გადმოგვცემს:

„ერთი კაცი შუამავალთან მივიდა და მიმართა: „ბატონო, ბატონიშვილო, ყველაზე ძვირფასო, ყველაზე ძვირფასო ქმნილება!“ ამის გამო შუამავალმა ამ ადამიანს უთხრა:

*„ადამიანებო, ალლაჰის გეშინოდეთ! ეშმაკმა არ მოგატყუოთ. მე აბდულლაჰის შვილი — მუჰამედი ვარ, ალლაჰის მონა-მსახური და შუამავალი. ვფიცავ, მე თქვენგან მის ბოძებულზე მალლა აყვანა არ მჭირდება!“<sup>187</sup>*

ამ საკითხთან დაკავშირებით შუამავლის კიდევ ერთი ასეთი თხოვნაა:

*„მარიამის შვილის — ისა შუამავლისადმი ქრისტიანების მსგავს გადაჭარბებულ შექებას, ჩემ მიმართ ნუ გამოიჩენთ! მე მხოლოდ ალლაჰის მსახური ვარ. ამიტომ მე მხოლოდ ალლაჰის მსახური და შუამავალი დამიძახეთ!“<sup>188</sup>*

როგორც ვხედავთ შუამავლის სურვილია, მას ხალხმა მიმართოს მხოლოდ იმ ფორმით, რაც მიზანშეწონილია. მას გადაჭარბებული არაფერი სჭირდება. დროთა განმავლობაში ისა შუამავლის ქებამ ადამიანები იმ დონემდე მიიყვანა, რომ მას ღმერთის შვილიც შეარქვეს, რაც უდიდესი შეცდომაა, რადგან ის ალლაჰის ისეთივე შუამავალი იყო, როგორიც სხვა დანარჩენები. „**ეი, ღვთიური წიგნის ხალხო! ზღვარს ნუ გადახვალთ თქვენს სარწმუნოებაში და...**“<sup>189</sup>

## 9. ღიმილის წესები

*„ბევრი არ იცინოთ, გადაჭარბებული სიცილი გულის მომკვლელია!“*

თირმიზი, ზუჰდი, 2

სიცილი და ღიმილი ადამიანის ისეთი განსაკუთრებული ნიშნებია, რისი საშუალებითაც ის თავის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას

187. იბნ ჰანბელი, 3, 153.

188. ბუჰარი, ენბია, 48.

189. სურა ნისა, აიათი 171; სურა მაიდე, აიათები 72-77.





გამოსატავს. მაგრამ ზოგიერთი ხშირად და უმიზეზოდ იცინის. ადამიანმა გაცინების დროს ზომიერება უნდა დაიცვას. როგორც ცნობილია, სიცილი სხვადასხვა სახისაა: სიცილი, კისკისი, ხარხარი, ღიმილი და ა.შ. თუ როგორი სიცილია უფრო მიზანშეწონილი და კარგი, ამისათვის უბადლო მაგალითის მომცემ შუამავლის ქცევასა და რჩევებს გადავხედოთ. ძვირფასი აიშე ამბობს:

„შუამავლის ისეთი გაცინება არასდროს დამინახავს, რომ სულ ცოტათი მაინც ენა გამოჩენოდა. ის ყოველთვის ილიმოდა.“<sup>190</sup>

ჯერირ იბნ აბდულლაჰი გადმოგვცემს: „შუამავალი ჩემი გამუსლიმების დღიდან ყოველ ჩემს დანახვაზე ილიმოდა.“<sup>191</sup>

აბდულლაჰი იბნ ჰარისი კი ამბობს: „შუამავალზე მომღიმარი ადამიანი არავინ მინახავს.“<sup>192</sup> ჰადისებიდან გამომდინარე, შუამავალი მომღიმარი სახის ადამიანი იყო. ის დაძაბულობისა და კრიტიკული მომენტის დროსაც მწუხარებას არ იმჩნევდა და მასთან ახლოს მყოფ ადამიანებსაც არაფერს აგრძნობინებდა. საყვარელ ადამიანებთან შეხვედრისას მის მომღიმარ სახეზე სიხარული მატულობდა.

ამასთან, რაღაც მეტად სასიხარულო ამბის გაგების, ან რაიმეს დანახვის დროს ისე გაიღიმებდა, რომ წინა კბილები ოდნავ გამოუჩნდებოდა ხოლმე.

მაგალითად, ძვირფასი აიშეს გადმოცემიდან ერთი ასეთი ჰადისი გავიხსენოთ: ერთხელ, როდესაც ძალიან დიდი გვალვა იყო და ადამიანები შუამავალთან დახმარებისთვის მივიდნენ, მან მოკლე მოწოდება გააკეთა, შემდეგ ალლაჰისთვის ლოცვა და ვედრება აღავლინა. მას შემდეგ, ბევრი დრო არ იყო გასული, რომ ჭქქა-ქუხილი დაიწყო და წვიმა წამოვიდა. სწორედ ამ დროს, გახარებული ხალხის დანახვაზე შუამავალს ისე გაეღიმა, რომ წინა კბილები გამოუჩნდა.<sup>193</sup>

*ერთხელ შუამავალმა მუჰამედმა (სალალლალაჰუ ალეიჰი ვესელემ) თავის თანამიმდევრებს უთხრა: მე ვიცი ჯოჯოხეთის ცეცხლიდან სულ ბოლოს ვინ გამოვა და სამოთხეში ყველაზე ბოლოს ვინ შევა ეს ის ადამიანია, ვისაც განკითხვის დღეს მოიყვანებენ და ეტყვიან: „მისი ჩადენილი პატარა ცოდვები აჩვენეთ, ხოლო დიდი*

190. ბუჰარი, თეფსირი, 46-2.  
 191. ბუჰარი, ედები, 68.  
 192. თირმიზი, მენაჰიბი, 10.  
 193. აბუ დავუდი, ისტისკა, 2.



ცოდვები საიდუმლოდ შეინახეთ!“ შემდეგ, მას პატარა ცოდვებს აჩვენებენ და ჰკითხავენ:

— ნუთუ შენ ის არ ხარ, ვინც ამა და ამ დღეს — ამას, ამა და ამ დღეს ამას აკეთებდა.

ადამიანი მას ვერ უარჰყოფს და დათანხმდება.

— დიახ, ჩავიდინე, — იტყვის და იმის შეეშინდება, რომ ამ ცოდვებთან ერთად მისი ჩადენილი დიდი ცოდვებიც არ აჩვენონ. სწორედ ამ დროს მას ეტყვიან:

— ყველა შენს ჩადენილ ცოდვას თითო-თითო სიკეთე თან ახლავს. ამის შემდეგ, ეს ადამიანი იტყვის:

— „ღმერთო, მე ამ ცოდვების გარდა, სხვებიც მაქვს ჩადენილი, რომლებსაც აქ ვერ ვხედავ!“

აბუ ზერრის გადმოცემის მიხედვით, შუამავალს, ამ ამბის მოყოლის შემდეგ ისე გაელიმა, რომ წინა კბილები გამოუჩნდა.<sup>194</sup>

შუამავალი ბრძანებს:

„ბევრი არ იცინოთ, ბევრი სიცილი გულის მომკვლელია!“<sup>195</sup> ასევე, შუამავალი ბრძანებს: „თქვენ რომ ის იცოდეთ, რაც მე ვიცი, მაშინ ცოტას იცინებდით და ბევრს იტირებდით!“<sup>196</sup> ამ ჰადისით შუამავალმა აღნიშნა, რომ იმ ქვეყნის მოსაგებად ტირილი, სიცილზე უკეთესია. ამ საკითხთან დაკავშირებით ალლაჰი ბრძანებს:

فَلْيُضْحَكُوا قَلِيلًا وَلْيَبْكُوا كَثِيرًا جَزَاءَ بِمَا كَانُوا يَكْسِبُونَ

„დაე, ცოტა იცინონ და ბევრი იტირონ იმის საზღაურად, რაც მოიხვეჭეს!“<sup>197</sup>

194. მუსლიმი, იმანი, 314.  
195. თირმიზი. ზუჰდი, 2.  
196. ბუჰარი, თეფსირი, 5-12.  
197. სურა თეგებე, აიათი 82.



## 10. ხუმრობის წესები

*ხუმრობა ყველა კარგია, თუკი ზომ-  
იერების ფარგლებშია.*

კასტანმონლი ბაიანი

ხუმრობა ადამიანებს ამშვიდებს, სიყვარულისა და მეგობრობის განმტკიცებაში ეხმარება. ხუმრობა დადებითი მნიშვნელობის მქონე, ერთ-ერთი გასართობი მეთოდია. შუამავალიც ხანდახან იხუმრებდა ხოლმე. თანამიმდევრებიც მის ასეთ მოქმედებას სიხარულით ესალმებოდნენ. მაგრამ ზოგიერთი სახის ხუმრობა, როგორცაა: ტყუილი, დაცინვა, დამცირება და ასე შემდეგ — აკრძალულია. შუამავლის ხუმრობაში უარყოფითი ზეგავლენა არასდროს შეიმჩნეოდა.

შუამავლის ხუმრობაში სიმართლის კვალი აუცილებლად ჩანდა. მას ყოველთვის არასწორად მიაჩნდა ტყუილზე აგებული ხუმრობა. აბუ ჰურაირეს გადმოცემის მიხედვით, ერთმა თანამიმდევარმა შუამავალს უთხრა:

— შუამავალო! ჩვენ ხუმრობას გვიკრძალავ, მაგრამ თქვენ თვითონ ამას აკეთებთ!

შუამავალმა უპასუხა:

„— დიახ, მაგრამ მე მხოლოდ სიმართლით ვხუმრობ!“<sup>198</sup> კიდევ ერთ ჰადისში შუამავალი ბრძანებს: „სირცხვილი იმ ადამიანს, ვინც ხალხის გასაცინებლად ტყუის!“ სირცხვილი მათ, ვინც ასე იქცევა!“<sup>199</sup>

გაგაცნობთ სიმართლეზე დაფუძნებულ შუამავლის ხუმრობის რამდენიმე მაგალითს:

*ერთმა კაცმა შუამავლისგან სამგზავროდ აქლემი ითხოვა. შუამავალმა უთხრა:*

„— კარგი, შენ დედალი აქლემის კოზაკზე შეგსვამ!“ კაცმა გაიკვირვა და შუამავალს ჰკითხა:

— *შუამავალო, მე დედალი აქლემის კოზაკზე როგორ უნდა შევჯდე, როცა ის ვერ მზიდავს?! შუამავალს გაელიმა და უპასუხა:*

198. თირმიზი, ბირრი, 57.

199. აბუ დავუდი, ედები, 80.





— აქლემთაგან დიდიც და პატარაც დედალი აქლემის შვილები არ არიან?!<sup>200</sup>

ერთხელ ერთი მოხუცებული ქალბატონი შუამავალთან მივიდა და სთხოვა:

— შუამავალო, სამოთხეში შესვლისთვის ჩემთვის ალლაჰს შეევედრე! შუამავალმა უპასუხა:

„სამოთხეში მოხუცი ქალბატონები ვერ შევლენ!“

გაცემული პასუხის მნიშვნელობას ქალბატონი ვერ მიხვდა და ტირილი დაიწყო. შემდეგ შუამავალმა მას აუხსნა:

„ხნიერი ქალბატონები სამოთხეში მოხუცებული სახით კი არა, გაახალგაზრდავებული შევლენ. ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

إِنَّا أَنْشَأْنَاهُنَّ إِنِشَاءً فَجَعَلْنَاهُنَّ أَبْكَارًا عُرْبًا أَتْرَابًا لِأَصْحَابِ الْيَمِينِ

„უეჭველად, ჩვენ გავაჩინეთ ისინი ახალთახალი გაჩენით ამრიგად, დავადგინეთ ისინი ქალწულებად, მეუღლეთა მიჯნურად, თანატოლებად მემარჯვენე ხალხთათვის.“<sup>201</sup>

ერთხელ პოეტმა აბბას იბნ მირდასმა, სამხედრო ნადავლიდან დანაწილებული ქონების წილის გამო, შუამავლის მისამართით სასაყვედურო ლექსი თქვა. შუამავალმა ეს ამბავი რომ გაიგო, მას დაუძახა და უთხრა:

„შენ ენა უნდა მოგჭრა!“ ამასთან დაკავშირებით, შუამავალმა ბილალი ჰაბეში წინასწარ გააფრთხილა, რომ გასაჩუმებლად მისთვის ტანსაცმელი მიეცა.

„— ბილალ წაიყვანე და გააჩუმე!“

ბილალმა აბბასს ხელი მოკიდა და წაიყვანა. აბბასმა ყვირილი დაიწყო:

— შუამავალო! ენა უნდა მომჭრას, მუჰაჯირებო, ენა უნდა მომჭრას, ანსარებო ენა უნდა მომჭრას! ბილალს კი მაინც მიჰყავდა. როცა აბბასმა ყველანაირ ზღვარს გადააჭარბა, ბილალმა ჩასჩურჩულა:

200. თირმიზი, ბირრი, 57.

201. სურა ვაყია, აიათები 35-38; ჰეისემი, 10, 419. თირმიზი, შემაილი, გვ. 91-92.





— გაჩუმდი! შუამავალმა ტანსაცმლის მოცემით შენი გაჩუმება დამავალა. დაბოლოს, ბილალი ჰაბეშმა აბბასს გასაჩუმებლად კიდევ ერთი ხელი ტანსაცმელი დაუმატა.<sup>202</sup>

ენეს იბნ მალიქი გადმოგვცემს:

უდაბნოში მცხოვრებ ერთ-ერთ ადამიანს სახელად ზაჰირი ერქვა. ეს ადამიანი ყოველი მოსვლისას, შუამავალს, უდაბნოში მისი ხელით მოყვანილ ხილს აძლევდა, წასვლისას კი შუამავალი მას ისეთ რამეებს გაატანდა, რაც უდაბნოში არ მოდიოდა და ასე ბრძანებდა:

„— ზაჰირი ჩვენი უდაბნო, ჩვენ კი მისი ქალაქი ვართ!“

შუამავალს ზაჰირი ძალიან უყვარდა. შეხედულებით, ანუ ფიზიკური აღნაგობით ის ზაჰირი ძალიან ლამაზი ადამიანი არ იყო. ერთხელ, როდესაც ზაჰირი ვაჭრობით იყო დაკავებული, შუამავალი უკნიდან მიუახლოვდა და თვალეზზე ხელები ააფარა. ზაჰირმა უთხრა:

— რომელი ხარ, გამიშვი ხელი! — თქვა და შეეცადა გათავისუფლებულიყო, მაგრამ როცა მიხვდა, რომ შუამავალი იყო, დაწყნარდა, დამშვიდდა და შეეცადა მას უფრო გულთბილად ჩახუტებოდა. ამის შემდეგ შუამავალმა განაცხადა:

„ეს მონა გასაყილია, მისი ყიდვის მსურველი ხომ არავინაა?“

ზაჰირმა დაბალი და მწუხარე ხმით წარმოთქვა:

— შუამავალო! ჩემისთანა უსაქმურ მონაში ერთ ცენტაოსაც არავინ გადაიხდის. შუამავალმა უპასუხა:

„არა, ზაჰირ, შენ ალლაჰისთვის ძალიან ძვირფასი ადამიანი ხარ!“<sup>203</sup>

ზაჰირი სინამდვილეში თავისუფალი ადამიანი იყო. შუამავალი მის მიმართ მსახურს, მონას, მორჩილსა და სხვა სიტყვებს იმ მნიშვნელობით იყენებდა, რომ ის ალლაჰის მონა-მსახური ადამიანი იყო.

მაჰმუდ იბნ რეზი ამბობს: „მე მახსოვს, როდესაც ხუთი წლის ვიყავი, შუამავლისგან ვედროდან წყლის სახეზე შესხმა.“<sup>204</sup> აქ აღ-

202. იბნ სადი, 4, 273.

203. იბნ ჰანბელი, 3, 161.

204. ბუჰარი, ილიმი, 18.





ნიმნულია შუამავლის ბავშვებთან გახუმრების ერთ-ერთი მეთოდი, მათთან დაახლოება და მათი სიყვარულის მოპოვება.

აგრეთვე, ბავშვობის წლების შუამავალთან გატარების გამო, ენესი იხსენებს, რომ შუამავალი ხანდახან ბავშვებს ხუმრობით მიმართავდა: „ჰეი, ორყურებიანო!“<sup>205</sup>

შუამავალი არა მარტო თვითონ ხუმრობდა ბევრს, არამედ სხვის ხუმრობასაც გაგებით ეკიდებოდა. ნუმან იბნ ანსარი ერთ-ერთი ცნობილი ხუმარა იყო. ერთხელ მან მედინას, ბაზარში ახალ შემოსული ხილი იყიდა და შუამავალი მოინახულა წასვლისას უთხრა:

— შუამავალო, ეს ხილი შენთვის ვიყიდე, მას შენ გჩუქნი! ცოტა ხნის შემდეგ, ხილის გამყიდველმა ნუმანისგან ხილის საფასური მოითხოვა. ნუმანმა ის შუამავალთან მიიყვანა და უთხრა:

შუამავალო, ამ კაცს ხილის საფასური გადაუხადე! შუამავალმა ჰკითხა:

„— ნუმან, შენ ეს ხილი საჩუქრად არ მოგიტანია?“

ნუმანმა უპასუხა:

— შუამავალო, როდესაც ვიყიდე, ფული არ მქონდა, მაგრამ მინდოდა, ეს ხილი შენც გეჭამა და ამიტომ ვიყიდე! შუამავალმა გაიცინა და ხილის საფასური გადაიხადა.<sup>206</sup>

თანამიმდევარი სუჰეიბ რუმი შუამავალთან დაკავშირებულ ერთ ხუმრობას ასე იხსენებს: „ერთხელ შუამავალთან მივედი სუფრაზე პური და ხურმა იყო. მან მიმიწვია მაგიდაზე და პური და ხურმა შემომთავაზა.

იმ დროს თვალის ტკივილი მანუხებდა. სუფრასთან დავჯექი და ჭამა დავიწყე. შუამავალმა მკითხა:

„— თვალი გტკივა და თან ხურმას ჭამ?!“

მე ვუპასუხე:

— რომელ მხარესაც მტკივა, იმ მხარეს არ ვღეჭავ, შუამავალო!“ ჩემს პასუხზე შუამავალს ისე გაეცინა, რომ კბილები გამოუჩნდა.<sup>207</sup>

205. აბუ დავუდი, ედები, 84.

206. იბნ ჰაჯერი, ელ ისაბე, 3, 570.

207. იბნ მაჯე, ტიბი, 3.





ზემოთ მოყვანილი უამრავი მაგალითი ხუმრობის სხვადასხვა ფორმის ნიმუშებია. ყოველი მუსლიმი ადამიანი ვალდებულია შუამავლისგან აიღოს მაგალითები, და ისე იხუმროს. აგრეთვე, ყურადსაღებია გახუმრების დროს ტყუილი არ ითქვას. გარდა ამისა, ხუმრობას თავისი ზღვარი უნდა ჰქონდეს და ზღვარს არ უნდა გასცდეს. გადაჭარბებული ხუმრობა სუნნეთისთვის შეუფერებელი საქციელია.

## 11. ცხვირის დაცემინებისა და მთქნარების წესები

მთქნარება — რეფლექსი, რომელიც აღიძვრება დაღლილობისას, ადამიანის დახუთულ ოთახში ყოფნისას, გულის მუშაობის გაუარესებისას, კუნთების სატივობის შემცირებისას, ძილლვიძილისას, უძილობის ან მოწყენის დროს ადამიანის მიერ პირის ფართოდ დაღებით გამოიხატება.

ცხვირის დაცემინება — ადამიანის ორგანიზმში დაგროვილი ჰაერის ნაკადის პირისა და ცხვირის საშუალებით ერთდროულად გარეთ გამოფრქვევაა. ასეთი მოქმედების დროს ადამიანის ორგანიზმი ისვენებს. აქედან გამომდინარე, ორივე მათგანი ადამიანის ორგანიზმის განტვირთვას იწვევს. შუამავლის თქმით, ცხვირის დაცემინება — ალლაჰისგანაა, ხოლო მთქნარება ეშმაკის მოსაწონი საქციელია. იგი ასე ბრძანებს:

*„როდესაც ვინმეს დამთქნარება მოუნდება, თუკი შესაძლებელია შეეცადოს მისგან თავის შეკავებას, რადგან დამთქნარებისას ეშმაკი დასცინებს!“<sup>208</sup> ერთ-ერთი სხვა ვერსიის მიხედვით კი: „დამთქნარების დროს პირზე ხელი აიფარეთ, რადგან ეშმაკი პირში არ შეგივარდეთ!“<sup>209</sup>*

ჰადისში აღნიშნული მთქნარება, უმეტეს შემთხვევაში, ჭამასმის ანუ ზედმეტი კვების, ძილის წინ და უსაქმურობის პერიოდში ხდება. ამიტომ მთქნარება მიზანშეწონილი საქციელი არ არის. თუ შესაძლებელი იქნება, მისგან თავი უნდა შევიკავოთ. თუ ამას ვერ მოვახერხებთ, მაშინ პირზე ხელი უნდა მივიფაროთ.

208. ბუჰარი, ედები, 125.

209. მუსლიმი, ზუჰდი, 57-58.



მთქნარების თავიდან ასაცილებლად მრავალი ხერხი არსებობს. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, ლოცვის წინ, შემდეგ რამეებზე გამახვილდეს ყურადღება:

- საპირფარეშოში ქცევის წესების დაცვა;
  - ყოველი ლოცვის წინ ახალი აბდესის აღება;
  - ლოცვის დანყების წინ, „ხელების მალა ანევით“
  - ეშმაკისგან ალლაჰის დახმარებისა და დაცვის თხოვნა;
- ამ საკითხთან დაკავშირებით შუამავლის რჩევები ასეთია:

*„თუკი თქვენგან ვინმეს ცხვირს დააცემინებს, მაშინვე „ელჰადუ-ლილლაჰ“ — უნდა თქვას. მასთან მყოფმა ადამიანმა კი მას „იერჰამუქელლაჰ“ (ალლაჰი იყოს შენი მფარველი)!“ — უნდა უთხრას. ხოლო ვისაც ცხვირის ცემინება ჰქონდა, უნდა უპასუხოს: „იეჰდიქუ-მულლაჰუ ვე იუსლიჰუ ბალექუმ“ (ალლაჰმა მოგცეს გამარჯვება და სიკეთე)!“<sup>210</sup>*

ცხვირის დაცემინებას, ადამიანის ყველა ორგანო შეიგრძნობს. მედიცინის წამყვანი თანამშრომლების თქმით, ეს ადამიანის ორგანიზმის, ჯანმრთელობისთვის სასარგებლო მოვლენაა. ყველა კარგ რამეს კი მადლობის გადახდა ესაჭიროება. სწორედ ამიტომ არის, რომ ცხვირის დაცემინების შემდეგ ალლაჰის სახელს ვახსენებთ და მას მადლობას ვუხდით. ცხვირის დაცემინების დროს, თუ იმ ადამიანის გვერდით ვინმე იმყოფება, მისი მხრიდან „იერჰამუქელლაჰ“ — თქმა ერთ-ერთი რჩევათაგანია, რომელიც მიზანშეწონილად ჩაითვალა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ის ადამიანი, ვისაც ცხვირის დაცემინება ექნება „ელჰადუ-ლილლაჰ“ — არ იტყვის, მის გვერდით მყოფი ადამიანებისგან გამომხაურება საჭირო აღარ არის. ენესი გადმოგვცემს, რომ შუამავლის გვერდით მყოფ ორ ადამიანს ცხვირს დააცემინა. შუამავალმა ერთს მათგანს „იერჰამუქელლაჰ“ უთხრა. მეორეს კი — არაფერი. ვისაც შუამავალმა არაფერი უთხრა, ის შუამავალს შეეკითხა:

— შუამავალო! ცხვირის დაცემინების დროს იმ ადამიანს „იერჰამუქელლაჰ“ — უთხარი, მე კი არაფერი. შუამავალმა უპასუხა:

210. ბუჰარი, ედები, 126.





„— იმ ადამიანმა ცხვირის დაცემინების შემდეგ „ელჰამდული-ლლაჰ“ თქვა, შენ კი არაფერი გითქვამს.<sup>211</sup>

შუამავლმა პირველს ალლაჰის წყალობა იმიტომ ისურვა, რომ ის ყოველთვის ფიქრებით ღმერთთან იყო, მეორეს კი თავისი გამჩენი დავიწყებული ჰყავდა, რის გამოც მისი წყალობა დაკარგა.

ვისაც ზედიზედ რამდენჯერმე ცხვირს დააცემინებს, ყოველი დაცემინებისას გამობნაჟურება საჭირო არ არის. ასეთი შემთხვევის შესახებ, ჰადისში ნაბრძანებია: *„დამცემინებელ ადამიანს სამჯერ „იერჰამუქელლაჰ“ — უთხარი, ხოლო თუ მას მას შემდეგ კიდევ რამდენჯერმე დააცემინებს, არაფრის თქმა საჭირო აღარ არის!“<sup>212</sup>*

დღევანდელ ცხოვრებაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ცხვირის დაცემინების დროს სხვადასხვაგვარად ხდება ურთიერთპასუხი. აი, ერთ-ერთი ვარიანტი: როდესაც ერთ ადამიანს ცხვირს დააცემინებს, მეორე ეუბნება — „დიდხანს სიცოცხლე!“ ის კი პასუხობს — „გმადლობთ!“ ასეთი ურთიერთმიმართვა, რა თქმა უნდა, ცუდად არ ისმის, მაგრამ ამ წესს შუამავლის სუნნეთთან არანაირი კავშირი არ აქვს.

ამ ყველაფრიდან შესაძლებელია საბოლოო დასკვნის გამოტანა. დაცემინების დროს ადამიანი უნდა ეცადოს, ხმამაღლა არ გამოუვიდეს და ამ დროს პირზე ხელი ან რაიმე ნაჭერი აიფაროს. ასეთი მოქმედებები შუამავლის სუნნეთებია. შუამავალი დაცემინების დროს პირზე ხანდახან — ხელს, ხანდახან კი რაიმე ნაჭერს აიფარებდა და რამდენიც შეეძლო, ხმას იდაბლებდა.<sup>213</sup>

## 12. მოგზაურობის წესები

*„დიდო ალლაჰო! ჩემი იმ თანამიმდევრების საქმეები აავსე დოვლათით, ვინც დილაადრიან შეუდგებიან საქმეს!“*

აბუ დავუდი, ჯიჰადი, 78

მოგზაურობა — ადამიანების მიერ გადაუდებელი და აუცილებლად შესასრულები საქმეა. ეს მოგზაურობები შეიძლება იყოს, რო-

211. ბუჰარი, ედები, 127.

212. აბუ დავუდი, ედები, 92.

213. აბუ დავუდი, ედები, 98.



გორც სამხედრო-სავალდებულო, ასევე, ცოდნა-განათლების მიღების, ვაჭრობის და კიდევ სხვადასხვა მიზეზის გამო. რაც მთავარია, ეს მოგზაურობა შუამავლის ინტერესების საწინააღმდეგო არ უნდა იყოს.

მოგზაურობების ძირითადი პირობა — ალლაჰის კმაყოფილების მოპოვება — მისი ნაბრძანები კანონების დაცვით უნდა განხორციელდეს. მოგზაურობის შესახებ ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

قُلْ سِيرُوا فِي الْأَرْضِ ثُمَّ انظُرُوا كَيْفَ كَانَ عَاقِبَةُ الْمُكْذِبِينَ

„უთხარი: ნადით, მოიარეთ ქვეყანა და შემდეგ ნახეთ თუ როგორი იყო აღსასრული ცრუდ შემრაცხველნისა.“<sup>214</sup>

قُلْ سِيرُوا فِي الْأَرْضِ فَانظُرُوا كَيْفَ بَدَأَ الْخَلْقَ ثُمَّ اللَّهُ يُنشِئُ النَّشْأَةَ

الْآخِرَةَ إِنَّ اللَّهَ عَلَىٰ كُلِّ شَيْءٍ قَدِيرٌ

„უთხარი: „იმოგზაურეთ დედამიწაზე და ნახეთ, როგორ დაიწყო სიცოცხლის გაჩენა. მერე ალლაჰი დაადგენს უკანასკნელ სიცოცხლეს. უეჭველად, ალლაჰი ყოველისშემძლეა!“<sup>215</sup>

ყურანი, ადამიანს კარგი განზრახვითა და სურვილებით მოგზაურობას ურჩევს. ამ განზრახვით მოგზაურობაში მყოფები, რომლებიც მონანიებენ თავიანთ ცოდვებსა და შეცდომებს, ღვთისმსახურნი იქნებიან. ისინი ალლაჰის წინაშე რუქუსა და სეჯდეს გააკეთებენ, მათ ალლაჰი აქებს და სამახარობლოს ჰპირდება. „მაშ, ახარე მორწმუნეებს! რომელნიც ინანიებენ, თაყვანს სცემენ, ადიდებენ, მარხულობენ, „ქედს იხრიან, სეჯდეს აღასრულებენ“, სიკეთეს მოუწოდებენ და ავს კრძალავენ; და ალლაჰის საზღვრების დამცველებს.“<sup>216</sup> ამის გამო, ომარის ხალიფობიდან დაწყებული დღემდე, ისლამურ სამყაროში მუსლიმი ადამიანის გზაში მშვიდობიანი მგზავრობა და მისთვის დასასვენებელი ადგილების შექმნა სერიოზულ საქმედ იქნა მიჩნეული.

ალლაჰის მიერ ისლამში მუსლიმი ადამიანისთვის დაკანონებული საკითხების შესრულების აუცილებლობა ყოველთვის უპირველ-

214. სურა ენამი, აიათი 11.  
215. სურა ანქებუთი, აიათი 20.  
216. სურა თევბე, აიათი 112.



სი მოვალეობაა. ამის მიუხედავად, სწორედ მოგზაურობის პერიო-  
დია ერთ-ერთი მდგომარეობა, როდესაც ალლაჰი ადამიანს თავის  
მოვალეობას ცოტათი უმსუბუქებს. მაგალითად, იმ სავალდებულო  
ლოცვების, რომლებიც ოთხი მუხლით სრულდება, ალლაჰი მორწმუნ-  
ისგან ოთხი მუხლის ნაცვლად, ორის შესრულებას მოითხოვს, თუკი  
მას რაინე საფრთხე ემუქრება. აგრეთვე, მას ადამიანის მდგომარე-  
ობის მიხედვით, მარხვის შეწყვეტის ნებას აძლევს და მოგზაურობის  
დასრულების შემდეგ მოითხოვს მის შესრულებას. აგრეთვე, ჯუმას  
ლოცვასთან, ზეჟათის გადახდასა და ყურბნის დაკვლასთან დაკავ-  
შირებით არსებობს კონკრეტული შეღავათები.

ალლაჰის შუამავალმა გადაადგილების, ჯიჰადისა და ჰიჯრის  
მიზნით მრავალი მოგზაურობა ჩაატარა. თითოეული ეს მოგზაურო-  
ბა ჩვენთვის საუკეთესო მაგალითია.

შუამავალი მოგზაურობას ძირითადად ხუთშაბათ დღეს იწყებ-  
და. სხვა დღეს სამოგზაუროდ წასვლა, მის ცხოვრებაში იშვიათი მო-  
ვლენა იყო.<sup>217</sup>

შუამავლის მიერ ხუთშაბათ დღეს მოგზაურობის დაწყებას  
გარკვეული მიზეზები გააჩნდა. ამ დღეს ადამიანის საქმიანობის  
შესახებ ალლაჰს ანგარიში ბარდება.<sup>218</sup> შუამავალი მოგზაურობას  
ალლაჰის კმაყოფილების მოპოვებით ასრულებდა და მას ერთ-ერთ  
სასიკეთო საქმედ მიიჩნევდა. ამიტომ მუსლიმი ადამიანები ვალდე-  
ბული არიან მას დიდი ყურადღება მიაქციონ.

მოგზაურობის დაწყება დილაადრიან, სიგრილეში უკეთესია,  
რათა დიდი მანძილის დაფარვა მოხერხდეს. შუამავალი ბრძანებს:  
„დიდო ალლაჰო! ჩემი იმ თანამიმდევრების საქმეები აავსე დოვლა-  
თით, ვინც დილაადრიან შეუდგებიან საქმეს!“ ის ჯარსაც ყოველთ-  
ვის დილაადრიან გაამგზავრებდა მისიის შესასრულებლად.<sup>219</sup> „დი-  
ლით ადრე ამდგომი გზას იპოვის!“

დილით ადრე ადგომა და საქმის დაწყება წარმატების ნიშანია.  
ეს არა მარტო სამოგზაუროდ წასვლის, არამედ, ვაჭრობის, სწა-  
ვლისა და სხვა საქმეების გაკეთების შემთხვევაშიც აუცილებელია.  
ამიტომ ასეთი ძვირფასი დრო ტყუილად კი არ უნდა დაკარგოთ და

217. ბუჰარი, ჯიჰადი, 103. აბუ დავუდი, ჯიჰადი, 77.

218. მუსლიმი, ბირრი, 35.

219. აბუ დავუდი, ჯიჰადი, 78.





უნდა შევეცადოთ ის მაქსიმალურად გამოვიყენოთ. ერთ-ერთი თანამიმდევარი — საჰირ იბნ ვედა, რომელიც ვაჭრობით იყო დაკავებული, აღნიშნავს, რომ დილით ადრე ადგომითა და ვაჭრობით მას ყოველთვის სიუხვე ჰქონდა და დარწმუნებული იყო, რომ ეს დილაადრიან დაწყებული საქმის გამო ხდებოდა.<sup>220</sup>

შუამავალი სამოგზაუროდ წასვლის წინ, როდესაც აქლემზე შეჯდებოდა და კარგად მოეწყობოდა, სამჯერ ყურანის ამ აიათს კითხულობდა:

سُبْحَانَ الَّذِي سَخَّرَ لَنَا هَذَا وَمَا كُنَّا لَهُ مُقْرِنِينَ

„...დიდება მას, რომელმაც ჩვენს განკარგულებაში მოგვცა ეს, რამეთუ ჩვენ ვერ შევძლებდით მასთან მიახლოვებას.“<sup>221</sup>

ამ შემდეგ კი ალლაჰს ასე შეევედრებოდა:

„დიდო ალლაჰო! ამ მოგზაურობაში შენგან სიკეთეს მოველით და შენი დიდი დახმარების იმედი გვაქვს! ღმერთო, ეს მოგზაურობა გავგიადვილე და შორი გზა შეგვიმოკლე! ღმერთო, მოგზაურობაში ჩემი დამხმარე და სახლში დატოვებული ჩემი ოჯახის პატრონი შენ ხარ! ღმერთო, მგზავრობის გაჭირვებებისგან, უსიამოვნო მოვლენებისგან და დაბრუნებისას ქონების, ბავშვებისა და ოჯახის შესახებ ცუდი ამბისგან შენ დავგიცავი! შენზე ვართ მონდობილი.“

შუამავალი მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგაც იგივე სიტყვებს იმეორებდა და ამ წინადადებას ამატებდა:

„ჩვენ, მოგზაურობიდან დაბრუნებული, მონანიებული, ღვთისმსახურნი და ალლაჰისთვის მადლობის გადამხდელი ადამიანები ვართ.“<sup>222</sup>

ამ ვედრებით შუამავალმა სამოგზაუროდ წამსვლელი ყველა ადამიანის იმ წუხილისა და დარდის შესახებ ალლაჰს დახმარება სთხოვა, რაც ყველა იქ წამსვლელს ანუხებს.

კეთილშობილი მუჰამედ შუამავალი სამოგზაუროდ გამგზავრებისას, შეჯდებოდა რა აქლემზე, ყოველთვის სურა „ჰუდის“ ამ აიათს კითხულობდა:

220. თირმიზი, ბუიუ, 6.

221. სურა ზუჰრუფი, აიათი 13.

222. მუსლიმი, ჰაჯი, 425. აბუ დავუდი, ჯიჰადი, 72.





وَقَالَ ارْكَبُوا فِيهَا بِسْمِ اللَّهِ مَجْرَاهَا وَمُرْسَاهَا إِنَّ رَبِّي لَغَفُورٌ رَحِيمٌ

„და უთხრა: „ჩასხედით მასში! ალლაჰის სახელითაა ცურვა მისი და გაჩერება მისი (ლუზის ჩაშვება). უეჭველად, ღმერთი ჩემი შემნდობია, მწყალობელი!“<sup>223</sup>

შუამავალთან ერთად მყოფი თანამიმდევრები, მთაზე ასვლისას, — „ალლაჰუეჰებერს“ წარმოთქვამდნენ, ხოლო, დაბლა დაშვებისას, სამჯერ „სუბჰანალლაჰს“ წარმოთქვამდნენ.<sup>224</sup> თუკი ჰაჯობიდან ან ლაშქრობიდან ბრუნდებოდნენ, მაღალ ადგილას ავიდოდნენ და ხმამაღლა „ალლაჰუეჰებერს“ ყვიროდნენ. შემდეგ ალლაჰის შუამავალი კითხულობდა.

„ალლაჰის გარდა სხვა ღმერთი არ არსებობს, მას შემცველი არ ჰყავს, ყველაფრის ბატონ-პატრონი ის არის. მთელი ძალაუფლება მის ხელშია. მას ყველაფრის შექმნის ძალა შესწევს. ჩვენ მოგ ზაურობიდან დაბრუნებული ცოდვებმონანიებული ღვთისმსახურები და ალლაჰზე მადლობის გადამხდელი ადამიანები ვართ, ალლაჰმა მოცემული სიტყვა შეასრულა, მის მსახურებს დაეხმარა და მოწინააღმდეგეები გაანადგურა!“<sup>225</sup>

შუამავალი მოგ ზაურობის დროს ალლაჰს იხსენებდა და ღვთისმსახურებას ეწეოდა, ყველაფერში ზომიერებას იცავდა და თანამიმდევრებსაც ასეთი მოქცევისაკენ მოუწოდებდა. ამასთან დაკავშირებით აბუ მუსა ელ ეშარის მიერ გადმოცემული ჰადისი ძალზე მნიშვნელოვანია:

„ჩვენ, ერთ-ერთი მოგ ზაურობის დროს, შუამავალთან ერთად ვიყავით. მაღლობზე ასვლისას „ალლაჰუეჰებერ ლაა ილააჰე ილლე-ლლაჰის“ — ხმამაღლა წარმოთქმა დავიწყეთ. ამის გამო, შუამავალმა ბრძანა: „მუსლიმებო, თავს ძალას ნუ ატანთ. თქვენ ისეთ ვინმეს არ ესაუბრებით, ვინც ყრუა ან აქ არ იმყოფება. ალლაჰი ყოველთვის თქვენ გვერდით არის, მას ესმის და ისე ახლოსაა, ვიდრე თქვენ ერთმანეთთან ხართ!“<sup>226</sup>

223. სურა ჰუდი, აიათი 41.

224. აბუ დავუდი, ჯიჰადი, 72.

225. ბუჰარი, ჯიჰადი, 158. მუსლიმი, ჰაჯი, 428.

226. ბუჰარი, ჯიჰადი, 131. მუსლიმი, ზიქრი, 44.





შუამავალი მოგზაურობისას ალლაჰს ასე ევედრებოდა „დედამინავ, ჩემი და შენი ღმერთი ალლაჰია! მე მივმართავ მას იმ არსებებისაგან შესაფარებლად, რომლებიც მასში და მასზე ბინადრობენ. მე ვთხოვ მას, დიდი გველებს, სხვა გველების, ლომების, მორიელების კბენის, მათი სიბოროტისგან, ვინც აქ დაიბადა და ვინც აქ ბადებს, დამიფაროს!“<sup>227</sup> „სადმე გადასასვლელზე დაბანაკებისას შუამავალი თანამიმდევრებს ურჩევდა ასე შევედრებოდნენ ალლაჰს, რათა რაიმე ზიანი არ მოსვლოდათ:

*„გაჩენილთაგან მოსალოდნელი უსიამოვნებებისგან ალლაჰის აიათებს, თვისებებსა და სახელებს შევეფარები!“<sup>228</sup>*

ადამიანი ვალდებულია შეეცადოს, სამოგზაუროდ მარტო არ წავიდეს. ნათქვამია: „ჯერ ამხანაგი, მერე მოგზაურობა.“ ამიტომ თითოეული ადამიანი უნდა ცდილობდეს, სამოგზაუროდ წასვლის წინ, კარგი ამხანაგი იშოვოს. შეიხი მმამუდ აზმი თვლიდა რა მარტოდ მოგზაურობას უჭკუო ადამიანის საქციელად, წერდა: თუკი შენ ჭკვიანი ხარ, მარტოდ გზას ნუ დაადგები, რადგან სიმარტოვეში უამრავი უბედურებაა მოსალოდნელი.

მოგზაურობის დროს, სხვადასხვა გაჭირვებების გარდა, მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი პრობლემებიც. ამიტომ, აუცილებლად ადამიანთა ერთიმეორეზე დახმარება აუცილებელი გახდება. შეიძლება ვინმეს ბავშვი ავად გაუხდეს, ვიღაცას შეიძლება საჭმელი გაუთავდეს, ვიღაცას ცხოველი დაუდგეს, ვის მანქანა გაუფუჭდეს და ა. შ. მოგზაურობა ჯოჯოხეთის ერთ-ერთი ნაწილია (არაბული დამწერლობით, მათ შორის მხოლოდ ერთ წერტილშია განსხვავება). ამიტომ ასეთი პირობების მოლოდინში, გვერდით მდგომი ადამიანი აუცილებლად საჭიროა. ეს ისლამის კანონი და ადამიანური ვალია. აბუ საიდი ასეთ ისტორიას გადმოგვცემს:

„შუამავალთან ერთად მოგზაურობაში ვიყავი. ამ დროს აქლემზე მჯდარი ერთი კაცი დახმარების სათხოვნელად მოვიდა და აქეთიქით ყურება დაიწყო, რათა დახმარება ეთხოვა. შუამავალმა თანამიმდევრებს უბრძანა:

*„ვისაც სათადარიგო სამგზავრო ცხოველი ჰყავს, იმას მისცეს, ვისაც არ ჰყავს. ვისაც საჭმელი ბლომად აქვს, იმას მისცეს, ვისაც*

227. აბუ დავუდი, ჯიჰადი, 75.

228. მუსლიმი, ზიქრი, 54-55.





საჭმელი გაუთავდა!“ ამგვარად, ყველა სახის ქონება ჩამოთვალა, რითაც ყველანი განცვიფრებული დავრჩით.<sup>229</sup>

ჯაბირის გადმოცემის მიხედვით, შუამავალმა ერთ-ერთ მოგზაურობაში წასვლის წინ ხალხს ასე მიმართა:

„მუჰაჯირებო და ანსარებო! თქვენ შორის არიან ძმები, ვისაც ნათესავეები და ქონება არ გააჩნია. მოდით თითოეულმა თქვენგანმა, ორი ან სამი მათგანი, თან წაიყვანოს!“ სინამდვილეში კი, ჩვენ ერთ ცხოველზე რიგროგობით ორი ადამიანი ვჯდებოდით. მაგრამ მე კვლავ ორი კაცი ავიყვანე. ვზად, მე ჩემს აქლემზე როგორც მათ, მხოლოდ ერთხელ შეჯდომის უფლება მქონდა.<sup>230</sup>

ჯაბირი კიდევ ერთ გადმოცემაში ბრძანებს, რომ შუამავალი, მოგზაურობის დროს, ხალხს უკან მისდევდა და იმ ადამიანებს ეხმარებოდა ვისაც გაუჭირდებოდა. აგრეთვე, ზოგიერთი მათგანისთვის, ვისაც ძალიან გაუჭირდებოდა, ალლაჰს ევედრებოდა.<sup>231</sup> მოგზაურობის დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ ადამიანთა შორის აუცილებლად იქნებიან ისეთები, რომლებიც ნელა დადიან და საერთო მოძრაობაც სწორედ ამის მიხედვით უნდა იქნას გათვალისწინებული. საერთოდ, ჯაჭვის სიძლიერე მისი ყველაზე სუსტი რგოლის მიხედვით იზომება.

მოგზაურობა სწორედ ის სანდო ხერხია, რითაც ადამიანის ხასიათს და ძლიერ და სუსტ მხარეებს თვისებებს, ყველაზე უკეთ ამოიცნობ. შემდეგი მაგალითიც სწორედ ამის დასტურია:

ერთმა ადამიანმა ომარის წინაშე ერთი ნაცნობი შეაქო. ომარმა ჰკითხა:

— იმ ადამიანთან რაიმე ვაჭრობა, ყიდვა-გაყიდვა გააკავშირებდა?

— არა.

— მისი მეზობელი იყავი?

— არა.

— ერთად როდესმე იმოგზაურეთ?

229. მუსლიმი, ლუკათა, 18.

230. აბუ დავუდი, ჯიჰადი, 34.

231. აბუ დავუდი, ჯიჰადი, 94.





— არა.

*შემდეგ ომარმა უთხრა:*

— მაშინ, შენ ისეთ ვინმეზე საუბრობ, რომელსაც საერთოდ ვერ იცნობ.

უფრო მეტად მნიშვნელოვანი ჰაჯობის მოგზაურობაა. როდესაც დიდი ხალხმრავლობაა, ის ადამიანის ფიზიკურ დაღლასაც იწვევს. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში ყველაზე მეტი თავშეკავება და მოთმინება გვმართებს, ცუდი საქციელისა და სიტყვებისგან, რადგან ამ დროს თავი ყოველგვარი ცოდვის ჩადენისგან დავიცვათ.

მოგზაურობის დროს მიღწეული შედეგის შემდეგ, საჭიროა, სწრაფად უკან დაბრუნება. ამის შესახებ შუამავალი ერთ ჰადისში ბრძანებს:

*„სამოგზაუროდ წასული ადამიანი, როდესაც თავის საქმეს მორჩება, სასწრაფოდ სახლში დაბრუნდეს!“<sup>232</sup>*

თითოეულ ადამიანს ოჯახში, საკუთარ თავის ჩათვლით, ყველას მიმართ გარკვეული უფლება-მოვალეობა გააჩნია. ეს თითოეული ადამიანისათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხია და დიდი ყურადღების მიქცევას საჭიროებს.

შუამავალმა ოჯახიდან დიდი ხნით წასულ წევრს ღამით მოულოდნელად დაბრუნების ნება არ მისცა.<sup>233</sup>

ენეს იბნ მალიქის გადმოცემის მიხედვით, შუამავალი სახლში ღამით არასდროს ბრუნდებოდა. ის ყოველთვის დღისით ან საღამოთი ბრუნდებოდა.<sup>234</sup>

უეჭველია, ასეთ ქცევას გარკვეული მიზეზები გააჩნდა. განსაკუთრებით იმ პერიოდში, როდესაც წინასწარ ამბის მიცემის საშუალება არ არსებობდა. სახლიდან წასული ადამიანების შესახვედრად, საჭიროა, შინ მყოფი წევრები მომზადებული იყვნენ. სახლი წესრიგში მოიყვანონ და რაც გასაკეთებელია, გააკეთონ. თუ მგზავრი შეძლებს და წინასწარ ამბავს გაუგზავნის, მაშინ მისი დაბრუნება მოულოდნელი აღარ იქნება და არც რაიმე პრობლემები შეიქმნება.

232. ბუჰარი, უმრე, 19. მუსლიმი, იმარე, 179.

233. ბუჰარი, ნიქაჰი, 130. მუსლიმი, იმარე, 183.

234. მუსლიმი, იმარე, 180.





თუ წინასწარ დაბრუნების ამბავს ვერ მიაწვდის, მაშინ ეს საქმე დღით-დღით უნდა მოგვარდეს.

ქალბ იბნ მალიქის გადმოცემის მიხედვით, შუამავალი მოგზაურობიდან დაბრუნებისას პირველად მეჩეთში შეივლიდა და ორ მუხლს ლოცულობდა.<sup>235</sup>

შუამავლის ასეთი საქციელი, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, რადგან მოგზაურობიდან მშვიდობიანად დაბრუნებისას, პირველ რიგში, საჭიროა, ალლაჰს მადლობა გადაუხადო. ამას გარდა, აბდესის აღება ადამიანს ყოველგვარი ფიზიკური თუ სულიერი ჭუჭყისგან ათავისუფლებს. მოგზაურობა კი, რაც უნდა მოკლე იყოს, მაინც დამლელია. დაბრუნების შემდეგ, პირველ რიგში აბდესის აღება და ლოცვა ადამიანს დაღლილობას აუცილებლად მოუხსნის და ის ოჯახში უფრო მხნე და გახარებული მივა. აგრეთვე, ასეთი მოქმედება საშუალებას იძლევა გაიგო ის მნიშვნელოვანი ამბები, რაც შენს არ ყოფნაში მოხდა და ამის მიხედვით, შესაფერისი განწყობით მიხვიდე სახლში.

### 13. დასაძინებლად მზადება

*„არ დანვე სეჰერის (მზის ამოსვლის ან ჩასვლის) დროს, რადგან უსიამოვნოდ შეიქმნები და ყოველთვის თქვი — „ელბემდულილლაჰ!““*

იუნუს ემრე

ყოველისშემძლე ალლაჰმა დღე საკვების მოსაპოვებლად და სამუშაოდ, ხოლო ღამე ძილისა და დასვენებისთვის გააჩინა. ყურანის აიათებში ალლაჰი ბრძანებს:

وَهُوَ الَّذِي جَعَلَ لَكُمُ اللَّيْلَ لِبَاسًا وَالنَّوْمَ سُبَاتًا وَجَعَلَ النَّهَارَ نُشُورًا

**„იგია, რომელმაც დაადგინა თქვენთვის ღამე საბურველად, ძილი - მოსასვენებლად, და დღე კი - გამოსაცოცხლებლად!“<sup>236</sup>**

235. ბუჰარი, მელაზი, 79.

236. სურა ფურყანი, აიათი 47.





وَجَعَلْنَا نَوْمَكُمْ سُباتًا وَجَعَلْنَا اللَّيْلَ لِبَاسًا

„და ძილი თქვენი ვქმენით დასასვენებლად, და ღამე ვქმენით საბურველად.“<sup>237</sup>

ღამე, როგორც ვიცით სიბნელეა, ამიტომ ის ალლაჰმა ტანსაცმელს შეადარა, ხოლო ძილი, ადამიანის დასვენებისთვის აუცილებელი პირობად მიიჩნია, იმიტომ, რომ მძინარე ადამიანი გაუნძრევლად და უმოქმედოდ ყოფნის დროს უფრო კარგად ისვენებს.

ღამე მართლაც ტანსაცმელს ჰგავს, რადგან ის ყველაფერს მალავს. ის არა მარტო ადამიანის, არამედ მთელი დედამიწის ტანსაცმელიც არის. ღამე აგრეთვე სულიერი — ფიზიკური დასვენებისა და ყველასგან დამალვის საშუალებაცაა.

შუამავალი ბრძანებს: „ძილი სიკვდილის თანაძმია!“<sup>238</sup> ყურანში უზენაესი ალლაჰი გვატყობინებს:

„და იგია, რომელიც ღამით მიგაბარებთ თქვენ, და იცის რას იხვეჭთ დღისით...“<sup>239</sup>

ამ აიათიდან გამომდინარე, სხვის ტირილში სიკვდილზე დაფიქრებას, საკუთარ ძილზე დაფიქრება და ჭეშმარიტების შეცნობა სჯობს.

ამიტომ არც ერთ მუსლიმს, ვიდრე დასაძინებლად ლოგინში დაწვებოდეს, მხედველობიდან არ უნდა გამოორჩეს, რომ ეს მოგზაურობა მისთვის იყო უკანასკნელი და იქნებ ამ ქვეყნიურ ცხოვრებას ველარც კი დაუბრუნდეს. ის დამოუკიდებლად ვერ შეძლებს გაღვიძებას, ეს მხოლოდ ალლაჰის ძალითა და ნებით უნდა განხორციელდეს. შუამავალმა თავის თანამიმდევრებს დასაძინებლად მომზადების მშვენიერი მაგალითები წარუდგინა და მათ მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ახორციელებდა. შუამავალი დაძინებისას მარჯვენა მხარზე წვებოდა, მარჯვენა ხელს მარჯვენა ლოყის ქვეშ შემოიდებდა და მერე ასეთ ვედრებას აკეთებდა:

„დიდო ალლაჰო! ჩემი თავი შენ ჩავაბარე, ჩემი საქმეები შენ მოგანდე, ჩემი სახე შენკენ მოვაბრუნე. შენი კმაყოფილების მოსაპოვე-

237. სურა ნებე, აიათები 9-10.  
238. სუიუთი, 2, 162.  
239. სურა ენაამი, აიათი 60.



*ბლად და შენ მიერ გაჩენილი ნვალების შიშის გამო შენ მოგენდე და შენ შეგეფარე! შენ გარდა, სხვა შესაფარები არსად მაქვს. შენ მიერ გამოგ ზავნილი ნივნი და შუამავალი ვინამე!“*

ერთ თანამიმდევარს კი შუამავალმა ასე უთხრა:

„თუ ძილის ნინ ამ ვედრებას გააკეთებ და იმ ღამეს მოკვდები, დარწმუნებული იყავი, რომ ჭეშმარიტ გზაზე დამდგარი ჩაბარდები ალლაჰს. მაგრამ ეს სიტყვები ძილის ნინ შენი უკანასკნელი სიტყვები უნდა იყოს!“<sup>240</sup>

შუამავლის სანოლი ნამდვილ საფლავს მოგაგონებდა. თითქოს ის ძილშიც ალლაჰის თაყვანისმცემელი იყო. სანოლში თავი ყოველთვის ყიბლის მხარეს ჰქონდა მიმართული.<sup>241</sup> ძილის დროს მისი ქვეშაგები მიცვალებულის ტანსაცმელს უფრო ჰგავდა. ესად ერბილი ერთ-ერთ სპარსულ ლექსში შუამავლის შესახებ წერს:

*„თუ საბოლოო ადგილი აუცილებლად მინაა, მაშინ ჩემს სხეულს სანოლზე დანოლის სურვილი არ გააჩნია.“<sup>242</sup>*

მუსლიმი ადამიანი ვალდებულია, ძილის პერიოდშიც ალლაჰის ნინაშე ღვთისმსახურება გააგრძელოს, რადგან ის ყოველ წუთს ალლაჰის ყურადღების ქვეშ იმყოფება, ალლაჰი მას ყოველთვის ხედავს, მან ყოველი მისი საქმიანობის შესახებ იცის, ყოველი მისი ნათქვამი ესმის და ისიც კი იცის, რაც ადამიანს გულში გაუფლის. სწორედ ამიტომაც საჭირო, რომ ალლაჰისგან შორს, არასდროს არ უნდა დავრჩეთ. ალლაჰი, მორწმუნე ადამიანებს ძილის დროსაც სულიერ საჩუქრებს უძღვნის, მათგან ერთ-ერთი — კარგი სიზმარია.

შუამავლის მიერ მოცემული რჩევით, მძინარე ადამიანი ალლაჰის ნინაშე ღვთისმსახურებას ძილშიც კი განაგრძობს. ადამიანს, რომელმაც მთელი გულით იგრძნო ალლაჰის ძღვევამოსილება, ვერაფერი ავნებს. ისე უნდა შევევედროთ ალლაჰს, თითქოს თვალნინ გვედგას და უკანასკნელად ვემუდარებით. ჩვენი ვედრება, ნალოცი ნამაზი, დაცული მარხვა და საერთოდ, ყველა გაკეთებული საქმე შეიძლება საბოლოო აღმოჩნდეს.

240. ბუჰარი, დეავათი, 7.

241. აბუ დაუდი, ედები, 97.

242. დივანი, გვ. 14.





შუამავლის სუნნეტებიდან ერთ-ერთი — ყველა საქმის მარჯვნიდან დანყება. ამიტომ, ის დანოლის დროსაც მარჯვენა მხარეს ირჩევდა. გარდა ამისა, ასე დანოლა ჯანმრთელობისთვისაც სასარგებლოა. ვიცით, რომ ადამიანს გული და კუჭი მარცხენა მხარეს აქვს. ადამიანის ეს ორივე ორგანო ძალზე მნიშვნელოვანია და მათი შემჭიდროება ჯანმრთელობისთვის მავნებელია. ამიტომ, ექიმების რჩევით, გულსა და კუჭზე დანოლა მიზანშეწონილად არ არის მიჩნეული.

როდესაც ალლაჰის შუამავალი ამა თუ იმ მიზეზის გამო სხვა ადგილას დაიძინებდა, ის იწვა ცოტა სხვაგვარად, ვიდრე სახლში. ასეთ შემთხვევებში, ის მარჯვენა მხარეს დაწვებოდა, მარჯვენა იდაყვს მაღლა წამოსწევდა მარჯვენა ლოყის ქვეშ შემოიდებდა.<sup>243</sup> დანოლის ასეთ ფორმას ის ხშირად მაშინ იყენებდა, როდესაც ბალიში არ ექნებოდა, ან პირდაპირ მიწაზე იძინებდა, რაც თავის დადების და დასვენების საშუალებას მისცემდა. ის, ამ მეთოდს იმ მიზნით იყენებდა, რომ მცირე ხნით დაეძინა, ან დილის ნამაზი არ გაეცდინა.<sup>244</sup>

ცნობილია სხვა ვედრებებიც, რომლებიც ალლაჰის შუამავალი ძილის წინ კითხულობდა:

*„დიდო ალლაჰო! შენი სახელით მოვკვდები და გავცოცხლდები!“*  
გალვიძებისას კი ასე იტყოდა:

*„სიკვდილის შემდეგ ჩვენი გამცოცხლებელი ალლაჰის სახელს ვენაცვალე! ჩვენ მხოლოდ მას დავუბრუნდებით!“<sup>245</sup>*

შუამავალი აღნიშნავდა რომ, ვინც ალლაჰის მოუხსენიებლად დაიძინებდა, დიდ რამეს ჰკარგავდა.<sup>246</sup> თვით შუამავალი დანოლის წინ ყოველთვის სურებს — „იჰლასს“, „ფელეყს“ და „ნასს“ კითხულობდა, მერე ხელებზე შეიბერავდა და სახეზე მოისვამდა.<sup>247</sup> შუამავალი, აგრეთვე, თავის ქალიშვილ ფატიმას, როცა მძიმე შრომისგან ხელები უუხეშდებოდა და მამას მოახლის მოყვანას თხოვდა ძილის წინ ოცდაცამეტჯერ — „ალლაჰუექბერის“, ოცდაცამეტჯერ — „სუბჰანელლაჰის“ და ოცდაცამეტჯერ „ელჰემდულილლაჰის“ თქმას ურჩევდა. ამით, მან თავის ქალიშვილს მიახვედრა, რომ ამის გაკეთე-

243. მუსლიმი, მესაჯიდი, 313.

244. ბუჰარი, დეავათი, 5. მუსლიმი, მისაფირინი, 121-122.

245. ბუჰარი, დეავათი, 8.

246. აბუ დავუდი, ედები, 25.

247. ბუჰარი, ფედაილულ ყურანი, 14.





ბა უკეთესი იყო, ვიდრე მოახლის მოყვანა.<sup>248</sup> მეორე მხრივ, თვის ქალიშვილს ურჩია ძილის წინ ალლაჰის ხსენებით დაკავებულყო.

დანოლის წინ სანოლის შემონმება, რომ შიგნით რაიმე საზიანო არ იყოს, აუცილებლად საჭიროა. შუამავალი ასე ბრძანებს:

*„დანოლის წინ ტანსაცმლის ერთი ბოლოთი სანოლი გადმობერტყეთ, იმიტომ, რომ უცნობია ადგომის შემდეგ შიგნით რაიმე ზიანის მომცემი მოხვდა თუ არა. შემდეგ ასე თქვით: „დიდო ალლაჰო! სანოლში შენი სახელით დავწეე და შენი სახელით ავდგები! თუ კი გსურს ძილში სული წამართვა, მაშინ ცოდვები მაპატიე! თუ სიცოცხლე უნდა გამიგრძელო, მაშინ ისე დამიცავი, როგორც შენს ყველაზე საყვარელ ადამიანებს იცავ!“<sup>249</sup>*

რა თქმა უნდა, ჩვენი თანამედროვენი, რომლებიც ახალ კომფორტულ ბინებში ცხოვრობენ, ამ ჰადისის შინაარსს ვერ ჩანვდებიან, მაგრამ სოფლის მცხოვრებლები, განსაკუთრებით შუა აზიის რეგიონში ალლაჰის შუამავალს ასეთ საქციელს გამჭრიახობის ვალად ჩაუთვლიან. მაგრამ პრინციპში, ეს სუნნეთი ქალაქის მცხოვრებთათვისაც სასარგებლოა, რადგან ლოგინში შეიძლება ისეთი ბასრი ნივთები აღმოჩნდეს როგორცაა საკინძე, ნემსი, ჭიკარტი, მაკრატელი და სხვა.

გარდა ამისა, შუამავალი კრძალავს სახლების სახურავებზე დანოლას, ან ისეთ კიდეებზე, რასაც მოაჯირები არ აქვს.<sup>250</sup>

შუამავლის მიერ დაწესებული დანოლის მოუწონარი ფორმებიც არსებობს. მათგან ერთ-ერთი პირჩაღმა დანოლაა. ალლაჰისა და მისი შუამავლის მოუწონებელი საქციელებისგან თავის შეკავება თითოეული ადამიანის მოვალეობაა. თაჰფე იბნ ყაისი გადმოგვცემს:

„ერთხელ მეჩეთში პირჩაღმა ვინეჯი. ვნახე, რომ ერთი კაცი ფეხით მალვიძებს და მეუბნება:

*„ეს დანოლის ზუსტად ის სახეა, რომელიც ალლაჰის განრისხებას იწვევს.“* როდესაც გავიღვიძე, ვნახე, ეს ადამიანი მუჰამედ შუამავალი იყო.<sup>251</sup>

248. ბუჰარი, დეავათი 11.

249. ბუჰარი, დეავათი, 13.

250. თირმიზი, ედები, 82.

251. აბუ დავუდი, ედები, 94.





დანოლის ეს ფორმა არა მარტო ალლაჰისა და მისი შუამავლის უკმაყოფილების მიზეზია, ამავე დროს, ის ადამიანის ჯანმრთელობისთვისაც მავნებელია. რადგან ასეთი დანოლა გულისა და კუჭის ნორმალურ მუშაობას ხელს უშლის. არდა ამისა, ასე მწოლიარე ადამიანი ცუდად გამოიყურება. ერთი სიტყვით, დანოლის ასეთი ფორმა თითოეული ჩვენგანისთვის მიუღებელია და ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც ალლაჰსა და მის შუამავალს მოსწონთ.

აბდულლაჰ იბნ იეზიდის გადმოცემით, ერთხელ მას შუამავალი მეჩეთში ფეხი ფეხზე გადადებული, მწოლიარე მდგომარეობაში უნახავს.<sup>252</sup> ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით კი, შუამავალი ბრძანებს: „როცა დანვები, ფეხი ფეხზე არ გადადო!“<sup>253</sup> ეს ორი ჰადისი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. მეორე ჰადისი კრძალავს ისეთ დანოლას, როცა სასირცხო ადგილები მოჩანს. როგორც ცნობილია ცხელი ქვეყნების მცხოვრებლები გრძელ კაბებს ატარებენ, საიდანაც არაფერი მოჩანს. ამიტომ აკრძალვაც გასაგებია.

შუამავალს დღისა და ღამის ცხოვრება ყოველთვის მოწესრიგებული ჰქონდა. საერთოდ ის, ძილის წინა ლოცვამდე არასდროს დანვებოდა. ძილის წინა ლოცვის შემდეგ ის რაიმე საუბარს ან სემინარს არ მართავდა.<sup>254</sup> იბნ მესუდი გადმოგვცემს, რომ „შუამავალმა ძილის წინა ლოცვის შემდეგ სემინარები აკრძალა.“<sup>255</sup> ასეთი მოქმედების დროს ადამიანი თეჰეჯჯუდის სალოცავად ადგომას ადვილად მოახერხებს.

იმამი ბუსირი ამბობს:

არ უარყო, რომ ძილის დროს შთაგონება შეუძლებელია!

მის გულს არ სძინავს. თუ სძინავს, მის თვალებს!

ძილის დროს ამქვეყნიდან მოწყვეტილი და მძინარე მისი სხეულია. აქედან გამომდინარეობს, რომ შუამავლის თვალებს თუ სძინავს, მის გულს ყოველთვის ღვიძავს და ალლაჰის ღვთისმსახურებისთვის ყოველთვის მზად არის.<sup>256</sup> ამ საკითხის შესახებ ერთ-ერთი არიფი ამბობს:

252. ბუჰარი, სალათი, 85.

253. მუსლიმი, ლიბასი 73.

254. ბუჰარი, მევაქითი, 23.

255. იბნ მაჯე, სალათი, 12.

256. ბუჰარი, მენაქიბი, 24.





იმისათვის, რომ დილის ღვთისმსახურების სიუხვე საღამომდე იყოს და საღამოსი – დილამდე, ძილშიც ღვთისმსახურებაა საჭირო.

შუამავლის ძილის დრო, ძირითადად, ძილის წინა ნამაზის შემდეგ და დილის ნამაზის წინა დრო იყო. აგრეთვე, შუამავალი შუადღის ნამაზის შემდეგ ერთ საათს დაიძინებდა იმ შემთხვევაში, თუ კი ამის დრო ექნებოდა. ამის შესახებ შუამავალი ბრძანებს:

*„მარხვა საჭურის ჭამით განიმტკიცეთ, ხოლო შუალამის ნამაზის სალოცავად, რომ ადგეთ, სადილის შემდეგ დაიძინეთ.“<sup>257</sup>* ამ ჰადისში, როგორც ვხედავთ, შუამავალი შუადღის ნამაზის შემდეგ დაძინების მნიშვნელობას ღამეში ღვთისმსახურებისთვის განუვლ დახმარებად მიიჩნევს.

მზის ამოსვლიდან დაახლოებით 45 წუთის განმავლობაში დაძინება მიზანშეწონილი არ არის. ყველაზე უკეთესი ადრე დაწოლა და ადრე ადგომაა, დილის ნამაზის ლოცვის შემდეგ ალლაჰი მრავალჯერ უნდა ვახსენოთ. ყურანი ვიკითხოთ და შემდეგ სამუშაოს შეუდგეთ. დილის სიუხვისგან სარგებლის მიღება ძალზე მნიშვნელოვანია. სამხრობის ლოცვასა და საღამოს ლოცვას შორის დაძინებაც კარგი არ არის. ამ დროს დაძინებისგან მიღებული უსიამოვნება ყოველი ადამიანისგან გვაქვს მოსმენილი, ვისაც ეს გაუკეთებია. ამ დროს დაძინებული ადამიანი გაღვიძების შემდეგ გაბრუებულია და თავზე დიდი ძალის დატანება სჭირდება, სანამ გონს მოეგება. ამიტომ ეს დროც ისევე ღვთისმსახურებაში უნდა გავატაროთ, როგორც დილის ნამაზის ლოცვის შემდეგი დრო.

#### 14. ქცევის წესები თავშეყრის ადგილებში

*„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! როცა მოგინოდებენ: ადგილი დაუთმეთ თავშეყრის ადგილებში! დაუთმეთ, რათა მოგიტევოს ალლაჰმა თქვენ. ხოლო როცა გეუბნებიან: ადექით!– ადექით. აღამაღლებს ალლაჰი, რომელთაც ირწმუნეს თქვენგან და რომელთაც ებოძათ ცოდნა ხარისხებით. შეჭველად, ალლაჰი უწყის რასაც აკეთებთ!“*

სურა მუჯადლე, აიათი 11

257. ჰაქიმი, 1, 588.



ცხოვრების ყველა დეტალის ულამაზესი სახით შემქმნელი ისლამის სარწმუნოება, ადამიანის დაჯდომასთან დაკავშირებითაც, საუკეთესო მეთოდებს გვთავაზობს. ისლამში ყველაფერს თავისი წესი და მეთოდი გააჩნია. მუსლიმისათვის მიზანშეწონილი არ არის ყველგან და ყველანაირად დაჯდომა. ამის საუკეთესო მაგალითები შუამავლის ცხოვრებიდან ისე, როგორც სხვადასხვა მოქმედების დროს, შეგვიძლია ავილოთ.

დაჯდომის უამრავი ფორმაა ცნობილი: მაგალითად, მუხლებზე დაჩოქილი, ფეხმორთხმული, ხელებზე უკან დაყრდნობილი, ფეხებგაშლილი ან ფეხმოკეცილი და ა. შ. თუ სად და როგორ უნდა დაეჯდე, ეს შუამავლის რჩევების მიხედვით უნდა განვსაზღვროთ.

### ა. როგორ ჯდებოდა მუჰამედ შუამავალი

აღლაჰის შუამავალი ძირითადად მუხლებზე დაჩოქილი ჯდებოდა,<sup>258</sup> მაგრამ გარდა ამისა დაჯდომის სხვა სახეებსაც იყენებდა.

დაჯდომის ერთ-ერთი ფორმა, ფეხმორთხმული ჯდომაა. ჯაბირ იბნ სემურეს გადმოცემის მიხედვით, შუამავალი, დილის ლოცვის შემდეგ, მზის კარგა მაღლა აწევამდე, ფეხმორთხმით ჯდებოდა ხოლმე.<sup>259</sup>

ფეხმორთხმით ჯდომა შუამავლის ქცევის ერთ-ერთი საყვარელი ფორმაა. ამგვარად დაჯდომის დროს ადამიანი მოსვენებულად გრძნობს თავს. შუამავალი ასეთნაირად არა მარტო მეჩეთში, არამედ სხვა ადგილებშიც ჯდებოდა. ცნობილია, რომ მისი თანამიმდევრებიც, რომლებიც ყველაფერში მას ბაძავდნენ, ხშირად ასე ისხდნენ.

იბნ ომარი გადმოგვცემს, რომ „შუამავალი ქააბას ეზოში მუხლებზე ხელებშემორთხმული მჯდომარე დაუნახავს.“<sup>260</sup>

კაილე ბინთი მაჰრემე თავის მოგონებებში ამბობდა: როცა, მუჰამედ შუამავალთან ისლამის მისაღებად მივედი, ის პირდაპირ მუხლებზე ხელებშემოხვეული იჯდა. დავინახე რა ასეთი მოკრძალებული და მშვიდი ფორმით მჯდომარე, მე მისი სიდიადის შემეშინდა.<sup>261</sup>

258. მუსლიმი, იმანი, 1, 5. ბუჰარი, იმანი 37.

259. აბუ დავუდი, ედები, 26.

260. ბუჰარი, ისტიზანი, 34.

261. აბუ დავუდი, ედები, 22.





შუამავლის ცხოვრებაში ამგვარი დაჯდომის ფორმა არცთუ ისე იშვიათი მოვლენა ყოფილა. გარდა შუამავლისა დაჯდომის ამ ფორმას მისი თანამიმდევრებიც ძალიან ხშირად იყენებდნენ. დაჯდომის ეს ფორმა დღესაც ძალიან გავრცელებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ის შუამავლის სუნნეთიდანაა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შუამავალმა, ჯუმის ლოცვის დროს, ხუთბიდან იმამის ქადაგებისას მლოცველების ამგვარი დაჯდომა და მოსმენა აკრძალა.<sup>262</sup> რადგანაც ამგვარად ჯდომისას შესაძლებელია მორწმუნეს ძილი მოერიოს და ქადაგების მოსმენაში პრობლემები შეექმნას. ადვილად შესაძლებელია ის აბდესის მოშლის მიზეზიც გახდეს.

შუამავალი ხანდახან ჩაცუცქულიც ჯდებოდა. ის ჯდომის ამ ფორმას რაიმეს ჭამის დროს იყენებდა ხოლმე. ენეს იბნ მალიქი გადმოგვცემს:

„მე შუამავალი ჩაცუცქული მჯდარი ხურმის ჭამის დროს დავინახე.“<sup>263</sup>

შუამავალს ასევე წესად, აუზის კიდეზე ჩამოჯდომა და ფეხების წყალში ჩაშვება ჰქონდა. აბუ მუსა ელ-ემლარის გადმოცემის მიხედვით, ერთხელ შუამავალი, თანამიმდევრებთან ერთად, ერისის აუზის კიდეზე ფეხებჩაშვებული იჯდა.<sup>264</sup>

## ბ. შუამავლის მიერ მოუნონარი დაჯდომა

არსებობს დაჯდომის ზოგიერთი სახე, რომელიც ალლაჰის შუამავალს არ მოსწონდა. მაგალითად, ერთი ხელის უკან გატანა და მთელი სხეულის იმ ხელზე დაყრდნობით დაჯდომა, აგრეთვე, ორივე ხელის უკან გატანა და მთელი სხეულის დაყრდნობით დაჯდომა და სხვა. დაჯდომის ამგვარი მეთოდი ადამიანს, სხვებთან შედარებით, დიდ კაცად და ამაყად აჩვენებს. შერიდ იბნ სუვეიდი ასე გადმოგვცემს:

„ერთხელ მე უკანგადაყრილ ხელებზე დაყრდნობით ვიჯექი, როცა ალლაჰის შუამავალი მოვიდა და მითხრა:

262. აბუ დავუდი, სალათი, 228.

263. მუსლიმი, ეშრიბე, 148-149.

264. ბუჰარი, ასჰაბუნ-ნები, 5.





„შენ, როგორც ალლაჰის რისხვამიმზღვეულები ისე ზიხარ?“<sup>265</sup>

როგორც ჩანს, შუამავალი მუჰამმედი შენუხებული იყო იმით, რომ მუსლიმები, რომლებსაც ალლაჰის უდიდესი ნყალობა — ჭეშმარიტი სარწმუნეობა ერგოთ წილად ჯდომის დროს ბაძავენ მათ, ვისაც ალლაჰის მკაცრი სასჯელი აქვს დამსახურებული.

შუამავალმა თანამიმდევრებს მოუწონარ ადგილას დაჯდომა საერთოდ აუკრძალა. ასეთი ადგილები ქუჩები და გზებია. შუამავალი ბრძანებს:

„ქუჩებში ჯდომისგან თავი შეიკავეთ!“

ხალხმა კი მას უპასუხა:

— ო, ალლაჰის შუამავალო! ჩვენ იძულებული ვართ ქუჩაში ვისხედეთ, რადგან ნაცნობებს თუ მეგობრებს იქ ვხდებით და პრობლემებსაც იქ ვწყვიტავთ!

— ასეთ შემთხვევაში გზასთან ახლოს წესები დაიცავით!

— ო, ალლაჰის შუამავალო! როგორია ეს წესები?

„ჰარამზე არშეხედვა, გამვლელ-გამომლელის შეუნუხებლობა ყველაზე მისალმება, კარგის ქადაგება და არასასიამოვნო ქცევისაგან თავშეკავება“ — უპასუხა ალლაჰის შუამავალმა.<sup>266</sup>

სხვა გადმოცემით ამ წესებს კიდევ ორი ემატება:

„გზააბნეულზე გზის ჩვენება და ვინც დახმარებას მოითხოვს — ყველაზე დახმარების განევა!“

ძალიან უღამაზოა, როცა ადამიანები საპატიო მიზეზის გარეშე გზებზე სხედან, ხალხს უთვალთვალენ, ტყუილუბრალოდ ლაპარაკობენ და გამვლელს ხელს უშლიან. აუცილებლობის შემთხვევაში ეს ნებადართულია, მაგრამ მუსლიმები, რომლებმაც იციან, რომ ასეთი ქმედებები ალლაჰის შუამავალს არ მოეწონებოდა, უპირატესობას მეჩეთების ეზოებში ჯდომას ანიჭებდა.

265. აბუ დავუდი, ედები, 24.

266. ბუჰარი, მუსლიმი, 22. მუსლიმი, ლიბასი, 114.





### გ. საზოგადოებასა და ხალხმრავლობაში ყოფნის წესები

შუამავალმა მეჩეთში ყოფნის წესების მთელი კომპლექსი შეიმუშავა. მათ, ვისაც იქ ნახულობდა ეუბნებოდა:

*„ადგილიდან არავინ ააყენოთ. მსხდომთა წრე გააფართოვეთ და თავისუფალ ადგილას დაჯექით!“<sup>267</sup> ერთ—ერთ სხვა ჰადისში შუამავალი აღნიშნავს, რომ: „ის ვინც თავისი ადგილიდან ადგება, საჭიროებისამებრ გარეთ გავა და შემდეგ უკან დაბრუნდება, მისი ადგილი ისევ მას ეკუთვნის.“<sup>268</sup> შუამავლის თანამიმდევრები დასაჯდომად ყოველთვის ისეთ ადგილს შეარჩევდნენ, რომელიც არავის ეკავა და თავისუფალი იყო.<sup>269</sup>*

თანამიმდევართა საქციელი ჩვენთვის მისაღები და ყველაზე კარგი მაგალითია. იმიტომ, რომ დამგვიანებელი ადამიანის ყველაზე საპატიო ადგილას გასვლა და დაჯდომა, კულტურის მხრივაც არა-სასიამოვნო ქცევაა. ასეთი საქციელი შეიძლება ზოგიერთის გაბრაზების მიზეზიც გახდეს, ან შემდეგ სერიოზულ პრობლემებში გადაიზარდოს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების შეკრების ადგილას დამგვიანებელი ადამიანის დასაჯდომი ადგილი აღარ იქნება, თვით იქ მყოფები არიან ვალდებული შეძლებისდაგვარად შემჭიდროვდნენ და ახალმოსულსაც გამოუძებნონ ადგილი. ეს საკითხი სხვა მრავალ მნიშვნელოვან საკითხთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანია. უზენაესი ალლაჰი ყურანში ამის შესახებ ბრძანებს:

يَا أَيُّهَا الَّذِينَ آمَنُوا إِذَا قِيلَ لَكُمْ تَفَسَّحُوا فِي الْمَجَالِسِ  
فَافْسَحُوا يَفْسَحِ اللَّهُ لَكُمْ

**„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! როცა მოგიწოდებენ: ადგილი დაუთმეთ თავშეყრის ადგილებში! დაუთმეთ, რათა მოგიტყვოს ალლაჰმა თქვენ. ხოლო როცა გეუბნებიან: ადექით!— ადექით...“<sup>270</sup>**

ყველა ეს პრინციპი საზოგადოებაში ჰარმონიული წესრიგის მოსაგვარებლად და ადამიანებზე ქცევის კულტურის შესასწავლადაა მიმართული. დღევანდელ ცხოვრებაში ისლამის მიმდევარი ადამიან-

267. ბუჰარი, ჯუმა, 20.

268. მუსლიმი, სელამი 31.

269. აბუ დაუდი, ედები, 14.

270. სურა მუჯადილე, აიათი 11.





ნების უმრავლესობისგან, ამ საკითხების მიმართ ნათლად ისეთი მიდგომა ჩანს, როგორსაც შუამავლის სუნნეთი ითვალისწინებს. თავშეყრის უამრავ ადგილას ასაკით უმცროსი ადამიანები მათზე უფროსებს ადგილს უთმობენ, და ამით შუამავლის სუნნეთისადმი პრაქტიკულ პატივისცემას გამოხატავენ. შუამავალი ბრძანებს:

*„ვიდრე ნებას არ დაგრთავენ, მოსაუბრეების შუაში ჩაჯდომა არ შეიძლება!“<sup>271</sup>*

გვერდიგვერდ მსხდომი ადამიანების ერთმნეთისაგან დაშორება და მათ შორის ჩაჯდომა, ასევე, მხარის გაკვრით ან ბიძგით ხალხის გარღვევა მიუღებელია იმიტომ, რომ ორივე შემთხვევაში ადამიანები გარკვეულად ნუხდებიან. გარდა ამისა, შესაძლებელია, ორ ადამიანს შორის საიდუმლო საუბარი იყოს გაბმული და ასეთი უხერხული სიტუაციის გამო შეწყვიტონ. საზოგადოებაში, განსაკუთრებით მეჩეთში, ასეთ შემთხვევებს ადგილი რომ არ ჰქონდეს, აუცილებელია შიგნით შემსვლელებმა ადგილები პირველი რიგიდან დაწყებული თანმიმდევრობით შეავსონ, ისე მჭიდროდ დასხდნენ ერთმანეთთან, რომ მათ შორის გავლის საშუალება აღარ იყოს. ენეს იბნ მალიქი გადმოგვცემს:

*„ერთხელ, როდესაც შუამავალი ქადაგებდა, ერთი ადამიანი სხვების მხრებზე დაყრდნობით, მრავალ რიგს გადაახტა და შუამავლის გვერდით ჩამოჯდა. ლოცვის დამთავრების შემდეგ ალლაჰის შუამავალმა უთხრა:*

*„შენ ჩვენ ერთად ჯუმა რატომ არ ილოცე? მან უპასუხა:*

*— შუამავალო! ამ ადგილას დაჯდომისათვის გავაკეთე ასე. შუამავალმა უთხრა:*

*„მაგრამ, მე დაგინახე, რომ შენ ადამიანებს მხრებზე დაყრდნობით და თავზე გადავლებით ანუხებდი. იცოდე, რომ ნებისმიერი მუსლიმის სიმშვიდის დამრღვევი მე მანყენინებს, ხოლო ჩემი ნყენინებით, ის ალლაჰსაც ანყენინებს.“<sup>272</sup>*

მიუხედავად იმისა, რომ ის ადამიანი შუამავლისათვის თვალსაჩინო ადგილას ლოცულობდა, მან მაინც ჰკითხა მას, თუ რატომ არ

271. აბუ დავუდი, ედები, 21.

272. ჰეისემი, 2, 179.





ილოცა ჯუმა. ამ კითხვით მან აღნიშნა, თუ რა უხეში შეცდომა დაუშვა ამ ადამიანმა.

სემინარის, რაიმე მოწოდების მოსმენის, ან გაკვეთილის ჩატარების დროს, საზოგადოების შეკრების ცენტრში დაჯდომა მიზანშეწონილი არ არის. ჰუზეიფეს გადმოცემის მიხედვით, შუამავალი შეკრებილ ხალხის შუაში მჯდომი ადამიანის საქციელს გმობდა.<sup>273</sup>

შუამავლის მიერ ასეთი მოუწონარი საქციელი ორი რამის გამოა მოსარიდებელი. პირველი ის, რომ წინ გასასვლელად ადამიანებს ხელს შეუშლი და ის ადამიანიც ისევე გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდება და მოიქცევა, როგორი მოქცევაც აკრძალულია. მეორე ის, რომ შუაში მჯდომი ადამიანი სხვებს ერთმანეთის დანახვაში ხელს შეუშლის, რაც იქ მყოფთა გარკვეული შენუხებაა. ასეთი საქციელი ცუდია და ის ადამიანის უკულტურობასა და უნესრიგობაზე მიუთითებს.

ჩვენს სარწმუნოებაში, აღმსარებლობისათვის შეუფერებელ საკითხებზე მოსაუბრესთან მისვლა და მოსმენა აკრძალულია. ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

إِذَا سَمِعْتُمْ آيَاتِ اللَّهِ يَكْفُرُ بِهَا وَيَسْتَهْزِئُ بِهَا فَلَا تَقْعُدُوا مَعَهُمْ حَتَّىٰ يَخُوضُوا فِي حَدِيثٍ غَيْرِهِ

„...თუკი გაიგონებთ ალლაჰის აიათების უარყოფას და მასზე გაცინვას, ნუ დასხდებით მათ გვერდით, სანამ ისინი სხვა თემაში არ ჩაეფლობიან. სხვაგვარად თქვენ მათ დაემსგავსებით ...“<sup>274</sup>

ამ აიათიდან გამომდინარე ადგილი, სადაც ალლაჰისა და მისი შუამავლის უარყოფაზე ლაპარაკობენ, უნდა დავტოვოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი ლაპარაკის მოსმენა შეიძლება ეჭვის გარეხის და რწმენის შერყევის მიზეზად იქცეს.

შესაძლებელია, ამგვარ სიტუაციებში ხშირად აღმოჩნდეს ადამიანი, ამიტომ, შუამავალი ასეთ ვითარებაში ჩავარდნისა მას მდგომარეობას გარკვეულად უმსუბუქებს:

273. აბუ დავუდი, ედები, 14.

274. სურა ნისა, აიათი 140.





„ვინც დიდხანს დაჰყოფს ისეთ ადამიანებთან, სადაც ტყუილუბრალო და არაფრისმომცემი ლაპარაკია, წასვლის წინ ალლაჰს ასე შეევედროს:

„დიდო ალლაჰო! დიდება შენ! მონმე ვარ, რომ შენ გარდა სხვა ღმერთი არ არსებობს! გთხოვ ჩემი ცოდვები მაპატიო!“<sup>275</sup>

### 15. დაპატიჟებით მიღების წესები

*„თუკი ვინმეს სტუმრად დაპატიჟებენ, აუცილებლად წავიდეს. თუ კი მარხულია ოჯახის პატრონი დალოცოს, თუკი მარხული არაა, მაშინ ჭამოს.“*

მუსლიმი, ნიქაჰი, 106

ისლამის სარწმუნოებამ მორწმუნე ადამიანები დააძმობილა, „რამეთუ მორწმუნენი ძმები არიან...“<sup>276</sup> და მათ შორის ამ ძმობის განმტკიცებას დიდი მნიშვნელობა მიანიჭა. ძმობის განმტკიცების ერთ-ერთი ხერხი ერთიმეორის დაპატიჟებაა. ალლაჰის შუამავალი ბრძანებს:

„თითოეულ მუსლიმს ხუთ სხვადასხვა შემთხვევაში აქვს მეორის მიმართ ვალდებულება: მისალმებაზე პასუხის მიღების, დაპატიჟების შემდეგ სტუმრად წასვლის, მიცვალებულის დასაფლავების პროცესიაზე შეერთების, ავადმყოფის მონახულების და ცხვირის დაცემინების დროს თუ „ელჰამდულილლაჰ“ იტყვის, მაშინ „იერჰამუქელლაჰ“ — თქმით ალლაჰზე შევედრების.“<sup>277</sup> და კიდევ:

„თუკი თქვენ დაგპატიჟებენ სტუმრად, უარი არ განაცხადოთ, აუცილებლად წადით!“<sup>278</sup>

ბედირის ბრძოლის მონაწილე თანამიმდევრებიდან ითბან იბნ მალიქი თავის გვარში იმამობას ასრულებდა. წვიმის დროს მის

275. თირმიზი, დეავათი, 39.  
276. სურა ჰუჯურათი, აიათი 10.  
277. იბნ მაჯე, ჯენაიზი, 1.  
278. მუსლიმი, ნიქაჰი, 99.



სახლსა და მეჩეთს შორის ადიდებული მდინარის გადალახვა ძალიან ძნელდებოდა. ამიტომ, ერთხელ ის შუამავალთან მივიდა და უთხრა:

— შუამავალო! წვიმის დროს მდინარის გადალახვა ძალზე ძნელია, ამიტომ ჩემს სახლს გთავაზობ, რომ აქ ილოცო, ხოლო შემდგომ ის ადგილი, სადაც ილოცებ, ჩემთვის სალოცავ ადგილად მინდა ვაქციო! შუამავალმა უპასუხა:

„ღმერთის ნებით შენს სურვილს შეგისრულებ!“ ითბანი განაგრძობს: „მეორე დღეს, როცა მზე მაღლა ანეული იყო, ჩემთან აბუ ბაქრთან ერთად შუამავალი მოვიდა და სახლში შემოსვლის ნება ითხოვა. ნება მივეცი და ისიც შიგნით შემოვიდა. დაჯდომამდე მან მკითხა:

— სად გინდა, რომ ვილოცო?

მე ის ადგილი ვაჩვენე, სადაც მინდოდა ელოცა. თექბირი აილო და სალოცავად დადგა. ჩვენც მის უკან დავდექით. მან ორი მუხლი გვალოცა და სალამი მისცა. ჩვენც ისევე მოვიქეციით. ლოცვის შემდეგ, მისთვის გამზადებული საჭმლით პატივი მივაგე. როდესაც ხალხმა გაიგო, რომ შუამავალი ჩვენთან იმყოფებოდა, მათგან ერთი ჯგუფი ჩვენთან მოვიდა. ამ დროს სახლში საკმაო ხალხმრავლობა იყო.<sup>279</sup>

როგორც ჰადისიდან გამომდინარეობს, შუამავალმა თანამიმდევრის დაპატიჟება მიიღო და მეორე დღესვე მასთან სტუმრად მივიდა. ლოცვის შემდეგ კი ფქვილისა და წვრილად დაჭრილი ხორცისგან დამზადებული კერძიც მიირთვა.

შუამავლის თანამიმდევრის მიერ დაპატიჟების კიდევ ერთი შემთხვევა ე. წ. „ჰენდეკის“ (სანგარი) გათხრის დროს მოხდა. იმ დროისთვის, როგორც ვიცით, ძალიან გაჭირვებული დრო იყო და შუამავლის ჩათვლით თანამიმდევრები რამდენიმე დღე მშვიდები იყვნენ. ერთხელ, თანამიმდევარმა ჯაბირმა, რომელიც შუამავლის შიმშილობას ძალიან განიცდიდა, დრო გამონახა, ნება ითხოვა და სახლში წავიდა. ამ ამბავს თვითონ ასე გადმოგვცემს:

„სახლში მივედი და ცოლს ვუთხარი:

— შუამავალი ცუდ მდგომარეობაშია, მეშინია, შიმშილს ვეღარ გაუძლებს, სახლში რაიმე საჭმელი ხომ არ გვაქვს? ცოლმა მიპასუხა:

<sup>279</sup>მუსლიმი, მესაჯიდი, 263. ბუჰარი, სალათი, 45-46.



— ცოტა ქერის ფქვილი გვაქვს და თიკანი გვყავს.

მე სასწრაფოდ თიკანი დავკალი, ხორცი ქვაბში ჩავყარე და ცეცხლზე შემოვდგი, მალე პურიც გამოაცხო და ხორციც შეკაზმა. შემდეგ მე შუამავალთან მივედი და ვუთხარი:

— შუამავალო! ცოტაოდენი საჭმელი მაქვს, ერთ-ორ კაცთან ერთად ჩემთან წავიდეთ და საჭმელი ვჭამოთ. შუამავალმა მკითხა:

— რამდენი საჭმელი გაქვს?

მეც ვუთხარი რამდენიც იყო. მან თქვა:

— საჭმელი, როგორც ჩანს, გემრიელი და ბევრი ყოფილა. ცოლს უთხარი, ჩემს მოსვლამდე ქვაბი ცეცხლიდან არ გადმოდგას და პური კეციდან არ ამოიღოს!“

შემდეგ თანამიმდევრებს მიმართა:

— ადექით! მუჰაჯირებიცა და ანსარებიც ყველა ფეხზე წამოდგა. მე კი გაოცებული და შეშინებული ცოლთან გავიქეცი და ვუთხარი:

— ჩვენს თავს რა ხდება, არ ვიცი. შუამავალთან ერთად მუჰაჯირები, ანსარები და ყველა იქ მყოფი აქ მოდის. ცოტა ხანში ცოლმა მკითხა:

— შუამავალმა შენ გკითხა, რამდენი საჭმელი გვქონდა?

— დიახ!

— მაშინ ნუ გეშინია, მან შენზე უკეთ იცის, რას აკეთებს!

ისინი ცოტა ხნის შემდეგ მოვიდნენ. შუამავალმა თანამიმდევრებს მიმართა:

— ერთმანეთი არ შეაწუხოთ და საჭმლის ასაღებად თითო-თითო ჩემთან მოდით! შუამავალი კეციდან პურს ტეხდა, ზემოდან ხორცს ადებდა და თანამიმდევრებს აწოდებდა. ამგვარად, ყველა თანამიმდევარმა დანაყრებამდე ჭამა და საჭმელი კიდევ დარჩა. ჭამის შემდეგ, შუამავალმა ჩემს ცოლს უთხრა:

— დარჩენილი საჭმელი შენც ჭამე და მეზობლებსაც აჭამე, რადგან შიმშილმა ადამიანები გაანადგურა!“<sup>280</sup>

280. ბუჰარი, მელაზი, 29. ვაქიდი, 2, 452.





აღლჰის შუამავალი თავის თანამიმდევრებთან ერთად დაპატი-  
 ყებით მივიდა სტუმრად და ალლაჰის წყალობით ყველა დაანაყრა.  
 საჭმელი ყველას ეყო და მორჩა კიდეც, რომლითაც მეზობლებიც და-  
 პურდნენ.

შუამავლის დაპატიყუების კიდეც ერთ მაგალითის ენეს იბნ მა-  
 ლიქი გადმოგვცემს: „ერთ დღეს შუამავალმა სამხრობის ლოცვა  
 შეგვასრულებინა. ლოცვის შემდეგ, ბენი სელემეს გვარიდან ერთი  
 კაცი მოვიდა და ალლაჰის შუამავალს უთხრა:

— შუამავალო! ჩვენ აქლემის დაკვლა გვინდა და სურვილი გვა-  
 ქვს, შენც დაგპატიჟოთ. შუამავალი დათანხმდა და ყველანი მასთან  
 წავედით. მივედით, მაგრამ აქლემი ჯერ კიდეც არ იყო დაკლული.  
 ცოტა ხნის შემდეგ აქლემი დაიკლა, მისი გარკვეული ნაწილი შეინვა  
 და ხორცი იმ დღეს მზის ჩასვლამდე ვჭამეთ.<sup>281</sup>

უდიდესი ზნეობისა და მორიდების მქონე შუამავალი, გაჭირვე-  
 ბულებისა და მოსამსახურეების დაპატიყუებასაც ლეზულობდა. შუა-  
 მავლის გადმოცემის მიხედვით, ბებია მულეიქემის მის მიერ მომ-  
 ზადებულ საჭმელზე დაპატიჟა. შუამავალმა დაპატიყუება მიიღო და  
 საჭმელი ჭამა. შემდეგ უთხრა: „ახლა მოემზადეთ ვილოცოთ!“ ენესი  
 ამბობს, რომ: „მე დიდი ხნის განმავლობაში ხმარების გამო გაშავე-  
 ბული ჭილოფი მოვიტანე და დავაგე. შუამავალი მასზე სალოცავად  
 დადგა. მე და ჰუსეინ იბნ აბდულლაჰის ბაბუა დუმეირე შუამავლის  
 უკან დავდექით. ჩვენ უკან კი ბებია დადგა სალოცავად. შუამავალმა  
 ორი მუხლი გვალოცა და წავიდა.“<sup>282</sup>

შუამავალი დროდადრო ასე ბრძანებდა:

*„საქონლის ჩლიქის ან მსგავსი რამის ხორცის საჭმელადაც  
 რომ დამპატიჟონ, აუცილებლად წავალ, ან მაჩუქონ, აუცილებლად  
 მივიღებო!“<sup>283</sup>*

შუამავლის პრინციპით, დაპატიყუების წინადადების მიღება ამხა-  
 ნაგობას, მეგობრობას და მუსლიმთა ძმობის გამტკიცებას უწყობს  
 ხელს. მისი შეხედულებით, ამქვეყანად ყველაზე მთავარი ადამიანე-  
 ბს შორის კარგი ურთიერთობა, ურთიერთსიყვარული, ურთიერთ-  
 დობა და ურთიერთდახმარებაა.

281. მუსლიმი, მესაჯიდი, 196.

282. ბუჰარი, სალათი, 20.

283. ბუჰარი, ჰიბე, 2.





შუამავალმა მუსლიმ ქალბატონებს ურჩია, მეზობლის მიერ გაკეთებული უნმიშვნელო საჩუქარიც კი ძვირფასად მიელოთ და არასდროს უარი არ ეთქვათ. იმიტომ, რომ მუსლიმი ადამიანი თავმდაბალი უნდა იყოს. მან ყოველნაირი დაპატიჟება და საჩუქარი უნდა მიიღოს. მუსლიმი ადამიანის მხრიდან თავის მოწონება და სხვისი დამცირება არ შეიძლება.

ისლამის მიმდევართა ურთიერთდაახლოების ერთ-ერთი საშუალება ერთმანეთის დაპატიჟება და მასზე დათანხმებაა. როდესაც მდიდარი ადამიანი ღარიბის დაპატიჟებას დათანხმდება, ამით ის იმ ადამიანის გულსაც მოიგებს და ალლაჰიც კმაყოფილი ეყოლება.

### ა. საქორწილო მიპატიჟებაზე მისვლა

მუსლიმების კიდევ ერთი თავმოყრის ადგილი საქორწილო წვეულებებზეა, რომელსაც შუამავალი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ის ასე ბრძანებდა:

*„თითოეული თქვენგანი, საქორწილო წვეულებაზე დაპატიჟების შემთხვევაში, აუცილებლად უნდა წავიდეს!“<sup>284</sup>*

*„საქორწილო წვეულებაზე დაპატიჟების შემთხვევაში, აუცილებლად წადით! თუ მარხული ხართ, მაშინ მისთვის ვედრება გააკეთეთ, თუკი არა, მაშინ საჭმელი ჭამეთ!“<sup>285</sup>*

საქორწილო წვეულებაზე წასასვლელი რჩევის მომცემი შუამავალი აღნიშნავს, რომ თუ რაიმე სერიოზული მიზეზი ადამიანს არ გააჩნია და წვეულებაზე არ წავა, მაშინ მისი მოქმედება ალლაჰისა და შუამავლის ინტერესების სანინააღმდეგოდ ჩაითვლება.<sup>286</sup> ამ რჩევის კარგად გამთვალისწინებელი აბდულლაჰ იბნ ომარი, როგორც საქორწილო წვეულებაზე, ასევე სხვა დაპატიჟებებზე, თუგინდ მარხული ყოფილიყო, ყოველთვის მიდიოდა.<sup>287</sup>

ოთხივე მეზობლის იმამები შეთანხმდნენ, რომ საქორწინო დაპატიჟებაზე წასვლა ვაჯიბია, ე.ი. აუცილებელი. სხვა მიზეზით, დაპატიჟებაზე წასვლა კი არა, ამიტომ ადამიანი მარხულიც რომ იყოს, ამ დაპატიჟებას აუცილებლად უნდა დათანხმდეს და წავიდეს. მაგრამ,

284. ბუჰარი, ნიქაჰი, 71.

285. მუსლიმი, ნიქაჰი, 106.

286. ბუჰარი, ნიქაჰი, 72.

287. ბუჰარი, ნიქაჰი, 74.





რა თქმა უნდა, მარხვის მოშლა არ შეიძლება. ასეთ დროს ადამიანმა ქორნილის მეპატრონეს ყოველივე სიკეთე უნდა უსურვოს.

დაპატიჟების შემთხვევაში, ქორნილში წასვლაზე ასეთი მნიშვნელობის მინიჭებას გარკვეული მიზეზები გააჩნია. ქორნილი მისი მეპატრონისთვის ბედნიერების უმნიშვნელოვანესი ნუთებია. ამ დროს ამ ადამიანს მთელი თავისი ნათესავებისა და მეგობრების მის გვერდით დანახვა უხარია. აგრეთვე, ამ დღეს ორი ადამიანის შეუღლების ამბავსაც ყველა გაიგებს და ამ ურთიერთობას რაც მეტი ადამიანი შეიტყობს, მით უფრო მეტი ძალა ექნება მათ შეუღლებას.

ისეთ ადგილას, სადაც დაპატიჟებული არ ვართ და წავალთ, ან ჩვენ დაპატიჟებული ვართ და თან დაუპატიჟებელ ვინმესაც წავიყვანთ, ეს ნამუსის საქმეა. შუამავალი ამ საკითხთან დაკავშირებით ბრძანებს: „დაუპატიჟებელი ადამიანი, სუფრასთან ჯდომისას, ქურდად ითვლება, ხოლო იქედან წასვლისას — მძარცველად.“<sup>288</sup>. თუ რომელიმე დაუპატიჟებელი ადამიანის წაყვანის აუცილებლობა გახდა საჭირო, მაშინ აუცილებელია მეპატრონისგან ნებართვა აიღო. ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგი ისტორია ძალიან დამრიგებლურია:

აბუ შუაიბ ელ ანსარი ერთ დღეს შუამავლის მოსანახულებლად წავიდა. შუამავლის მისუსტებული სახე რომ დაინახა, მიხვდა, რომ ის დიდი ხნის მშვიერი იყო. იგი სასწრაფოდ თავის შვილთან მივიდა, რომელიც ყასაბად მუშაობდა და უთხრა, რომ შუამავლის დასაპატიჟებლად ხუთი კაცისთვის საჭმელი მოემზადებინა. საჭმლის გამზადების შემდეგ მან შუამავალი დაპატიჟა. სტუმრად მიმავალ შუამავალს და მის თანმხლებ პირებს გზაზე ერთი კაცი შეუერთდა. სახლის ჭიშკართან მისულმა შუამავალმა აბუ შუაიბს დაუძახა და უთხრა:

„— ეს ადამიანი ჩვენ გზაზე შემოგვიერთდა და აქ მოვიდა. თუ გსურს, ნება მიეცი და შემოვიდეს, თუ არა, უთხარი გაბრუნდეს.“  
სახლის მეპატრონემ უთხრა:

— რას ამბობთ, ალლაჰის შუამავალო! შეუძლია შემოვიდეს!<sup>289</sup>

შუამავლის ასეთი საქციელით როგორც დაპატიჟებული ხალხის მდგომარეობაც შემსუბუქდა და დაუპატიჟებელი ადამიანის გულიც გახარებული დარჩა.

288. აბუ დავუდი, ეთიმე, 1

289. ბუჰარი, ბუიუ, 21.





## ბ. მიპატიჟება, რომელზეც წასვლა აკრძალულია

შუამავალი ძირითადად დაპატიჟებებზე უარს არ ამბობდა და მიდიოდა, მაგრამ დაპატიჟებები ალლაჰის კანონების სანინაალმდე-გო არ უნდა ყოფილიყო. ენესის გადმოცემის მიხედვით, ვიცით, რომ შუამავალი იმ ადამიანების დაპატიჟებასა და საჭმელზე უარს ამბობდა, ვინც ჭამის დროს, სიამაყით ძვირფას ჭურჭელს იყენებდა.<sup>290</sup> შუამავალს თავისი სიცოცხლის განმავლობაში ასეთი ადამიანების საჭმელი არასდროს უჭამია. აგრეთვე, ურწმუნო ადამიანების დაპატიჟებას ერიდებოდა და თანამიმდევრებსაც ამგვარ მოქმედებას ურჩევდა.

შუამავალი დღენიდაც იმისათვის იბრძოდა, რომ ადამიანები ერთმანეთისგან საგრძნობლად განსხვავებული ძალიან მდიდარი ან ძალიან ღარიბი არ ყოფილიყვნენ. ადამიანების ერთიმეორისგან განსხვავება დაპატიჟებით გამოიხატება, როდესაც მდიდრებს დაპატიჟებ და ღარიბებს არა. ამ საკითხთან დაკავშირებით შუამავალი ბრძანებს:

*„უკიდურესად ზარალის მომცველია ის წვეულება, სადაც საჭმელზე მდიდრებს მიპატიჟებენ, ღარიბებს კი უგულვებლყოფენ.“<sup>291</sup>*

ერთი სიტყვით სუფრაზე მიპატიჟება და მასზე დათანხმება სუნნეთია. ამასთანავე მუსლიმი ადამიანი ვალდებულია, ასეთი შემთხვევების მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინოს. აქაც, როგორც სხვაგან, მათ შეგნებულობა და დისციპლინა უნდა გამოამჟღავნონ. ისეთ ადამიანებთან სტუმრად მისვლა არ შეიძლება, ვისი სუფრაც ალლაჰის კანონებს და მის შუამავლის სწავლებას არ შეესაბამება. ჭეშმარიტი მუსლიმი ყოველთვის უნდა ცდილობდეს ალლაჰის წყალობის მოპოვებას და ამიტომ ვალდებულია მოერიდოს ყოველივე იმას, რაც მის ნებას ეწინააღმდეგება.

მუსლიმ ადამიანს ეკრძალება ისეთ სადილებსა და წვეულებებზე წასვლა სადაც ალკოჰოლური სასმელია.

290. ბუჰარი, ეთიმე, 8

291. ბუჰარი, ნიქაჰი, 72.





## 16. მონახულების წესები

*„მხოლოდ ის არის ჩემი სიყვარულის ღირსი, ვისაც ნათესაური ურთიერთობები არ დაურღვევია და ახლობლებს ყოველთვის მოინახულებს.“*

*იბნ ჰანბელი, 5, 229*

ნათესავებისა და მეგობრების მონახულება თითოეული მუსლიმის ვალაია.

უზენაესმა ალლჰმა ყველა მართლმორწმუნე ერთიმეორის ძმად გამოაცხადა და ურთიერთდახმარება უბრძანა. ურთიერთდაპატიჟება სტუმრად სოციალურ — საზოგადოებრივ კლიმატს აუმჯობესებს. ამიტომ ისლამმა ერთმანეთის მონახულებას უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭა.

მონახულება შეიძლება განხორციელდეს ავადმყოფობის, ბაი-რამის, ბავშვის დაბადების, სიკვდილისა და სხვა გარემოებების შემთხვევაში. ასევე, ერთმანეთის მონახულება ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი მდგომარეობის გარდა შესაძლებელია. მუსლიმები ურთიერთმონახულების საშუალებით ერთმანეთის მდგომარეობას ადვილად გაიგებენ, გაჭირვების შემთხვევაში პრობლემების მოგვარებას ადვილად შეძლებენ. ასევე, თავიანთ შეხედულებებს, აზრებს და გამოცდილებებს ერთმანეთს გაუზიარებენ. გარდა ამისა, ისინი შეძლებენ სხვადასხვა საკითხის შესახებ ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებას, რის შემდეგაც ისინი მომავალს უფრო გაბედული თვალით და იმედით შეხედავენ. მწუხარებასა და სიხარულს ერთმანეთს გაუზიარებენ და ამით მდგომარეობას გაიუმჯობესებენ. ამგვარად, მეზობლებისა და ნათესავების მონახულებას მრავალი დადებითი მნიშვნელობა გააჩნია. შუამავალი ასეთი ტრადიციის დასამკვიდრებლად თანამიმდევრებს ხშირად ინახულებდა. მისი ერთ-ერთი ასეთი მონახულების შესახებ ყაის იბნ სადი გადმოგვცემს:

„ერთხელ შუამავალი ჩვენს მოსანახულებლად მოვიდა.

— ეს სელამუ ალეიქუმ ვერეჰმეთულაჰ! — მოგვესალმა ის. მამამ ძალიან დაბალი ხმით სალამითვე უპასუხა, მაგრამ შუამავალმა ვერ გაიგონა. მე მამას ვუთხარი:





— ალლაჰის შუამავალს ნებას არ მისცემ, რომ სახლში შემოვიდეს? მამამ მიპასუხა:

— გაჩერდი, ნუ გეჩქარება! აცალე კიდევ რამდენჯერმე სალამი მოგვცეს. შუამავალმა კიდევ ერთხელ:

— ეს სელამუ ალეიქუმ ვერეხმეთულაჰ! — თქვა. მამამ ამჯერადაც დაბალი ხმით უპასუხა. შუამავალმა მესამედაც:

— ეს სელამუ ალეიქუმ ვერეხმეთულაჰ!“ — გაიმეორა და უკან გაბრუნება დააპირა. მამა სასწრაფოდ უკან აედევნა და უთხრა:

— შუამავალო! შენს მოცემულ სალამს ვისმენდი და იმიტომ დაბალ ხმაზე გპასუხობდი, მინდოდა ბევრჯერ მოგსალმებოდი. მამა სახლში შუამავალთან ერთად დაბრუნდა.

მან შუამავლისთვის წყლის მოტანა ბრძანა. შუამავალმა ხელები დაიბანა შემდეგ გაიმშრალა, მალლა აღაპყრო და ალლაჰს შეევედრა:

— დიდო ალლაჰო! სად იბნ უბადეს ოჯახს სიუხვე და კეთილდღეობა მიეცი!

შემდეგ ჩვენ მიერ მომზადებული საქმელი მიირთვა. ნასვლა როდესაც დააპირა, მამამ უნაგირდადგმული ჯორი მოიყვანა და მიუთხრა:

— ყაის! შუამავალს მეგზურად გაჰყევი! მეც ასე მოვიქეცი. გზაზე შუამავალმა მითხრა:

— მოდი, ჯორს შენც შემოაჯექ!

მე შემრცხვა და უარი ვუთხარი. მან კიდევ ერთხელ მითხრა:

— ან დაჯექი, ან უკან გაბრუნდი!

მე უკან დაბრუნება ვირჩიე.<sup>292</sup>

კიდევ ერთ ჰადისში არის გადმოცემული, რომ შუამავალი ერთ-ერთი ანსარის ოჯახში მივიდა, საქმელი ქამა, ილოცა და მათთვის ალლაჰს შეევედრა.<sup>293</sup>

292. აბუ დავუდი, ედები, 127-128.

293. ბუჰარი, ედები, 65.



შუამავალი თავის მიმდევრებს ავადმყოფებისა და ისლამის რწმენით შექენილი ძმების მონახულებასაც უბრძანებდა. ერთ-ერთ ჰადისში ის ბრძანებს:

„ვინც ალლაჰის ხათრით, ავადმყოფს ან რწმენით ძმას მოინახულებს, მაშინ ერთი მქადაგებელი მას ასე მიმართავს: „რა ლამაზი და რა კარგი საქმე გააკეთე! ამ საქციელით შენ სამოთხეში ადგილი გაიმზადე!“<sup>294</sup>

მონახულება რაიმე პირადი ინტერესის გამო კი არ უნდა ხდებოდეს, არამედ მხოლოდ ალლაჰის სიყვარულის გამო. რადგან მას სწორედ ასეთი ადამიანების მიმართ უჩნდება განსაკუთრებული სიყვარული. ერთ ჰადისში შუამავალი ბრძანებს:

„ჩემი თხოვნის გამო, ერთმანეთის მიმართ სიყვარულის გამოჩენ, სხვაზე დახმარების ხელის გამწვდენ, ნათესავეებსა და ახლობლებთან კარგი ურთიერთობის მქონე და ერთმანეთის მომნახულებელ ადამიანებს ჩემი უდიდესი სიყვარული აქვთ მოპოვებული!“<sup>295</sup>

ალლაჰისა და შუამავლის მიერ მოცემული რჩევების განხორციელება, საუკეთესო მაგალითის მქონე შუამავლის ცხოვრებიდან ამოღებული ნიმუშებით არის შესაძლებელი.

## ა. ავადმყოფის მონახულება

*„ავადმყოფის მომნახულებელი ადამიანი უკან დაბრუნებამდე სამოთხის გზაზე მდგომია.“*

მუსლიმი, ბირრი, 39

ჯანმრთელობა და ავადმყოფობა, ადამიანის გამოცდისთვის საჭირო ორი განსხვავებული მოვლენაა. ჯანმრთელად მყოფი ადამიანი ვალდებულია ასეთი ძვირფასი საჩუქრისათვის ალლაჰს მადლობა გადაუხადოს. ავადმყოფობის დროსაც კი, საჭიროა ადამიანმა გულით შეძლოს ალლაჰთან დაახლოება. ორივე გარემოების კარგად გამოყენების შემთხვევაში, ადამიანი მხოლოდ მოგებული დარჩება.

294. თირმიზი, ბირრი, 64.

295. იბნ ჰანბელი, 5, 229.





ნებისმიერი ასაკის პერიოდში შესაძლებელია ადამიანი სხვადსხვაგვარად დაავადმყოფდეს. ეს ძალიან ცუდი და სამწუხარო ფაქტია. ასეთ შემთხვევაში, თითოეული ავადმყოფის დიდი სურვილია ნათესავებმა, ნაცნობებმა, ახლობლებმა თუ მეგობრებმა მოინახულონ და დაამშვიდონ. გარდა ამისა, მას ამ დროს არა მარტო ნაცნობების, არამედ უცნობი ადამიანების დანახვაც კი გაუხარდება. ასევე უხარია, თუკი ვინმე მის მდგომარეობას მოიკითხავს და მის ამბავს გულთან ახლოს მიიტანს. თუკი მასთან არ მივლენ, ან არ მოიკითხავენ, მას ძალიან ეწყინება და დამწუხრდება. ავადმყოფების მონახულება შუამავალმა ყველა ადამიანს უბრძანა. ბერა იბნ აზიბი ასე გადმოგვცემს:

„შუამავალმა ჩვენ ავადმყოფის მონახულება, მიცვალებულის ცხედრის წაღებისას უკან გაყოლა, დაცემინების შემდეგ „იერჰამუქელლაჰ“ — თქმა, ფიცის შესრულება, ადამიანის დაჩავგრის შემთხვევის შეხვედრისას უძღურზე დახმარების აღმოჩენა, დაპატიჟების შემთხვევაში წინადადების მიღება და სალამის მიცემის წესების გავრცელება გვირჩია.“<sup>296</sup>

ავადმყოფი ადამიანი გულგატეხილი და დამწუხრებულია, ალლაჰი კი ასეთ ადამიანთან უფრო ახლოს დგას. ალლაჰს ავადმყოფის მონახულება ისე ძლიერ უყვარს, რომ ავადმყოფის მომნახულებელ ადამიანს, ალლაჰის მომნახულებელ პიროვნებად მიიჩნევს. შუამავალი ამ საკითხის შესახებ ბრძანებს:

*„ალლაჰი განკითხვის დღეს თავის მონა – მსახურს ჰკითხავს:*

*— ადამიანო, ავად რომ ვიყავი, არ მომინახულე! გაკვირვებული ადამიანი უპასუხებს:*

*— შენ, როგორც ყველაფრის გამჩენი ალლაჰი ხარ, როგორ უნდა მომენახულებინე?*

*ალლაჰი უპასუხებს:*

*— ადამიანი ავად რომ გახდა, მის სანახავად არ მიხვედი. მის სანახავად რომ მისულიყავი, მაშინ მეც იქ მნახავდი. ეს არ იცოდი, ადამიანო? მე დაპურება გთხოვე, შენ ეს არ გააკეთე!*

*გაკვირვებული მონა — მსახური ჰკითხავს:*

296. ბუჰარი, ჯენაიზი, 2. მუსლიმი, ლიბასი, 3.





— როცა შენ ქვეყნის მმართველი ალლაჰი ხარ, როგორ უნდა დამეპურებინე?! ალლაჰი უპასუხებს:

— ერთმა ადამიანმა შენ საჭმელი გთხოვა, შენ არ მიეცი. მისთვის რომ საჭმელი მიგეცა, არ იცოდი, მისი მადლი ჩემამდე მოაღწევდა? ადამიანო, შენ წყალი გთხოვე, შენ კი არ მომეცი.

ადამიანი ეტყვის:

— ღმერთო! როცა შენ სამყაროს ერთადერთი ალლაჰი ხარ, წყალი როგორ უნდა მომეცა?

ალლაჰი ეტყვის:

— ერთმა ადამიანმა შენ წყალი გთხოვა, შენ არ მიეცი. მისთვის რომ წყალი მიგეცა, მისი მადლი ჩემამდე მოაღწევდა. ეს არ იცი?<sup>297</sup>

აქედან გამომდინარე, ადამიანი ვის მოსანახულებლადაც მიდის იმაზე კი არა, ვის ბრძანებასაც ასრულებს, იმაზე უნდა დაფიქრდეს. ამიტომ შუამავალმა თანამიმდევრებს ურჩია, ავადმყოფის მონახულებისას, მისთვის ალლაჰს შევედრებოდნენ, რადგან მათი ვედრება ანგელოზების ვედრების მსგავსია.<sup>298</sup>

ავადმყოფის მონახულება, მისი მდგომარეობის გაგება და მდგომარეობის გულთან ახლოს მიტანა, შეძლებისდაგვარად მასზე დახმარებას ნიშნავს. ამრიგად, ავადმყოფის მონახულება სუნნეთია. ბევრი სწავლული ადამიანის მიერ ის ვაჯიბადაც არის მიჩნეული. იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფს მასთან ახლოს მცხოვრები ადამიანებიდან არავინ მოიკითხავს, იქ მცხოვრები ყველა მუსლიმი მის წინაშე ვალში დარჩება. აქედან გამომდინარე, ავადმყოფის მონახულება ფარდი ქიფაიე (ისეთი აუცილებლობა, როცა ერთი ადამიანის მხრიდან გაკეთების შემთხვევაში, პასუხისმგებლობა სხვებსაც ეხსნებათ) შეიძლება იყოს.

იბნ ომარი, შუამავლის მიერ ავადმყოფის მონახულებასთან დაკავშირებით, ერთ ასეთ ამბავს გადმოგვცემს:

„ერთხელ ჩვენ შუამავალთან ერთად ვისხედით. ამ დროს ანსარებიდან ერთი ადამიანი ჩვენთან და მოგვესალმა. შუამავალმა მას ჰკითხა:

297. მუსლიმი, ბირრი, 43.

298. იბნ მაჯჰე, ჯენაიზი, 1.





— ჩემო ძმაო, სად იბნ უბადე როგორ არის?

მან უპასუხა:

— ნორმალურად არის!

— ჩემთან ერთად მის მოსანახულებლად ვინ წამოვა? ჩვენც მასთან ერთად, დაახლოებით, ათი-თხუთმეტი კაცი ავდექით და წასავლელად მოვემზადეთ. არც ერთ ჩვენგანს ფეხზე და ტანზე ნორმალურად არ გვეცვა, მაგრამ სად იბნ უბადეს სანახავად მაინც წავედით. ავადმყოფთან მისულებს ადგილები მისმა ახლობლებმა დაგვითმეს.<sup>299</sup>

აიშე შუამავლის მშვენიერ ხასიათზე დანვრილებით მოგვი-  
თხრობს:

„სად იბნ მუაზმა „ჰენდეკის“ (სანგრის) გათხრის დროს ხელი დაიზიანა. შუამავალმა მისთვის მეჩეთში კარავი გააშლევინა, რათა ის ხშირად მოენახულებინათ და დახმარებოდნენ.“<sup>300</sup>

როგორც ვხედავთ, შუამავალს თანამიმდევრების ყოველგვარი გასაჭირი გულთან ახლოს მიჰქონდა. ავადმყოფის მოკითხვა, ამხანაგების მონახულება, გაჭირვებულებზე დახმარების განწევა, მიცვალებულის ნამაზის ლოცვის ხელმძღვანელობა, ოჯახის წევრებზე სამძიმრის თქმა და სხვა ამგვარი საქციელი შუამავლის თვისებები იყო. ის ავადმყოფის მოსანახულებლად ხშირად სხვებთან ერთად მიდიოდა და მათ ნიმუშს აძლევდა. ავადმყოფის მოსანახულებლად ხელცარიელი მისვლა სირცხვილი არ არის, რადგან ამის შესაძლებლობები ყოველთვის შეიძლება არ იყოს. მთავარი ავადმყოფის სულიერი გამხსნევა და დამშვიდებაა.

ავადმყოფის მონახულებისას მუსლიმ — არამუსლიმის, ნაცნობ — უცნობის ან მეზობელ — არამეზობლის ერთიმეორისგან განსხვავება არ შეიძლება.

ერთხელ, შუამავალმა ავადმყოფი ებრაელი ბავშვი მოინახულა, რაც მისი გამუსლიმების მიზეზად იქცა.<sup>301</sup>

299. მუსლიმი, ჯენაიზი, 13.

300. ბუჰარი, მელაზი, 30.

301. ბუჰარი, ჯენაიზი, 80.



მევლანა ჯალალედინ რუმი აღნიშნავდა, რომ ავადმყოფის მონახულებისას უფრო მეტ სარგებელს, მომნახულებელი იმსახურებს. ის წერდა:

*„ავადმყოფის მონახულება და მისი მდგომარეობის მოკითხვა ძალიან სასარგებლოა, რადგან ხვალ შეიძლება მდგომარეობა შეიცვალოს და შენც გახდე ავად. შესაძლებელია, ის ავადმყოფი იმ დროის საუკეთესო ადამიანი იყოს ალლაჰისთვის. ო, ჯიუტო ადამიანო, შენი სულის ორივე თვალი დაგვრბამავებია, ამიტომ ნედლ და ცოცხალ ხეს ხმელი შეშისგან ვერ არჩევ! ამქვეყნად მრავალი ხაზინა არსებობს. ანუ ეს ქვეყანა ალლაჰის საყვარელი ადამიანებისგან ცარიელი არასდროს არის. არასდროს დამწუხრდე იმის გამო, რომ ასეთი ადამიანები არ არსებობენ. ამქვეყნად არც ერთი მყუდრო ადგილი ცარიელი არ არსებობს!“*

*იცოდე, რომ მგ ზავრობისთვის ამხანაგის მოძებნა აუცილებლად საჭიროა; ფეხით იქნება, ცხენით, წინ თუ უკან, ამას მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, მას არ დაშორდე! ავადმყოფის მოსანახულებლად რომ მიხვალ, ის შენი მტერიც, რომ იყოს კარგად მოექეცი, იმიტომ, რომ კარგი საქციელის შემდეგ, ძლიერი მტერიც კი შესაძლებელია მოყვარე გახდეს. ხოლო მოყვარე თუ არ გახდება, თქვენ შორის მტრობის გრძნობა მაინც შემსუბუქდება. სიკეთე მტრობის წამალია. ავადმყოფის მონახულებას კიდევ მრავალი სიკეთე გააჩნია. ჩემი სიტყვის მიზანი ის არის, რომ შენ საზოგადოების და ხალხის მეგობარი იყო. თუ ვინმე მეგობარს ვერ ნახავ, მაშინ ძეგლის გამკეთებლების მსგავსად, შენთვის ერთი მეგობარი გამოძერწე!<sup>302</sup>*

შუამავალმა ავადმყოფებს გარკვეული ვედრებებიც შეასწავლა. ერთხელ ოსმან იბნ ებილ ასმამ სხეულში დიდი ტკივილის შეგრძნების გამო, შუამავალს შესჩივლა. შუამავალმა მას შემდეგი რამ ურჩია:

*„— სხეულის იმ ადგილას, სადაც ტკივილი განუხებს, ხელი მიიდე და სამჯერ „ბისმილლაჰ“ თქვი, შვიდჯერ კი: „ელუზუ ბილლაჰი ვე ყუდრეთიჰი მინ შერრი მა ეჯიდუ ვე უჰაზირუ“*

*„ჩემი ავადმყოფობისა და გასაფრთხილებელი ბოროტებისგან, უზენაესი ალლაჰის ძალასა და ძლევამოსილებას შევეფარები, — თქვი!“<sup>303</sup>*

302. მესნევი, ბეითი 2145-2155.

303. მუსლიმი, სელამი, 67.





შუამავლის მიერ მიცემული რჩევის შემდეგ ოსმანმა თქვა: „შუამავლის რჩევის მიხედვით მოვიქეცი და ალლაჰის წყალობით, ტკივილმა გამიარა. ამის შემდეგ ეს ვედრება ჩემი ოჯახის წევრებს და სხვა ადამიანებსაც ვასწავლე.“<sup>304</sup>

შუამავალი სიკვდილის პირას მყოფ ავადმყოფებს „ლაა ილააჰე ილლელლაჰის“ — თქმას ურჩევდა.<sup>305</sup>

მუჰამედ შუამავლის თანამიმდევრები რომლებმაც აღზრდის დიდი სკოლა გაიარეს, ყოველთვის ცდილობდნენ მოენახულებინათ ავადმყოფები და მათი ლოცვა მიეღოთ.

### ავადმყოფის მონახულების წესები:

1. მომნახულებელმა ადამიანმა ავადმყოფს ხელზე ან შუბლზე ხელი უნდა დაადოს და ჰკითხოს, თუ როგორ გრძნობს თავს, როგორ არის იმიტომ, რომ შუამავალი ავადმყოფის მდგომარეობის გულთან ახლოს მიტანას ბრძანებს. ამასთან ერთად, ექიმის რჩევებიც აუცილებლად გასათვალისწინებელია, ხოლო თუკი სწეულება გადამდებიან, ავადმყოფზე შეხება აუცილებელი არ არის.

2. ავადმყოფთან დიდხანს დარჩენა, მისი გადაღლა, ან ისეთი რამის თქმა, რაც მას არ ესიამოვნება, არ შეიძლება.

3. აუცილებელია ვკითხოთ, თუ რა ესაჭიროება. კარგი იქნება, თუკი ავადმყოფთან ხილს და წვენებს მივიტანთ. იბნ აბბასი გადმოგვცემს, რომ „შუამავალმა ერთი ავადმყოფი მოინახულა და ჰკითხა:

— რა გინდა? რას ისურვებდი?

ავადმყოფმა უპასუხა:

— ხორბლის პურს!

შუამავალმა განაცხადა:

— ვისაც სახლში ხორბლის პური აქვს ავადმყოფს გაუგზავნოს! შემდეგ კი დაამატა:

— ავადმყოფი რასაც მოითხოვს, შეეცადეთ ის აჭამოთ!“<sup>306</sup>

304. აბუ დავუდი, ტიბი, 19.

305. მუსლიმი, ჯენაიზი, 1-2.

306. იბნ მაჯე, ჯენაიზი, 1.





4. ზოგიერთი ადამიანი ავადმყოფობისას მხოლოდ სიკვდილზე ფიქრობს. ამ დროს მისი სულიერი დამშვიდება აუცილებელია. ასეთ ავადმყოფს უნდა შეახსენო, რომ სიკვდილი ალლაჰის ნებაა და მაშინ მოვა, როცა ის ამას გადაწყვეტს. მას ვერავინ ვერასდროს გაექცევა. ყოველი ავადმყოფობა არ შეიძლება სიკვდილის მიზეზი გახდეს. აგრეთვე, ავადმყოფობა ცოდვების მოხდის მიზეზიც არის და ასე შემდეგ. იბნ აბბასის გადმოცემის მიხედვით, შუამავალმა ერთი ბედუინი ავადმყოფი მოინახულა. ისე როგორც სხვა ავადმყოფებს, მასაც უთხრა, რომ „ალლაჰის ნებით, ეს ავადმყოფობა ცოდვებისგან გათავისუფლების მიზეზი გახდებოდა და მალე გამოჯანმრთელდებოდა.“<sup>307</sup>

5. ავადმყოფისთვის ადამიანის ალლაჰზე შევედრება და მისი გამოჯანმრთელების თხოვნა, კარგი საქციელია. აიშეს გადმოცემის მიხედვით, როდესაც ოჯახის რომელიმე წევრი ავად გახდებოდა, შუამავალი მისთვის ალლაჰს ევედრებოდა:

*„ყველა ადამიანის ერთადერთო, დიდო ალლაჰო! ამ ავადმყოფს ტკივილები მოუხსენი და გამოაჯანმრთელე! ამის შემძლე მხოლოდ შენ ხარ, ამ ადამიანს ისე გაუქრე ეს ავადმყოფობა, რომ მისი კვალიც აღარ დაუტოვო!“<sup>308</sup>*

სელმანი გადმოგვცემს: „მე როდესაც ავად ვიყავი, შუამავალი ჩემს სანახავად მოვიდა. წასვლისას ასე ბრძანა:

*„სელმან, დაე, ალლაჰმა ყველა ტკივილი მოგიხსნას და ცოდვები გაპატიოს! სიკვდილამდე ძალა და ჯანმრთელობა არ მოგკლებოდეს!“<sup>309</sup>*

6. თუკი ავადმყოფი ფიზიკურად შორს იმყოფება და მისი ნახვის შესაძლებლობა არ არსებობს, მაშინ კარგი იქნება, თუ მასთან მიმავალი ვინმეს საშუალებით სალამსა და მოკითხვას გავუგზავნით, წერილს მივწერთ, ან ტელეფონით დავურეკავთ და ასე შემდეგ. ყოველივე ეს ძალიან კარგი და დიდად მოსაწონი საქციელი იქნება.

307. ბუჰარი, თევჰიდი, 31.

308. ბუჰარი, მერდა. 20. მუსლიმი, სელამი, 46-49.

309. ჰეისემი, 2, 99.





## ბ. ნუგეშისცემა, თანაგრძნობა

*როცა მუსლიმები რაღაც უბედურებას ან უსიამოვნებას გადაეყრებიან, საკმარისია, ჩემი გარდაცვალებით მათ თავს დამტყდარი და უბედურება გაიხსენონ დამშვიდნენ და მოითმინონ.*

მუსლიმი, ჯენაიზი, 41

უბედურების შემთხვევაში, საერთოდ, ვინმეს გარდაცვალების დროს, მისი ოჯახის წევრების მიმართ ნუგეშისცემა აუცილებელია. ამ დროს საჭიროა ადამიანის დარიგება. იმის შესახებ, რაც უკვე მოხდა, ან მისი უკან დაბრუნება შეუძლებელია და ახლა მთავარი მხოლოდ მოთმინებაა. ამასთანავე, ისეთი შევედრებაც აუცილებელია, როგორც არის: ღმერთმა უარესი უბედურებებისგან დაგიცვას, ღმერთმა მოთმინება და გამძლეობა მოგცეს და ა. შ. ამგვარი ქცევა ადამიანს ტკივილს უმსუბუქებს და თავს უკეთესად გრძნობს.

თანაგრძნობა, როგორც ადგილზე მისვლით, ასევე ტელეფონითა და წერილითაც შეიძლება გამოხატოს.

ზეინაბმა შუამავალს შეტყობინება გაუგზავნა:

— შვილი მომიკვდა, თუ შეგიძლია ჩვენთან მოდიო!

— მომცემიცა და წამრთმევიც ალლაჰია! მას ყველაფრის გაკეთებისთვის თავისი დრო აქვს. მოთმინება იქონიოს და ალლაჰს სიკეთე სთხოვოს!“ — ასეთი პასუხი გაუგზავნა თავის ქალიშვილს და როგორც კი საქმეებს მორჩა, მასთან წავიდა.<sup>310</sup>

ადამიანისთვის თანაგრძნობა რომ ძალიან მნიშვნელოვანი საქციელია, შუამავალმა ეს ასე აღნიშნა: „იმ მუსლიმს, რომელიც თავის რწმენით თანამოდმეს უბედურებისას თანაგრძნობას გამოუცხადებს, ალლაჰი განკითხვის დღეს საუკეთესო ტანსაცმელს ჩააცმევს!“<sup>311</sup>

შუამავლის მიერ მედინას გარეთ მყოფ მუაზ იბნ ჯებელისთვის, შვილის გარდაცვალების გამო, თანაგრძნობის წერილის გაგზავნა,

310. ბუჰარი, ჯენაიზი, 33.

311. იბნ მაჯე, ჯენაიზი, 56.





ყოველი მუსლიმისათვის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია. წერილში ეწერა:

„ბისმილლაჰირრაჰმანირაჰიმი!

*მუაზ იბნ ჯებელს ალლაჰის შუამავალ მუჰამმედისაგან!*

*ბედნიერება და ალლაჰის ნყალობა არ მოგკლებოდეთ!*

*მინდა გადმოგცე, რომ მე ვადიდებ ალლაჰს, რომლის გარდაც სხვა ღვთაება არ არსებობს! დაე, ალლაჰმა შენი მოთმინებისათვის დაგაჯილდოვოს! მოგცეს შენ ძალა და შეუპოვრობა! ალლაჰმა გვიბოდოს ყველა საქმეში წარმატება, ვინაიდან ჩვენი სული, ქონება, შვილები და მრავალი სხვა რამ ალლაჰისგან დროებითად გვაქვს მიღებული.*

*ალლაჰმა შენ შვილის მოცემით გაგახარა. ახლა კი ის თავისთან წაიყვანა და ამით დაგამწუხრა. თუ ამის სამაგიეროდ მისგან ნყალობას, პატიებას და სიკეთეს მოელი, მაშინ მოთმინება გამოიჩინე! მწუხარებამ ესენი არ დაგავინყოს, რომ მერე ინანებ! იცოდე, ტირილი არაფერს შეცვლის და უკან არაფერს დააბრუნებს. რაც თავს გადახდა, ეს უკვე წარსულია!<sup>312</sup>*

*ადამიანს, როდესაც რაიმე უბედურება გადახდება, ან ვინმე ახლობელი მოუკვდება, მასზე თანაგრძნობის გარდა, ფიზიკურად დახმარებაც საჭიროა. როდესაც ჯალფერ თაიარის გარდაცვალების ამბავი გაიგო, შუამავალმა თანამიმდევრებს უბრძანა: „ჯაფერის ოჯახისთვის საჭმელი მოამზადეთ! იმიტომ, რომ მისი ოჯახის წევრები ამ დროს საჭმლის მომზადებას ვერ შეძლებენ!<sup>313</sup>*

დღესაც შემორჩენილია ეს წესი, რომ გარდაცვლილის ოჯახში საჭმელი მეზობლებს და ახლობლებს მიაქვთ. ამ დროს საჭმლის მიტანა ძალიან კარგი წესი და შუამავლის სუნნეთია.

მუსლიმი ადამიანის მიმართ თანაგრძნობის გამოხატვა ისლამის ერთ-ერთი მოთხოვნაა. ძალიან კარგი რამ არის, მაგრამ უბედურებიდან სამი დღის გასვლის შემდეგ ამის გაკეთება მიზანშეწონილად არ ითვლება. მხოლოდ იმ ადამიანებს შეუძლიათ სამი დღის შემდეგ თანაგრძნობა გამოუცხადონ, ვინც შორს არიან წასული და მერე დაბრუნდებიან.

312. ჰაქიმი, 3, 307.

313. აბუ დავუდი, ჯანაიზი, 25-26.





## გ. მიცვალებულის ჯანაზის ლოცვა და საფლავის მონახულება

*„დაე ნახოს ყველა სულმა, რა მოუმზადა თავისთავს ხვალისთვის!“*

სურა ჰაშრი, აიათი 18

### 1. სამგლოვიარო პროცესია

ჯანაზის ლოცვა და მიცვალებულის სასაფლაოზე წაღება მუსლიმი ადამიანზე გაკეთებული ბოლო მომსახურებაა. ალლაჰი ამის გამკეთებლებს დიდ მადლს უწერს.

შუამავალმა ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა დეტალი თანამიმდევრებს დანვრილებით შეასწავლა. მაგალითად, როცა შუამავალი გარდაცვლილ აბუ სელემესთან მივიდა, დაინახა, რომ თვალეზი ღია დარჩენოდა და თავისი ხელით დაახუჭვინა. შემდეგ ხალხს ასე მიმართა: „სულის დაღვევისას, ადამიანის თვალეზი მას უყურებს!“ ამ დროს აბუ სელემეს ოჯახის წევრები ხმამაღლა ატირდნენ, რის გამოც შუამავალმა უთხრა:

„თქვენთვის მხოლოდ კარგს შეეხვეწეთ, ვინაიდან ანგელოზები ყოველი თქვენი ნათქვამის შემდეგ „ამინს“ ამბობენ!“ ამით მან ადამიანებს სინყნარისა და თავშეკავებულობისაკენ მოუწოდა. შემდეგ მიცვალებულის სამახსოვრო ლოცვა წაიკითხა, რომელიც ყველა თითოეული მუსლიმისთვის სანიმუშოა.

*„დიდო ალლჰო! აბუ სელემეს აპატიე, მას სამოთხეში მაღალი საფეხური უბოძე, მის გარეშე დარჩენილ ოჯახის წევრებს შენ დაეხმარე! მასაც და ჩვენც გვაპატიე ჩადენილი! საფლავი გაგვიფართოვე და სინათლე არ მოგვაკლო!“<sup>314</sup>*

შუამავალმა მიცვალებულების დაბანა თავიანთ ნათესავებს ურჩია.<sup>315</sup> აგრეთვე, მათ მიცვალებულის დიდი გულისყურით დაბანა,

314. მუსლიმი, ჯენაიზი, 7.

315. იბნ მაჯე, ჯენაიზი, 8.





კარგი სუნამოს ჰკურება და სუღარაში შეხვევა ურჩია. მიცვალებულის ტანის, დამბანელი ადამიანის შესახებ კი ასე ბრძანა:

*„ვინც მიცვალებულს ტანს დაბანს, მის სხეულზე გარკვეულ ნაკლოვანებებს ან მოუწონებელ რამეებს შენიშნავს და არ გაამხელს, ალლაჰი მას, ვიდრე სხვას, ორმოცჯერ მეტ ცოდვას აპატიებს. მიცვალებულის სუღარაში შემხვევ ადამიანს ალლაჰი სამოთხეში აბრეშუმის ტანსაცმელს ჩააცმევს. აგრეთვე, ვინც მიცვალებულის საფლავს გათხრის და მას შიგნით მოათავსებს, ალლაჰი იმდენ მადლს მისცემს, რამდენის მოგებაც შეიძლება ღარიბისთვის განკითხვის დღემდე სახლის მიცემით.“<sup>316</sup>*

შუამავლის ქალიშვილს — ზეინაბს — გარდაცვალების შემდეგ ტანი სავდამ, უმმუ სელემემ, უმმუ ეიმენემ და ანსარების ქალმა უმმუ ათიემ დაბანეს. დაბანის წინ ალლაჰის შუამავალმა ქალები გარეთ გაიხმო და ასეთი რჩევა მისცა:

*„მისი დაბანა მარჯვენა მხრიდან აბდესის ალების დროს სხეულის პირველად დასაბანი ნაწილებიდან დაიწყეთ! იგი წყლითა და სიდრით სამჯერ, შვიდჯერ ან, თუ საჭიროდ ჩათვლით, მეტჯერ დაბანეთ! როდესაც დაბანას დაამთავრებთ, მაშინვე შემატყობინეთ!“*

როდესაც ქალებმა ზეინაბის დაბანა დაამთავრეს, შუამავალმა წელზე შემოხვეული სარტყელი მოიხსნა მისცა და უთხრა:

„— ეს ზეინაბისთვის შიგნითა ჩასაცმელად გამოიყენეთ!“<sup>317</sup>

ჯანაზა ნამაზის სალოცავად მიცვალებულის სასაფლაომდე მიცილება, მისთვის ალლაჰზე შევედრება ძალიან მნიშვნელოვანია. ენესი გადმოგვცემს:

*„ერთხელ, შუამავალთან ერთად ყოფნისას, ჩვენ წინ მიცვალებული ჩამოატარეს. თანამიმდევართა ერთმა ნაწილმა მიცვალებული კარგად მოიხსენია და მისთვის ალლაჰს შევედრა. შუამავალმა თქვა:*

*„— გადაწყდა!“*

ცოტა ხნის შემდეგ კიდევ ერთი მიცვალებული ჩამოატარეს, რომლის შესახებაც თანამიმდევრებს კარგი არაფერი უთქვამთ და

316. ჰაქიმი, 1, 505-506.

317. ბუჰარი, ჯენაიზი, 9, 13, 17. მუსლიმი, ჯენაიზი, 36. იბნ სადი, 8, 34-36.





არც მისთვის ალლაჰს რაიმეს შევედრებთან. შუამავალმა კიდევ ერთხელ თქვა:

„— გადანყდა!“

ასეთ გაურკვეველობაში ჩავარდნილმა ომარ იბნ ჰატტაბმა შუამავალს ჰკითხა:

— შუამავალო, რა გადანყდა?

შუამავალმა უპასუხა:

„— პირველი მიცვალებულის შესახებ თქვენ ალლაჰს შევედრეთ და კარგად მოიხსენიეთ, ამიტომ მისი სამოთხეში შესვლის შესახებ ყველაფერი გაირკვა. მეორე მიცვალებულის მიმართ თქვენმა უკმაყოფილო დამოკიდებულებამ მისი ჯოჯოხეთში შესვლის საქმე გადანყვიტა. თქვენ ხომ ალლაჰის მიერ დედამინაზე გამოგზავნილი მოწმეები ხართ!“<sup>318</sup>

ეს ნამდვილად სიმართლეა, ადამიანებს ვინმეს შესახებ, რაიმე მიზეზის გარეშე, ცუდი ან კარგი წარმოდგენა არასდროს შეექმნებათ. ამიტომ ვიდრე ცოცხალია ადამიანი, უნდა შეეცადოს თავისი ყოველდღიური საქციელით, ალლაჰის გამოგზავნილი მოწმეების წინაშე კარგი შთაბეჭდილება დატოვოს, რადგან ეს, როგორც ჰადისში დავინახეთ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ადამიანის იმქვეყნიურ ცხოვრებაში დასამკვიდრებლად.

ძალიან მნიშვნელოვანია ჯენაზე ნამაზის ლოცვა, მისთვის ალლაჰზე შევედრება და ალლაჰის შუამავლის გახსენება. ამიტომ, ჯერ კიდეც სიცოცხლეში, თითოეული მორწმუნის დიდი სურვილია მის უკანასკნელ გზაზე გაცილებისას რაც შეიძლება ბევრი ხალხი მივიდეს და ალლაჰს მისი გადარჩენა შევედროს. ავფ იბნ მალიქი, ამ საკითხთან დაკავშირებით, შუამავლის ერთ ჰადისს გვახსენებს:

ერთხელ შუამავალი მუჰამმედი დასაფლავებაზე მოვიდა და მიცვალებულის გამოსამშვიდობებელი ნამაზი გვალოცა. ამ წესის შესრულებისას მე მისგან ასეთი ვედრება გავიგონე:

„დიდო ალლაჰო! მას აპატიე და შეინყალე, წვალებისა და ტანჯვისგან იხსენ! საფლავი გაუფართოვე და სამოთხეში შესვლა არგუნე! ჭუჭყისგან გასუფთავების მსგავსად, ცოდვებისგანაც გაას-

318. ბუჰარი, ჯენაიზი, 86. მუსლიმი, ჯენაიზი, 60.



*უფთავე! ამქვეყნიურ სახლზე უკეთესი სახლი მიეცი! თავის ოჯახზე უკეთესი ოჯახი მიეცი! სამოთხეში შეიყვანე და საფლავისა და ჯოჯოხეთის წვალეებისგან გაათავისუფლე!”*

ასეთი ლამაზი ვედრების გაგონებისას გულში გამიელვა, ნეტავ ამ მიცვალებულის ადგილას მე ვყოფილიყავი-მეთქი.<sup>319</sup>

შუამავალმა მიცვალებულის გასაცილებელი ნამაზის ლოცვის და საფლავამდე მიცილების მადლის შესახებ ასე ბრძანა:

*„ვინც მადლის მოგების რწმენით და ალლაჰისგან მხოლოდ სამაგიეროს მოლოდინით, მიცვალებულის გასაცილებელ ლოცავას შეასრულებს, სასაფლაომდე მიაცილებს და დასაფლავებამდე იქ დარჩება, ის უჭუდის მთის ოდენა — ორ ყირათ მადლს, ხოლო, ვინც ილოცავს და მიცვალებულის დასაფლავებამდე წავა, ის ერთ ყირათ მადლს მიიღებს.“<sup>320</sup>*

ერთად მსხდომ აბდულლაჰ იბნ ომართან და სად იბნ აბუ ვაყყასთან ჰაბბაბ იბნ ერეთი მივიდა და უთხრა:

— ო, აბდულლაჰ! მისმინე, აბუ ჰურაირამ რა მიამბო. შემდეგ მან ზემოთ მოყვანილი ჰადისი მოუთხრო:

აბდულლაჰმა შენიშნა:

— აბუ ჰურაირას მიუმატებია. შემდეგ მის დასადასტურებლად ჰაბიბი აიშესთან გაგზავნა.

ჰაბბაბის წასვლის შემდეგ, იბნ ომარმა პატარ-პატარა ქვები აიღო და ნერვიულად ხელში თამაში დაიწყო. ცოტა ხნის შემდეგ ჰაბბაბი დაბრუნდა და აიშეს ნათქვამი გადასცა: „აბუ ჰურაირა მართალს ამბობს, რადგან შუამავლისგან მეც იგივე მოვისმინე.“ ამის გაგონებაზე იბნ ომარმა ქვები მიწაზე მოისროლა და თქვა:

— ე. ი. ჩვენ მრავალი ყირათი მადლი დაგვიკარგავს.<sup>321</sup>

მიცვალებულის საკაცით გადატანაში დახმარება დიდი მადლია. ასეთ დროს ათი ნაბიჯის გადადგმა მუსთეჰაბია (უკეთესი). თუ ათზე მეტ ნაბიჯს გადავდგამთ, მადლი გაიზრდება. კარგი იქნება, თუკი საკაცეს წინა, მარჯვენა, მარცხენა ან უკანა კუთხიდან ხელს

319. მუსლიმი, ჯენაიზი, 85.

320. ბუჰარი, იმანი, 35.

321. მუსლიმი, ჯენაიზი, 56.





მოვიკიდებთ და მიცვალებულის ნალებაში მონანიღობას მივიღებთ. ასეთ დროს ორმოცი ნაბიჯის გადადგმასაც შევძლებთ და უფრო მეტი მაღლსაც მოვიგებთ. აგრეთვე, ნამაზის ლოცვის შემდეგ მიცვალებულის სწრაფად დასაფლავებაც მუსთეჰებია.<sup>322</sup> შუამავალმა მიცვალებულის დიდხანს გაჩერება მიზანშეუწონლად მიიჩნია.<sup>323</sup>

მიცვალებულის სასაფლაოზე უხმაუროდ და ნელა მიცილება აუცილებელია. ერთხელ, შუამავალმა დაინახა რა მიცვალებულს ძალიან სწრაფად მიაცილებდნენ, უთხრა: „მშვიდად იარეთ!“<sup>324</sup>

მიცვალებულის თანმხლები ხალხი ჩუმად უნდა იყოს, ამ დროს ხმამაღლა ლაპარაკი არ შეიძლება. ასეთ დროს მთელი ხმით საუბარი კი არა, ყურანის კითხვაც არ შეიძლება. ამ დროს ადამიანი მხოლოდ სიკვდილსა და განკითხვის დღეზე უნდა ფიქრობდეს.

თუკი შესაძლებელია, მიცვალებული საფლავამდე ხელით უნდა გადავასვენოთ. სევბანის გადმოცემის მიხედვით, ერთ-ერთი მიცვალებულის გასვენებისას, სადაც შუამავალიც იმყოფებოდა, ზოგიერთი პროცესიას ამხედრებული მიჰყვებოდა. შუამავალმა ეს მიცვალებულის მიმართ უპატივცემულობის გამოხატვად შეაფასა და უთხრა:

*„თქვენ როგორ არ გრცხვენიათ? ალლაჰის ანგელოზები ფეხით მოჰყვებიან, თქვენ კი ამხედრებულხართ!“<sup>325</sup>*

თუკი ვინმე გასვენების ცერემონიაში არ მონანიღობს და მის წინ მიცვალებულს ჩაატარებენ, ფეხზე უნდა წამოდგეს და დაელოდოს, ვიდრე სამგლოვიარო პროცესია არ ჩაივლის.<sup>326</sup>

## 2. სასაფლაოს მონახულება

შუამავალს, ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ალლაჰის მიმართ რწმენა მთლიანად ხალხში კარგად დამკვიდრებული არ იყო და ადამიანები საფლავებს, ისე, როგორც კერპებს და ცეცხლს, სეჯდეს უკეთებდნენ საფლავის მონახულება დროებით აკრძალული ჰქონდა. მაშინ არამუსლიმებს ცნობილი ადამიანების სასაფლაო ღმერთისთვის სამლოცველო ადგილებად ჰქონდათ მიჩნეული. კერპთაყვა-

322. ბუჰარი, ჯენაიზი, 51.

323. აბუ დავუდი, ჯენაიზი, 34.

324. იბნ მაჯე, ჯენაიზი, 15.

325. თირმიზი, ჯენაიზი, 28.

326. ბუჰარი, ჯენაიზი, 47-48.





ნისმცემლების ერთ-ერთი წესი საფლავზე მიცვალებულის კერპის გაკეთება და მასზე ლოცვა იყო. ისლამის პრინციპი კი ალლაჰის სიყვარულის ადამიანის გულში ღრმად ჩადება იყო. ამ მიზნის მიღწევის შემდეგ, შუამავალმა ხალხს საფლავის მონახულების ნება დართო და ასე მიმართა:

*„თქვენთვის საფლავის მონახულება აკრძალული მქონდა. ამის შემდეგ, უფლება გაქვთ, საფლავები მოინახულოთ!“<sup>327</sup>*

*„საფლავის მონახულების სურვილი ვისაც აქვს — მოინახულოს, ამით საიქიოს გაიხსენებს!“<sup>328</sup>* ამ ჰადისში შუამავალმა ნათლად გამოხატა საფლავის მონახულების ძირითადი არსი, რადგან ამის შემდეგ ადამიანი შეეცდებოდა თავისი სამზადისის გაკეთებას.

ძვირფასი ადამიანების, დედის, მამისა და ახლო ნათესავების საფლავების მონახულება მენდუბია. საფლავის მონახულება მეტწილად მამაკაცებისთვის მუსთაჰაბია, ხოლო ქალები ამ მხრივ თავისუფალი არიან. ქალბატონებისთვის საფლავზე მისვლა დასაშვებია, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ იქ ტირილს, ყვირილს, თმების ან ტანსაცმლის გლეჯას არ დაიწყებენ. შუამავალმა დედას, რომელიც შვილის საფლავს დასტიროდა, მოთმინებისაკენ მოუწოდა, მაგრამ იქ მისვლა მისთვის არ აუკრძალავს.<sup>329</sup> მეორე მხრივ, ცნობილია, რომ კეთილშობილი აიშე — ალლაჰის შუამავლის მეუღლე — უმცროსი ძმის აბდურრაჰმანის და მამის საფლავებს მოინახულებდა ხოლმე.<sup>330</sup>

ალი სასაფლაოს მონახულებისას, სადაც მისი მეგობრები და ამხანაგები განისვენებდნენ ის ქვეყანა ახსენებოდა და მათ ასე მიმართავდა:

*„თქვენ მიერ დატოვებულ სახლებში სხვები შესახლდნენ; თქვენი ქონება სხვებმა გაიყვეს; თქვენი მეუღლეები სხვაზე დაქორწინდნენ; თქვენ მერე ჩვენთან მხოლოდ ეს მოხდა; ეებს! როგორ გავიგო, თუ თქვენთან რა ხდება?! ვფიცავ, ალლაჰს მათთვის ლაპარაკის ნება რომ მიეცა, იტყოდნენ:*

327. მუსლიმი, ჯენაიზი, 106.

328. თირმიზი, ჯენაიზი, 60.

329. ბუჰარი, ჯენაიზი, 7. მუსლიმი, ჯენაიზი, 15.

330. თირმიზი, ჯენაიზი, 61.





وَتَزَوَّدُوا فَإِنَّ خَيْرَ الزَّادِ التَّقْوَىٰ

„... გაიმზადეთ საგზალი, მაგრამ საუკეთესო საგზალი, უეჭველად, ღვთისმოშიშობაა...“<sup>331</sup>

უცნობმა პოეტმა, რომელმაც მოინახულა სასაფლაო, მთელი სიცხადით წარმოიდგინა ყოველივე ის, რაც ხდება მიწაში. ის წერს:

„მიწაში როგორ წარმოვიდგინო,  
 დამპალი სახით ჩემი სხეული,  
 იქ ყელზე როგორ შემომეხვევა,  
 ქვენარმავალი, გველი — ნყეული.  
 ან ნეშტად როგორ გარდავიქცევი,  
 თეთრ სუდარაში გამოხვეული,  
 წუთისოფელს რომ ვარ შეჩვეული.  
 ტანს დამადნება ქონის კუნთები,  
 მე იქ დავრჩები მარტო, ეული,  
 დასამარდება ჩინი, წოდება,  
 სახლი, სიმდიდრე ცადაწეული.  
 რარიგ ძნელია წარმოვიდგინო,  
 ჩონჩხად ქცეული ჩემი სხეული,  
 ამქვეყნით მართლაც მოვტყუებულვარ,  
 თურმე ვყოფილვარ რარიგ სწეული.“

ძვირფასი და სწავლული ადამიანების საფლავების მონახულება კარგი საქციელია. მაგრამ ფარგლებს გარეთ გასვლა მიუღებელია. ერთხელ მერვანმა ალლაჰის შუამავლის საფლავის ქვაზე შუბლდადებული უცნობი მამაკაცი შენიშნა. მას ეგონა, ეს ადამიანი ისლამისთვის შეუფერებელ რამეს აკეთებდა, ამიტომ მას საყელოში სწვდა და უთხრა:

— შენ, იცი რას აკეთებ?

331. სურა ბაყარა, აიათი 197.





უცნობმა უპასუხა:

— დიახ, ვიცი რასაც ვაკეთებ. მე შუამავალთან მოვედი და არა ქვასთან. მე გავიგონე მუჰამედ შუამავალი ამბობდა:

„ნუ წუხხართ, როცა რელიგია კომპეტენტური ადამიანების ხელშია, მაგრამ, როცა ამ საქმის სადავეები არაკომპეტენტური ადამიანების ხელში ჩავარდება, ზუსტად მაშინ იქნებით თქვენ მართალი, თუკი ამაზე მართლაც შენუხდებით.“

ალლაჰის შუამავლის ამ თანამიმდევრის სიტყვებიდან გამომდინარე, ისლამის წესების შესაბამისად საფლავის მონახულება ნებადართულია. ის როგორც საფლავის მომნახულებლის, ასევე მიცვალებულისთვისაც სასარგებლოა. ყოველივე ეს შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ:

სიკვდილი სიკვდილამდე — დიდ, ხოლო მის შემდეგ პატარა მოვლენად ითვლება. საფლავის მონახულება ადამიანს სიკვდილს გაახსენებს. სიკვდილის გამხსენებელი ადამიანი კი ღვთისმსახურებისთვის უფრო მონდომებული ხდება და მას ამ ქვეყნის მიმართ ლტოლვა უფრო უნელდება. ამიტომ იმ ქვეყნისთვის უფრო მეტის გაკეთებას ცდილობს.

სიკვდილის წინ ისკანდერ ზულყარნიენმა ამქვეყნიური სიმდიდრით გატაცებულებს უანდერდა:

— სიკვდილის შემდეგ დამბანეთ და სუდარაში გამხვიეთ! კუბოში ჩამასვენეთ, მაგრამ ხელები თავისუფალი დამიტოვეთ! მოსამსახურეები უკან მომყვნენ და ჩემი ქონებაც ჯორებზე დატვირთეთ! დაე, ხალხმა დაინახოს, რა მდიდარი ვიყავი, რა დიდ სახელმწიფოს ვმართავდი, მაგრამ ამქვეყნიდან მაინც ხელცარიელი მივდივარ და არაფერი მიმაქვს. ჩემი მოსამსახურეები და მთელი ჩემი სიმდიდრე ამქვეყნად დარჩა. ვერაფრის წაღება ვერ შევძელი. დაე, ხალხი ამქვეყნიური დროებითი ცხოვრებით ნუ ტყუვდება.

მისმა ახლობლებლებმა ყველაფერი ისე გააკეთეს, როგორც დაიბარა. სწავლულებმა კი მისი საქციელი ასე განმარტეს:

„ჩემს განკარგულებაში მყოფი ჯარით დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე მბრძანებლად ვიქეცი. ჩემი მბრძანებლობის ქვეშ მრავალი ჯარისკაცი და მოსამსახურე იყო. ჩემს ბრძანებას არასდროს არავინ შეწინააღმდეგებია. მთელი ეს ქვეყანა ჩემი გავლენის ქვეშ



იყო მოქცეული. ურიცხვი ქონების მეპატრონე ვიყავი, მაგრამ როგორც გაირკვა, ამქვეყნიური ქონება მუდმივი არ ყოფილა. როგორც ხედავთ, საფლავისკენ ხელცარიელი მივდივარ! ამქვეყნიური ქონება ამქვეყნად დარჩა. თქვენც ამქვეყნად ისეთი რამ გააკეთეთ, რაც იმქვეყნად გამოგადგებათ!”<sup>332</sup>

ძვირფასი ადამიანების საფლავების, განსაკუთრებით შუამავლის საფლავის მონახულება, ადამიანს სულიერ სიმშვიდესა და კარგ განწყობას შეუქმნის. ასეთი ადამიანების საფლავის მოსანახულებლად ნასვლა მენდუბია.

საფლავის მონახულება ადამიანს სარწმუნოებრივ კულტურასაც უძლიერებს. ხალხის მეხსიერებაში ღრმა ნაკვალევის დამტოვებელ ადამიანთა საფლავები, მომავალ თაობათა შორის ხიდად მოიხსენიება. ასეთი ადამიანების საფლავები, იქ მცხოვრები ადამიანების რწმენის გაძლიერების მნიშვნელობასაც ატარებს. დიდი ხნის განმავლობაში, კომუნისტური რეჟიმის ქვეშ მცხოვრები მუსლიმების სარწმუნეობისადმი ერთგულება ამის შესანიშნავი მაგალითია.

შუამავალი ერთ ჰადისში ასე ბრძანებს:

*„როცა ვინმე მოკვდება, დიდხანს არ გააჩეროთ და მალე დაასაფლავეთ. როგორც კი დაასაფლავებთ, ერთმა თქვენგანმა მიცვალებულის თავთან ფეხზე მდგომარე — სურა „ფათიჰა“, ხოლო მეორემ ფეხების მხარეს — სურა „ბაყარას“ ბოლო აიათები (ამენერრესულუ) იკითხოს!”<sup>333</sup>*

„სურა „იასინი“ ყურანის გულია. ვინც ამ სურას ალლაჰის გულისთვის და იმქვეყნის ფიქრით იკითხავს, ის ჩადენილი ცოდვებისგან აუცილებლად გათავისუფლდება. მიცვალებულებთან სურა „იასინი“ იკითხეთ.“<sup>334</sup>

ალა იბნ ელ-ლაჯლაჯი სიკვდილის წინ თავისი მამის დანაბარებ ანდერძს გადმოგვცემს:

„როდესაც საფლავში ჩამდებთ:

„ბისმილლაჰი ვეალა სუნნეთი რასულულლაჰ“ (ალლაჰის სახელითა და შუამავლის სუნნეთის შესაბამისად) — თქვით და მინა და-

332. ოსმან ნური თოფბაში, ნებილერ სილსილეხი, 2, 17.

333. თაბერანი, 12, 340. დეილემი, 1, 284. ჰეისემი, 3, 44.

334. იბნ ჰანბელი, 5, 26.





მაყარეთ. თავის მხარეს მდგომარე სურა „ბაყარას“ დასაწყისი და ბოლო ნაწილი მიკითხეთ. მე აბდულლაჰ იბნ ომარის ამ წესით დასაფლავების მოწმე ვარ!“<sup>335</sup>

ლიკვედილის წინ თანამიმდევარ ამრ იბნ ასის ანდერძის სახით და-ნაბარები სიტყვებიც ძალიან დამაფიქრებელია:

„ჩემი დასაფლავების შემდეგ, აქლემის დაკვლასა და გატყავებას რომ დრო ესაჭიროება, იმდენ ხანს დარჩით და არ წახვიდეთ, რადგან ამ დროის განმავლობაში ახალი საცხოვრებელი ადგილის გაცნობა მოვასწრო და ალლაჰის მიერ გამოგზავნილი ანგელოზებისთვის გასაცემი პასუხისთვის მოვემზადო!“<sup>336</sup>

იმამი შაფი ბრძანებს:

„სასაფლაოზე ყურანის სურების კითხვა მუსთეჰაბია (მიზანშენონილი). მთლიანი ყურანის კითხვა ანუ ხათმის გაკეთება კი უფრო ძვირფასი!“<sup>337</sup>

იბნ ჰანბელი აღნიშნავს, რომ ყურანის კითხვა მიცვალებული-სათვის თავისებური სულიერი საჩუქარია და ალლაჰის შუამავლის გადმოცემით მკვდრის პატივისცემად გაკეთებული ყოველი საქმე მას აუცილებლად სარგებელს მოუტანს.<sup>338</sup> ამას შემდეგი აიათიც ამტკიცებს:

وَالَّذِينَ جَاءُوا مِنْ بَعْدِهِمْ يَقُولُونَ رَبَّنَا اغْفِرْ لَنَا وَلِإِخْوَانِنَا الَّذِينَ سَبَقُونَا بِالْإِيمَانِ وَلَا تَجْعَلْ فِي قُلُوبِنَا غِلًّا لِلَّذِينَ آمَنُوا رَبَّنَا إِنَّكَ رَؤُوفٌ رَحِيمٌ

„და რომელნიც მოვიდნენ მათ შემდგომ, ამბობენ: „ღმერთო ჩვენო! შეგვიხსნე ცოდვები ჩვენი და ჩვენი ძმების, რომელთაც ჩვენ გავასწარეს რწმენით. და არ ჩაგვინერგო გულელებში შური იმათ მიმართ, რომელთაც ირწმუნეს. ღმერთო ჩვენო, უეჭველად, შენ ღმობიერი და მწყალობელი ხარ!“<sup>339</sup>

ამ საკითხთან დაკავშირებით ერთ-ერთი ჰადისს იბნ აბბასი გადმოგვცემს:

335. ბეიჰაჟი, ეს-სუნნეთულ ქუბრა, 4, 56.  
 336. მუსლიმი, იმანი, 192.  
 337. ნევევი, რიაზუს-საალიხინი, გვ. 293.  
 338. იბნ ჰანბელი, 2, 509. 6, 252.  
 339. სურა ხაშრი, აიათი, 10.



„სად იბნ უბადეს დედა გარდაეცვალა. ის შუამავალთან მივიდა და უთხრა:

— შუამავალო, დედა მაშინ გარდამეცვალა, როცა მის გვერდით არ ვიყავი. მისი სახელით რომ მონყალება გავცე, მას იმქვეყნად რაიმე შელავათი ექნება?

შუამავალმა უპასუხა:

— დიახ!

სად იბნ უბადემ უთხრა:

— შუამავალო! მონმე იყავით, რომ ჩემი ხეხილის ბაღს, დედის სახელით, მონყალებად ვიღებ!<sup>340</sup>

საფლავზე ხის დარგვაც მადლია. საფლავზე დარგული ხე ან მცენარე მიცვალებულის ნვალებას ამსუბუქებს.<sup>341</sup> საერთოდ, საფლავზე წინვოვანი მცენარის დარგვა უფრო მიზანშეწონილია, რადგან მას შემოდგომით ფოთლები არ ცვივა და მუდმივ ცხოვრებასთანაც გარკვეული კავშირი აქვს. ფოთლოვან მცენარეს კი შემოდგომით ყველა ფოთოლი ცვივა.

სასაფლაოზე თაიგულების მიტანა ჩვენს სარწმუნოებისათვის მექრუპი ანუ მიუღებელი ქცევაა. თაიგულებს მიცვალებულისთვის არავითარი სარგებელი ან სიკეთე არ მოაქვს, რადგან ის მხოლოდ სხვა სარწმუნოების მიმდევართა წესია და მისი გაკეთება არ შეიძლება. რადგან შუამავალ ურწმუნოებზე მიბაძვას კრძალავდა.

მეორე მხრივ, თაიგულების მომზადება მასალის, ფულისა და დროის ფუჭი ხარჯვაა. თაიგულის მოსამზადებლად ხომ ასეულობით ყვავილი ტყუილად იჭრება, რაც ისრაფია (ზედმეტი ხარჯვა). ისრაფი თვისთავად ჰარამია, ჰარამი კი ალლაჰის აკრძალულია. როგორც ფარუყ ნაფიზმი წერდა: „ვიდრე ყვავილი ღეროზეა, ის მარად ცოცხალია, როგორც კი თაიგულში ჩადებენ — მკვდარი!“

ბოლო დროს მრავალი მიცვალებულის გასაცლიებელ ცერემონიაზე ტაშის დაკვრის მომხსრეც ვხდებით, რაც ისლამში ყოვლად დაუშვებელია. ამის შესახებ ალლაჰი ბრძანებს, რომ ეს ურწმუნ-

340. ბუჰარი, ვესაია, 15.

341. მუსლიმი, თაჰარეთი, 111.





ნოების საქციელია. ყოვლისშემძლე ალლაჰი ურწმუნოებზე მიმართვისა ბრძანებს:

وَمَا كَانَ صَلَاتُهُمْ عِنْدَ الْبَيْتِ إِلَّا مُكَاءً وَتَصَدِيَةً

„და სხვა რამ არ იყო მათი ლოცვა ღმერთის სახლთან, გარდა სტვენისა და ტაშისცემისა . მაშ, იგემეთ ტანჯვა იმისთვის, რასაც უარყოფდით!“<sup>342</sup>

### 3. საფლავის მონახულების წესები

სასაფლაოზე მიმსვლელი სახით საფლავისაკენ უნდა შეტრიალდეს და მიესალმოს ისე, როგორც ალლაჰის შუამავალი გვასწავლიდა:

„სალამი თქვენ, მუსლიმებო! ახლო მომავალში ჩვენც თქვენთან მოვალთ. ალლაჰს ვთხოვ, თქვენც და ჩვენც ყველაფერი გვაპატიოს!“<sup>343</sup>

ადამიანი ვალდებულია მიცვალებულებისთვის ალლაჰს შეევედროს და დაფიქრდეს, რომ ერთ დღეს თვითონაც იქ მოხვდება. საფლავთან მიმსვლელი ადამიანი ისე უნდა მოიქცეს, თითქოს ცოცხალ ადამიანთან იყოს მისული და ესაუბრებოდეს. ამასთან ერთად, თუ შესაძლებელია, ფეხზე გაჩერდეს. თუ სიცოცხლეში ის ადამიანი, მასთან ძალიან ახლოს იყო, მაშინ მის საფლავთან ძალიან ახლოს უნდა მივიდეს. თუ სიცოცხლეში მასთან არც ისე ახლოს იყო, მაშინ ცოტა მოშორებით უნდა გაჩერდეს და მისთვის ალლაჰს შეევედროს.

საფლავის მონახულებისას ნამაზის ლოცვა და იმ ადგილის სა-მლოცველოდ გადაქცევა კატეგორიულად აკრძალულია. საერთოდ, საფლავის მოპირდაპირედ ნამაზის ლოცვაც მექრუჰია.

სასაფლაოზე სანთლის დანთებაც არ შეიძლება.<sup>344</sup>

სასაფლაოზე დჯდომა და გარდაცვლილებზე საუბარიც მექრუჰია (ცოდვაა).<sup>345</sup>

სასაფლაოზე ადამიანმა უნდა მოერიდონ პატარა ან დიდი აბდესით მოშლას

სასაფლაოზე ხეების მოჭრაც მექრუჰია.

342. სურა ანფალი, აიათი, 35.  
343. მუსლიმი, თაჰარეთი, 39. ჯენაიზი, 104.  
344. მუვათთა, ჯენაიზი, 12-13.  
345. მუსლიმი, ჯენაიზი, 98.



სასაფლაოს ახლოს ყურბნის დაკვლა, ფარძი ყურბანიც რომ იყოს, მექრუჰია. მიცვალებულზე ყურბნის დაკვლა კი სასტიკად არ შეიძლება, რადგან ყურბნის დაკვლა ღვთისმსახურებაა, ხოლო ღვთისმსახურება მხოლოდ ალლაჰის მიმართ არის ნებადართული.

სასაფლაოების ისეთნაირად შემოვლა, როგორც ეს ქააბასთან კეთდება, არ შეიძლება.

მიცვალებულზე დახმარების თხოვნა არაფრის მომცემია. საფლავში მყოფ ადამიანს ვინმესთვის სარგებლის ან ზარალის მოცემა არ შეუძლია.

საფლავის მონახულება პარასკევს უკეთესია ხუთშაბათსა და შაბათსაც შეიძლება. აგრეთვე მათი მონახულება სხვა დღეებშიც ნებადართულია.

სასაფლაოს მონახულება ღამის საათებშიც შეიძლება, შუამავალი ღამით ჯენნეთულ-ბაყის სახელობის სასაფლაოზე მივიდა და ალლაჰს შეევედრა.<sup>346</sup>

### **დ. მეგობრებისა და ნათესავების მონახულება**

*ვისაც სურს დიდხანს იცოცხლოს, და  
ოჯახში ყოველთვის დოვლათი ჰქონდეს,  
ნათესავები დაიცვას და დაეხმაროს.*

ბუჰარი, ედები, 12

ისლამის ერთ-ერთი საკითხი, რომელზეც ძალიან დიდი ყურადღება არის გამახვილებული, ნათესავებს შორის ურთიერთობის გაღრმავებაა. ადამიანები ვალდებული არიან ნათესავებთან ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონდეთ, ერთიმეორეს დაეხმარონ და ერთმანეთის პრობლემები გაიზიარონ. მათ მართებთ ბედნიერი დღეები გაიზიარონ და გაჭირვებისას ერთმანეთს მატერიალური და მორალური დახმარების ხელი გაუწოდონ. მათ ერთიმეორე ყოველთვის უნდა მოიკითხონ. თუ შორს იმყოფებიან, ხანდახან ერთმანეთს ესტუმრონ, წერილები გაუგზავნონ ან ტელეფონით ესაუბრონ. ყოვლისშემძლე ალლაჰი ბრძანებს:

346. მუსლიმი, თაჰარეთი, 39. ჯენაიზი, 104.





„ჰეი, ადამიანო! გეშინოდეთ თქვენი ღმერთის, რომელმაც გააჩინათ თქვენ ერთი სულისგან, და გააჩინა მისგან მენწყილე (მეუღლე) მისი, ხოლო მათ ორისგან გაამრავლა უამრავი კაცი და ქალი.“<sup>347</sup>

ამ აიათში ალლაჰი ნათესავებს შორის კავშირის შესახებ საუბრობს და აღნიშნავს, რომ ეს საქმე თითოეულ ადამიანისათვის მნიშვნელოვანია. აგრეთვე, ალლაჰი ახლობლებისა და ნათესავების ურთიერთობებს ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს. აგრეთვე, ადამიანს ყველაფრის მომცემი ალლაჰის შიშისკენ მოუწოდებს.

ნათესავებთან ერთად, სარწმუნოების მიხედვით, მეზობლების, მეგობრების, ამხანაგებისა და ნაცნობების მონახულებაც საჭიროა. ალლაჰი ამის შესახებ ბრძანებს:

وَأَعْبُدُوا اللَّهَ وَلَا تُشْرِكُوا بِهِ شَيْئًا وَبِالْوَالِدَيْنِ إِحْسَانًا وَبِذِي الْقُرْبَىٰ وَالْيَتَامَىٰ وَالْمَسَاكِينِ  
وَالْجَارِ ذِي الْقُرْبَىٰ وَالْجَارِ الْجُنُبِ وَالصَّاحِبِ بِالْجَنبِ وَابْنِ السَّبِيلِ وَمَا مَلَكَتْ أَيْمَانُكُمْ

„თაყვანი ეცით ალლაჰს და არავინ გაუხადოთ თანაზიარი მას. და კარგად მოეპყართ მშობლებს, ახლობლებს, ობლებს, ღატაკებს, მეზობლებს, ნათესავებსა და უცხოებს, თანამოძმეებს, მოგზაურებს და მათ, რომელნიც თქვენმა მარჯვენამ მოიპოვა...“<sup>348</sup>

ნათესავებთან კავშირის განწყვეტა და მათთან ცუდი დამოკიდებულება დიდი ცოდვაა. მათთან ურთიერთობა, სხვებთან შედარებით, განსხვავებული უნდა იყოს. შუამავლის თქმით, ნათესაური კავშირი და მიბარებულ საქონელზე ლამაზად მიხედვა, სირატის ხიდზე გასვლის ერთ-ერთი საშუალებაა. ისინი ხიდის ორივე მხარეს იდგებიან და ვინც ამ პირობას არღვევდა, ჯოჯოხეთის ცეცხლში გადაყრიან.<sup>349</sup>

შუამავალმა ალლაჰის მიერ ნათესაური კავშირის შესახებ მიცემულ მნიშვნელობაზე ასე ბრძანა:

„როგორც კი ალლაჰმა სამყაროს გაჩენა დაასრულა, „ნათესაური კავშირი“ ფეხზე წამოდგა და ალლაჰს მიმართა:

— ო, ღმერთო! ნათესაური კავშირის გამწყვეტი ადამიანისგან შენ შეგეფარები!

347. სურა ნისა, აიათი 1.

348. სურა ნისა, აიათი 36.

349. მუსლიმი, იმანი, 329.



ალლაჰმა უპასუხა:

— ვინც შენ ყურადღებას არ მოგაქცევს და მასთან მეც რომ ურთიერთობა, გაწვევით კმაყოფილი იქნები? ნათესაურმა კავშირმა უპასუხა:

— დიახ, კმაყოფილი ვიქნები!

ალლაჰმა ისევ უპასუხა:

— კარგი, შენ ამის უფლება გეძლევა!“ ამის მოყოლის შემდეგ შუამავალმა თქვა:

თუ გნებავთ, მე ყურანიდან იმ აიათს წავიკითხავ, რომელშიც მისი მტკიცებულებაა:

فَهَلْ عَسَيْتُمْ إِنْ تَوَلَّيْتُمْ أَنْ تُفْسِدُوا فِي الْأَرْضِ وَتَقَطُّعُوا أَرْحَامَكُمْ  
أُولَئِكَ الَّذِينَ لَعَنَهُمُ اللَّهُ فَأَصَمَّهُمْ وَأَعَمَّى أَبْصَارَهُمْ

„იქნებ გნადიათ, თუკი სახეს იქცევთ, ამით უკეთურობას დასთესთ ქვეყანაზე და ნათესაურ კავშირებს განწყვეტთ? აი ისინი, რომელნიც დაწყველა ალლაჰმა. ამგვარად წაართვა სმენა და დაუბრმავა სასმენელნი.“<sup>350</sup>

ალლაჰის მიერ ამ დონეზე ნათესაური კავშირის მიმართ გამოჩენილ ყურადღებას, ადამიანის მხრიდანაც შესაბამისი რეაგირება სჭირდება. მოპირდაპირე მხარე, რაც უნდა ცუდად მოგვექცეს, ჩვენი მხრიდან საჭიროა პირველ რიგში იმქვეყნის შესახებ დაფიქრება და მათ მიმართ კარგად მოქცევა. ერთმა კაცმა შუამავალს უთხრა:

— შუამავალო! მე ნათესავები მყავს. მათ მოსანახულებლად დავდივარ, მაგრამ ისინი ჩემთან არასდროს მოდიან. სიკეთეს ვუკეთებ, მაგრამ ისინი ყოველთვის ცუდით მპასუხობენ. მე მათ კარგად ვექცევი, ისინი კი ცუდად მეპყრობიან. შუამავალმა უპასუხა:

„თუ მართლა შენი ნათქვამის მიხედვით იქცევი, მაშინ მათ ცხელ ნაცარს აყრი. შენ თუ ასე მოქცევას გააგრძელებ, ალლაჰის დახმარება შენს მხარეს იქნება!“<sup>351</sup>

350. „მუჰამმედი“, აიათები 22-23; ბუჰარი, თეფსირი, 47. მუსლიმი, ბირრ, 16.

351. მუსლიმი, ბირრი, 22.





კიდევ ერთ ჰადისში ნათქვამია: „ნათესავის მხრიდან სიკეთის გაკეთების შემთხვევაში, სიკეთითვე პასუხის გამცემი, ნათესაური კავშირის დამცველად არ მოიხსენიება. ნათესაური კავშირის დამცველი ადამიანი ის არის, ვინც მის მიმართ ცუდის გამკეთებელსაც სიკეთით უპასუხებს.“<sup>352</sup>.

ნათესავის მონახულებას მრავალი სიკეთის მოტანა შეუძლია.. შუამავალი რამდენიმე მათგანის შესახებ ბრძანებს:

„სარჩოს გამრავლებისა და სიცოცხლის გაგრძელების მსურველმა ადამიანმა ნათესავებს ყურადღება დაუთმოს!“<sup>353</sup>

ნათესავების მონახულებასთან ერთად, მუსლიმი ძმების მდგომარეობის მოკითხვაც ძალიან მნიშვნელოვანი საქციელია. ალლაჰის შუამავალი თავის თანამიმდევრებს ყოველთვის მოიკითხავდა და მათ სანახავად დადიოდა. თუ როგორი საყვარელია ალლაჰის სიყვარულის ხათრით მეგობრის მომნახველი ადამიანი, ამას შუამავალი შემდეგ ჰადისში გადმოგვცემს:

„ერთი კაცი მეორე სოფელში მცხოვრები მეგობრის მოსანახულებლად, მხოლოდ ალლაჰის სიყვარულის გამო წავიდა. ალლაჰმა მის სათვალყუროდ ერთი ანგელოზი გაგ ზავნა. ანგელოზი ამ ადამიანთან მივიდა და ჰკითხა:

— სად მიდიხარ?

— ერთ კაცთან მივდივარ.

— მასთან რაიმე ახლობლობის მიზეზით მიდიხარ?

— არა.

— მისგან რაიმეს ხელში ჩაგდების მიზნით მიდიხარ?

— არა.

— მაშინ, რატომ მიდიხარ მასთან?

— მე ის მხოლოდ ალლაჰის გულისთვის მიყვარს და მის მოსანახულებლად ამიტომ მივდივარ.

352. ბუჰარი, ედები, 15

353. ბუჰარი, ედები, 12. მუსლიმი, ბირრი, 20-21.





— მეც ალლაჰის მიერ შენთან გამოგზავნილი ანგელოზი ვარ. როგორც შენ ის მხოლოდ ალლაჰის სიყვარულის გამო გიყვარს, მასაც შენ ისე უყვარხარ.<sup>354</sup>

ამას გარდა, ალლაჰის შუამავალი მიუთითებდა, რომ განკითხვის დღეს, როდესაც არსად გარდა არშისა ჩრდილი არ იქნება, შვიდი ჯგუფის ხალხი მცხუნვარე მზის სხივებისაგან დაცული იქნება. ერთ—ერთი ჯგუფის წევრები ისინი იქნებიან, ვისაც ერთმანეთი უყვარდათ და ალლაჰის გულისთვის ერთმანეთს ხვდებოდნენ.

თანამიმდევრები ამხანაგის და ნათესავის სიყვარულს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ჩვენ ამის უამრავი მაგალითი ვიცით. აბდულლაჰ იბნ მესუდმა ქუფადან მედინაში მის სანახავად ჩამოსულ მეგობრებს ასე მიმართა:

— ერთად რომ დასხდებით, ერთიმეორის პრობლემებს თუ იზიარებთ?

მათ უპასუხეს:

— მაგ წესს არასდროს ვღალატობთ.

— ერთმანეთის მოსანახულებლად დადიხართ?

— დიახ, აბუ აბდურრაჰმან, ზოგიერთმა ჩვენგანმა ცოტა ხანს რომ მუსლიმი ძმა ვერ დაინახოს, მაშინვე სანახავად წავა და მის მდგომარეობას გაიგებს.

ასეთი ლამაზი პასუხის მოსმენის შემდეგ ამ ძვირფასმა თანამიმდევარმა უთხრა:

— თუ თქვენ ასეთ ცხოვრებას გააგრძელებთ, მაშინ ყველაზე ლამაზი ურთიერთობის მომსწრე გახდებით!<sup>355</sup>

შუამავლის ძალიან საყვარელი თანამიმდევარი სელმანი, რომელმაც ყველაფერი ძალიან კარგად იცოდა, მედინადან დამასკომდე ფეხით ჩავიდა და თავისი მეგობარი აბუ დერდა მოინახულა.<sup>356</sup>

ამ მონახულებებსაც გარკვეული წესები გააჩნია. ზოგიერთი მათგანი ასეთია:

354. იბნ ჰანბელი, 2, 292.

355. დარიმი, მუსადადიმე, 51.

356. ბუჰარი, ედებულ-მუფრედი, 127.





— მონახულებისთვის შესაფერისი დრო უნდა გამოიხატოს; ძილის, ჭამისა და სამუშაო საათებში ეს არ უნდა გააკეთო;

— თუ შესაძლებლობა იქნება, მისვლამდე ამბის გაგზავნა კარგი იქნება;

— ტანზე სუფთა ტანსაცმელი უნდა ჩაიცვა, რომ შენი სუნით სხვები არ შეაწუხო;

— მონახულება დიდხანს არ უნდა გააგრძელო. ამ დროს ასაკოვან ადამიანებს ყურადღებით უნდა მოუსმინო. უფროსებს, რომ არ მოეწონებათ, ისეთი არაფერი უნდა თქვა. მომღიმარი უნდა იყო და ისეთ რამეზე ილაპარაკო, რაც მათ გაახარებს.

## 17. დასაჩუქრების წესები

მუსლიმან ადამიანებს შორის ძმობისა და სიყვარულის ერთ-ერთი განმამტკიცებელი საქციელი ერთმანეთის დასაჩუქრებაა. შუამავალმა თავის თანამიმდევრებს ურთიერთსიყვარულის გასაძლიერებლად ერთიმეორეზე რაღაცის ჩუქება ურჩია. მასაც ბევრჯერ უჩუქებია სხვისთვის და საჩუქარი სხვისგანაც აუღია. აიშე გადმოგვცემს:

„შუამავალი საჩუქარს იღებდა და თვითონაც ჩუქნიდა.“<sup>357</sup>

შუამავალს საჩუქრის მიმართ, პატარა იყო თუ დიდი, ერთნაირი დამოკიდებულება ჰქონდა და მას აუცილებლად მიიღებდა. ის ასე ბრძანებს:

„თუკი ბეჭს ან ფეხს (ცხვრის დაკვლის შემდეგ) მაჩუქებენ, მაშინვე მივიღებ.“<sup>358</sup> ამ ჰიდისის სიბრძნე კი შემდეგში მდგომარეობდა:

„ერთიმეორეს აჩუქეთ, რომ მისი წყალობით ურთიერთსიყვარული გაგიძლიერდეთ!“<sup>359</sup> თუ როგორ ხდება საჩუქრის საშუალებით ურთიერთსიყვარულის გაძლიერება, ამის შესახებ ალლაჰის შუამავალმა ბრძანა:

„ერთიმეორეს აჩუქეთ, საჩუქარი გულში არსებულ სიძულვილს და შურს გაანადგურებს! არც ერთმა ქალმა, მეზობელი ქალის მიერ

357. ბუჰარი, ჰიბე, 11.

358. ბუჰარი, ჰიბე, 2.

359. მუნავი, 3, 271.





ნაჩუქარი უმნიშვნელო რამეც კი უმნიშვნელოდ არ ჩათვალოს ეს საჩუქარი ცხვირის ფეხის პატარა ნაწილიც, რომ იყოს!<sup>360</sup>

საჩუქრის მიმღები ადამიანი ვალდებულია, სუნნეთად არ ჩათვალოს მიღებული, პატარა ან დიდი საჩუქარი.

საჩუქარი შესაძლებლობების ფარგლებში უნდა იყოს შეძენილი და გადაჭარბებული ფორმით არ უნდა მოხდეს მისი გადაცემა. საჩუქრის მთავარი მიზანი გახსენება და პატივისცემაა.

ისლამის კანონების მიხედვით, საჩუქრის ჩუქებისას მოპირდაპირე მხრიდან სამაგიერო საჩუქრის მოლოდინი მიზანშეწონილი არ არის.

შუამავალი ზოგიერთი ადამიანის მხრიდან გაუმაძღრობასა და უკმაყოფილებას აწყდებოდა, მაგრამ ის ყოველთვის ყველას მიმართ მპატიებელი იყო. შუამავლის ცხოვრებაში მსგავსი მაგალითები ძალიან ბევრია. ხშირად ამგვარი ქცევები შუამავლის ცხოვრებაში მრავალი პრინციპული გადაწყვეტილების მიზეზი ხდებოდა.

აქედან გამომდინარეობს ის, რომ მისგან უფრო მეტის ჩუქების მიზნით, მას რაღაცას ჩუქნი. ეს ძალიან ცუდი საქციელია. შუამავლის სურვილი კი ამის სრულიად საპირისპირო რამ იყო.

შუამავალი, გამოუვალი მდგომარეობის გარდა, საჩუქარს ყოველთვის ღებულობდა. გამოუვალი მდგომარეობა კი ისლამისთვის შეუფერებელს გულისხმობს. ვინაიდან, შუამავალი ისლამის პრინციპებს ყოველთვის და ყველაფერზე წინ აყენებდა, საბოლოოდ იმდენად დადმოგვცემს:

„შუამავალს ერთხელ გარეული ვირი ვაჩუქე. მაგრამ მან ის არ მიიღო და უკან დამიბრუნა. სახეზე, რომ შემხედა და წყენა შემამჩინია, მითხრა:

„შენი საჩუქარი იპრამში ყოფნის გამო ვერ მივიღე!“<sup>361</sup>

ეს ერთ-ერთი მაგალითია იმისა, რომ აუცილებელია საჩუქრის მიუღებლობის შემთხვევაში, ადამიანს აუხსნა მიზეზი, თუ რატომ არ შეგიძლია ის მიიღო. რადგან შესაძლებელია, მან სრულიად განსხვავებული რამ იფიქროს და ამან ურთიერთობა გააფუჭოს. როგორც

360. თირმიზი, ველა, 6.

361. ბუჰარი, ჰიბე, 6.





ზემოთ მოყვანილ ჰადისში დავინახეთ, შუამავალმა ღიად და გასაგებად აუხსნა, თუ რატომ არ შეეძლო იმ დროისთვის ისეთი საჩუქრის აღება, როგორსაც მას ჩუქნიდნენ.

შუამავალი იშვიათი გამონაკლისის გარდა ურწმუნოების და არამუსლიმებისგან საჩუქარს არ ლებულობდა და ამბობდა, რომ მისთვის აკრძალული იყო. იაზ იბნ ჰიმარი გადმოგვცემს:

„ერთხელ შუამავალს საჩუქარი მივართვი. მან მკითხა:

— ისლამი მიიღე?

როდესაც ვუპასუხე, რომ არ ვიყავი მუსლიმი, მითხრა:

— *ურწმუნო ადამიანისგან საჩუქრის მიღება მე აკრძალული მაქვს.*<sup>362</sup>

მაგრამ, ვიცით, რომ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა სხვადასხვაგვარია. ალი ამბობს, რომ: „ქისრამ შუამავალს რაღაც — რაღაცები აჩუქა. შუამავალმა ისინი მიიღო. მის გარდა სხვა მეფეებმაც აჩუქეს, რომლებიც ასევე აიღო.“<sup>363</sup> იმიტომ რომ ისინი სახელმწიფოს მეთაურები იყვნენ და მათთან ცუდი ურთიერთობა არ შეიძლებოდა ჰქონოდა. ამ ხერხით შესაძლებელი იყო ურთიერთობის უფრო მეტად გაუმჯობესება, რომელიც ორივე მხარისათვის მომგებიანი იქნებოდა.

აგრეთვე, შუამავალი ბრძანებს, თუ რა შემთხვევაში არ შეიძლება საჩუქრის აღება. აბუ უმამეს გადმოცემის მიხედვით, მან ბრძანა:

„თუკი ვინმე, ვინმეს დაეხმარება და სამაგიეროდ მისგან საჩუქარს აიღებს, ეს მისთვის პროცენტის აღების ტოლფასია და არ შეიძლება!“<sup>364</sup> ამას გარდა, ასეთ დროს აღებული საჩუქარი მის მიერ განეული დახმარების მადლის დაკარგვის მიზეზიც ხდება. უბადე იბნ სამითი ბრძანებს: „მე რამდენიმე ადამიანს წერა და ყურანის კითხვა ვასწავლე. მათგან ერთმა მშვილდი მაჩუქა. მე ვუთხარი:

— ეს მშვილდი ჩემთვის დიდ ქონებას არ წარმოადგენს, მას ალლაჰის გზაზე საბრძოლველად გამოვიყენებ. მაგრამ მის შესახებ

362. აბუ დავუდი, ჰარაჯი, 35.

363. თირმიზი, სიერი, 23.

364. აბუ დავუდი, ბუიუ, 82.





შუამავალს მინდა შევეკითხო. როდესაც შუამავალთან მივედი, ვკითხე:

— შუამავალო, იმ ადამიანთაგან ერთ-ერთმა, ვისაც წერა და ყურანის კითხვა ვასწავლე, მშვლიდი მაჩუქა. ეს ჩემთვის ქონებას არ ნიშნავს. მე ის შემიძლია ალლაჰის გზაზე საბრძოლველად გამოვიყენო. შუამავალმა მიპასუხა:

*„თუკი გსურს ყელზე ცეცხლმოდებული ნალი ჩამოიკიდო (ე. ი. ჯოჯოხეთის სასჯელი დაიმსახურო), მაშინ ის მიიღე!“<sup>365</sup>*

შუამავლის შემდგომ პერიოდში, სხვადასხვა გარემოების გამო, მეცნიერებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ყურანის სწავლებაში გარკვეული საფასურის აღება. ალლაჰის შუამავალის სიცოცხლეში მსგავსი რამეები აკრძალული იყო.

საჩუქრის უკან გამორთმევა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. თუკი ნაჩუქარის გამო გადანყვეტილებას შევიცვლით, ალლაჰის შუამავალი გვაფრთხილებს:

*„თუკი ვინმეს საჩუქარს უბოძებ და შემდეგ უკან მოითხოვ, არ შეიძლება. ან ვინმეს რამეს დაპირდები და არ აჩუქებ, არც ეს არის კარგი საქციელი. მხოლოდ მამას შეუძლია შვილს დაპირებული არ აჩუქოს. ნაჩუქარი, საჩუქრის უკან მომთხოვნი ადამიანის მოქმედება ძაღლის საქციელს ჰგავს. ძაღლი ჯერ რამეს შეჭამს, მერე თავის ნაჭამს უკან ამოყრის და როდესაც მოშივდება, ისევ შეჭამს.“<sup>366</sup>*

ისლამმა ცხოვრების იმდენი პრინციპი წარმოაჩინა, რომ ყურადღების მიღმა არაფრი დაუტოვებია. მათი ხელმძღვანელობით ხალხს უპრობლემოდ და თანხმობით ცხოვრება სეუძლია. ამ წესებს ალლაჰის შუამავალი თავის თანამიმდევრებს ოცდასამი წლის განმავლობაში ასწავლიდა, რათა მთელი მსოფლიოს წინაშე უდიდესი კულტურის ნიმუშები წარმოედგინათ.

ამრიგად, მუჰამედ შუამავალი, ალლაჰის მიერ მოვლენილი ლამაზი ზნეობის საუკეთესო და ერთადერთი ნიმუშია დედამიწაზე.

365. აბუ დავუდი, ბუიუ, 37.

366. აბუ დავუდი, ბუიუ, 81.





## ეპილოგი

ალლაჰმა, მუჰამმედ შუამავლის სახით, ადამიანებს ცხოვრებაში საუკეთესო და ყველასათვის აუცილებლად მისაბაძი მაგალითები აჩვენა.

ალლაჰი ბრძანებს:

الَّذِي خَلَقَ الْمَوْتَ وَالْحَيَاةَ لِيَبْلُوَكُمْ أَيُّكُمْ

أَحْسَنُ عَمَلًا وَهُوَ الْعَزِيزُ الْغَفُورُ

„რომელმაც გააჩინა სიკვდილი და სიცოცხლე, რათა გამოეცადეთ თქვენში რომელი უფრო უკეთესია საქმით. შეეჭველად, იგი ძლევამოსილია, შემნდობია!“<sup>1</sup>

ამასთან ერთად, მან აღნიშნა, რომ ცხოვრების ამ მოკლე პერიოდში შესაძლებელია, ადამიანმა არჩეული სწორი კურსის მეშვეობით წარმატებით ჩააბაროს გამოცდა. კიდევ ერთ აიათში ალლაჰი ბრძანებს:

إِنَّ أَكْرَمَكُمْ عِنْدَ اللَّهِ أَتْقَاكُمْ

„...შეეჭველად, თქვენგან ყველაზე პატივდებული ალლაჰის წინაშე თქვენში ყველაზე უფრო ღვთისმოსიანია...“<sup>2</sup>

ამ აიათით ალლაჰმა ადამიანების შორის შეფასების ჭეშმარიტი კრიტერიუმები და მიზანი გვიჩვენა, რომლის მისაღწევადაც ჩვენ უმნიკლო ცხოვრებას უნდა დავენაფოთ.

ჩვენთვის სამაგალითო შუამავალი თავისი სიცოცხლის ბოლომდე იმეორებდა: „ღმერთო, ნამდვილი სიცოცხლე — იმქვეყნიური

1. სურა მულქი, აიათი 2.  
2. სურა ჰუჯურათი, აიათი 13.



ცხოვრებაა!<sup>3</sup> აქედან გამომდინარე, მუსლიმი ადამიანისთვის ნამდვილი და ღირებული სიცოცხლე მხოლოდ იმქვეყნიურ ცხოვრებაშია. ეს სინამდვილე კი ყოველი მუსლიმი ადამიანის ცხოვრების მთავარი ღოზუნგი უნდა იყოს. ამიტომ, ადამიანმა საიქიო ცხოვრების მოსაგებად უფრო მეტი უნდა იფიქროს და აკეთოს, ვიდრე სააქაოსათვის. ამისათვის კი საჭიროა, სწავლა-განათლების მიღება, ალლაჰის, მისი შუამავლის ცნობა და ჭეშმარიტი გზის არჩევა.

ჩვენთვის ბოძებული სიცოცხლე საათის ისრებივით ტრიალებს და ყოველი დღის შემდეგ მისი ხანგრძლივობა იკლებს. ამიტომ ის ძალიან მალე გაჩერდება, რის შემდეგაც არაფრის შეცვლა აღარ შეიძლება. ალლაჰი ბრძანებს:

وَالْعَصْرِ

„ვფიცავ დროს...“<sup>4</sup> ამ აიათში ალლაჰი ყურადღებას დროის მნიშვნელობაზე ამახვილებს და ადამიანებს მის დახარჯვასთან დაკავშირებით სიფრთხილისაკენ მოუწოდებს. ნათქვამია: „ეს ქვეყანა პატარა ნამს ჰგავს და მან ღვთისმსახურებაში უნდა განვლოს.“ ყველაფრის მეტ-ნაკლებად შეცვლა და ახალად დანყება შესაძლებელია, მაგრამ დროის უკან დაბრუნება არა. ამიტომ, ადამიანი თავიდანვე უნდა დაფიქრდეს, ჭეშმარიტი გზა აირჩიოს, დრო ეფექტიანად გამოიყენოს, რათა შემდეგ არ ინანოს. ამიტომ უზენაეს ალლაჰს, როგორც ჭიანჭველა — მეგზურის, ფუტკარი — დედა ფუტკრის, ადამიანიც შუამავლის გარეშე არ დაუტოვებია..

ეს ცხოვრება ისე უნდა ვმართოთ და ისე უნდა მივყვეთ შუამავლის ნაკვალევს, როგორც თოვლიან გზაში წინ მიმავალი ადამიანის კვალს. რამდენადაც შევძლებთ შუამავლის ნაკვალევზე მიყოლას, იმდენად სასიამოვნო იქნება ის ქვეყანა ჩვენთვის.

აქედან გამომდინარე, ჩვენი უპირველესი ამოცანაა ლამაზი ზნეობისა და უბადლო მაგალითის მქონე შუამავლის სუნნეთი კარგად შევისწავლოთ და ჩვენი ცხოვრება იმის მიხედვით წარვმართოთ. შუამავლის კარგად შესწავლისათვის კი აუცილებელია ჯერ რწმენა მტკიცე გაგვანდეს, რადგან მის გარეშე მას ვერ შევისწავლით.

3. ბუჰარი, რიყაყი, 1.

4. სურა ღესრი, აიათი 13/1.





რწმენის მიღების შემდეგ კი ყველაფრის გაგება იოლი გახდება. შუამავლის ცხოვრების შესწავლის შემდეგ ყოველი ადამიანისათვის გამოჩნდება ჭეშმარიტი გზა და ის მას აუცილებლად დაადგება. ალლაჰი კიდევ ერთ აიათში ასე ბრძანებს:

أَمْ لَمْ يَعْرِفُوا رَسُولَهُمْ فَهُمْ لَهُ مُنْكَرُونَ

**„ან იქნებ ვერ იცნეს თავიანთი შუამავალი და იმიტომაც უარყოფენ მას?“<sup>5</sup>** ვინც შუამავალს ნამდვილად გაიცნობს, მას არასდროს უარყოფს.

შუამავალი ამქვეყანად ფიზიკურად წერტილისოდენა ადგილს იჭირავს, მაგრამ მთელი სამყარო ალლაჰმა სწორედ მისი გაჩენის მიზეზითგააჩინა და ამ ქვეყანას სინათლეც მის გამო დააშუქა. იგი მის გაჩენილ ადამიანთა შორის ყველაზე ძვირფასია. ადამ შუამავლიდან დაწყებული მთელი კაცობრიობა მის მოლოდინში იყო.

მუჰამმედ შუამავლის სახით ალლაჰმა ყველაფერი სისრულეში მოიყვანა. ალლაჰმა საბოლოოდ ჩამოაყალიბა ყველა კანონი და მუჰამმედ შუამავალს ყურანის სახით გამოუგზავნა. ალლაჰის მიერ ნაბრძანები კანონთა ის კრებული, აღარასდროს შეიცვლება და დედამიწის არსებობის მანძილზე ყოველთვის ძალაში დარჩება. ამის შესახებ ალლაჰი ბრძანებს:

الْيَوْمَ أَكْمَلْتُ لَكُمْ دِينَكُمْ

**„დღეს მე სრულვყავი თქვენი რჯული თქვენთვის, სრულად გიბოძეთ წყალობა ჩემი და ავირჩიე ისლამი თქვენს სარწმუნოებად. უეჭველად, ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია.<sup>6</sup>** ეს სწორედ ის აიათია, რომლითაც ალლაჰმა დაასრულა ყურანის გარდმოვლენა. მუჰამმედი არა მარტო რომელიღაც ტომის ან მოდგმის, ერის ან ხალხის, არამედ მთელი კაცობრიობისათვის გამოგზავნილი ბოლო და ჭეშმარიტი შუამავალია. ის, ვისი გულიც ჭეშმარიტების შუქითაა სავსე, თითოეული ადამიანისათვის საუკეთესო ნიშნია. ალლაჰი მის შესახებ ყურანში ბრძანებს:

5. სურა მუმინუნი, აიათი 69.

6. სურა მაიდე, აიათი 3.



وَمَا أَرْسَلْنَاكَ إِلَّا كَافَّةً لِلنَّاسِ بَشِيرًا وَنَذِيرًا

„და არ წარმოგვიგზავნიხარ შენ, თუ არა მთელი ხალხისთვის მახარობლად და შემგონებლად, მაგრამ ხალხის უმეტესი ნაწილი არ უწყის!“<sup>7</sup>

რაც შეეხება დანარჩენ შუამავლებს, რომლებიც მუჰამმედ შუამავალზე ადრე მოვიდნენ, ისინი მხოლოდ ხალხის ერთი ნაწილისათვის იყვნენ გამოგზავნილი. ამიტომ, მათთვის გარდმოვლენილ ბრძანებებში გარკვეული ერის მიმართ იყო მონოდება.<sup>8</sup> მუჰამედ შუამავლის სახით კი უზენაესი ალლაჰი მთელ კაცობრიობას მიმართავს. აი, ზოგიერთი მათგანი:

قُلْ يَا أَيُّهَا النَّاسُ إِنِّي رَسُولُ اللَّهِ إِلَيْكُمْ جَمِيعًا الَّذِي لَهُ مُلْكُ السَّمَاوَاتِ وَالْأَرْضِ لَا إِلَهَ إِلَّا

هُوَ يُحْيِي وَيُمِيتُ فَآمِنُوا بِاللَّهِ وَرَسُولِهَا

„დღეს მე სრულვწყავი თქვენი რჯული თქვენთვის, სრულად გიბოძეთ წყალობა ჩემი და ავირჩიე ისლამი თქვენს სარწმუნოებად.“<sup>9</sup>

وَمَا أَرْسَلْنَاكَ إِلَّا رَحْمَةً لِّلْعَالَمِينَ

„და არ წარგვიგზავნიხარ შენ, თუ არა მონყალეზად სამყაროთათვის!“<sup>10</sup>

ამიტომ თითოეული ადამიანი ვალდებულია, მუჰამმედ შუამავლის ცხოვრება შეისწავლოს და მისი ირწმუნოს. საჭიროა მისი ცხოვრებიდან მაგალითების გადმოღება, მასზე მიბაძვა, მისი ყოველი სუნნეთის შესრულება და მისი დახმარების მოპოვების უფლების დამსახურება. ყოველთვის ალლაჰი გვიბრძანებს:

وَاتَّبِعْ سَبِيلَ مَنْ أَنَابَ إِلَيَّ

7. სურა სეზე, აიათი 28.

8. სურა აარაფი, აიათები 59, 65, 73, 85, 145.

9. სურა მაიდე აიათი 5.

10. სურა ენბია, აიათი 107.





„და მიჰყევი იმათ გზას, ვინც ჩემსკენ მოისწრაფვის.“<sup>11</sup>

ცხოვრებაში განხორციელებული მრავალი კარგი მაგალითი ადამიანებისთვის სიკეთის მომტანი და სწორი გზის მაჩვენებელია.

ჩვენც ვალდებული ვართ ჩვენზე ადრე მოსული ადამიანების დატოვებული კარგი მაგალითების გათვალისწინებით, მომავალ თაობებს კარგი და სანიმუშო მაგალითები დავუტოვოთ. როგორც ის მუჰამედ შუამავლის თანამიმდევრებმა გააკეთეს: მისგან საუკეთესო მაგალითები აიღეს და თავიანთ მემკვიდრეებს გადასცეს. ჩვენც ვალდებული ვართ მივბაძოთ მათ, რათა უზენაესი ალლაჰის წყალობა დავიმსახუროთ. ძღვევამოსილი ალლაჰი ბრძანებს:

وَالسَّابِقُونَ السَّابِقُونَ مِنَ الْمُهَاجِرِينَ وَالْأَنْصَارِ وَالَّذِينَ اتَّبَعُوهُمْ بِإِحْسَانٍ

رَضِيَ اللَّهُ عَنْهُمْ وَرَضُوا عَنْهُ وَأَعَدَّ لَهُمْ جَنَّاتٍ تَجْرِي تَحْتِهَا

الْأَنْهَارُ خَالِدِينَ فِيهَا أَبَدًا ذَلِكَ الْفَوْزُ الْعَظِيمُ

„კეთილწარმატებულნი უპირველესნი მუჰაჯირთაგან და ენ-სართაგან და რომელნიც მიჰყვნენ მათ სიკეთით, ალლაჰი კმაყოფილია მათგან და ისინი კმაყოფილი არიან მისგან. და მოუმზადა მათ სამოთხენი, სადაც ძირს მდინარეები მოედინება და სადაც სამუდამოდ დამკვიდრდებიან. სწორედ ესაა უდიდესი წარმატება.“<sup>12</sup>

თუკი ჩვენ, როგორც ჭეშმარიტი მუსლიმები, მაღალ ზნეობას არ შევიძენთ და ხალხისთვის იდეალური ან მისაბაძი ნიმუშები არ ვიქნებით, ამით ჩვენს ცხოვრებაში ყველაზე დიდ შეცდომას დავუშვებთ. ვინც თავის მოვალეობას არ შეასრულებს, ვერაფერი მომიზეზება და სამკურნალო შინაური წამალი მისი სიდიდის ქვეყნას ვერ დაამშვიდებს..

„ო, ყველა შეცდომისა და უბედურებისთვის წამლის მომცემო! ო, დიდო ალლაჰო! შენ ხარ განკითხვის დღის მოედანზე ცოდვითა შემცოდებელი!“

11. სურა ლოყმანი, აიათი 15.

12. სურა თეგბე, აიათი 100.





„ცაზე არსებული მთვარით დანყებული და ზღვის ფსკერზე მყოფი თევზებით დამთავრებული თითოეული ადამიანი და ჯინი, ყველა ცოცხალი არსება შენთან მოსასვლელ გზას ეძებს.“

„შუამავალო, რწმენის ნიმუშო, შენ ყველა დროისთვის საუკეთესო და მისაბაძი ხარ!“

„ჩვენო უდიადესო! შუამავლის მიერ შენგან მოთხოვნილ ყველა სიკეთეს, ჩვენც გვედრებით! შუამავლის ყველა უბედურებისგან შენზე შეფარების მსგავსად, ჩვენც შეგეფარებით! დახმარებას მხოლოდ შენგან ველით! მიზნის მიღწევაში ადამიანის დამხმარე მხოლოდ შენ ხარ!“<sup>13</sup>

„(ისინი ასე შეევედრებიან) ღმერთო ჩვენო! არ დაუშვა, რომ ჩვენი გულები გადაიხარონ მას მერე, რაც შენ სწორ გზაზე დაგვაყენე. და მოგვანიჭე წყალობა შენი, უეჭველად, შენ ხარ მომმადლებელი (მომნიჭებელი).“<sup>14</sup>

„და რომელნიც მოვიდნენ მათ შემდგომ, ამბობენ: „ღმერთო ჩვენო! შეგვიჩვენე ცოდვები ჩვენი და ჩვენი ძმების, რომელთაც ჩვენ გავგასწრეს რწმენით. და არ ჩავგინერგო გულებში შური იმათ მიმართ, რომელთაც ირწმუნეს. ღმერთო ჩვენო, უეჭველად, შენ ლმობიერი და მწყალობელი ხარ! ის ჩაბარების დღეს, მე, დედას, მამას და ყველა მუსლიმან ადამიანს გვაპატიე!“<sup>15</sup>

„ღმერთო ჩვენო! მოგვეცი ჩვენ სიკეთე ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც და იმქვეყნიურშიც, დაგვიფარე ჩვენ ცეცხლის სასჯელისგან“<sup>16</sup>

„ღმერთო ჩვენო! უეჭველად, გვესმოდა ხმოვა მხმობელისა რწმენისაკენ: ინამეთ ღმერთი თქვენიო! და ჩვენც ვინამეთ. ღმერთო ჩვენო! მოგვიტევე ჩვენ ცოდვანი ჩვენი და დაგვიფარე რაც უღირსი გვიკეთებია და კეთილშობილებთან ერთად განგვასვენე! ღმერთო ჩვენო! გვარგუნე ის, რაც აღგვითქვი შენი შუამავლების მეშვეობით და არ შეგვარცხვინო აღდგომის დღეს. უეჭველად, პირობას არ შეცვლი შენ.“<sup>17</sup>

13. თირმიზი, დეავათი, 89.  
 14. სურა ალი-იმრანი, აიათი 8.  
 15. სურა იბრაჰიმი, აიათი 41.  
 16. სურა ბაყარა, აიათი 201.  
 17. სურა ალი იმრანი, აიათები 193-194.



„ღმერთო ჩვენო! ნუ მოგვკითხავ, თუკი დაგვაფინყდა ან შევცდით! ღმერთო ჩვენო! არ გვატვირთო მძიმე ტვირთი, როგორც იმათ ატვირთე, ვინც ჩვენ უნინარეს იყო!... ღმერთო ჩვენო! არ დაგვაკისრო ის, რისი ძალაც არ შეგვწევს და მოგვიტევე ჩვენ, შეგვინდე და შეგვინყაღე! შენ ხარ მზრძანებელი ჩვენი და დაგვეხმარე ურწმუნო ხალხის წინაშე!“<sup>18</sup>

ამინ!



18. სურა ბაყარა, აიათი 286.





## სარჩევი

შესავალი.....	5
კაცობრიობის არსი .....	7
იდეალისადმი მისწრაფება და მისაბაძისადმი	
მიდრეკილება .....	11
უკვდავ შუამავალთა სახეები .....	12
შუამავალი მუჰამმედი.....	14
საუკეთესო მაგალითი / სანიმუშო ადამიანი.....	14
სამაგალითო ადამიანი და მაღალი ზნეობა .....	18
მუჰამმედის კვალდაკვალ მიყოლის	
სულიერი მდგომარეობა .....	25
სალავათი .....	27
აღლაჰის შუამავლის სიყვარულის ჰანგები .....	29
სიყვარულთ მუჰამმედის კვალდაკვალ .....	36

### ღვთისმსახურების, ზნეობისა და მორალის

საუკეთესო მაგალითი.....	41
წინასიტყვაობა.....	43

### პირველი ნაწილი

აღლაჰზე მსახურების სანიმუშო მაგალითი.....	51
I. შუამავლის მიერ აღლაჰის მოწინებით განდიდება,	
პატივისცემა, სიყვარული და მორჩილება. ....	53
1. განდიდება და მოწინება .....	53
2. შუამავალ მუჰამედის სიყვარული .....	67
3. მორჩილება .....	72
II. მუჰამმედ შუამავლის მიერ აღლაჰის	
კანონების პატივისცემა .....	79
1. შუამავალ მუჰამმედის სიფაქიზე .....	79
2. სიფრთხილე ისლამის მიხედვით .....	83
3. ადამიანის უფლებების დაცვა .....	89
4. საეჭვო საქმეებისგან თავის შეკავება.....	99
III. მუჰამმედ შუამავლის ღვთისმსახურებითი ცხოვრება .....	106
1. მუჰამმედ შუამავლის (ნამაზი) ლოცვა .....	107





ა. აბდესი (გასუფთავება) .....	107
ბ. ნამაზი (ლოცვა) .....	112
1. ნამაზის მნიშვნელობა მუჰამმედ შუამავლის მიხედვით .....	114
2. ნამაზის ლოცვით მიღებული ღვთისმოსაობა და სიმშვიდე .....	120
3. ნამაზის ლოცვის მადლი (ჯილდო) .....	123
გ. ერთობლივად ნალოცი ნამაზის მნიშვნელობა.....	127
დ. თეჰეჯჯუდი და შეხვედრა განთიადთან.....	132
ე. ნამაზის დამატებითი სახეები (ნაფილე ნამაზი) .....	142
1. „ქუშლუქ“ (დუჰა) ნამაზი.....	144
2. „ევეაბინ“ ნამაზი .....	145
3. „ჰაჯეთ“ ნამაზი.....	146
4. „ისთიჰარე“ ნამაზი.....	148
5. თაჰიეთულ მესჯიდ ნამაზი .....	149
6. აბდესის ალების შემდეგი ნამაზი .....	150
7. „თევე“ ნამაზი .....	150
8. „შუქურ“ ნამაზი .....	151
9. „თერავიჰ“ ნამაზი.....	152
10. „თესბიჰ“ ნამაზი .....	153
11. „ისტისყა“ ნამაზი.....	154
12. „ქუსუფ“ და „ჰუსუფ“ ნამაზები .....	155
2. მუჰამმედ შუამავლის მარხვა .....	157
ა. მარხვის დამატებითი სახეები, რომლებსაც შუამავალი მუჰამმედი ასრულებდა .....	161
ბ. განმარტოება (ითიქაფი) .....	162
3. მუჰამმედ შუამავლის ჰაჯობა .....	163
4. მუჰამმედ შუამავლის ქველმოქმედება .....	179
ა. მუჰამმედ შუამავლის აჩქარებულობა სასიკეთო საქმეების კეთებაში .....	182
ბ. საზღაური ქველმოქმედებისათვის .....	186
გ. შუამავალ მუჰამმედის თანამიმდევართა აღზრდის მეთოდები, ქველმოქმედებაში. ....	188
5. მუჰამმედ შუამავლის დამოკიდებულება ყურანისადმი .	193
ა. ყურანის კითხვისას მის მნიშვნელობაზე დაფიქრება	195
ბ. თანამოაზრეების დამოკიდებულება ყურანისადმი.....	200
6. მუჰამმედ შუამავლის დაფიქრება (თაფაქქური).....	202





7. ზიქრი (აღლაჰის ხსენება) და თავისი თავის განსჯა .....209

8. მუჰამედ შუამავლის ვედრებები .....217

IV. შუამავლის შეხედულება ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ ცხოვრებაზე..... 225

1. მუჰამედ შუამავლის შეხედულება ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ ცხოვრებაზე .....226

ა. ამქვეყნიური ცხოვრების არსი .....229

ბ. მუჰამედ შუამავლის თანამოაზრეების ასკეტიზმი ...237

2. მუჰამედ შუამავლის ყოველდღიური ცხოვრება .....241

ა. მუჰამედ შუამავლი ხანგრძლივად მშვიდი რჩებოდა.241

ბ. მუჰამედ შუამავლის ცხოვრება .....248

გ. მუჰამედ შუამავლის ტანსაცმელი.....254

1. ჩალმა.....254

2. ტანსაცმელი .....254

3. წინდა და ფეხსაცმელი .....256

4. მუჰამედ შუამავლის ბეჭედი .....257

5. სისუფთავის დამცავი საშუალებები .....257

6. სამგზავრო ცხოველები .....258

7. შეიარაღება და აღჭურვილობა .....259

დ. მუჰამედ შუამავლის ქონებრივი მემკვიდრეობა .....259

**მეორე ნაწილი**

მუჰამედ შუამავლის ზნეობრივი ღირსება .....265

1. მოკრძალება .....272

2. მორცხვობა .....278

3. მიცემული პირობის ერთგულება .....285

4. ყაირათიანობა.....293

5. აღლაჰზე მინდობა .....303

6. სხვისი ბედის განცდა ალტრუიზმი .....308

7. მუჰამედ შუამავლის მოთმინება.....314

8. მუჰამედ შუამავლის სიმამაცე .....324

9. ხელგაშლილობა.....329

10. მადლიერება .....341

11. ერთგულება.....349

12. დარბაისლობა და სიმშვიდე .....357

13. ზომიერება .....360

14. სამართლიანობა და სწორი მიმართულება .....366





15. სულიერი სიმდიდრე .....373

**მესამე ნაწილი**

**ეთიკის სრულყოფილი ნიმუში ..... 383**

1. ჭამა-სმის კულტურა.....385
  - ა. ჭამის წესები.....385
  - ბ. დაღვების ეთიკა.....393
2. ჩაცმა-დახურვის მეთოდი .....398
3. სისუფთავის მეთოდი.....407
  - ა. ფიზიკური გასუფთავება (დაბანა).....408
  - ბ. ტანსაცმლისა და სალოცავი ადგილის გასუფთავება .....409
  - გ. სხეულის გასუფთავება - განმენდა .....412
  - დ. ეზო, კარ-მიდამოს გასუფთავება .....413
4. კარზე დაკაკუნება და სხვის სახლში შესვლა .....413
5. მისალმების წესები.....418
6. ხელის ჩამორთმევის წესები .....424
7. საუბრის მეთოდი.....427
8. პატივისცემისა და მოკრძალების წესები.....433
9. ღიმილის წესები.....440
10. ხუმრობის წესები .....443
11. ცხვირის დაცემინებისა და მთქნარების წესები.....447
12. მოგზაურობის წესები.....449
13. დასაძინებლად მზადება .....457
14. ქცევის წესები თავშეყრის ადგილებში .....463
  - ა. როგორ ჯდებოდა მუჰამმედ შუამავალი .....464
  - ბ. შუამავლის მიერ მოუწონარი დაჯდომა .....465
  - გ. საზოგადოებასა და ხალხმრავლობაში ყოფნის წესები...467
15. დაპატიჟებით მიღების წესები .....470
  - ა. საქორწილო მიპატიჟებაზე მისვლა .....474
  - ბ. მიპატიჟება, რომელზეც წასვლა აკრძალულია.....476
16. მონახულების წესები.....477
  - ა. ავადმყოფის მონახულება .....479
  - ბ. ნუგეშისცემა, თანაგრძნობა .....486
  - გ. მიცვალებულის ჯანაზის ლოცვა და საფლავის მონახულება .....488
    1. სამგლოვიარო პროცესია.....488
    2. სასაფლაოს მონახულება .....492





3. საფლავის მონახულების წესები.....	499
დ. მეგობრებისა და ნათესავების მონახულება .....	500
17. დასაჩუქრების წესები.....	505
ეპილოგი .....	509

